114
1982 /3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

7

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე № 7 ივლისი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## სარჩევი

### პროზა, პოეზია

ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . 3
რევაზ ინანიშვილი — სამი მოთხრობა . . . 5
ოთარ ჭილაძე — ლექსები . . . 15
გურამ ფანჯიკიძე — თუშეთი, ჩვენი თუშეთი (ნარკვევი) . . . 26
ალექსი გოგუა — სად იკეთებენ ბუდეს თოლიები? (მოთხრობა) აფხაზურიდან თარგმნეს ანა წვინარია-აბრამიშვილმა და მიხო ბეროშვილმა . . . 69
ნიკოლა კინჩევი — ლექსები. თარგმნა ბესიკ ხარანაულმა . . . 83
გურამ ქაბანაძე — თავბერა. რომანი. გაგრძელება . . . 86

### 1783 გეორგიევსკის ტრაქტატი 1983

ფრიდონ სიხარულიძე — პრესნია — ქართველთა უბანი მოსკოვში . . . 127

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ოთარ წერეთელი — „ოთხი ნადირობა" . . . 136
სერგი დურმიშიძე — ქართველი მეცნიერი ჰალეს უნივერსიტეტში . . . 158

### მეცნიერება

რამაზ პატარიძე — მხატვრული მზე ვეფხისტყაოსნისა . . . 166

### გამოსათხოვარი

ელგუჯა მაღრაძე — ალექსანდრე ქუთათელი . . . 176

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭელიძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11
მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 18. 0,5. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 06. 82 წ., ანაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 00709. ტირაჟი 26800. შეკვ. 1293. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17421

ირაკლი აბაშიძე

# ქართული ლექსი კოლუმბის ძეგლს ბარსელონაში

მთელ მსოფლიოში
ყველა ძეგლზე
    შენ ხარ მაღალი —
შენ ხარ მონბლანი,
    შენ ხარ უშბა,
        შენ ხარ ყაზბეგი!
ქვემოთ გუგუნებს
    ნოემბრული
        ზღვა, რქანაყარი,
შენ კი მეშვიდე ცაში გტყორცნის
    შენი კვარცხლბეკი.
ხარ და გექუთვნის.
ბედმა შენმა
    რა არ გაწვნია;
რა არ შეგყრია,
    არ გიგრძვნია,
        რა არ გწვევია.
შენებრ ტალღებთან
    ჯერ არავის უვაჟკაცნია,
შენებრ მიზნისთვის
    ჯერ არავის მიუღწევია.

არა, არ გვიკვირს
ცად ატყორცნა
    შენი სულისა,
რომ ზღვათა მეფე,
    წყალთა მეფე
    ცაში წახველი...
ჩვენ არც ის გვიკვირს
    შვილებს ჩვენი საუკუნისა,
რომ შენს ნათელარს
    დღესაც ქვია
        სხვისი სახელი.

1981
XI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . .

მშვიდობით,
ვინძლო ერთხელაც გნახო
სულის სიღრმეში
    ზღაპრად ყივილო:
ადიდებულო მდინარევ ტახო,
ქაფმოდებულო გვადალკვივირო!

მშვიდობით,
ვინძლო ერთხელაც თქვენთან
სიცოცხლის ვიგრძნო დღესასწაული!
მე კავკასიის თოვლიან მთებთან
მიმყვება თქვენი ლეწვა-ხმაური.

მშვიდობით!
ეს გზაც, ეს მხარეც მორჩა...
ყვაოდეს, დუღდეს თქვენი მთა-ველი;
ვაი, რომ თქვენს ცას
    შევხარი, როცა
სიცოცხლე დამრჩა ერთი მტკაველი.

მშვიდობით,
სხვა რამ, არავითარი! —
მე მუდმივ სადგურს
    არსად დავეძებ;
საფლავის მიწით მე ვარ მდიდარი,
მე იქ ჩემს მტკვართან უნდა დავეცე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

# სამი მოთხრობა

## პლიაჟის კლეოპატრა

ოქტომბერი იწურებოდა და, ამიტომ, ამ დასასვენებელ სახლშიც, უმთავრესად, შუა ხნის ხალხიღა იყო დარჩენილი. ეს შუა ხნის ქალები და კაცები გულმოდგინედ ცდილობდნენ თავიანთი ახალგაზრდული შესაძლებლობების გამოჩინებას. უთენია დგებოდნენ, მკერდთან ხელებაკრეფილნი დარბოდნენ ნამით გაჟღენთილ მოხრეშილ გზებზე, აკეთებდნენ ეგრეთწოდებულ თავისუფალ ვარჯიშებს, ბუქნავდნენ, იზნიქებოდნენ აქეთ-იქით, მუხლებში ჩაუხრელად მიჰქონდათ თითისწვერები მიწისკენ, მერე ბანაობდნენ, ზოგიერთი მიცურავდა საკმაოდ შორსაც.

ბანაობდნენ დილით, მზის ამოსვლამდე, — ირწმუნებოდნენ, რომ წყალი ამ დროს არის ყველაზე თბილიო, — ბანაობდნენ და შემოდგომის სასიამოვნოდ ქარვისფერ მზეს უყურებოდნენ შუადღისით, მერე — ნასამხრევს; თამაშობდნენ ფრენბურთს, ჩოგბურთს, ბილიარდს, მაგიდის ჩოგბურთს; კაცები მალ-მალე იყურებოდნენ მკლავებზე, ქალები — თეძოებზე; და თუ ერთ რამეს მაინც ვერ ახერხებდნენ ახალგაზრდულად, ეს ის იყო, რომ გაციებისა ეშინოდათ. როგორც კი იბანავებდნენ, მაშინვე მძიმე პირსახოცით გამშრალდებოდნენ, ლერწმის ტევრში შევარდებოდნენ, სველ საბანაო საცვლებს გაიხდიდნენ და მშრალებს ჩაიცვამდნენ.

შეიძლება დროის ბრალი იყო ესაც: ერთი ახალგაზრდა ქალი, ალბათ, ასე, ოცდათხუთმეტი წლისა, ძალიან გამოირჩეოდა ყველასგან. თითქოს სულ ქარში მოაფრიალებდა ჩახჩახა წითელ და ჩახჩახა ყვითელ აღმოსავლური ყაიდის ძვირფას კაბა-შარვლებს. თვითონაც აშკარა აღმოსავლელი, ქალის კვალობაზეც ცოტა დაბალი, ცოტა ქვედაწელმძიმე, მღელვარე, მაგრამ შეკავებული ჯიბრით შემოდიოდა სივრცეში. ტუჩები ჰქონდა წითელი, წითელი, მტკიცე და მრგვალ სახეზე გრძლად გახაზული. თვალებიც — ვიწროდ გაჭრილი, საფეთქლებამდე გაზიდული, თითქოს მხურვალებისგან მიჟუჟული.

ჩვეულებრივ, ასეთი ჭრილის თვალები ქალებს ალერსით უქიკქიკებთ ხოლმე, ამ ქალს კი მუდმივი დადარაჯებულობისა და რაღაც სროლისწადილის სიმწვანით ჰქონდა სავსე. ის რომ გახდილი, ვიწრო ზოლებად გადამავალი საბანაო საცვლების ამარა, ლერწმის ტევრში შედიოდა და გამოდიოდა, გაშავებული, მურდაკრული ოქროს ელვარებისა, ყველა გრძნობდა, რომ უდაბნოს რომელიღაც მტაცებელს ჰგავდა, მზისგან გატრუსულს, ფიცხს. ერთნი, უმეტესნი, პატარა მკვრივი ცხვირი-

ეროვნული

თა და მოკლედ ჩამოშლილი მკვრივვე თმით, ამსგავსებდნენ აფთარს, ახალგაზრდა აფთარს, სულ წინ წასწრაფებულს, ყნოსვადამდგარს, ჩუმად მოწკმუტუნეს, მეორენი — ტრამალის ძუ მგელს, მოქნილსა და საშუდლოდ თვალებმიწკურულს, მესამენი — შავ კატუნიას, კმაყოფილებით რომ მიიზნიქება და მიილოკავს ტუჩებს. ზღვისკენ მიდიოდა ხოლმე წახრილი, მსხვილი მაგარი ფეხების ლონივრული დადგმით, ხელებდაშვებული, უფრო — ხელებგაძაბული, ამიტომ. ზოგი ადარებდა მტაცებელ ფრინველსაც — ბერკუტს, შავ ქორს. ერთმა მოხუცმა ინტელიგენტმა კი, როცა მისი ნამდვილი სახელი გაიგო, გაიცინა კეთილად და თქვა, — პლიაჟის კლეოპატრა! ეს სიცილი გადაედოთ სხვებსაც და ამის შემდეგ, ამ წრეში, ხმადაბლა ასე იხსენიებდნენ — პლიაჟის კლეოპატრა!

ჰყავდა შეხნიერებული მაღალი ქმარი და ხუთი წლის გამხდარი ქერა ბიჭუნა. ქმარი, მოსკოველი სწავლული, გამუდმებით მარტო იდგა ზღვის პირას, ზემოთ მდინარის შესართავის იქით. ჩამწკრივებული ჰქონდა სპინინგები. ჩასცქეროდა წყალს და ნიავი უთამაშებდა შეთეთრებულ ქოჩორს. ბიჭიც სულ განცალკევებული იყო. მთელ დღეს სილაში ჩამუხლულს, აშენებული ჰქონდა თავისი აკოკოლებული სახელმწიფო. ქვებით ამაგრებდა მის საზღვარს, ამწკრივებდა ქაღალდის დროშებს, რომლებზეც ეხატა წითელი ვარსკვლავი და ქვემოთ ეწერა კუთხიანი ასოებით — „სახელმწიფო საზღვარი“. ამ საზღვარზე დგამდა და ასწორებდა ზარბაზნებს — მოკლე, მომსხო ნარიყებს, ტყვიამფრქვევებს — ძუყაოში გაყრილ ლერწმის ნატეხებს: თუ ვინმე მიუახლოვდებოდა, მკაცრად ყვიროდა: „შეჩერდი, ვინ მოდის!“ მერე აამუშავებდა ტყვიამფრქვევს: ტა-ტა-ტა-ტატა!... ისროდა ხელყუმბარებსაც, ფიჭვის ხმელ გირჩებს.

დედა და მამა დადიოდნენ ბაზარში, ხან და ხან სტუმრადაც, [illegible]ნებელ სახლში, ისხდნენ ხოლმე ბარშიც, სადაც ქალი ლამაზად ეწეოდა სიგარეტს, ბიჭი კი თავისთვის იყო. იყვნენ სხვა ბავშვებიც, გოგონებიც, ბიჭებიც. ბიჭი არც თვითონ მიდიოდა მათთან, არც იმათ უშვებდა თავისთან. ხუთი წლისამ კარგად იცოდა წერა. თვითონვე ხატავდა დროშებზე წითელ ხუთქიმიან ვარსკვლავებს, იცოდა, რა ჩინები არსებობს ჩვენს არმიაში, იცოდა, რას ჰქვია ქვემდებარე და შემასმენელიც. სხვა ბავშვების დედებს გული ევსებოდათ სიბრალულით და სიბრაზით. ისინი ადარებდნენ ბიჭის დედას აფთარს, მეტსაც — ალმოდებულ აფთარს (пылающая гиена), ჩახჩახა წითელი კაბა-შარვლის გამო თუ დაინახავდნენ და იტყოდნენ: „მოდის ალმოდებული აფთარი“... „თავის თეძოებს და მკლავებს უჩვენებს კაცებს ალმოდებული აფთარი“, — როცა იგი შესაშური გატაცებით თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს. „უკმაყოფილოდ წკმუტუნებს ალმოდებული აფთარი“, — როცა ქმარი და შვილი რაღაცას არ აკეთებდნენ ისე, როგორც თვითონ სურდა. „...გამოვიდა ლერწმებიდან“ — გამოდიოდა მუქი, გლუვი და მკვრივად შეკრული, მოოქროვებული ოქროს ელვარებისა, წინწაწეული, ცხოველურად ჩამოშვებული ძუძუებით. „...—შედის ლერწმებში“ — თითქოს საგანგებოდ გვიან შეჰქონდა ლერწმებში მძიმე ქვედაწელი. „...— ემზადება ნახტომისათვის“, — როცა იდგა და ცნობისწადილით თუ სროლისწადილით მიყურული თვალებით უყურებდა ვინმეს.

ქალებიც და კაცებიც ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ ამ კლეოპატრას წარმომავლობით, — საიდან უნდა ყოფილიყო წამოსული მისი ძირითადი გენი: ვოლგისპირეთიდან, ბაიკალის იქიდან, შუა აზიიდან თუ შუამდინარეთიდან, მაგრამ ვერავინ ვერაფერი დაადგინა ბოლომდის.

თავის უწყინარ შვილს ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელაპარაკებოდა მკაცრად, მოკლე ფრაზებით: „დაიხურე ქუდი!“ „წავედით საბანაოდ!“ „დამიგდე ყური!“ და ბავშვიც მორჩილად იხურავდა ქუდს, მისდევდა საბანაოდ და ჯდებოდა ყურის დასაგდებად. დედა უკითხავდა ტროას ამბებს, სპარტელთა ამბებს, რომაელთა ამბებს. ერთხელ თვითონ მოუთხრობდა, ცრემლშეკავებულივით, ცხვირჩაჭეჭყილ მოსეს თავგადასავალს. ამან სულ გააბუნდოვანა მისი წარმომავლობა. უცებ შეწყვიტა თხრობა, წაწვა ფიცრის საწოლზე, თვალები დახუჭა და თავმომკვდარუნებული ნადირივით გაიტრუნა, მუხლებზე მდგარი ბიჭი უყურებდა, წაიზიდა, ყელს ქვემოთ აკოცა. ქალმა ბიჭი ცივად მოიშორა. ბიჭი იდგა მუხლებზე და ისევ უყურებდა. მერე წამოვიდა, თავის სახელმწიფოში შევიდა და ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს მიუჯდა. მამამისი კვლავ სადღაც ზემოთ იყო განმარტოებული, ხელში სპინინგი ეჭირა და წყალს ჩასცქეროდა.

ეს ლამაზი ქალი ნახეს მოჩხუბარიც. საბილიარდოს წინ გამოვლილს, რაღაც უკადრისი უთხრეს ვიღაც მთვრალმა ბიჭებმა. სწრაფად მიბრუნდა, კბილები უკაწკაწებდა, — ცინგლიანებო, მე თქვენ... რაღაც დასარტყმელს დაუწყო ძებნა, ვერ იპოვა, დაბალ მესერს მისწვდა, ფიცარი გადმოგლიჯა. ბიჭებმა საბილიარდოს იქით გაასწრეს. მოდიოდა და ძლივსგასაგონად წკმუტუნებდა, ხელებს ისე კუმშავდა და შლიდა, თითქოს ცემით დაღლილიყო. რამდენჯერმე ნახეს მოღიღინეც — აივანზე სველ სარეცხებს რომ ფენდა. მომღერალი ხომ არ არისო, ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

დილით, მზის ამოსვლამდეც კი აბანავებდა თავის ბიჭს. რეზინის გასაბერი რგოლი მოჰქონდათ. ბიჭს იმ რგოლს ჩამოაცვამდა, ამოაყოფინებდა ხელებს, შეიყვანდა ზღვაში, მიცურავდა თვითონ და მიიყოლებდა ბიჭსაც. მიდიოდნენ აკრძალვის ხაზამდე, ცოტა ხნით ჩამოეყრდნობოდნენ რკინის ტივტივას და გამობრუნდებოდნენ, გამო[illegible] ნაპირზე. იქ ბიჭს პირსახოცში გაახვევდა, გაამშრალებდა, გამოუცვლიდა საცვალს, ჩააცმევდა სვიტრს, ბიჭი თავის სახელმწიფოში შევიდოდა, თვითონ კი ისევ ზღვაში შეცურდებოდა, წავიდოდა და დაიკარგებოდა. ზღვიდან ამომავალს დაუფარავი შურით უყურებდნენ ქალებიც და კაცებიც. ამოდიოდა მშვიდად, მბრწყინავი, მბრწყინავი, ოდნავ არ ეტყობოდა დაღლა. შემშრალდებოდა ლამაზი ცისფერი პირსახოცით და მერე თავისებურად წინწაზიდული შევიდოდა, შეიმალებოდა ლერწმების ტევრში.

ბიჭი ზღვაში შეჰყავდა ხოლმე ღელვის დროსაც. ბიჭს ეშინოდა, ფეთდებოდა და ჭუჭყუნებდა. დედა მაინც გვერდით მიიყოლებდა. ბიჭს ტალღები პაწია ფოთოლსავით ათამაშებდა, დედას მაინც წინ მიჰყავდა. ერთი ქალი იყო, ექიმი, კეთილთვალებიანი. ერთხელ ასეთი ღელვიდან უკანმობრუნებულს უთხრა:

— რატომ აგდებთ ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეში?

— იმიტომ, რომ ცხოვრებაში უფრო დიდი საფრთხეები მოელის. — მიუგო კლეოპატრამ და პირსახოცი ისე ცუდად გადაგრიხა, ექიმმა ქალმა ველარაფერი თქვა.

ერთ დღეს სამხრობამდე არ გამოჩენილა, არც ის, კლეოპატრა, არც იმისი ქმარი. ბიჭი სილაში თამაშობდა, სადილობისას წავიდა, მარტო მიუჯდა მაგიდას, მარტომ ისადილა. წამოვიდა ისევ თავის სახელმწიფოში, ჩაჯდა, დაიწყო თამაში, ხან ზარბაზანს მიუწვებოდა, ხან ტყვიამფრქვევს, უჩინარ მტრებს ესროდა. მერე გაყუჩდა, ჩაეძინა, ისევე, სილაზე. კიდევ კარგი, რომ მალე შეამჩნიეს სხვა ქალებმა, აიყვანეს, გასაბერ ლეიბზე დააწვინეს, ზემოდანაც დაახურეს. მოვიდა დედა, რაღაცას წკმუტუნებდა თავისთვის. გაალვიძა ბიჭი, აჭანჭყარებდა და მკაცრად ეკითხებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ დაიძინე ასე, რატომ?

ბიჭი თავდაკიდებული იყო, ფეხზე ძლივს იდგა. გაიხადა დედამ. ბიჭსაც გახადა, საცურაო რგოლი გადააცვა და ხელჩაკიდებულმა მიიყვანა ზღვასთან. ზღვა ლონივრად ღელავდა, გრძელი მღვრიე ტალღები ზათქანით იმსხვრეოდნენ ნაპირზე, აბორიალებდნენ კენჭებსა და ქვებს. სიმღვრივე უკვე შორს იყო წასული. ორიოდე გამბედავი თუ შეცურდებოდა, ისიც სულ ორიოდე წუთით. ბავშვი შეშინდა, უკან იწევდა, დედამ მაინც არ მისცა დაბრუნების უფლება, იდგა და ზღვის ცხოველივით ყნოსავდა ტალღებს. შეარჩია, შედარებით პატარა ტალღა რომ იხევდა უკან, იმ ტალღას შეჰყვა, შეიყოლა ბიჭიც. ბიჭს ხან მაღლა მიაქანებდა წყალი, ხან დაბლა, ქალი გაბედულად მიიწევდა წინ, ბიჭიც უსვამდა ხელებს, ისიც გვერდით მიჰყვებოდა. მივიდნენ ტივტივასთან. ბიჭი ტივტივას დაეკიდა. ან დაიღალა, ან შიშმა წაართვა ძალა, უნიათო გამომეტყველებით იყურებოდა. ცოტა ხანს კი აცალა დედამ და მერე წამოიყვანა. მოვიდნენ დიდი და დიდი ტალღები. მიწის ბრდღვნით ეცემოდნენ ნაპირზე. დედა-შვილი ალმა-დალმა მიჰქროდნენ. ნაპირზე მდგარნი შეშფოთებულნი უყურებდნენ, წყლიდან ჩანდა, როგორ ეჭმუხნებოდათ სახეები, და მოხდა მოულოდნელი რამ: უკან გაბრუნებულ დიდ ტალღას დაეჯახა უფრო დიდი ტალღა, ბიჭი ამოტრიალდა, საცურაო რგოლი რამდენიმე მეტრის იქით გავარდა. ბიჭს არ დაუყვირია, არც ხელები გაუსავსავებია, უცებ გაუჩინარდა ქაფში. წყალში გაუჩინარდა დედაც. წამიც არ გასულა და დედამ ბიჭი მკერდზე მიკრული ამოიყვანა. სამი მამაკაცი მისაშველებლად გადაეშვა. ქალები კიოდნენ:

— ნავი! ნავი!

მამაკაცები დედა-შვილს მიუახლოვდნენ. ქალმა დაიყვირა:

— ჩამომეცალეთ! ჩამომეცალეთ!

ბავშვი დედის ყელს [illegible] თვალებგაცეცხლებული დედა ფეხებითა და ცალი ხელით ებრძოდა ადონდგოლებულ წყალს.

— არ შეშინდე! არ შეშინდე! — იძახდა თან. ყუმბარასავით მაღლა ავარდნილი გადმოჰყვა დიდ ტალღას, ტალღა დაიმსხვრა. ქალი მიწაზე იდგა და ქანაობდა. რეზინის ქუდი მოხდოდა, თმა სახეზე ჩამოსწვებებოდა. მეორე ხელიც მოხვია ბიჭს და დახრილმა, პირდაღებულმა გამოაქცია ნაპირისკენ. იქ დასვა. ბიჭი ფეხზე ვერ დადგა, ჩაჯდა, თვალები უაზროდ ჰქონდა გახელილი. დედამ თვითონაც ჩაიმუხლა, ბიჭს ნიკაპზე ხელი მოჰკიდა, თავი შეუტოკა, წვრილი თეთრი კბილებით გაუღიმა. შემოეხვივნენ სხვა ქალებიც, კაცებიც.

— რას სჩადი, რას! — უყვიროდნენ აქეთ-იქიდან. — დედა რომ ხარ, ბავშვის სიცოცხლის ხელყოფის უფლებაც კი არა გაქვს! შეშლილი ხარ, ვინა ხარ?!

ერთმა ახალგაზრდა კაცმა მის ზურგთან ისე ასწია ფეხი, — წიხლი უნდა ჩააზილოსო კაცმა. ქალს ეს არ დაუნახავს, მაინც მიბრუნდა, ისევე, დაბლიდან ახედა ახალგაზრდას და თავშეკავებულმა თქვა:

— თქვენ-თქვენს ადგილებზე დასხედით!

ბიჭი წამოაყენა, მიიყვანა ტანსაცმელთან, პირსახოცში გაახვია, შემშრალება დაუწყო, ამშრალებდა ხელებითაც, იდაყვებითაც. მოვიდა ბიჭის მამაც. გაფითრებული, გამტკნარებული გაჩერდა მოშორებით, და ალბათ, ისიც ასე ხედავდა, რომ მძვინვარე ძუ ლოკავდა თავის ბოკვერს, — ფეხი ველარ წაედგა წინ.

იმ დღის შემდეგ კლეოპატრა აღარ გამოჩენილა, აღარც კლეოპატრა, აღარც მისი ბიჭუნა.

ცუდი ამინდები იყო. კლეოპატრას ქმარი სიგარეტის წევით მიუყვებოდა ხოლმე ზღვის ნაპირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სიხარულა

მაყვალა შემოვიდა, კარს ზურგით მიეყუდა, თავი გვერდზე გადახარა.

— ჩვენი დურგალია, ბატონო ლევან.

— რომელი დურგალი?

— სადურგლო საამქროში უმუშავია.

— რა უნდა?

მაყვალამ მხრები აიჩეჩა.

— ცოლი მოჰკვდომია და დირექტორთან სათხოვარი მაქვსო.

ლევანს სხეულში ბრაზმა დაუარა. ასეთი მთხოვნელები ყოველთვის კანონით გაუთვალისწინებელ რამეებს თხოულობენ. მაინც თავი შეიკავა.

— შემოვიდეს.

მაყვალა გავიდა, კარი არ გაუხურავს. შემოიხედა დურგალმა, შემოვიდა, იქვე გაჩერდა. დაბალი, განიერი კაცი იყო, ალბათ, სამოც წელს გადაცილებული, დიდთავა, დიდთვალება. აქა-იქ შერჩენილი გათეთრებული თმა ყავისფერ შუბლთან ახლართოდა. ლევანს მოეჩვენა, თუ რა, ბრტყელ ულვაშებში ელიმებოდა.

— მობრძანდით!

წამოვიდა, დიდი მოუტეხავი ქუდი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა.

— მობრძანდით, მობრძანდით!

ლევანი მაგიდის წინ გავიდა, ხელი ჩამოართვა. დურგალს შეშის ნატეხივით მშრალი და ხრიოკი ხელი ჰქონდა. ლევანმა სკამი გამოუწია.

— დაბრძანდით.

— არა, პატივცემულო, დაჯდომით აღარ შეგაწუხებთ.

— რა შეწუხებაა, დაბრძანდით, დაბრძანდით.

— არა, ესევე გეტყვით.

— ბრძანეთ.

დურგალმა ქუდი წინ წამოიღო, ორივე ხელით დაიჭირა.

— მეუღლე გარდამეცვალა, სიხარულა.

— რას ბრძანებთ!

— კიბოთი გარდამეცვალა, ვერაფერი ვუშველეთ. კიდევ კარგი — ბევრი არ იწვალა.

დურგალი გაჩუმდა, ეტყობოდა, თხოვნისა ერიდებოდა, საწყალობლად ამოანათა უპეებჩამოგუდული დიდი კეთილი თვალები.

— დახმარება გჭირდებათ.

დურგალს აშკარად გაელიმა.

— უნდა შეგაწუხოთ.

— მიდით პროფკავშირის თავმჯდომარესთან, მეც ვეტყვი და, რაც საშუალება გვაქვს, ყველაფერს გაგიკეთებთ.

— ფული არა გვჭირდება, პატივცემულო. მანქანით დაგვეხმარეთ. მიცვალებული სოფელში უნდა წავასვენოთ, იქ გავაპატიოსნოთ და დავმარხოთ.

ლევანი დაფიქრდა.

— რომელ სოფელში?

— აქვე, კასპის რაიონში, პატარა სოფელია.

ლევანი დაჯდა. მანქანები თვითონაც არ ჰყოფნიდა.

— მანქანის საქმე...

— უნდა დაგვეხმაროთ. მეტი გზა არ არი.

ლევანმა ტელეფონის ნომერი აკრიფა, არავინ პასუხობდა.

— როდისთვის გინდათ?

— ხვალ დილისთვის, შუადღეს ისევ აქ იქნება.

ლევანმა ისევ აკრიფა ტელეფონის ნომერი.

— თქვენ ხომ აქა ხართ ჩაწერილი, აქ ცხოვრობთ, სოფელში რატომ მიასვენებთ?

— აქ ისეთი სახლი არა გვაქვს. მერე კიდევა, ჰქონდეთ დედის საფლავი შვილებს იქა, დედის საფლავი რომ იქ ექნებათ, მამა-პაპეულ სოფელს არ დაჰკარგავენ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

სხვა ტელეფონმა დარეკა. ლევანი

იმ ტელეფონის ყურმილს გადასწვდა. დურგალს უთხრა:

— მდივანთან მიბრძანდით, განცხადებას დაგიწერთ, მოგიხერხებთ რამეს. ათიოდე მანეთს გადაიხდით მხოლოდ.

— ფული რა სახსენებელია, პატივცემულო. განცხადებასაც მე დავწერ.

— ჰო, ჰო. — ლევანი უკვე ტელეფონს უსმენდა.

დურგალი მიბრუნდა და გაყოჩაღებული გავიდა. კარიდან არ იყო გასული, მთავარი ბუღალტერი შემოვიდა. მაგიდაზე ქაღალდების დასტა დადო. დაჯდა და ლევანს შეაჩერდა. ლევანს ერთ ტელეფონზე არ ჰქონდა დამთავრებული ლაპარაკი, მეორემ დარეკა. ბედად, ის ტელეფონი სწრაფადვე გაითიშა.

— გადახედეთ ამეებს და რა ვიცი, როგორც იტყვი. — ბუღალტერმა ხელი დაადო ქაღალდებს.

ლევანმა ერთი ქაღალდი აიღო.

ისევ აწკრიალდა ტელეფონი, ამჯერად შავი, ღერბიანი. ლევანი ადგა და ყურმილი ისე აიღო.

— გისმენთ, ბატონო! რა თქმა უნდა. ახლავე, ბატონო.

ყურმილი დაფაციცებულმა დადო. ჰალსტუხი გაისწორა.

— მოდი რა, იცი? თუნდაც დამაგვიანდეს, არ წახვიდე. დღეს მოვრჩეთ ამას. დღეს აუცილებლად მოვრჩეთ.

ბუღალტერი მოწყენილი წამოდგა. ლევანი დამხმარე ოთახში გავიდა, საწვიმარი ჩაიცვა, ქუდი ხელში დაიკავა.

იქიდან გამოსულს, დურგალი ოთახის შუაში დახვდა, ხელში ქაღალდი ეკავა. ლევანმა ქაღალდი გამოართვა, მაგიდაზე დადო, კალამს გადასწვდა. ქაღალდზე ბეჯითად, თითქოს დაკუთხული ასოებით ეწერა: „გარდამეცვალა მეუღლე სიხარულა. გთხოვთ დაგვეხმაროთ მანქანით ერთი დღით, რომელიც გვჭირდება მიცვალებულის კასპის რაიონში წასასვენებლად“.

— ეს არ უნდა, კაცო, სიხარულა!

„სიხარულას“ წაშლა დააპირა, მაგრამ თითქოს ხელმა არ და[illegible] ხადებას მარცხენა კუთხეში [illegible] აწერა: „ამხ. მოსიძეს. გამოუყავით შესაძლებლობის ფარგლებში“. მოაწერა ხელი. ისევ გადაავლო თვალი განცხადებას.

— ნამდვილი სახელი იყო სიხარულა?

— ნამდვილი, პატივცემულო.

— მშვენიერი სახელია.

— თვითონაც კარგი იყო საწყალი. საყვედური არ წამოსცდენია, ეგრე დალია სული.

— ნათელი დაადგეს. საიდან აპირებთ გასვენებას, რომელ საათზე?

— დილაზე, პატივცემულო. არამიანციდან. ცხრაზე იღება ის ოხრობა, ალბათ ეგრე, ათისთვის.

კართან დურგალმა უკან დაიწია.

— მიბრძანდით, მიბრძანდით, — ლევანმა წინ გაატარა.

დურგალმა უხერხულობით ამოატრიალა ხელები.

— მაყვალა, — მიუბრუნდა ლევანი მდივანს, — მოსიძეს დაურეკე, ამ ამხანაგს მანქანა გამოუყოს. შენ აჰყევი ვაშაძესთან და იმანაც, რაც ასეთ შემთხვევებშია მიღებული, ყველაფერი გააკეთოს.

— არა, პატივცემულო, სხვა დახმარება რაღა სათქმელია.

— წაჰყევით, წაჰყევით.

ლევანმა ხელი გაუწოდა. დურგალმა გაუბედავად ჩამოართვა.

— გაკმაროთ.

— აღარ ვიცი, რა...

ლევანი გავიდა.

„სიხარულა... რა საინტერესოა, როგორი იყო, როგორ ოჯახში დაიბადა, სიხარულა რომ დაარქვეს. ამართლებდა თუ არა, თავის სახელს. რა დარჩა სიხარულიდან ბოლოს.

ღამით, მეუღლის გვერდით რომ წვებოდა, თქვა:

— ერთი ჩემი მუშის ცოლი მოკვდა და რა რქმევია, იცი? სიხარულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლეს გაეღიმა.
— საწყალი.

დილის ათ საათზე ქალაქის პირველი საავადმყოფოს ეზოში იყო, დურგალს გვერდით ედგა. იქვე იდგნენ: მისი მძღოლი, დურგლის ორი ხნიერი ნათესავი კაცი, ისინიც მუშები, თითქოს ხელების სიმძიმისაგან დაღუნულები, და იმ მანქანის მძღოლი, რომლითაც მიცვალებული უნდა წაესვენებინათ. დურგლის სამი ჩაჯირკვებული ბიჭი და მათი ძმაკაცები შავადშეხსნილ კართან ფაციფუცობდნენ. დურგალიც, მისი ბიჭებიც და ნათესავებიც ძალიან კმაყოფილები იყვნენ, ლევანი რომ მათთან იყო, თავმოწონებით აკეთებდნენ ყველაფერს.

გამოიქცა ორი ბიჭი, მანქანა გადახსნეს. ფრთხილად, ღირსეული თავშეკავებით წამოიღეს დურგლის ბიჭებმა და ძმაკაცებმა თეთრმიტკალჩაფენილი სასახლე. იდგა დურგალი, ქუდი წინ ეჭირა და გაშტერებული იყურებოდა.

სასახლეში იწვა სიხარულა, წინწკლებდაყრილი ლურჯი ახალი კაბით, პატარა, პაწაწინა, ჭაღარათმიანი ქალი. სანთლისფერი ნაჯაფარი ხელები მშვიდად ჰქონდა დაკრეფილი მკერდზე, სახეც მშვიდი ჰქონდა, ყვითლად ჩახვეწილი და მშვიდი. მშვიდად ჰქონდა დაკუმული თხელი, დამდნარი, [illegible] ნიავი უტოკებდა ჭაღარა თმის ბუწუწს საფეთქელთან. და, უცნაური იყო, თითქოს რაღაც კარგს მოელოდა ზემოდან.

ლევანიც წავიდა მანქანისკენ, უნდოდა ხელი წაეშველებინა ბიჭებისთვის, მაგრამ ბიჭებმა მსუბუქად ასწიეს სასახლე და მანქანის ძარაში დადეს, გაასწორეს, სახურავი დაახურეს.

ლევანს დურგალი და მისი ბიჭები ეხვეწებოდნენ:

— გვეცით პატივი და სოფელშიც გვეწვიეთ, პატივცემულო, მადლია.

ლევანი დაჰპირდა, თუ მოულოდნელი არაფერი გამოჩნდა, თქვენს გვერდით ვიქნებით.

რამდენიმე ნაბიჯზე გააცილა სასახლიანი მანქანა და გამობრუნდა...

ნაზამთრალ შავ ხეებში მიდიოდა, ცაც შავი იყო, დაბლადაწეული და მძიმე, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ მაინც რაღაც მსუბუქი სინათლეც იდგა. ამ სინათლეს სიხარულა ჰფენდა, თავისი სახელით, უსაყვედურო ცხოვრებით, სიცოცხლის დასასრულით.

ლევანი ყველაფერს — შავ ხეებს, შავ ცას, რუხადდამდგარ სახლებს, ადამიანთა სხვადასხვანაირ სახეებს — გამართლებულად თვლიდა. მიდიოდა და არავისი და არაფრისა არ ეშინოდა.

## შავი თოვლი

ეს ორნი ისხდნენ თავის მშობლიურ სოფელში, გიორგი და ილო. ხელადით ღვინო ედგათ, თიხის ჯამით — მწნილი, ერთმანეთში არეული კიტრი და პამიდორი, თეფშით — სიყვითლედაკრული მალაზიის ყველი. დამტვრეული კაკლები ისევე ეყარათ სუფრაზე. მომცრო ჰიქებით სვამდნენ, იმასაც ნაკლულებს, და ერთმანეთს შესჩიოდნენ, — რატომ მოგვივიდა, ბიჭო, ეგრე, რა მოხდა, რომ ყველა კარგად არის ჩვენს სანაცნობოში, — რა ხმა! რა თავაწეულობა! რა მანქანები! რა ფრთაგაშლილობა! — ჩვენ კიდევ დაჩაგრულები, დაღულულები დავბორიალობთ მიწაზე. ნიჭით ვერა გვჯობდნენ, ჩვენს კლასში შენ იყავი და მე, გარჯით, ჩვენზე მეტს არ ირჯებოდნენ, მაშ რატომ მოხდა, ბიჭო, ასე, რატომო? ილომ, მასპინძელმა, თითქოს შინაგან ტკივილს აყურადებსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებდახუჭულმა თქვა: — პატიოსნების ძებნაში ვიყავით, ძმაო, და იმიტომაო. აილო ჭიქა, ნახა, ჩანახევრებული იყო. ჯერ გიორგის გაუვსო, მერე თვითონაც გაივსო, ახედა ცას მუდარით და თქვა. — მაინც პატიოსნებას გაუმარჯოს, მაინც საწყალ. პატიოსან კაცს გაუმარჯოს!

მოვიდა ფლოსტების ფლატუნით დიასახლისი, ჯერაც ისევ ღონიერი ქალი, გაბრაზებული წამოსწვდა ხელადას, — თქვენთან ბოდიშს მოვიხდი, პატივცემულო, მაგრამ მაგისთვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამდენი ღვინის სმა! ილომ კბილები გააკრაჭუნა, მაგიდას მუშტი დაჰკრა, — დადგი ეგ ხელადა აქა! ქალმა მოხედა, — თუ გინდა, დაამტვრიე მანდაურობა! გიორგი წამოდგა, — მართლა გვეყოფა, ძმაო, მართლა გვეყოფა. მე მოვიხდი დიდ ბოდიშს, ქალბატონო, მე შევყოვნდი ნამეტანი, გლახა ჭრიაშვილივით გავაბი. დიდი მადლობელი, კარგად ბრძანდებოდეთ! — წამოვიდა საკიდრისაკენ, ფეხი აუმსუბუქდა. — მოიტა, დადგი ეგ ხელადა აქა! —— იძახდა ილო. ცოლი უკვე მეორე ოთახში იყო. გიორგიმ საკიდრიდან ქუდი ჩამოიღო, დაიხურა. — გვეყოფა, ილო, გვეყოფა, თუ ჩემი ძმა ხარ, — სარკეში უყურებდა თავის თავს: „გალოთებულ არტისტს ვგავარ“. ილოც წამოდგა, თვალები გამტერებული ჰქონდა, მოვიდა საკიდთან, ისიც ქუდს წასწვდა, — მეც წამოვალ, კოლას დუქანში მივიდეთ და იქ დავლიოთ. — არა, შენი ჭირიმე, ილო, არა, შენ გენაცვალე, შენ დარჩი, თუ ძმა ხარ, თუ ჩემი პატივისცემა გინდა. ისეთი გულით ეხვეწებოდა გიორგი, ილო გაჩერდა, ადგილზე ქანაობდა, — კარგი, კარგი, დავრჩები. დავრჩები და ჩემ ძაღლს... უუ!.. — ნუ, ილო, ნუ შენი ჭირიმე. დიდი მადლობელი, მეუღლესაც გადაეცი დიდი მადლობა, დიდი მადლობა და დიდი ბოდიში შეწუხებისათვის. — კარგი, აჰა, დავრჩი. — ილო ხელებდაშვებული იდგა. ბოლოს ეს თქვა. მოდი, გაკოც[illegible]მანეთს. გიორგიმ აივანი გაიარა, კიბეზე ფრთხილად ჩავიდა. იყეთი სქელი, ცივი ბურუსი იწვა. სუნთქვა უჭირდა. ხეები შეჭირხლულიყო. თითქოს სიზმარში მიაბიჯებდა. ერთხელაც ხომ ნახე, ვინცა ხარ და რაცა ხარ?! წავიდოდა, წავიდოდა და ისევ იტყოდა, — ხომ ნახე, ვინცა ხარ და რაცა ხარ! ძესულიერი არ ჰაჭანებდა ორღობეში. გაჩერდა, აქეთ-იქით იხედებოდა. სახლები მკვდრული დუმილით დუმდნენ. კინაღამ არ იყვირა. მესერს მიეყუდა ხელით. მესერი ცივი იყო, სველი. სახეზე ჩამოისვა ცივი, სველი ხელი. წავიდა. თავის ეზოში შესული, ისევ გაჩერდა. მაღლა იხედებოდა, — ხომ მოვედი, აჰათ, — ანგელოზებს ელაპარაკებოდა, — მოვედი. ანგელოზები არ ჩანდნენ, ბურუსი თუ ეფარებოდათ. გაჩერდა. დერეფანშიც მიტოვებულობის, მარტოობის მტვრის სუნი იდგა. დაუწყო ძებნა გასაღებს. ეძება,ააყირავა ძველი ტაშტები, ქვაბები, აგურები, გამოქექა თახჩა და სანათურიც, ვერ იპოვა. შეშინებულივით ატრიალებდა მტვრიან ხელებს: „თან თუ წაჰყვა!“ გამოვიდა შუა ეზოში. იდგა, ისა და სახლი უყურებდნენ ერთმანეთს, სახლი — მკაცრი, ჩაშავებული ფანჯრებით. სახურავი ჩალუნოდა, საცაა ჩაუტყდებოდა. კიბეზე ხმელი ფოთლები და ბუმბულები ეყარა. ახლა ცოცხს დაუწყო ძებნა. ვერც ცოცხი იპოვა. გაჩერდა და ცრემლები შეიკავა. ალარავისთან არ უნდოდა მისვლა. ფეხით ყრიდა კიბის საფეხურებიდან ფოთლებს და ბუმბულებს. მაინც ჩამოუგორდა ცრემლი, — ეს ღვინის ბრალია, ესაც ხომ დაიწყე... წავიდა, ბილიკს გაუყვა ვენახისკენ. რაღა ვენახი იყო! შამბი გადავლებოდა ვაზებს. შამბიც, ვაზებიც და გატყევებული ფერდაც ჭირხლს შეეფეთქა. გაჩერდა ფერდობის თავზე, — ჩემი თავი მოგიკვდეთ! გაახსენდა, ბლიდან რომ ჩამოვარდა თორმეტი წლისა, რომ კვდებოდა. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ მაშინ მომკვდარიყავი, რა ლამაზად მოვკვდებოდი, პატარა, ბალახებში მწოლიარე. როგორ მიტირებდნენ, როგორ გაიშლიდნენ თმებს ქალები... რატომ აღარ გიყვარვართ აღარავის?! პატარა ალუბალს მისწვდა, მოფერებით აუსვა ხელები გაჭირხლულ ტოტებზე. ჭირხლი გადნა, სველი ხელები ყურისძირებში გამოისვა. — კარგად იყავით ყველანი! წავიდა, მომიჯნავის ვენახის ბილიკს აჰყვა, ავიდა თავში. იქ ეკლიანი მავთულები იყო გაბმული, კარიც დაეკეტათ. დაიკუზა, იწვალა, მავთულებს შორის გაძვრა, ქუდი მავთულზე შერჩა. გაეღიმა, ქუდი ჩამოიღო, დაიხურა, საურმეზე გავიდა. იდგა და თავისი სახლის სახურავს უყურებდა, ზურგის მიქცევა ველარ გაბედა. მერე ჩაიქნია ხელი, წავიდა. ჯერ ვენახებს შორის მიდიოდა, — ვენახებშიც არავინ იყო, ჩხართვიც კი არ წრიპინებდა. — ვენახები რომ გათავდა, მინდვრები დაიწყო. მინდვრებში გასვლა იყო და თოვლიც წამოვიდა. ეცემოდა სახეზე ფიფქები და სიამოვნებდა. მერე გზიდან გადავიდა. მინდორ-მინდორ მიაბიჯებდა. გაჭირხლულ ბალახებში ფეხსაცმელები უსველდებოდა, ფეხსაცმელებიც შარვლის ტოტებიც. მაინც კმაყოფილი იყო, თითქოს ბავშვობაში ბრუნდებოდა. საოცარი იყო, დარდი მაშინაც სცოდნია! მაშ რატომ უნდა ჰყვარებოდა ეს გრძელი, ერთფეროვანი გზა?! გზას სხვაგან გადაჰყავდა, საათნახევრით მაინც, და დარდისგან ათავისუფლებდა. დარდისგან ათავისუფლებდნენ ძეძვნარები, პატარა ხევები, ტბორები, ჩიტები, ხან და ხან გადაყრილი მელიები. იყურებოდა აქეთ-იქით და ახლაც სიმშვიდე ეუფლებოდა. ასე ივლიდა თუნდაც მთელ დღეს, თოვა კი მატულობდა.

სადგური ძლივსღა იცნო. ოცდაათ წელზე მეტი იყო, აქეთ აღარ ევლო. ხეები გაზრდილიყო, რკინიგზის იქით ცემენტის გრძელი სახლები აეშენებინათ. სახლებთან ორი ვეება ცისტერნა იდგა, იქვე ეყარა მსხვილი ბოძები, შპალები, ბლოკები, მავთულები. სახლების იქით, შავ ხეებზე შავი ყვავები ისხდნენ. მიწა კი უკვე თეთრად იყო წაფერფლილი. სადგურის კართან ძველი ზარი ეკიდა. ფანჯარაში წითელქუდიანი კაცი ჩანდა, კაცის უკან ლუმელში ცეცხლი ლიცლიცებდა. გიორგის სციოდა, მაგრამ მაინც ფარდალალა მოსაცდელში შევიდა. „რა პატარა ყოფილა ეს მოსაცდელი!“ სალარო ფიცრით იყო ჩაგმანული. წავიდა, ხულ კუთხეში მიჯდა. ხელები ქურთუკის ჯიბეებში ჩაიწყო, კალთები მუხლებზე წამოიწია. ჩაიბადლდა. ჩამყუდროვდა. — ნეტავ როდის უნდა გამოიაროს მატარებელმა. თუმცა, რა მნიშვნელობა ჰქონდა წინასწარ გაგებას?! აქედან ფანჯარაში ისე ჩანდა, თითქოს შავი თოვლი ჩამოდიოდა. მერე ერთმანეთს მიკრული მწყრის ბარტყები ტოკავდნენ შავადდათავთავებულ ყანის ქვეშ. ტოკავდნენ თავთავებიც. ბარტყებს რაღაცია ეშინოდათ და იმალებოდნენ. შიშით, უფრო და უფრო ჩქარ-ჩქარა ტოკავდნენ თავთავებიც. მერე ელექტრომატარებელი შემოვიდა შავ ფიფქებში. გაჩერდა მშვიდი სიზვიადით. ისიც ცივი და უხმო. ვაგონის გამცილებელმა გაკვირვებული თვალი გაადევნა გიორგის. მატარებელი დაიძრა. ვაგონი სავსე იყო. გიორგიმ მაინც მოიებნა თავისუფალი ადგილი და დაჯდა. ისხდნენ ქალები, კაცები, ბავშვები, ზოგნი გიორგის პირისპირ, ზოგნიც ზურგმოქცეულნი, ირწეოდნენ ნელა. უცებ შეამჩნია, მარცხნივ, მესამე რიგში, თითქმის მის პირდაპირ, გამორჩეულად ლამაზი ქალიშვილი იჯდა. სკამს ხელებით დაბჯენოდა. მსუბუქი ფეროფასი ქურქი გაეხსნა და მრგვალი, მიამიტურად გაბრწყინებული თვალებით გიორგის უყურებდა. რაღაც ალტაცებით უყურებდა. ამ ქალიშვილის გვერდით თხუთმეტიოდე წლის გოგონა იჯდა, ისიც კარგი, ლამაზი. იმ გოგონამ ქალიშვილს მკლავზე ხელი დაადო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯრისკენ მიახედა. ფანჯარას გამწარებულნი ეხლებოდნენ შავი ფიფქები. — ხომ არ ვბრმავდები, ეს რა არის, რატომ მეჩვენება ფიფქები შავად? ქალიშვილი ისევ გიორგისაკენ მობრუნდა. კიდევ უფრო ალტაცებით იყურებოდა, მერე გაეღიმა კიდეც, და აქ კი უცებ მიაბრუნა თავი ფანჯრისკენ ტუჩებზეღიმილშერჩენილმა. „ან ვიღაც მსახიობში ვეშლები, ან გულთმისანია“. ქალიშვილს აღარ მოუხედავს. იჯდა, თავი მაღლა ჰქონდა აწეული და სათუთად ახაზული ნათელი ყელით, მქრქალი ღიმილით თითქოს სადღაც მაღლა და შორს იპატიჟებოდა. ასევე იჯდა პატარა გოგონაც. ისხდნენ, თითქოს მაღლა და შორს მიდიოდნენ ფიფქებში და სხვებსაც იქითკენ იპატიჟებდნენ. უყურებდა გაოგნებული გიორგი და რაღაცების შეკოწიწებას ცდილობდა. ბოლოს შეაკოწიწა: „მე კი უკვე მოვდივარ. იმ მაღალ[illegible]დან უკვე უკან მოვდივარ“. პატარა გოგონამ ნიკაპი მუხლებზე დაყრდნობილ ხელებს დააბჯინა, ნაღვლიანად ჩაფიქრდა. უფროსი, უმშვენიერესად სრული, ისევ მაღლა და შორს მიისწრაფვოდა. — ჯერ შენც არ ყოფილხარ იქ არა? ქალიშვილმა აშკარად გაატოკა თავი. მაშინ გიორგი წამოდგა, სამი ნაბიჯი გადადგა. ქალიშვილმა მიამიტური გაოცების ღიმილით ამოხედა. — მე იქიდან მოვდივარ, იქიდან მოდიან ეგ შავი ფიფქებიც. ქალიშვილმა ვერაფერი გაიგო. გიორგიმ ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა. — მე უკვე იქიდან მოვდივარ, მაღლიდან, იქიდან მოდიან ეგ შავი ფიფქებიც. შემკრთალმა ქალიშვილმა ვაგონის კედლისკენ მიიწია. გიორგი შებრუნდა და ბარბაცით წავიდა გასასვლელისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

# ლექსები

* * *

ძალიან მალე იცლება ჭიქა,
ძალიან მალე ილლება თვალი,
ძალიან მალე, ძალიან მალე
იცვლება აზრი, იშლება კვალი.

მე კი კვლავ გულის კარნახით
ვცხოვრობ —
ჯერ ვერ ამოვდე გრძნობას სადავე,

ჯერ ვერ მოვუღე ოცნებას ბოლო,
ვერ მოვუშალე იმედს სათავე...

და კვლავ იმ პირველ ელდით ვარ სავსე,
ვით ციხე — მტრებით გარემოცული—
თუმცა თვალები დაბერდნენ გზაზე
და ვერ გიხილეს ჩემთან მოსული.

1950

* * *

რა დამაძინებს... რა დამაძინებს...
უსაშველოა წუხილი ჩემი.
შენი თვალების ზღვაში ჩავძირე
იმედისა და ოცნების გემი.

ვერ დამათრობდა კარგი თამადაც —
ერთი ღიმილით შენ რომ დამათვრე!
რატომ შემხედე ასე თამამად,
თვალები რატომ შემომანათე...

მას მერე ჩემთვის ყველგან ღამეა
და ყოველ წუთას უფრო ღამდება.
ჩემი სიმღერაც განა რამეა,
ოღონდ ეგაა — არ დამთავრდება.

რა დამაძინებს... რა დამაძინებს...
უკვე მეძინა მე ჩემი წილი...
მაგრამ ამ მიწას ვიდრე ვამძიმებ, —
არ გეღირსება შენც მშვიდი ძილი.

1950

* * *

მეფეებივით ფიქრობენ მთები...
ღამე კოცონთან სველ ფეხებს ითბობს...

მთვარეს მისდევენ მშიერი მგლები...
მთვარემ არაგვში შეასწრო თითქოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მაკლიხარ, ისე მომწყურდი —
ლამის არაგვი შევსვა პეშვებით.
ერთი ხევიდან ძლივს ამოსული,
უფრო უარეს ხევში ვეშვები.

კაცი არა ჩანს, რამე რომ ვკითხო,
გარინდულ კლდეებს ვესაუბრები.
ბილიკი ცაში ავიდა თითქოს
და ბატკნებივით დაფრთხნენ
ღრუბლები.

1951

. . .

ცა დადაბლდა. გარეთ უკვე ცივა.
მავთულებში სველი ქარი წივის.
გადიქროლა წეროების მწკრივმა,
სურნელება დამიტოვა წვიმის.

სხვა დრო იყო, როცა ჩემი ჭერიც
ბზრიალებდა... სხვა დრო იყო მაშინ.
ახლა დამაქვს შემოდგომის ფერი
და ფოთოლი ჩარჩენილი თმაში.

1953

. . .

ილვიძებს ხნულში გამთბარი თესლი
და ვხედავ, როგორ იზრდება ყანა,
არათუ ვხედავ, არამედ მესმის —
თითქოს მთებიდან ბრუნდება ფარა.

მისჩერებია ცას სველი ლალღა,
ჰაერში თრთიან ლანდები ხეთა,
ვიღაცა მღერის მდინარის გაღმა,
რა კარგად მღერის... ვინ მღერის ნეტავ?!

1954

. . .

ჩამოუქროლებს თელიანს ძერა,
ჩიტები ცაში აირევიან.
ბალახში ვწევარ,
ბალახი ღელავს,
მზეა... სითბოა... ყვავილებია...

თითქოს ვიპოვე შვილმა მშობელი,
თითქოს მიპოვა შვილი მშობელმა...
ბალახში ვწევარ,
ბალახი ღელავს
და სადღაც მღერის ჭრიჭინობელა.

1954

თითქოს გაშალა ლექმა ნაბადი
და ზედ ქისიდან დაყარა ოქრო —
ცა ვარსკვლავებით გაივსო უცებ,
გაუჩინარდა გზა ოკრო-ბოკრო.

ტყეს შეუნახავს დილის სურნელი,
როგორც ძველ რვეულს — პირველი
ლექსი.
ფეხქვეშ შემკრთალი ნეშო შრიალებს
და ცის ოდნავი შერხევაც მესმის.

1954

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდორში დარჩა ზვინები თივის,
მდინარის პირას — ნახირის კვალი.
ფეხაკრეფილი გადარბის წვიმა
და ძლივს, ტაატით მიფრინავს კვამლი.

მობრუნებული მინდვრიდან ქარი,
მთვრალი კაცივით აწვება ლობეს...
გადაურაზავს ქარისთვის კარი
და მშვიდად ძინავს დაქანცულ სოფელს.

1954

## ხევსურები

არ დასდგომიან მომხდურს მსახურად,
სულ მზისკენ ჰქონდათ გაჭრილი კარი,
სჯეროდათ ეშმა და მაძახურა
ისევე, როგორც ლაშარის ჯვარი.

მდინარის ლოდზე დაშნებს ლესავდნენ,
უყვარდათ ჯდომა უბელო ცხენზე,
ვეება ჯვრები ეხატათ მხრებზე
და ყვავილისაც სწამდათ მზესავით.

იმედი ჰქონდათ აღმოსავლეთის,
ელოდებოდნენ ფარსმანის მოსვლას
და თავს ერჩიათ წაწალის კოცნა —
თავია სიტკბოთი და სიმწარეთი.

ასეთნი იყვნენ — გინდ ბისოელნი,
გინდ არხოტელნი და გინდ როშკელნი —
ნაშიერები ცხელი ბოსლების
და მემკვიდრენი ცივი კოშკების.

იყვნენ და გაქრნენ...
მაძახურებმა
ამოიკუპრეს პირიც და თვალიც.
ძველი, ბებერი ცა იხურება
და იკარგება ხევებში კვალი.

1954

* * *

ახლა დღეა გრძელი
და ძნელია ლოდინი —
ზღვის ნაპირი, ცხელი,
მთენთავს, როგორც ლოგინი.

მდუმარე ვარ ისე,
თითქოს წარღვნას გადავრჩი...
და ტკაცუნობს სიცხე
გარინდებულ ბალახში.

1955

* * *

მდინარის პირას, პატარა ტყეში,
ხეს უხმაუროდ მოწყდა ფოთოლი,
ფოთოლი მოწყდა ხეს უხმაუროდ
მდინარის პირას, პატარა ტყეში.

არც ქარი იყო, არც წვიმის თქეში,
რამ ჩამოაგდო, ნეტავ, ფოთოლი,
ნეტავ, ფოთოლი რამ ჩამოაგდო,
არც ქარი იყო, არც წვიმის თქეში.

უბრალოდ, ფოთლის დღე დაილია
მდინარის პირას, პატარა ტყეში,
მდინარის პირას, პატარა ტყეში,
მდინარის პირას, პატარა ტყეში...

1955



ქ. მ[illegible]
სსრ სახელმწ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამა

დრო თავისი გზით წავიდა ისევ,
დატოვა ხსოვნა დღისა და ღამის...
მეც გავიზარდე და მერე ვიგრძენ
შეშფოთებული თვალები მამის.

ასე შფოთავენ წყვდიადში ტბები —
ქარიშხალი რომ უნახავთ ბევრი.
ასე ცახცახებს ფრინველის ფრთები —
ძლივს რომ გააპო წვიმების ტევრი.

მეც ამ შფოთვით და ცახცახით
ვცხოვრობ,
თუმცა, ჯერ თითქოს არავინ მერჩის:
ეს — ალუბლების ჩრდილია მხოლოდ,
ეს — გაზაფხული ჩურჩულებს ბნელში.

1955

## სიყვარულის მდინარე

აღარ დამაცდის მოვითქვა სული,
ან მოვიმაგრო ფეხი მიწაზე
და ვიდრე პეშვით მოვიკლავ წყურვილს,
ამატივტივებს და გამიტაცებს.

დამედევნება წივილით ქარი,
გამებლანდება ფეხებში ჩქერი,
დამეკარგება ფიქრი და კვალი,
ამიჭრელდება თვალი და ჭერი...

ბოლოს თევზივით შევრჩები რიყეს,
დალეწილი და დაღლილი ძლიერ,
თითქოს მშფოთვარე სიზმარი იყო
და აუხდენელ ოცნებას ვსდიე...

და აი, ბოლოს რიყეზე დავრჩი
და ვგრძნობ, როგორი უმწეო ვიყავ,
როგორც ქალაქში სოფლელი ბავშვი,
როგორც მძერწავის თითებში თიხა.

მაგრამ იმ ქროლვას დღემდე ვიგონებ,
ქვის მოთმინებით ვიცდი და ვიცი,
რომ თუკი ისევ ჩამომიქროლებს,
მეც ერთი ტალღა გავხდები მისი.

1955

ხეებს ფოთოლი დასცვივდა ისევ —
სიბერის შუქით განაზებული —
და ტოტებს შორის გამოჩნდა სივრცე,
აქამდე თითქოს არარსებული.

მერე კი მთებზე მოთოვა ოდნავ
და დღე ბრმასავით დაიბნა ქარში...
შენც ფრთები უკვე გაშლილი გქონდა
და ვერ მივმხვდარვარ — რატომღა
დარჩი.

1955

დე, მოსახდენი მოხდეს... ახია!
ეს გრძნობა ჩემზე ბევრად დიდია...
აქ სადღაც, ახლოს, შენი სახლია —
ზედ ელდის დიდი ზარი ჰკიდია.

თუ ფიქრობ... თუმცა რა საჭიროა,
ესეც ზერელე საუბარია...
მე კვლავ გამეხსნა ძველი ჭრილობა
და ყველაფერი იმის ბრალია.

1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . .

დღეს სხვანაირი მზე იკბინება.
დღეს ახალ ზეცას ეხსნება რიდე...
და როიალი თეთრი კბილებით
შეჰმას უპირებს შენს ლამაზ თითებს.

თურმე დახშული მქონია ყური
და გული ჩუმი, ვით კურდღლის სორო,
თურმე ვითმენდი უამრავ სურვილს
და ვერთობოდი ფიქრებით მხოლოდ.

მაგრამ — გათავდა! ღმერთმა ინება,
რომ მეც ამქვეყნად ჩემს ყანას ვმკიდე...
დღეს სხვანაირი მზე იკბინება,
დღეს ახალ ზეცას ეხსნება რიდე.

1955

. . .

სარკმელი ისევ დამრჩება ღია —
გამექცევიან ფიქრები გარეთ.
მტკვარი მიდის და მთვარე ვერ მიაქვს,
მიდის მტკვარი და ვერ მიაქვს მთვარე.
გრძელდება ჯიბრი მტკვრისა და მთვარის,
გრძელდება ორი ვნების ჭიდილი...
და კედელს იქით მეზობლის ქალი
შფოთავს, წრიალებს დამფრთხალ ჩიტივით.

1955

. . .

თურმე ტყუილად დავაპე შეშა,
თურმე ტყუილად დავანთე ცეცხლი —
აუხდენელი ოცნება შემრჩა,
როგორც ძველ ბუდეს — ბუმბული
მერცხლის.

როგორც მოვიდა, ისევე წავა,
უცაბედია წვიმაც და ქარიც,
ისევე წავა... თითქოს მახსენებს
შენს წასვლას — ჩუმად ჭრიალებს
კარი...

და ილაკნება ბუხარში ბოლი,
თითქოს იხრჩობა და შველას ითხოვს...
ჯერ არ ყოფილხარ შენ ასე შორი...
ყოველთვის შორი იყავი თითქოს.

1955

. . .

აქ ყველაფერი იყო ლამაზი:
დიდი წაბლებიც და აივანიც...
წაბლების ჩრდილი იწვა ყანაზე
და შორს, ნისლებში, ჩანდა მყინვარი.
ეს სილამაზე და მყუდროება
მოგვწყინდებოდა როდის, ვინ იცის...
მაგრამ მოგვესმა ხმა წეროების
და მოგვენატრა უცებ თბილისი.

1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოაკივლებენ სარკმელს ქარები,
მოახეთქებენ ბრაზით დარაბებს...
მაგრამ შენ ქარიც არ გეკარება —
არ სცნობ არავის, არ გრძნობ არაფერს.

გაბეზრებული თოვლით და ჩვენით,
ისევ გარდასულ დღეებს იხსენებ.
იმ დღეს ქუჩაში მოყავდათ ცხენი —
ასე ეჭირა მასაც კისერი.

1956

. . .

ჩვენ ვბრუნდებით უკან —
თახთახებენ მანქანები.
ცარიელი შუკა
დაღლილ ჩრდილებს აქანავებს.

გრემი ბორგავს ბნელში,
მთები თითქოს აკავებენ,
და ამომშრალ ხევში
ყრია მკვდარი ვარსკვლავები.

1956

. . .

მე ახლაც თვალწინ მიდგას ბათუმი:
ზღვა, მაგნოლია და სექტემბერი...
ჩვენი მეზობლის ძაღლი — ბებერი —
კვლავ თავის ძაღლურ ფიქრში
გართული.

ხაოიანი ლეღვის ფოთლები
ქარს ამშვიდებენ, ზღვიდან მობერილს.

შუა ეზოში დგას პატეფონი
და ფირფიტაზე წევს „ტრიფონ ბერი“.

ქვითკირის ღობე... სველი მავთული...
კიტრიან ბოთლში ჭაჭის არაყი...
ჩემი ბავშვობის წმინდა ქალაქი —
მე ახლაც თვალწინ მიდგას ბათუმი.

1956

. . .

კვლავ გამოჩნდა ბოგირი და შუკა.
გაიცრიცა, გაიფანტა ბოლი.
თითზე კბენა გვიანია უკვე,
არც ვპირებ... არც დამჭირდეს მგონი.

ამიტომაც, სჯობს ვუსმინო ნაჯახს,
სადღაც ასე უხეშად რომ მღერის.
სულში შენგან მაინც რაღაც ჩარჩა —
უმნიშვნელო, ვით ყვავილის მტვერი.

1956

. . .

მხოლოდ ხანდახან, დაბინდულ ფარდას
შეარხევს ქარი და... სიჩუმეა.
ღამის დარაჯი დაუსტვენს სადღაც
ან დაახველებს და... სიჩუმეა.

და ეს სიჩუმე მე თავზე მადგას,
როგორც ავადმყოფს მომვლელი ქალი,
რადგან მიყვარხარ ისევ... და რადგან
მძულხარ იმავე გზნებით და ძალით.

1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძველი ლექსების კრემაცია

მე მართალი ვარ ჩემს თავთან... ცამდე!
უკვე ეს ქარიც ვერაფერს შეცვლის.
და ვუცქერ, როგორ იწვიან ცეცხლში
ლექსები — შენ რომ მოგწონდა ადრე.

ასეთი დაჰყვათ ამ ლექსებს ბედი...
და აი, მშვიდად ვზივარ და ვუცქერ —
იფერფლებიან ისინი უცებ.
მე კი, სულელი, რა ამბით ვწერდი!

1956

* * *

მატარებელმა დატოვა ბოლი
გადაყრუებულ ტყეების ზემოთ...
და უცებ ვიგრძენ სიცივეც თოვლის,
სიშორეც გზების და ცრემლის გემოც.

მატარებელმა დატოვა ბოლი
გადაფითრებულ მდინარის გასწვრივ...
დამთავრდა ფუჭი წკრიალი ბროლის,
წინ ცხოვრებაა უცხო და მკაცრი.

1957

* * *

მიყვარხარ, როგორც გლეხს უყვარს მიწა,
როგორც დასიცხულ მიწას — ლრუბელი,
მაინც მიყვარხარ, მებრძვი თუ მიცავ,
ჩემი მხსნელი ხარ თუ დამღუპველი.

და წინ, კარივით, მეხსნება სიგრცე,
თითქოს ბავშვისთვის წამალი მიმაქვს...
ეს გრძნობა ჩემში სინანულს იწვევს
უკვე გარდასულ დღეების მიმართ.

ასე იქცევა ნახატი ხატად,
ლერწამი — სტვირად და ოოთქლი — წვიმად...
ეს გრძნობა ჩემში იმედებს ბადებს
ჯერ მოსასვლელი დღეების მიმართ.

1957

* * *

ბოლოს და ბოლოს დამთავრდა, გაქრა
უაზრო ღელვაც, შიშიც, ეჭვებიც...
ბევრი დავკარგე, ბევრს ვკარგავ, მაგრამ
ბნელ უფსკრულებში ცქერას ვერჩევი.

მე მირჩევნია, ვზიდო ხუნდები,
ვიდრე ვიცხოვრო ვიღაცის ნებით.
მე ის მსურს — ჩემთვის რაც
შემურდებათ.
ანდა — ტკივილით დათმობენ სხვები.

1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...და სიბნელიდან გამოდის ბავშვი,
რომელსაც ბევრი სინათლე სურდა,
რომელმაც უცებ იპოვა ქარში
დიდი მსგავსება საკუთარ სულთან
და ბოლოს მაინც შენთან მოვიდა.
სხვისთვის განკუთვნილ ვნებებით სავსე,

და ცას უყურებს უკვე შორიდან
და აღარ ცდილობს აფრენას ცაზე,
რადგან არ უნდა, არ სურს რომ ჰქონდეს
ის, რაც ოცნებებს და სიზმრებს
ერთვის.
მე შენ გგულისხმობ... საიდან მოდის
ამდენი ფიქრი შენზე და შენთვის!

1958

* * *

ჩვენ ვშლით ნაკვალევს, რომელსაც
ვტოვებთ,
რომელიც მაინც გვრჩება ორივეს,
მაგრამ როდისმე გადნება თოვლი,
გადივლის ქარიც და გვიპოვნიან.

და კვლავ გაწყდება ჩვენს შორის
სიტყვა.
ვერ დაგვიდგება ვერცერთს თავდებად.
ქარს მიაწერენ, რაც ქარში ითქვა.
რაც თოვლში მოხდა — თოვლს
დაბრალდება.

და ჩვენი გულის გამგლეჯი ძალა
ჩვენს სისუსტესაც მიგვაჩვევს უცებ —
თითებში ჩამჩრის ყანგიან კალამს
და წინ გაძენძილს დამიდებს ფურცელს.

გარდაიქმნება ქვეყანა უმალ.
ისიც ჩვენსავით გარდაიქმნება:
ჩაკვდება ერთი სურვილი ჩუმად —
ერთი სიმღერით მეტი იქნება!

1957

* * *

დღეს ვგრძნობ დაკარგულ მეგობრის
სითბოს,
დღეს მტკივა, დღემდე რაც გულში
ვმალე,
დღეს ამეხილა თვალები თითქოს —
მომაკვდავივით ვაცეცებ თვალებს.

სხვა არაფერი... ისევ იმ აბრებს
მურავს და მალავს სადგურის ბოლი,
ისევ ის ქარი ფოთლებად მაპნევს
და ქუჩა-ქუჩა მაგროვებს ცოლი.

1958

## წინაპარი

მე აქ დავეცი და აქვე დავრჩი,
აქ ვიქეც მიწად და დღემდე გიცდი,
მზეში, წვიმაში, თოვლში და ქარში
ვიწვი, ვსველდები, ვთეთრდები...
გიცდი.

სხვა რა ვქნა, როცა ხმალს ვეღარ ვიქნევ
მე — იმ საზარელ ქარიშხლის
მსხვერპლი —
მაგრამ შენ მაინც შემინდო იქნებ,
რაკი მიწა ვარ და არა ფერფლი.

1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე შენ ყოველთვის იმედად მყავდი,
იმ დღიდან, როცა ვიგრძენი თავი,
იმ დღიდან, როცა პურის და ნავთის
გაჩნდა რიგები, გრძელი და შავი...

სიმწრის, სისუსტის ცრემლებით სველი,
იმ დღიდან ველი, იმ დღიდან ველი —
შენს გამოჩენას — იმ დღიდან ველი!

1958

* * *

თუ გახსოვს, ქარით და წვიმით სველი,
როგორ მოგადგა ღამით სტუმარი?
გარეთ კი ბებერ ფოთლების ცვენა
იყო ლამაზი და უჩუმარი.

მას ყველაფერი შეეძლო მაშინ,
აღგზნებულს კიდევ ერთი იარით,
ვიდრე იმოდა შენს შეცვლილ ხმაში
ცეცხლწაკიდებულ ზვინის ბრიალი.

და მაინც იგრძნო, რომ ვერ ეყოფა
ნაძალადევად აწეულ სიცხეს,
რომ ლტოლვას რაღაც გადაელობა,
რომ სული ძრთოლვას და ყოყმანს
იწყებს...

და წაყვა უცებ მოგონილ მიზეზს
ფარხმალდაყრილი შენი სტუმარი.
გარეთ ფოთლები ცვიოდნენ ისევ,
ისევ ლამაზი და უჩუმარი.

1958

* * *

ფურცელზე უცებ შრება მელანი —
ფურცელი იწვის და ბოლვას იწყებს,
რათა ჩემსავით გრძნობდნენ ყველანი
წარმავალ დღეთა ყინვას თუ სიცხეს.

და სისხლზე წმინდა, და სისხლზე მძიმე,
ისევ ილვიძებს ბებერი ფიქრი
და კედლებს შორის დაეძებს იმედს,
რადგან კედლები არტყია ირგვლივ.

ისევ ხრიალით მეყრება თავზე
ათასწლეულთა ქვიშა და ღორღი,
მაგრამ თვალები ცითა მაქვს სავსე,
დახეული მაქვს სიმღერით ხორხი...

და აი, ისევ ამოდის მთვარეც,
გაოცებული ქვეყნის დუმილით...
და ადაც დღისით ცხოვრობდა
მტკვარი —
წყვდიადი ფეთქავს, ჩემი გულივით.

1960

* * *

ზანზარებს ხიდი — მძიმე და მკვრივი,
კედლებს აწყდება ქარხნების ბოლი...
და მიირწევა ცხენების მწკრივი
აღრჭიალებულ მანქანებს შორის,

ჰიპოდრომისკენ მიჰყავთ ცხენები,
რომ ბებერ ფიქრებს მოსწყდნენ
დროებით...
და ვიტრინებში ირეკლებიან
გრძელი კისრები და თეძოები.

1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძინავს რადიოს, ძინავს საყვირებს
და ტელეფონებს... ყველაფერს ძინავს.
მე აღარ მიყვარს, აღარ მაკვირვებს,
რაც მიყვარდა და მიკვირდა წინათ.

რაც მიყვარდა და მიკვირდა წინათ —
ის უკვე ცაში ვარსკვლავად ბრწყინავს...
ძინავს რადიოს, ძინავთ საყვირებს
და ტელეფონებს... ყველაფერს ძინავს.

1960

ბედნიერია შამილი, ქალებო.
შვილი დაიხსნა შამილმა, ქალებო.
ჭრელა-ჭრულები ჩაიცვით, ქალებო,
ლხინიც სცოდნია შამილსა, ქალებო.
შამილს რომ შვილი ჰყოლია, ქალებო,
ამომავალი მზეა, ქალებო.
გულმკერდი ყვავილს მიუგავს, ქალებო,
თავზე ქოჩორი გადაჰქუხს, ქალებო.
სარძლოს ეძებსო შამილი, ქალებო,
მზადა ჰქონია ურვადი, ქალებო.
ვის ამოირჩევს, ნეტავი, ქალებო,
ვის დაულოცავს მეძუსა, ქალებო.
მე მისი დაწუნებული, ქალებო,
ტყეში ფოთოლზე ვგორავო, ქალებო.
მოიცათ, რა დროს ეგ არის, ქალებო,
შვილი უკვდება შამილსა, ქალებო.
ცხენს დაუწყია ჭიხვინი, ქალებო,
ცეცხლი თავისით ჩაქრალა, ქალებო.
როთი კვდებაო, ნეტავი, ქალებო,
სევდით კვდებაო, საწყალი, ქალებო.
ისევ იქ მონატრებია, ქალებო,
ყინულეთისა მეფესთან, ქალებო.
ქალი ჰყოლია ლამაზი, ქალებო,
რძესავით თეთრი ყოფილა, ქალებო,
თმა ქარვისფერი ჰქონია, ქალებო,
თვალი წყლისფერი ჰქონია, ქალებო.
შამილს რა უთქვამს, მამასა, ქალებო,
შვილს თუ ამზადებს სამგზავროდ,
ქალებო.
რას ამბობთ, ნეტავ, რას ამბობთ,
ქალებო,
გაშავებულა შამილი, ქალებო.
მხარს დაუწყია ცახცახი, ქალებო,
ხანჯალი დაუგრეხია, ქალებო.
ახლა მაჯობა მტერმაო, ქალებო,
აქამდე რა მიჭირდაო, ქალებო,
მოკვდესო, არ მიხედოო, ქალებო,
დედისთვის უბრძანებია, ქალებო.

1960

შამილ, შენი მოკლე ხმალი
ამოეგდოთ ქარქაშიდან
და რიყეზე ბრჭყვიალებდა,
თავგაჩეჩქვილ გველივითა.
შამილ, შენი ოთხი ცოლი
ოთხ პატარა ბოხჩას კრავდა
და ოთხ მხარეს მიდიოდა,
უპატრონო ცხვარივითა.

1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღამე ალაზნის ველზე

ნალვერდლების ქიატით —
ნაპურალი იწვის.
და დგას მძაფრი სურნელი
კვამლისა და მიწის.

და კრუხივით მზრუნველი,
პირქუში და ზვიადი —
ზურგზე ისვამს წყვდიადი
მთვარეს, როგორც წიწილს.

1968

## გულუბრყვილო ზღაპრის ფრაგმენტი

ტკივილმა თვალი დამიბნელა... გამსკდარ წარბიდან
მოცოცავს სისხლის ჭიაყელა... გული კი ისევ
დაფეთებული ეხეთქება გალიის კედლებს...
ხელებიც ისევ მიცახცახებს, როგორც თოკები,
ნავს რომ იჭერდნენ, ვიდრე მოკლე და ბლაგვი ცულით
არ გადაჭრიდნენ მენავენი... პირი სავსე მაქვს
ცხელი ბუმბულით... ვერ შევძელი... ვერ მოვახერხე...
ისევ ქვესკნელის დახავსებულ წყვდიადში ჩავრჩი...
ისევ უჩემოდ მიგუგუნებს ცისკენ ფასკუნჯი...

1970

დალლილი და ბებერი, მიდის მატარებელი.
მობუზულან სოფლები, როგორც ღმერთის ობლები.
ბელტზე ყვინთავს ყარყატი (გამარჯობა — ნახვამდის).
დალლილი და ბებერი, მიდის მატარებელი
იძირება სარკმელში, როგორც წყალში ანკესი.
დალლილი და ბებერი, მიდის მატარებელი.
დალლილი და ბებერი, მიდის მატარებელი
და ფოთლები კაეშნის ფარფატებენ ჰაერში.

1976

გინდა თუ არა, მაინც მოვა გულქვა ზამთარი.
ველარ შეასწრებ მელნის ზღვაში... ქაღალდის ნავით,
ანუ — ზღვიანად, ნავიანად — გადასახლდები
იქ, სადაც თოვლის მედიდური ერთფეროვნებით
გადაშლილია ყველაფერი და კაცის თვალი,
ნასროლ ქვასავით, იკარგება თეთრ სიჩუმეში...

გინდა თუ არა, მაინც მოვა გულქვა ზამთარი.

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

# თუშეთი, ჩვენი თუშეთი

## დიდი ზეიმის დასაწყისი

### ნარკვევი

დილით, გამომცემლობაში რომ მივედი, მაგიდაზე მოსაწვევი ბარათი დამხვდა. გულწრფელად გითხრათ, არც დავინტერესებულვარ, რა იყო. მოზრდილი კონვერტი გვერდზე გადავდე და საქმეს შევუდექი. მოგეხსენებათ, დღე ერთია, მოსაწვევი ბარათი კი რამდენიმე. მხოლოდ შუადღისას გავხსენი კონვერტი, მოსაწვევი ამოვიღე და დავხედე. ახმეტიდან იყო. პარტიის ახმეტის რაიონული კომიტეტი 1981 წლის 11 ივლისისათვის ომალოში მიწვევდა.

სამმაგი ზეიმი ჰქონდათ თუშებს. ჯერ ერთი და უმთავრესი — ეს იყო საავტომობილო გზის გაყვანის დამთავრება, მეორე ის იყო, რომ ამ საზეიმო დღეს ომალოს სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის სოფლსაბჭოს მეხუთე სესიას ახალი საბჭოს თავმჯდომარე უნდა აერჩია. კანდიდატურაც ღირსეული ჰყოლიათ შერჩეული, ორმოცდასამი წლის ვაჟკაცი გერმანე სისაური, განათლებით ისტორიკოსი და თავისი სამშობლოს ისტორიაზე, მის აწმყოსა და მომავალზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი. ალბათ სწორედ ამან განაპირობა, რომ ისტორიკოსი კაცი გზის მშენებლობაზე მუშაობდა. იცოდა, გზა იყო თუშეთის აღორძინების აუცილებელზე აუცილებელი პირობა. მესამე კიდევ ისა, რომ ალვანში საფუძველი ეყრებოდა მეცხოველეობის ახალ საბჭოთა მეურნეობას, თუშეთის აღორძინებისა და აყვავების ერთ-ერთ პირველ ქვაკუთხედს. გადაწყვეტილი ჰქონდათ, საბჭოთა მეურნეობის დირექტორად პირდაპირ საზეიმო ცერემონიაზე დაემტკიცებინათ ახალგაზრდა სპეციალისტი ტელმან იჭირაული. მანამდე იგი ალვანის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი იყო და თავი არ შეურცხვენია. დაუღალავმა, საქმეში ჩახედულმა ნამუსიანმა ვაჟკაცმა ხალხის საყოველთაო ნდობა და სიყვარული მოიპოვა.

ჩემი ყურადღება უმალვე მიიპყრო მოსაწვევ ბარათში ჩადებულმა პატარა ფურცელმა. აი, რა ეწერა ამ პატარა ფურცელზე, მართლაც რომ ერთი ამოსუნთქვით ჩავიკითხე:

კეთილო სტუმარო!

არავინ იცის ვინ და როდის დაჰკრა პირველი ბარი თუშეთში სამოსახლოს, ვისი კერიდან აიჭრა კვამლი, ვის ჭერქვეშ გადაირწა პირველი აკვანი, რომელმაც დასაბამი მისცა თუშეთში სიცოცხლის დამკვიდრებას, მაგრამ ის კი კარგადაა ცნობილი, თუშებს საუკუნეების მანძილზე მკვიდრად ედგათ ფეხი ამ დალოცვილ მიწაზე და საქართველოსაკენ მიმავალ მტრებს ვიწრო კლდე-კარებში პირველნი

თვითონ ეგებებოდნენ თავიანთი ხმლითა და მახვილით.

თუშეთში ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში 2890-მდე კაცი კიდევ ცხოვრობდა. უფრო ადრე, ერთი საუკუნის წინ, თუშეთის მკვიდრთა ცხვრის ფარა 172 ათას 400 სულს ითვლიდა.

გამოხდა ხანი და დაიცალა თუშეთი თუშთაგან.

ნასახლარებს შამბმა გადაუარა!

კომლთა რაოდენობა 64-მდე შემცირდა, მცხოვრებთა რიცხვი — 136-მდე.

თუშ კაცს უგზოობამ და გაჭირვებით ცხოვრებამ აუყარა გული საგაზრდილოზე; ბარად ტრაქტორებით იხვნებოდა მიწა, აქ — ხარკავით; ბარში მანქანებით მიდი-მოდიოდნენ, აქ — ცხენებით და სახედრებით.

ბარში ზამთარიც ადვილი იყო, აქ კი ძნელია და მკაცრი.

ბარში სულიერი საზრდოც უხვად იპოვებოდა, აქ კი მხოლოდ გარმონს თუ ააქვითინებდნენ თუში ქალები, და კაცნი ფანდურზე დაამღერებდნენ წინაპართა ნავაჟკაცარს.

დიდი ცხოვრება დუღდა ბარში, რაიც ხაცალფეხო ბილიკებით თუშებამდე ვერ აღწევდა. ამიტომ ნელ-ნელა აიყარნენ თუშნი და ჩასახლდნენ ბარად.

მაგრამ ამ ბოლო წლებში წალმა შემოტრიალდა თუშეთის ბედი.

დაწესდა საჰაერო მიმოსვლა;

აშენდა სამანქანო გზა;

აშენდა და მალე ომალომდე მიაღწევს მაღალი ძაბვის ელექტროხაზები.

ეს ის ძირითადი გზები და საშუალებებია, რომლითაც აქაც ამოაღწევს დიდი ცხოვრება. ჩვენი სოფლები დაიქსელება ელექტროხაზებით, ჩვენს ხიპით ნაგებ მამა-პაპურ სახლებში აციმციმდება ცისფერი ეკრანი, ჩვენი მაღაზიები შეუფერხებლად მომარაგდება.

სოფლებს შორის გაყვანილი იქნება გზები, რომლებზედაც იმოძრავებს ტექნიკა, რითაც წასალებს დროზე წაიღებენ, მოსატანს დროზე მოიტანენ.

აღორძინდება თუშური ხელსაქმე.

ფართო გზით დიდი ცხოვრება შემოდის თუშეთში და ჩვენც ნელ-ნელა პირი ვიბრუნეთ ნასახლარებისაკენ. ისევ მოვპატრონდით 111 ათას ჰექტარს, სადაც 65 ათასი ჰექტარი სათიბ-საძოვარია.

დღეს თუშეთში ჩვენი ხელახლა მობრუნების ზეიმია, ჩვენი ახლადშექმნილი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ნათლობაა.

ეს ზეიმი ხდება საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავზე და ჩვენს ახალ მეურნეობასაც მის სახელს ვარქმევთ.

მეურნეობაში ჯერ-ჯერობით 800 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 10 ათასი [illegible]რი და 500 ოჯახი ფუტკარი გვეყოლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე თანდათან უფრო გავაძლიერებთ.

ავაშენებთ და დავამშვენებთ თუშეთს...

და ამ ყველაფერს, ჩვენ, თუშნი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, მათ მამულიშვილურ გრძნობებით პირთამდე სავსე ხელმძღვანელებს ვუმადლით.

კეთილო სტუმარო!

დაგვილოცე მამა-პაპათა კერაზე მობრუნება და დამკვიდრება!

დაგვილოცე ჩვენი განახლებული ადგილის დედა!

მღელვარებისაგან გული შემეკუმშა.

ძვირფასო მკითხველო, დარწმუნებული ვარ, ვერც თქვენ წაიკითხავდით გულგრილად და აუღელვებლად ამ რამდენიმე აბზაცს.

რამდენიმე აბზაცი...

მართლაც რამდენიმე აბზაცი, მაგრამ რამდენი გულისტკივილია მათში ჩადებული. თანაც რამდენი იმედი, სიხარული და მომავლის მტკიცე რწმენა!

უმალვე ტელეფონს ვეცი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მაშინდელ მინისტრს შოთა ეცადაშვილს დავურეკე. ვიცოდი, ვალდებულიც რომ არ ყოფილიყო, რა გადაუდებელი საქმეც არ უნდა ჰქონოდა, ამ საშვილიშვილო ზეიმს არ გამოაკლდებოდა.

— სადა ხარ, კაცო, ორი დღეა გეძებ! — მითხრა პირდაპირ, როგორც კი ჩემი ხმა იცნო.

— ცუდად გიძებნივარ, ამხანაგო მინისტრო! — ვუთხარი ხუმრობანარევი სერიოზულობით (ან იქნებ სერიოზულობანარევი ხუმრობით).

— თერთმეტში ომალოში დიდი ზეიმია, უნდა წამოხვიდე!

— მეც სწორედ მაგ საქმეზე გირეკავდი.

— შენი მანქანა არ გამოგვადგება, ჩემს „ნივაში“ უნდა ჩაჯდე, ჩვენთან ერთად იქნება „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი საქართველოში გიორგი ლებანიძე.

— უკეთეს შემადგენლობას კაცი ვერ ინატრებს!

— კეთილი და პატიოსანი, აბა 11 ივლისს გაღვიძება არ [illegible] ზუსტად დილის 5 საათზე მანქანა შენს სახლთან იქნება გაჩერებული!

## პროლოგი საშვილიშვილო საქმისა

1981 წლის 11 ივლისი.

თელავის პატარა აეროპორტი.

დილის 7 საათი და ოცდაათი წუთი.

აეროპორტის თანამშრომლები ნაღვლიანად გასჩერებიან ჩამოქუფრულ ზეცას. წვიმს, შემოდგომის წვიმასავით ნელა და გულისგამაწვრილებლად წვიმს.

ორი ვერტმფრენი ამაოდ ელოდება ომალოსაკენ მიმავალ მგზავრებს.

მერედა, როგორ მოვისწრაფოდით თბილისიდან, გვეშინოდა არ დაგვეგვიანებინა, თუშეთისაკენ გაფრენა ხომ 8 საათისათვის იყო დანიშნული.

ხმის ამოღება არც დაგვჭირვებია, ისე მიგვიხვდა შეკითხვას აეროპორტის უფროსი:

— დღეს ფრენა არ იქნება! — მოსჭრა პირდაპირ, იმედის ნაპერწკალიც აღარ დაგვიტოვა გულში.

ისევ ავხედეთ ზეცას.

თითქოს აეროპორტის უფროსის სიტყვების დადასტურება უნდაო, ერთბაშად უმატა წვიმამ.

— მანქანებით ვერ წავალთ? — ვეკითხებით მე და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შოთა ეცადაშვილი პარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივანს ვაჟა ბატიაშვილს.

იგი უიმედოდ იქნევს თავს.

— გუშინ კახეთში მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა. გზები სულ მთლად წალეკა. თუშეთისაკენ მიმავალ ახალგაჭრილ გზაზე სამ ალაგას ჩამოწვა ზვავი. გუშინ ბარიდან წასული ხალხი, დაახლოებით ოთხასი კაცი, ორ ზვავს შორის მოქცეულ მონაკვეთზე მოემწყვდა და მთელი ღამე იქ გაათია. ახლაც იქ არიან. ფიქრობენ, რომ ბულდოზერები 11-12 საათისათვის გაწმენდენ გზას თუშეთის მხრიდან და ომალოსაკენ გაიყვანენ ხევში ზეზეულად ღამენათევ, გაწამებულ ხალხს.

— ამ ვერტმფრენებს რას შევჩერებივართ, ავდგეთ და ჩვენც მანქანებით წავიდეთ. განა უფრო სიმბოლური არ იქნება, ახალგაყვანილი საავტომობილო გზით რომ ავგრიალდეთ მთათუშეთში? — ამბობს ახალშემოერთებული გიორგი ციციშვილი.

— ხომ ხედავთ, როგორ წვიმს. მთა ერთთავად ნისლშია გახვეული. ხუთ ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევს კაცის თვალი. ყოველ წუთში ზვავის ჩამოწოლაა მოსალოდნელი. გამოდარებასაც არ აპირებს. დღეს ალბათ ვეღარ ავალთ ომალოში. აფსუსს, როგორ გველოდებიან თუშები! — სინანულით ამბობს პარტიის ახმეტის რაიკომის მეორე მდივანი უჩა ჯაფარიძე.

დიახ, სტუმრებს ელოდნენ თუშები, ძვირფას სტუმრებს. დიდი ზეიმი ჰქონდათ დანიშნული ომალოელებს. აქ უნდა ჩატარებულიყო ომალოს სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის სოფლსაბჭოს მეხუთე სესია და უნდა აერჩიათ სასოფლო საბჭოს ახალი თავმჯდომარე. შემდეგ საზეიმოდ უნდა აღენიშნათ თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დაარსება, რომელიც საქართველოს კომპარტიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით შეიქმნა. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ერთ-ერთი პირველი და სერიოზული ნაბიჯი იქნება თუშეთის სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნისათვის გადადგმული და რომელსაც ერთხმად მიანიჭეს „საქართველოს სსრ 60 წლისთავის“ სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას უნდა მოჰყოლოდა დიდი სახალხო ზეიმი, სპორტული შეჯიბრებანი, თუშეთის ეთნოგრაფიის გამომხატველი, მეტად მეტყველი ცოცხალი სურათები და ბოლოს ქორწილი — მარინე კარდლიძისა და ანზორ ხვედაგურიძის ქორწილი — როგორც სიმბოლო თუშთა ფუძის გამაგრებისა, გამრავლებისა და გაძლიერებისა.

ელოდნენ ძვირფას სტუმრებს: ედუარდ შევარდნაძეს, ევგენი ტიაჟელნიკოვს, გურამ ენუქიძეს, ზურაბ პატარიძეს, ჯუმბერ პატიაშვილს, ჟიული შარტავას, მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებს.

ელოდნენ მწერლებს, მსახიობებს, ჟურნალისტებს, კინოსა და ტელევიზიის მუშაკებს.

ელოდნენ ათასობით თუშსა და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ელოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნებას არაფრად უღირდა მათი მოლოდინი.

10 საათზე ერთი წამით გამოჰკიატა მზემ, ერთი წამით იფეთქა იმედის ნაპერწკალმა, მაგრამ უმალვე შავი ფერის ღრუბელი გადაეფარა იმ ერთიბეწო ცის ნაგლეჯს, საიდანაც წამიერად გაიელვა ლაჟვარდმა.

ისევ დაუშვა წვიმამ.

ლოდინის კიდევ ერთი გრძელი, ნერვების დამწყვეტი საათი.

— მორჩა, ზეიმი ჩაიშალა! — ბევრმა ჩაიქნია ხელი უიმედოდ.

რევაზ ჩხეიძემ, თენგიზ აბულაძემ და ლანა ღოღობერიძემ გულდაწყვეტილებმა იკითხეს—ნამდვილად ვეღარ წავალთო?

პასუხი ამჯერად უკვე საბოლოო იყო, დღეს ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ გადავალთ ომალოშიო.

ბევრმა უკმაყოფილოდ მიატოვა იქაურობა და თბილისისაკენ იბრუნა პირი.

ბევრი თითქოს კიდევ ყოყმანობდა და ფეხს ითრევდა, თუმცა გულში უკვე სჯეროდა, რომ მთათუშეთში გადასვლა ნამდვილად აღარ მოხერხდებოდა.

საბოლოოდ ყველა შეეგუა აზრს, რომ ომალოში გამგზავრება ჩაიშალა.

შეეგუა ყველა, გარდა ერთისა.

მას სჯეროდა, რომ სიტყვის გატეხვა არ შეიძლებოდა.

მან იცოდა, რომ თუში კაცი ამ ზეიმს სასოებასავით ელოდა.

ისიც იცოდა, რომ ხალხს სჯეროდა, იგი აუცილებლად ჩავიდოდა.

მას სწამდა ამ დღის ისტორიულობა!

აკი, შვიდი საათის შემდეგ გამართულ საზეიმო მიტინგზე სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ილია ქავთარაშვილმა ბრძანა, თუშეთი ხელმეორედ იბადებაო! რესპუბლიკის ლიდერმა მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თუშეთს სწვეოდა.

სათანადო განკარგულება გაიცა.

ბევრმა სიხარულით მიაშურა „ნივებს", ბევრმაც იჭვნეულად გადიქნია თავი, მაგრამ მანქანების ქარავანი მაინც მტკიცედ დაიძრა თუშეთისაკენ.

ავდარი არ თმობდა. წვიმას გაუვალი ნისლიც დაერთო. შვიდი-რვა მეტრის მანძილზე ოდნავღა თუ გაარჩევდი წინა მანქანის მბჟუტავ წითელ „სტოპ-სიგნალებს". მოძრაობას ტალახი და ალაგ-ალაგ ჩამოწოლილი პატარა ზვავებიც აბრკოლებდა. ორთავე ხიდხიდიანი „ნივა" ბულდოზერივით ძიძგნიდა ტალახს, ციცაბო ფერდობებზე ღონივრად ადიოდა, წყალსაც აძგიბიასავით მიაპობდა.

ეს იყო ამ პატარა, მოქნილი და ძლიერი მანქანის ნამდვილი სარეკლამო გამოცდა.

როგორც იქნა, მივაღწიეთ ფშრილვას აბანოს. ყველანი მანქანებიდან გადმოვედით და უფსკრულს გადავხედეთ.

თუშეთის ულამაზესი პეიზაჟები ნისლსა და წვიმაში ისე პირქუშად გამოიყურებოდა, რომ სტუმრებზე დამთრგუნავად მოქმედებდა. წინ კვლავ გრძე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი და უფრო ძნელი გზა გველო. ჯერ კიდევ ცისკენ მივისწრაფვოდით, ცერის უღელტეხილი, რომელსაც თუშებმა „ციმბირი“ შეარქვეს, ხომ უფრო ზევით, 3000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა (უფრო ზუსტად, ჭირვეული სტატისტიკოსების საყურადღებოდ: არა 3000, არამედ 2992 მეტრის სიმაღლეზე). დიახ, მთავარი განსაცდელი მაინც წინ იყო, ჯერ უღელტეხილი, შემდეგ თოვლის დერეფნებში დაბლა დაშვება და ექვს ადგილზე სტიქიონისაგან მოდიდებულ ჭანჭახოვანის და პირიქითა ალაზნის მანქანებით გადალახვა.

ალბათ უმრავლესობა სიამოვნებით დაბრუნდებოდა უკან, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელის მშვიდი და მომღიმარე სახე ყველას ენერგიითა და რწმენით ავსებდა.

თორღვას აბანომდე უკვე მოეწვდინა თავისი ვერცხლისფერი არტერიები მაღალი ძაბვის დენს.

საოცარია, მეოცე საუკუნის სამმა რევოლუციამ — სატრანსპორტო, ელექტრონულმა და სატელევიზიო რევოლუციამ — საოცარი გულგრილობით ჩაუარა გვერდზე თუშეთს. მხოლოდ ახლა, მეოცე საუკუნის დასასრულს ირღვევა მისი პირველყოფილი პეიზაჟი ურბანისტული ელემენტებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახლა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თუშეთის სოფლები ცხოვრების დონით, სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურით, ადამიანების სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით გაუთანაბრდეს საქართველოს მოწინავე მთიან სოფლებს.

ათწუთიანი შესვენების შემდეგ „ნივების“ ქარავანი ისევ გაუდგა გზას. კიდევ ორ ადგილას შევძელით ჭანჭახოვანში გავსულიყავით, მაგრამ შემდეგ, შენაკადებისაგან ძალზე ადიდებულ მდინარეს „ნივა“ უკვე ველარ შეებმებოდა. ოთხ ადგილზე მძლავრი საბარგო მანქანებით გავტოპეთ მდინარე. ერთგან ტრაქტორიც მოვიშველიეთ. „ნივები“ შუა გზაში მივატოვეთ და საბარგო მანქანებითა და გაღმა შემოგებებული „კოლხოზნიკებით“ განვაგრძეთ გზა.

ხუთი საათი და 10 წუთი დასჭირდა 73 კილომეტრის გავლას.

მანქანის ძრავების გუგუნმა ომალოელებს ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლის ამბავი აუწყა.

და აჰა, ჟრიამულით შემოგვეგებენ ცხენოსნები. საზეიმოდ მორთული ათასობით თუში და წინა დღეებში ჩამოსული სტუმრები...

ვინც მათი მღელვარებისა და სიხარულისაგან აცრემლებული სახეები ვნახეთ, მივხვდით, რა ენერგიით, მომავლის რწმენითა და იმედით აღავსო მათი გულები ასეთ წარღვნაში რესპუბლიკის ხელმძღვანელების ჩამოსვლამ.

— ამდენი თუში ერთად ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! — მღელვარებით ამბობდა არჩილ სულაკაური.

— აქ ჩამოუსვლელობა განა შეიძლებოდა? — თქვა „პრავდის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა საქართველოში გიორგი ლებანიძემ. მას ისინიც კი დაეთანხმნენ, ვინც რამდენიმე საათით ადრე ამ მგზავრობას ზედმეტ თავგანწირვად თვლიდა.

თავგანწირვის გარეშე კი სასიკეთო რა გაკეთებულა ამ ქვეყანაზე?

თითქოს ავდარმაც დათმო ორთაბრძოლა მამაც ადამიანებთან. ცა რამდენიმე ალაგას გაიფლითა და მზემაც ჩამოიხედა თუშეთის ხეობებში.

ომალოში დიდი ზეიმი იწყებოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თუშეთი, ჩვენი თუშეთი

„ხოლო თუშეთი არს ლოპოტისა, თორღისა და პანკისის აღმოსავლეთ, კავკასიის მთის ჩრდილოეთ კერძოთა შინა, და არს ორხევა და მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთს-სამხრეთს შორის და უდის შორის მდინარე თვისი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს“.

ვახუშტი ბაგრატიონი

თუშეთს მთლიანად ყველაზე უფრო მაინც შვეულმფრენიდან დაინახავ, როცა იგი ომალოს თავზე დაეკიდება.

ხუთკუთხედი ქვაბული ულამაზეს მთებს შორისაა მოქცეული. ირგვლივ ლამაზი ქედები შემოჯარულან. ქედთა შორის თავისი სიზვიადით მაინც ჩრდილოეთის ქედი გამოირჩევა. ამ ქედზე კი მზიან ამინდში განსაკუთრებულად გამოიკვეთებიან მწვერვალები — თებულოს მთა (4507 მეტრი), ყვავლო (3988 მეტრი), ქაჩუ (3493 მეტრი) და ქერილო (3272 მეტრი).

თუშეთის ყველაზე მაღალი წერტილია თებულოს მთის წვერი, — 4507 მეტრი, ხოლო უმდაბლესი წერტილი მდებარეობს დაღესტნის საზღვარზე, ანეის ყოისუს ხეობაში — 1481 მეტრი.

თვით ომალო, თუშეთის სასოფლო საბჭოს ცენტრი, ზღვის დონიდან 1880 მეტრის სიმაღლეზეა.

ყველაზე მაღალი სოფელი თუშეთში ჭონთიო იყო, იგი ზღვის დონიდან 2400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა. ამჟამად პირველობას გირევი იჩემებს (2150 მეტრი), მისი სიპი ქვით ნაშენი ციხე-სახლები მართლაც რომ არწივის ბუდეებივით მოსჩანან შორიდან.

ერთადერთი ადგილი, კაცს რომ ვაკედ მოეჩვენება, მთათუშეთის ქვაბულის პლატოა. ამ პლატოზე მდებარეობენ თუშეთის ყველაზე დიდი და ხალხმრავალი სოფლები — თვით ომალო, დიკლო და შენაქო.

თუშეთის ქვაბულს დასავლეთით ფშავ-ხევსურეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით — დაღესტანი, სამხრეთით — კახეთი, ჩრდილოეთით — ქისტეთ-ჩეჩნეთი.

შვეულმფრენში ორნი ვართ, პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვაჟა ბატიაშვილი და მე. ჩემი წინადადებით მთელი საათით გადავდეთ ომალოში დაშვება. რაიკომის მდივანს ვთხოვე, სადაც კი შესაძლებელი იყო გადაგვეფრინა ყველა ხეობის, მდინარის, სოფლისა და ნასოფლარის თავზე.

რაიკომის მდივანი ხალისით ასრულებს ჩემს თხოვნას, თანაც გიდის როლს კისრულობს. მანამდე სულ ორჯერ ვიყავი ნამყოფი თუშეთში, ორჯერვე თორღვას აბანოდან გადავედი. უმთავრესად მაინც ჩალმა თუშეთს ვიცნობდი. ჩემს მეხსიერებაში ძირითადად ის ქედები და ხეობები იყო ჩაბეჭდილი, რომლებიც ომალოს უმაღლესი წერტილიდან, კესელოს ციხის ქონგურებიდან მოჩანს.

აი, ახლა, შვეულმფრენის ილუმინატორიდან ერთდროულად ვხედავდი ორივე ალაზანს: გომეწრის ალაზანსა და პირიქითა ალაზანს.

პირიქითა ალაზანი ამაგოს მთიდან იღებს სათავეს. პირველი მისი შენაკადია ლაროვანის წყალი. იგი სოფელ, უფრო სწორად, ნასოფლარ ჰელოსთან უერთდება პირიქითა ალაზანს. ხეობას ზემოდან დასცქერის ჰელოს ციხე, იგი მთის მაღალ წვერზეა აგებული. ციხე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოცემით, ეკუთვნოდა სახალხო გმირ ზურაბს. იგი ამაყად გადაჰყურებს ნაროვანისა და ჭონთიოს მიდამოებს. ამ ციხეში დატრიალებული ტრაგიკული ამბავი დაედო საფუძვლად ხალხურ ლექსებს, რომლებშიც აღწერილია ზურაბის ვაჟკაცური ბრძოლა ლეკებთან. როდესაც მარცხი გარდაუვალი იყო, ზურაბმა საკუთარი ცოლ-შვილიც ამოხოცა, იმის შიშით, მტერს არ ჩაუვარდნენ ხელშიო, ხოლო შემდეგ ხმალამოღებული ეკვეთა მტერს და ვაჟკაცურად დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში. ეს ამბავი დაედო საფუძვლად ვაჟა ფშაველას ცნობილ ლექსს „ბაკური“.

უნებურად მაგონდება ამ დიდებული და ვაჟკაცური ლექსის დასასრული:

„ვაჰ, დედას მტრისას!“ — ესა სთქვა,
ხელი გაივლო ხმალზედა:
„ისევ მე დაგხოცთ!“ — და ცოლ-შვილს
თავები დასჭრა წამზედა.
მტერს მიეგება ციხის კარს,
მეც იმას მივყევ კვალზედა.
გაუხტა ხმალმოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო,
თორმეტი მოკლა ციხის კარს,
ერთ ფრთაზე დააწვინაო...
ვეფხვსა დაჰცვდა კლანჭები,
ბაკურმაც დაიძინაო“.

შვეულმფრენის ილუმინატორიდან გულშეკუმშული დავცქერი ნასოფლარს, ციცაბო კლდეზე გადამდგარ ჰელოს ციხეს, თითქოს ხელები რომ ცისკენ აღუმართავს და შველას ითხოვს. შვეულმფრენის ხმაურში მაინც ვახერხებ გულზე შემოწოლილი სევდა გავუზიარო რაიკომის მდივანს.

შვეულმფრენი პირიქითა ალაზნის ხეობას დაუყვა. რიგრიგობით გადავუფრინეთ მის შენაკადებს — ჰაშაკის წყალს, ხაის წყალს, დანოს წყალს, ყვავლოს წყალს...

გომეწრის ალაზანი ბორბალოს მთიდან მოედინება. მისი ძირითადი შენაკადებია — სოფელ გორგოულ[illegible] წყალი, ხოლო სოფელ ხახაბოსთან — ალატოვან-წოხვის შენაერთი წყალი.

გომეწრისა და პირიქითა ალაზნები ერთმანეთს ერთვიან სოფელ ცოკალთოსთან. შემდეგ მდინარე ერთხანს კიდევ მიედინება თუშეთის ტერიტორიაზე, ხოლო სოფელ შენაქოს ქვემოთ უკვე გადადის დაღესტანში, სადაც ალაზანს სხვა სახელი ჰქვია — ანდაქოს ყოისუ, ავარიის ყოისუსთან შეერთების შემდეგ მას უკვე სულაქს უწოდებენ. სულაქი კასპიის ზღვაში ჩაედინება.

წეღან ვთქვი, თუშეთი მთლიანად ყველაზე კარგად ომალოს თავზე „დაკიდებული“ შვეულმფრენიდან მოჩანსმეთქი.

ვინც თუშეთში ყოფილა, მიმიხვდებოდა, რომ მთათუშეთს ვგულისხმობდი.

ისიც უნდა ვთქვა, უწინ „მთათუშეთს“ არავინ იტყოდა, ეს გამოთქმა უცნობია ძველი წერილობითი ძეგლებისათვის. ახალი სახელწოდება თუშეთის რელიეფის შედეგად შეიქმნა. თუშეთი ორ ნაწილად იყოფა: მთათუშეთი და ალვანი. თავის მხრივ ალვანიც ორია, ზემო ალვანი და ქვემო ალვანი. კახეთის ტერიტორიაზე მდებარე ალვანს პირობითად თუშეთის ბარიც შეიძლება ვუწოდოთ.

ლეგენდის მიხედვით, ალვანის ტერიტორია ბახტრიონის გმირს ზეზვა გაფრინდაულს შემოუმტკიცებია თუშეთისათვის. ბახტრიონის ციხესთან გამარჯვების შემდეგ მეფეს მადლობის ნიშნად მოწყალება გაუღია და გმირი მეომრისათვის უთქვამს, რა ჯილდო მოგართვაო.

ზეზვა გაფრინდაულს ასეთი პასუხი მიუგია, ბახტრიონიდან სანამდისაც ჩემი ცხენი ჰენებას შესძლებს, ის ადგილები თუშების სამოსახლოდ მიბოძეო. მეფე დასთანხმებია, ზეზვა გაფრინდაულის ცხენს ტახტიგორამდე მიუღწევია. სწორედ აქ, პანკისის ხეობიდან ჩამომდინარე ალაზნის პირასაა გაშენე-

ბული ზემო და ქვემო ალვანი, ზემო ალვანში უმთავრესად წოვა თუშები ცხოვრობენ. ქვემო ალვანი კი ძირითადად ჩაღმა თუშებითაა დასახლებული.

თუშები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და ეწევიან. ზამთრობით ისინი ალვანში ჩამოდიან, ზაფხულობით კი ისევ მთათუშეთს მიაშურებენ ხოლმე. მხოლოდ ომალოს, დიკლოსა და შენაქოს მკვიდრნი არ სტოვებდნენ მშობლიურ კერას. თუმცა, ბოლო დროს, ზამთრობით ამ სოფლებში აქა-იქ ბოლავდა ბუხარი.

ალვანიდან მთათუშეთამდე ოთხმოც კილომეტრზე მეტია გასავლელი. მათ შორის კი კავკასიონის უზარმაზარი ქედია ჩამდგარი.

მთათუშეთისაკენ მიმავალი გზა სოფელ ფშაველიდან იწყება. იგი ალვანსა და ნაფარეულს შორის მდებარეობს. ფშაველიდან ომალოსკენ მიმავალი გზა მდინარე სტორის თვალწარმტაც ხეობას მიუყვება. მერე თანდათან მთაში იწევს, თორღვას აბანოდან ალპურ ზონაში მიიკლაკნება და ცერის (იგივე აბანოს ცერის) გადასასვლელით თავდაღმა ეშვება მთათუშეთისაკენ. მგონი უკვე ვთქვი, რომ ცერის გადასასვლელს თუშებმა „ციმბირი" შეარქვეს. იქ ერთთავად ცივა და ქარიც გამუდმებით ზუზუნებს. ცერის გადასასვლელი ყველაზე მაღალია საქართველოში, სადაც სამანქანო გზა გადადის (2992 მეტრია).

ამ გზის გამოყენებამდე მთათუშეთში გადასვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით შეიძლებოდა. გადასასვლელი ბილიკები პატარა, უნაგირ[illegible] უღელტეხილებზე გადადიოდ[illegible]რის უნდა მოვიხსენიოთ საყორნის უღელტეხილი (2835 მ), ამ უღელტეხილით თუშეთი პანკისის ხეობას უკავშირდებოდა გომეწრის ხეობიდან. სამანქანო გზის გაყვანამდე იგივე აბანოსსერზე (იგივე ცერის) გადმომავალი ბილიკით თუშები სტორის ხეობით კახეთს ჩამოდიოდნენ. ჰაწუნტას უღელტეხილით (3431 მ) პირიქითა ხევსურეთში შეეძლოთ გადასვლა. პირიქითა ალაზნის ხეობა ოთხი უღელტეხილით უკავშირდება ჩაჩნეთ-ინგუშეთს. ესენია: ტებულო (3342 მ.), უყერიჩო (3023 მ. ქერილო (3112 მ.), ქაჩუილამი (3072 მ.). პირიქითასა და გომეწარს ერთმანეთთან აკავშირებდა მათი წყალგამყოფი მაკრატელას მთის უღელტეხილები — ნაროვანი (2981 მ.) და ნაყავიჩო (2972 მ.). პირიქითასა და წოვას შორის თუშები აგისღელის (3168 მ.) უღელტეხილით მიდი-მოდიოდნენ.

ხეობის გზა თუშეთში მხოლოდ დაღესტნიდან შემოდის.

თუ ახლად გაყვანილ სამანქანო გზას გამოვთიშავთ და თვალს კიდევ ერთხელ გადავავლებთ უღელტეხილების სიმაღლეებს, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს საცალფეხო ბილიკები ალპურ ზონაში ფრიალო კლდეებზე, ხოლო შემდეგ ტყით დაბურულ ხეობებში გადიოდა, ადვილად წარმოვიდგენთ, რა უჭირდებოდა თუშ კაცს არამც თუ კახეთში ან ხევსურეთში გადასვლა, არამედ თვით მთათუშეთში მიმოსვლაც.

## გერმანე სისაური

ვაჟა ბატიაშვილმა წინა დღით დარეკა ომალოში გერმანე სისაურთან, ხვალ სტუმრები ჩამოვლენ და აბა, შენ იცი, მომზადებული დახვდიო!

„მომზადებაში" პურმარილი არ უგულისხმია ახმეტის რაიკომის პირველ მდივანს. აუხსნა ვინც ჩავდიოდი და რისთვისაც ჩავდიოდი.

ის ღამე თბილგვირაბმშენის მეცხრე საგვირაბო რაზმის ალვანის უბნის უფროსთან ავთანდილ გალდავაძესთან გავათიე ქვემო ალვანში. ჩემთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრად იყო ახალგაზრდა ქართველი კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე. მანამდე იგი თუშეთში ნამყოფი არ ყოფილა და როცა ჩემი გამგზავრების ამბავი გაიგო, მთხოვა წამიყვანეო.

— ცოტა ხომ არ დაგვეღლია? — ცალყბად გვეუბნება ავთანდილ გალდავაძე.

სტუმართმოყვარეობის ადათს ხარკს უხდის, თორემ იცის, დილის 5 საათზე უნდა ავდგეთ და გუნებაში შიშობს, რაც არ უნდა იყოს, მწერლები არიან, ვაი თუ გაღვიძება გაუჭირდეთო.

ჩვენც ტრადიციას ვუხდით ხარკს; მხოლოდ ორ სადღეგრძელოს ვამბობთ, მასპინძლის კერას ვლოცავთ და დასაძინებლად ვემზადებით.

ავთანდილ გალდავაძე ზუსტად დილის 5 საათზე ბოქაულივით დაგვადგა თავზე.

ექვის ნახევარზე კი ჩვენი „კოლხოზნიკი" სოფელ ფშაველისაკენ მიჰქროდა, საიდანაც უნდა შევდგომოდით ომალოსაკენ მიმავალ გზას.

მანქანაში ხუთნი ვართ: ავთანდილ გალდავაძე, თამაზ წივწივაძე, ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვახტანგ თორღვაიძე, მე და გალდავაძის მძღოლი თენგიზი.

ჩვეულებრივ ომალოში გადასვლას კარგ ამინდში ოთხსაათნახევარი მაინც უნდა.

მე ოთხიც არ დამჭირდებაო, ამბობს თენგო ბიჭი და მის ნათქვამში ეჭვიც არ გვეპარება.

— მაინც რამდენჯერ გადასულხარ ომალოში? — ეკითხება თამაზ წივწივაძე.

— რა ვი, დათვლი რო! ბევრჯერ დღეში ორჯერ გადავსულვარ და გადმოვსულვარ.

— შენს მიერ გაყვანილი გზა რომელია? — ვეკითხები ახლა ავთანდილ გალდავაძეს.

— სადაც ნაკლებად დაიხჯლრევი და გზაც ფართო იქნება, ისაა ჩემი გაყვანილი.

საუბარი მაინც კანტი-კუნ[illegible] ვიდის. ყველანი ჩუმად ვართ. ვახტანგი იშვიათად ებმება საუბარში, უმთავრესად მაშინ, როცა ჩვენს შეკითხვაზე გალდავაძის პასუხი არ დააკმაყოფილებს და ორიოდე განმარტებას თუშური მოკრძალებით ჩაურთავს ხოლმე.

ჩუმად კი იმიტომ ვართ, რომ უხმოდ ვტკბებით სტორის ხეობის სილამაზით.

ბუნების მიერ შექმნილი საოცრება როდი გვაოცებს ისე, როგორც ადამიანის მიერ შექმნილიო, — მაგონდება ქიულ ვერნის სიტყვები.

მართლა ძნელია დამალო აღტაცება, როცა სტორის ხეობის გარდიგარდმო გაჭიმულ მსხვილ მავთულებს გასცქერი, რომლებზეც მაღალი ძაბვის ხაზი გაედინება. აქ თითქმის შეუძლებელია რკინის კონსტრუქციული ბოძების დადგმა. ამიტომაც ჩვენმა ელექტრომშენებლებმა პირველებმა იპოვეს გამოსავალი — მსხვილი ტროსები გაჭიმეს ხეობის გარდი-გარდმო, რკინის ბოძების მაგივრობას რომ ასრულებენ. ჩვენი მამაცი ელექტრიკოსები ხეობიდან სამასი (ხშირად ხუთასი) მეტრის სიმაღლეზე გაჭიმულ ტროსებზე ჯამბაზის ოსტატობით ამაგრებდნენ მაღალი ძაბვის მავთულებს.

უცებ გული სევდით მეკუმშება. მაგონდება „კავკასელექტროქსელმშენის" მმართველი ნუგზარ გუნცაძე. მაგონდება, როგორი სიამაყით და ენთუზიაზმით გვიყვებოდა თუშეთის ელექტრიფიკაციის პრობლემებზე, პრაქტიკულ ღონისძიებებზე, ელექტროქსელის გაყვანის ყველაზე გაბედულ და ნოვატორულ მეთოდებზე.

გამახსენდა, ერთ მშვენიერ დღეს როგორ შეგვკრიბა თავის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად მე, ჯანსულ ჩარკვიანი და პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ანზორ ბურჯანაძე. მხოლოდ შუა სუფრაზე თქვა, ლენინის ორდენით დამაჯილდოვესო.

ყველამ გულწრფელი სიხარულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივულოცეთ სამშობლოს დიდი ჯილდო. თვითონ მთელი საღამოს მანძილზე წვეთი ღვინო არ დაულევია. ყველას გვეფერებოდა, ასეთი ალერსიანი და ყურადღებიანი არასდროს გვინახავს. დიდი ტემპერამენტისა და მახვილი გონების ნუგზარი თავისი იუმორით მუდამ ექცეოდა ხოლმე საზოგადოების ყურადღების შუაგულში. ამჯერად თითქოს მხოლოდ იმას ცდილობდა, ჩვენთვის არ მოეკლო ყურადღება. გაფაციცებული იყო, სტუმრის ყველა სურვილი გამოეცნო და შეესრულებინა. დროდადრო ფიქრი მოსტაცებდა თვალს, მხოლოდ მაშინ თუ აკიაფდებოდა სევდა მის თვალებში, ალბათ გულმა თუ უგრძნო კარს მომდგარი აღსასრული. ამ სევდისათვის მაშინ ყურადღება არ მიგვიქცევია. ნუგზარ გუნცაძის სევდიანი თვალები მხოლოდ მეორე დღეს გაგვახსენდა, როცა იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო...

— კარგი კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს! — ამბობს ავთანდილ გალდავაძე, — ენახა მაინც ომალოში ელექტრონათურები როგორ აინთებოდა.

მანქანაში ისევ ჩამოვარდა დუმილი. მოტორი გულსაკლავად ღმუოდა, „კოლხოზნიკი" მხოლოდ მეორე სიჩქარით ებრძოდა აღმართს.

— ხალხიც კარგი ჰყავდა, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ გააგრძელა გალდავაძემ. — ზოგიერთი ხელმძღვანელივით როდი ცდილობდა მოადგილეებად და ხელმძღვანელ ამხანაგებად უფერული ადამიანები დაენიშნა, თავისი თავი რომ წარმოეჩინა და განედიდებინა. დღეს „კავკასელექტროქსელმშენს" გრიგოლ სარალიძე ხელმძღვანელობს. მანამდე იგი ნუგზარ გუნცაძის მოადგილე იყო. ღირსეულად შეცვალა თავისი ხელმძღვანელი და საძონტაჟო სამმართველოს უფროს ავთანდილ მახარაშვილთან ერთად ისე შეუტია საქმეს, რომ, ვფიქრობ, პირობას ნამდვილად შეასრულებენ და წელს, საშვიდნოემბროდ, ომალოში პირველად აინთება ელექტრონათურები.

მანქანამ ერთი კიდევ ამოიხვნეშა და თენგომ მოტორიც გამორთო.

თორღვას აბანო.

ტრადიციად იქცა, აქ აუცილებლად უნდა შეჩერდნენ თუშეთს მიმავალი ან თუშეთიდან მომავალი მგზავრები.

მანქანიდან გადმოვედით და მუხლი გავშალეთ.

თამაზ წივწივაძე გაოცებული გადასცქერის სტორის ულამაზეს ხეობას, მის სიღრმეში ვერცხლისფრად გაპრიალებული ხმლის ზურგივით ბზინავს მდინარე სტორი. გეგონება, ვიღაც გოლიათს მთა ხმლის ძლიერი მოქნევით ორად გაუპია და ხმალი ქრილობაში ჩაუტოვებიაო.

— ხედავ, მეცხვარეს? — გვეუბნება თენგიზი და გაღმა მიგვანიშნებს.

მაღლა, იქ სადაც ტყე მთავრდება და ალპური ზონა იწყება, ცხვრის ფარა დავინახეთ.

— წელან შევნიშნე, — ამბობს თამაზ წივწივაძე, — მაგრამ თეთრი ქვები მეგონა და არაფერი ვთქვი.

— მწყემსს ხედავთ? — გვეკითხება ავთანდილი. — აი, სულ მაღლა, შავ წერტილად რომ მოჩანს.

ყველამ დავინახეთ უძრავად, ბოძივით დარჭობილი მწყემსი. მერე, თითქოს მიხვდაო, მასზე რომ ვლაპარაკობდით, ადგილიდან დაიძრა და ნელნელა მარცხნივ წავიდა, საითკენაც ცხვარს ექნა პირი.

— მარტო მწყემსავს? — იკითხა თამაზმა.

— ჰო, მარტო! — შინ, თუშეთში ასეა, ერთმანეთს ენაცვლებიან და ოჯახშიც ტრიალებენ, — აუხსნა თენგიზმა, — ზამთრის საძოვრებზე კი ორ-ორი არიან.

მთელი დღე მარტო!
წვიმასა და ქარბუქშიც მარტო!
არავინ ხმის გამცემი!

ნეტავ რას ფიქრობს ხოლმე მწყემსი კაცი კომბალზე ორივე ხელით და ნი-

ეროვნული

კაპით ჩამოყრდნობილი? ან კი სცალია ფიქრისათვის? როგორ არა სცალია, ძალიან დიდი დრო რჩება ფიქრისათვის, უსაშველოდ დიდი. ვინ იცის, რა არ ტრიალებს მის თავში, ტრიალებს ამ ქვეყნისა, იმ ქვეყნისა, მთისა და ბარისა. ფიქრს ხომ არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. იქნებ ხმამაღლაც ფიქრობს? დარწმუნებული ვარ ხმამაღლაც ფიქრობს ხოლმე, ხშირად ალბათ თავის თავსაც ელაპარაკება, ძაღლსაც, ცხვრებსაც, ხეებსაც, ბალახსაც, ღრუბელსაც, ქარსაც და წვიმასაც. ელაპარაკება ხმამაღლა, ალბათ მთელი სერიოზულობით. ნეტავ სინანულის გრძნობა თუ ეუფლება, შორს, შორს, შარაგზაზე ავტომობილს რომ დაინახავს ბარისაკენ მიმავალს? რა არის ის ძალა, რამაც იგი ასე მიაჯაჭვა მთასა და ცხვარს? იქნებ მხოლოდ შემოსავალი? არა, მხოლოდ შემოსავალი არ იქნება ის მაგიური ძალა, მწყემს კაცს რომ თვეობით ოჯახს ატოვებინებს და ქარსა და წვიმაში, თოვლსა და ყინვაში უკაცრიელ მთასა და ბარში დაახეტიალებს. სარფიანი დარგები სხვაც ბევრია.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ალექსანდრე შუშანაშვილმა რომ გაიგო, თუშეთზე წიგნსა ვწერდი, მითხრა, მწყემსი კაცის ქება არ დაგავიწყდესო. თანაც ერთი ეპიზოდი მიამბო, იქნებ რამეში გამოგადგესო. ბაბუამისი მეცხვარე ყოფილა. ერთი კოჭლი, დაფეხვილი დედაცხვარი ჰყოლია, მაგრამ დასაკლავად არ გაუმეტებია. ათი წლის მანძილზე თურმე ვირზე გადაკიდებული გადაჰყავდა და გადმოჰყავდა ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებამდე და პირიქით. რა არის, კაცო, ამ ერთ დავარდნილ ცხვარს რომ ვერ შელევიხარო, — გაოცებით ეკითხებოდნენ შინაურები და ნათესავები. ლამაზი ბატკანი იცის და იმიტომაო, — მიუგებდა თურმე მოხუცი მწყემსი.

ვინ იცის, სად არის მწყემსი კაცის რომანტიკის სათავე, ვინ [illegible] ლავი, მხოლოდ მისთვის შესაგრძნობი სილამაზე აძლევს ძალას მის მუხლს, სიმხურვალეს მის გულსა და შთააგონებს მის სულს!

ისევ მანქანაში ვართ. თენგო ბიჭი ენერგიულად კეცავს გზას ცერის ულელტეხილისაკენ. კარგა გვარიანად მოგვშივდა. ვახტანგი უკვე იჭერს საუზმის თადარიგს. პირველ რიგში ჭაჭის არაყი მონახა, ხომ არ დაქცეულაო. კალათას რომ თავი ახადა, მანქანაში თუშური ყველის სუნი დატრიალდა.

ესეც ულელტეხილი. მარჯვნივ, გზიდან ოცდაათიოდე მეტრით გადავუხვიეთ და რკინის მაგიდასთან მივედით.

— გახედე, მთათუშეთი! — ვეუბნები თამაზ წივწივაძეს.

მეორედა ვარ გერმანე სისაურის კაბინეტში (კაბინეტი-მეთქი, რომ ვამბობ, მთლად ისე არ წარმოიდგინოთ, ამ სიტყვას რომ შეჰფერის). პირველად 11 ივლისს ვიყავი, როცა გერმანე ახალი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. დარწმუნებული ვარ, საქართველოში ასეთი პატივით არც ერთი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე არ აურჩევიათ. მაშინ, 11 ივლისს, ომალოს სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის სოფლსაბჭოს მეხუთე სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ე. ტიაჟელნიკოვმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა გ. ენუქიძემ და ჯ. პატიაშვილმა, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ქ. შარტავამ, საქართველოს სსრ მინისტრებმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ასე აირჩიეს გერმანე სისაური ომალოს საბჭოს თავმჯდომარედ. მას მერე სამი კვირაც არ გასულა, უკვე დაფიქრებული მეჩვენა. ეს არ იყო პოზა, ხელმძღვანელის მოჩვენებითი სიდინჯე. მის თვალებში, მის შუბლსა და სახეზე ფიქრი და რწმენა იყო აღბეჭდილი, მომავლის რწმენა.

— ბატონო გერმანე, გულწრფელად გვითხარი, რას განიცდიდი, როცა ასეთი პატივით აგირჩიეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ? — ვკითხე მე.

— ბატონი ბრძანდებით, გულწრფელად გეტყვით, დასამალი რაა? — გაიღიმა გერმანემ, — სულაც არ ავღელვებულვარ. ანდა რა იყო ასაღელვებელი. ისეთი მჩატე ჭკუისა ან თავხედი ხომ არ გგონივართ, ამოდენა ხალხის ამომრჩევლები ჩემს პატივისცემად მიმელო. იმ დღეს მესამედ გვეწვია ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ეს უკვე თუშეთის საბოლოოდ გადარჩენასა და მის ნათელ მომავალს ნიშნავდა. მე, უბრალოდ, ბედნიერი კაცი ვარ, რომ ამოდენა ნდობა გამომიცხადეს და სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. თავისთავად ჩემი არჩევა რომ ასეთ დიდად საპატიო პირობებში მოხდა, ბევრს მავალებს, ძალიან ბევრს...

— როგორ ფიქრობთ, უკვე ხელშესახები გახდა ცვლილებანი?

— არ გეგონოთ, თითქოს თუშეთი მხოლოდ 11 ივლისს გამოცოცხლდა. 11 ივლისი, უბრალოდ, შემობრუნების სეტაპო თარიღია, თუშეთის აღორძინება კი იმ დღიდან დაიწყო, როცა აქ პირველად ჩამოვიდა ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე. ეს იყო 1975 წლის 22 ივნისს. პირველად მაშინ მივხვდით, რომ ჩვენც გვეშველებოდა. ხისოში რომ შემოხვედით, ახალი სახლები ხომ დაინახეთ? მას მერე ააშენა იმედმოცემულმა თუშმა კაცმა. ომალოშიც ხომ ხედავთ, რამდენი ახალი სახლი აშენდა და რამდენი შენდება. ასეა თითქმის ყველგან.

— მაინც როგორ გესახებათ თუშეთის შემდგომი გამოცოცხლე[illegible]ბი?

— როცა თუშეთის განვითარების პერსპექტიული გზების თაობაზე ვლაპარაკობთ, უნებლიეთ გვახსენდება ის მოვლენები, რომელთა წყალობითაც ერთ დროს დასახლებული, ბარაქით სავსე საქართველოს ეს განუმეორებელი კუთხე ხალხისაგან დაცარიელდა, საცხოვრებელი სახლები, ციხე-კოშკები დაინგრა და მიწასთან გასწორდა. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში თუშეთში იშვიათი იყო სოფელი, რომ დაწყებითი სკოლა არა ჰქონოდა, ხოლო სოფელ ომალოს, სკოლა-ინტერნატში 80-ზე მეტი ბავშვი სწავლობდა. მაშინდელ თუშეთს აერთიანებდა ორი სასოფლო საბჭო, ჰქონდა ორსართულიანი საავადმყოფო, რომელსაც მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი ემსახურებოდა. ეს იმ დროს, როცა თუშეთში ყველა საჭირო სურსათ-სანოვაგისა და სხვა აუცილებელი ტვირთის შემოზიდვა ცხენებით ხდებოდა, ხოლო მგზავრობას მაშინ ორ და ზოგჯერ სამ დღესაც უნდებოდნენ.

დიდი სამამულო ომის შემდეგ კი, როცა ტექნიკამ მძლავრად გაიდგა ფესვი, ყველაფერი პირიქით მოხდა. მძიმე-მძიმედ, მაგრამ თვალისთვის შესამჩნევად ხალხმა ბარისკენ იწყო დენა. სოფლები უკაცრიელდებოდა, აღარ ისმოდა ბავშვების ჟივილ-ხივილი, კერაში ნალვერდალი და ჭერქვეშ მამა-პაპათაგან დასადგურებული სიკეთე ქრებოდა.

ეს ავბედითობა პირველად პირიქითელთა ხვედრს ეწვია. ამიტომ პირიქითელები თავიანთი მოქმედი სამეურნეო ერთეულით ზემო ალვანის კოლმეურნეობას შეუერთდნენ. ხალხმა მოშალა ადრინდელი ძირითადი სამყოფელი და თავისი პირუტყვით და სხვა საცხოვრისით ბარად ჩამოსახლდა. თუშეთი მათთვის მხოლოდ ზაფხულში სამი თვით ასახელდილო გახდა; გავიდა რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი და მისი ბედი ჯერ გომეწრის ხეობამ გაიზიარა, მერმე კი ჭანჭახოვანის ექვსმა სოფელმა. საკოლმეურნეო ცხოვრება მხოლოდ სამ სოფელს შერჩა. ომალოს, შენაქოსა და დიკლოს. 1959 წელს ეს კოლმეურნეობაც ბარისას შეუერთდა. აქაც რამდენადმე მეტ-ნაკლებად განმეორდა იგივე ამბები.

ალბათ იკითხავთ, მაინც რა მოხდა, სამეურნეო ერთეულების გამსხვილებამ ზოგან დიდებული ნაყოფი გამოიღო, მთაში რაღა ღმერთი გაუწყრაო.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების გამსხვილება უწინარეს გულისხმობს დაქუცმაცებული საწარმოო საშუალებებისა და მუშახელის შემჭიდროებასა და თავმოყრას უფრო დიდი ინტერესების ორბიტაში. ასეთ შემთხვევაში მიწა არ კარგავს თავის სიკეთეს. იგი წარმოების მუდმივ საშუალებად რჩება და, რაც მთავარია, ხალხი და სოფლის თავკაცობა უფრო ზრდის მის მიმართ ინტერესს.

თუშეთში კი პირიქით იმიტომ მოხდა, რომ ბარის კოლმეურნეობებისათვის აქაური მიწა დროებითი სარგებლობის საშუალებად იქცა. ე. ი. წინანდელი სახნავ-სათესი სავარგულები საზაფხულო საძოვრებად გაიხადეს. წინათ თვითოეულ სოფელს პირუტყვისათვის თავისი გასადევარი ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის პირუტყვი არ უნდა შეიჭრეს არც სახნავ-სათიბებში, არც ცხვრისათვის გამოყოფილ საძოვრებზე. თავის მხრივ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასადევარი და სახნავი მიწები მკაცრად იმიჯნებოდა ცხვრის ფარებისაგან. მამა-პაპანი იმთავითვე ითვალისწინებდნენ, რომ ცხვრის ფარის მოძრაობა „ნაძრავ" მიწებზე საზიანოდ მოქმედებდა და მის აღდგენას ათეული წლები სჭირდებოდა.

ბარის კოლმეურნეობებმა კი ცხვრის ფარეხები სოფლების სიახლოვეს მოაწყვეს, ანგარიში არ გაუწიეს წინაპრების გამოცდილებას და მიწის ყოველი მტკაველი საძოვრებად გადააქციეს. ვისაც ახსოვს წინანდელი [illegible] ველთვის გულისტკივილს განიცდის, როცა პირიქითისა და გომეწრის ხეობებს შეჰყვება. ცხვარმა ნაძრავ მიწებზე მცენარეულის ფესვთა სისტემა მოშალა და ოდესღაც სახნავი მიწები უსტრუქტურო, უსწორმასწორო ფხვიერ გოროხებად აქცია. ასეთ მიწებზე კი ღვარცოფებმა გზა ადვილად გაიკვლია და ერთ დროს სიკეთისა და ბარაქის მომცემი სავარგულები დღეს წვიმის წყლისაგან დაღარულ ფერდობებად იქცა. ახლა უკვე ძნელია ამ მიწების აღდგენაზე იფიქრო.

ძველთაგანვეა ნათქვამი: „მწყემსის თვალი ხარბიაო". მწყემსის უმთავრესი საზრუნავი ცხვრის ფარისათვის საძოვრის გამონახვაა. რაკი ჯერ ბარის კოლმეურნეობებმა, შემდეგ კი საბჭოთა მეურნეობებმა სოფლებს ღობეები შემოხსნეს, მეცხვარეებს ნება მისცეს, ცხვარი თუნდაც სოფლებში ჩაეყენებინათ. აღარავინ გამოჩნდა ქვეყნის გამკითხავი. ბევრ სოფელში მეწველი ცხვრის ბრიგადები ჩააყენეს. სოფელი „ნაწიდრად" იქცა. ამას კი ის მოჰყვა, რომ ბევრი სოფელი ნასოფლარს დაემსგავსა და თუშეთმაც, რაღა თქმა უნდა, დაკარგა თავისი ტიპიური სახე. რაკი თუშეთი ბარის კოლმეურნეობებისათვის ძირითადი ინტერესის ობიექტს აღარ წარმოადგენდა, სოფლებში ცხვრის ჩაყენების გარდა იწყეს ისეთი დროებითი დამხმარე ნაგებობების აშენება, როგორიცაა ცხვრის საპარსები, აბაზანები, საზაფხულო საწყობები და სხვა. ჯვარბოსელში და დართლოში მოქმედი აბაზანები გახდა იმის მიზეზი, რომ ორივე ხეობის ალაზანში მკვეთრად შემცირდა კალმახი. ცხვრის გარდა ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობამ ომალოში და შენაქოში ადგილ-ადგილ მეწველი ძროხის ბრიგადები ჩააყენა. კიდევ უფრო შეამცირა მახამდე დაცული მიწები და ამით მკვეთრად შემცირდა პირადი პირუტყვის სულადობა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თუ 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლამდე პირუტყვის მიმღები მოქმედი პუნქტი ასეულობით ტონა ხორცს ამზადებდა, ამ წლებიდან მოყოლებული, ხორცის წარმოების ხელშემწყობი პირობები იმდენად გაუარესდა, რომ ორ წელიწადში ეს მოქმედი პუნქტი სულაც გააუქმეს. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ხორცის დამზადების საქმეში სამთო მეცხოველეობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა მის შესაძლებლობათა შენარჩუნება.

ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობამ თუშეთის ერთ ნაწილში ბოლომდე შეინარჩუნა მეძინდვრეობის ერთი ბრიგადა, რომელიც პარალელურად მცირე რაოდენობით მსხვილფეხა საქონელსაც ინახავდა. ერთი შეხედვითა და ბევრი ამხანაგის მტკიცებით, თუშეთისათვის ეს თითქმის სრულიად საკმარისი იყო. მათ სიტყვის გაგონებაც არ უნდოდათ თუშეთში მეურნეობის ჩამოყალიბებაზე, რაც თავისთავად მცდარია. ასეთი მიდგომა თუშეთს აყენებდა გერის მდგომარეობაში, რადგან მეურნეობა აქ იმ ინტერესით კი არ მოქმედებდა, რომ მისი თვითეული ჰექტარი მიწა საზამთრო-საგაზაფხულო სარგებლობისათვის გამოეყენებინა, არამედ მხოლოდ ზაფხულში მოენაცვლა ხელი. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ქვემო ალვანის მეურნეობას რამდენიმე წელი ომალოში აეროდრომის გვერდით, მაღაზიისა და სასადილოს წინ, საპარსი ფარდული ედგა, სოფელში ათეულობით ცხვრის ფარა მიმოდიოდა და აქ საზამთროდ მაცხოვრებელ ხალხს უკიდურესობამდე უზღუდავდა საარსებო საშუალებებს. თუშეთში ჩამოყალიბებული მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა ამას არასოდეს გაიმეორებს, რადგან მისი ინტერესები აქ სხვა საზომით იზომება, სხვა მიდგომას საჭიროებს. ახლა მეურნეობა დგება საკუთარი გეგმა-ვალდებულებების წინაშე და მათ დაგეგმვა-განხორციელებაში თვითეულ ჰექტარ მიწას ოქროს ფასი აქვს.

ვისი ბრალია თუშეთში ცხოვრების ჩაკვდომა? ამ კითხვაზე ხომ გახსოვთ, რა თქვა ალვანში ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, — ახლა ამ ამბავს ნუ გამოვუდგებითო: მოდით, ნურც ჩვენ გამოვუდგებით. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა მიზეზთან ერთად ამ საქმეში ბრალი პირველ რიგში ზემო და ქვემო ალვანის ჯერ კოლმეურნეობებს, ხოლო შემდეგ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობასაც მიუძღვით.

ჩემი აზრით, საქმის გამოსასწორებლად სულ არ იყო საჭირო ზემდგომი ორგანოების კარნახი. მეურნეობათა ხელმძღვანელებს თვითონ უნდა განესაზღვრათ ამ კუთხის შესაძლებლობანი, გამოენახათ რეზერვების ასამოქმედებელი გზები და, რაც მთავარია, სიყვარული, სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ თუშეთის მიმართ. ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა წლების მანძილზე მეწველი ძროხის ერთ ბრიგადას ზაფხულობით დართლოს საბოსლეების „კაკანიათად" წოდებულ ადგილებში აყენებდა. წელს კი არ ვიცი, რა მიზეზით, ბრიგადას ადგილი მოუნაცვლეს და დართლოს გვერდით ჩააყენეს. ეს დიდი შეცდომაა მეურნეობის ხელმძღვანელობის მხრივ. მთელი ჩვენი რესპუბლიკა წელს თუშეთის მომავალზე ლაპარაკობდა და მათ სხვაგვარად ფიქრის უფლება არ ჰქონდათ. უნდა გვახსოვდეს, ეს საერთო საქმის დამღუპველი მოქმედებაა და სამერმისოს არაფერს მოგვცემს. არა თუ დროა, დაგვიანებულიც კია და საჭიროა ზემო ალვანმაც ამ კუთხეში ცხოვრების აღდგენაზე იფიქროს. ჭემოსი, დანოსი, დართლოსი და დართლოს საბოსლეების დაცვით სულ ცოტა ორასი სული მსხვილფეხა პირუტყვის გამოზამთრება შეიძლება.

ყოველივე ამის თქმა იმიტომ დამჭირდა, რომ თუშეთის დაცარიელებით მარტო მიწის სიკეთე როდი დავკარ-

გეთ. დავკარგეთ ყოველივე ის, რაც თუშური იყო, რაც ჩვენს წინაპრებს საუკუნეების მანძილზე შრომითი რუდუნებითა და დიდი გამოცდილებით ჰქონდათ მოპოვებული. გაქრა თუში ქალის ხელით დამზადებული ფარდაგი, ქსელი, ხალიჩა, ჩითი და სხვა მრავალი რამ. შემცირდა ამ კუთხის ფლორა და ფაუნა, გადასხვაფერდნენ თუშური ცხვარი, ცხენი, ძროხა. ახლა უკვე ძნელია ჯიშის წარმოშობითობაზე ლაპარაკი. სასოფლო საბჭოსა და მეურნეობების ხელმძღვანელობათა ერთ უმთავრეს საზრუნავს სწორედ ამის აღდგენა წარმოადგენს.

1981 წლის 11 ივლისი თუშების, მთელი ქართველი ხალხის ისტორიაში დაუვიწყარ თარიღად შევა. ამ დღეს თუშეთის მიწაზე პირველად დაისახა ჩვენი კუთხის ნამდვილი აღორძინების ღონისძიებანი, ჩამოყალიბდა თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. ეს უაღრესად სწორი გადაწყვეტილება იყო და ჩვენც უწინარეს დავინახეთ რესპუბლიკისა და რაიონის ხელმძღვანელობის დიდი ზრუნვა თუშეთისა და მისი ხალხის მიმართ. ეს ფაქტი გამოძახილია იმ დიდი ძვრებისა, რასაც ჩვენი რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობა ახორციელებს.

თუშეთში მეურნეობის ჩამოყალიბებას ბევრნი ადრეც და დღესაც საეჭვოდ მიიჩნევდნენ და ვარაუდობდნენ, ეს ზარალის მეტს არაფერს მოგვცემსო. ეს არ არის სწორი თვალსაზრისი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ასეთ ფაქტს: თუ ბარად ერთ სულ მსხვილფეხა პირუტყვზე ითვალისწინებდნენ 2000 კილოგრამზე მეტ საკვებს, მთაში მხოლოდ 1400 კილოგრამი საკვებია საჭირო, რადგან აქ პირუტყვი 5 თვის მანძილზე საიალაღო საძოვრებზე იმყოფება. საიალაღო ძოვებას აქვს კიდევ ერთი დადებითი მხარე. ის არ მოითხოვს ელექტროენერგიას, ტრანსპორტისა და მათზე დასაქმებული პერსონალის შრომით დანახარჯებს. საიალაღო ძოვების დადებითი მხარე კიდევ ისიც, [illegible] თუ ბარად 100 სულ პირუტყვზე [illegible] მწყემსი უნდა, მთაში ერთი მწყემსიც ჰყოფნის. ამიტომ იმ ამხანაგების ვარაუდი, ვინც თუშეთში მეცხოველეობის მეურნეობის რენტაბელობაზე ეჭვობს, სხვა არაფერია, თუ არა უცოდინარობიდან გამომდინარე უსაფუძვლო შიში და მერყეობა. თუ მეცხოველეობის მეურნეობის ხელმძღვანელობას და სხვა პასუხისმგებელ პირთ ნებისყოფა და შემართების უნარი არ უღალატებთ, თუ მათ ამოძრავებთ ამ კუთხისადმი ჭეშმარიტი სიყვარული და მოვალეობის გრძნობა, თუშეთი რამდენიმე წელში თავის სიტყვას იტყვის და საკუთარ წვლილს შეიტანს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში.

დღეს თუშეთის მეცხოველეობის მეურნეობის სამეურნეო ბალანსის ზრდაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ნაადრევია, რადგან ის ახლა იდგამს ფეხს. მას მზრუნველი ხელი, გულმხურვალე პატრიოტული თანადგომა უნდა. არ უნდა შეგვეშინდეს, რომ თუშეთის მეცხოველეობის მეურნეობაში ჯერ საძირკვლის ქვაც კი არ დადუღაბებულა ხეირიანად. ეს კუთხე ჩვენმა წინაპრებმა კავითა და წერაქვით ააშენეს, ახლა კი მანქანური სიკეთე ჩვენს ხელთაა. უკვე დიდი ხანია ომალოში, შენაქოში და დიკლოში მინდვრის სამუშაოებს მძლავრი ტრაქტორები ასრულებენ.

თუშეთის მეცხოველეობის მეურნეობა ძირითადად ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ხარჯზე ჩამოყალიბდება. გარკვეული დანაკლისიც, რა თქმა უნდა, ამ მეურნეობამ განიცადა, მაგრამ ეს ისეთი დანაკლისია, რომელიც არ იკარგება და ამით ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა პირიქით, უნდა ამაყობდეს. დადგება დრო და ასეთი „ხარჯის“ გალება ზემო ალვანის მეურნეობასაც მოუწევს. ამიტომ იმათ, ვინც თუშეთში წასვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილს გამოთქვამს, გზა არ უნდა გადავუღლობოთ.

თუშეთში მეურნეობის ჩამოყალიბება ისეთი მოძრაობაა, რომელსაც თუშეთისათვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს. მიმდინარე წელს თბილგვირაბმშენის მე-9 საგვირაბო რაზმის ალვანის უბანი, რომელსაც ჩვენი კუთხის დიდი პატრიოტი ბატონი ავთანდილ გალდავაძე ხელმძღვანელობს, სამანქანო გზის გაფართოებასა და ორი ხიდის მშენებლობას უკვე ამთავრებს. შემდგომ კი საექსპლოატაციო სამუშაოებს გააგრძელებს ახალი საგზაო-საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ზედელაშვილი ხელმძღვანელობს. გზის ექსპლოატაციაში გადაცემას კი ის სიკეთე მოჰყვება, რომ მთა ბარს უფრო დაუახლოვდება და გაუტოლდება კიდეც.

გზას კვალში უდგას მაღალი ძაბვის გაყვანილობა, რომელსაც „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტი და მისი ერთ-ერთი სამმართველო აშენებს. ჩვენთან იყვნენ ამ ტრესტის მმართველი გრიგოლ სარალიძე და სამმართველოს უფროსი ავთანდილ მახარაშვილი, გვქონდა ერთობლივი გულთბილი, დამაიმედებელი საუბარი ადგილობრივ მცხოვრებლებთან. გასაოცარია მათი მუშაობის ტემპი. უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი. ასევე საქმიანი სტუმრობა ჰქონდა ჩვენთან „საქმთავარენერგოს“ ჯგუფს, რომელსაც გოგიაშვილი ხელმძღვანელობს. მათმა სტუმრობამ გარკვეული ბიძგი მისცა ომალოს განახლების საქმეს და თუ ისინი დანაპირებს შეასრულებენ, საოქტომბრო ზეიმს ლამპიონებით გაჩახჩახებულ შუქზე ვიზეიმებთ.

წლეულს მაღალი ძაბვის ხაზის გამოცდის წელი იქნება. შესაძლებელია ზვავმა ანძა მოწყვიტოს, ან ჭირხლმა ხაზი დააზიანოს, ამიტომ ომალოში სასწრაფოდ უნდა დაიდგას სადიზელო სადგური, რომელიც მარაგ სამუშაოსათვის იქნება გათვალისწინებული. მომავალი წლიდან დაიწყება თორღვას აბანოს ქვემოთა მონაკვეთი გზის გაფართოება. აქაც მოსალოდნელია ხაზის დაზიანების შემთხვევები და სადიზელო სადგური აგვაცილებს თავიდან ყოველგვარ მოულოდნელობას. ადგილზე ხალხის მტკიცედ დამკვიდრება ბევრად იქნება დამოკიდებული ელექტროენერგიის სიკეთეზე, ამიტომ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მიმდინარე წელს ომალომ უნდა მიიღოს ელექტროშუქი.

რა თქმა უნდა, ახლად ჩამოყალიბებულ მეურნეობას გაუჭირდება, თუ არ შევქმენით ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო პირობები. აქედან ერთ მთავარ პირობად მიგვაჩნია ექიმი-ქირურგისა და სტომატოლოგის საზამთროდ ყოფნა მთათუშეთში. თანამედროვე მშრომელმა კაცმა შესანიშნავად იცის მთელი რიგი დაავადებების მიზეზებიცა და მათი სავალალო შედეგებიც. თუშეთში საცხოვრებლად დარჩენაზე ზოგჯერ სწორედ იმ მიზეზითაც ამბობენ უარს, რომ ჩვენში ექიმის გამოგზავნა დღემდის ვერ მოხერხდა. ჯანდაცვის სამინისტრომ, ახმეტის რაისაავადმყოფომ ყველაფერი უნდა იღონონ საამისოდ.

რა დასამალია, საზაფხულოდ ყველას უნდა მთაში ამოსვლა, საზამთროდ დარჩენა კი უჭირთ. ამიტომ მკურნალი ექიმები ჩვენთან დავალების წესით უნდა გამოგზავნონ, სულ ცოტა ერთი წლით. საბჭოთა მედიცინის მუშაკს არავითარი მორალური უფლება არა აქვს, უარი თქვას ხალხის სამსახურზე. თუ ვინმე თავისი კაცური კაცობით იკისრებს აქ ამოსვლას, მას ყველა პირობას შევუქმნით, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

საბაგირო გზების მშენებლობის სამმართველო ჯერ კიდევ ორი წლის წინ გვპირდებოდა ომალო-შენაქოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დაწყებას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ამ მიმართულებით ბოძიც არავის ჩაუდგამს.

კომუნალური მეურნეობის სამინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა შეგვპირდა ორი ფინური სახლის გადმოტანას. მაგრამ ზამთარი უკვე კარზე მოგვადგა და, ეტყობა, ამ საქმეს წელს თავი ვერ მოებმება. ამავე სამინისტროს განკარგულებით საშეფო დახმარების წესით უნდა მივიღოთ კინოაპარატურა, რომლის ღირებულება 2555 მანეთს შეადგენს. მართალია, ის ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ ვიცით, რომ მივიღებთ. ეს დიდი საჩუქარია ჩვენთვის, რაზედაც ულრმეს მადლობას მოვახსენებთ მის ხელმძღვანელებს.

სასიხარულო იყო ჩვენთვის გლდანის რაიონის მედიკოსთა ჯგუფისა და თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელთა ამოსვლა. ამხანაგებმა ჩაატარეს გამსვლელი სესია. სკოლას საჩუქრად გადმოსცეს წიგნები, კაბინეტების მოწყობილობები... ექიმთა ჯგუფმა მოახდინა სკოლა-ინტერნატისა და ადგილობრივ მკვიდრთა საექიმო შემოწმება. მისცა მათ საჭირო რჩევა-დარიგება. ერთი მოსწავლე კი, მათი რჩევით, გავაგზავნეთ გლდანის რაიონულ კლინიკაში და დაუყოვნებლივ მოათავსეს საავადმყოფოში.

მომავალ წელს დაიწყება ორსართულიანი სკოლა-ინტერნატის მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებულია ასი ბავშვისათვის. მომავალი წლიდანვე დაიწყება გზის მშენებლობა გომეწრის მიმართულებით, რომლის საერთო სიგრძე 30 კილომეტრი იქნება. ეს გადამწყვეტ როლს შეასრულებს გომეწრის ხეობის ათვისებასა და აღდგენაში.

ამის შემდეგაც კვლავ ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი თუშეთში. კარგი იქნება თუ ძეგლთა დაცვის სამმართველო ნაკრძალებია ფილიალებად მაინც გამოაცხადებს სოფლებს — დართლოს, შენაქოს, დიკლოს, დოჭუსა და ფარსმას. ამ სოფლის ფიქალით დახურულ სახლთა თავანებს უკვე შეერია თუნუქის სახურავები და თუ არ მივხედავთ, ტიპიური თუშური სოფელი აღარ გვექნება. თუშური ციხე-კოშკების საუკეთესო კომპლექსია ომალოს [illegible] ის ახლა სანახევროდ დანგრეულია და აღდგენა სჭირდება. გული მეუბნება, რომ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სახელმწიფო მუზეუმი საშეფო დახმარებას გაგვიწევენ ამ საქმეში. ზაფხულში დიდი მოთხოვნილება გამომცხვარ პურზე. უცილებელია ცეკავშირმა მომავალი წლიდან ამაზედაც იზრუნოს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საშეფო დახმარების წესით გამოგვიყო კინოაპარატურის ერთი კომპლექტი. აპარატურას მალე დავდგამთ, მაგრამ გაგვიჭირდება ზამთარში კინოფილმების სისტემატური შემოტანა. ამიტომ კინოგაქირავების რესპუბლიკური კომიტეტის დახმარებაც დაგვჭირდება ამ საქმეში.

ადამიანები მომავლის იმედით ცხოვრობენ. როცა თუშეთში განქარდა და მოიშალა საცხოვრებელი პირობები, როდესაც ხალხმა ველარაფერი დაინახა სახარბიელო თუშეთის მომავალში, ზოგმა საკუთარი სახლი თვითონ დაანგრია. ახლა კი, როცა მანქანა შემოვიდა მთაშიაც, როდესაც სამირკველი ჩაეყარა მის ახალ აღორძინებას, თუშებმა კვლავ მოაშურეს მამა-პაპათა ნაფუძარებს. მიმდინარეობს ინტენსიური მშენებლობა. სოფლები ცოცხლდება, ხიაოს ჭალა, ჭილო, გირევი, თუ ორი წლის წინ მიწასთან იყო გასწორებული, ახლა ყველა ნაფუძარი აღდგენილია და ზაფხულობით უკვე ამოდის ხალხი საცხოვრებლად

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, წელს იმედი გვაქვს ომალოში სინათლის შემოსვლისა. მომავალი წლიდან ეს სიკეთე გზას ხახაბოსა და დიკლო-შენაქოსკენ გაიკვლევს. სინათლეს მოჰყვება მრავალი სიკეთე და მათ შორის ცისფერი ეკრანიც. მაშინ თუშეთში უკვე აღარ დაგვჭირდება ვისიმე ნაძალადევი მიპატიჟება.

ქვემო და ზემო ალვანის მეცხვარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის საბჭოთა მეურნეობები დიდ დანაკლისს განიცდიან ხორცის ჩაბარების საქმეში. მთიდან ჩამორეკილი ფარა ხორცის დანაკარგს ჯერ მგზავრობის დროს გვაძლევს, შემდეგ, ბევრ შემთხვევაში, ხორცკომბინატები ვერ ახერხებენ პირუტყვის დროულად მიღებას და ფარებს უხდებათ მთელი კვირაობით რიყეებსა და უბალახო ადგილებში ტრიალი. ამით ერთი ცხვარი საშუალოდ 10 კგ ხორცის დანაკლისს იძლევა.

ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება თუშეთის მეურნეობაც და, ვფიქრობთ, თუშეთში შევქმნათ მაცივარი, რაც თავის მხრივ მუშახელის მიზიდვის საშუალებაც იქნება.

ახალი მეურნეობის ჩამოყალიბება ახალი სიცოცხლეა თუშეთისათვის.

განგებ არ ვაქციე დიალოგად გერმანე სისაურის ნაამბობი. ვფიქრობ, არავითარი ჟურნალისტურ-მწერლური შელამაზება არ სჭირდება იმ გულისტკივილსა და მომავლის იმედებს, საქმის ღრმა ცოდნასა და თავისი კუთხისადმი უანგარო ზრუნვას, რაც სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ალბათ მილიონჯერ გაანალიზებული მოსაზრებებიდან გავიგეთ. მხოლოდ ერთს დავძენ, ერთ პატარა კომენტარს გავუკეთებ სოფლის საბჭოს თავმჯდომარის სიტყვებს. ეს კომენტარი თვალნათლივ დაგვანახებს, რა სწრაფად იცვლება მოვლენები, რა სწრაფად იცვლის იერს ახალი თუშეთი. ელექტროდენი, რომელზეც ასე სასოებით ლაპარაკობდა გერმანე სისაური, უკვე მივიდა ომალოში. დიზელიც დამონტაჟდა და ამუშავდა. მკაცრი ზამთარი იცის თუშეთში, ქარიანი, თოვლიანი და ზვავიანი. იქნებ ზვავმა რომელიმე ანძა დააზიანოს. იქნებ მთლიანად მოგლიჯოს კიდეც. არც ესაა გამორიცხული. მაშინ დიზელი შეცვლის ელსადგურის დენს.

და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ გაკეთდება, სანამ ეს მასალა წიგნად გამოვა. ვინ იცის, რამდენი პრობლემა გადაიჭრება და რამდენ სიხარულს იზეიმებს ახალი თუშეთი.

## გ ზ ა

სამი რამ არის აუცილებელი სოფლისათვის: გზა, წყალი და ელექტრონი.

— გზა ბევრ რამეს შემოიტანს თუშეთში, — თქვა ომალოში საზეიმო შეხვედრაზე ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, — ბევრსაც გაიტანს.

ჭეშმარიტი სიტყვებია, სადაც გზაა, იქ მოსახლეობაა, იქ მეურნეობაა, იქ კავშირია მთასა და ბართან. გზა ის ძარღვია, სადაც სოფლის სასიცოცხლო სისხლი ბრუნავს.

ადრე ვთქვით, თუშეთიდან მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით გადმოდიოდნენ კახეთში. მხოლოდ მომცრო ტანის, მაგრამ ერთ აკორდად შეკრული, გამძლე და თვინიერი თუშური ცხენი იყო მათი ერთადერთი „ტრანსპორტი“ ძნელი გზა უნდა გაევლო თუშ კაცს, სანამ იგი კახეთში გადმოვიდოდა. საცალფეხო ბილიკი ბულაჩნის წვერსა და შავკლდის შუა, ზღვის დონიდან 2988 მეტრის სიმაღლეზე მიიკლაკნებოდა.

მხოლოდ 1950 წელს გადაიდგა პირველი ნაბიჯები თუშეთისაკენ მიმავალი სამანქანო გზის მშენებლობისა სოფელ ფშაველიდან სტორის ხეობის გავლით. გზა მაშინ რიგითმა ინჟინერმა ფარნაოზ კახიძემ დააპროექტა. ახლა იგი პირველი მოადგილეა საქართველოს გზათა მშენებლობის მინისტრისა და დღესაც უშუალოდ ხელმძღვანელობს თავის პირმშოს.

ნაადრევი გამოდგა თუშთა სიხარული, გზამ მხოლოდ თორღვას აბანომდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაღწია, ფშავლიდან ოცდამეცამეტე კილომეტრზე...

შემდეგ...

შემდეგ მოხდა ის, რაც იმ პერიოდში უნდა მომხდარიყო, როგორც ბევრი სხვა ეროვნული ტკივილისათვის, თუშეთისთვისაც არავის ეცალა, გზის მშენებლობა შეწყდა.

1971 წელს თითქოს საქმე ისევ დაიძრა წინ. თორღვას აბანოდან ომალომდე გზის მშენებლობა დაევალა საქსოფლტექნიკის აუთვისებელ საძოვრებზე მისასვლელი გზების სამშენებლო სამმართველოს. გზა ნელა მიიწევდა წინ.

1975 წლამდე მხოლოდ 16 კილომეტრი მიემატა ომალოსკენ მიმავალ გზას. 1975 წლის 22 ივნისს ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ვერტმფრენით გადაფრინდა ომალოში. მოიარა სოფლები, ახლოს გაეცნო თუშთა ცხოვრებას, მათ ლხინსა და ჭირს. ამ მოგზაურობაზე უკვე გვქონდა საუბარი. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ იქვე გადაწყდა მნიშვნელოვანი ამოცანა, იქვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი: გზის მშენებლობის შემდეგი გაგრძელება დაევალა თბილგვირაბმშენის სამმართველოს (უფროსი ვ. გოცირიძე, მთავარი ინჟინერი ბ. ფაჩულია) მეცხრე საგვირაბო რაზმის (უფროსი გ. ჯაყელი, მთავარი ინჟინერი მ. დათებოვი) ალვანის სამშენებლო უბანს, რომელსაც ავთანდილ გალდავაძე უდგას სათავეში.

— მანამდე ამ მოგზაურობას წინ უსწრებდა ჩემი მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი,—მითხრა ვაჟა ბატიაშვილმა, — მიმართვა 1975 წლის 27 იანვარს მივიტანე ცენტრალურ კომიტეტში. აი, ამ მიმართვის ტექსტიც:

**საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს**

საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომი გაცნობებთ, რომ საზაფხულო საძოვრებზე მიმავალი თორღვას აბანო-ომალოს გზის მშენებლობა, რომელიც დაიწყო 1971 წელს და უნდა დამთავრებულიყო 1975 წელს, მიმდინარეობს ნელი ტემპით.

43 კილომეტრიდან, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2772 ათას მანეთს, 1975 წლის 1 იანვრისათვის გაკეთებულია მხოლოდ 17 კილომეტრი და ათვისებულია 1090 ათასი მანეთი.

„საქსოფლტექნიკის" რესპუბლიკური გაერთიანების საძოვრებთან მიმავალი გზების მშენებლობის სპეციალური სამმართველო, რომელიც აწარმოებს გზის მშენებლობას, ვერ უზრუნველყოფს მის დადგენილ ვადებში დამთავრებას, რაც დიდად უშლის ხელს რაიონის მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას.

ახმეტის რაიონში საზამთრო საძოვრებზე გზის მშენებლობას აწარმოებს „თბილგვირაბმშენის" № 9 საგვირაბო რაზმის ალვანის უბანი, რომელიც დროულად და ხარისხიანად ასრულებს მიცემულ გეგმას. ამავე უბანს გააჩნია მძლავრი ტექნიკური შესაძლებლობა, აიღოს თორღვას აბანო-ომალოს გზის მშენებლობა და უზრუნველყოს მისი 1976 წელს დამთავრება.

გთხოვთ გვიშუამდგომლოთ სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს წინაშე, რათა ნება დაერთოს „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს, აიღოს თორღვას აბანო-ომალოს გზის დარჩენილი 26 კილომეტრის სამუშაოები, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1792 ათას მანეთს და 1975 წელს „თბილგვირაბმშენს" ამ გზაზე სამუშაოების შესასრულებლად დაუგეგმოს 893 ათასი მანეთი.

საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი — **ვ. ბატიაშვილი.**

— მარტო მიმართვა როდი ვიკმარე, მთავრობის დეპეშის ტექსტიც გამზადებული მქონდა საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის მოადგილის ამხანაგ ი. დ. სოსნოვის სახელზე, — იგონებს რაიკომის პირველი მდივანი, — ამხანაგმა ედუარდმა ყურადღებით წაიკითხა ჩემი მიმართვა, დეპეშის გაგზავნაც მიზანშეწონილად ჩათვალა, ოღონდ დასძინა — რატომ მოადგილის სახელზე? დეპეშა პირდაპირ მინისტრს გავუგზავნოთო.

დავიბენი, შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, მაინც გავბედე და ვუთხარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯობია მოადგილეს გავუგზავნოთ, მას-თან უკვე მოლაპარაკებული და შეთანხმებული ვარ-მეთქი. აღელვებულს კინალამ წამომცდა — „საქმე ჩაწყობილი მაქვს-მეთქი". ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ გაიღიმა და დეპეშაც გაიგზავნა. ბარემ ამ დეპეშის ტექსტსაც გაეცანით:

Правительственная

**ЗАМЕСТИТЕЛЮ МИНИСТРА ТРАНСПОРТНОГО СТРОИТЕЛЬСТВА СССР**
**Товарищу СОСНОВУ И. Д.**

Коллектив Тбилтоннельстроя свыше 10 лет успешно осуществляет строительство сельскохозяйственных объектов в Грузинской республике.

Учитывая важность развития животноводства и создания изобилия продуктов, ЦК КП Грузии, просит вас в плане Тбилтоннельстроя предусмотреть строительство дороги летним пастбищам в Ахметском районе в объеме 1800 тысяч рублей в том числе в 1975 году — 893 тысячи рублей.

Первый секретарь
ЦК КП Грузии— **Э. Шеварднадзе**

— დეპეშაც გაიგზავნა და საქმეც წინ წავიდა. ორი თვის შემდეგ თვითონ ამხანაგი ი. სოსნოვი გახდა საბჭოთა კავშირის გზათა მშენებლობის მინისტრი, ხოლო მისი ადგილი ამხანაგმა ე. ა. ბრეჟნევმა დაიკავა. ასე რომ, ღმერთმა სასიკეთოდ გადმოგვხედა.

— ავთანდილ გალდავაძე როგორი მშენებელია, კმაყოფილი ხართ? — ვეკითხები მე.

— ჩვენ კმაყოფილი ვართ, თქვენ თუ ხართ კმაყოფილი? — ეშმაკურად მოჭუტა თვალი ვაჟა ბატიაშვილმა.

მივხვდი სადაც უკაკუნებდა.

ამ რამდენიმე წლის წინ, „განთიადის" მთავარი რედაქტორი რომ ვიყავი, პოეტმა გივი ძნელაძემ ჩემს კაბინეტში ორმოცდაათიოდე წლის ტანმაღალი, მკაცრი სახის კაცი შემოიყვანა.

— გაიცანი, ავთანდილ გალდავაძე, — მითხრა მან.

„ავთანდილ გალდავაძე", — გავიფიქრე უნებურად, საიდან მახსოვს ეს კაცი?

უცებ გამახსენდა, ამას წინათ ეს სახელი და გვარი ჟურნალ „ცისკარში" წავიკითხე.

მივხვდი, რატომაც მობრძანებულიყვნენ და უსიამო გრძნობა დამეუფლა. „ცისკარში" გამოქვეყნებული მოთხრობა არ მქონდა წაკითხული, არ ვიცი, რა დონისა და რა ძალისა იყო იგი, მაგრამ მაინც ვერ ვიწამე მისი მწერლობა.

— მიზეზი? — იკითხავს ალბათ მკითხველი.

მიზეზი საკმაოდ საფუძვლიანი მქონდა. ამ ასაკში რომ კაცი პირველად სცდის კალამს, არა მგონია, მისგან ხეირიანი რამე გამოდნეს.

მოთხრობა უგულოდ ჩამოვართვი და დავპირდი, ერთ თვეში წავიკითხავ-მეთქი.

ერთ თვეში კი ჟურნალ „ცისკარში" გადამიყვანეს. ახლა იქ მომადგა გალდავაძე.

თქვენი მოთხრობა „განთიადში" დავტოვე-მეთქი, — ვუთხარი მე.

— მოთხრობის გამოქვეყნებას არ გთხოვთ, მე თქვენი აზრი მაინტერესებს. სიტყვა სიტყვაა, თქვენ იგი ერთ თვეში უნდა წაგეკითხათ. ახლა მესამე თვეა, წაიკითხეთ?

კითხვა მახვილივით მოიქნია.

მე სიტყვის კაცს მეძახიან და შემრცხვა. პირობა რომ ვერ შევასრულე, ვუთხარი, ხვალ მობრძანდით-მეთქი.

ავთანდილ გალდავაძეს სახეზე ძარღვიც არ შეტოკებია, ბატონი ბრძანდებით, ოღონდ რომელ საათზე გეახლოთ, — მითხრა დინჯად

თუ არ ვცდები, სამი საათი ვუთხარი. თანაც ერთი დასკვნაც გავაკეთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგარი „მიმწოლი“ ყოფილა-მეთქი.

— სამ საათზე თქვენთან ვიქნებით, — თქვა დინჯად და წავიდა.

უმალვე გივი ძნელაძე გამოვიძახე, იგი „ცისკარში“ დამხვდა, პოეზიის განყოფილება ებარა.

— თუ ძმა ხარ, ვინ არის ეს კაცი, თავის საქმეს ვერ მიხედავს? — ვუთხარი გაბრაზებულმა. უკვე ვიცოდი, სად მუშაობდა და რა საქმეს იყო შებმული.

საერთოდ მაღიზიანებს ორ კურდღელს გამოდევნებული ადამიანი. არავისზე ნაკლებად არ მიყვარდა ჩემი ძველი პროფესია, მარტენის საამქრო, ფოლადის დნობა. მეტალურგობა ვაჟკაცური, რომანტიკული სპეციალობაა. ვინც მარტენის საამქროს საიდუმლოს იცნობს, მან კარგად იცის, რომ ყოველი დნობა ჭადრაკის პარტიებივით განსხვავდება ერთმანეთისაგან. რამოდენა შემოქმედებით სიამოვნებას გრძნობ, როცა მარკას აცდენილ დნობას მარკის ჩარჩოებში მოაქცევ. როცა ოსტატურად გაართმევ თავს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო პროცესს მაღალ ტემპერატურაზე — დესულფურაციისას და დეფოსფორაციას. მავნებელი გოგირდის ამოწვას ნადნობიდან მაღალი ტემპერატურა უნდა, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე წიდაში გადაყვანილი ასევე მავნებელი ფოსფორი კვლავ რეაქციაში შედის და ფოლადს უბრუნდება. მეტალურგიას, მიუხედავად თავისი მძიმე პირობებისა, ის რომანტიკა აქვს, რაც არ გააჩნია, ვთქვათ, მექანიკურ ქარხნებს, სადაც ყველაფერი მტკიცედ განსაზღვრულ პრინციპებზეა აგებული.

მიუხედავად დიდი სიყვარულისა, მაინც შევეშვი ამ დარგს. თავიდანვე მივხვდი, ორ კურდღელს ვერ დავიჭერდი. არამც თუ მეტალურგია, მწერლებისათვის უფრო ლვიძლი დარგი, კინოც კი მეორე კურდღლად იქცა დღეს.

— კაცს სიტყვა ხომ მიეცი, წავიკითხავო, ჰოდა, წაიკითხე, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. — ჩვეული სიდინჯით და კეთილი ღიმილით მითხრა გივი ძნელაძემ.

„განთიადში“ დავრეკე და გალდავაძის მოთხრობა მოვატანინე. თავიდანვე ყურადღება მიიქცია მისმა კარგმა ქართულმა, საოცრად მდიდარმა ლექსიკამ. ხშირად შემხვედრია, ზოგი მწერალი ისე უადგილო ადგილზე „გააცოცხლებს“ რაიმე მივიწყებულ ქართულ სიტყვას, რომ ღიზიანდები და არავითარი სურვილი არ გიჩნდება ის სიტყვა ლიტერატურაში დაამკვიდრო. აქ იმდენად ბუნებრივი იყო გალდავაძის ლექსიკა, იმდენად ორგანული იყო იგი მისი აზროვნებისათვის, მისი ფრაზისათვის, რომ მონათხრობი წყაროსავით ლალად და ანკარად მიედინებოდა.

შეცდომებიც ჰქონდა, მწერლურ შეცდომებს ვგულისხმობ, გმირების ხასიათის გულუბრყვილო გახსნაც, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ხელში ნამდვილი მოთხრობა მეჭირა.

ავთანდილ გალდავაძე მეორე დღეს ზუსტად სამ საათზე მობრძანდა. მგონი, მთელი ორი საათი ვისაუბრეთ, ჩემი შენიშვნები ვუთხარი, თან შევეცადე შეეგრძნო თავისი შეცდომები. ავთანდილმა მოთხრობა წაიღო და ერთი თვის შემდეგ უკან მომიტანა.

ამ მოთხრობას ახლა უკვე იცნობს ჩვენი მკითხველი, მისი სათაურია „ზიგზაგი“.

მას შემდეგ კიდევ რამდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა ავთანდილ გალდავაძემ და ბოლოს რომანიც. ამ რომანზე, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა და ამჟამად ჩვენთან, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ არის გამოსაცემად, ბევრს არ ვილაპარაკებ, მოვიყვან მხოლოდ ერთ ციტატას, რომელიც მწერალ რევაზ ჯაფარიძეს ეკუთვნის: „ავთანდილ გალდავაძემ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ „მნათობში“ გამოქვეყნებული საინტერესო მოთხრობით მიიპყრო. ამჟამად ის „ცისკარში“ დასტამბული რომანით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგვიდგა. მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ა. გალდავაძის „ძრწოდე მდიდართა შიშით" ქართველი მწერლების მიერ ამ ბოლო დროს შექმნილ რომანებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო და საყურადღებოა".

თამამი განცხადებაა, მაგრამ რევაზ ჯაფარიძე ალბათ თვითონვე აგებს პასუხს თავის სიტყვებზე.

ერთი სიტყვით, ავთანდილ გალდავაძე ორთავე ფრონტზე კარგად გრძნობს თავს. მისი შემოქმედების შეფასება მკითხველისათვის მიგვინდვია. ახლა კვლავ გზას მივუბრუნდეთ, გზას, რომელსაც სიცოცხლე შეაქვს განახლებულ თუშეთში.

ომალოსკენ მიმავალი გზის მშენებლობა მართლაც რომ საყოველთაო ყურადღების საგნად იქცა. გზის მშენებელთა წინაშე წამოჭრილ სიძნელეებსა და პრობლემებს ოპერატიულად იხილავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ადგილზეც, პარტიის ახმეტის რაიონულ კომიტეტში. თათბირებს ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. საკითხების გადაჭრაში დიდ როლს ასრულებდნენ პარტიის ახმეტის რაიონული კომიტეტის მდივანი ვაჟა ბატიაშვილი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრი შოთა ეცადაშვილი, მისი მოადგილე თ. ჩიკვაიძე, საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე ვ. კახიძე, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი ი. სამადალაშვილი, ცეკავშირის სამმართველოს უფროსი კ. შავიშვილი, თბილისის სახელმწიფო საავტომობილო გზების საპროექტო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ი. მოდებაძე, თბილგვირაბმშენის წარმომადგენლები: ვ. გოცირიძე, გ. ჯაყელი, ა. გალდავაძე, საქსოფლტექნიკის ახმეტის განყოფილების უფროსი ჯერ ვ. თორღვაიძე, მერე ა. მარლიშვილი და მრავალი სხვა.

16 ბულდოზერი, 12 კომპრესორი, 14 საბურღავი აგრეგატი, 12 გადასატანი ელექტროსადგური, ექსკავატორები, ტრაქტორები, ავტომანქანები, ავტოამწეები, ავტოცისტერნები, ბეტონსარევები, ტუმბოები და ვინ მოთვლის, კიდევ რა ტექნიკური საშუალებანი მიაყარეს გზის მშენებლობას. აშენდა ორი ხიდი, გოფრირებული რკინის მილ-ხიდები, საყრდენი კედლები, ბეტონისა და მოკირწყლული მონაკვეთები. სტორის ხეობაში, თორღვას აბანოდან ცერის ულელტეხილამდე და შემდეგ ჭანჭახოვანის ხეობაში მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მძლავრი სუნთქვა იგრძნობოდა. გზათამშენებლების ტექნიკას ემატებოდა მაღალი ძაბვის გამყვანთა ტექნიკის გუგუნიც. საუკუნეების მანძილზე მთებს შორის ჩაწოლილ სიჩუმეს ინდუსტრიული ტალღა სადღაც, შორეული ხეობისაკენ მიერეკებოდა.

მერედა რამდენ ხიფათთან იყო დაკავშირებული გზის მშენებლობა. რისკი და ვაჟკაცობა — აი, კიდევ რით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი მუშა თუ სპეციალისტი. თვალჩაუწვდენელი ხრამები, შვეული დამრეცები, ჩახერგილი ხეები, დიდთოვლობა, ქარბუქი, ნამქერები, ზვავები, მეწყერები, ნიაღვრები, ჯანღი, სეტყვა და ვინ მოთვლის, კიდევ რა... აი, გარდა უშუალოდ გზის გაყვანისა, რას უნდა შებრძოლებოდნენ მამაცი მშენებლები. ამიტომაც მინდა არავინ გამომრჩეს ამ ვაჟკაცი, მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანებიდან, რომლებიც არ შეუშინდნენ არც გაჭირვებას, არც ხიფათს და საკუთარი სიცოცხლის რისკის საფასურად შეებნენ ბუნების მრისხანე სტიქიას.

აი, ისინიც:

ინჟინრები ზ. გარსევანიშვილი, ბ. თორღვაიძე, ტ. კვეზერიძე, კ. ლუხუმაიძე, შ. ბილოიძე, ვ. ცისკარიშვილი, ფ. კოჭლამაზაშვილი, ტ. ცაძიკიძე, ვ. ზარიძე, ნ. ჯიქურიძე; მექანიზატორები: ი. ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურაშვილი, ი. ყაზარაშვილი, გ. დოინჯიშვილი, ი. ჯუგაშვილი, ე. ბოდაველი, ა. ბაბილაშვილი, გ. წითელაური, ი. შაბალაიძე, კ. სურამლიშვილი, ა. შეთეკაური, ა. ნარუსლიშვილი, გ. ტერტერაშვილი, ა. დოინჯიშვილი, ა. ჯანიბეგაშვილი, ა. ქაძე, ჯ. ბაკურიძე, ლ. ქაძე, მ. ლუხუმაიძე, ნ. აბულიძე, უ. აბულიძე, ჯ. მურთაზაშვილი, პ. ცუხრუკაიძე, თ. ქაძე; მბურღავები: ფ. თავბერიძე, შ. წომიკურიძე, ტ. თორღვაიძე, გ. თორღვაიძე, ს. მიქაიძე, თ. იდოიძე, უ. ბექურაიძე, ყ. ბახტურიძე, პ. მურთაზაშვილი, გ. სისაური, შ. ჯამრულიძე, დ. აქიმიძე, შ. ლილაური, ჯ. კახოიძე, ი. მელაიძე, ო. ჩეთაიძე, ე. ხვედაგურიძე, თ. ხვედაგურიძე, ა. ბახტურიძე, ვ. თორღვაიძე; მებეტონეები: ი. კობიაშვილი, გ. ნეკერაული, კ. ბექურაიძე, დ. ხუცოიძე, ვ. შანქიშვილი, ვ. ქარსამაული, ლ. იჭირაული, ი. აქიმიძე, გ. ბუქვაიძე, ს. ბუქვაიძე, ი. რჩეულიშვილი, შ. ალიაიძე, ვ. ქაძე, გ. გაუარაშვილი, ს. ნაბელიშვილი, ვ. ხუციძე, შ. იჭირაული, ა. ძებისაშვილი, ი. იჭირაული, კ. ბაშინურიძე; ამფეთქებლები: ვ. გოგოიძე, ნ. აბესაძე, გ. ასაბაშვილი, გ. ქეშეკაშვილი; ელექტრომემდუღებლები: შ. ჯიქურიძე, ა. აბაიძე, ვ. ქელეხსაევი, ნ. მალაკელიძე, მ. ჩორგოლაშვილი, გ. ირემაშვილი; შოფრები: თ. მამალაშვილი, ვ. ბილოიძე, ნ. გიგოიძე, ს. ქიქაიძე, ქ. ხუციძე, ფ. დანიელაშვილი, ს. უსენაშვილი, ქ. ქავთარიშვილი, ფ. ვეფხიშვილი, თ. ღულელაური, მ. მიქაიძე, ზ. პაპაშვილი, თ. გესლიაძე, ი. პაპაშვილი, დ. გიგოიძე, გ. ბაინდურაშვილი, აზ. თორლოშვილი, გ. იუკურიძე, ზ. ლუზარაული, არ. თორლოშვილი, კ. ნოზაძე, ს. აგურაშვილი, შ. ირემაძე, ჯ. არაბიძე.

ერთი რამეც უნდა ვთქვათ სიამოვნებით, აქ ჩამოთვლილთა შორის ძირითადად ადგილობრივი მკვიდრნი არიან.

თავდაპირველად გზის მშენებლობა, პროექტის თანახმად, მხოლოდ ერთი, თორღვას აბანოს მხრიდან მიმდინარეობდა. მძიმე კლიმატური პირობების გამო წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხ თვეს თუ შეიძლებოდა მუშაობა. ასე რომ გაგრძელებულიყო, ალბათ ათი წელი მაინც დასჭირდებოდა გზის გაყვანას. მშენებელთა ინიციატივით 1976 წლიდან მუშაობა ომალოს მხრიდანაც გაჩაღდა.

ადვილი სათქმელია, გაჩაღდა!

ამდენ ტექნიკას, მანქანა-იარაღებს, ასაფეთქებელ და საწვავ-საპოხ მასალებს, ათასგვარ დანადგარებს, სამშენებლო მასალასა და კვების პროდუქტებს გადატანა არ უნდოდა?

აქ თავისი სიტყვა თქვა ავიაციამ. სამოქალაქო ვერტმფრენები, როგორც კი მთები ჯანღს გადაიყრიდნენ, თელავიდან ომალომდე საჰაერო ხიდს დებდნენ. პირქუში მთები ყოველდღე როდი იხსნიან გულს, ხშირად დღის განმავლობაში კი რამდენჯერმე იცვლება ამინდი. ვინ მოთვლის ომალოში რამდენჯერ ჩარჩენილა ვერტმფრენი რამდენიმე დღითაც კი, ერთბაშად ჩაწოლილი ნისლისა და უამინდობის გამო. ამიტომ, როგორც კი მზის შუქი ხეობებში ჩაწოლილ ნისლს გაარღვევდა და გაფანტავდა, ერთი წუთის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა.

სწორმა და გაბედულმა გადაწყვეტილებამ დიდი შედეგი გამოიღო, წლის განმავლობაში თითქმის ათი-თორმეტი თვის მანძილზე გახდა მუშაობა შესაძლებელი.

წელს კიდევ სამი ხიდი და რამდენიმე გოფრირებული მილ-ხიდი აშენდება გზაზე. წელსვე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, გზის მშენებლობა წარიმართება გომეწრის მიმართულებით, ომალოდან წოვათამდე. გზის სიგრძე ოცდაათი კილომეტრი იქნება.

ოცდაათი კილომეტრი!

იქნებ სტეპში მცხოვრებისათვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცილო იყოს ეს ციფრი.

იაკუტიაში მე მინახავს საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ტერიტორიით ბელგიის ხელა იყო.

თუშეთში კი...

ვინც თუშეთში ყოფილა, მან იცის, რასაც ნიშნავს ოცდაათკილო[illegible] გზა, რომელსაც თან სიცოცხლე, სიხარული, ბავშვთა ჟრიამული და მომავლის ნათელი სხივი შეჰყვება.

## ბაგირ-გზა ომალო-შენაქო

გზები სხვადასხვანაირია, საცალფეხო, საურმე, საავტომობილო, საზღვაოსამდინარო, სარკინიგზო, საჰაერო. მათ გვერდით თანდათან იმკვიდრებს ადგილს საბაგირო გზები.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და სწორედ მისი რელიეფი გვკარნახობს სხვადასხვა დანიშნულების ბაგირგზების მშენებლობას ფართო მასშტაბით. დღეს თუ ბაგირგზების ხვედრითი წილი ძალზე მცირეა რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ხვალ და ზეგ მისი მნიშვნელობა და როლი ძალზე გაიზრდება.

მთავრობის დადგენილებით 1975 წელს, პირველად ჩვენს ქვეყანაში შექმნეს სპეციალური ორგანო — რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბაგირ-გზების განვითარების სამმართველო — „საქბაგირგზა". პირველ ეტაპზე საქბაგირგზას საკორდინაციო ორგანოს ფუნქციები დაეკისრა. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, დიდმა შემოქმედებითმა შრომამ, მეცნიერული და პრაქტიკული საქმის ღრმა ცოდნამ, ენთუზიაზმმა და მასშტაბებმა, რომელიც ამ ახლადშექმნილი კოლექტივისათვის ჩასახვიდან დამახასიათებელი გახდა, და იმ შეუნელებელმა ყურადღებამ, რომელსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენს ამ პერსპექტიული დარგისადმი, შექმნა მტკიცე საფუძველი იმისა, რომ „საქბაგირგზა" მოკლე დროში გაიზარდა და საკავშირო ორგანოების რეკომენდაციით გარდაიქმნა მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოდ „საქმთავარბაგირგზად". მთავრობის დადგენილებით საქმთავარბაგირგზას დაევალა ჩვენი ქვეყნის მეთაური ორგანიზაციის ფუნქცია მთიანი რაიონებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სპეციალური ბაგირგზებისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების კვლევის, დაპროექტების, მშენებლობის, მონტაჟისა და დანერგვა-ათვისების საქმეში. სულ ახლახან საქმთავარბაგირგზა სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით გარდაიქმნა საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტად (საქსახსპეცტრანსი). უდავოა, რომ ბაგირ-გზები მომავალში გახდება მთიანი რაიონების პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება როგორც რესპუბლიკაში, ისე კავშირის მასშტაბით.

როცა მთიანი რაიონების თუ რეგიონების სიკეთეზე ფიქრობს კაცი, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმას, თუ რამდენ წინწასწრებულად არის გაანალიზებული, დასმული და გადაჭრილი ერთი შეხედვით დღეს არც თუ ისე აქტუალური, მაგრამ სინამდვილეში კი მეტად მწვავე სახვალიო დარგობრივი პრობლემები. ამის ნათელი დადასტურებაა X ხუთწლედში საქართველოში თანამედროვე საბაგირო ტრანსპორტისა და მისი სამეცნიერო-საწარმოო ბა-

ზის ეტაპობრივი შექმნის საინტერესო ისტორია და მისი განვითარების პერსპექტივები.

სოფლის მეურნეობისათვის, განსაკუთრებით კი ძნელად მისასვლელ სათიბ-საძოვრებისათვის და მეცხოველეობის საკვები ბაზის შესაქმნელად ბაგირ-გზების დიდ მნიშვნელობაზე პირველად ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ილაპარაკა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XVIII პლენუმზე (1975 წ.) და ამ საქმის განვითარებას სწორედ აქედან მიეცა დასაბამი. ამჟამად კი, როდესაც სასურსათო პრობლემა ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად გადაიქცა, მთელი სიცხადით ნათელი გახდა მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო ყველა არსებული პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა — მათ შორის ბაგირ-გზების შექმნისა და დანერგვისა.

თუშეთში ბაგირ-გზების მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ ექვსი-შვიდი წლის წინ წამოიჭრა. იგი უმალვე აიტაცა ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობამ და მოითხოვა სპეციალისტთა ჯგუფი საჩქაროდ გაეცნობოდა თუშეთის რელიეფს. ზემდგომმა ორგანოებმა მაშინვე დაუჭირეს მხარი ახმეტელთა თხოვნას და პირველი ნაბიჯიც უმალვე გადაიდგა: ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ელექტრომექანიკისა და ავტომატიკის კათედრასთან არსებულმა ბაგირ-გზების დარგობრივმა ლაბორატორიამ მთათუშეთში მიავლინა სპეციალური ექსპედიცია ბაგირ-გზების გამოყენების პერსპექტივების შესასწავლად.

ექსპედიციაში შედიოდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი კონსტანტინე ბარამიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), პროფესორი ანზორ ფესვიანიძე, დოცენტი ივანე რუხაძე, უფროსი მასწავლებელი ხიდარ არუდაშვილი და ინჟინერი ანზორ იდოიძე.

ექსპედიციამ სამუშაო გეგმა შეათანხმა რაიონის ხელმძღვანელობასთან, რომელმაც თავის მხრივ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გამოჰყო ომალოს სოფლსაბჭოს თავმჯდომარე შ. კურდღელაიძე და ქვემო ალვანის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ჯ. მარხვაიძე.

1977 წლის ივლისში, ექსპედიციამ მთათუშეთში იმოგზაურა და ადგილზე შეისწავლა ბაგირ-გზების გამოყენების პერსპექტივები.

აი მათი დასკვნაც: მთათუშეთის შიდასატრანსპორტო პრობლემა შეიძლება გადაწყდეს სხვადასხვა ტიპის ბაგირ-გზების, კიდული საბაგირო ხიდებისა და მუხლუხებიანი თოვლმავალების გამოყენებით. მთათუშეთის ამჟამად არსებული „დასახლებაა“ მდინარეების ხეობათა ფერდობებზე შეფენილი პატარა სოფლები, რომელთა დაკავშირება ომალოსთან ადვილად შეიძლება განვახორციელოთ ხეობის გასწვრივ გაშენებული უმარტივესი ტიპის სავარძლებიანი წრიული ბაგირ-გზებით. ხეობის სხვადასხვა მხარეს განლაგებული სოფლების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ძვირადღირებული ჩვეულებრივი ხიდების ნაცვლად შეიძლება ავაშენოთ მარტივი, იაფი და საიმედო საბაგირო ხიდები; ომალოდან ჩრდილო-აღმოსავლეთის ზეგანზე გაშენებული სოფლები შენაქო და დიკლო ომალოსთან შეიძლება დავაკავშიროთ პირიქითა ალაზნის ღრმა ხევზე გაჭიმული მარტივი ტიპის სახალხო-სატვირთო ბაგირ-გზით. აღნიშნული სოფლების ვაკე ადგილები და თვით ომალოს მიმდებარე ტერიტორია შესაძლებელს ხდის გამოვიყენოთ საძმული წარმოების თოვლმავლები, რომლებსაც ხანგრძლივი ზამთრის პირობებში უბადლო სამსახურის გაწევა შეუძლიათ როგორც შიდასასოფლო ტრანსპორტს.

იმისათვის, რომ ძირითადად გადაიჭრას ეგზოობის პრობლემა, საჭიროა მთათუშეთში აშენდეს სხვადასხვა ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პისა და სიგრძის ბაგირ-გზები, რომელთა ჯამური სიგრძე საორიენტაციოდ შეადგენს 30-35 კილომეტრს, ხოლო საერთო ღირებულება 3-3,5 მილიონ მანეთს არ გადააჭარბებს.

ყველა ამ გზებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახალხო-სატვირთო ბაგირ-გზა — „ომალო-შენაქო", რომლის მშენებლობა უახლოეს მომავალში პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია.

სოფლები შენაქო და დიკლო გაშენებულია ზეგანზე, რომელიც თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობებით მნიშვნელოვნად განსხვავდება მთათუშეთის სხვა ადგილებისაგან. ამით არის განპირობებული ის მდგომარეობა, რომ ამჟამად შენაქო და დიკლო წარმოადგენენ მთათუშეთის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს. ამ ტერიტორიაზე განლაგებულია მეცხვარეობის 6 ბრიგადა, რომელიც მოვლა-პატრონობას უწევს 12000 სულ ცხვარს და 500-მდე მსხვილფეხა საქონელს. სოფლებს გააჩნიათ მიწის სავარგულები, რომლებზედაც ითესება მარცვლეული კულტურები და კარტოფილი. არსებობს ყველა პირობა მეფუტკრეობის განვითარებისათვის. თვალწარმტაცი ბუნება, საუკეთესო კლიმატური პირობები, სასმელი და სამკურნალო წყლები საფუძველს ქმნიან იმისათვის, რომ ეს ადგილები გადავაქციოთ საკურორტო მხარედ.

ომალოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია მთათუშეთის მთელი ფართობის მესამედს შეადგენს. ამ ფართობის დაკავშირება ომალოსთან შესაძლებელია ერთი სამგზავრო-სატვირთო ბაგირ-გზით. ეს ბაგირ-გზა გადაივლის პირიქითა ალაზნის უფსკრულ ხეობაზე, რომელზედაც ამჟამად გადის სავალად მეტად სახიფათო ბილიკი. ბავშვები ამ ხეობაზე ყუთებითა და ხურჯინებით გადაჰყავთ, ხევის სიღრმე 300-350 მეტრია, ბილიკის სიგრძე კი 2,5-3 კილომეტრი. ამ ხევის გადალახვას ბილიკით საათები სჭირდე[illegible] როცა იგივე ხევი მასზე გ[illegible] ბაგირ-გზით (სიგრძე 900 მეტრი, დონეთა სხვაობა 150 მეტრი) ხუთ წუთში გადაილახება.

აღნიშნული ბაგირ-გზის ფუნქციები მარტო ხალხის გადაყვანით არ შემოიფარგლება. ბაგირ-გზა უზრუნველყოფს ცხენიანი მგზავრის, მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და ყველა სახის ტვირთის ტრანსპორტირებას.

ეს იყო 1977 წელს.

ახლა?

ახლა როგორ არის საქმე?

გადაიდგა კი პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ბაგირ-გზების მშენებლობისა?

აი, რა მიამბო საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა შოთა ორჯონიკიძემ: მთელი ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს თუშეთისადმი. როგორც კი მივიღეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალება, შევდგომოდით მთათუშეთში სოფლების ომალოსა და შენაქოს უმოკლესი მანძილით დამაკავშირებელი ბაგირ-გზის ტექნიკური პროექტის დამუშავებას, სასწრაფოდ დავუკავშირდი სოფლის მეურნეობის მინისტრს შოთა ეცადაშვილს და მის მოადგილეს მშენებლობის დარგში თენგიზ ჩიკვაიძეს. მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობთ სასოფლო ბაგირ-გზების განვითარების საქმეში. მალე შევთანხმდით, რომ დაპროექტებისათვის საჭირო საწყისი მონაცემების შედგენა-დამტკიცებისა და ფინანსირების გამოყოფის საკითხი უმოკლეს ვადაში მოგვარდებოდა რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმო კომიტეტის დახმარებით. მთავარია, რომ მუშაობა უკვე დავიწყეთ. მეორე დღეს დილით ჩვენი ჯგუფი — მერესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი გიორგი ფანცულაია და ინსტიტუტ

„ტრანსავტომატიკის" დირექტორის მოადგილე, ინჟინერი ვაჟა გოგსაძე ახმეტისაკენ მიმავალ გზას ვადექით. ომალოში მარქშეიდერების ჯგუფთან ერთად წავიდა აგრეთვე ინსტიტუტის განყოფილების გამგე მიხეილ ომაძე დაპროექტებისათვის საჭირო საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად. ახმეტაში ჩასულებს ადგილზე დაგვხვდნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვაჟა ბატიაშვილი, რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები და ახლადჩამოსული საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, პროფესორი ოთარ ქინქლაძე.

ომალო-შენაქოს შემაერთებელი ბაგირ-გზის ტრასის შერჩევა-დაზუსტება ომალოში ჩვენთან ერთად ჩამოსული და ადგილობრივი დაინტერესებული პირების მონაწილეობით მოხდა. თავდაპირველი მოცემულობით უნდა დაპროექტებულიყო სამგზავრო-სატვირთო ბაგირ-გზა, რომელიც უზრუნველყოფდა მგზავრების გადაყვანას და სასოფლო-სამეურნეო ტვირთის (თივის, სასუქის, ფქვილის, მარილის, მატყლის და რძის პროდუქტების) გადაზიდვას.

სამგზავრო-სატვირთო ბაგირ-გზა დავალებების მიხედვით შემუშავებული ტექნიკური პროექტით შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება:

ბაგირ-გზის ტიპი — ქანქარისებური.

ბაგირ-გზის სიგრძე — 853 მეტრი.

ვაგონების რაოდენობა — 2.

ზედა სადგური განლაგებულია სოფელ შენაქოში, ზღვის დონიდან 1949 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ქვედა სადგური კი სოფელ ომალოში.

ზედა და ქვედა სადგურების განლაგების დონეთა სხვაობაა — 98 მეტრი.

ბაგირ-გზის სიჩქარე — 4,8 მეტრი წამში.

ტვირთამწეობა — 960 კგ.

მწარმოებლობა — 5,5 ტნ/საათში.

გადასაყვან მგზავრთა რაოდენობა ორივე მიმართულებით — 100 ათასი კაცი (წელიწადში).

გადაზიდვის მანძილი გადასაყვან საავტომობილო გზასთან შე[illegible] მცირდება დაახლოებით 5-ჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი პარამეტრების მქონე სამგზავრო-სატვირთო ბაგირ-გზის გაშენება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას და კეთილ გავლენას მოახდენს მთათუშეთში სამთო ტურიზმისა და სპორტის განვითარებაზე.

როდესაც ამ ბაგირ-გზის ტექნიკური პროექტის პრინციპული გადაწყვეტილებანი განხილული იქნა ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად, დაისვა საკითხი ამ ბაგირ-გზის ერთი ვაგონის მეშვეობით პირუტყვის გადაყვანისა. რა თქმა უნდა, ეს ამოცანას ართულებს. ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ბაგირ-გზა არ დაპროექტებულა. ჩვენს წინაშე დადგა ახალი ამოცანა ახალი კონსტრუქციის ვაგონის შემუშავებისა და მისი დამზადებისა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივთან მჭიდრო თანამშრომლობით.

აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ ომალო-შენაქოს ბაგირ-გზა ერთადერთი არ იქნება მთათუშეთში. სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტულ ნაგებობათა გაშენების კვალობაზე დავიწყებთ სხვადასხვა დანიშნულების ბაგირ-გზების დაპროექტებასა და მშენებლობას იმ კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე, რომელიც მთავრობამ უნდა გამოყოს ამ მიზნით.

შოთა ორჯონიკიძემ გაიღიმა. მისი ღიმილი ისე "წავიკითხე", როგორც ეკრანზე „დასასრული" ფილმის დამთავრებისას.

არ წამოვმდგარვარ, ვთხოვე, ერთ შეკითხვაზე კიდევ გაეცა პასუხი.

— თქვენ წელან საქართველოს განათლების მინისტრი ოთარ ქინქლაძე ახსენეთ. დარწმუნებული ვარ პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი და ამავე დროს რესპუბლიკის განათლების მინისტრი ბაგირ-გზების მშენებლობის საკითხების გადასაწყვეტად არ იქნებოდა ომალოში ჩამოსული.

მართალი ბრძანდებით. იგი თავისი „არხით“ იყო გადმოფრენილი. უმალვე გვაიძულა პირველ რიგში ომალოს სკოლა-ინტერნატი დაგვეთვალიერებინა. ძალზე მოგვეწონა მისი ადგილმდებარეობა. ინტერნატის რემონტის საკითხი მინისტრმა იქვე გადაწყვიტა. შემდეგ ორ გაკვეთილს დაესწრო, ქართული და რუსული ენების გაკვეთილებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი მღელვარებით ვუსმენდი ამ მკვირცხლ, სიცოცხლით სავსე ბავშვებს. ორჯერ ცრემლიც კი მომადგა თვალზე. ერთ კლასში გერმანული ენის გაკვეთილი სკოლა-ინტერნატის დირექტორს ილო ქავთარაშვილს უნდა ჩაეტარებინა. მინისტრი ჯერ ბავშვებს მოეფერა, მერე უცებ დირექტორს მიუბრუნდა და გერმანულად დაუწყო საუბარი.

მღელვარებისაგან სუნთქვა შემეკრა. შემეშინდა, ვაითუ დირექტორმა გერმანულად ვერ უპასუხოს-მეთქი.

ვერ წარმოიდგენთ, როგორი შვება ვიგრძენი, როცა სკოლის დირექტორმა მინისტრს გერმანულად გაუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომალოს ინტერნატში მეც გამითევია ღამე, მეც მისაუბრია ამ მშვენიერ მკვირცხლთვალებიან ბავშვებთან მათთან ერთად მიჭენებია ტანმორჩილი თუშური ცხენი, არაერთხელ და ორჯერ მისაუბრია სკოლა-ინტერნატის დირექტორთან, ტანხმელ, დარბაისელ ილია ქავთარაშვილთან. აი რა თქვა მომავალი თაობის აღმზრდელმა 11 ივლისს ომალოში გამართულ საყოველთაო-სახალხო ზეიმზე: „ოცდაცხრამეტი გაუკაცრიელებული სოფელი ოცდაცხრამეტი ჩამქრალი კერაა თუშეთში. ოცდაშვიდი წლის წინათ, როცა ჩვენი სკოლა გაიხსნა, აქ ას ოცდაშვიდი ბავშვი სწავლობდა. მერე ათიც აღარ დაგვრჩა. დღეს კი ისევ სავსეა კლასები. მაშასადამე, ისევ მშობლიურ ბუდეს მოაშურეს თუშებმა. კვლავ სიცოცხლე იღვიძებს ჩვენში, არ ჩამქრალა იგი, არც ჩაქრება!„ დღეს თუშეთი მეორედ დაიბადა!“

## მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა

„მზეო, მზისყოლო ანგელოზო, დაგველოცა სავალი და სადგომი, დაგვადექი თავწალმე და გულწალმე ბუდით მომავალო, დაგვიწერე კაცსაქონელს ჯვარი, ნურას მოგვცემ რიან-ზიანსა, ჯვარ დაგვწერე კაცსა მთაში და ბარში, გვიმატე ფურსა, ფურის ხბოსა, ფურის წველასა...“

„ღვთისშმობელო არდოტისაო, შენ ჩაგვიგდე ხვაიდ ბარაქა, გვიმატე ფურსა და ფურის ხბოსა, კაცსა კაცრეულობაასა, ცხვარსა, ცხვრის მკრავსა...“

თუშური ლოცვებიდან

შარშანწინ მეოთხმოცე წელი მიულოცეს სახელგანთქმულ მწყემსს დავით ხეცურიძეს.

ამ ოთხმოცი წლიდან შვიდი ათეული წელიწადი ცხვარში იარა მუხლმოუღლელმა ვაჟკაცმა. შარშან საიუბილეო წელი ჰქონდა. სამოცდამეათედ გამოზამთრა ცხვარი. ათი წლისა იყო, პირველად რომ გაუდგა შირაქის გზას. მას შემდეგ მიდის და მოდის, მიდის და მოდის...

ადვილი სათქმელია, — „მიდის და მოდის!“

ხიფათი, გზაში თუ საძოვრებზე ათასი ქურდი და ავაზაკი, ავდარი და დაუნდობელი ზვავები, ძარტოობა. ძარტოობა ქარსა და წვიმაში, თოვასა და ყინვაში... გასაჭირმა, მწყემსის მძიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებამ ვერ გამოფიტა მისი სხეული. კირიქით, გამოაწრთო, გააკაჟა. წლებმაც კი ვერაფერი დააკლო დავით ხეცოიძეს.

მახსოვს, ბიძაჩემს ერთი დალეული ნამგალი ჰქონდა. თითქმის ყუაზე იყო დაყვანილი, მაგრამ მაინც იმითი მკიდა პურს.

— აღარ შეეშვები, სანამ არ გადაგიტყდება? — ვკითხე ერთხელ, საგულდაგულოდ რომ ლესავდა რიყის შავ ქვაზე.

— ეს სხვა ფოლადისაა, ბიჭო, ფიცხია და ბასრი. ბარე ორ ახალ ნამგალს მოინელებს! — მიპასუხა მან.

დავით ხეცოიძეს რომ ვუყურებ, რატომღაც ბიძაჩემის გალეული ნამგალი მაგონდება — წლებისაგან დალეული, მაგრამ მაინც ბასრი და ელვარე. რვა ათეულმა წელიწადმა დაადნო სახელგანთქმული მწყემსი, მაგრამ ძალა და სიფიცხე ვერ გაუნელა. იგი იმ თუშების პირდაპირი ჩამომავალია, ცხვრისათვის ზამთრის საძოვრებად ოსმალეთის ველებს რომ ქირაობდნენ. მაშინ კიდით კიდემდე ჰქუხდა თუში მეცხვარეების სახელი.

დღეს თუშეთში, ზემო ალვანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში 40.200 სული ცხვარია. ზაფხულში კი სულადობა 62 ათასამდე აღწევს.

წერილობითი დადასტურებული ცნობებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში თუშების ფარებში 172.408 სული ცხვარი იყო.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის მ. მაჩაბელი. თურმე მაშინ მარტო წოვა თუშებს 72.420 სული ცხვარი ჰყოლიათ. თითოეულ ოჯახზე 232 სული ცხვარი მოდიოდა. ყოფილა სამი ოჯახიც, რომლებსაც ერთად 7.900 ცხვარი ეკუთვნოდათ.

ხშირად ძუნწი ციფრი ვრცელ სიტყვიერ განმარტებაზე მეტყველია.

თითოეულ ოჯახს საშუალოდ 232 ცხვარი!

რამოდენა შრომა, რანაირი ხიფათიანი ცხოვრება იდგა ამ [illegible] თანაც მაშინდელ პირობებში! ძნელად თუ მოიძევებოდა ისეთი დედა, რომელსაც მწარედ არ დაეტიროს ცხვარში დაღუპული ერთი ვაჟკაცი მაინც. თუშეთის ოჯახში ბიჭი რომ დაიბადებოდა, სოფელი მწყემსის დაბადებას ზეიმობდა. იგი ბალღობიდანვე ებმებოდა შრომაში, თავიდანვე მხარში ედგა უფროსებს. ათი-თერთმეტი წლისა უკვე ზამთრის საძოვრებზეც მიდიოდა.

ბევრი მომთაბარე ტომი იცის მსოფლიომ, მესაქონლეობას რომ მისდევდა და ახლაც მისდევს. მე მინახავს სირიისა და ერაყის უდაბნოებში მოხეტიალე ბედუინთა საგვარეულოები. მინახავს მათი თავიდან ბოლომდე დასვირინგებული მეუღლეები, ტომის თუ საგვარეულოს ბელადები და ტომებში ბელადის შემდეგ ყველაზე სახელოვანი ადამიანები — პოეტები! მათ დღესაც არაფერი იციან, რომელი ქვეყნის მცხოვრებნი და მოქალაქეები არიან. თუმცა, როგორც გიდმა მითხრა, ბედუინები არც არავისი ქვეშევრდომნი და არც მოქალაქეები არიანო, დღეს რომ სირიის უდაბნოში არიან, ხვალ საუდის არაბეთში ამოყოფენ თავს, ზეგ იორდანიაში, მაზეგ კი ერაყშიო. ისინი კვლავ შუა საუკუნეების ბნელი ცხოვრებით ცხოვრობენო. წარმოდგენა არა აქვთ, რა ხდება ამა თუ იმ ქვეყნებში, რა პოლიტიკური თუ სოციალური ვნებათაღელვანი ბობოქრობსო...

მკაცრი და დაძაბული იყო თუში კაცის ცხოვრება. მთისა თუ ზამთრის საძოვრები, სიმარტოვე და მხოლოდ სიმარტოვე... აი, სად და როგორ მიედინებოდა მათი წუთისოფლის დღენი. ოჯახის სითბო, ოჯახური სიმყუდროვე იყო დღენიადაგ მათი ოცნება.

მაგრამ...

არ ყოფილა წუთი, თუში კაცი ჩაკეტილიყო თავის სათემოში, თავის ოჯახსა და სამწყესურში.

არ ყოფილა წუთი, თუში კაცი მთელი არსებით არ ყოფილიყო ჩაბმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ერის ცხოვრებაში. არ ყოფილა წუთი სამშობლოზე ზრუნვისა და მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლის გარეშე.

ნიჭიერი თუში კაცია გულსა და გონებაში მუდამ დუღდა სამშობლოს სატკივარი, მის ნათელ მომავალზე ფიქრი. თუში არა მარტო მამაც მეომრად, გამჭრიახ პოლიტიკოსად და გულმხურვალე მამულიშვილადაც ითვლებოდა. დამადასტურებელი მაგალითების მოტანა არ გაგვიჭირდება საქართველოს ისტორიიდან.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს აბრამ შავხელიშვილი: „VIII-IX საუკუნეებში კახელები განსაზღვრულ გადასახადს უხდიდნენ არაბებს: 3000 ფაშატ ცხენსა და 2.000 ცხვარს...

...ბუნებრივია, აღნიშნული გადასახადი პირველ რიგში თუშებს უნდა გადაეხადათ, რამდენადაც მეცხოველეობა მთაში და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზოგიერთ რაიონშიც ინტენსიურად სწორედ ისინი მისდევდნენ. ამდენად აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობას შორის ხარკის ყველაზე დიდ ნაწილს თუშები იხდიდნენ, რითაც ხელს უწყობდნენ მშვიდობის თუნდაც დროებით შენარჩუნებას".

თუშები შეადგენდნენ თეიმურაზ პირველის რაზმების ერთ-ერთ უმთავრეს დამრტყმელ ძალას ირანის წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

მეცნიერები ამტკიცებენ (ა. შავხელიშვილი), რომ თუშები აქტიურად მონაწილეობდნენ კახეთის 1659 წლის აჯანყებაში.

ბახტრიონის ისტორიული ბრძოლა და ზეზვა გაფრინდაულის გმირობა ხომ ულამაზესი და საარაკო ფურცელია საქართველოს ისტორიისა.

თუშები ახლდნენ ერეკლე I-ს სპარსეთში მოგზაურობისას. ეს თვითონ მეფის სურვილი გახლდათ, რადგან იგი ღრმად ენდობოდა ერთგულ და მამაც თუშ ვაჟკაცებს.

თუშები განუწყვეტლივ მორიგეობდნენ ქართლ-კახეთის „რო[illegible]" ნაწილი რომ მთას უბრუნდებოდა, მათი შემადგენელი რაზმები უმალვე ჩამოდიოდნენ ბარში.

ამიტომაც იყო, რომ თუშებს დიდ პატივს სცემდნენ ერეკლე I, არჩილი, განსაკუთრებით თეიმურაზ II და ერეკლე II.

ისინი მკერდით იცავდნენ ირანელებთან ომში დასუსტებულ საქართველოს, იცავდნენ აგრეთვე ჩრდილოეთელი ტომების შემოსევისაგან.

აქ ხრ შეიძლება არ მოვიხსენიოთ თუშების ბედით შეშფოთებული ერეკლე II-ის ბრძანება თუშთა მოურავის დურმიშხანა ჩოლოყაშვილისადმი: „ჩვენი ბრძანება [illegible], თუშთ მოურავო, დურმიშხან..."

დიდად ისახელეს თავი თუშებმა ასპინძის ბრძოლაში. ვ. ლაგაზიძე გვაცნობს ძალზე საგულისხმო ხალხურ გადმოცემას ასპინძის ბრძოლის თაობაზე: „თუშმა (წოვამ) ბობლიაშვილმა ასპინძის ომში 11 ვაჟი გაისტუმრა. ათი ბრძოლის ველზე დაეცა და მხოლოდ ერთი, რომელმაც მეფის ქება და ჯილდო დაიმსახურა, დაბრუნდა მამის სახლში. როცა ეს ბობლიაშვილი მამასთან შევიდა, იგი ბუხართან მჯდომი ყალიონს აბოლებდა. მეომარმა საომგზავრო ჩანთა მხრიდან ჩამოიხსნა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ მამამ ჰკითხა შვილს: „რამდენი მტერი განგმირე შენ?" ვაჟმა უპასუხა: „ერთით ნაკლები, ვიდრე ჰალდებული ვიყავ, მამა"... გაიგო თუ არა, ომისა ვაჟმა ბრძოლის ველზე ათი იმა დატოვა, ხოლო თვითონ მხოლოდ ცხრა მტერი განგმირა, მამამ ამბობდა: „დაბრუნდი, სადაც შენი ძმები დაიხოცნენ, შენც იქვე უნდა მომკვდარიყავი" და ვაჟი მორცხვად გაბრუნდა უკან".

თუშთა ნათელი ორიენტაცია და ღრმა ეროვნული ინტერესები მთელი სისავსით ჩამოყალიბდა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პრობლემების გადაჭრაში.

XVII საუკუნის სამოციან წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი ძალზე დაინტერესდა კახეთით და მჭიდრო ურთიერთობაც დაამყარა მასთან. მოსკოვში გაგზავნილ ელჩებს შორის თუშებიც იმყოფებოდნენ. რუსები მათ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ.

მეტად საინტერესო დოკუმენტს გვთავაზობს ს. სოლოვიოვი. ესაა თუში ელჩების სიტყვა მოსკოვში: „ჩვენ გვინდა ვიყოთ დიდი ხელმწიფის სამუდამოდ ერთგულნი, სადაც გვიბრძანებს სამსახურს, ჩვენ მზად ვართ; ჩვენ ქრისტიანული რწმენა გვაქვს, ვცხოვრობთ მყარ ადგილებში, მიუვალ მთებში, მოთავე ადამიანები ჩვენ არ გვყავს; თითოეული ფლობს თავის სოფელს; ჯარში სამსახურისათვის გვყავს 8.000 კაცი; ვომობთ მშვილდ-ისრით; მუდამ ჯავშანი გვმოსავს; თერგიდან თუშეთამდე მაწძილი ჩქარი სვლით 4 დღის სავალია, წინათ ჩვენ მეფე თეიმურაზის ქვეშევრდომნი ვიყავით, ხოლო ამ დროიდან, რაც ის სპარსეთის მეფემ დაამხო, განკერძოებულად ვცხოვრობთ“.

პროფესორი იასე ცინცაძე, რომელიც ვოლკონსკის ცნობებს ეყრდნობა, გადმოგვცემს: „ქართველი ელჩების ამ პასუხში რუსი მოხელეების ყურადღება პირველ რიგში მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ფეოდალურ სამყაროში არსებობს ხალხი, რომელსაც არც თავადები ჰყავს, არც უფროსები და არც მემამულეები“.

საგულისხმოა ი. ცინცაძის მოსაზრება, რომ მოსკოვში ჩასული თუშთა დელეგაცია ქართველი მეფის მიერ გაგზავნილი ელჩიონი არ ყოფილა. თუშები მოსკოვში გაემგზავრნენო საკუთარი ინიციატივით, როგორც თუშური თემების წარმომადგენელნი“. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ც. შავხელიშვილი.

იგი წერს: „თუშების ურთიერთობა მოსკოვთან, მოლაპარაკება, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ, და არქივებში შემონახული დოკუმენტები მოწმობენ, რომ თუშების ელჩები, მიემგზავრებოდნენ რა მოსკოვში, ყოველთვის ქართველ მეფესთან კავშირში მოქმედებდნენ... საქართველოს მმართველებმა, მეფე თეიმურაზმა, აგრეთვე თუშებმა, რომლებიც საუკეთესოდ ერკვეოდნენ ჩვენი ქვეყნის რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობაში, მიიღეს გადაწყვეტილება და 1653 წელს თეიმურაზ I თავის ამალით, რომელშიც 8 თუშიც შედიოდა, რუსეთს გაემგზავრა“.

მეცნიერულ დავაში ჩარევა არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს. უბრალოდ, გვინდოდა გადმოგვეცა, თუშთა როლი და მოქმედების დიაპაზონი ქართველი ერის ცხოვრებაში.

უამრავი ისტორიული დოკუმენტის მოტანა შეიძლება, სადაც თვალნათლივ დავინახავთ, როგორი სწორი, მტკიცე და თანმიმდევრული პოზიცია ეჭირათ თუშებს რუსეთთან სასიკეთო ურთიერთობის თაობაზე. ასევე განუხრელი იყო მათი უნდობლობა აღმოსავლეთის აგრესიული ქვეყნებისადმი.

საოცარია, კავკასიონის მთებს შორის მიუვალ ხეობებში მოქცეული თუშების ასეთი აქტიური პოლიტიკური ცხოვრება, ასეთი სწორი განჭვრეტა ერის ბედისა და სამომავლო პოლიტიკისა.

ამ უგზო, გარე სამყაროსთან თითქმის მოწყვეტილი კუთხის შვილები თავის ნაჭუჭში როდი ჩაიკეტნენ, მათი ფიქრი და აზრი ბუნებრივი, ანკარა და აქტიური შენაკადი იყო საერთო ქართული ფიქრისა და აზრისა.

შინაგანი სულიერი შემართება ვაჟკაცური ბუნება, ეროვნული ვალი და განათლებისაკენ დიდი ლტოლვა იყო ის ძალა, თუში კაცი რომ ასეთ ფართო ასპარეზზე გამოიყვანა.

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში გამოიჩინეს თუშებმა განსაკუთრებული სწრაფვა სწავლისადმი. მეთვრამეტე საუკუნეშივე მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში განათლება დიმიტრი ფოცხვერიშვილმა.

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში თუშებს სამხედრო განათლების მქონე მაღალი და დაბალი ჩინის ოფიცრებიც ჰყოლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრამეტე საუკუნეშივე გაემგზავრა ციურიხს წოვა-თუში ტატო ცისკარიშვილი. იგი პროფესორ მაიერის ხელმძღვანელობით დაეუფლა ქიმიურ მეცნიერებას და დამთავრების შემდეგ ციურიხშივე მუშაობდა კათედრაზე.

პეტერბურგის საინჟინრო სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა მიხეილ მაჩაბლიშვილმა. იგი ჯერ პეტერბურგში მუშაობდა, შემდეგ მოსკოვში, ბოლოს კი თბილისში ჩამოსულა.

თუში ხალხის მაღალ ნიჭიერებას მოწმობს ის მრავალი მეცნიერი, დღევანდელ საქართველოში რომ მოღვაწეობს მეცნიერების მრავალ დარგში.

აი, როგორი ხალხის შთამომავალია დავით ხეცოიძე, ოთხმოცდამეორე წელში გადამდგარი მამაცი მწყემსი. აი, ვისგან უნდა ჩაიბარონ ესტაფეტა ადგილობრივი სკოლების ათმა კურსდამთავრებულმა, თერთმეტ ივლისს კესელოს ციხის ქონგურების ქვეშ საზეიმოდ რომ აკურთხეს ცხვარში გასამგზავრებლად.

> ალარ მოგწყინდა მთას ყოფნა,
> არა მოგინდა ბარია,
> ან ლამაზ ქალთან ძილ-წოლა,
> ან მასთან საუბარია?

15 აპრილს თუშთა ფარები ნელ-ნელა დაიძვრება შირაქიდან ალვანისაკენ. დაახლოებით 25 მაისიდან კი მეცხვარეები უკვე იჭერენ ცხვრის წველის სამზადისს. „ამისათვის დედა-ცხვრებს ბატკნებს აშორებენ და ფარასაც გადააჯგუფებენ: ყოჩები, თოხლები, მეწველი, შიშაქი და დავარდნილი (სნეული). ყოჩი დაუკოდავია და სამგვარი: ხამი ყოჩი, მოვლილი ყოჩი, მეორედ მოვლილი ყოჩი. ყოჩებს კოდავენ ივლისის თბილ ამინდებში. ოცდაათ დედალ ცხვარზე ერთ ყოჩს სტოვებენ, დანარჩენები კი დაიკოდება. დაკოდილ ყოჩს ჰედილა ეწოდება. ყოჩი ვარგობს 5-6 წლამდე. როცა დედალი ცხვარი „განერბდება“ (დამაკდება), ყოჩებს აშორებენ, რადგან დედალი წუხდება და ყოჩიც „ლუბდება“ (ილახება). თოხლი წლის[illegible] ხელ გაპარსული, რომელსაც ჯერ ბატკანი არ ჰყოლია“ (ს. მაკალათია).

თუშეთის იალაღებზე ცხვარს სექტემბრის პირველ რიცხვებამდე აძოვებენ. 15 სექტემბრისათვის კი ფარებს ალვანში აყენებენ და პარსვას იწყებენ. სექტემბერში ცხვარს მეორედ პარსავენ. პირველად გაზაფხულზე იპარსება, დაახლოებით 15-20 აპრილიდან. შემოდგომის ნაპარსი მატყლი ერთი მესამედით მეტს იწონის გაზაფხულის ნაპარსზე, თან უფრო ნაზიცაა და სუფთაც. პირველი ოქტომბრიდან ცხვარს კვლავ შირაქისაკენ მიერეკებიან.

თუშური ცხვარი ორ თვემდე იწველის. თითო ჩამონაწველი მხოლოდ ნახევარი ლიტრია. როგორც წესი, ცხვარი დილით იწველება. აი, როგორ აგვიწერს განთქმული თუშური ყველის დამზადების საიდუმლოს სერგი მაკალათია: „რძის სავსე კასრებს კოდში ასხამენ. კოდზე გამართულია ცირცელის ქერქისაგან დამზადებული საწური, რომელშიაც ბალახია „ჭინჭრის დედა“ ჩაგებული და რძეც მასში იწურება. რძე რომ არ შეცივდეს, კოდი შეხვეულია ტყავნაბადში, რძიანი კასრი 23 გირვანქას იწონის (კასრი 7 გირვანქაა, რძე კი — 16 გირვანქა), ერთ კოდში 16 კასრი რძე ჩადის. რძის შესადედებლად კოდში უშვებენ ხსნარს „შაბოშს“, რომელსაც ბატკნის ღვრტისაგან ამზადებენ. ერთ კოდზე საკმარისია ორი ღვინის ჭიქა კარგი შაბოში. ხსნარის კოდში ჩასხმისას მეცხვარე იტყვის: „ჩვენი ყველი ტალიკაი, მონამგელთა (მეზობელთა) წყალივითა“-ო. შემდეგ კოდში რძეს კამპიან (ბოჭკოიან) ჯოხით მოურევენ და ზედ ნაბადს დაახურავენ. დააცდიან ერთ საათს და შედედებულ რძეს ჯოხით ისევ მოურევენ და დახურავენ. როცა „დელამოწი“ ძირს დაილექება და გამაგრდება, მას კოდშივე ხანჯლით დასჭრიან, ჯამებით იღებენ და ტილოს პარკში უშვებენ. ამ დელამოწიან პარკს სარქელი ფიცარზე დასდებს. ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ აწვება და ზელავს, სანამ მრგვალ ფორმას არ მიიღებს. შრატისაგან გაწურულ ყველის პარკს ნაპირს მაგრა მოუგრეხენ და ყველს ქვეშ ამოუდებენ და ზედ ნაბადს გადაახურავენ. შემდეგ სარქალი ისევ კოდთან მივა, იღებს ახალ პარკს, დელამოწით ავსებს და იმავე მანიპულაციას ასრულებს. და ეს ასე გრძელდება, სანამ დელამოწისაგან კოდი არ დაიცლება. გაწურულსა და ცოტად შემაგრებულ ყველს სარქალი მარილს მოაყრის და ცხვრის გუდაში ჩასდებს. ამ გუდას გაბერავენ და პირს მაგრა მოუკრავენ. ახალი ყველი გუდაში „წაქას" (შრატს) უშვებს და რომ მარილი ყველს თანაბრად გაუჯდეს, გუდას დღეში სამჯერ აბრუნებენ ოთხ დღემდე. შემდეგ ყველიან გუდებს აწყობენ ბინაში გამართულ ლასტზე, მაგრამ ყოველ მესამე დღეს სარქალმა ეს გუდები უნდა აბრუნოს...

...ცხვრის რძეს თუშები ნაღებს არ ხდიან და მოუხდელი რძისაგან „თუშურ" ყველს ამზადებენ. ეს თუშური ყველი მთელს კავკასიაში ცნობილია, როგორც საუკეთესო ხარისხის ყველი, რომლის ცხიმოვანება შვეიცარულზე მაღლა სდგას. თუშურ ყველში ცხიმი 35,88 პროცენტს შეადგენს".

თუშური ცხვარი განსაკუთრებული ჯიშისაა. იგი კარგად ეგუება მთათუშეთისა და მის მსგავს მაღალმთიან და კლდოვან საძოვრებს. აქვს ქვის ჩამოშლისა და გორების შეგრძნება. შესანიშნავად ირჩევს მყუდრო ადგილს. ბუჩქნარიან საძოვრებზე მატყლი არ სცვივა, რძეც ძალზე ცხიმიანი აქვს. თუშური ცხვარი გამძლეა, კარგად იტანს შორ მანძილზე გადარეკვას და იოლად ეგუება კვების ცუდ პირობებს.

მეცხვარეობა 1968 წლამდე მეტიზაციის გზით მიდიოდა, რამაც თავისი დაღი დაასვა თუშური ცხვრის ჯიშს. ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თუშური ცხვრის ჯიშის აღდგენას. ჯერჯერობით რესპუბლიკაში თუშური ცხვრის სანაშენო საბჭოთა მეურნეობა მხოლოდ ერთი[illegible]ნში. მეურნეობის 10 სანაშენო ფარაში დიდი სასელექციო-სანაშენო მუშაობა მიმდინარეობს თუშური ცხვრის მოშენებისა და ჯიშობრივი სრულყოფისათვის.

1980-1990 წლებში გათვალისწინებულია ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაშიც იყოლიონ სასელექციო-სანაშენო ფარები.

დღევანდელ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ თუშეთში ცხვარი ნაკლებია, ვიდრე გასულ საუკუნეში იყო, შეუძლებელია მეცხვარეობის ძველებური, პრიმიტიული ფორმებით გაძღოლა. დრო შეიცვალა, ეპოქამ თავისი პრობლემები და სატკივარი მოიტანა. ცხვრის საგაზაფხულო საძოვრებზე სუქების ორგანიზაციის, ტრანსპორტისა და გადასარეკი ტრასების მოწესრიგების საკითხი ძალზე რთულია და დიდ დაკვირვებას, პრაქტიკულ და ექსპერიმენტულ გაბედულებას მოითხოვს.

ამ პრობლემების თაობაზე ვესაუბრე ცხვრის ხორცისა და მატყლის წარმოების ტექნოლოგიის განყოფილების გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ალექსანდრე ლილუაშვილსა და ამავე განყოფილების მეცნიერ მუშაკს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს შალვა ლოლაშვილს.

მათ მოსაზრებებს, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ, ვფიქრობ, დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს და სათანადო ანგარიშიც უნდა გაეწიოს.

ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში 1977 წლის 1 იანვრისათვის სულ იყო 40.200 სული ცხვარი, აქედან დედაცხვარი — 21.500 სული. აქ ზაფხულის სულადობა 62.000 სულს მიაღწევს. სადაც სარეალიზაციო კონტინგენტი 15.000 სული იქნება, ხოლო მოზარდის რაოდენობა — 10.000 სული.

ბატკნის ასხლეტისას (ივნისის პირველი რიცხვებიდან) შეირჩევა შედარებით სუსტი და წვრილი ბატკანი. ესენი ცალკე ფარებად დაკომპლექტდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.000 სულამდე და ივნისის, ივლისსა და აგვისტოს თვეებში შერეულ საძოვარზე დადგებიან ტბათანაში, ხოლო მეორე ნაკადი, რომელიც ბატკნის პარსვამდე საძოვრულ საძოვარზე იქნება დაყენებული, 15 სექტემბრისათვის საბატკნე მთებიდან გადმოვლენ ტბათანაში შერეულ საძოვარზე დასაყენებლად, ისინი იქ 10-15 ოქტომბრამდე დარჩებიან და მოამზადებენ ჩასაბარებლად.

შერეული საძოვრის ორგანიზაციისათვის ტბათანაში უნდა მოეწყოს ბატკნის მარტივი ტიპის პრიმიტიული გამოსაზრდელ-გასასუქებელი მოედანი, რისთვისაც გამოიყენებენ: ტბათანას, ზუროს გორს და საქისტოს, 470 ჰექტარი ფართობით. აქვე უნდა მოეწყოს მარტივი ტიპის ორი პრიმიტიული მოედანი საკვებურებით, თითოეული 1.500 სულზე, და სასაწყობო მეურნეობა მწყემსთა საცხოვრებლით, უნდა მოწესრიგდეს მისავალი გზა ბაწარის ხევიდან იმ ადგილებში, სადაც ეს საჭიროა და საერთოდ იგი 5 კილომეტრის სიგრძისა იქნება.

ცხვრის სასუქი ჯგუფების დასაკომპლექტებლად პირველ ნაკადში ბატკანი აისხლიტება სამი თვის ასაკში, მთაში ასვლისას, თითოეულის წონა საშუალოდ 8-10 კილოგრამი იქნება. ჯგუფი შერეულ საძოვარზე დადგება 100 დღე. ცხვრის სადღეღამისო წონამატი მიაღწევს 120 გრამს და ორივე ნაკადის მთელი წონამატი შეადგენს 36.000 კილოგრამს.

სუქებისას დღეში მიეცემათ 300 გრამი კონცენტრატი, ხოლო საძოვრულ საძოვარზე მყოფი დანარჩენი კონტინგენტი დამატებითი საკვების მიუცემლად გასუქდება იქვე, მთაში და ჩაბარდება სახორცედ.

ბატკნის გამოსაზრდელ-სასუქებელი პუნქტის მოწყობა თავიდან აგვაცილებს დაცემებს და იძულებითი დაკვლის შემთხვევებს.

საშუალო გაანგარიშებით, დაახლოებით 1.500 სულ ბატკანს გადავარჩენთ დაცემისაგან, რაც, 15 კილოგრამის საშუალო წონით რომ ვიანგარიშოთ, 22,5 ტონა ხორცის დანაკარგს შეადგენს. ეს სახელმწიფო შესყიდვის ფასზე გადაყვანისას 27.000 მანეთია. ხოლო 1.500 ბატკნისაგან მიღებული მატყლი (თითოეულს საშუალოდ 0,8 კგრ) 1.200 კილოგრამი, სახელმწიფო ფასებზე გადაანგარიშებით 7.800 მანეთს მიაღწევს, სულ ერთად კი — 34.800 მანეთს. პირველი ნაკადის ჩაბარების შემდეგ კვლავ იქმნება შესაძლებლობა სექტემბრის თვეშივე დააყენონ წუნდებული ნერბების მეორე ნაკადი. ეს დამატებით მოგვცემს 10-12 ტონა წონამატს, რომლის ღირებულება 13-15 ათასი მანეთი იქნება.

სულ ამ პუნქტიდან შემოსავალი წელიწადში მიაღწევს 95.600 მანეთს. ამასთან მოსალოდნელია მასზე გაღებული შემდეგი დამატებითი დანახარჯები:

1. კონცენტრირებული საკვების სახით:

110 ტ. X 80 = 8800 კგ;

გადატანის ხარჯები 1.200 მან;

სულ 10.000 მან.

2. ღია ფარდულების — ღირებულება 24.000 მან. 10 პროცენტი ამორტ. 2400.

სულ დანახარჯები — 12.400.

3. საკვებურები 3.000 მანეთისა და სხვ. — 600.

სულ — 13.000 მან.

ტბათანის სასუქ მოედანზე გასუქებული ცხვარი 6.000 სულის რაოდენობით მთლიანად ჩაბარდება თელავის ხორცკომბინატს.

ანალოგიური პუნქტის მოწყობა შესაძლებელია ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში, თანაც შედარებით ფართო პუნქტისა — 5.000 სულზე მაინც. ჭანჭახოვანის მთებში ბინის გაყვანის შემდეგ აღნიშნული კონტინგენტი უმჯობესია მთლიანად იქვე დაიკლას, ამისათვის საჭიროა ომალოში აშენდეს სასაკლაო პუნქტი, თავისი სამაცივრო მოწყობილობითურთ. იგი ისე-

თი მოცულობისა უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს მიღება-გადამუშავება არა მარტო დასახელებული პუნქტიდან გამოსული კონტინგენტისა, არამედ მთლიანად საზაფხულო საძოვრებზე, საძოვრული სუქებიდან მოხსნილი სარეალიზაციო ცხვრის მთლიანი კონტინგენტისაც, რომელიც მარტო ახმეტის რაიონში 20-25 ათასამდე სულია. ამას დაემატება ამავე მთებში გურჯაანისა და თელავის რაიონების სარეალიზაციო წუნდებული ცხვრის რაოდენობა და ამრიგად, მისი საერთო რაოდენობა 30 ათას სულს მიაღწევს. დაკლული წონით ცხვრის ხორცის რაოდენობა კი — 450-500 ტონას. გარდა ამისა, მას დაემატება აგრეთვე მოსახლეობიდან მისაღები ცხვარი და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 100 ტონის ოდენობით, ისე რომ, სასაკლაოს გამტარუნარიანობამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ხორცის მიღება-გადამუშავება.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ბუნებრივია, აღარ გამოგვადგება ცხვრის გადარეკვის მამაპაპური წესები.

რკინიგზით ცხვრის ტრანსპორტირების შემთხვევაში გაზაფხულზე წითელწყაროს სადგურიდან თელავამდე 165 ათას სულზე (საზოგადოებრივი 135.000 და პირადი 30.000 სული ცხვარ-ბატკანი) საჭიროა 825 ვაგონი. ამრიგად, სულ საჭიროა 855 ვაგონი.

ცხვრის 15 კალენდარულ დღეში გადმოყვანისათვის ყოველდღიურად საჭირო იქნება 57 ვაგონი.

ვაგონები სულ დაგვიჯდება (855X27) 23.000 მან.

ერთი სული ცხვრის გადმოყვანა (23.000:165.000) 0,14 მან. ეს იმ შემთხვევაში, თუ ერთ ვაგონში ჩაიტვირთება 200 სული ცხვარი, ხოლო ჩვეულებრივ პირობებში (120 სულის ჩატევის შემთხვევაში) დაგვჭირდება 1300 ვაგონი ანუ ყოველდღიურად 95 ვაგონი და ერთი ცხვრის გადმოყვანა დაჯდება 23 კაპიკი. ცხვრის უკან დაბრუნებისას რაიონს მთლიანად გამოსაზ[illegible] ეყოლება 100.000 სული ცხვარი. მისი ტრანსპორტირება დაიწყება 15 ოქტომბრიდან. 200 სულის ჩატვირთვის შემთხვევაში საჭირო იქნება 550 ვაგონი, ხოლო 120 სულის ჩატვირთვის შემთხვევაში — 830 ვაგონი. ბარგისა და ცხენებისათვის 50 ვაგონი, ე. ი. სულ 880 ვაგონი. ყოველდღიურად, 15 კალენდარულ დღეში, გადატვირთვისათვის საჭიროა 59 ვაგონი, ხოლო 200 სულის ჩატვირთვის შემთხვევაში 37 ვაგონი.

საერთოდ კი ცხვრის გადაყვანა დაჯდება: 200 სულის ჩატვირთვის შემთხვევაში 28 კაპიკი, ხოლო 120 სულის ჩატვირთვის შემთხვევაში 46 კაპიკი. ეს ლონისძიება, ე. ი. ცხვრის რკინიგზით ტრანსპორტირება, შეიძლება და იგი ტრანსპორტირების პროგრესულ გზას წარმოადგენს, მაგრამ მისი არასწორი ორგანიზაციის შემთხვევაში უარყოფითი შედეგების მიღებაა მოსალოდნელი. ამიტომ ცხვრის ნორმალური ტრანსპორტირებისათვის ყველა პირობა უნდა დავიცვათ.

ამჟერად ცხვრის რკინიგზით ტრანსპორტირების პირობები ფაქტიურად არ არსებობს, ამიტომ საჭიროა:

1 თელავისა და წითელწყაროს რკინიგზის სადგურებთან ახლოს მოეწყოს ცხვრის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის მოედნები 8-10 ათასი სულისათვის, სადაც ცხვარს დასვენებისა და საკვების მიღების საშუალება ექნება.

2. იმის გამო, რომ არ გაგვაჩნია საკმაო რაოდენობის ცხვრის გადასაყვანი სპეციალური ვაგონები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ცხვრისა და ბატკნის ცალ-ცალკე მოთავსება (იგულისხმება ორიარუსიანი ვაგონები), უწინარეს საჭიროა რაიონის ასეთი ვაგონებით უზრუნველყოფა.

3. ახმეტის რაიონის მეცხვარეობაში დასაქმებულმა მუშაკებმა და სპეციალისტებმა ცხვრის რკინიგზით ტრანსპორტირების საქმეში გამოცდილება უნდა შეიძინონ მეზობელი რესპუბლიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე მეურნეობებისაგან (დაღესტნის ასსრ).

ხოლო იმის გამო, რომ ცხვრის ტრანსპორტირება ამჯერად ვერ ხერხდება ტრანსპორტის უქონლობისა და სხვა მიზეზებით, სადღეისოდ უპირატესობას ცხვრის გადასარეკი ტრასებისა და დასასვენებელი მოედნების მოწესრიგებას ვანიჭებთ.

ამჟამად არსებული ტრასა და დასასვენებელი მოედნები თითქმის მთლიანად უყურადღებოდაა მიტოვებული, თანაც იგი ბევრგან შევიწროებულია, მაგალითად:

1. სოფელ „გამარჯვების“ მეფრინველეობის ფერმის ნაწილი ტრასაზეა.

2. ცოტა უფრო ქვემოთ, ტრასის გზის დასავლეთ მხარეს, გაშენებულია აკაციის ნარგავები და შემოღობილია მავთულებით.

3. სოფელ ტიბაანის ბოლოში ტრასა საკმაოდ შევიწროებულია ვენახების გაშენების გამო.

4. წნორის მაგისტრალური გზის გასწვრივ, ერთი კილომეტრის მანძილზე, ღობე წინ არის წამოწეული.

5. წნორის გამოსავლელთან არხის პირის ტრასის ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთებით არის დაკავებული.

6. სოფელ ბაკურციხისა და ჩუმლაყის ბოლოში ცხვრის დასასვენებელი მოედნები მთლიანად გადახნულია.

7. ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოს, ქისტაურისა და ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობებს ტრასის სავალი ნაწილი შევიწროებული აქვთ.

აი, რა პრობლემებია გადასაჭრელი და ისინი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაიჭრას. ეს იქნება ერთ-ერთი საწინდარი რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარებისა და სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისა.

„თან დამდევს ჩემი მყეფარი,
ვეძახი მურიასაო“.

ადრე უკვე ვილაპარაკე მწყემსის მარტოობაზე.

ისიც ვთქვი, ხმამაღალი ფიქ[illegible] დინება-მეთქი.

ახლაც გამოცანად რჩება ჩემთვის მისი რომანტიკა. რას ფიქრობს, რას აყოლებს გულს, რით იკლავს მარტოობის სევდას, რით იოკებს ლაპარაკის წყურვილს. ბევრჯერ ვყოფილვარ მათთან და ერთხელაც ვერ გავბედე მეკითხა, რით თრგუნავთ-მეთქი მარტოობის მოწყენილობას. იქნებ მწყემსს ამ დროს ისეთი გრძნობა ეუფლება, რაც მხოლოდ მას ეკუთვნის, რაც მხოლოდ მისი სულისა და გულის კუთვნილებაა და იქნებ ამ გრძნობებზე ისევე საჩოთიროა და უხერხული ლაპარაკი, როგორც სიყვარულზე?

ერთხელ მაინც როგორღაც ჩამოვუგდე ამაზე საუბარი ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მწყემსს თემურ ჩხეროულს.

როგორც კონსტანტინე ლორთქიფანიძე იტყოდა, ჩხეროულს ირიბად გაეღიმა. ცხვარში მოწყენილობისათვის სადა გვცალიანო, — მომიგო მან.

რა იყო ეს, მწყემსური ჰიპერბოლური გამონათქვამი თუ რეალური ჭეშმარიტება?

ალბათ, ერთიც და მეორეც.

შეიძლება მეცხვარემ ვერც აგიხსნათ ეგრეთწოდებული ბუკოლიკური რომანტიკა, რაც მას ქვეშეცნეულად ულამაზებს და უადვილებს ცხოვრებას.

იქნებ ამ ხალხურმა ლექსმა აგვიხსნას ეს საიდუმლო?

მეცხვარემ ცხვარი შეშალა, შამოეფინა
ჩრდილისაო.
შიგ ურევია ბატკანი, კვილი მოდის
ცხვრისაო.
წინ თვითონ გამაუძღვება; ხმა მოსდევს
სიძლიერისაო.
— გაჰხედე მწვანე მინდორსა, ბალახით
შამკობილისაო.
რა მშვენიერი რამა ხარ, დილაო,
ჩვენი ძმობისაო.
ამწვანებულო ველებო, იალაღებო მთისაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი და ძაღლია იალაღებზე თუში მწყემსის მეგობარი.

მშვენიერი მოყვანილობის მომცრო ტანის ცხენები ზაფხულობით თავისუფლად არიან გაშვებულნი იალაღებზე. ხალხურმა სელექციამ თითქოს საგანგებოდ მთებისთვის შექმნა ამტანი, მოყვანილი, ერთგული და მალმსრბოლი ჯიში, მარტო თუშეთში კი არა, მთელ ჩრდილო კავკასიაში რომაა განთქმული.

თუში ბავშვი დაბადებითვე ეზრდება ცხენს. ძუძუთა ჩვილნი მშობლებს ცხენზე გადაკიდებულ ხურჯინებში ჩასმულები გადაჰყავთ ბარიდან მთაში, სოფლიდან სოფელში. ამიტომაც ამბობენ, თუში ბავშვი ჯერ ცხენზე ჯდომას ისწავლის და მერმე აიდგამს ფეხსო.

ზაფხულის პირზე თუშებს ცხენებით გადმოჰყავთ ოჯახები ბარიდან მთაში. შემდეგ კი ცხენებს კარგა ხნით თავისუფლად უშვებენ საძოვრებზე.

კიდევ ერთი საოცარი თვისება თუშური ცხენისა. როცა კასპიისპირეთსა და ვოლგისპირეთში შინაური, გახედნილი ცხენები თავისუფლად გაუშვეს, ისინი თურმე უმალვე გაველურდნენ და შემდგომ ვერაფრით ველარ დაიმორჩილეს. თუშური ცხენი რამდენიმე თვითაც რომ მარტო გაუშვა იალაღზე, მაინც ერთგული და მოყვარული რჩება პატრონისა. ისინი მთელი ზაფხული თავისუფლად დაჰქრიან პირიქითასა და წოვათას, გომეწრისა და ომალოს მწვანე ფერდობებზე.

ცხენი ოდითგანვე ორგანულად შეერწყა თუშურ პეიზაჟს.

თვალწარმტაცია და ვაჟკაცური თუშთა დოღი. შიშის გრძნობა გიპყრობს, როცა ისინი უბელო ცხენებს დააქროლებენ ციცაბო, ჩამონგრეულ კლდეებში, უკიდურესად დამრეც ფერდობებზე.

არაბულა, მერცხალა, ბედაურა... აი, რა სახელებით ნათლავენ ისინი თავიანთ ტანმორჩილ, მკვირცხლ და ჭკვიან ცხენებს, რომლებიც შინაურ ცხოველთა მსოფლიოს მდიდარ გენოფონდს მიეკუთვნებიან. თუშური ცხენის არა მარტო შენარჩუნებაა საჭირო, მოშენება და მომრავლებაა აუცილებელი.

უკვე ვთქვით, რომ თუშური ცხვარი უნიკალურია, ამავე დროს იგი ენდემური ჯიშია.

არის კიდევ თუში მწყემსის ერთი დიდი მეგობარი, ასევე სუფთა თუშური ჯიშის ძაღლი.

სუფთა სისხლის თუშური ძაღლი დღესაც რამდენიმე ცხვარად ფასობს

ძაბე, ტაბულა, ჯაბო, ალიხან, ისმალა, დათვია, ბორძა, ალმასა, ტოტია, ბოთვერა, საღარა, მურია, ალია, ბროლია, ყორანა, ბასრა... (ს. მაკალათია) ასე ნათლავენ თუშები თავიანთ ერთგულ ოთხფეხა მეგობრებს.

საბჭოთა თუ უცხოელი სპეციალისტების აზრით, თუშური ძაღლი ამ ტიპის ძაღლების მსოფლიოში ცნობილ არც ერთ ჯიშს არ ჩამოუვარდება.

ძალზე საგულისხმოა გერმანელი კინოლოგის მიულერისეული შეფასება თუშური ძაღლისა. იგი თუშური ძაღლის ჯიშის გასაცნობად გასული საუკუნის მიწურულში სტუმრებია საქართველოს და აქვე შეუსწავლია მისი ღირსებანი. აი, როგორ აღწერა მან თუშური ნაგაზი: სიმაღლე (თხემამდის) 80 სანტიმეტრი, გამოირჩევა ძლიერი აღნაგობით, ადვილად უმკლავდება მგელსა და სხვა მტაცებლებს, არ არის ზედმეტად ნერვიული და მოძრავი, საკვებს ნაკლებად თხოულობს, აქვს სქელი, გრძელი (10-15 სმ სიგრძის) და ლამაზი ბეწვი, რის გამოც კლიმატს კარგად ეგუება. მიულერი აღნიშნავს, რომ კავკასიური ნაგაზის საუკეთესო ნაირსახეობა გავრცელებულია საქართველოში და მის მრავალ საუკეთესო თვისებათაგან გამოირჩევა პატრონისადმი არაჩვეულებრივი ერთგულება და მტერთან შეუპოვრობა. სხვა უცხოელი კინოლოგები აღნიშნავენ, რომ იგი ბერძნული და პართიული საბრძოლო ძაღლების — მოლოსების ერთ-ერთი პროტოტიპია და განსაკუთრებით შეუცვლელია მეცხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობაში. მას განვითარებული აქვს ცხვრის პატრონობის ინსტინქტი. მიულერი აღწერს შემთხვევას, როცა უმწყემსოდ დარჩენილი ფარა ძაღლებს უდანაკარგოდ გამოუზამთრებიათ. ცნობილია, რომ კავკასიური ნაგაზი შიმშილის დროსაც არ ერჩის ცხვარს და თავს გარეულ ცხოველებზე ნადირობით ირჩენსო.

უნებურად მაგონდება მომცრო ტანის ძაღლები, რომლებიც ავსტრალიასა და ახალზელანდიაში ვნახე ფერმერებთან სტუმრობის დროს. ისინი ერთის შეხედვით ფინიებსაც კი ჰგავანან, მაგრამ როგორი გაწვრთნილები და ჭკვიანები არიან!

ფერმერმა ამაყად დაგვანახა ხუთასსულიანი ფარა, ნახევარ კილომეტრზე რომ ძოვდა მშვიდად. ზუსტად ხუთ წუთში ის ფარა თქვენს წინ იქნებაო, გვითხრა და ძაღლს უბრძანა, ფარა აქ მორეკეო. ხუთ წუთში ფარა მართლაც ჩვენს წინ იყო.

მე საფუძვლიანად დავათვალიერე ფერმერის საძოვრები და მეურნეობა. მას 300 ძროხა და 2.500 ცხვარი ჰყავდა. უვლიდნენ მხოლოდ თვითონ, სიძე და სამი დაქირავებული მწყემსი. მაგრამ განა შეიძლება მათი და ჩვენი მთიელი მწყემსების პირობების შედარება? საკუთარი საძოვრები სამ-სამ სექტორად ჰქონდა დაყოფილი ხუთას-ხუთასი ცხვრისთვის. ცხვარი ჯერ ერთ სექტორში ძოვს, მერე — მეორეში, შემდეგ კი მესამეში. ამ გადანაცვლებათა პერიოდში მიმდინარეობს გადაძოვებული სექტორების მოვლა და განახლება.

საუკეთესო კლიმატური პირობების გამო იქ წარმოდგენაც არა აქვთ, რა არის ზამთრის საძოვრები, რა შრომისა და ტანჯვის ფასად ჯდება ასობით კილომეტრზე ცხვრის გადარეკვა. რაღაც უჩვეულოდ და წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, ფერმერის სიძე მოტოციკლეტით რომ დაჰქროდა საძოვრებზე და ორი ძაღლის თანხლებით ენერგიის დაუხარჯავად პატრონობდა ამ [illegible] სა და ძროხას.

თუშური ნაგაზი კი სულიერი ქვგობარივითაა მწყემსისა. იგი მწყემსსაც ეხმარება და ცხვარსაც იცავს გარეული ნადირისაგან და, სამწუხაროდ, ორფეხა ავაზაკებისაგანაც.

წელან ჩვენ კავკასიური (იგივე თუშური) ნაგაზის შესანიშნავი ღირსებები ჩამოვთვალეთ და მით უფრო სამწუხაროა, რომ დღეს თითქმის აღარსად გვხვდება სუფთა ჯიშის თუშური ნაგაზი. თუმცა ახლა მოვიტანოთ ნაწყვეტი გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. გუგუშვილის სტატიიდან, რომელიც გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ" გამოაქვეყნა: „50-იანი წლების შემდეგ მეცხვარეობაში ძაღლის მოშენება თვითდინებით წარიმართა. ამან გამოიწვია ძაღლების საერთო პოპულაციაში კავკასიური ნაგაზის წილის შემცირება. უჯიშო ძაღლებთან შერევა-შეჯვარებამ ლამის მისი მთლიანად გადაშენება გამოიწვია. ამჟამად კავკასიური ნაგაზის სიმაღლე თხემამდე საუკეთესო შემთხვევაში არ აღემატება 70 სანტიმეტრს, უმეტესად კი 65 სანტიმეტრისა არის. გაუარესდა მისი ექსტერიერული მონაცემებიც. მომრავლდნენ ვიწროთავიანი, სუსტი აღნაგობის ძაღლები, რომელთაც აქვთ განუვითარებელი ყბები და კბილები, თანაც, მხდალები და ნერვიულები არიან. ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების ფაუნის მოყვარულთა კლუბის წევრების გამოკვლევებით, ამჟამად საჯიშე მწარმოებლებად გამოსადეგი კავკასიური ნაგაზების საერთო რიცხვი რესპუბლიკაში ორ ასეულს ძლივს აღემატება. კავკასიური ნაგაზის შემდგომი განვითარება-მომრავლება მარტო კინოლოგიური ამოცანა არ არის, იგი მნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანაა. ეს ჯიში საექსპორტოდაც გამოდგება. კავკასიური ნაგაზის მოშენებას უკვე შეუდგნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ლაიფციგის გამოფენაზედაც წარმოადგინეს. ჩვენ მით უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეს გვმართებს ჩვენებური მეცხვარის ძაღლის — კავკასიური ნაგაზის მოშენებაზე ზრუნვა, რათა არ გადაშენდეს და კვლავაც ემსახუროს ცხვარ-მეცხვარეს, ეერთგულოს პატრონს, დაიცვას კარ-მიდამო, რათა ყველას შეეძლოს მისი ყოლა".

ვფიქრობ, ამ საკითხზე მართლაც საქმიანი და ენერგიული ნაბიჯების გადადგმა მართებთ სპეციალისტებს. თუშთა სატკივარი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ქართული ფლორისა და ფაუნის დიდ მეგობარს არნოლდ გეგეჭკორს გავუზიარე. ამ პრობლემის გადასაჭრელად, — მითხრა მან, — თბილისში საკმაოდ ინტენსიური სელექციური მუშაობა მიმდინარეობს ზოოლოგიურ პარკთან არსებულ ეკოლოგიურ ლაბორატორიასა და დოსააფის სასამსახურო მებაღეობის კლუბშიო. ალბათ, შედეგიც არ დაახანებს.

მურიასი მაქვს იმედი, ერთგულად
მიჭერს მხარსაო,
ნაბრძოლი, ნასისხლარია, მისდევს
ნადირის კვალსაო.

ასე უმღეროდა თუში მელექსე თავის ერთგულ ძაღლს.

ცხვარი ცხვარია, მაგრამ ხარ-ძროხაც საკმაოდ ჰყავდათ თუშებს. თვითოეულ ოჯახს ადრე ოც-ოცი ცხენი მაინც ჰყავდა თურმე. არც ვირი უნდა გამოვტოვოთ. უსახედროდ, ამ თვინიერი ცხოველის გარეშე წარმოუდგენელია მომთაბარე თუშების ცხოვრება. უმთავრესი ტვირთი ზამთრის საძოვრებზე თუ ზამთრის საძოვრებიდან უკან, თუშეთში სახედრებს გადააქვთ, მთათუშეთის კლდოვან ბილიკებზე ვირი დღესაც შეუდარებელია. რასაკვირველია, გზა, ტრანსპორტი, მეოცე საუკუნის მიწურულის მრავალი ტექნიკური საშუალება და სიკეთე სწრაფად ცვლის მწყემსის ცხოვრებას, მაგრამ, თუ ეს სიტყვები იუმორულ ელფერს არ შეიძენს, ვირი მაინც ვირად დარჩა.

ხარ-ძროხის რაოდენობა საძოვრებზე იყო დამოკიდებული, სათიბები ბევრი ჰქონდათ. მაგრამ საკვების გადატანა მაინც სჭირდა. ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრის გამო კი აუცილებელი იყო ხარ-ძროხის პატრონს უამრავი თივა მოემარაგებინა.

საქონელს უმთავრესად ქალები პატრონობდნენ. სერგი მაკალათიას საგანგებოდ შეუკრებია ძროხის და ხარის სახელები.

ჯერ ძროხისა ჩამოვთვალოთ: შავარდენო, ქუთაია, ნაშია, ცაკუნი, მერია, ვარაქალი, მასკლო, ფუძილოი, დურკო, შიქია, არამი, ღვთიშობელი, ბუცუკი...

ახლა ხარისა: შაროშა, ამირანა, თვარია, ლაბაზანი, კვირია, ნისლია, ბულა, ნიშო, წამალა, ირემა, ზიქარა...

ამ სამი-ოთხი წლის წინ სულ რამდენიმე ძროხა თუ გამოიზამთრებდა თუშეთის სოფლებში.

ახლა, ახლადდაარსებულ მეურნეობაში უკვე 800 სული მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავთ.

როგორც ხელოვნებათმცოდნეები იტყვიან, ხარი და ძროხა უკვე ძველებურად და საფუძვლიანად „ჩაიწერა" თუშეთის პეიზაჟში.

„ინისანი, რკინისანი, კირკუტონი რკინისანი, პირი შევკარი მგლისა, მუხლი შევკარი მტრისა, ჩემ საქონელზე მომავლისა", — ასე შეულოცავდნენ ხოლმე ძველად თუშები ღამით კარში დარჩენილ საქონელს.

ამინი დასცეს ღმერთმაო, — პირჯვარს გადაიწერდნენ ოჯახის წევრები.

საახალწლოდ, ისე როგორც ყველგან საქართველოში, ნაკვერჩხლებს მუგუზალს ჩასცხებდნენ თუშები, როცა ირგვლივ უთვალავი ნაპერწკალი გადმოიფრქვევა, ღმერთო, მოგვეცი ამდენი ცხვარი და ძროხაო, — იტყვიან ნატვრით...

ამ ახალ წელს, ეტყობა, თუშეთში მეამინემ ჩამოიარა და ამინი დასცა თუშთა ნატვრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს ქედები ნისლში იყო გახვეული და შვეულმფრენს ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე დასჭირდა ასვლა. ქედს გადავუფრინეთ თუ არა, ღრუბლიანი სივრცეც ერთბაშად დამთავრდა და ჩვენს ქვემოთ მზის სხივებში გახვეული თუშეთი გამოჩნდა.

უნებურად გამახსენდა ერთი ეპიზოდი სოსო ჩხაიძის მშვენიერი ფილმიდან „თუში მეცხვარე". დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნება, მწყემსები უღელტეხილს მიაღწევენ. ქვემოთ გამოჩნდება ალაგ-ალაგ ნისლჩაწოლილი თუშეთი.

მწყემსი თვალს გადაავლებს მშობლიურ კუთხეს, მერე იქვე მდგომ პატარა ზურიკოს მოუბრუნდება და უბრალოდ ეუბნება:

— ესაა შენი სამშობლო!

ვითომ უბრალოდ?

საჭირო იყო კი მოჩუქურთმებული და გულისამაჩუყებელი ფრაზები?

არა მგონია.

ზურიკოს როლის შემსრულებელი რამაზ სულაკაური გასული წლის 11 ივლისს ვნახე ომალოში. იგი საგანგებოდ ჩამოვიდა ზეიმზე სოფელ ფარსმიდან. ბიჭუნას, ამჯერად უკვე მეათე კლასის მოსწავლეს, ტანი აეყარა. თავის ბედაურთან დინჯად იდგა, და [illegible] თვალყურს ადევნებდა. გრძნობდა, ყველა სიყვარულით მისჩერებოდა, მაგრამ ვითომც აქ არაფერიაო, არაფერს იმჩნევდა. თავი ღირსეულად ეჭირა, თუმცა მისი ბავშვური თვალები სიამაყეს მაინც ვერ მალავდა.

— დოღში რატომ არ მონაწილეობ? — ჰკითხა საქინფორმის უფროსმა თეიმურაზ მამალაძემ.

— ვიცი, ახლა პირველ ადგილს ვერ ავიღებ. მეორე ადგილი კი არ მსურს!

გაგვეღიმა, თუმცა უმალვე სხვა თემაზე გადავედით, შეგვეშინდა, რამაზს ჩვენი ღიმილი დაცინვად არ მიეღო და არაფერი სწყენოდა.

ედუარდ შევარდნაძემ უმალვე იცნო რამაზ სულაკაური და თავისთან მიიხმო.

— ახლა რას აკეთებ? — ჰკითხა ბიჭუნას თუშის პირველმა სტუმარმა.

— მეათე კლასში ვსწავლობ. თან ცხვარს ვმწყემსავ გოდერძი თათარაიძის ბრიგადაში.

„ესაა შენი სამშობლო" — გამახსენდა კვლავ.

ესაა შენი სამშობლო! — რამაზ სულაკაურო, და, აბა, შენ იცი!

## ...კლუს ელექტროფიკაცია

1981 წლის 4 ნოემბერი მნიშვნელოვანი თარიღია ომალოს ცხოვრებაში. მეოცე საუკუნის მიწურულს მთათუშეთში პირველად აციმციმდა ელექტრონათურა!

ვაჟა ბატიაშვილმა ორ ნოემბერს დამირეკა და მითხრა, ოთხში, დილის ექვს საათზე, შუამთაში გელოდები, ომალოში უნდა გადავიდეთ და ელექტრონის ჩართვასთან დაკავშირებულ მიტინგს უნდა დაესწროთო.

შევფიქრიანდი.

ღრუბლიანი, ცივი ამინდი იდგა. ვერტმფრენით წასვლაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ცერის უღელტეხილზე უკვე თოვლი იდო, მანქანით გადასვლაც საეჭვო იყო.

— გადავალთ კი? — ვკითხე უიმედოდ.

— გადავალთ და იმავე საღამოს დავბრუნდებით! — დარწმუნებულმა მითხრა რაიკომის პირველმა მდივანმა. — რა იყო, ცუდმა ამინდმა ხომ არ შეგაშინა?

ამინდი ვერ შემაშინებდა. უბრალოდ, 5 ნოემბერს ევროპის თასის მფლობელთა თასზე თბილისის „დინამო" საფრანგეთის „ბასტიას" ხვდებოდა. შეიძლებოდა ყველაფერი დამეთმო, მაგრამ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო მატჩს ჰერაფრით ვერ გავაცდენდი.

ასე იყო თუ ისე, 4 ნოემბერს დილის 6 საათზე შუამთაში ვიყავი და რაიკომის მდივანს ველოდებოდი, ათი წუთით რომ დააგვიანდა.

შვიდის ნახევარზე უკვე სტორის ხეობაში მიჰქროდა ჩვენი მანქანა. ადგილობრივ ხელისუფლებთან ერთად ომალოსაკენ მოემგზავრებოდა ტელევიზიისა და პრესის მუშაკთა მცირე ჯგუფი.

— განა რამდენი დრო გავიდა 11 ივლისიდან, ჰოდა უკვე მეორე დიდ ზეიმზე მივიჩქარით თუშეთში. მაშინ ბევრს არც კი სჯეროდა, თუ ნოემბრის დღესასწაულამდე მოვასწრებდით ომალოში ელექტრონის მიყვანას, — ამბობდა ვაჟა ბატიაშვილი.

მართლაც, რა ცოტა დრო გავიდა 11 ივლისის შემდეგ: სამი თვე (არც კი!). გულწრფელად რომ ვაღიარო, არც მე მჯეროდა, რომ არამცთუ საშვიდნოემბროდ, საერთოდ, 1982 წლის გაზაფხულამდე თუ მოასწრებდნენ ლითონის ანძების დაყენებასა და მავთულების გაჭიმვას.

საფუძველიც მქონდა: 11 ივლისს მხოლოდ თორღვას ანანომდე იყო ჩამონტაჟებული ანძები. ათიოდე ანძა კი წინასწარ გაემზადებინათ ცერის უღელტეხილამდე.

ნოემბრის შემდეგ, თოვლისა და ქარბუქის გამო, ცერის უღელტეხილს გადაღმა მუშაობას ველარავინ შესძლებდა, ადამიანიც და ტექნიკაც უძლური იქნებოდა ბუნების სტიქიონის წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენმა ელექტროგამყვანებმა და მემონტაჟეებმა შესძლეს შეუძლებელი! არამარტო ბოლომდე მიიყვანეს ელექტროქსელი, არამედ ომალოში მცირე ზომის დიზელიც დაამონტაჟეს. ზვავისგან რომელიმე ანძის მოგლეჯის შემთხვევაში ომალოს მაინც ექნებოდა ელექტროდენი.

თუმცა სამ თვეში არ მომხდარა ეს სასწაული.

როგორც თავში ვთქვით, 1981 წელს დაწყებულა თუშეთის აღორძინება...

ედუარდ შევარდნაძე მთათუშეთს პირველად 1975 წელს ეწვია, 22 ივნისს.

ვაჟა ბატიაშვილი იგონებს, 20 ივნისს ღამის თორმეტის ნახევარზე ამხანაგმა შევარდნაძემ დამირეკა და მითხრა, თიანეთში პლენუმს ვატარებთ, ხვალ 12 საათზე კი ახმეტას ვესტუმრებითო. 21 ივნისს ვენახების დათვალიერება იწყებოდა.

მეორე დღეს მართლაც გვეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. დაათვალიერა ვენახები, ესტუმრა სანერგეს, ესაუბრა სანერგის დირექტორს თედო შაბიაშვილს. მოინახულა პატარა ბავშვები, რომლებიც ნერგებს მატლებისაგან ასუფთავებდნენ.

შემდეგ ფერმებს ეწვია ამხანაგი ედუარდი, ესაუბრა ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის № 1 სანაშენო ბრიგადის ბრიგადირს, ახლა უკვე სოციალისტური შრომის გმირს ნაზო პეტრიაშვილს.

საღამოს შემაჯამებელი საუბრის შემდეგ მოულოდნელად ბრძანა, ხვალ მთათუშეთში გადავფრინდეთო. მეორე დღეს, 22 ივნისს, მართლაც გადავფრინდით მთათუშეთში. სწორედ მაშინ ესაუბრა ჯვარბოსელში რესპუბლიკის ხელმძღვანელი ბასიკო რაინაულს.

დიკლოში ერთმა მოხუცმა ქალმა (ვაჟა ბატიაშვილმა ქალის გვარი ვერ გაიხსენა) რომ გაიგო, ედუარდ შევარდნაძე გვესტუმრაო, მუხლზე დაემხო და თქვა, ახლა კი მჯერა, ნამდვილად ეშველება თუშეთსო.

მეორედ ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე 1978 წლის მაისში ესტუმრა თუშეთს, მას ძალზე აინტერესებდა ენახა, როგორ მიდიოდა გზის მშენებლობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს თან ახლდნენ ზურაბ პატარიძე, ჯუმბერ პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიაშვილი, შოთა ეცადაშვილი (მაშინ პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი), დავით სარიშვილი, ვლადიმერ გოცირიძე და არსენ კობაიძე.

— როცა მათი ჩამოსვლის ამბავი შევიტყვე, — იგონებს ვაჟა ბატიაშვილი, უმალვე ვიხმე რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, თუშეთის მკვიდრი შალვა ბაკურიძე. იგი სპეციალობით საავტომობილო გზების მშენებლობის ინჟინერია და თან კარგად იცნობს მშობლიურ მხარეს: უკეთეს მეგზურსა და კონსულტანტს ვერც ვიპოვიდი.

ყველა ბილიკი დავზვერეთ. ამ დროს ომალოსკენ მიმავალი გზის მშენებლობა ორთავე მხრიდან მიმდინარეობდა. ხისოს ქედის იქით გზა აღარ იყო. შუალედში მოქცეული შვიდკილომეტრიანი მანძილი თითქმის გაუვალ ზონად გვეჩვენებოდა. რის ვაიუბედურებით გავაღწიეთ მშენებლობის მეორე მხარეს. შალვას არ ეწყინება და, ერთი თუში მწყემსი რომ არ შეგვხვედროდა ხეობაში, ადამიანის ნავალი რომ არსად ეტყობოდა, ვერაფრით მეორე მხარეს ვერ გავიდოდით.

ორთავემ მტკიცედ დავასკვენით, ძვირფასი სტუმრები მხოლოდ ხისომდე ჩამოვიდოდნენ, გზის მშენებლობას დაათვალიერებდნენ და შემდეგ კი უკან გაბრუნდებოდნენ.

აბა, რა აზრი ჰქონდა თითქმის გაუვალი 7 კილომეტრის გავლას?

მართლაც, სტუმრები ფიცრის ჭალამდე მანქანებით ჩამოვიდნენ. შემდეგ ჯუმბერ პატიაშვილმა განკარგულება გასცა, ცხენები მოიყვანეთ და ისე გავაგრძელოთ გზა ხისომდეო. ხისოში ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს მოვახსენე, გზის მშენებლობის მეორე მხარემდე შვიდი კილომეტრია და იქამდე ვერაფრით ვერ გავალთ-მეთქი.

— შენ მე ვინ გგონივარო, — გაიცინა ამხანაგმა ედუარდმა და ბრძანება გასცა, — აბა მომყევითო.

მეტი რა გზა გვქონდა, მივყევით და გავედით კიდეც.

მეორე მხრიდან გზის მშენებლებმა პატარა წყარომდე მოეღწიათ. ამხანაგი ედუარდი იქ შეჩერდა და წყალი დალია.

მას შემდეგ ამ წყაროს შევარდნაძის წყაროს ეძახიან.

აი, ამ მგზავრობამ გადაწყვიტა კიდეც გზის ბედი. გაიცა განკარგულება და ყველა ღონისძიებაც იქნა მიღებული, რომ გზის მშენებლობა, „პიონერი გზა" (იგივე პროფილი), რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო.

— კითომ გადავალთ? — ვკითხულობ უიმედოდ და მოქუფრულ ზეცას გავცქერი.

— რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავიდეთ. ხალხის სიხარული უნდა გავიზიაროთ. გინდ დამიჯერე, გინდ არა, თუშეთში ნახავ ზოგიერთ ქალსა და ბავშვს, ჯერ რომ არ უნახავთ ჩართული ელექტრონის ნათურა და ისიც როდის, მეოცე საუკუნის მიწურულს და ისიც სად, ელექტროფიკაციის ქვეყანაში!

დაკეცილ გზებს შევუდექით თუ არა, თოვაც დაიწყო. ცოტაც და, ისე ბარდნიდა, ორ მეტრზე გზას ველარ ვხედავდით.

„ნივა" უკვე ღმუოდა, ღრმა თოვლს ებრძოდა, მაგრამ აშკარა იყო, უჭირდა. საბურავები უფრო ხშირხშირად „ბუქსაობდა". თითქმის ყოველი ასი მეტრის გავლის შემდეგ გვჭირდებოდა მანქანიდან გადმოსვლა და მიწოლა. როგორც კი სამშვიდობოს გავიდოდით, გათოშილები სასწრაფოდ მანქანაში ვსხდებოდით და ხელებს ვიორთქლავდით.

„ცერის" უღელტეხილამდე შუა გზაც არ გვქონდა გავლილი, რომ უკანა ბორბლებით კლდეზე გადაკიდებული სატვირთო მანქანა დავინახეთ.

იქვე იდგა გაფითრებული შოფერი და ელექტრომემონტაჟე. ეს უკანასკნელი უფრო შეშინებული ჩანდა.

შოფერი მაინც რაღაცას აკეთებდა, მე უმწეოდ, უმოქმედოდ ვიჯექი და

ვხედავდი, როგორ ვიჩეხებოდით, ამბობდა იგი.

ზემოდან მანქანის მისაშველებლად თურმე ტრაქტორი მოდიოდა. ერთი საათი მაინც მოუნდებოდა იგი ჩამოსვლას. მიცურებულ მანქანას გზა ისე ჩაეკეტა, ჩვენი „ნივები“ ვერაფრით ვერ გაეტეოდნენ. თუმცა სად უნდა წავსულიყავით, სანამ ტრაქტორისტები მანქანას გადაჩეხვისაგან არ გადაარჩენდნენ.

ერთი საათის შემდეგ გზა გავაგრძელეთ. უკვე თორმეტი ხდებოდა. გაუჩერებლად თოვდა. მაღლა მივიწევდით და თოვლის სიმაღლეც სწრაფად მატულობდა.

ცერის უღელტეხილამდე ერთი კილომეტრიღა გვრჩებოდა, შემდეგ კი დაბლა დავეშვებოდით...

ერთი კილომეტრი...

ხუთასი მეტრის გავლას თითქმის მთელი საათი მოვუნდით.

ამჯერად უკვე ჩვენ მიგვყავდა მანქანა, უფრო სწორედ, ჯიუტი ბავშვივით „ნივას“ ძალით მივათრევდით ორმოცი სანტიმეტრის სიმაღლე თოვლში.

ყველანი — ჩვენ თუ ტელევიზიისა და პრესის მუშაკები ჯერ ერთ მანქანას ავათრევდით ორმოციოდე მეტრის მანძილზე, შემდეგ მეორეს და მესამეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღელტეხილამდე 200 მეტრიღა რჩებოდა...

მაგრამ ეს ის ორასი მეტრი აღმოჩნდა, რომელიც ვერაფრით ვერ გადავლახეთ.

თოვლი უკვე წელამდე გვწვდებოდა.

ყველაფერი ვილონეთ, ყველაფერი ვცადეთ.

კარგად ვიცოდით, არაფერი გამოგვივიდოდა, მაგრამ გვინდოდა საკუთარი თავი დაგვერწმუნებინა, რომ უღელტეხილამდე აღწევის აღარავითარი შანსი აღარ არსებობდა.

თოვლში ჩაფლული მწვანე „ნივა“ ცოცხალ არსებასავით დარცხვენილი იდგა.

ძალა აღმართსა ხნავსო, უთქვამს ხალხს.

რა გაეწყობოდა, უკან დავბრუნდით.

ფშაველამდე ისე ჩამოვედით, ხმა არავის ამოგვიღია.

ფშაველიდან რადიოგრამა გადასცეს, დენი ჩაერთოთ.

ომალოში ელნათურები აციმციმდა...

ბუნებრივია, ყველას დაგვწყდა გული, ამ ისტორიულ წუთებს რომ ვერ შევესწარით.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი გოგუა

# სად იკეთებენ ბუდეს თოლიები?

## მოთხრობა

მან სწავლის დამთავრებისთანავე იშოვა სამსახური. ბედმა გაუღიმა: ერთი დაწესებულების უფროსის მოადგილე ავად გახდა. იმ კაცს ახალგაზრდობის წლებში ბევრი სიმწარე ეწვნია, განსაკუთრებით კი (როგორც ამბობდნენ) უფროსის მამის სახელის წარმოთქმამ გაუშრო სისხლი. თითქოს ამას ელოდნენო, ავადმყოფს ბალიშზე თავის დადებაც არ აცალეს, მაშინვე დაფაცურდნენ და ის მოიყვანეს მის ადგილზე. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „დასვეს“, რადგან ამ თანამდებობის კაცი მეტწილად უნდა მჯდარიყო.

ის კაცი, ვის ნაცვლადაც მას ნიშნავდნენ, ისევ რომ გამოჯანმრთელებულიყო და სამსახურში გამოსვლა მოეწადინებინა, სკამი უკვე დაკავებული დახვდებოდა. რას იზამ, ასეა — „თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს — ახალგაზრდა!“ ისიც ახალგაზრდაა, საქმისთვის გული ერჩის. ახლა უნდა მოსინჯოს საკუთარი ძალები. ახლაა მისი დრო: „მიდით, თქვენ იცით, ახალგაზრდებო, იჩქარეთ, წინ დიდი საქმეები გელით!“ ჰოდა, მანაც უნდა აკეთოს საქმე, თუ ახლა არ გამოიჩინა ფხა, მაშ როდის...

რა ბევრი უნდა ადამიანს: სამსახური, თავზე ჭერი, ნატეხი პური, ერთი ჭიქა ღვინო...

... ზინასაც მიიღებო, — უთხრა უფროსმა. ამ სიტყვებს, ახალგაზრდას გულზე რომ მოეფონა, ერთი სიტყვა აკლდა. ეს სიტყვა დანარჩენებს უნდა მოჰყოლოდა. ამას მთქმელიც ხვდებოდა, მაგრამ ეს ორი სიტყვა იმ ერთს ადგილს არ უთმობდა. სიტყვებსაც შერჩევა უნდა. შერჩეული სიტყვებისა უფრო გჯერა, უფრო გეიმედებიან ისინი. სიტყვამ კი, რომელიც არ ითქვა, როდისმე შეიძლება საქმე ისე შეატრიალოს, სულაც წაშალოს ის სიტყვები, წინ რომ უსწრებდა მას და მათ ადგილზე ისეთი სიტყვები მოიხმოს, იმ უფროსს სანანებლადაც კი გაუხდეს ოდესმე. ალბათ ამიტომ, ასეთი სიტყვები ატმის კურკებივით ეჩხირებათ და ყელზე რომ არ დაადგეთ, ყლაპავენ ხოლმე. ასეთი სიტყვაა, მაგალითად: „თუ დაიმსახურებ“ — ეს სიტყვა გულისხმობს, რომ როდისმე შეიძლება დადგეს დრო, როცა მოგიწევს ასეთი სიტყვების თქმა: „დაიმსახურე, გეკუთვნის“. ამის შემდეგ ეს სიტყვა თვითონ ირჩევს სხვა სიტყვებს: „ღირსი ხარ, გეკუთვნის, ეს რა არის, კაი ხელფასი, კაი თანამდებობაც ალალია შენთვის“. და ასე შემდეგ. იმ უფროსსაც ჯერჯერობით არაფრის შეცვლა არ უნდოდა, სიტყვები ერთ ადგილზე იყვნენ დაბმულები. რაც ის ამ დაწესებულების უფროსია, ეს სიტყვები სხვანაირად არავისთვის უთქვამს, სიტყვებიც ისე შეჩვეოდნენ, შებერებოდნენ მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მიჩენილ ადგილს, რომ უფროსს, ძალიანაც რომ სდომებოდა, მათ უკვე ველარ გადაადგილებდა. უფროსის ახალი მოადგილე არ გაუნაწყენებია ამ ნათქვამს: „თუ დაიმსახურებო" — ეს სიტყვა რომ უნდა თქმულიყო, თვითონაც კარგად ხვდებოდა, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, იქნებ არც არის ასე კატეგორიულად ამის თქმა საჭირო. ზოგს შეიძლება ეწყინოს კიდეც, — რატომ გგონიათ, ვითომ, რომ ვერ დავიმსახურებო (კაცი ნუ მოინდომებს, თორემ სიტყვას, როგორც გინდა, ისე შეატრიალებ, მისთვის საზღვრები არ არსებობს). არც ღირს, ვინმეს ერთბაშად იმედი მისცე, დაპირდე. როცა რაღაცას ელოდები, უფრო მიზანსწრაფული ხარ, მიუწვდომელს ელტვი, გინდა გადაიხედო ჰორიზონტს იქით და იხილო მოუხილველი. ის სიტყვა კი, იმედს რომ გისახავს გულში, ადუნებს კაცს და ის იდუმალი ჰორიზონტიც ბუნდოვანდება.

ახალი მოადგილე ახალგაზრდა კაცი იყო, უფროსის ნათქვამში საჩოთირო არაფერი დაუნახავს და არც არაფერი აწყენია.

ამ ორ სიტყვას რომ ამბობდა, უფროსმა თითი ფანჯრისკენ გაიშვირა, საიდანაც ახალმშენებლობის ფართო პანორამა მოჩანდა. ყანჩასავით ყელგადაგდებული ამწეები უქმად იდგნენ. ზოგან სულ ახლახან ჩაეყარათ საძირკველი. იქვე, შორიახლო, კედლები უკვე კაცის სიმაღლემდე, აქა-იქ კი უფრო მაღლა ამოეყვანათ. ახალგაზრდას თვალები აუჭრელდა.

„რა უშავს, იმ სახლის საძირკველი სულ ახალი ჩაყრილიც რომ იყოს, სადაც მე ბინა უნდა მომცენ, დავიცდი, ახალგაზრდა ვარ, რა მეჩქარება", — გაიფიქრა. როცა ფანჯრისკენ გაშვერილ უფროსის თითს თვალი გააყოლა, დაინახა, როგორ გამოჟონა თვალის კუთხეებიდან სისველემ, წამით თითქოს სხივიც გაუკრთა თვალებში. ტუჩები კი არც შერხევია, თითქოს წებო წაუსვესო, ისე კუმავდა. კაცმა [illegible] ვერც გაამტყუნებ. უფროსი იმის უფროსია, რომ ცოტა უნდა დაგაიმედოს, მიგიზიდოს რაღაცით, თან ფხიზლად უნდა გამყოფოს, რომ არ მოდუნდე და უფროს-უმცროსობა, ვინ ვინ არის — არ დაგავიწყდეს.

ჰო, ვიდრე ამ სახლს ააშენებენ, კარგი იქნებოდა სადმე პატარა ოთახი ეშოვა. სჯობია იქვე, ახლომახლო იქირავოს ბინა, სამსახურთანაც ახლოს იქნება და სახლის მშენებლობის ნახვაც გულს გაუხარებს. ნაფიქრალი უფროსს გაანდო, დაეთხოვა და წავიდა.

მიდის, მიუყვება ქუჩას, მშენებარე სახლებს კი ბოლო არ უჩანს. ხარაჩოებზე კაციშვილი არ ჩანდა. ფიქრებს მიენდო (რა თქმა უნდა, რასაც ახლა გულში ფიქრობდა, სხვაგან ამაზე სიტყვა როგორ დასცდებოდა! მართალია ახალგაზრდაა, მაგრამ იცის, სად და როდის რა უნდა თქვას). ნეტავ რაში დასჭირდათ ამ პატარა ნაკვეთზე ამხელა მშენებლობის წამოწყება? ყველა უბინაო ქოხმახებში ცხოვრობს? ბევრნი ყოფილან ეს უბინაოები, მაგრამ ბინიანები ვინღა არიან, რამდენი არიან ისინი? ზამთარში, როდესაც დამსვენებლები საბოლოოდ გაიკრიფებიან ხოლმე, ქუჩაში კანტიკუნტადღა თუ გამოჩნდება ორიოდე კაცი. მაშ ვიღასთვის აშენებენ? ახალ ჰუნებს ხომ არ ელოდებოდნენ? იქნებ უნდოდათ ბოლო მოეღოთ მათი გაუთავებელი შემოტევა-ხეტიალისთვის, თბილი და ცივი წყლით და გაზით დაეშოშმინებინათ ისინი?

გაუკაცრიელებული ქუჩის, უქმად მდგარი კისერგადაგდებული ამწეებისა და მშენებლობის მაღალ-დაბალი კედლების შემხედვარე ახალგაზრდა მოადგილეს გული უჩვეულოდ უთრთოდა: „სულ ამოწყდნენ თუ გადაიხვეწნენ სადმე?" იქნებ ახალი ჰუნები, რომელთა მორჯულებასაც თბილი წყლითა და გაზით აპირებდნენ, მოახტნენ თავიანთ აქა-იქ შემორჩენილ დამშეულ ბედაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს და ყიჟინით, ცხენის ფლოქვებიდან ავარდნილ მტვრის ბუღში უგზოუკვლოდ გადაიკარგნენ? ახალგაზრდა მოადგილეს ეგონა, მათ მიერ მიტოვებულ ნანგრევებში დავიარებით, ლობეს, მშენებლობას ქუჩასთან ზღვარს რომ უდებდა, ფიცარნაგის მეტად ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მიჰკვროდა. ამ ვიწრო ბილიკზე ძნელი იყო სიარული და ახალგაზრდა მალე მოიქანცა, მაგრამ არ შეჩერებულა. ირგვლივ მხოლოდ რკინა-ბეტონი, ქვა-ლორლი და გროვა-გროვა დაყრილი აგურები მოჩანდა. მზე მაგრად აჭერდა. მიდიოდა ლობეებს შორის დაგებულ ფიცარნაგზე და ვერც იქით უხვევდა, ვერც აქეთ. ერთ ნედლ ტოტს — სიცოცხლის ნიშანწყალს რომ დაამჩნევდა აქაურობას — ვერ მოჰკრავდით ვერსად თვალს. ძალიან დაიღალა. ის იყო უკან გამობრუნება დააპირა, რომ წყლის ჩუხჩუხი მოესმა და შეჩერდა. კისერი წაიგრძელა და ლობის იქით გადაიხედა. ცოტა მოშორებით რამდენიმე ხე იდგა, რომელთა შემეჩხერებული ტოტები და ფოთლები ძლივს ჰფენდნენ ჩრდილს მათ ქვეშ ამოჩრილ თითო-ოროლა ბალახის ღეროს. შეკრთა რატომღაც და შეჩერდა: არ მოელოდა, საიდან გაჩნდნენ აქ ეს ხეები? ირგვლივ მოჩანდა მხოლოდ კედელი, კედელი, კედელი... ხეებში პატარა ხუხულას მოჰკრა თვალი. უფრო იქით ახლად წამოწყებული სახლის მშენებლობა მოჩანდა, ვერ გაიგებდით, მისი შერუჯული კედლები რით იყო ნაგები — ტუფით, აგურით თუ ქვით. სახლის იქით უქმად დაყუდებულიყო ამწე. ამა ყველაფერს გარშემო ხის მაღალი ღობე ერტყა, რომელშიც ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. მან ცალ ანჯამაზე ჩამოკიდებული კარი შეაღო და შევიდა. ცოტა სული მოითქვა: ტოტებშემოძარცული ორიოდე ხის ქვეშ აქა-იქ ბალახის გაქუცული ღეროები ამოჩრილიყო. ერთი კაცი კი მოითქვამდა სულს ამ ხეების ჩრდილქვეშ. აქ ჰაერიც სხვანაირი, უფრო სუფთა იყო, ცივილიზირებული კაცის ლექსიკონს თქ[illegible] მართ — მიკროკლიმატი იყო შ[illegible]ლი. გვერდზე წაფერდილი ქოხი თეთრი კირით იყო ფაქიზად შეფეთქილი. პატარა ფანჯრები უჩვეულოდ კრიალებდა. ეტყობოდა, მისი პატრონი დროს არად აგდებდა და გულდადებით გაუპრიალებინა ისინი. ფანჯარაზე არ ჩანდა მარმაშებიანი ფარდები, ასე რომ ეჯავრებოდა ახალგაზრდა მოადგილეს. საერთოდ, არ ეკიდა არავითარი ფარდა ქოხის წინ. მშვილდივით მოგრეხილი რკინის მილიდან წყალი გადმოსჩქეფდა.

ახალგაზრდა მოადგილეს უკვირდა: მზით გადახუნებულ პეიზაჟში ასეთი რამ როგორ გადარჩაო.

წყალთან მივიდა და ხელი შეუშვირა. ესიამოვნა — ცივი იყო. ხელები გადაიბანა. მერე წყალი პეშვით სახეზე შეიშხაპუნა და ისევ შეავსო. წყალს ქაფი არ მოუგდია, მხოლოდ აქა-იქ ამოიბუშტა ცოტათი. კარგი წყალიაო, გაიფიქრა. დალია, კიდევ შეივსო პეშვი, კიდევ მოსვა და სიამოვნებით ამოიხვნეშა. მერე ჩვეული მოძრაობით ხელი ონკანის დასაკეტად გააცეცა, თითებით მილის გლუვ ზედაპირს წაეპოტინა და მიხვდა, აქ რომ წყალი არასოდეს დაკეტილა. მილს საერთოდ არ ჰქონდა საკეტი...

— ნურც ეძებ...

უკვე მიჩვეოდა, რომ ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო და ცოცხალი ადამიანის ხმამ შეაკრთო; მოიხედა: უცნობი ჟამთა წიაღიდან გადმოსულს ჰგავდა. ნაოჭებით სახე ერთიანად დაღარვოდა, უკბილო იყო და ტუჩები პირწაკრულ ქისასავით ჰქონდა მოპრუწული. მის წინ დედაბერი იდგა.

— ამ მილს რომ საკეტი გავუკეთო, ფულის გადახდას ვერ აუვალ, — თქვა მან და ტუჩები ჭიპივით მოუმრგვალდა.

— სულ რომ ასე იდინოს, ხომ უარესია?

— უკეთესია... საკეტს გავაკეთებინებ თუ არა, მოვა მაშინვე ათასი ჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის აღმრიცხველი, გადასახადის ამკრეფი და...

„სრულ ჭკუაზე არ არის, არ იცის, რას ლაპარაკობს“, — გაიფიქრა ახალგაზრდამ და გადაწყვიტა ხმა აღარ ამოეღო.

წყალი კი დიოდა და დიოდა, ამასობაში შორიდან მშენებლობის ხმაურმა მოაღწია. აჭრიალდა ამწევები, ვიღაცა ეროთი ხიმინჯებს ასობდა, მეორე აფრთხილებდა, ცოტა ნელა მოიქნიე, თავში არ მოირტყაო. ეს ხმები რომ ჩაესმა, წყლის ხმაურმა უფრო გაალიზიანა.

— მიეჩვევი, — თითქოს მის გულში იჯდაო, უთხრა დედაბერმა. ახალგაზრდა შეკრთა რატომღაც.

— ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, აწი ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, აღარაფერი მესმის.

— აქაურობას როგორ შემორჩით, ამდენ სახლებს აშენებენ, ბინა...

— მარტოხელა ვარ. არაფერს წარმოვადგენ...

— ?..

— ეს ხუხულა რომ დამინგრიონ, ცისქვეშ დავრჩები...

— ცის ქვეშ რას მიქვია, ეს ხომ უსამართლობა იქნება!

— სანამ ააშენებენ?..

„ნამდვილად ვერ არის ეს საწყალი ჭკუაზე“, — გაიფიქრა და გაჩუმდა. — მშენებლებმა რომ ნახეს ჩემი ქოხი, ხელი ჩაიქნიეს, იდგეს სანამ მშენებლობას დავამთავრებთო, თქვეს და წავიდნენ. დიდი ხანია აღარავის მოუკითხია. ამ ნებაზე მიშვებულ წყალს ვგავარ...

— მეც აქ სადღაც უნდა მივიღო...

მოხუცმა ძლივძლივობით მოამრგვალა ტუჩები და გაიცინა:

— დიდი თანამდებობის კაცი ხარ?

— დიდი რად მინდა, რაც მაქვს, იმითაც კმაყოფილი ვარ.

— ზურგი გაქვს?

— ზურგი... ვერ გავიგე...

— პატრონი თუ გყავს, დიდი თანამდებობის კაცი, ვისი სიტყვაც ჭრის — უფროსი ძმა, ბიძა, სიმამრი, სიდედრი?

— მე ვარ, ხელი მაქვს, ფული მაქვს, სწავლა-განათლებით ვერავინ დამიწუნებს, ჰოდა...

— „ჰოდა, რაღა ზურგი მინდა“, გინდოდა გეთქვა, არა? გგონია... — მოხუცმა ტუჩები კიდევ უფრო მოკუმა. — დროებით თავშესაფარს ხომ არ ეძებ?

— ვეძებ, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ აშენებენ...

— სადაც მშენებლობა არ არის და ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული, იქ შენ ბინის დაჭერა არ გარგებს. შეიძლება ისეთ სახლში დაიქირავო ბინა, ავ თვალს არ ენახოს, მაგრამ რად გინდა, პატიმარს დაემსგავსები. ისინი, რაც უფრო მდიდრები არიან, მით უფრო გულცივები ბრძანდებიან, ერთ ხეირიან სალამს ვერ ეღირსები იმათგან. ბინიანს უბინაო კაცთან გავლაც კი ეთაკილება — კაცად არ მიაჩნია. ფასს ხომ ნუღა იტყვი, ოთუსბირს დაგითვასებენ, რასაც იშოვი, ყველაფერს აგაფცქვნიან. ცოტა უარეს მაცხოვრებელთან თუ მიხვალ, არც იქ დაგეყრება ხეირი. გინდა ასეთ სახლში გიცხოვრია, გინდა საერთო საცხოვრებელში. შენს გემოზე წყალს ვერ დალევ, ვერ მიბრუნდ-მობრუნდები, შენს გემოზე ვერ წამოწვები. სულ შენს გარშემო დაიწყებენ ტუსტუსს, თავს მოგაბეზრებენ. ასეთ სახლებში ბევრი შინაბერა შეგხვდება. თმაგაქუცულებსა და ფერგახუნებულებს ფერ-უმარილი სახეზე აქვთ შემხმარი... შენისთანებს სანთლით დაეძებენ. ჯერ თავს მოიტყუებ, თითქოს ეს ყველაფერი ოდნავადაც არ გაღელვებს, მაგრამ ახალგაზრდა კაცი ხარ, როდემდე გაუძლებ?.. ერთ მშვენიერ დღეს რაღაცას მოგიგონებენ... მერე სამსახურის კარებს აგიტალახებენ.

შეცბუნდა, როცა სამსახური უხსენეს.

— გარდა ამისა, — არ იშლიდა მოხუცი, — როგორც კი შეგეჩვევიან, ფულის სესხებას დაიწყებენ შენგან. ბინის ქირაც გამოგართმევენ, — ნასესხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაგიბრუნებენ. „შენი კი გვმართებს, მაგრამ..." — გეტყვიან და ამოიხვნეშებენ. რაღა ბევრი გავაგრძელო, მოდი, ჩემთან დარჩი, აქ გირჩევნია. ხანდახან თუ რაღაცას მომცემ, ხომ კარგია, თუ არადა არც იმაზე დაგემდურები...

— რატომ, რაც გეკუთვნით, იმას გადაგიხდით.

— მაშ კარგი, — პირდაპირ შეხედა ახალგაზრდას, — პურის ფული მომეცი. იმდენი, მე რომ მეყოს.

მორიგდნენ. ესეც ასე... ცისქვეშ ხომ მაინც აღარ არის, უმოკლეს ხანში ის სახლიც აშენდება, ბინასაც მიიღებს...

ბინა... ბინა...

მანამდე ხის ძირშიც კი შეუძლია გაათიოს ღამე. ჯერ ახალგაზრდაა, ჯანღონით სავსე, ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს, მთელი ცხოვრება წინა აქვს.

იმ ღამეს ღრმა, უშფოთველი ძილით ეძინა. დილით, როგორც კი გამოიღვიძა, თავისთვის მოჩუხჩუხე წყალს ხელი შეუშვირა და სახეზე შეისხურა. მერე ნახევრად ჩამოგდებული ჭიშკარი გამოაღო და გარეთ გავიდა. მის წინ იდო ორ ღობეს შორის მოქცეული ვიწრო ფიცარნაგი, გარს რომ ეკვროდა მშენებლობას. საითაც უნდა გაგეხედათ, ყველგან ახალსაძირკველჩაყრილი ან ნახევრად ამოყვანილი სახლების კედლები მოჩანდა. უტყვად იდგნენ ამწეები. შორს სახლი მოჩანდა, რომლის კედლებიც, სხვებთან შედარებით, კარგა მაღლა აეყვანათ, ამ სახლის ერთ-ერთ სართულზე ცისფერი ალი კიაფობდა და ნაპერწკლებს ისროდა. ეტყობოდა, იქ შემდუღებლები მუშაობდნენ.

„რა უფრო ჩქარია, ბგერა თუ სინათლე?" — გაუელვა თავში. ფიზიკაზე ცოტა უკაცრავად იყო და შეეცადა სკოლაში ნასწავლი გაეხსენებინა.

„ჰო, სინათლე... რაკი ასეა, ბგერაც წამომეწევა ალბათ..." — ნაბიჯს მოუჩქარა.

ასე გავიდა წელიწადის თორმეტი თვე. დილდილაობით სახეზე შეიშხაპუნებდა თავის ნებაზე მოჩუხჩუხე წყლის მაცოცხლებელ შხეფებს და მერე მიდიოდა. ამ ხნის განმავლობაში არსად შეუვლია: მოსაღამოვდებოდა თუ არა, მაშინვე შინ ბრუნდებოდა. შინ მოსულს კი უფრო უძნელდებოდა გარეთ გასვლა.

წყალს სვამდნენ, შუბლს იგრილებდნენ, სარეცხს ავლებდნენ, ის კი დიოდა და დიოდა, ნებაზე მიშვებული... უკვე მთელი წელი გავიდა და ახალგაზრდა მოადგილეს ამ ვიწრო ფიცარნაგზე კაციშვილი არ შეხვედრია. იქნებ იმიტომ, რომ ნახევრად ჩამოგდებული კარიდან ყოველთვის დილა-სისხამზე გადიოდა?

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, დილით, როგორც კი ფეხი დაადგა ფიცარნაგს, წინ ვიღაცის განიერ ზურგს ჰკიდა თვალი. მორგვივით კისერი ქათქათა პერანგის საყელოში ჰქონდა ჩავარდნილი. სქელი, ჭაღარა თმა თითქოს პირდაპირ კისრიდან ამოზრდოდა.

ნაბიჯს მოუჩქარა, მაგრამ ვერ დაეწია. ასე სდია უკან კარგა ხანს, სანამ მშენებლობას არ გასცდნენ. სახლებისა და აჩონჩხილი ამწეების სიმრავლეში ვერ გაეგო, როგორ დაეკარგა თვალთაგან ის კაცი.

ამ დღიდან მოყოლებული, რა დროსაც არ უნდა ამდგარიყო, ცხვირწინ ყოველთვის ეს ბეჭბრტყელი კაცი აეტუზებოდა ხოლმე. რამდენი არ ეცადა, მაინც ვერ დაეწია. ასე ფეხშეწყობით მიაბაკუნებდნენ ხოლმე ორივენი ვიწრო ფიცარნაგზე.

ასე იყო დღენიადაგ. სახლი ისევ იქ იდგა, წყალიც ისევ ისე დიოდა. გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, გაესწრო ამ ზურგისთვის, მაგრამ ამაოდ, ის ბეჭბრტყელი კაცი არც იქით უშვებდა, არც — აქეთ.

დასაწყისში ეს ყველაფერი სიცილს ჰგვრიდა მხოლოდ, მერე კი თანდათან ბრაზი მოერია. გზას ხომ მთლიანად იკავებდა და იკავებდა, ეგ არაფერი: ერთხელ არ შეუხედავს მისთვის, მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგის ჩვენება რა კაცის საკადრისია! რა იქნება, გვერდზე გაიწიოს და წინ გაუშვას?

ერთ დღესაც გადაწყვიტა, როგორმე უნდა გავასწროო და ჯიქურ წავიდა წინ, მაგრამ ისიც კარგი მუხლმაგარი ვინმე აღმოჩნდა. ვერაფრით ვერ დაეწია. გაიქცა კიდეც. მის ფეხებს თითქოს იმ კაცის ზურგზე გაუდიოდა ბრაგაბრუგი. მაგრამ ნურას უკაცრავად, წინმიმავალი არც გაწეულა და არც უკან მოუხედავს.

რა უნდა ექნა, ხელს ხომ ვერ ჰკრავდა...

ამასობაში კიდევ ორმა წელმა გაიარა. დილით, სამსახურში მიმავალი, იმ ზურგს შეჰყურებდა, უკან კი ისევ ამ ვიწრო ბილიკით ბრუნდებოდა, ორ ლობეს შორის გამომწყვდეული.

ამწევები თვეობით იდგნენ უქმად. მხოლოდ ხანდახან, ისიც ცოტა ხნით, აგრიალდებოდნენ და იწყებდნენ მუშაობას. ხანდახან ხარაჩოებიდან ავარდნილი ცისფერი ალი სჭრიდა თვალს, ერთი ეგ იყო, ბგერას ვერ მიეღწია იქამდე.

„სინათლე თუ ბგერა?"

„სინათლე..."

ზოგან, სადაც ადრე მხოლოდ საძირკველი იყო ჩაყრილი, კედლები ლობეს ასცდნენ, ერთი-ორი სახლი გადახურეს კიდეც. ეს იყო და ეს. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ახლა კი დადგა ალბათ დრო, მასაც ჰქონოდა საკუთარი ჭერი თავზე. ბინიან კაცს სტუმარიც ჰყავს და ამხანაგებიც. უფრო ხშირად ეპატიჟებიან, გოგოებშიც გაიხედ-გამოიხედავს ხანდახან. მაგრამ ბინას არავინ აძლევდა და ამხანაგებსაც გაურბოდა და გოგოებსაც, გარე-გარე უვლიდა. სადამოობით მოხუცი ქალის ლაპარაკს უსმენდა. ეს გაუთავებელი ლაილაი თავს აბეზრებდა, მაგრამ დედაბერი თითქოს ვერ ამჩნევდა ამას. ლაპარაკობდა მანამდე, სანამ ძილი თავს არ წაართმევდა. ოდესღაც თურმე აქ დიდი ტყე ყოფილა, ტყის იქით კი — ჭაობი, რომელიც სავსე იყო იხვითა და წყლისქათამათი. ჰყვებოდა, როგორ მოდიოდნენ მონადირეები მასთან ხან დღე, ხან — ღამე, როგორ დასტრიალებდა მათ თავზე. ამ მონადირეებიდან ერთ-ერთს უფრო ხშირად, რაღაცნაირი სითბოთი იხსენებდა.

წყალი კი ისევ დიოდა...

ერთი წლის განმავლობაში უფროსი ყოველთვის ღიმილით ხვდებოდა. ისიც სიხარულით შესცინებდა ხოლმე. მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი და ნელნელა დადგა დრო, ყოველ შემთხვევაში, შეიქმნა საშიშროება, როცა ის სიტყვა — „ თუ დაიმსახურებ" — უკვე უნდა თქმულიყო.

უფროსს ველარ იცნობდით. ღიმილი ნელ-ნელა შეაშრა სახეზე. ეს დღე იყო და ახალგაზრდა მოადგილეს ამ კაცის სიცილი აღარ გაუგონია. მისალმებისას მხოლოდ მის უტყვ თვალებს შეაჩერდებოდა ხოლმე წამით. თანდათან უფრო ადრე დაიწყო სამსახურში მისვლა, უნდოდა უფროსისათვის მიესწრო. მაგრამ რამდენი არ ეცადა, უფროსი ყოველთვის სამსახურში დაუხვდა.

ან კი როგორ მიასწრებდა იმ ზურგის გადამკიდე, არა და არ გაუშვა წინ!

ბოლო ხანებში უფროსი ცოტა მკაცრი გახდა. მაშინვე უფრო ყოჩაღად დაიწყო მუშაობა. გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ და წელებზე ფეხს იდგამდა.

„იქნებ ჰგონია, რომ მაგის ადგილზე მიჭირავს თვალი, მე ჩემი თანამდებობაც სავსებით მაკმაყოფილებს, რა ტყუილად იხეთქავს გულს!"

ისე კი, საცა სამართალია, ის ადგილი მასზე უფრო უპრიანია. სწავლა-განათლებით, თუ საქმის ცოდნით ისინი ცა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ცოტა თავის ქება კი გამოუვიდა, მაგრამ თუ სიმართლე გინდათ, ეს არის.

ჰოდა, აბა რა ღირსია ეგ აძხელა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდებობისა? არა, მას ჩუქებითაც არ უნდა ეს თანამდებობა, ამას ისე ამბობს.

მას ბინა სჭირდება. როდემდე უნდა იყოს სხვისი ხიზანი? პატარაობისას ბავშვი იყო და ბავშვურად ცხოვრობდა, მერე მოსწავლეობის ხანა დადგა, სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტი გახდა და ისევ მშობლებს შეჰყურებდა ხელებში. ახლა სამსახური აქვს, ხელფასი აქვს და მაინც სხვაზეა დამოკიდებული. საკუთარი ერთი მეტრი ფართობიც არ გააჩნია. ქვეყანაზე ერთი ქალიშვილიც კი არ ეგულება, ცოტა სხვა თვალით რომ შეხედავდა მას...

მასაც უნდა ჰქონდეს სახლი, უხაროდეს სტუმრის მოსვლა, თავი გამოიდოს კარგი მასპინძლობით, სამსახურიდან შინ დაბრუნებულს უნდა ვინმე დახვდეს სახლში, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. „ეი, მასპინძელოო“, — შემოსძახებენ ამხანაგები და ისიც ფართოდ გაუღებს კარს სასურველ სტუმრებს...

მაგრამ რა ქნას, სანამ მისი უფროსი და სხვა მისთანანი მრავლად არიან, არაფერი გამოვა. კაცი რომ თვითონ იყოს თავისი თავის მასპინძელი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, ამასაც ვერ ჰგუობენ. თითქოს დედის მუცლიდან დაჰყვათ მეპატრონეობის გრძნობა.

მაგრამ რაც უნდა თქვა, ის კაცი მაინც მისი უფროსია და თვითონ — მისი თანამშრომელი.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. ელვისსისწრაფით გარბოდნენ დღეები.

მოხუცი ქალი ისევ ისეთი იყო, პირველ დღეს რომ ნახა, მას კი უკვე თმა შეევერცხლა. სამსახურის საქმეებში საკმაო გამოცდილება შეიძინა. რამდენჯერაც შეამოწმეს, იოტის ოდენა დარღვევაც კი ვერ აღმოუჩინეს. მიზეზს ვერ გეტყვით, ის კი იყო, რომ ბოლო ხანებში ხშირ-ხშირად ამოწმებდნენ. თანდათან ნერვებმა უმტყუნ[illegible] რაღაცაზე ენთებოდა.

ყველაფერი კი იმ ზურგის ბრალია. ამ ბოლო ხანებში ხომ სულ გაუშრო სისხლი. უფრო და უფრო ზანტად მიიზლაზნებოდა. ეს კი ჩქარობს, დროზე უნდა მივიდეს სამსახურში, თორემ საყვედურს არ დაუღევენ.

იმის იმედით, რომ ახლა მაინც მისცემს გზას, თანდათან უფრო ხმამაღლა ურტყამს ფეხს ვიწრო ფიცარს. ფეხის ხმაც ჯერ ზურგს ენარცხება, მერე სახლის კედლებს ეფშვნება მარილივით და უკან ბრუნდება.

მაგრამ თქვენც არ მოძიკვდეთ!

ბოლოს და ბოლოს, ხელს ხომ არ ჰკრავს! დაუძახებდა, მაგრამ შეიძლება არც მოიხედოს. ან რა თვალით შეხედავს? მისი სამსახურიც არაა შორს, ყველაფერს მაშინვე გაიგებენ, ათასგვარ კუდს გამოაბამენ...

უფროსი კი ამ ბოლო დროს აშკარად კბენდა, მაგრამ ხელშესავლები ვერაფერი მოუძებნა, შორიდანღა დაუწყო ღრენა.

თუმც ნერვები დაგლეჯაზე ჰქონდა, უფროსთან მაინც ძალზე თავაზიანად ეჭირა თავი. ის კი არადა, ადრე თუ გაურბოდა მისი მამის სახელის წარმოთქმას, ბოლო ხანებში ყოველთვის მამის სახელით მიმართავდა. ახლა ყველაზე კარგად გაუგო თავის წინამორბედს. „დორმინდოტის ძევ“ — ნელა ამის გამოთქმა ძნელი იყო, სწრაფად მოინდომებდი თქმას და — გინებასავით ელერდა. ამ დროს უფროსს ფერფური მისდიოდა. ეს მაინც ძალიან თავაზიანად ესცეოდა დორმინდოტის ძეს, იმან კი ასე ღრენა-ღრენით უარა, უარა გარშემო და უცებ თაფლივით დადნა. სახეზე ღიმილიც კი გაუკრთა. ის ღიმილი, ამდენ ხანს რომ მალავდა და ახლა უკვე ობი მოკიდებოდა. როცა მისი ობიანი ღიმილი დაინახა, შეამჩნია, რომ უფროსი დაბერებულიყო.

ამან კიდევაც გააკვირვა და კიდევაც ჩააფიქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის წინაშე ერთი სურვილი კლავს — გაიგოს, რა გზით, რა ფასად ჩაიგდო მან ეს ადგილი. როგორც უთხრეს, უფროსი მასზე ახალგაზრდა ყოფილა, როცა ამ თანამდებობაზე დაუნიშნავთ. აგერ, უკვე დაბერდა და მაინც ზის და ზის იმ ადგილას ფეხმოუცვლელად. ხანდახან, როცა უფრო ახალგაზრდა იყო, ბრაზი წამოუვლიდა ხოლმე, თუ გაიგებდა, მავანი და მავანი ისევ დაეწინაურებინათ, მისთვის კვლავ აევლოთ გვერდი.

კაცის გაუმაძღარი ბუნება რა ვთქვი, თორემ მეტი რაღა უნდოდა? სულ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობს, თვითმფრინავის ან მატარებლის ფულს ხომ თავისი ჯიბიდან არ დახარჯავს — მივლინებას გაუკეთებენ, გადაუხდიან. ძალზე იშვიათად, დასასვენებლად რომ მიდის ხოლმე, მაშინ თუ გაიკრავს ჯიბეზე ხელს. მანქანაც რომ ემსახურება! ნეტავ, რამე მაინც ესმოდეს საქმისა, თითის თითზე გამკარებელი არ არის, ყველაფერს მოადგილეები და სხვა თანამშრომლები უკეთებენ, თვითონ კი ერთ თათბირს არ გამოტოვებს, დაიქცევა უიმისოდ ქვეყანა! სულ უფროსებს აეტორლიალება ხოლმე. „დორმორ, წყეული დორმინდოტის ძევ!“

ცოტა ადვილი წარმოსათქმელი მაინც იყოს მისი მამის სახელი, კაცი გულს აღარ გაიხეთქავდა.

აგერ, ის გადაყრუებული ბებერი, ეგ რომ მაგ თანამდებობაზე ამოქაჩა, ახლა პენსიაზეა. როცა აქედან წავიდა, ისე იყო მოფამფალებული თურმე, სანამ მხრებში არ შეუდგნენ, გარეთ ველარ გაუვლა. ერთი ხავსი აღარ ჰქონდა მოკიდებული, თორემ ისე მთლად გადალრძუებულიყო. ამას თვითონაც კარგად ხვდებოდა და ამიტომაც მოლბა კიდევაც.

მაგრამ ახლა რაღა დროს. თავის დროზე ექნა ასე!

განსაკუთრებით იმაზე სწყდება გული, რომ უკვე აღარც თვითონ არის ახალგაზრდა. ერთი ხუთი წელიც და, ორივენი ერთად დაბერდ[illegible] სახლ-კარი, აგარაკი, მანქანა რჩებოდა, ჰყავდა ცოლ-შვილი და შვილიშვილები, მას კი ჯერ არც სახლი გააჩნია და არც კარი, ის კი არადა ცოლიც ვერ მოუყვანია, ლამის არის უშვილძიროდ გადაეგოს.

მოხუცი ქალი არ იცვლება, ისევ ისეთია, როცა პირველად ნახა ქოხის წინ. არც არაფერი ემატება და არც არაფერი აკლდება. თავად კი ჭაღარა გაუმრავლდა.

წყალი... წყალი კი მიედინება და მიედინება, თავის ნებაზე მიშვებული.

ერთხელ, ის-ის იყო სამსახურში მივიდა, რომ უფროსმა გამოუძახა. არაფერი უთქვამს, ხელი ჩამოართვა და რაღაც მიულოცა. მერე ისიც უთხრა, სულ მალე ვეცდები ბინაც მიგაღებინოთო. მაგრამ ის სიტყვა... ახლაც არ უთქვამს. შესაძლებელია იცის, ახლა აუცილებელიც რომაა ამ სიტყვის თქმა, მაგრამ მაინც დუმს, რადგან ისიც იცის, რომ ეს სიტყვა — „ბინა“ — ციხეა, ბორკილია, კაცს რომ დააბამს ერთ ადგილზე და გასაქანს აღარ მისცემს.

„ვერ მოგართვეს!“

იმ ღამეს ასეთი სიზმარი ნახა. დედაბრის ქოხის გარშემო ტყეა, იმის იქით კი — ჭაობი. ვითომ წყლისქათამაზე ნადირობს. ერთმა ლამაზმა, თოვლივით ქათქათა წყლისქათამამ მოსვენება არ მისცა; მოიღერებს გრძელ კისერს და უფრინდება წინ წარამარა, აუფრინდება, დაჯდება, აუფრინდება, დაჯდება. ერთხელაც, ველარ შეიფრთხიალა ისე ყოჩაღად, ფრთებით ხის ტოტებს წამოედო, მონადირემაც გამოუშალა ჩახმახს ფეხი და წყლისქათამა მის წინ აფრთხიალდა. ის იყო მიიჭრა ნანადირევის მოსახელთებლად, რომ გაოცდა: სადღა იყო მოკლული წყლისქათამა, წინ მშვენიერი ქალწული ედგა და ილიმებოდა. როგორც კი ხელი მისკენ გაიწოდა, ქალიშვილმა უკან, ჭაობის სიღრმეში დაიხია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, შეჩერდი, ნუ გეშინია, — შეწუხდა მონადირე.

ქალიშვილი არ შეჩერებულა.

— ნუ გეშინია!

— არ მეშინია, მაგრამ ვერ შევჩერდები, მოცდა არ შემიძლია. ერთ რამეს გეტყვი: ყოველდღე რომ შენს წინ კაცი მიდის, იმას გაასწარი როგორმე. აუცილებლად გაასწარი, თუ გინდა ოდესმე ჩემამდე მოაღწიო. იცოდე, თუ ვერ შესძელი, დღეის ამას იქით ველარასოდეს მნახავ.

თქვა ეს და გაქრა. მაშინვე გამოეღვიძა. თენდებოდა. ფაცხა-ფუცხით ჩაიცვა და გარეთ გავიდა. წყალი ისევ ისე მოჩხრიალებდა. მოხუცი ქალი არსად ჩანდა. წყალი შეისხურა და ნახევრადჩამოგდებულ ჭიშკარში გავარდა. კარი ხეირიანად არც კი ჰქონდა გახურული, რომ მაშინვე ორლობეს შორის ჩაკვეხებულ ზურგს მოჰკრა თვალი. ბოლმა მოერია. სულ რკინად და ფოლადად იქცა, ჯიქურ გაემართა წინ, მისი ფეხის ხმა გასცდა ლობეებს და სადღაც შორს, სახლების კედლებს მიასკდა. ზურგი შიშნეულად შეტოკდა და ნაბიჯს აუჩქარა. მაგრამ დიდხანს ველარ გაუძლო, გაუჭირდა, ძველებურად ველარ მიდიოდა, მუხლი მობოშებოდა. მალე ზედ მიადგა ზურგს და დაინახა, როგორ გასკდა კანი და ჩამოიშალა! სადღა იყო ის სქელი, ის მორგვივით კისერი, — საცოდავად გაწვრილებოდა, შეთხელებული თმა სახლის ფარღალალა სახურავს დამაგავსებოდა.

...გზას კი მაინც არ უთმობს!

მათ შორის მანძილი უფრო შემცირდა. ანაზდად ზურგი შეირხა, შეტრიალდა და მხარზემოთ გამოიხედა. გაოცდა, არ მოელოდა, კინაღამ მუხლი მოეკვეთა, მაგრამ იმავე წამს მთელი სხეულით იგრძნო, რომ არ უნდა შეჩერებულიყო, ცეცხლმოკიდებულივით გავარდა წინ.

...ის იყო, მისი უფროსი!

თურმე როგორ შინებია მისი. რა შესაბრალისი თვალებით გამოხედა!

...შეეცოდა. წამით თითქმის [illegible] ყდა კიდევაც. თვითონ როგორ უმოწყალოდ მოექცნენ. ახლა გახდა მამა აბრამის ბატკანი, როცა იგრძნო, რომ ფეხქვეშ მიწა მოერყა. იმ მიხრწნილი ბებრისა არ იყოს, ვინც ამ ადგილზე ამოქაჩა, ადგილზევე უნდა ამოსძვრეს სული.

კმარა, თავისი ხომ გაინაღდა. ჰოდა, ახლა გაჩერდეს. საქმის კაცი მაინც იყოს, ნაკლს ვერ დაუთვლი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კადრების მომზადებაზე ხომ უნდა ეფიქრა, ცას ხომ არ შეაბერდება, შემცვლელი ხომ უნდა?

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში იმდენი იჩალიჩა, რომ კრება მოაწვევინა. კრებაზე თვითონ გამოვიდა სიტყვით და ძალიანაც გამოიდო თავი. კრებას ესწრებოდა ხელმძღვანელი ამხანაგი ზემდგომი ორგანოებიდან, რომელსაც მოეწონა მისი გამოსვლა. რამდენიმე შეკითხვაც მისცა და პასუხები ჩაიწერა. მან ილაპარაკა იმ დიდ სარგებლიანობაზე, საქმიანი დოკუმენტების დროულ და ხარისხიანად შესრულებას რომ შეეძლო მოეტანა. უფროსზეც არ უთქვამს ძვირი, აღნიშნა მხოლოდ, რომ დროს თავისი გააქვს. ბევრი საკითხი ახლებურად უნდა დაისვასო. ხოლო ამისათვის საჭიროა კადრების მომზადებას შევუწყოთ ხელი და ახალგაზრდა სპეციალისტებს გასაქანი მივცეთო, დაუმატა ბოლოს. ერთი სიტყვით, „თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს ახალგაზრდა, მიდით, იჩქარეთ, ახალგაზრდებო, წინ დიდი საქმეები გელით!"

ყოფილი უფროსის ადგილზე მისი დანიშვნის ერთი თვის თავზე სამოთახიანი ბინის გასაღები ჩააბარეს. გულმა აღარ მოუთმინა, კაბინეტის კარი გამოიხურა, ქვევით მომლოდინე მანქანაში ჩაჯდა და წავიდა, — მოხუც ქალს გავახარებ, თან გამოვემშვიდობებიო, გაიფიქრა.

სანამდეც შეიძლებოდა, მანქანით მი-

ვიდა, მერე ჩამოვიდა და ფეხით გაიარა ორღობეში მომწყვდეული ვიწრო ბილიკით. შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და ვერც ცალ ანჯამაზე ჩამოკიდებულ კარსა და ვერც წაფერდებულ ქოხს რომ ვერ მოჰკრა თვალი, შეცბა. მერე ღობის ფიცრებს შორის დარჩენილ ღრიჭოში შეიჭვრიტა და ვიღაც ქანგში ამოსვრილი კაცი დაინახა, პირში ასევე ქანგიანი სიგარეტი რომ გაეჩარა. კაცს თავი უკან გადაეგდო და ამწეს შეჰყურებდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა, მუხლებაკანკალებულმა რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რა დაგიკარგავს და რას ეძებ. ერთი პირობა გაიფიქრა, ალბათ მხარი შეცვალაო, მაგრამ სხვა ყველაფერი ირგვლივ, განსაკუთრებით კი ის ვიწრო ბილიკი ძალიან ნაცნობი რომ იყო?

— ბოდიში, აქ ერთი ქოხი იდგა... — უთხრა ქანგიან კაცს, — ხომ არ აულიათ? მოხუცი ქალი...

— რაო, რაო? — აიმრიზა უცნობი, — აქედან რომ ეს ქოხმახები ახიკეს, აი ის ბიჭი, ახლა რომ ამწეზე მუშაობს, ჯერ კიდევ აკვანში ჰყაოდა! — თქვა და კისერი ისევ უკან გადააგდო. მანაც ამწესააყოლა თვალი და, მართლაც, კოშკურა ამწის კაბინიდან გამოყოფილი ბიჭის თავი დალანდა.

ბინა სანაპიროზე წამოჭიმულ ერთ-ერთ სახლში მისცეს. სამსახური ორი ფეხის ნაბიჯზე იყო, ღვთის წყალობით, აქ არც ამწეები ეჩხირებოდა თვალში და არც იმ ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ბილიკზე სიარული უწვრილებდა გულს.

მართალია ჭაღარა მოეძალა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარო, ფიქრობდა. სამსახურში ფეხით დადიოდა. აბა, ორი ნაბიჯის გულისთვის მანქანას ხომ არ გამოუძახებდა!

ხალხმაც ნახოს, რომ ყოფილ უფროსსა და მას შორის დიდი განსხვავებაა!

საქმე თავზე საყრელად აქვს [illegible] გაზრდა კადრებზე უნდა იფიქროს, მოწინავენი გამოარჩიოს, დაეხმაროს. ახალგაზრდებს უნდათ ბინა, თუ უნდათ; აბა, მასავით ხომ არ უნდა ჩამობერდნენ ბინის მოლოდინში! მათი წახალისებაა საჭირო...

ასე მუშაობს ყოველდღე, თავაუღებლივ. სამსახურში დილით ადრე მიდის, თავაწეული მიუყვება სანაპიროს. შორს, ჰორიზონტზე თოვლით დაფარული მწვერვალები ქათქათებენ თეთრად, აქეთ ზღვა გაწოლილა, უკიდეგანო. წამოიქოჩრებიან ტალღები და გამოენთებიან ერთმანეთს, კუდში დასდევენ, მათი დედა, ზღვა კი ყველას სანაპიროზე მიუხლის თავებს, გაჰფანტავს, მერე ისევ უკან გაიტაცებს და იწყება ისევ თავიდან, დაუსრულებლად.

კაბინეტში ფეხი ხეირიანად არც კი აქვს შედგმული, ერთხმად აწკრიალდებიან ტელეფონები — იწვევენ კრებებზე, თათბირებზე... კადრების მომზადებაზე, მათ კეთილდღეობაზე ფიქრში ათენებდა და აღამებდა.

შინ, ჩვეულებისამებრ, მანქანით ბრუნდებოდა, მაგრამ ერთხელ ფეხით გაუყვა სანაპიროს. უცებ ერთ ქალიშვილს მოჰკრა თვალი. იგი სულაც არ ჰგავდა გარუჯულ, კანდაშაშრულ პლაჟის გოგონებს, მთელი დღე რომ მზის გულზე იხრუკებიან. სულ თეთრი იყო და ჰაეროვანი. რატომღაც სიზმარი გაახსენდა. თვალი ველარ მოსწყვიტა. გოგონამაც იგრძნო მამაკაცის დაჟინებული მზერა. კაცი გადასჩვეოდა ქალიშვილებთან ურთიერთობას, უჭირდა ხოლმე მათთან საუბრის წამოწყება, სათქმელს თავს ვერ აბამდა. გოგო უფრო მარჯვე აღმოჩნდა.

— ნეტავი სად იკეთებენ ეს თოლიები ბუდეს? ბარტყებს სად ჩეკენ?

გაეხარდა, სახე წამოუხურდა, ყელიც გაუშრა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ხუმრობის კილოთი ნათქვამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა. ქალიშვილს შეხედა და გაიცინა. უყურებდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცინოდა. იცინოდა გოგონაც. და ასე, სიცილ-სიცილით მიადგნენ სადარბაზოს.

— მე აქ ვცხოვრობ, ხომ არ... — არ ამომყვებაო, გაივლო გულში, მაგრამ მაინც უთხრა.

— რატომაც არა, შეიძლება.

— მე მარტო ვარ... — ამოილუღლუღა გოგოს თანხლებით დაბნეულმა.

ქალიშვილს არაფერი უთქვამს, ერთად ავიდნენ.

ერთ კვირაში ცოლად მოიყვანა. მაგრამ ქალის რჩევით (ერთს რომ უთხრა, მეორეს ეწყინება, ყველას კიდევ ვერ გაწვდები; ესეც არ იყოს, საჩუქრებს მოგიტანენ და მერე შეიძლება დაგვაყვედრონო). ქორწილი არ გადაუხდია.

ასე და ამგვარად, ცხოვრება აეწყო: თანამდებობა, ბინა, ოჯახი...

ცოლსაც სამსახურივით მიეჩვია.

ერთხელ სანაპიროს მიუყვებოდა. უცებ უკნიდან ფეხის ხმა შემოესმა. ეს ხმა უროსავით ურტყამდა ბეჭებზე. უკან მიიხედა: ჩანთიანი მოსწავლე ბიჭი სწრაფად მოაბიჯებდა, რატომღაც შეეშინდა, რომ ბიჭი დაეწეოდა და ფეხს აუჩქარა. რომც გაქცეულიყო, ბიჭს მაინც არ გაუჭირდებოდა მისი დაწევა. ნაბიჯებს მის ზურგზე გაუდიოდა ბრაგაბრუგი. სამსახურში მივიდა თუ არა, თავის მოადგილესთან შევიდა. მისი გაუფროსებიდან ჯერ კიდევ პირველი დღეები გადიოდა, მოადგილედ ეს გაქნილი კაცი რომ დანიშნა, — ყველას თვალებში შესციცინებდა და ფეხისწვერებზე დადიოდა. მალე ამასაც ცალი ფეხი სამარეში ექნება და მის ადგილზე ახალგაზრდა კაცი გახდება მოსაყვანი (კადრების საკითხი). გამოუგზავნიან ვინმე ახალგაზრდას და ისიც იმის ფიქრებში უნდა იყოს, როდის წაართმევენ სკამს და ახალს გადაულოცავენ.

შეხედა და გაუკვირდა. მეტისმეტად მობერებული მოეჩვენა მოადგილე. რაც ის ამ დაწესებულების უფროსი გახდა, ეს კაცი დასასვენებლადაც კი არ წასულა. იჯდა ფეხმოუცვლელად თავის კაბინეტში და მთელი დაწესებულების საქმეებს აწესრიგებდა.

— დღესვე აიღებთ შვებულებას და დასასვენებლად წახვალთ; ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი დავალებაა, გასაგებია? ჩვენ გამოცდილი კადრები გვჭირდება და უნდა გავუფრთხილდეთ მათ. ისინი ყოვლის შემძლენი არიან. შენ ჯერ კიდევ დიდხანს გამოგვადგები!

იმ დღიდან მოყოლებული ყველას ეს ამბავი ეკერა პირზე, სხვა დაწესებულებების მუშაკები გულზე სკდებოდნენ, რა ბედი ეწიათ, უფროსი მაგათ უნდა დაიკვეხონ, კადრებზე როგორ ზრუნავსო!

ბოლო ხანებში სამსახურშიც მანქანით მოდიოდა. მანქანაში იჯდა, სამსახურში იყო თუ თათბირებზე, ყველგან იმ ნაბიჯებს გაჰქონდათ მის ზურგზე ბრაგაბრუგი. აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას, საკუთარ დაწესებულებაში იქნებოდა თუ სხვაგან, ერთთავად კადრების მომზადებაზე, მათ აღზრდაზე ლაპარაკობდა, ბოლოს კი დიდმნიშვნელოვნად დაუმატებდა: არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძველი, გამობრძმედილი მუშაკების უნარი და შესაძლებლობა ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ. „თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს ახალგაზრდა მოდით ახალგაზრდებო, წინ დიდი საქმეები გელით“...

გამოხდა ხანი.

ერთხელ, როცა რომელიღაც თათბირიდან გამოქცეული სულის მოსათქმელად თავის კაბინეტში შეიყუჟა, მასთან ერთი მორიდებული ყმაწვილი კაცი შევიდა. ახალგაზრდის თავდაჭერა, ზრდილი ლაპარაკი და მომხიბლავი სიცილი გრძნობას ალგიძრავდათ, ნეტავი ჩემი ნათესავი იყოსო. წინ რაღაც ქაღალდი დაუდო: სამუშაოდ გამოეგზავნათ მასთან.

ერთი თვე არბენინა აქეთ-იქით. უხდოდა ბოლომდე გაეგო, ვისთან ექნებოდა საქმე. ესიკვდილებოდა მისი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება, მაგრამ შარი ვერაფერში მოსდო. განათლებული, მცოდნე ბიჭი და, არც თუ ურიგო ადამიანი ჩანდა.

...ახალგაზრდა კადრები, მძთზე ზრუნვა, — დიდი ხანია ყელში ამოუვიდა ამაზე ლაპარაკი. კარგად იცის, რა შვილებიც ბრიანდებიან. ვერაფერს გამოაპარებ... ისინი მორცხვად გადმოაბიჯებენ ხოლმე ზღურბლს, განათლებულები, წიგნიერები, ზრდილობიანები..., ბოლოს იძულებული გახდა მიეღო.

— იქ, სადმე... — უთხრა ისევე, როგორც ერთ დროს მას უთხრეს, და თითი ცათამბჯენი ამწეებისკენ გაიშვირა, — ბინასაც მიიღებთ...

ის სიტყვა, მაშინ რომ დაუმალეს, არც თვითონ უთქვამს. ის ცხვირმოუხოცავი კი მაშინვე მიხვდა ყველაფერს და გაიღიმა.

მას შემდეგ, რაც ახალი თანამშრომელი მიიღო, სულ იმის ცდაში იყო, გაეგო — სად ცხოვრობდა, რომელი ქუჩით მოდიოდა სამსახურში, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა. ყოველთვის შინ მიეჩქარებოდა, იცოდა, თუ დაიგვიანებდა, ცოლი საყვედურს არ დაუღევდა. ბავშვებიც წამოიზარდნენ, ერთი უკვე სკოლაშიც დადიოდა და წამდაუწუმ დახმარება სჭირდებოდა გაკვეთილების მომზადებაში.

არ გასულა დიდი დრო, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოადგილე მაგიდაზე დაემხო თავით. ინფარქტი! — დაადგინეს და მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს.

მისი მამის სახელის წარმოთქმა არც ისე ძნელი იყო, ის კი, ნაინფარქტალი, მაინც ნამეტნავად იგრიხებოდა უფროსის წინაშე, წარამარა შესცინებდა ხოლმე, მას კი ერთხელაც არ ულირსებია მისთვის ღიმილი — ასე, უდროოდ ჩამოაბერა.

მომავალში ასე აღარ იზამს, უნდა დაარიგოს ხელქვეითები, გაუცინოს კიდევაც ხანდახან, რომ უდროოდ არ დაბერდნენ. მაგრამ ვინლა დაარიგოს, ყველამ ყველაფერი იცის!

ის ახალგაზრდა ავადმ[illegible]ლზე უნდა დაენიშნა.

იმ საღამოს მშენებარე სახლებამდე მანქანით მივიდა, მერე მანქანა გაუშვა და ფეხით გააგრძელა გზა. აგერ, ის ვიწრო, ღობეს მიტმასნილი ფიცარნაგი. ისევ ისეა, მიხვეულ-მოხვეული. ნაცნობი სახლის მშენებლობა შუა გზაში მიეტოვებინათ, იქით გაიხედა და გული კინაღამ საგულიდან ამოუვარდა, მუხლები მოეკვეცა და გაჩერდა: ყველაფერი ისევე დახვდა, როგორც მაშინ იყო, პირველად რომ გაიარა აქ. ქოხიც ძველ ადგილზე დგას, კარი ისევ ცალ ანჯამაზე ჰკიდია, წყლის ჩხრიალსაც მოჰკრა ყური. ღობესთან ფრთხილად ჩაიმუხლა და ეზოში შეიჭვრიტა: იქ, პარმაღზე იჯდა დედაბერი, ხოლო მის წინ, სამფეხაზე ის ახალგაზრდა კაცი დასკუპებულიყო, ამას წინათ მოადგილედ რომ დანიშნა.

შინ დაბრუნებულმა მეუღლის ლაპარაკში, სიცილში, ბუზღუნში რაღაც ძალიან ნაცნობი კილო შეამჩნია, სხვაგანაც რომ გაეგონა ოდესღაც. ამან უარესად აუმღვრია გული. ერთი წუთით ცოლის სიბერე წარმოიდგინა და მაშინვე ის უკბილო, ტუჩებმოპრუწული დედაბერი წარმოუდგა თვალწინ.

— ფუ ეშმაკს! — წაიდუდღუნა ცოლის გასაგონად, მაგრამ ქალს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— მიდი, მიდი, ბავშვს...ააყენე, მგონი მორჩა! — გამოარკვია ცოლის ხმამ.

მეორე დღეს ქვევით ჩავიდა, სადაც, ჩვეულებრივ, მანქანა ელოდებოდა ხოლმე. ირგვლივ ყველაფერი შემოღობილი დახვდა. მესერს იქიდან მძღოლის ხმა მოესმა:

— ირგვლივ უნდა შემოუაროთ, სანაპიროსკენაც ჩაუკეტიათ გზა.

— შენ წადი მაშინ, — გადასძახა მძღოლს.

ამ ბოლო ხანებში ხშირად ხედავდა, როგორ ღობავდნენ აქაურობას, მაგრამ თვითონ ჰქონდა გასასვლელი და ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადლებაც არ მიუქცევია, რას აკეთებდნენ. ახლა რაღა ექნა!

ბევრი იბორიალა, მაგრამ გასასვლელი ვერსად ნახა. ერთგან ამწე ჭრიალებდა. ეტყობოდა, კარგა ხანი აღარ ამუშავებინათ. ახლა კი მთელი კედელი გაეჩარა პირში და აქეთ-იქით დააკონწიალებდა. ეს კედელი ზედ მის თავზე ტრიალებდა.

ელდანაცემივით გაიქცა. ერთ ადგილას ღობეზე ავარდნილი ფიცარი ნახა და იმ დიდ ნახვრეტში გაძვრა. როგორც კი ტანი გამოიტანა, იქვე მოსაუბრე მამაკაცების ჯგუფს გადააწყდა. ერთ-ერთმა, მთავარმა, მას გამოხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ვიღაც მაღალ-მაღალი, გამხდარი, პირში რომ სიგარეტი გაეჩარა, ზედიზედ არტყამდა ნაფაზს და თვალებს აპარპალებდა. მოკლედ შეკრეჭილ ულვაშებს ქვემოდან სამართებელივით ბასრი ისეთი ტუჩ-პირი მოუჩანდა, რომელიც მზად იყო ყველაფერი ნაკუწ-ნაკუწად ექცია, რასაც მისწვდებოდა.

შიშისაგან ფერი ეცვალა. ხოლო როცა თვალი მოჰკრა შარვლის ტოტიდან გამოჩრილ, აგურების ნაყარზე შემოდგმულ ფეხს, გულმა რეჩხი უყო. კინაღამ ბუდიდან ამოუვარდა: გამხდარი, წვრილი წვივი ერთიანად ტატუირებული იყო.

— შენ ვისი ტიკიტომარაღა ხარ? — დამცინავი ღიმილით ჰკითხა მან, — პირდაპირ ციდან ხომ არ მოფრინავ?

სხვებმაც გაიცინეს — ხმები კი ჩაესმა, მაგრამ აღელვებულმა ვერავინ დაინახა.

— გზა ამებნა, — წამოიკნავლა საცოდავად და სამუდამოდ შეეზიზღა საკუთარი თავი. — სანაპიროსკენ... სამსახურში...

— ჰა-ჰა, გზა აბნევია! — ისევ გაიცინეს უჩინმაჩინებმა. ის კი, ნაფაზს ნაფაზზე რომ ურტყამდა და ბოლისაგან დამწვარი თვალები ლამის შუბლზე ასხდა, დაჟინებით მისჩერებოდა.

ამასობაში ერთ-ერთმა მათგანმა მხარში სტაცა ხელი, ღობე გა[illegible]წია და ხელი ჰკრა.

— გმადლობთ, — ამოიბლუქუნა გააწყლებულმა. მესრის მიღმა კვლავ გაიცინეს.

გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ იმ მისთვის კარგად ნაცნობ ორღობეში გამოსულიყო. ბევრი აღარ უმარჩიელია, დაადო თავი და პირდაპირ გასწია. სულ რამდენიმე ნაბიჯი ექნებოდა გადადგმული, რომ უკნიდან ფეხის ხმა შემოესმა. ეს ხმა უმოწყალოდ სწრაფად ახლოვდებოდა.

„ვნახოთ! — შიშნაჭამი კაცის კვალობაზე მაინც დაიმუქრა, თუმცა ეს უკვე აღარ ჰგავდა მუქარას, ისე ულონოდ იყო ნათქვამი... — მე გზა ამებნა და აქ გავეჩხირე, მაგრამ ამას რაღა უნდა აქ, სამსახურში რატომ არ არის..."

უკვე დაეწია: უკანასკნელ ძალას იკრებს და თითქმის გარბის, მაგრამ ის მაინც ეწევა.

თვითონ ასე როდი მოიქცა. ეს მთლად უსინდისო ყოფილა. ფეხის ხმა ტყვიებივით ხვდება ზურგში.

ნუთუ ასე დაბერდა, რომ უკვე ფეხდაფეხ მოსდევენ. ბავშვების გაზრდა მაინც აცალონ!

უცებ მდევრის ხმა გაიგო და გაყუჩდა:

— სიმონ... გვეოდით მიდექი. გამატარე, შენთვის უკეთესია... იქნება გირჩევნია ქეჩოში გტაცო ხელი, ჰა, სიმონ?

ბოღმისაგან კინაღამ გაიგუდა: გაგონილა ასეთი უსინდისობა?! თვითონ რამდენი ხანი მიჰყვებოდა იმის ზურგს, მაგრამ სიტყვაც როგორ დასძრავდა!

არა... არც თვითონ ყოფილან უნაკლონი, მაგრამ ასეთი რამ სიზმრადაც არ დასიზმრებიათ.

— სიმონ... სიმონ...

ორღობეს გასცდნენ თუ არა, მაშინვე მშენებარე სახლის კედლებს ამოეფარა:

„კადრებიო... უნდა აღვზარდოთო... სულ ეს აკერიათ პირზე. კადრები, თო-

რემ დიდი ვინმეები ეგენი არიან! ნეტავ ვინ აგზავნის, საიდან მოდიან, ვინ იცის...“

დიდხანს მილასლასებდა ასე უაზროდ, არაქათგამოცლილი. მოულოდნელად პარკს მიადგა. პარკში უამრავი ბავშვის ეტლი დაინახა. ბავშვებს ერთი ქივილ-ხივილი გაჰქონდათ. ზოგი ახალფეხადგმული იყო, ზოგი უფრო მოჩიტებული, ორი-სამი წლისა. ერთი ეტლის წინ თავის ყოფილ უფროსს მოჰკრა თვალი: საყელო მოელელა, მკერდი მზისთვის შეეშვირა და მხიარულად ელაპარაკებოდა ხანშიშესულ ქალებს. ირგვლივ ხალხი ირეოდა, ზოგი ფეხით, ზოგი მანქანით სადღაც მიიჩქაროდა, ზოგს სამსახურში უგვიანდებოდა და საათს დასცქეროდა. ის კი, მისი ყოფილი უფროსი, იდგა მშვიდად [illegible] კი ამჩნევდა მთელ ამ გაწ[illegible]

გულზე მოეფონა ცოტა. თავისი მომავალიც წარმოიდგინა და დამშვიდდა. არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც მეგონაო, — გაიფიქრა. ყველაზე უფრო კი ის ახარებდა, ბევრ ბავშვს რომ ხედავდა, ესმოდა მათი ფეხის ხმა, ის ხმა, დღეს რომ მის ზურგს ტყვიებივით ეხლებოდა და სხეულს უცხრილავდა.

„თაობა მიდის, თაობა მოდის, ძველს ახალი ცვლის, მოხუცს ახალგაზრდა, მიდით, ახალგაზრდებო, წინ დიდი საქმეები გელით!“

— მაინც სად იკეთებენ ბუდეს თოლიები, სად ჩეკენ ბარტყებს? — ჰკითხა უცებ საკუთარ თავს, ჩაიცინა და სანაპიროს გაუყვა.

აფხაზურიდან თარგმნეს
**ანა ჭვინარია-აბრამიშვილმა**
და **მიხო ბერიშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ნიკოლა კინჩევი**

ნიკოლა კინჩევი ცნობილი ბულგარელი პოეტია, იგი ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებით ორგზის იყო სტუმრად საქართველოში. ახლოს გაეცნო ქართულ ლიტერატურას, ჩვენი ხალხის ცხოვრებას.

ნიკოლა კინჩევის მიერ თარგმნილი ქართველი პოეტების ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება ბულგარულ პერიოდიკაში, მალე გამოვა მის მიერვე შედგენილი და თარგმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიაც.

## ტყეში ვიღაცა დაეხეტება

ტყეში ვიღაცა დაეხეტება და გამოკრულში დააქვს ნაცარი.
— შემოდგომაზე, ფოთოლი რომ ჩამოცვივდება, — ამბობს მეტყევე, —
მე მას დავიჭერ — ეტყობა მან ხე დაწვა სადმე!
თქვენ კი, გოგოებო, ჯერჯერობით ნუ წახვალთ ტყეში, სახიფათოა!
ტყეში ვიღაცა დაეხეტება და გამოკრულში დააქვს ნაცარი.
— ეს ალბათ უიღბლო ოქროსმაძიებელია, — ამბობს მსუქანი, —
ივლის და როცა ვერ იპოვის, მიხვდება და ტყიდან გამოვა.
თქვენ კი, გოგოებო, ჯერჯერობით ნუ წახვალთ ტყეში, სახიფათოა!
ტყეში ვიღაცა დაეხეტება და გამოკრულში დააქვს ნაცარი.
— ეტყობა ჭკუაზე შეშლილი არის — დამუქრებით ამბობს ექიმი, —
დღეს თუ ხვალ ხელში მედიცინას ჩაუვარდება და გონზე მოვა.
თქვენ კი, გოგოებო, ჯერჯერობით ნუ წახვალთ ტყეში, სახიფათოა!
ტყეში ვიღაცა დაეხეტება და გამოკრულში დააქვს ნაცარი.
— ის ინდოეთში გარდაიცვალა, — გაურკვევლად ამბობს მკითხავი —
ცოლიც დაწვეს იმასთან ერთად და ახლა ელის მკვდრეთით აღდგომას.
თქვენ კი, გოგოებო, ჯერჯერობით ნუ წახვალთ ტყეში, სახიფათოა!

## დრო

ამ საათიდან — იმ საათამდე... მაგრამ მე უკვე
საათის ისარს თვალს არ ვადევნებ.

ისტორიკოსებთან ზურგშექცეული,
არც წინასწარმეტყველებს არ ვუშვერ სახეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა მე განუწყვეტელ აწმყოში ვიმყოფები
და დრო რაღაა, დრო არ არსებობს!

საათი — ეს ნამდვილი ჯოჯოხეთის მანქანა,
დრომ შემომაპარა, მაგრამ ამაოდ.

* * *

სარკე ბრტყელი უფსკრულია საგნებისათვის:
როგორც კი ხელს წამებულის ჩანთაში ჩაყოფ,
შეგონება ამოგყვება აუცილებლად.

სიცარიელე თვის სახელზე ფიქრობს მუდამჟამს:
ჩიტმა-ჩიორამ კარგად იცის, როდესაც გალობს,
რომ თვისი ხმებით ეუფლება სიცარიელეს.

## პოსტსკრიპტუმი

ქალაქის ბოლოს,
სახლები რომ თავდება,
დგას მონასტერი.

სამყაროს ბოლოს
სიტყვები რომ თავდება,
სიტყვა იმყოფება.

## რქის საყვირი

მე სანადიროდ ვერა ძალა ვერ გამიტყუებს
და ჩემი ხელი არასოდეს აღიმართება
ბუნების ძვირფას სახეებზე, ლამაზ ხატებზე.

ვიდრე სროლის ხმა გაიშლება ოთხივე მხარეს,
მოძახურო, შენ შეკრება ჩაჰბერე ბუკზე,
რომ გაშეშდნენ ერთ ადგილზე მონადირენი.

ეს ცხოვრება მუსიკაა აკეთნაირი
და მით უფრო ამაღლებულ ჰანგებად ისმის,
როცა ყველა რქა მისსავ პატრონს ადგია თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხდალი

მე ვიწექ.
ზეცას უარი ვუთხარი,
რომ მას ჩემი თვალები სარკედ მოეხმარა.
დაე, დიდმა საგნებმა სხვა ადგილას ეძებონ
თვისი ანარეკლები.

ჩემს გვერდით ერთმა პატარა ბალახმა
თვისი ფოთლები მამსახურა,
რომ მათი დახმარებით გამერკვია,
მეთქვა თუ არა...
რომ უცებ:

გასტა გვერდზე ერთი სახლი
და მას კიდევ სხვებიც თან მიჰყვნენ
მზის მხარისკენ გაფრინდა ყველა.
ზეცა ფანჯრის მინებით აბზინდა.
მერე ძირს დაცვივდნენ და მიწაზე დაიმსხვრნენ
და ორი მათგანი მე სათვალის მინებად მექცა.

და იმ სათვალით დავინახე მე სულ სხვა სივრცე
და იმ სურათმა დამამუნჯა და ელდა დამცა.
მაგრამ მეორე საოცრებაც თურმე გზად იყო:
ვიღაცამ მიწას დაჰკრა მუშტი
და... აღარ მახსოვს!

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ პაპანაძე

# თ ა ვ ბ ე რ ა

რომანი

11

საღამოზე ჩოგბურთის კორტებს მიაშურეს. ბავშვობაში ტიმოთეს ძალიან იტაცებდა სპორტი. ჯერ პატარა ბურთს აგორავდა ეზოში. შემდეგ ჩოგბურთის სექციაში ჩაეწერა. ერთხანობას კრივმაც გაიტაცა. კრივი სასიამოვნო სპორტია, ვაჟკაცური და შესაშინებელი: როდესაც მეორეს გამალებით ურტყამ სახეში ან მზის წნულში, გული სიამაყით გევსება. მაგრამ როცა თავად მოგდებენ ნიკაპში, უცებ ჰკარგავს მიმზიდველობას. რინგი საცურაო ბილიკებმა შეცვალეს. შემდეგ ფეხბურთი, ტანვარჯიში, კალათბურთი. ვიდრე მიხვდებოდა, რომ სპორტისთვის არ იყო გაჩენილი, წლებიც გავიდნენ. მაგრამ მკაცრ სინამდვილეს ვაჟკაცურად გაუსწორა მზერა. ვისაც უკუდო მგელზე მჯდომი ბედი-მდევრის არ ეშინია, მას ვერავითარი აღმოჩენა ვერ დააჩოქებს. შემდეგ გამოირკვა, რომ ჩოგბურთი ისეც მიმზიდველი ყოფილა, ჩემპიონობისა და პრიზების გარეშეც. ბიკენტი უფრო თანამიმდევრული აღმოჩნდა, რვა წელი დადიოდა ჩოგბურთზე და მეტსაც მიაღწია. ამ თამაშში, როგორც თვითონ ეჩვენებოდათ, მათ იზიდავდა რაღაც ინტელიგიბელური საწყისი, მრავალფეროვნება და არაჩვეულებრივი სირთულე, რაც ასე რიგად აახლოებდა და ამსგავსებდა მას თვით ცხოვრებას. ჩოგბურთი თბილისის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებს იზიდავდა. ყოველშემთხვევაში, ასეთი აზრი იყო გავრცელებული. ბიკენტი ხშირად აკვირდებოდა ამ მოთამაშე მოყვარულ პროფესორებს, მსახიობებს, კინორეჟისორებს, მინისტრებს, საქმოსნებს, მაგრამ მათში ვერაფერ ღირსშესანიშნავს ვერ ამჩნევდა. მან გადაწყვიტა, რომ სიდიადე ყოველთვის ნიღბის ქვეშ მალავს თავის სახეს და შეეშვა ჭვრეტას... ჩოგბურთი ყოვლისშემძლემ გამოუგზავნა კაცობრიობის მოწინავე რაზმს. ხოლო ბიკენტი და ტიმოთე ამ უსტარის ერთ-ერთი მკითხველები გახლდნენ.

გაგრის კორტები შეუდარებელია, სათამაშო მოედნები ზედ ზღვის ნაპირთანაა განლაგებული. პატარა თეთრი ბურთის დარტყმის ხმას ზღვის ტალღების ხმაურიც ერწყმის. ხოლო თამაშის შემდეგ პირდაპირ ზღვაში ხტება ჩოგბურთელი, ლოყებს დაბერავს, კასერს გაჭიმავს, სუნთქვას შეიკრავს და გაირინდება... ზღვა, ჩოგბურთი, გოგონები, პალმები... ამიტომ გარბიან ასე სწრაფად გაგრაში დღეები.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ქვა მოგვაგდე, სად დაიკარგე გუშინ? — ჰკითხა ტიმოთემ ბიკენტის.

— დედიშობილებმა ვიბანავეთ.

— სულ გაშიშვლდით?

— მთლიანად... შიშველი მკერდის წმინდა ვიტეს ფერხულის ხილვა ზღვის ტალღებში წარმოუდგენელი სანახაობაა.

— შემდეგ?

— შემდეგ, როგორც მგოსანმა თქვა, ჩვენ და ღამემ ვიცით... ვაჟეხ, ერთხელ ყველაფერი უნდა გამოსცადო ქვეყანაზე, ტაბაკელაზეც კი უნდა გაახერხო საშვი.

ტიმოთემ თავი ჩაკიდა. მწუხარების მიზეზი მრავალია. მაგრამ იგი განსაკუთრებით მძაფრია, როდესაც მამაკაცურ თავმოყვარეობას შეეხება. რითი იყო ბიკენტიზე ნაკლები, რატომ ერთხელ მაინც არ უბანავია შიშველს ქალთან ერთად?

ჯერ ავტობუსით იმგზავრეს, შემდეგ კიბეზე დაეშვნენ და ხეივანს გაჰყვნენ. ტიმოთეს ჩოგი იღლიაში ამოეჩარა.

— სურათი ხომ არ გადაგველო? — იკითხა ბასკომ.

პალმის ქვეშ სამი გაბადრული და ბედნიერი ქალი იდგა ფოტოაპარატის წინ.

— სხვა დროს, — თქვა ტიმოთემ და უეცრივ ერთ ადგილზე გახევდა.

მისკენ აყლაყუდა მომღიმარი სტეფანე მოდიოდა. მას ორი ვაჟი მოყვებოდა უკან.

— სალამი, მეგობარო, — ხელი დაჰკრა მხარზე ტიმოთეს, — ეს რა არის?

— ჩოგია.

— პიონი ხარ?

— ჩოგბურთელი ვარ.

— ჩემი ძველი დამქაშია, — მიუბრუნდა მეგობრებს აყლაყუდა, — კეთილი ყმაწვილია, სხვაზე ვერაფერზე ვერ დავდებ თავს, — ისევ ეშვის თვალით დახედა ჩოგს.

ტიმოთე შეიშმუშნა. ყმაწვილები ილიმებოდნენ.

— სტიოპა, შენ ნასტასე არ გინახავს, — თქვა გიზომ, — იმიტომ გაქვს ასეთი წარმოდგენა ჩოგბურთზე.

— მეგობრებო, დღეს, საღამოს, თამაშის შემდეგ, ვაჟეხი „გაგრიფში" გვეპატიჟება.

— დღეს დაკავებული ვარ, — სწრაფად მიუგო ტიმოთემ.

— ვიოლინოზე უკრავ?

— არა, მეგობარს ვაცილებ თბილისში.

— ეშმაკობ... — გაიღიმა სტეფანემ, — ხო, მართლა, მაგნოლიების ქვეშ პაემანზე რატომ არ გამოხვედი? — ჯიბიდან ფული ამოიღო და ათმანეთიანი გაუწოდა ტიმოთეს. — აი, შენი ვალი... აბა, დროებით, ვაჟეხ... კარგი ყმაწვილი ხარ, საქართველოს იმედო!

როდესაც ტიმოთე ბიკენტის დაეწია, ოფლი მოიწმინდა და ჰკითხა:

—რითი განსხვავდება ადამიანი ცხოველისაგან?

— იმით, რომ ზოგჯერ ჩოგბურთს თამაშობს.

— ჩოგბურთს დედლები თამაშობენ.

— დაწყნარდი, ჩოგბურთი ოფლის გამოდენისა და საინტერესო ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების ერთ-ერთი საშუალებაა.

ტიმოთემ თავისი ჩოგი ბასკოს გადასცა. ბიჭი წინააღმდეგი იყო ასეთი უსამართლო გადაწყვეტილებისა, მაგრამ ვინაიდან სტადიონამდე ასიოდე მეტრი იყო დარჩენილი, ბოლოს და ბოლოს, აღარ გააწბილა უფროსები.

სტადიონზე ყველა მოედანი დაკავებული აღმოჩნდა.

— დომინო ითამაშონ, — უთხრა სტადიონის მომვლელს ბიკენტიმ, — ჩოგი მხოლოდ წარჩინებულს უნდა ეჭიროს ხელში.

— წარჩინებულებმა დილაობით იარონ. დღეს ვერ ითამაშებთ.

— ყმად დაგიდგებით.

— არაფერი გამოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ბიკენტიმ აუხსნა, რომ საქართველოში ყველაფერს მოევლება, რომ ყოველ მწეერვალს თავისი დამპყრობი ჰყავს, ბავშვს — დედიკო, ქალს — თავისი მამაკაცი, გულს კი — გასაღები... მხოლოდ უნდა შეგეძლოს გასაღების მორგება.

— ამ მცირე გასამრჯელოთი ჩოგბურთის ანგელოზს აუნთე სანთელი, — ბიკენტიმ სამმანეთიანი ჩაუდო ჯიბეში მოხუცს, — როდესაც ჩოგანს ვთამაშობთ, ჩვენ, ნავარელებს, ყველაფერი გვავიწყდება.

— მწერალი ხომ არ ხარ?

— მელვინე ვარ.

შემდეგ ბასკოს განუმარტა, რომ მეღვინე, მეხინკლე, ყასაბი, ოფიციანტი, უნივერმაღის გამგე ბრბოს საყვარელი ადამიანებია და პატივით სარგებლობენ, თითქმის ისევე, თუ მეტად არა, როგორც უწინ ფალავნები.

— ჩოგბურთის ნამდვილ ტროფიალებს მაშინვე კოჭებში ეტყობათ, — გაიღიმა მოედნების მომვლელმა.

რახან ჯადოქრობა იკისრა, შეიძლება მოთამაშე კარმენსაც გამოძებნიდა სადმე?

მოხუცი ჩაფიქრდა, ერთი წუთით დაყოვნება სთხოვა.

— ოღონდ კარმენივით მომაჯადოებელი უნდა იყოს, თამაშის სტილს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

— ჩვენ, ნავარელებს, საოცრად გვაქვს გემოვნება განვითარებული.

— პირველ მოედანთან მოიკალათეთ.

ბასკო გრძელ სკამზე ჩამოსვეს. თვითონ კი გასახდელს მიაშურეს...

კორტების მომვლელს ახალგაზრდა ქალი მოჰყვა. ქერათმიანი იყო და კარმენთან არაფერი არ ჰქონდა საერთო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, აღნიშნა მოხუცმა, თმების შეღებვა შეიძლებათ.

ქალიშვილმა მადლობა გადაუხადა მიწვევისათვის.

— ეს ხომ მაინც ჩემია? — ჰკითხა ჩუმად ტიმოთემ ბიკენტის.

— ნათელზე ნათელია.

შემდეგ განაწილდნენ. ბასკო და ბიკენტი ერთ მხარეზე დადგნენ, ტიმოთემ და სვეტლანამ მეორე მხარე დაიჭირეს. ბურთის გადაგდება დაიწყეს აქეთ-იქით. მაგრამ თამაში არ გამოსდიოდათ. ტიმოთე უფრო ხშირად სხვის მოედანზე ტყორცნიდა ბურთს. სვეტლანა კი სულ თვალებს აფახულებდა.

როდესაც თამაში დაამთავრეს, სვეტლანამ ბოდიში მოუხადა ტიმოთეს ცუდი პარტნიორობისთვის.

— მეც ფინაჩი ვარ, მაგრამ იხტიბარს ნუ გავიტეხთ, — ანუგეშა ვაჟმა, — ქამთა სიავეს ნუ მოვუყრით მუხლს. მართალია, ზურგზე ბოლი გვადინეს, მაგრამ წაგებას მოგება მოსდევს ხოლმე, ღამეს — დღე, მოქცევას — უკუქცევა, მოწონებას — კოცნა.

ზღვამ ოფლისგან და დაღლისგან განბანა ისინი. არა, შეუდარებელია გაგრა. მართალია, ბათუმშიც კორტები ზღვის სიახლოვითაა, მაგრამ იქ ხშირად წვიმები იცის და — „ინტურისტშიც" ოთახის შოვნა თითქმის ზღაპარია, ხოლო სოჭში და ბიჭვინთაში მოედნები ზღვიდან ცხრა მთას იქითაა გადაკარგული.

საღამოს სვეტლანა დაკავებული აღმოჩნდა. გადაწყვიტეს მეორე დილით შეხვედრილიყვნენ პლაჟზე. ტიმოთემ ხელზე აკოცა სვეტლანას, დაემშვიდობა და ისევ ზღვაში ჩაძვრა. წყალში ზურგზე გაწოლილმა წაიოცნება. რას უმზადებდა ხვალინდელი დღე? სვეტლანა, კარმენის ქერა ვარიანტი, საიდუმლო და მიმზიდველი იყო. არა, ნამდვილად მაინც ქალია ის მარადიული ძალა, რომელიც მსოფლიო ისტორიას მართავს, ადამიანის ჩარხს წესიერად ატრიალებს, აბრუნებს მიწას, საგნებს საიდუმლოების ზეწარში ახვევს და სასწაულს სასწაულზე გთავაზობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

ჯერ კიდევ ღამის ბინდი ერტყა გაგრას, როდესაც ტიმოთე შავი ზღვის ნაპირს მოადგა. არე-მარესთან დაახლოებით ისეთივე დამოკიდებულებაში იყო, როგორც კატა მზესთან. ფისოს მზის სითბო ხიბლავს და არა მისი დიდებული ამოსვლა ან ჩასვლა. ტიმოთეც უფრო პრაქტიკული თვალით შესცქეროდა ბუნებას, ვიდრე მშვენიერების თვალსაზრისით. მაგრამ მაინც რაღაც შეტოკდა მის გულში, როდესაც მძინარე ზღვას წაადგა თავზე.

კენჭი ისროლა ზღვაში. მეორე ქვის აღებას რომ დაიკუზა, ბიკენტის წუხანდელი ნათქვამი მოაგონდა. მაშინ აქეთ-იქით გაიხედა და შეამჩნია, რომ იეხორციელი არ ჩანდა. ხომ არ გაეთამაშოს განუცდელსა და უხილავს?

მალე დედიშობილა ჩადიოდა ზღვაში. „ათიოდე წუთს გავინებივრებ. როგორც კი ვინმე გამოჩნდება, სწრაფად ამოვხტები". გვერდულით გაცურა, მერე ზურგზე გაწვა, მერე ჩაყვინთა. კარგახანს ყურყუმელაობდა. წყალი იყო თბილი, ხავერდოვანი, მოალერსე... დროშამდე მიცურდა და ისევ უკან გამობრუნდა. „სვეტლანა უკვე თვალებს იფშვნეტს და ჩემზე ფიქრობს".

ნაპირს ძუნძულით უზარმაზარი დოგი მოჰყვებოდა. „ძაღლის ჩვენ არ გვრცხვენია", — შეიკუნტრუშა ტიმოთემ და ისევ ჩაყვინთა. წყალში თვალი გაახილა. ზღვის ფსკერზე ლიფსიტები დაცურავდნენ. როდესაც თავი ამოჰყო, პირიდან წყალი გამოსტყორცნა. „ვეტერპოფის შადრევანი, პატარა ანგელოზი". ნაპირი უკაცრიელი იყო. მხოლოდ დოგი მოძუნძულებდა მის გასწვრივ და საცა იყო ტიმოთეს პირდაპირ გაჩნდებოდა. ტიმოთემ ისევ ჩაჰყო თავი და ერთხანობას ასე დაჰყო. „ისტორიამდელი არსება, თევზკაცი ვამეხი... ჭაუა რომ გვქონებოდა, არ ამოვიდოდით წყლიდან. საკვებიც საკმარისია, წყალიც. სიამოვნებაც და ... ნვაც აღარ დაგვჭირდებოდა..." საც ამოყვინთა, უცებ ვერ მიხვდა, თუ რა ხდებოდა ნაპირზე. შემდეგ თანდათან გაერკვა ვითარებაში — დოგს მისი ტანისამოსი ეჭირა ყბებით და მიძუნძულებდა, ოღონდ არა ნაპირის გასწვრივ, არამედ შორს, ხმელეთისკენ.

— ჰეი, ყურშავ, — დაუსტვინა ტიმოთემ, — ჯულბარს... მურიავ!

ფიცხლავ გამოცურა და ნაპირზე ამოვარდა. მაგრამ დოგი თვალსა და ხელს შორის გაქრა. ქვიშაზე მხოლოდ ჩუსტები ეგდო. ხელით დასწვდა. „ტრუსებში გავცვლი". საცა იყო მზეც ამოცურდებოდა. შორს, იქით, ბანაობდნენ კიდეც. უკან-უკან დაიხია. ჩუსტები ნაპირთან დააგდო და წყალში ჩაჯდა. დროებით ბედს დაემორჩილა. დინებას მისცა თავი. რატომღაც ბიკენტის მონაყოლი მოაგონდა, რომ ბრძოლის წინა დღით მეფე ლეონიდი და მისი სამასი სპარტანელი მეომარი დედიშობილა ცეკვავდნენ... საიდან იცოდა ამდენი ბიკენტიმ?

ასეთ მდგომარეობაში მოუსწრეს ტიმოთეს სვეტლანამ და მისმა მეგობარმა.

— ჩოგბურთელო, ჩვენც ახლავე შემოგიერთდებით.

ზღვაში სვეტლანამ მეგობარი წარმოუდგინა ტიმოთეს. ჯულიეტამ ხელი გაუწოდა ვაჟს. ტიმოთემ ჩამოართვა.

ზღვის სიღრმისკენ გასცურეს. შუაში წმინდანივით ტიმოთე მოაქციეს. გოგოები სულ კისკისებდნენ. იმაზე ადვილი არაფერია, როგორც ბედისგან დაჩაგრული კაცის გამოცნობა.

— რაზე ხარ დამწუხრებული? — ჰკითხა სვეტლანამ.

— ცუდი განაჩენი გამომიტანეს ექიმებმა: დილაობით სამი საათით ზღვაში ყოფნა ნაპირზე გამოუსვლელად.

— სპარტაკიადისთვის ემზადები? — თანაგრძნობით გადახედა ქალიშვილმა.

— სასწრაფოდ უნდა დავიგდო წო-

ნა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გულმა მიმსხვერპლოს... უნდა გავხდე.

ქალიშვილებმა სიცილი ატეხეს.

— შენს ადგილზე დილაობით კარაქსა და რძეს დავაწვებოდი.

„ზღვაზე მიჯაჭვული უბედური ამირანი, — გაუელვა ტიმოთეს გონებაში, — არამზადა რომ ვყოფილიყავი, ალბათ ასე არ განვიცდიდი... მყავს ბასკო, მეუღლე, მაგნიტოფონები, ჩელენტანო, „აბბა“, ელვის პრესლი, რომლებიც გულს აღელვებენ და ახალისებენ... მეტი რაღა მინდოდა?! როდესაც ეს სევდიანი ნოველა დასრულდება, ორ საცურაო ტრუსებს ჩავიცვამ ერთიმეორეზე... მერე რომ მოვყვები, ბიკენტის გაეცინება. მე კი სასაცილოს ვერაფერს ვხედავ... უცებ ნახავენ ხოლმე მდგომარეობიდან გამოსავალს, რჩევასაც მოგცემენ, ჭკუასაც გასწავლიან. მე კი ახლა მინდა ვინმემ მიკარნახოს, თუ როგორ მოიქცეს ბუნებით მორცხვი კაცი...

— მიდიხართ უკვე?.. სად შევხვდეთ საღამოზე?

— ხიდთან, რვა საათზე... ბიკენტიც წამოიყვანე.

ისინი წავიდნენ. სანაპირო კი თანდათან ივსებოდა, როგორც კინოდარბაზი საინტერესო ფილმის დაწყების წინ. „ნეტავ მართლაც სურათს უჩვენებდნენ... აი, საცაა შუქიც ჩაქრება“...

მხრებამდის იდგა წყალში ტიმოთე. ნაპირზე კი ნაირნაირ ფერებიან ტრუსებში გამოწყობილი ბედნიერი დამსვენებლები მიმოდიოდნენ. „ძმებო, გამომიწოდეთ ხელი... ნიკოლოზ მეორის ამალის წარმომადგენელი არ გეგონოთ, დედიშობილა რომ უყვარდათ ცურაობა, არც გარყვნილებისკენ არ მქონია არასოდეს მიდრეკილება“.

დრო კი გარბოდა. ბიკენტი და ბასკო არ ჩანდნენ. არცერთი ნაცნობი მამაკაცი, არცერთი მშობლიური სახე. „გზები, ტრანსპორტი, რესტორნები სავსეა არამზადებით. პატიოსანი კაცი კი ყელამდის იძულებული იყო წყალში... სიშიშვლე კი არ გვანიჭებს ბედნიერებას, როგორც ბიკენტი ლაყბობს, არამედ ის ხელი, რომელიც სამოსელს გვაცმევს, ლამაზი, თლილი ხელები“.

გაჭირვებულს ისევ ბიკენტის ნათქვამი მოაგონდა, რომ კაცს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს და მხოლოდ საკუთარ მარჯვენას და შუბლს უნდა ეყრდნობოდეს... „ეს აზრი ბიკენტიმ ვილაცას მოპარა, იმ ვილაცამ კიდევ ვილაცას... მე კი ერთი ტრუსების აწაპნაც არ შემიძლია“.

ნაპირ-ნაპირ ცურვით წასვლა გადაწყვიტა. მანძილი აფიქრებდა, მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალი ჩანდა, ერთადერთი მისამხარი გზა იყო. ადრე უნდა გადაედგა ეს თამამი ნაბიჯი. ვიდრე საფანელი სულ არ დააკლდება, მანამდის უნდა აამოქმედოს ტვინის ხლართები კაცმა.

მშიერი, დაღლილი, გამოფიტული გაუდგა გზას. ხან მიცურავდა, ხანაც ფეხდაფეხ მიდიოდა წყალში ჩაფლული. „მძაფრი განცდების მოყვარული უბირი“... გამწარებული იყო ადამიანებზე, თავის მსუბუქ ხასიათზე და ცხოვრებაზე.

ფოსტის პირდაპირ ტალღების მჭრელ უზარმაზარ ლოდებს აწყობდნენ. ამწებაქანს ზღვის კარგა დიდი ფართობი ეჭირა. ის კი უღონო იყო. ნაღვლიანი თვალებით გახედა სივრცეს, ძალა არ ეყოფოდა ბაქანის გვერდის ასავლელად. ჯანმიხდილი შედგა...

ამ დროს ხანდაზმულმა კაცმა ჰკითხა:

— სადაც იმყოფებით, ღრმაა წყალი?

უმწეო თავი მიაბრუნა ტიმოთემ.

— აქა?.. ბავშვური, სულ მცირე სიღრმეა.

სინათლის შუქმა გაუელვა ტიმოთეს სულში. დამსვენებელი ცურვით უახლოვდებოდა. „ადამიანი — ადამიანის ძმაა, ბონდია უბედურებისა და რწმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის კუნძულს შორის გადებული. მოციქულია, შემოქმედის საგანგებო დესპანია მარტოობის, ბორკილების სანაცვლოდ, თავისუფლების გადმოსაცემად გამოცხადებული... არცერთ გაჭირვებულს არ გასწირავს არც კაცი, არც მაცხოვარი და არც სამშობლო"...

— იცით, სულ შიშველი ვდგავარ წყალში, საცურაო ტრუსების გარეშე.

— მთლად?

— პატიოსანი კაცის სიტყვას გაძლევთ...

— ზღვის ლომმა ჩაგხადა?.. ხი-ხი-ხი, — ჩაიქირქილა დამსვენებელმა. სიცილით კინაღამ ფერდები გამოსცვივდა, და გაშორდა.

— მომისმინეთ, მაკვარანცხი არ გეგონოთ, — მიაძახა თვალზე ცრემლმორეულმა ტიმოთემ, — ერთი წუთით შედექით, ნუ შემაქცევთ ზურგს. შავი ჭირისა და წარღვნის დროს უნდა გაუწოდოთ კაცს ხელი და არა სუფრაზე. მიშოვეთ ერთი ტრუსი და ათი სიკეთით გადაგიხდით. ნუ გარბიხართ. ეს დალუპული ადამიანის აბუებაა.

ყური არ ათხოვა, უტარო დანასავით დაიკარგა.

შემდეგ მოწყურდა, ტანტალოსივით საშინლად მოწყურდა. რა ფასი აქვს სიმამაცეს, შეუდრეკლობას, თუ მათ იღბალი არ ახლავს? რატომ არის ადამიანი გულგრილი?.. აი, ახლა მათ ყველაფერი აინტერესებთ, რამდენი წლისაა მაგნოლია, ვინ დარგო ევკალიპტი, რამდენ კვერცხსა დებს შავი გედი, ყველაფერი — გარდა კაცის გასაჭირისა. „მომეცით ბაირაღი ხელში, რომელზეც უკვდავი ბიკენტის სიტყვები ეწერება: შეიპყრეთ ბრიყვები და შემოსეთ!.. უსახურს კაპიკი ფასი აქვს, როგორც ხმელეთზე, ისე წყალში. პატარა პრობლემის გადაწყვეტისთვის პატარა გამბედაობაა მაინც საჭირო".

ასეთ დროს გაჭირვებული თამამ გადაწყვეტილებას ღებულობს, ან საბოლოოდ ჩაიქნევს ხელს და ყულფში ყოფს თავს. ტიმოთემ სიკვდილს სიმკვირცხლე ამჯობინა. რა მ[illegible] ამოვარდეს, ვითომ პირველად დაინახავენ შიშველ კაცს?!

წყლიდან ამოხტომა გადაწყვიტა, მთელი სისწრაფით გაქცევა. ტაქსში ჩაჯდომა და მძღოლთან გულახდილი საუბრის გაბმა.

ის-ის იყო, თავზეხელაღებული ტიმოთე ზღვიდან უნდა ამოსულიყო, რომ ნაპირს ტურისტების ჯგუფი მოადგა. წალიკ-წალიკად მოდიოდნენ. ტიმოთე გაინაბა.

13

ბასკო ეზოში თავით კენწლავდა ბურთს. ბიკენტი ოთახში მხარ-თეძოზე წამოწოლილი კითხულობდა „დეკამერონს". ბოკაჩიოს თხუთმეტიოდე წლის წინ გაეცნო. მან აღმოაჩინა, რომ ჯოვანის ქალები მისი თანამედროვენი იყვნენ. იგივე ვნებებით, იგივე გატაცებით, იგივე მშვენიერი თეძოებით და საინტერესო ჭკუითა. არაჩვეულებრივი, მრავალფეროვანი სახეები, ერთი იირითადი ყინი, რომელიც ხან აშკარად გამოტყვრება, ხან კი ღრმად არის ჩამალული, მიძინებული. რა იყო რიოში უკუნითი უკუნისამდე?.. ერთი იყო ცხადი, ადამის ჟამის ჯოვანი ისევ ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

ოთახში ბასკო შემოვარდა. მაგიდიდან ვაშლი აიღო და ბიკენტის გადახედა.

— გაგიტაცა?

ბიკენტიმ წიგნი გვერდზე გადადო და უპასუხა:

— მოწინააღმდეგემ რომ არ გაგაცუროს, მისი ხასიათის ყველა წვრილმანს კარგად უნდა ჩაწვდე.

— სად დაიკარგა მამაჩემი?

— მზის ჩასვლას აღევნებს თვალს... სანაპიროზე თოლიასავით თავისუფალია კაცი.

— მზე რა ხანია ჩაეშვა... როდის მათხოვებ „დეკამერონს?"

— არასოდეს... ჯერჯერობით, ჩიტადინო.

„ბიჭებმა პლუტარქე უნდა იკითხონ, რჩეულ ადამიანთა ბიოგრაფიები, ორ-ორმოცდაექვსი ხასიათი, ორმოცდაექვსი სამყარო. რამდენიმე საათში შეეფეთე-ბი ცხოვრებასაც და სულეთსაც. წვრი-ლმანობას და დიდსულოვნებას, მუხ-ლის მოდრეკას და დაუმორჩილებლო-ბას, სიცრუესა და სიყალბეს, სხვა ათას ვნებას, გატაცებას... გზას არავინ აგარ-ჩევინებს, ბევრსაც არაფერს გასწავლი-ან. მარაზე გაგიშვებენ, ორივე მხრიდან კედლებით შემოსაზღვრულ გზაზე და აქეთ-იქით არ გაგახედვინებენ. შეეც-დებიან თავიდანვე მორჩილებას შეგა-ჩვიონ, მწყობრში სიარული გასწავ-ლონ, ჩვეულებრივი არსებობა ბედნი-ერებად წარმოგიდგინონ, და მიაღწევენ კიდეც. იმასაც დაგიმალავენ, რომ ერ-თხელ ცხოვრობ — სულ რამდენიმე საათი, რომ თავისუფლებისათვის, სი-ყვარულისათვის დაბადებიდანვე უნდა მოემზადო. ხოლო შემდეგ, როდესაც პლუტარქეს და მისთანანებს წააწყდე-ბი, უკვე მოტეხილი იქნები, შერიგე-ბული ბედთან, კმაყოფილი, გატაცებუ-ლი ათასი წვრილმანი საზრუნავით, მოტყუებული პატარ-პატარა სატყუა-რებით, ბელურებით, მანქანით, ჭია-მაიებით, სამი ოთახით, თეატრის წინა რიგების ბილეთებით...

— ბასკო, ბევრი უნდა იკითხო. წიგ-ნები ცალ თვალს მაინც აგიხელენ, ან ორივეს ნახევრად. ცალთვალა კაცი კი ბრმას მაინც ჯობია. ერთ თვალზე შე-იძლება ცხოვრებამ ან მასწავლებელმა, თანაკლასელმა ან მეზობელმა, ბიძიამ ან ქუჩის მეგობარმა აგაფაროს ხელი, და თუ მეორეც მოხუჭული გაქვს, მაშინ ვეღარაფერს გაარჩევ, ვერაფერს მიხ-ვდები. შვილდის მოჭიმვას კი ყოველ-თვის მოესწრები, შურდულით მერეც გამოეკიდები ხვლიკებს და ბატებს. ბურთის აკენწვლაც დიდი საქმე რო-დია. ჯერ საქართველოს მზითევს: შო-თას, ბარათაშვილს, ვაჟას, ილიას, აკა-კის, გალაკტიონს ჩაწვდი პაწიათი მა-ინც... ჯოვანიტო, თუმცა არა, აქ ვგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებ ვცდები... ბავშვი ბავშ[illegible] დარჩეს. ბალანა თავისუფალია და, რაც მოეპრიანება, ის უნდა აბახოს და აკე-თოს. ამიტომ ვიდრე გული მიგიწევს, ითამაშე კუკუდამალობანა, ოთურმა, რიკ-ტაფელა, ლახტი, დროშობანა, ომობანა, უსტვინე კოდალას, მხოლოდ ბილწსიტყვაობამ არ გაგიტაცოს... ნუ იჩქარებ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. პირშეგინგლულსაც გიხილავთ, გამარჯვებულსაც და მოტყუებულსაც. ყველაფერი თანდათან მოვა, შენი ფი-ფინაური. ყვირილობაც დადგება ერთ-ხელ. მანამდე კი ჩიჩქნე მიწა. სა-ნამ გამოიჯეკები, იჩხავლე. იბურ-ჭალე, ხოლო მერე ათასი ქისა მა-რჩილიც რომ იშოვო, სუსტ კაცს ხელს ნუ უბიძგებ ნაპრალში. ნიათგამოცლილ კაცზე საყვარელი არ არსებობს ამ ქვე-ყანაზე, გაჭირვებულ ადამიანისთვის ხელის გაწვდენა ყველაზე დიდი ევტი-ქიაა ცის თაღის ქვეშ. დაბეჩავებულის მოფერება აგამაღლებს, გაგწმინდავს და ფრთებს შეგასხამს სხვა ათასი სა-სიკეთო და სახიფათო საქმეებისა და თავგადასავლების მოსამოქმედებლად... ახლა კი ითამაშე.

— მაშინ, მოდი ჭადრაკი გავახუ-როთ.

— ჭადრაკი გონივრული გასართო-ბია... თუმცა ალბათ უფრო სიმბოლოა გაუგებრობისა, იმის მანიშნებელია, რომ ყველაფერი თამაშია ან წმინდა ვიტეს ცეკვააა...

— რაზე ვითამაშოთ? — ბასკო მუჭა-მუჭა ილებდა ჭადრაკის ფიგურებს.

— აბრაგანის კვრაზე... პატარა კაცის გაწბილება ნერვებს აწყნარებს.

შეებნენ. წარმატების სადავეები ხან ერთს ეპყრო ხელთ, ხან მეორეს. დრო-დადრო სამარისებურ სიჩუმეს, ერთ-ერთის შემზარავი ყვირილი არღვევდა. ერთ მომენტში ბასკომ სვლის დაბრუ-ნება მოიწადინა. ბიკენტიმ ყური აუ-წია.

— ოღონდ, ნურას უკაცრავად.

— რაო? — იკითხა ბასკომ. — რას მეთოთხმეტები.

— თუ მხედრით არ ითამაშე, ცალი ყური დაგიგრძელდება. კატების ნათრევო!

— კატების ნათრევი რას ნიშნავს?

— გაძვალტყავებულს.

—გამხმარს?.. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ყური რეზინა როდია, რომ წელავ.

ბიკენტის მაგრად ეჭირა ხელში პატარა სმენის ორგანო. ბასკო მიხვდა, რომ მხედარს ალარაფერი ეშველებოდა და ყურის გადარჩენაზე იზრუნა. ფრთხილად წაატანა თითები მხედარს.

— პატარაობიდანვე უნდა შეეჩვიო კანონისა და ბედის პატივისცემას, — ბიკენტიმ ხელი უშვა ყურს. შემდეგ ოფიცრით მხედარი აიყვანა, — აბატი ნონოტა და ბარბაროსი ვარ.

— პატარების ყოჩი ხარ.

— ოდოყია ბასკო, პაწია მაცალე და ლამაზ კვერნას დაგაჭერიებ. ხოლო ზომიერება არც ბრძოლაში და არც ცხოვრებაში არ ამართლებს. წმინდა გიორგივით უნდა იბრძოდე და ანადგურებდე ფიგურებსა და ფარისევლობის ურდოს.

ბასკომ ეტლი გადაისროლა მტრის ბანაკში.

— წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, — თქვა მან.

— ბიჭო, შარვალს ხომ არ გამოიცვლიდი? — ჰკითხა ბიკენტიმ, — არ გაცივდე... ქიში!

— უჰ, ხვლიკების ჯოგი არ დამიფრთხო.

ბასკომ ეტლი ჩამოაფარა მეფეს. ბიკენტი კი ლაზიერით დაემუქრა.

— მალე ფეხის ძარღვებს გადავუჭრი.

— მანამდის გორდე.

ბიკენტი ჩაფიქრდა. რა მთის ამინდივით ცვალებადია ბედი: კრიალა ცა, მზე და უცებ ნისლი. „წელან არ უნდა ამეყვანა მხედარი, გამაცურა... რა პატარაა და უკვე რა ცბიერია. როგორ შეიცვალა ახალგაზრდობა. რატომ არ ემორჩილება ბუნების კანონებს, საგანთა საერთო სვლასა და მოძრაობას? რამდენი სიდუმლოება და თვალთმაქცობა იმალება ციცქნა ადამიანებში“.

— გინდა დაგიბრუნებ ცხენს?

— ვაშლი მიირთვი, ძია, ცივია და გემრიელი.

„ეშმაკიც რომ შემივრეს კანქვეშ, ამ პარტიას ვერ გადაარჩენს“, — ფიქრობდა ბიკენტი.

და უეცრივ გაბრაზდა ბიჭზე. არასოდეს არ გეჯავრება კაცი, როდესაც შენზე მდაბიო და უვარგისია, თუ, რა თქმა უნდა, სუნი არ ამოსდის პირიდან, ან მეტისმეტად ღარიბი თუ არ არის, მაგრამ საკმარისია ნაცნობი ან მეგობარი გაგითანასწორდეს, ან ოდნავ გაგისწროს, რომ კუბოს კარამდე შეიჯავრებ.

ამ დროს ბასკოს საცრისოდენა თვალები გაუხდა.

— კუდიანი, — წაილუღლუღა ბიჭმა.

— რას აჭიაყელავდი? — ჰკითხა ბიკენტიმ და თავი მიაბრუნა უკან.

მეზობელ სახლში ერთ ხმაში მღეროდნენ ძველ რუსულ რომანსს. სარკმლიდან ზღვის ტალღების სასიამოვნო ტყლაშუნი იჭრებოდა. ბიკენტიძ ისევ დაფას დახედა. შემდეგ სკამიდან წამოხტა და შემობრუნდა. კარებში თმაგაჩეჩილი, ამოგანგლული, მითეთქილი, გაფუჭებული, გალურჯებული შიშველი ადამიანი იდგა.

შეუხედავია დამცირებული შიშველი სხეული. იგი ფარდას ხდის კაცის ჯოდოქრულ ხიბლს და ერთიანად მხოლოდ ცხოველური არსის შეუგნებელ მდგომარეობას წარმოადგენს.

— მამა! — იყვირა ბასკომ, — ძვირფასო მამიკო!

მაშინ ბიკენტიმაც იცნო მეგობარი.

— დამიდგეს თვალები, სად დაგესხნენ თავს ხუნხუზები?

— ზღვასთან.

— დანები ჰქონდათ?

— ოცდათორმეტი, — ხმა უკანკალებდა ტიმოთეს და ადგილიდან არ იძვროდა.

— იყუჩე და მთლიანად გაგვანდე ხვაშიადი.

კარადიდან ტრუსი და შარვალი გამოიღო ბიკენტიმ და ჩააცვა მეგობარს. შემდეგ მაგიდასთან დასვა, არაყის ჭიქაში კონიაკი დაუსხა და დაალევინა.

ტიმოთემ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოყვა თავგადასავალი.

— უშველებელი ქოფაკი დამესხა... ტროლეიბუსში რედიკულში რომ უძვრებიან ქალებსა და ბავშვებს — აი, ერთი იმ კაცთაგანის მსგავსი...

— ტალასოფილიამ გიმსხვერპლა, — აუხსნა ბიკენტიმ, — მაგრამ ადამიანი, რომელიც ტიტლიკანა დგას ზღვაში მთელი დღის განმავლობაში და მარტოხელა ებრძვის ბედს, ვამეხ, ყოველთვის უფრო ძლიერი და ბრძენი იქნება, ვიდრე ნაპირის გასწვრივ მოხუნტრუცე რომელიმე იმპორტულ საცურაო ტრუსში გამოწყობილი დამსვენებელი.

ტიმოთემ კონიაკი მოსვა და გააგრძელა:

— ბოლოს გონებადაკარგული დელფინებმა გამომიყვანეს... შენ ვერ წარმოიდგენ რა უსუსურია შიშველი მამაკაცი... მთელი დღით ზღვაში დედიშობილა დგომა საშინელებაა, ბიკენტი.

ბასკო სიყვარულით და თანაგრძნობით შესცქეროდა მამას.

— რატომ არ მიაფურთხე ყველაფერს, რატომ არ ამოხტი წყლიდან? დამსვენებლები არ არიან იმის ღირსნი, მათ გულისთვის მთელი დღე რომ ყელამდე იდგე წყალში.

— ამ საქმეში სატანას ხელიც ერია, — თქვა ტიმოთემ.

პატიოსანი და მორცხვი კაცი ყოველთვის იჩაგრება, ფიქრობდა ბიკენტი. მხოლოდ დელფინები თუ შეუდგებიან თანაგრძნობით მხარში.

შემდეგ აქვითინდა ტიმოთე. ბიკენტი და ბასკო კი ამშვიდებდნენ. ბიკენტიმ აუხსნა, რომ ღრმად შემავალი ჭრილობა კიდევ უფრო ვაჟკაცურ იერს აძლევს ადამიანს... ბოლოს და ბოლოს რა აკეთილშობილებს კაცს, საზოგადოებას, ერს?.. სიყვარული?.. არა... შემგუებლობა? კაცს მწუხარება, ტანჯვა და წუხილი აწრთობს და ამაღლებს, განამზადებს ნამდვილი საგმირო საქმეებისთვის. მაგრამ ძაღლი მაინც ძაღლია, თანაც რუხი მგელის ახლო ნათესავია და ყოველთვის ფრთხილად უნდა იყოს, როდესაც ჰორიზონტზე გამოჩნდება.

— ცოფის საწინააღმდეგო შრატი ხომ არ გავიკეთო? — წაილუღლუღა ტიმოთემ.

— შრატი არ დაგჭირდება, — თავზე გადაუსვა ხელი ბიკენტიმ.

— დაიძინე, მამიკო, — შეეხვეწა ბასკო.

14

ოფიციანტი ქალები კუთხეში, ესტრადის სიახლოვეს ისხდნენ და ჭორაობდნენ. დროდადრო განურჩეველი თვალებით გადახედავდნენ ახლადმოსულებს. არ ჩქარობდნენ. გმირები ამ დარბაზში არ შემოდიან, დიდიხანია მიხვდნენ, და აქაც ერთი და იგივე მეორდება, როგორც ყველგან.

„გაგრიფში“ თანდათან ცოცხლდებოდა. რამდენიმე საათში ყველა თავის კუნძულზე აღმოჩნდებოდა, საკუთარ შემოფარგლულ მირაჟებით სავსე ოთახში, სადაც ადამიანი ცდილობს ჯაფის, ზრახვის, მიწის და ბედის დაუსრულებელ ტრიალის დავიწყებას, სადაც დროებით წმინდანად იქცევა, რაყიფად და პეიტრად.

ბიკენტი კარებთან დადგა. თვალი გადაავლო დარბაზს. „რატომ ვერ იტანდა ნაპოლეონი ვოლტერს? რატომ ეშინიათ ქვეყნის მპყრობელებს სიტყვისა?“

რესტორნის თავისებურმა კონსტრუქციამ — ხის ბოძებმა. წრიულად შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორტყმულმა აივანმა, ჰაეროვანმა ჭერმა, წარსულით გაჟღენთილმა კედლებმა და კუთხეებმა მოხიბლეს სვეტლანა და ჟულიეტა.

დარბაზის ბოლოში დასხდნენ, საიდანაც პალმები, მაგნოლიები და ზღვა ჩანდა. ოფიციანტი დიდხანს არ გამოჩენილა.

— რაში შეგვატყვეს, რომ ნახევრად ცარიელი ქისა გვაქვს, რატომ გვარიდებენ თვალს? — ჰკითხა ტიმოთემ ბიკენტის.

— მოგვაკითხავენ როდისმე, ნუ აგტეხავთ ომს. უსახელო, მაგრამ მშვიდი, მსუბუქი ცხოვრების მომხრე ვარ.

გოგონები აქეთ-იქით იყურებოდნენ. პირველად ისხდნენ ამ რესტორანში.

როდესაც ოფიციანტი გამოეცხადათ, ტიმოთემ გამოლანძღა. მაგრამ მაშინვე შეურიგდა და ვახშამი შეუკვეთა.

— შევუყენოთ მუცელს ბოძი?

— სიამოვნებით, — გადაიკისკისა სვეტლანამ.

ოთხივე გამხიარულდა.

ოფიციანტი თანდათან ავსებდა სიხარულით სუფრას.

— ღმერთო, როგორ მხიბლავს „გაგრიფში“, — განაცხადა ჟულიეტამ.

მანამდის კი ჩოგბურთი ითამაშეს. ერთ მხარეზე ჟულიეტა და ბიკენტი დადგნენ, მეორეზე — სვეტლანა და ტიმოთე. ზოგჯერ ადამიანი მარტოხელაა. ასეა სამარეში ჩასვლისას, მტრის ზურგში მზვერავად ყოფნისას, საბავშვო ბაღში, რინგზე, ლომის თესვისას, თანამდებობის ხელში ჩაგდების დროს. შერეულ წყვილში კი ორნი იბრძვიან გაერთიანებული ძალებით, მამაკაცი და დედაკაცი, ბუნების ორი საოცრება — თეთრ მაისურებში, თეთრ ტრუსებში, თეთრ წინდებში და თეთრ ჩუსტებში გამოწყობილნი. ამ ზღაპრულ წარმოდგენაში გაერთიანებულია ბალეტის, სარეცლის, კარმენისა და დონ ხოზე შარიას დამოკიდებულების, მთვარისა და მზის შესახებ ბარბაროსების წარმოდგენის ელემენტები. [illegible] თეთრ ფორმაში გამოწყობილ[illegible]ცი თეთრ არწივად იქცევა. თვალები მაშინვე სიამოვნებით ივსება. მთელ მოედანზე დაფრინავს და ხან ორბივით ეკვეთება თეთრ კვერცხს, ხან კი გრაციოზულად იგერიებს დარტყმას. ბალერინა, გედი, კი სიამაყით შესცქერის თავის რჩეულს, ხოლო მაყურებელი — გედის ნახევრადშიშველ წვივებს. და ისევ ირევა ერთმანეთში სულიერი და მატერიალური, არარსებული და გამომზეურებული, მოგონილი და შექმნილი დატკბობისათვის, შემკობისათვის, მოფერებისათვის და მგოსნებისათვის. ხოლო როდესაც ფრინველი ფრთებს ფრთებზე შემოჰკრავს და თავად გაეკიდება ბურთს, როდესაც თეთრი ფეხები მარაოსავით გაიშლებიან და გაიჰიმებიან, აღარ ნანობ ქვეყანაზე გაჩენას. ჩოგბურთი ჩახლაფორთებული თამაშია, სავსე მოულოდნელობითა და მრავალფეროვანი კომბინაციების რიცხვითა. სიცოცხლის მსგავსი მირაჟია, მისი გამარტივებული. შეფერადებული სიმბოლოა, გამოხატული დრო — ბურთის ლამაზი და უაზრო აქეთ-იქით მოძრაობითა, მოთამაშეების მოჩვენებითი ქმედითობითი მიზანდასახულობით, და სწრაფვით შელამაზებული. მიზანი კი არაფერია. ამ თამაშში გაურკვეველისათვის, სხვა მხარიდან მოსულისათვის ყველაფერი უაზრო, აბსურდული და გამოგონილია. სასაცილო ხტუნვა და ხელების ქნევაა. ზღვაზე ჩოგბურთი კიდევ უფრო ემსგავსება ტკბილ, გაფერადებულ სპექტაკლს.

— ჩოგბურთი, ზღვა, „გაგრიფში...“ დროს ტარება გცოდნიათ, პარტნიორებიც ურიგო როდი გყავთ, ჯიშიანი გოგოებია.

— არც ჩვენ ვართ გაუზრდელები, ჩვენც გვისწავლია გიმნაზიაში.

— საიდან ხართ, ცავატანე? — ჰკითხა მოხუცმა დარაჯმა.

— თბილისიდან, ძველო!

— თბილისელებს პატივსა ვცემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევაც, — გაიღიმა ბიკენტიმ.

ახლა კი „ჩხავერს" სვამდნენ. აქ სხვა ქვეყანა იყო — უფრო მარტივი, სწრაფმოქმედი საშუალებებით ქმნიდნენ ილუზიებს. აქ ყველაზე იოლად ივიწყებს კაცი, რომ ცხოვრებაში არც თუ იშვიათია უხეში, მკაცრი მოულოდნელობა, მიწის ძვრაზე საშინელი, დამთრგუნველი. აქ ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში სიკვდილი არასოდეს არ ჩაგიბუდდება სულში, არც ვაჭრობა არ გაიმართება შენს სინდისთან და გულთან.

— რა გიზიდავთ ცხოვრებაში, სვეტლანა? — იკითხა ტიმოთემ.

— წუთიერი გატაცება...

მაშინ ტიმოთემ ცეკვა შესთავაზა.

ცეკვის გარეშე ჯულიეტასაც არ წარმოუდგენია სალამო, და ბიკენტიც ჩაეკავაწა ქალიშვილს. საცეკვაო მოედანზე ტევა არ იყო. „იდაყვებსა და ტერფებს ისე უნდა მოერიდო, — წასჩურჩულა პარტნიორს ბიკენტიმ, — როგორც მეზღვაურები წყალქვეშა ლოდებს გაურბიან".

თავდავიწყებით ცეკვავდნენ, იყო ერთი კვანწვა და გრეხა. ყველა თავგამოდებით როკავდა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც თხელი პორტმანები ედოთ ჯიბეში და ვინც წელიწადში ერთხელ მჯლანგველის როლს თამაშობდა. ისროდნენ ხელებს, ფეხებს, ილუნებოდნენ წელში, მუხლებში, კისერში, აცანცალებდნენ თავს და სხეულის ზოგიერთ სხვა ნაწილს, დგებოდნენ ოთხზე ან ცალ კიდურზე. აქაც, როგორც ყველა შეჯგუფებაში — კრებაზე თუ სამეცნიერო სესიაზე — უნიჭოები სჭარბობდნენ ნიჭიერებს, გუნებაში ერთმანეთს დასცინოდნენ და თავი ნიახურის ფოჩივით მოჰქონდათ.

მუსიკოსები შესვენებაზე გავიდნენ. მოცეკვავენი ნასიამოვნები უსხდებოდნენ თავთავიანთ მაგიდებს.

— ახლა მივირთვათ, — თქვა ტიმოთემ, — კარგად ვიჯამბაზეთ.

— მე პიწკი მჭამელი ვარ, — სვეტლანამ უარი განაცხადა ბა[illegible]

— მაშინ კიდევ ერთი ჩავჭყაპოთ, — თქვა ტიმოთემ. ბიკენტის კი უთხრა: — უსაშველოდ გავხლართე ბადეში.

— ისე ცეკვავდით, თითქოს მიჯაჭვაკებული იყავით.

ვისაც სამელი არ შემორჩა და ბიუჯეტშიც ბზარი ჰქონდა გაჩენილი, უნდობლობით გაჰყურებდა უფრო ბედნიერი ვარსკვლავის ქვეშ დაბადებულ მეზობლებს. შური მაინც შურია. გინდ დიონისეს ოცეულში შედიოდე და გინდა სოკრატეს მიმდევარი იყო. ქვეყანაზე კი ორი საშინელი მდგომარეობა არსებობს — უტვინობა და უფულობა. როდესაც ორივე ერთად არის გაერთიანებული — ეს დიდი უსინდისობა და უსამართლობაა. ისე კი, ყველას ერთი ძალა ატრიალებს ჩვენი უშუალო მბრძანებლის — მზის დისკოს გარშემო, ყველას ერთი მიზიდულობის ძალა იცავს ზეცაში გაფრენისაგან, გაურკვევლობაში სამუდამოდ გაქრობისაგან და არასოდეს არ დაუშვებს ისეთ უსამართლობას, რომ მიწისგან შობილი მიწადვე არ იქცეს. ვინც გემოს გაუგებს, ყველას იზიდავს სასმელი, რაც მეტად ბუნებრივი და ადამიანურია. ამ სასმელით აღფრთოვანებული რამდენი გადამხტარა უფსკრულში, რამდენს აუტაცია ბრძოლის ველზე ობლად დარჩენილი ბაირაღი და გავარდნილა წინ, რამდენს დაუსაჩუქრებია ათმანეთიანით მეგობრის ბალღი, რამდენს გაუწნავს სილა თანამოინახისათვის, რამდენი დაცემულა ზურგზე და აუწევია პერანგი, რასაც ამ მშვენიერი სასმელის გავლენის გარეშე ნაკლებად თუ ჩაიდენდა...

ყოველდღიური საზრუნავი სადღაც უკან დარჩენილიყო, უკანასკნელი ვაგონის იქით. მატარებელი კი საუცხოო მხარისკენ მიჰქროდა, დიდებულ პალმებსა და მაგნოლიებს შორის. ხოლო ირგვლივ ეგზოტიკური ცხოველები — მაიმუნები, თუთიყუშები, ფარშავანგები, კენგურუები დახტოდნენ და დასეირნობდნენ. ყოველდღიურობა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ზოგჯერ ცოტათი მოსაბეზრებელი ხდება, გვირაბის მეორე მხარეს დარჩენილიყო.

დამკვრელებმა ისევ დასცხეს ინსტრუმენტებზე და დარბაზი თავის ანჯამებიდან დასხლტდა. მეზობელ მაგიდიდან ბრგე აგებულების ვაჟმა სვეტლანა საცეკვაოდ გაიწვია. შემდეგ ისევ ჭიქების დაცლა და ისევ ცეკვა. ბიკენტიმ მუხლზე დაადო ხელი ჯულიეტას. ქალიშვილი თავისი ცხოვრების ერთ ეპიზოდს იგონებდა, სიგარეტს აბოლებდა და დროდადრო ილიმებოდა. „მაინც რატომ ვერ იტანდა ნაპოლეონი ვოლტერს", — აეკვიატა ძველი აზრი ბიკენტის. ამ დროს სვეტლანამ ცარიელი ბოთლი აიღო მაგიდიდან და ბრგე ვაჟკაცს თავში ჩაარტყა. ვაჟი დაბარბაცდა. სვეტლანას ხელი ჰკრეს.

გამძვინვარებული სვეტლანა ძლივს გაიყვანეს რესტორნიდან. დარბაზიდან გასვლის წინ ტიმოთემ მოპირდაპირე შემოსასვლელისკენ გაახედა ბიკენტის.

— იცანი შხვართი?

მედეა სამ ვაჟთან ერთად იყო. თავისუფალ მაგიდას ეძებდნენ.

— გიჟმაჟი და მატრაკვეცა არ გეგონო, — ეუბნებოდა სვეტლანა ბიკენტის, — ლიზლობა დამიწყო... ყველამ თავის ბოსტანს მიხედოს, სხვის ლობეზე ნუ გადმოდგება და ნუ იჭყიტება ჭუჭრუტანაში. ვიდრე სხვას გაჭორავდე, კარგა ხანს დააკვირდი სარკეში საკუთარ თავს.

მედეას შემოტმასნილი თეთრი ჯინსები და შავი როლინგსტონი ეცვა. ბიკენტიმ უხეშად უბიძგა სვეტლანას გასასვლელისკენ. სვეტლანა გაჯიუტდა:

— წინაპრები არასოდეს არ გარბოდნენ ბრძოლის ველიდან. ან იმარჯვებდნენ, ან თავგაჩეხილები ეცემოდნენ ზემოდან გვამებს... ჩუჩლა ხარ?

— ერთი გაჩეხილი თავიც საკმარისია.

— რა უცხო ნაპირები გველოდება გარეთ? — უეცრივ თვალები მილულა სვეტლანამ.

— აქაური მილიცია, თუ [illegible] მოვუსვით.

ბულვარში სვეტლანამ იკითხა:

— რაზე ებლიტება ადამიანს თვალები?

— რა ვუპასუხო? — იკითხა ტიმოთემ.

— კითხვაზე, რომელიც სიცოცხლეში ბევრჯერ ისმება, საუკეთესო პასუხი დუმილია.

— ამაღამ თევზებსაც დაიჭერს.

— და მაინც ძალზე საინტერესოა სიცოცხლე, — თქვა ჯულიეტამ და ბიკენტის მიეკრო. — ნახე რა ლამაზად გაწოლილა, უსასრულო და უკიდეგანო.

ამ დროს სვეტლანა მდელოზე წამოწვა.

— თრაქე ახლა ამხელა ქალი, — შესჩივლა მეგობარს ტიმოთემ.

15

ღამით გაგრაში ღვინის სმის შემდეგ ზიბლი იპყრობს კაცს და ზღვისკენ მიძუნძულებს. ზღვა ხომ ცრემლია ვილაცის. ამ დროს მის გასწვრივ, სანაპიროზე, ყველა ძველი და გაცვეთილი წარმოდგენა იფანტება და რჩება მხოლოდ სიყვარულის სურვილი. ლოდზე ჩამომჯდარს სხვადასხვა ეიდოსი წარმოუდგება, და მათ შორის აუცილებლად ღამის ქალბატონი ლილიტი, გრძელთმიანი, საოცარი გრძნეული. ირგვლივ ზღვის მეკობრეების სული ტრიალებს, კებეხი, დაუდგრომელი, ზვიგენის და ყორნის ლუკმა, სასიკვდილოდ განწირული ადამიანების აჩრდილები... თავდავიწყება, კვირაძალის სიზმრები, ალარაფერი გახსოვს და ალარც ცხოვრების გეშინია.

— სულ გავიხადოთ? — ჰკითხა ბიკენტიმ ჯულიეტას.

— ნახევრად.

— მტლად დაგედები, მოდი გავშიშვლდეთ... ასეთ დროს ზეწარი ეხდება იზიდას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯულიეტამ ფრთხილად გაიძრო მოყვავილთული კაბა და ზღვას მიაშურა.

— მტრის თვალს არ ენახვები, — მიაძახა ბიკენტიმ.

შემდეგ ლიწინ-ლიწინით გადაეშვა წყალში. ზღვა თბილი იყო, ტალღები — ნაზი. ქალიშვილი თავაწეული მიცურავდა, თმები რომ არ დასველებოდა. ცურვა ვლადივოსტოკში ისწავლა, სადაც მამამისი მუშაობდა სამხედრო საზღვაო ნაწილში. ათი წელი უცხოვრიათ შორეულ მხარეს. განუმეორებელი დღეები. გაზაფხულზე კი გულის შეტევით მომკვდარიყო პოლკოვნიკი.

— დაგიკარგავს ახლობელი? — შეეკითხა ქალიშვილი.

— ზოლებიანი პანტერა, ყურს უკან რომ გვიზის, ბოსელთან რომ არის ჩასაფრებული, ყველას დაგვადებს თავის დროზე თათს, გაცილებით ადრე, ვიდრე საქმეს მაჯაგანში მოიყვან.

— როგორ მოიქცეს კაცი, როცა წლები ეხლართება, საით გაიხედოს, თუ კი სულ თვალწინ მიდგას?.. ის ერთადერთი იყო, ვისაც სინამდვილეში ვუყვარდი, — ქალიშვილი თვალს არ აშორებდა ბიკენტის.

„ახლა მეტყვის, მამას მაგონებო, — გაიფიქრა ვაჟმა, — როგორ გინდა ამის შემდეგ უცებ ეცე და ბეჭებზე გააკრა?“

— ცხოვრების ცხელი ქარი თავის დროზე ყველაფერს გამოფიტავს და გაანიავებს, ლანდებსაც მისილავს.

— მამაც ერთი გაცნობით უინტერესო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა... ან ალის ქარი ჰქონდა ჩავარდნილი პირში, ან მხოლოდ ქალებზე, სასმელზე და ფეხბურთზე ლაპარაკობდა... მამამაც ფილოლოგიური დაამთავრა. სამამულო ომში მამაცურად იბრძოდა. სამჯერ იყო დაჭრილი. მერე ღიზიანდებოდა, როცა ომის თემაზე დაწერილ რომანს კითხულობდა, ან დადგმულ ფილმს უყურებდა.

ირგვლივ კი წყვდიადი, სიწყნარე, მხოლოდ ტალღების განუმეორებელი ჩურჩული, ორი გაბრუებული სულის სურვილი და ჟინი. ქვეყნის [illegible] წინასაათის პერიოდის იმიტაცია, ორი მომავალ სხივი და სინათლე ქაოსში.

— სიგარეტი შემოგრჩა? — იკითხა ჯულიეტამ, როდესაც ფეხებით ქვიშას შეეხნენ და ნელ-ნელა ამოვიდნენ ნაპირზე.

— უამრავი.

— კიდევ რა გიზიდავს?

ქალიშვილს უყვარდა სხვისი თვალების სიღრმეში ჩახედვა.

— ჩარლი პარკერის საქსაფონი, პილატეს ცრემლი, ზღვა...

ნება-ნება დაიძრა უძლეველი ლილიტას რაზმი. მაინც სულ სხვაა ეს გრძნეული, მაინც სულ სხვაა ზღვის ტალღებში სიყვარულის თამაში. ერთადერთი საუკეთესო გართობა ამ ქვეყანაზე, ერთადერთი სინამდვილე და აზრი სიცოცხლისა. იგი არასოდეს არ მოგბეზრდება, სანამ, გასაგებია, თუ სიმხნევე არ გიღალატებს.

16

ზღვა ღელავდა, თითქოს სატანა უბერავდა გამალებით. ტალღების ამ როკვის გამო გემები, კატერები, გლისერები და ნავები ნავსაყუდელში იდგნენ. სანაპიროზე თითო-ოროლა დამსვენებელი შავდებოდა. მგოსნები, კომპოზიტორები და მხატვრები კაფეებში ისხდნენ და დაუოკებელ სულს შამპანურით აღელვებდნენ. მხატვრები ჯოისს, პრუსტს, რემბოს იხსენებდნენ. პოეტები პიკასოს, მოდილიანის, ფიროსმანს ბაძავდნენ. კომპოზიტორები უკვდავების, მარადიულობის და ჰონორარის საკითხებზე კამათობდნენ. ჩვეულებრივი დამსვენებლები მაღაზიებში დაწრიალობდნენ, ან საქალაქთაშორისო ტელეფონის ჯიხურებთან დგებოდნენ დასარეკავად.

ზღვაში ერთი ყმაწვილი კაცი ბანაობდა. მოცურავეს ბიქტორი და ნუცა ადევნებდნენ თვალს. „უჭირს“, — გაიფიქრა მამაკაცმა, როცა ტალღებმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორს გადაისროლეს ყმაწვილი. დიდხანს არ ჩანდა სვე-უბედური. როდესაც წყლიდან ამოჰყო თავი, სასოწარკვეთილად მოუსვა მკლავები. ნუცას ხიბლავდა ეს ორთაბრძოლა — ზღვის დაუდგრომელობა, უშეღავათობა და ყმაწვილის სითამამე და განწირულობა. რასაც შენს ახლობლებში ვერ პოულობ, სხვებში დაეძებ. მამაკაცის გაჭირვება, იარა და ჭვარზე გაკვრა თანაგრძნობას იწვევს ქალში. ის, რომელიც სიკვდილის წინ უკანასკნელ ამოსუნთქვამდის ასავსავებს ხელებს, ახალ სიცოცხლეს აღვიძებს გულებში. ქვეყანაზე თითით საჩვენებელი რაინდი და ქედმოუდრეკელი თითზეა ჩამოსათვლელი.

— როგორ ჰგავს ჩვენი ცხოვრების ქარის ქროლას ეს ტალღები და ეს ჭიდილი, — თქვა ნუციკომ.

— სიტუტუცეს უფრო მომაგონებს. გაჭირვების დროს ხელისგაწვდომა უფრო დიდი გმირობაა, ვიდრე ბრძოლის და ლობესთან შეტაკების დროს ნაჯახის ჩარტყმა თავში. მაგრამ კამათი და მსჯელობაც კარგი გართობაა.

— თავად თუ შეძლებდი ასეთი ამაღელვებელი სურათის დახატვას?

— უფრო გამიზნულისა და დიადისა, — თქვა ბიქტორმა, სამოსელი გაიძრო და ვითარცა უზორცომ, ზღვაში ისკუპა.

იმ დროს, როდესაც მისაშველებლად გადამხტარი ბიქტორი ზღვამ შთანთქა, უშველებელმა ტალღამ ყმაწვილი კაცი ნაპირზე გამოსტყორცნა. ჯოტო იყო.

მაშინ სანაპიროზე ჩოგბურთელების ფორმით გამოწყობილი ბიკენტი, ტიმოთე, ჯულიეტა და ბასკო გამოჩნდნენ. დროდადრო ხელებს იქნევდნენ და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს არჩევდნენ. ბასკოს ოცნებას სკოლების დანგრევა და საყოველთაო სწავლის გაუქმება წარმოადგენდა. ჯულიეტა სიყვარულს აყენებდა ყველაზე მაღალ კორტოხზე. ტიმოთეს სიცოცხლის ერთადერთ ბედნიერებად ხელოვნების გაზრდა მიაჩნდა. ბიკენტი დუმდა და ჭვრეტდა.

დროს ნაპირს მიუახლოვდნენ და ნუციკოს და მახეში გაბმულ მამაც ბიქტორს ჰკიდეს თვალი.

— თ[illegible]დობს ზღვა, — თქვა ტიმოთემ, — [illegible]ეზე...

მეგობრებმა იცნეს მოცურავე და მისი მეუღლე.

— ფრენსის მაკომბერი, — ბიკენტიმ ჩანთა ქვიშაზე დადო, — კიდევაც მშვიდობით რომ დამთავრდეს ყველაფერი, ნუციკოს ტყვია მაინც არ აცდება. ასეთია ბედისწერა.

სეირის საყურებლად მოემზადნენ. ცურაობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

— რაც იყო, — თქვა ბიკენტიმ, — იგივე მეორდება, ერთი იხრჩობა, მეორე უმზერს... აქვილონსაც ვერავინ დაიჭერს, ბასკო!

— რაღაც სიმართლეს ჰგავს, რომ ჯერ ფსკერზე აღმოჩნდება, ხოლო შემდეგ ზვიგენის კუჭში.

— კონცერტზე ხომ არ გვაგვიანდება? — იკითხა ჯულიეტამ.

— აქ უკეთესი სანახაობა გველოდება.

სანაპიროს პორტის მხრიდან მედეა, სტეფანე, მალხაზი და გიზო მოადგნენ. პირველად მედეამ შეამჩნია ტალღებთან მებრძოლი მოცურავე და მის პირდაპირ ნაპირთან შეგროვილი ხალხი. მან მოისურვა საქმის ვითარებაში უფრო ახლო მანძილიდან გარკვევა. ბიჭებს კი რესტორნისკენ მიუწევდათ გული. მაგრამ მედეას მაინც აჰყვნენ.

დამსვენებლები ჰკვიანურ რჩევას აძლევდნენ განწირულს — დაღლილიყო ბოდა მეცხრე ტალღას, არ ჩამოეყარა ყურები, გამაგრებულიყო და რწმენა არ დაეკარგა. ჯოტომ, რომელმაც წეღან ძლივს დააღწია თავი ზიფათს, სწრაფად ჩაიცვა და მოძურწა.

მედეა და მისი ამალა შეჯგუფებულ დამსვენებლებს მიუახლოვდა. ვაჟებმა მოწყენილი თვალებით გახედეს დასალუპად განწირულს. არცერთს აზრადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოსვლია ზღვაში გადაშვება თანამემამულის გადასარჩენად. ასეთ ნაბიჯს ისეთი კაცი დგამს, რომელსაც რწმენა აქვს დაკარგული. ისინი კი ნასაუზმები იყვნენ. და ყველაფრის სჯეროდათ, რაც კი სიცოცხლის უსაფრთხოებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ბზიფში შებოლილი ხორცი და კალმახები ელოდებოდათ.

მედეას დანახვაზე ძალიან აფორიაქდა ბიკენტი. თითი მოიკვნიტა და უნებურად პერანგის ღილები შეიხსნა.

— რას ჩადიხარ? — ჰკითხა ჯულიეტამ.

— კაცს, მითუმეტეს ნაცნობს, ასე ვერ დავტოვებ გასაჭირში.

— ნუ ატროკდები, — უთხრა ტიმოთემ, — უაზრობაა!

— ყოველი დიდი საქმე, თავიდან სულელურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ბიძებმა მოგიარეს?

— ბიძები არ მყავს. ხოლო როცა სიცოცხლე იწურება, განზე ვერ დავდგები.

ყურადღება რომ არ მიექციათ, შეიძლება ბიკენტი ისევ შეიკრავდა ღილებს. მაგრამ ახლა თვითონ მოიჭრა უკან დასახევი გზა.

— რაინდობა დღეს პრასა-ნიახურია... ბიკენტი, შენ თვითონ არ გვეუბნებოდი, რომ იმ კომედიაში, რომელიც დედამიწაზე თამაშდება, მონაწილეობას მაყურებლის როლი ჯობიათ... ნუ გადახტები და პურმარილს ვკისრულობ „გაგრიფშში!“

— ვამეხ, სიცოცხლე მარტო მშვენიერება როდია, იგი მოვალეობაცაა.

ბიკენტი თვალს არ აშორებდა სტიუარდესას. ტიმოთემ შეამჩნია.

— ბიჭო, ის გოგო შენს ფრჩხილადაც არ ღირს.

მაგრამ ბიკენტი უკვე მამაცური შემართებით მიემართებოდა განწირული ადამიანის საშველად.

— შესდექ, ჰკუის ფარული მტერო! — იყვირა ტიმოთემ, — ნუ აპამპულებ სიცოცხლეს!

ბიკენტიმ ტალღებს მისცა თავი. ამ დროს ჯოტოც მოვარდა, წეღან სიკვდილს რომ დაუძვრა კლანჭებიდან. თოკი მოეტანა, მაგრამ ბაწარი მოკლე გამოდგა. მაშინ ტიმოთეც გადაეშვა ზღვაში...

როდესაც გონზე მოეგო ბიკენტი, მუხლჩაჩოქილი მედეა დაინახა. ქალიშვილი შუბლზე უსვამდა ხელს. მედეას გვერდით მოღიმარი ბიქტორი იდგა. ბიკენტიმ გვერდზე გაიხედა და ქვიშაზე გართხმულ ტიმოთეს ჰკიდა თვალი.

— ფეხებით შეადექით მუცელზე, მერე ყაფაზზე დააჭირეთ მუხლი, კასრი წყალი აქვს ნაყლაპი, — თქვა ერთმა დამსვენებელმა, ტიმოთეს რომ დაჰყურებდა.

— ამან თავის პური მოჭამა, — მიუგო მეორემ.

მაგრამ ამ დროს თვალი გაახილა ტიმოთემ.

— როგორ ხარ, ბიქტორ? — იკითხა მან, — შენც სალსალამათად ხარ, ბიკენტი?.. მადლობა უფალს!

ხალხი აღფრთოვანებული შეყურებდა ბიქტორს, ათიოდე წუთის წინ ლეკვებივით ოლოიაში გამოჩრილები რომ გამოიყვანა ნაპირზე ორი ყმაწვილი კაცი. ყველაზე უფრო ჯოტო იყო აღტაცებული ბიქტორით, თვალებში შესციცინებდა მას.

— რომაელი ბიკენტინოა, — უთხრა თავის ნაცნობებს მედეამ, — ჩემი მეგობარია.

— რომაელი ბიკენტინო კი არა, ნიჩაფელი ბიკენტია, — გაუსწორა ქალიშვილს ბასკომ.

— როგორ? — გაიკვირა ლაწვებშეფაკლულმა მედეამ, — არ მჯერა... წმინდა რომაელია.

მაშინ სტეფანემ წინ წადგა ფეხი.

— მედეა, ბიჭმა სიმართლე გაუწყა, დააკვირდი რა კნაჭა და მოკაკვული ფეხები აქვს, რომაელებს თლილი კიდურები ჰქონდათ.

ქალიშვილი მორიელნაკბენივით წამოხტა და ბულვარისკენ გაიქცა. ბიკენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტიმ მილულული მზერა გააყოლა სტიუარდესას. სტიუარდესა თანდათან დაპატარავდა, წერტილად იქცა და გაქრა. „მედეა, ჯერ კარგად არ არის დაზუსტებული, შეიძლება რომაული სისხლიც მირევია. სენიორა, ეს ბარბაროსობაა — ჯერ იმედი მისცე კაცს, ხოლო შემდეგ დაიმედებულს ერთხელაც არ გამოხედო უკან... თქვენისთანებმა დაანგრიეს, როგორც ბაბილონი, ისე ჩვენი დედაქალაქი — რომი..."

შემდეგ გაიფიქრა, რომ თავგანწირვა კარგად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ქვეყანაზე, როგორც ქალის, ისე წარმატების ბოლომდის შენარჩუნება ძალზე ძნელია. დღეს ამდენი დამსვენებლის თვალწინ კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა ეს ჭეშმარიტება.

სტიუარდესა გაჰქრა. დარჩნენ პალმები და კიპაროსები. „პალმა, მაგნოლია, ევკალიპტი უცხო ხეებია ჩემთვის. ლამაზია, თვალწარმტაცი, ეგზოტიკურიც, მაგრამ მაინც უცხოა... ჩემი ხეები წაბლი, ცაცხვი, თხმელა და მყრალი კოპიტია... გინახავთ საჩხერის სადგურში ალვის ხეები, გვიმრები — ბეგლევის ფერდობებზე, შქერი — ყვირილას გაყოლებით ბოსლევში, ან ზღმარტლი და ნეკერჩხალი — ნიჩაფას შემოგარენში?.. ყველას თავისი საკუთარი უბანი აქვს გამოყოფილი, თავისი ხეები და თავისი კუთხე". ბიკენტის სასპარეზო — ყვირილას ხეობაა ან, უკეთეს შემთხვევაში, მტკვრის ნაპირები... ნუთუ მარტო იმისათვის უნდა ჰკრას წიხლი მედეამ, რომაელი რომ არ არის?.. ბონა სერა, სენიორა, ერთხელ მაინც მოგეხედა უკან, უკანასკნელად... ეს რა უგულობაა, ასე როგორ შეიძლება იმედის და ყველაფრის გაქარწყლება.

შემდეგ ვარსკვლავებს მოჰკრა თვალი ბიკენტიმ. „ვარსკვლავები დემონებია... ავი სულივით დღის სინათლის ეშინიათ და ღამე ჩნდებიან... არივედერჩა, სენიორა... ნუ დაყნოსავ ყაყაჩოსა, დაგათრობს და გაგაბრუებს..."

— ნუთუ დღეს საღამოს უნდა დავტოვოთ გაგრა? — იკითხა ბასკომ და კისერი მოიფხანა, — თითქოს გუშინ ჩამოვფრინდით.

ბიკენტიმ მხარზე დაადო ხელი.

— ერთ წელიწადში ისევ დავბრუნდებით, ფრატელო!

— ერთი წელი როდის გავა?

— მალე ბასკო, დედამიწა ერთხელ გააპანტურებს ყურს და წელიწადიც გავარდება. ამიტომ ნუ დადგები შაქზე, ნუ ჩაიდებ გულში ხვანჯს.

— რას სჩადიხარ?

— თუ გაგრის კვლავ ხილვის სურვილი გაქვს, შენც გადაუშვი ხურდა ფული ზღვაში.

ბიკენტიმ აბაზიანი გაუწოდა ბასკოს. ბიჭმა გამოართვა და დახედა.

— აბაზიანი ცოდვაა, ხუთ ან სამკაპიკიანი მომეცი.

„როგორ ჰგავს მამას", გაიფიქრა ბიკენტიმ და ისევ გაიკრა ჯიბეზე ხელი. თვითონაც ჭკუაში დაუჯდა და სამკაპიკიანი სტყორცნა ზღვას. „ნახვამდის გაგრავ, შავო ზღვაო... მშვიდობით წყალჯავარიანო მედეა, ჯულიეტა, სვეტლანა, ნუციკო, ბიქტორ, ივანე, ჯოტო, ცავა ტანევ... სამუდამოდ გემშვიდობებით. ის დროებითი ძაფი, რითაც დაკავშირებული ვიყავით, გაწყდა. მოვკვდით ერთმანეთისათვის, გავიფანტეთ მიწაში, მტვერში და წყალში... ახალ ძაფებს გვიმზადებენ აბრეშუმის ჭიები. ჩვენ მოგონებად დავრჩებით. აი, ამიტომაც ამსგავსებს ზოგიერთი კაცი სიცოცხლეს სიზმარს. რაც უწინ იყო — დღეს აღარა გვაქვს, რაც ხვალ იქნება — ისევ მიუწვდომელია დღეს ჩვენთვის... მოკლედ, ვდგავართ და აღარაფერი გვიკვირს; ფრთები მაინც ფრთებია და ყველგან შეძლებ გაფრენას და შეფრენას... ნახვამდის, გაგრავ, ერთი წლის შემდეგ ისევ მოგაკითხავ. ყველა იმ მოლოდინიდან, რომელთა შორის ადამიანი ცოცხლობს, ყველაზე ძლიერი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწასთან შეხვედრაა. თუ კი მართლაც შეუძლებელია, რომ ერთი კაცის სიცოცხლის მანძილის პერიოდში გადაახტე წინაპრებს და თაობების გუნების გრძელ ჯაჭვს და ნიჩაფელი იქცე რომაელად, რომ მედეამ ხელი არ გკრას, — ეს ხომ მაინც შესაძლებელია, განმეორებით რომ შეგხვდე ისევ…"

— ბიძია, არ შეიძლება კიდევ რამდენიმე დღე დავრჩეთ?

— წინ საქმეები და სკოლა გველოდება, ბასკო, პირველი სექტემბერი.

— ვერ ვიტან სწავლას.

— ბიჭო, ეშმაკის ჯიშის ხომ არა ხარ: მერე ჩვენს ჯიბეებშიც თავი დაიქნია ასკილმა. ხოლო სკოლაც წუთისოფლის უღელია, ჭაპანის წევაა და პატარა კაცის მოვალეობაა. სამყაროში საზღვარი არა აქვს მშვენიერებას, სინათლის სხივსა და იმედს. სწავლა გაგაკეთილშობილებს. ბასკო, სიბრძნე ცოდნაზე მაღლა დგას, სიბრძნის ნაპერწკლები ბალანაშიც შეიძლება ბრწყინავდეს დროდადრო, ისე როგორც გაუნათლებელ კაცში, რომელიც ამ თვისებით გაცილებით მაღლა დგას ბევრ პროფესორზე და აკადემიკოსზეც… მაგრამ ცოდნა ნონსენსუსის [illegible] რია.

— მშვენიერებაა ყველაზე წარმტაცი ამ ქვეყანაზე?

— არა, ნადირობა.

— მწყერებზე?

— ბრიყვებზე… ხომ მშვენიერია გაგრის ჭვრეტა, მაგრამ ნადირობას, ხაფანგის დაგებას ბითურების, ხუნხუზების, მლიქვნელების, გამყიდველების, დემაგოგების, კარიერისტების შიგ გაბმას, არაფერი შეედრება.

— ამდენ ხაფანგს სად იშოვნი?

— ბევრი უნდა ვიშრომოთ, სხვა გამოსავალი არ არის.

ბიკენტი ჩაფიქრდა. შემდეგ თქვა:

— დროა დავიძრათ, ტიმოთე გველოდება სადგურში.

საღამოზე მატარებელმა თბილისისკენ გამოსწია, მძიმედ მოიქნია კუდი ბზიფის ხეობასთან და გაუჩინარდა. ერთი ვაგონის სარკმელში სამი თავი ჩანდა — ორი მოდიდო, ერთი პატარა. პირკოცნა გაუგზავნეს გაგრას, ზღვას…

შემდეგ ძილის ქვეყანამ ჩამოიარა და ვაგონებში ატყდა ხვრინვა და სტვენა.

## ნაწილი II

### უკანასკნელი ამოსუნთქვა

1.

პროსპექტზე სექტემბერი დგას, დამთრგუნველი, სინსილას სასიამოვნოდ გამომცლელი თვე.

ბიკენტი თავაწეული მიაბიჯებს. ერთი თვის განშორების შემდეგ რუსთაველზე გავლა სულის წახალისებაა, დასაჩუქრებაა პატარა ნადავლით.

ყველაზე მომხიბლავი თვე თბილისში, ყველაზე მიმზიდველი ორღობე მთელს ქვეყანაზე… და ისევ ფეხები, დიადი ლე გამბე… გადაისროლე ბადე, გახლართე და წაიცუნცულე… ქალის ფეხებით აღტაცება სილირფე არ არის. პირიქით, სიმქისეა — კაცს აუკრძალო რუსთაველზე თვალი გააყოლოს შეტრუსულ კიდურებს. ისიც სიმკაცრეა, რომ ვილაცამ, თუნდაც უკვდავმა დრომ, სრიმლი გაავლოს ასეთ მშვენიერებას — მოკაკვოს, მოხაროს და დააჭკნოს. მონობაც კი არაფერია ასეთ უსამართლობასთან… ისევ აცუნდრუკდა ბიკენტი, ყველაფერი დამღუპველი თბილისური სექტემბრის ბრალი იყო… ნეტავი ამ სიამოვნებას, რუსთაველზე

— საქართველოს მთავარ ტამარზე გასეირნებას, რითი ინაზღაურებენ თანამდებობის ადამიანები?

აქ საკუთარ თავთან ლაზღანდარობაც შეუდარებელია.

ერთ პარაცელსის რეცეპტით დამზადებულ კაცს უნივერსიტეტიდან ლილოძის წყლებამდე ოთხჯერ თუ ხუთჯერ მიესალმნენ. მას კი არცერთი ნაცნობი არ შეხვედრია. „რას წარმოადგენს ის კაცი, ვისაც ამხელა მანძილზე ორჯერ მაინც არ მოუხდიან ქუდს? იქითა მხარეს რომ ჩამევლო?.. არა, რაღაც ნამდვილად მეშლება, რაღაც ვერ ავაწყვე ცხოვრებაში... პიონები მაინც სად არიან, ბზობის ყვავებივით სად გამქრალან, რა ხერხებით იტყუებენ ახლა თავს ან როგორ ეშვებიან ფსკერზე?“

შემდეგ გაიფიქრა, რომ მაინც უსინდისობა იყო რუსთაველზე ხეტიალი, როცა აწყობილი არ გაქვს საქმე და ავადმყოფიც გელოდება, თუნდაც ეს ქუჩა შენი წარსული და სამოთხე ყოფილიყო. როდესაც შემოტრიალდა, ამირინდოს შეეჩეხა.

— ნახე, რუმბი, — ერთ გამვლელზე მიანიშნა კოლეგამ. ოკრობოკრო რომ მოდიოდა, — რამდენი ექნება ქოლესტერინი?

— ინფარქტი მაინც არ დაემართება, უტვინობა დაიცავს.

ოცდაექვსი წლისაც არ იქნებოდა ამირინდო. საშუალოზე მაღალი იყო და გახდილი ალბათ მოცურავეს მოგაგონებდათ. ხოლო სახეზე ეწერა, რომ მალე ისეთი ექიმი დადგებოდა, რომელზედაც მოწიწებით ანიშნებდნენ მშობლები თავიანთ ბავშვებს.

ბიკენტი დააკვირდა ამირინდოს. „ნუთუ ადამიანი ყველაზე დიდი კაპიტალია? ნუთუ ეს ყმაწვილი ან ეს გამვლელები უფრო მეტს ფასობენ, ვიდრე სტრიქონები: „რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის...“ როგორ გინდათ დამარწმუნოთ?“

თუ გსურს ექიმებს შორის გალიარონ, ან მაგარი ზურგი უნდა გქონდეს, ან დიდი შარლატანი უნდა იყო, ან დროზე უნდა მიხვდე და გაეცალო თბილისს. ამირინდოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ვილაც „სალი კლდე“ იცავდა, და მიუხედავად ამისა, მაინც იზიდავდა რაღაც ამ ახალგაზრდა კაცში ბიკენტის. დიდი, ეს იქნება უბედურება თუ ბედნიერება, ნაკელი თუ თივის ზვინი, ყოველთვის იპყრობს ადამიანების მზერას.

ბიკენტის იზიდავდა ამა ქვეყნის ძლიერთა შვილები და ახლობლები. ისინი იმდენად ტაშიკოლა და კიკიმორები არიან, რომ ამ უპირატესობას უმალ აქარწყლებენ და როდესაც ახლოს გაიცნობ, საშუალებას არ გაძლევენ, შურით რომ აღივსო. ეს კი ცოტათი უნამუსობაა, რადგან შური დიდი მამოძრავებელი ძალაა ცხოვრებაში. მაგრამ თუ კი ათ მეტრზე ახლოს არ გიკარებენ, თუ კი მანძილს გონივრულად იცავენ, სწრაფად ეფლობით ილუზიის სასიამოვნო აყალო მიწაში.

ამირინდომ საავადმყოფოში მოწყობიდან მეორე კვირის თავზე შესცვალა მთავარი ექიმის გულში დურუ შენგელია. ასეთია საგანთა საიდუმლოების აუცილებლობა — დურუმ ლენტორა, დურუ — ამირინდომ. სასიამოვნოა, როდესაც ბუნების ზოგად კანონებს მშობლიურ სამსახურში აღმოაჩენ.

— ინფარქტი ჯიქსა ჰგავს, — თქვა ამირინდომ.

ბიკენტის გაეღიმა.

— რატომ ჯიქს და არა მოზვერს ან სირაქლემას? — ყასიდად იკითხა მან.

— გუშინ გაკვეთას დავესწარი... ჯიქს, პანტერას ჰგავდა. მახავით ზოლებიანი და ჭრელია — ალაგ ყვითელი, ალაგ მოწითალო, ალაგ მოთეთრო, ბრჭყალები კი ნამდვილ ჯიქზე უფრო ბასრი აქვს და ვისაც ჩაასობს, ტალომონალი თუ გააშვებინებს... განა ჯიქი მსხვერპლს საფარიდან არ ეცემა მოულოდნელად? ინფარქტიც უეცრივ უჭერს ყანყრატოში ზვარაკს... კაციჭამია ლეოპარდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი მკურნალი დადგები, ეშმაკი გიზის ფერცხალში, — მხარზე მოუთათუნა ხელი.

პირველ სკოლასთან ამირინდოს ნაცნობი ქალ-ვაჟი შეხვდა...

— შენ ეი, ნუ ეკურკურები მაგ გოგოს, თორემ ჩემებურად გაგისწორდები, — იყვირა ამირინდომ.

ბიკენტიმ კი დრო იხელთა და გზა განაგრძო. „იმ სამყაროში, რომელიც გულის მიერ არის შექმნილი და სადაც მოხვდი, ამირინდო, ბევრს არ ლაპარაკობენ“.

ჩაუარა მთავრობის სასახლეს, პიონერთა სახლს, გრიბოედოვის თეატრს და კიროვის ქუჩაზე გაუხვია.

ბიკენტი მეორე სართულზე ავიდა და ზარის ღილაკს დააჭირა თითი. კარი მოხუცმა ქალმა გაუღო. ხელში ჭინჭი ეჭირა. როდესაც ბიკენტი იცნო, აწრიალდა. ნაჭერი იქვე დადო სკამზე. შემდეგ აქეთ-იქით გაიხედა, ისევ დასწვდა, კარადასთან მიირბინა და მის უკან შეაგდო.

— მობრძანდით... მობრძანდით... რომ იცოდეთ, როგორ გაეხარდება არკადის.

სტუმრის წვევა მთელი მოვლენა იყო აქ. არკადი სავარძელში იჯდა. ჟურნალს ათვალიერებდა. სათვალე მოიხსნა და ექიმს გაუღიმა. ბიკენტი მის პირდაპირ ჩამოჯდა სკამზე. მოხუცმა უთხრა, რომ მობეზრდა სუნთქვა. მაგრამ ეს მკრეხელობა არ იყო. როდესაც სათითურას სანთლებს ხმარობ, და რაღაც წვეთებით იტყუებ თავსა, შორეთზე ფიქრი ჩვეულებრივი ხდება.

— თავის დროზე ყველაფერი მოვა, — გაუღიმა ბიკენტიმ, — ბიჭებსაც გვბეზრდებოდა ბავშვობა, ყველა ჩვენგანი ოცნებობდა ულვაშების გაშვებაზე, ბალნის აბიბინებაზე... რატომ გვეჩქარებოდა?

— სად გაიარა შენმა ბალღობამ, ბიკენტი?

— მშვენიერ მხარეში: რუსთაველზე, შემდეგ ზემო იმერეთში, ნიჩაფაში და მერე ისევ რუსთაველზე და მტკვრის ნაპირზე.

— ცურაობა გიყვარს?

— ჩოგბურთი... ამბობენ, რაც კარგად იწყება, ის აუცილებლად ბანალურად დამთავრდებაო.

— ახლაც სიამოვნებას განიჭებს ის ადგილები, სადაც ბედნიერი იყავი?

— ალბათ.

— ეს გამონაკლისია, ან ჯერ ყველაფერი წინა გაქვს... უწინ, როდესაც თავისუფლად დავდიოდი, ყოველთვის ვერიდებოდი იმ სახლის წინ გავლას, სადაც მე, ნატაშა და ჩვენი ბორისი ვცხოვრობდით ოცდახუთი წლის განმავლობაში.

მან თქვა, რომ ზოგჯერ მიწის მგელივით უჭერდა რაღაც ყანყრატოში, ხან კი გულ-ბოყვზე აწვებოდნენ ჩექმებით.

— ეს ალგოსია... დროდადრო გესტუმრებათ.

— მაზალო ვინმე ხართ ექიმები.

— თქვენ იცით, რომ ექიმებს წმინდანებს ადარებენ?

— მე ის ვიცი, რომ ზოგიერთი ექიმი პირწავარდნილი ბრიყვია...

— არკადი, რაებს ჩმახავ, — იყვირა მოხუცმა ქალმა.

— ბიკენტის ეს არ ეხება... ბიკენტი ჩვენს ბორისს მაგონებს უბედობაში და სიძლიერეში.

— ბედს რომ არ ვემდური?

— თავს იკატუნებ... პესიმისტი ხარ... ხოლო პესიმისტები ნამდვილი ადამიანები და ექიმები გამოდიან... ნატაშა, ახლა კი შუშაში ჩამჯდარი მოყვითალო რაშები გამოგვიტანე, საუცხოო მხარეში გავისეირნებთ.

— გმადლობთ, აღარა ვსვამ.

— რატომ, ექიმო?

— აღარ მანიჭებს სიამოვნებას.

— ბიკენტი, მსრველ სინამდვილეს სხვანაირად ვერ გაექცევი. ან უნდა სვა, ან თრიაქი მოწიო, ან სხვა ადამიანები ჯვარს უნდა აცვა.

— სხვა გზაც არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი?

— ბრძოლა.

არკადიმ გაიცინა. ბიკენტიმ ფონენდოსკოპი ამოიღო პორტფელიდან. მოხუცმა ხალათი და მაისური აიწია.

— გულის ფიცარი საბოლოოდ დამილპა, — თქვა მან, — ვირის რძე ხომ არ დამელია?..

შემდეგ გასასვლელში მოხუცმა ქალმა დამჭკნარი ხელი ჩაუყო ჯიბეში.

— ეს ზედმეტია, — თქვა ბიკენტიმ და ქაღალდში გახვეული ფული სკამზე დადო.

ქალმა თავი დახარა.

— არკადის ეწყინება.

— უთხარით რომ გამოგართვით... ნახვამდის, ქალბატონო. ხოლო როდესაც ძალიან გამიჭირდება, აუცილებლად გამოვივლი ჰონორარის გასაკეთებლად.

მოხუცს მუცელზე ეწყო ხელები. რატომ მოუნდა ამ დამჭკნარი ხელების მოფერება? საიდან, ბიკენტი, ასეთი გულჩვილობა, სულ ხომ არ წახვედი ხელიდან?

2

ქალაქის ოცდამესამე საავადმყოფოს საორდინატორო ოთახში სიგარეტის ბოლი ლივლივებს. თორმეტი საათია. ძარღვებში სისხლი ზანტად მოძრაობს. ასეთ დროს თორმბი რომ არ გაჩნდეს სულის კუნჭულში, ან ჭადრაკი უნდა ითამაშო, ან უნდა გააბოლო, ან ქალაქში მომხდარი გაქურდვის, მკვლელობის ან განქორწინების შემთხვევა უნდა მოიგონო.

სივიწროვეა. სამი მაგიდა, ერთი ხაწოლი და ექვსიოდე სკამი დგას. საწოლი სარკიან კარადასაა ამოფარებული. საორდინატორო ოთახში ხშირად უფრო მკაფიოდ იშლება ექიმის ინდივიდუალობა, ვიდრე ავადმყოფის საწოლთან. ალოგიკურ აზროვნებას, რომელიც ზოგჯერ ასე მიმზიდველია, აქ ფრთებს არ უკვეცავენ. ამ ოთახში ათას ამბავს გაიგებთ, ორიოდე საიდუმლოებასაც წამოაყრანტალებს აუცილებლად ვილაც. ხუთი წუთის შემდეგ ყველაფერი იცის მთავარმა ექიმმა. ერთხელ ამირინდომ საწოლის ქვეშ შეიხედა, აბაჟურიც შეამოწმა, მაგრამ მიკროფონი ვერსად ვერ იპოვნა. ერთმა ექიმმა კი მეორეს წაუჩურჩულა: ის, ვინც პატივით სარგებლობს, თვითონ არის მიკროფონიო.

ავადმყოფები, როგორც ღრუბლები, მოვლენ და წავლენ. ამიტომ ამ ოთახშიც უბერებელი თემა — ჯანმრთელი მამაკაცის და ქალის დამოკიდებულებაა საწოლში, მაგიდასთან, დაწესებულებაში, ოცნებაში.

ბიკენტი მაცივართან დგას და ავადმყოფობის ისტორიას ავსებს. ექიმები სხედან, დგანან, აბოლებენ, მსჯელობენ და ელოდებიან ტორტს, რომელსაც ეს-ესაა გამოგზავნის მეთორმეტე პალატის ავადმყოფი ექთანის ხელით. თუ უცხო თვალით გახედავ ამ სიმპათიურ მკურნალებს, არ შეიძლება არ აღფრთოვანდე და თუ ბავშვები გყავს, აუცილებლად შეეცდები საექიმოზე შეჰყვანას. აი, რატომ დგას რიგი ივლისში სამედიცინო ინსტიტუტის კარებთან.

ბრაჰმას ფეხებიდან თუ ხარ დაბადებული, ძალიან უნდა გაიჭიმო, კეთილშობილის ზურგამდე რომ ამაღლდე. საავადმყოფოს ექიმებმა ეს იციან, ჩასაფრებული არიან და როგორც კი საშუალება მიეცემათ, მზად არიან ყველგან და ყველაფერში ტკუცონ თავი.

მაგრამ საორდინატორო ოთახში ყოველთვის ღიმილი, სიხალისე და ჰარმონია სუფევს. ზოგჯერ რწმუნდებიან

კიდეც, რომ ცხოვრობენ დიგიტალისის, ნიტროგლიცერინის, ელექტროკარდიოგრამის იეროგლიფების, უჯრედების ტრანსამინაზების, კუჭის წვენის ფრაქციების შეუდარებელ სამყაროში, ყველგან და ყველაფერში, რაც ავადმყოფთანაა დაკავშირებული. მათ შორის ყველაზე უტიფარი და შეუდრეკელი თავის დროზე კამარას შეჰკრავს და კენგურუსავით ისკუპებს მედიცინის და მამონას სანატრელ მთაკორტოხისაკენ. ვინც ამ საავადმყოფოს წვენში იხარშებოდა ხუთი, რვა წელი მაინც, მას უკვე იოლად ვერ გააცურებს ვერც ავადმყოფი და ვერც ცხოვრება. ფოლორცი სინამდვილე აქაც კუმეტი თვალებით იყურება.

კარადის უკან საწოლზე ორი ექიმი ზის და ჭადრაკს თამაშობს. ერთი ექიმი ზემოდან დასცქერის დაფას.

თამაშის დაწყებამდის ანდრომ და მამუკამ „არიოლ-რეშკა“ ააგდეს. ან „კარდიოლოგიის“ ახალი ნომერი უნდა წაეკითხათ, ან უნდა შეტაკებოდნენ დაფასთან. ბედმა-მაძებარმა ჭადრაკის თამაში მიუსაჯა.

ოთახში ერთი წუთით გერონტი შემოვარდა და ისევ გავარდა. გერონტი იმით იყო ცნობილი, რომ ორმოცდაორი ხერხი იცოდა, რის საშუალებითაც ქვირითივით აყრევინებდა თუმნიანებს ავადმყოფებს.

სარკეში კი წელში გამოკვანწული მადონა იყურება. მონდომებით, მოხდენილად ილებავს წამწამებს. ზოგჯერ ფეხისწვერებზე იწევა, მოკლე კაბა კიდევ უფრო მაღლა მისრიალებს და მაშინ ჩუმ-ჩუმად იქით აპარებს თვალს ბიკენტი. მიმზიდველია, როდესაც ქალი ქუთუთოებს ცისფერი ტუშით იხაზავს, ფიქრობს იგი.

— ამირინდო, ყავა გინდა? — იკითხა სუზანამ.

— ყავა, არა... მადონა, ცის ანგელოზი გწყალობს თუ სათაელი?

მადონა ყურადღებას არ აქცევს. გველმა შეაცდინა ევა, ოცდაორი წლის მადონა — ოცი წლის რეზიკომ. გველთ საიდუმლოებით მოცული სახეა. მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში, როდესაც ყველაფერი ისეთი სისწრაფით მიჰქრის, მასაც ეხდება ზეწარი და თანდათან ჰკარგავს მიმზიდველობას. მაშინ რეზიკოს რაღა დაემართებოდა?.. ერთი წლის შემდეგ გაშორდნენ.

— სასწორის ერთ მხარეზე ბარათაშვილის „მერანი“ დადევით, მეორე მხარეზე — ჩიყვის ინსტიტუტის ოცდახუთი წლის განმავლობაში ოთხასი თანამშრომლის მიერ დაწერილი შრომები... რომელი გადაწონის, როგორ გგონიათ? — კითხულობს ამირინდო.

— ბავშვობაში მუცელ-ბატონებით ხომ არ იყავი ავად? — ეკითხებიან მას.

მადონას სხეული დაუფარავად მოისწრაფოდა მიწისკენ, იატაკისკენ, მოლისკენ, რაც ბრტყელი და ჰორიზონტალურია და ბიკენტი ისევ ქვევით უყურებს, მოთმინება ღალატობს და ეუბნება, რომ დღეს ნამეტნავად ლამაზი ვარცხნილობა ჰქონდა თმებისა.

ოცდაექვსი წლის მოსხივცისკრე მადონა დღითიდღე იფურჩქნებოდა და განმეორებით გათხოვებისათვის ემზადებოდა. განმეორებითი გათხოვება — ბედნიერებაა. ეს განმეორებითი ინფარქტია — უბედურება.

უცებ მადონას ტვინში პატარა შავი ღრუბელი გამოჩნდა. მან სარკეში შეამჩნია, რომ სუზანას ახალი ოქროს ძეწკვი ეკიდა. და მაშინ, როდესაც მოულოდნელ სევდას უნდა მოეცვა, საყურე დაუვარდა იატაკზე. ქალის პატივისცემა არ ესწავლებოდა ბიკენტის. მართალია მანძილი შორი იყო, მაგრამ მადონამაც არ იჩქარა. ბიკენტიმ საყურე გაუწოდა, ქალიშვილმა მზიური ღიმილით დაასაჩუქრა. მამაკაცის ყურადღება ასე ფანტავს შავ ღრუბლებს.

— რომელია ყველაზე საუკეთესო კუჭის მოქმედების საშუალება? — იკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხა ახალგაზრდა ორდინატორმა ქეთინომ და გაწითლდა.

— შიში, — კარადის უკნიდან გამოსძახა მამუკამ, — შენ კი ქიში... გასკდა ჭიჭინაზე შენი ტურა.

საორდინატოროში ეროლოგი ვახტანგ ძნელაძე შემოვიდა.

— გეზელი ქორის ჯილაგო, — მიმართა ვახტანგმა ბიკენტის, — და ესაა რასაც სიცოცხლისგან მოელი?.. მოწყალება და ისტორიის ზეზეულა წერა? არ ჯობდა ბარაბანზე დაკვრა რომ გესწავლა?.. ბიკენტი, მამაკაცმა ფული უნდა აკეთოს, ქალებმა კი ხარჯონ. ფულია სულის კოკარბოქსილაზა. ხოლო მოწყალება საპნის ბუშტი და ცვარია. რუხი აზრების მიზეზი კი გოგრაში მოთავსებული რუხი ნივთიერების სიჭარბეა. ესაზღვრობა ექიმის მოწყალება, მაგრამ დაიმახსოვრე, უფრო დიდია ძალი ავადმყოფის ქისისა.

— რამდენი დალიე გუშინ? — ჰკითხა ბიკენტიმ.

— აი, ასე დავაყენე მეარღნე სიკო არაგვისა და მტკვრის შესართავთან. მოლზე ბატკნის მწვადები და მურწა, ქორფა კიტრი და კუჭმაჭი... ქალებს ხომ იცი რა უყვართ?.. დღეს დუშის სისტემაზეა ცხოვრების ბედი დამოკიდებული.

ამასობაში დაფაზე მდუღმარეობა დაიძაბა. ახლა ეკლესიის ზარიც რომ ჩამოეკრათ ყურთან, მოთამაშეები მაინც ვერ გაიგონებდნენ, რადგან თეთრების დედოფალი შავი მეფის წინ იდგა რუმბიანი. აი, ასეთ სიტუაციაში წაადგა მთავარი ექიმის მოადგილე ანდრონსა და მამუკას.

— აკურთხეულობას თქვენს ბიოლოგ დაგიჭენით! — დაემუქრა მათ საავადმყოფოს სარქალი.

მოთამაშეებმა ბოლოში მოიხადეს. მთავარი ექიმის მოადგილემ არ აპატია, მაგრამ მოიჯახუნა კარები და შურისგების გრძნობით შეპყრობილმა თავის კაბინეტს მიაშურა.

— ლაყუჩებიდან დაგვიჭირეს, — თქვა გაფითრებულმა ანდრომ.

— დაილუპეთ, — კვერი დაუკრა ვახტანგმა.

— საიდან შეიტყო, ვინ მიუტანა ენა?

ყველაზე მეტად მამუკა შეწუხდა, დირექცია ერთი თვის ხელფასის პრემიით აპირებდა მის დაჯილდოებას.

— როგორ მოვიქცე ახლა? — იკითხა და ოფლი მოიწმინდა სახიდან, — რომ წავიდე, მოწიწებით შევაღო მისი კაბინეტის კარი და მუხლებზე დავეცე?.. ეგებ ხელზე ვაკოცო?..

შემდეგ მომაკვდავი ავადმყოფი მოიყვანეს და ექიმები ტყირპის გაგდებინებამდე მუშაობდნენ.

3

ამირინდო მანქანამდის მიჰყვა მადონას, კარი გამოუღო, გაუღიმა, ხელი დაუქნია. მანქანა დაიძრა, მარჯვნივ გაუხვია და გაუჩინარდა. „რატომ დაჯკარგეს ქალებმა ზღაპრებისადმი ინტერესი? — გულისტკივილით გაიფიქრა ყმაწვილმა კაცმა, — რატომ გაემშრალდნენ ასე ამ ბოლო დროს?“

ბორისმა საათზე დაიხედა. როგორც ყველა სასიამოვნო მოვლენა, სამსახურის დამთავრების უკანასკნელი წუთებიც თბილად ესალბუნება გულსა და ფეხებს. ეს იდეა მარადიულად ცოცხლობს მშრომელებში, დილის ცხრა საათიდან დაწყებული საღამოს ხუთ საათამდის, ორშაბათიდან პარასკევამდის. ის ექიმები, რომლებიც მორიგეობენ, სამ საათზე ტოვებენ საავადმყოფოს. ვინც არ მორიგეობს, სამის შემდეგ კარებისკენ იყურება და მიეცემა თუ არა საშუალება, გარბის. სიმონ თვალთვაძემ, საავადმყოფოს მეორე პათოლოგანატომმა, თვალი გააყოლა კოლეგას. საქმე ის იყო, რომ ბორისს შეეძლო თანამშრომლის კოსტუმი ან პალტო ჩაეცვა, რამდენიმე დღე ეარა და ვერ შეემჩნია, რომ სხვის სამოსელში იყო გამოწყობილი. მაგრამ ამჯერად არ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდარა და სიმონი დამშვიდდა. გარეთ ბორისმა ამირინდოს მოჰკრა თვალი, თითლიბაზურად რომ ულიმოდა მადონას.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა ომის დამთავრების შემდეგ გაითქვა სახელი, წინასწარმეტყველის წარმოგზავნილი სასწაულივით მიიზიდა ყურადღება. შედიოდნენ სამედიცინოზე, რომ რჩეულთა ჰაერით ესუნთქათ. სამოციან წლებში ეს ინსტიტუტი უკვე „წარჩინებულთა“ სასწავლებელს წარმოადგენდა. არსებობდნენ სუსტი, საშუალო და ძლიერი ობივატელები. სუსტს კიდევ მოუვლი. მაგრამ ნამდვილ ობივატელს, რომელსაც ფული ან დიდი ზურგი აქვს, ველარაფერს მოუხერხებ. თუ გაიქცა, ველარ დააკავებ. ცნობისმოყვარე კი იქით მიილტვის, საითაც მეორე გარბის. სამედიცინო ცისფერი ოცნებაა, ხოლო ექიმი — ანგელოზის ოსტატია. თვალმახარა, ყაბლუ-ფლავ ნაჭამი ბიჭები და გოგონები ლიწინ-ლიწინით აბარებდნენ გამოცდას. ვისაც უშუალოდ ეხებოდა მიღება, ვინც სული ბურდოში გახვია, პატივისცემითაც სარგებლობდა. უმრავლესობამ, როგორც ჩვევია, სუნგალს გაჰკრა. ჩქამიც არსაიდან ისმოდა. ექიმს მემკვიდრეობა, ინსტიტუტი და შემდეგ საავადმყოფო ქმნიდა და არა ის საიდუმლო და ღვთიური, რაც ადამიანის რომელიღაც კუნჭულშია მოთავსებული. შეუტიეს ჰიპოკრატეს ტაძარს. ყველა შეუპოვარს — მეღვინეს, ყასაბს, ბუღალტერს, მოსამართლეს, გამომძიებელს, ვაჭარს, მეყვავილეს, საქმოსანს, თანამდებობის ალვირების მპყრობელებს, უმაღლეს სასწავლებლებში მოკალათებულ რეპეტიტორებს, ვინაც ქონების ფიტის მოკვრა მოასწრო, შეეძლო თავის ჩონჩორიკის თეთრ ხალათში გამოწყობა... კარო მიო... ოკულტიზმის ზოგიერთი კანონის დაცვაც კი ზედმეტი იყო... წყვდიადი და ნონსენსუსი. ჯაყვაში გამოსული ყმაწვილები, ჩვენი მომავალი ნიშა ხარები, შედგამენ ფეხს იმ დაწესებულებაში, სადაც ადამიანები იბადებიან და კვდებიან... რატომ ირჩევდნენ სნეულების სამყაროს სასპარეზოდ? ამიტომ ხომ არა, რომ უბედური კაცის გაცურება უფრო იოლია, ვიდრე ჯანმრთელის? მოკლედ, როგორც ბორისი იტყოდა, ჭადრაკულად იყო საქმე, მღვდელივით კრეჭავდნენ ასკლეპიუსს და საქართველოს სახელს.

მაგრამ სხვებიც იყვნენ, რომლებიც სასწავლებელში მედიცინისადმი მხედრული სამსახურისათვის შედიოდნენ. ბიკენტიმ იმ განზრახვით ამოჰყო თავი სამედიცინოზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა სიმსივნის პრობლემა და მიშველებოდა კაცობრიობას. ყმაწვილკაცს იმ სანთლის ეიდოსი ედგა წინ, რომელიც ორივე ბოლოდან იწვის, როგორც სიმბოლო სიკეთისა და მოწყალებისა. გარდა ამისა, ყური ჰქონდა მოკრული, რომ ამ ინსტიტუტში კანჭმაღალ გოგონებს მიმზიდველი თეძოები აქვთ და მოხდენილად დადიან. რამდენი სწრაფვა, შემართება, ოცნება, სიყმაწვილე და ბერიკაციც კი დაუღუპავს კაცობრიობის ამ საოცარ ნაწილს. ამ ილუზიის, დაუშრეტელი ფანტაზიის წყაროში სიამის ტყუპებივითაა გადაბმული სინამდვილე და გაუგებრობა... მესამე კურსზე ტვინმა მიიპყრო ბიკენტის ყურადღება. აღმოჩნდა, რომ ის წარმოდგენა, რომელიც ხალხშია გავრცელებული და თვითონაც იზიარებდა, მცდარი ყოფილა. თავი არც გოგრაა და არც კოლოფია, თავი საიდუმლოებით მოცული მიკროსამყაროა, დახვეული, დანაოჭებული, ალაგ რუხი და ალაგ თეთრი, სავსე გადახლართული აყიყისფერი ნაკადულებითა და არხებით, საკუთარი კომუნიკაციებით, ტელეგრაფებით, მიმღებებით, გადამცემებით, კონდესატორებით, სერესქელი შემავალი და უკან გამომავალი ძაფებით, მძივებითა და ქსელებით — დახლართული, მიმზიდველი, როგორც თავად ეს სამყარო და ეს ცხოვრებაა. ძალზე გაოცდა, როდესაც უფრო ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გაიცნო თითოეული წევრი ამ უზარმაზარი სისტემისა. თითოეული უჯრედი-ნეირონი თავისი ყოფიერებითა და ნებისყოფით რომ მონაწილეობდა სიცოცხლის დიად საიდუმლოებაში. სწრაფად გაუმხანაგდა ამ სამყაროს, გარეთ ანტენები რომ გამოეშვირა — ორი ყური, ორი თვალი, ერთი ნაპრალი და ერთი ცხვირი... დემონიური ნეირონების სიპეიტრე... მეხუთე კურსზე ნუშისებრმა ჯირკვლებმა გადაიბირეს დროებით. დეზერტირობის ბაცილა ყმაწვილ, გამოუჯეკავ სხეულში იოლად იჭრება. არა, მოღალატე არ ყოფილა და არც ფიცის გამტეხი. უკვე იწყებოდა ის პერიოდი, როდესაც სხვა ძალები, სხვა ნებისყოფა გკარნახობს და იქით გიბიძგებს, საითაც შენი გზაა დაპროგრამებული. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთი წელი სასწრაფოში მუშაობდა. მერე შემთხვევით გულის საავადმყოფოში მოხვდა. ახლა მადლობას წირავდა განმგებელს ბიკენტი. „ხომ შეიძლებოდა უროლოგიაში ან პროქტოლოგიაში ამომეყო თავი, მთელი სიცოცხლე ისეთი ორგანოებისათვის შემეწირა, რომლებიც მცირე მენჯის ღრუშია მოთავსებული. გული და ბიკენტი, ბატონი და ყმა. საავადმყოფოში აქეთ-იქით გაიხედა და დაუმეგობრდა პათოლოგანატომს, სამედიცინო სამსახურის გადამდგარ პოდპოლკოვნიკ ბორის ნიჟარაძეს.

ბორისს ყავისფერი თვალები ჰქონდა, ხავერდოვანი, წყლიანი, დაღლილი. ოცდაათი წლის შემდეგ ადამიანი თანდათან ჰკარგავს რაღაცას — თმებს, კბილებს, ახლობლებს, რწმენას, ილუზიებს. ის კი სამოცს იყო მიღწეული, ამაყი, მორცხვი, ნაღვლიანი, მორიდებული. ცდაში, გაერკვია, თუ სად იყო ჭეშმარიტება და სად მხოლოდ თამაში, მიმოიფანტნენ წლები. ღელეების, შაშვებისა, რიყის ქვების, ალვის ხეების, მიწის და მდინარის სუნის გარდა, უფრო მნიშვნელოვანი რაღაც წავიდა მისი ცხოვრებიდან — ოცნების სურვილი და უნარი. დარჩა სუფთა [illegible] ჭკვიანური გამოხედვა, კეთილშობილება და ცარიელი ჯიბეები. მან უკვე იცოდა, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობს ადამიანი, ან რა საშუალებას იყენებს, როდესაც რაიმე მიზნის მიღწევას განიზრახავს. ისინიც კი, ვისაც თევდორეს ბალახისა ცხია, გაჭირვებისა და გამოცდის ჟამსა, სულს იწყმედავენ სულ იოლად, უბრძოლველად და სინდისის ქენჯნის გარეშე. ამიტომ ხომ არ გახდა პათოლოგანატომი, ამიტომ ხომ არ არჩია მკვდართან საქმის დაჭერა, ვიდრე ცოცხალთან? იგი ღიმილით უყურებდა ადამიანის ფუსფუსს, ბოლოს და ბოლოს სასექციო მაგიდაზე ნიორის ნაქურჩალი, ბოლოკი და ხბოს თავი რომ რჩებოდა. ყაბზობის დროს საფალარათოს სვამდა, დიდი ხვატის დროს — ვენტილატორს უშვერდა შუბლს, როდესაც კუდიანს, ჭინკას, სათაელს, ან ქაჯს წააწყდებოდა ორღობეში, ან საავადმყოფოს კუნჭულში, იცინოდა. წაქცეულ ნორჩ ხეს ბიჯგს უყენებდა. მათხოვარს აბაზიანს უგდებდა ქუდში, მეზობლის ბავშვებს ნაყინს ან ჩურჩხელას თავაზობდა. ბიკენტის კი ღიმილს, წიგნებს და ზოგიერთ შეხედულებას უზიარებდა. გარდა ამისა, გვამის გაკვეთაზე ისწრებდა და აჩვენებდა ორგანოებს შორის პირველი არისტოკრატის — გულის ქორდებსა და კუნჭულებს, საიდუმლო სინუსის, კეით-ფლაკის კვანძებსა და ჰისის კონას, პურკინიეს საინტერესო უჯრედებისგან და მიოფიბრილებისგან შემდგარ ქსოვილს. ბორისი კმაყოფილი იყო ცხოვრებით, რადგან როცა ყველაფერი გარკვეულია, როდესაც სინამდვილეს ახდილი აქვს საბურველი, უკვე ისეთი შემაძრწუნებელი არარაა.

მაგრამ ერთხელ ბორისი გამოუტყდა ბიკენტის, რომ საავადმყოფო მასზე ძლიერი აღმოჩნდა, რომ საავადმყოფო თანდათან ტეხავდა თავისი წვრილმანობით, ფუსფუსით, მეშჩანობით, სადაც ცდილობენ საბოლოოდ მოგათვი-

ნიერონ და წელის მძივი გადაგიტეხონ, სადაც ახშობენ ყოველგვარ ნებადაურთველ აზრს, სადაც მთელი ცხოვრება თამაშობენ წესიერ, უშიშარ, უსისხლო და უცოდველო წარმოდგენას. დიდი ექიმი სინამდვილეში იშვიათად შეგხვდება, იგი შემთხვევითობაა ან ზეცის საჩუქარია. ნამდვილი კარდიოლოგი რომ დადგე, ბევრჯერ თავად უნდა იგრძნო ძლიერი ტკივილი გულის არეში, ნიშადურამოცხებული დარბოდე წინ და უკან, იგრძნო სასოწარკვეთა და ნაღველი, ჩახედო ორმოს და მორევს თვალებში.

ასეთი სულის საცხონებელი საუბრის დროს ბიკენტი ილიმებოდა, ბორისი კი ყალიონს აბოლებდა.

4

ბორისი მეტროში შევიდა. გვირაბში წინაპარი მოაგონდა. ვერაფრით ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ბაბუამისი, რომელიც თავის დროზე მხოლოდ ერთადერთი ტრანსპორტით — ურმით თუ სარგებლობდა, მასზე უბედური არ იყო, ან რატომ იყო სულ კარგ გუნებაზე, ან საღ შოულობდა იმდენ სუფთა ღვინოსა და საჭმელს?.. მაინცდამაინც არ სჯეროდა მისი ბედნიერების იდეის სისწორისა, და საწინააღმდეგო აზრშიც მთლად არ იყო დარწმუნებული.

ისადილა და ერთი საათით წაიძინა. შემდეგ სავარძელში ჩაჯდა და რუდოლფ ვირხოვის „ცელულარული პათოლოგია" გადაშალა. თითოეული უჯრედი დამოუკიდებელია და მას პატივი უნდა სცე. უჯრედი უჯრედისგან ჩნდება, როგორც ადამიანი ადამიანებისგან და ჭუჭულა — ბატებისაგან. თითოეული უჯრედი გამოყოფილი სამყაროა. უჯრედი ჭეშმარიტად არსებობს მანამდის, ვიდრე დამოუკიდებელია, თავისუფალია, ამაყია, დაუმცირებელია. დაუმონებელი უჯრედები ძლიერ ორგანიზმს ქმნიან...

ამ დროს ოთახში ბიკენტი შემოვიდა. ბორისმა ღრმად ჩამჯდარი [illegible]ბით გამოხედა ახალგაზრდა [illegible] როგორ იზიდავდა ხოლმე ეს მზერა ბიკენტის, როგორ ამშვიდებდა. რაღაც ფარული აზრი იყო ჩაქსოვილი ამ გამოხედვაში, კაცობრიობის საუკეთესო თვისებების, სიმშვიდის აღმნუსხველი და გამომხატველი. თუ იგიც ჩვეულებრივი ადამიანი და ილუზია იყო? მაგრამ ზოგჯერ მაინც, როგორც ყველა დიდი მხატვრის სურათი, ისიც მსგავს გრძნობას იწვევდა ექიმში, თითქოს ბოლომდის ვერ აღიქვი, ბოლომდის ვერ ჩაწვდი მის სიღრმეს, საიდუმლოებასა და მშვენიერებას. ამიტომ კიდევ უფრო გალიზიანებს, უფრო მეტად გიზიდავს და ძალაუნებურად გაჯადოებს.

— ფეხზე ჰინი ხომ არ დაგიდვია, — უთხრა ბორისმა, — ჩამოჯექი.

ბიკენტიმ იკითხა:

— რა არის ცხოვრების ფარულ სამალავში მთავარი?

— ფული... ერთადერთი ჭვირი ამ მღვიმეში.

— ბორის, უკანასკნელ დროს ჩემი გარდაცვლილი ავადმყოფების სულებივით შემომტრიალებს შავი ფიქრები.

ბიკენტი დაჯდა. ერთადერთი კაცი იყო პათოლოგანატომი, ვისაც გულს გადაუშლიდა ხოლმე ბიკენტი.

— როცა ჯიბე სქელია, სრული ატარაქსია და ვედანტა ეუფლება ყმაწვილკაცს. უპატრონოსთვის ფარა წიქარაა... დედა როგორ არის?

— ხან ასე, ხან ისე.

— მეცოდება შენს ხელში.

— თხუნელასავით მიწაში ხომ არ ჩავძვრე, ან ბერად ხომ არ აღვიკვეცო?.. ბორის, გამომიწოდე ხელი, საბოლოოდ რომ არ დავეცე. ხომ ვერ მეტყვი, რა საფასურით შეიძლება ზოგიერთი რამეს შეძენა — კმაყოფილი გამოხედვის, ფარისევლობის, უგულობის?

პროზექტორმა ყალიონი გატენა. ვირხოვის წიგნი გვერდზე გადადო. ხოლო როცა გააბოლა, თქვა:

კუდიანები მთვარის ქვეშ ისევ გამართავენ ძველ ცეკვას, სიკვდილი ისევ ესტუმრება ყველა ოჯახს, ხოლო სამყაროს მშვენიერება და სიმკაცრე ადრე თუ გვიან აუცილებლად შეეხება ყმაწვილკაცს, — ბორისი დააკვირდა ბიკენტის, — მუცელს შეუყენე ბოძი?

— შევუყენე.

— სოსისებით შემიძლია გაგიმასპინძლდე.

— გმადლობთ, — უთხრა მეგობარმა.

ისევ მიაშტერდა ბორისი. მაშინ ბიკენტიმ ჰკითხა:

— ჭყაპურტი ხომ არ ამომივიდა ცხვირზე?

— არა... მომისმინე, ქალებს არ უთქვამთ, შენს თვალებს ზემოთ წარბების მაგივრად ყვირილა რომ მოედინება?

— ქალების აზრით, მორიელი დამიობის ჯიბეში.

ბორისმა ყალიონი მოქაჩა.

— ისე ექიმის რაღაც გაცხია, რადგან ერთი შეხედვით ავადმყოფს სიცილის გუნებაზე განაწყობ და უმალ დაავიწყებ, რომ ნემსი აქვს გასაკეთებელი... ისე, რატომ არ მიაგორებთ ინფარქტიან ავადმყოფის საწოლს უნიტაზთან, რატომ ქრისტიანულად არ დააჯენთ ზედ?

შემდეგ მარადიულ თემაზე გააგრძელეს ბაასი. ბორისმა თქვა, რომ გამდიდრებაზე ყველა ოცნებობს — მენახშირეც და ტრესტის პატიოსანი მმართველიც. ამაში სამარცხვინო არაფერია. პირიქით, ეს თვისება ყველაზე მეტად განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. არავის არ იზიდავს მუშაობა, ყველა სიამოვნებით ჩავიდოდა დილიდანვე სარდაფში ხაშის საჭმელად, მერე კი ბუნების წიაღს მიაშურებდა... რა თვალწარმტაცი კუნჭულებია თბილისის ირგვლივ — ტაბახმელა, ბეთანია, კოჯორი, წითელი ხიდი, მცხეთა, საგურამო, დიღომი, ყინვალი. განა ავადმყოფის გულისცემის მოსმენას მწვადის მირთმევა და ღვინის ყლურწვა არ ჯობია?.. ოღონდ შავი ღვინო არ უნდა სვა ბევრი, სტომაქისეულ შეშფოთებას იწვევს. ხოლო გაღიზიანებული ნაწლავით [illegible] სიარული კი, განსაკუთრებით ოცდამესამე საავადმყოფოში, უხერხულია... ადამიანის ბუნება და კომპლექცია ისეთია, რომ ის მაშინ არის ძლიერი, როდესაც მაგარი კუნთები აქვს. კუნთები ბოჭკოებისაგან შედგება. სინამდვილეში კი ნამდვილი ბოჭკოები — ეს წითელი თუმნიანებია. რაც მეტი „ბოჭკო“ აქვს ადამიანს, მით უფრო მაღალი, გონიერი, ღონიერი და პატივცემულია. გინახავს პატარა კაცი მძიმე წონის მოკრივე, ან ცნობილი ბარიტონი ან წმინდანი რომ ყოფილიყოს? ასეთია ანანკეს ერთ-ერთი კანონი. ზაფრის ქარების ატეხა კი ყველაზე იოლი საქმეა, ბიკენტი.

— როგორ უნდა გახდე დიდი ექიმი?

— სახელოვან ექიმად უნდა დაიბადო.

— როგორ ხდება ეს?

— ათი თვე თავი უნდა შეიკავო და მერელა დაიბადო.

— გამოდის, თავიდანვე დავღუპულვარ.

— არც ისეთი უგლიმი ხარ, ერთი შეხედვით რომ დარჩება კაცს შთაბეჭდილება... მართლა ზეცას ეწევი ავადმყოფის საწოლთან ხოლმე, თუ თავს იკატუნებ?

— სახის გამომეტყველებით ზოგჯერ მართლაც თხას ვგავარ, მაგრამ მოწყალება ჯერჯერობით მიზიდავს.

— რატომ ხარ უქეიფოდ?

— ფიზიკურად საღ-სალამათად ვგრძნობ თავს. ის, რაც ხრწნადია, სხეულის თვალსაზრისით, არ მაწუხებს. მაგრამ ის, რაც მარადიულია — სული, სიცარიელეს განიცდის. დღეს დაახლოებით თერთმეტ საათზე ეშმაკმა ჩამომიარა... მართლა უწიგნური ვარ?

— ვინ გაგიმხილა სინამდვილე?

— ერთმა ავადმყოფმა, შორეთში მიმავალმა ბუკინისტმა.

გამწარებულ კაცს უნდა აპატიო... მიუსავალში გამგზავრება, რკვიაში ან სალიეთში გასეირნება როდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდან დავიწყო მკურნალობის კურსი: რაბლედან, ჰიუგოდან თუ ავესტას ჩავუჯდე?.. რჩევისთვის ვარ მოსული და არა გულის მოსაფხანად.

ბიკენტიმ წიგნების თაროებს შეავლო თვალი.

— ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ, მაგალითად, სერვანტესის კითხვასა და ექიმობის პროფესიის საიდუმლოების დაუფლებაში... რა საერთო შეიძლება არსებობდეს დიდ ესპანელსა და პროქტოლოგიას შორის. თუ თითები მარჯვედ არ აათამაშე, ჰემორაიდალური კვანძის მოკვეთაში ვერც დონ-კიხოტი და ვერც სანჩო ვერ გიშველის.

— დარტანიანი?.. განა „სამი მუშკეტერის“ წაკითხვის შემდეგ ქირურგი უფრო მტკიცედ არ დაიჭერს სკალპელს, თავის დაშნას?

— მცდარი გზა აგირჩევია.

— ქაშვეთში ხომ არ წავიდე, თავი ხომ არ დავუკრა მაცხოვარს? რა მემართება, რატომ ვერ ვკლავ, ვერ ვატყუებ ჩემისთანა ჩუჩელას, რატომ ვერ ვაცდენ ნაცნობის ცოლს, რატომ ვერ ვატყუებ ავადმყოფს?.. გარიგებაზეც თანახმა ვარ, ზოგიერთ რამეს მეც დავთმობ, ოღონდ საბოლოოდ არ გამრიყოს თემმა, გვარმა და ცხოვრებამ...

— სიმტკიცე და გამბედაობა გაკლია. ცარიელი მოწყალებით და ირონიით კი შორს ვერ გატოპავ... ბიკენტი, პირველად არის ძნელი სულის წაწყმედა... პატიოსნებას და წმინდანობის პრეტენზიას კი არ გაპატიებენ ლოჭინზე ნაკურთხი პროფესორები, ყოვლისმხილველი თანამშრომლები, ტროგლოდიტები.

— როგორ წავიხდინო ლილახანა?

— მიბაძე კოლეგებს.

— გვამის შემურვა, გაპარსვა და ჩაცმა ას მანეთამდის ავიდა... შენ რატომ არ აკეთებ ფულს?

ბორისმა რაღაც ბუნდოვნად უპასუხა. თქვა, რომ რატომღაც ყველა ახლობელი იმაში ბაძავდა, რაც ცუდი და მიუღებელი ჰქონდა ხასიათში.

— ბორის, ჩვენი განყოფილების გამგე მართლა მნათობია?

— ჭრაქია, ოღონდ მისაბაძი და დასაფასებელი... თუ ასეთებს არ დაუხარე თავი, ისე ვერ მიაღწევ სანატრელ ნაპირამდე, ვერ დააფასებ დიდ წამებულებს, სინამდვილეში ვინც პეწს აძლევს სიცოცხლეს, სინამდვილეში ვის მხრებზედაც დგას დედამიწა.

„თავად რა დაემართა ამ კაცს, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — რატომ შეჩერდა ერთ ადგილზე, რატომ გადაუხვია გზიდან? რა მოხდა? თუ ისევ ჰეეელ ჰავოლიმ? ნუთუ უდროოდ გაეყინა ძარღვებში სისხლი? სად დავეწაფოთ ჭკუას? რატომ არ გვჯერა ერთხელ თქმულის, რომ ცის ფრინველებიც კი ვერ ჰკიდებენ თვალს სინამდვილეს“.

— რამდენი წელია რაც ჩვენთან მუშაობ?

— რვა.

— რვა წლის განმავლობაში შენმა იულიუს კეისარმა რვაასი ქალაქი აიღო, დაიმორჩილა სამასი სხვადასხვა ეროვნების ხალხი, ერთი მილიონი გაანადგურა, ერთი მილიონი დაატყვევა.

— მეც რომ გავიბრძოლო?

— შენი ძმა სად არის?

— ყაზახეთშია ისევ.

ყავის სმის დროს მედეა გაიხსენა ბორისმა — თქვა, რომ ლამაზი ქალი ცოცხალი, ჩაუმქრალი, მარადიული ალია. როდესაც მიზნისკენ გარბიხარ და როდესაც ბილიკს გაფაციცებით გიფარავს უვიცობა, შური, ფლიდობა, ყანდი და ყელჭირვება, ეს ჩირაღდანი გზას გინათებს. დედაკაცი სვებნელ საუკუნეებში ცის კიდურის ალისფრად შეღებვაა, გათბობის უდროოდ გამორთვის დროს სითბოს დაუშრეტელი წყაროა.

მედეას ხსენებაზე ბიკენტი აფორიაქდა.

— სამ თვეზე მეტია გასული და არ მავიწყდება.

ბორისს გაეღიმა. მან იცოდა, რომ მის ასაკში სიკვდილზე ფიქრი გარდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალია, რომ დროდადრო გაბრიელი შორიახლო გამოგიტყვრება და უკვე ველარაფრით ვერ მოიტყუებ თავს — ვერც წიგნებით, ვერც მიკროსკოპით და ვერც მოყვარეზე ზრუნვით. მაგრამ მაინც სად წავიდა ის დრო, როდესაც კარზე შენც გიკაკუნებდა ქალი?

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ბიკენტის ეძებდნენ. საავადმყოფოში ბუკინისტი კვდებოდა.

5

ადამიანი მარტოხელაა. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასვლისას ეს სასიამოვნოა. მაგრამ როდესაც აგებ, ჭადრაკში იქნება თუ ცხოვრების რომელიმე ვითარებაში, ყოველთვის აქეთ-იქით იყურები. და მარტოხელა იბრძვი — რინგზე, ოროლობეში, ნიანგთან წყალქვეშ, თუ თვალახვეულ დედაკაცთან. როცა კობრა წამოგეჭიმება ტრიალ მინდორში, თავად უნდა სწვდე სწრაფად ყელში, თუ სიცოცხლე ჩალის ფასად არ გიღირს. მაგრამ მგლის ხროვაში სხვაგვარად უნდა მოიქცე, ფიქრობს ბიკენტი. როდესაც მტაცებლები ყმუილს დაიწყებენ, შენც უნდა აჰყვე, თავის ძმაკაცად და დამქაშად რომ გცნონ; ჯერ საკუთარი თავის უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნო. შემდეგ, როცა დაიშლებიან, თუ კი გამბედაობა გეყოფა, ერთი მაინც იქით უნდა წაიყვანო, სადაც ხაფანგია დაგებული...

საავადმყოფოში ხალათი ჩაიცვა და ინტენსიურ პალატაში შევიდა. პირველი საწოლიდან შეშინებული ახლადდაწვენილი ავადმყოფი იყურებოდა. მან ბიკენტის ჰკითხა.

— შენ ხარ ამ ეკლესიის მნათე?

— მე ვარ, —მიუგო ბიკენტიმ.

— თუ ძმა ხარ, უშველე პროკოფის.

ოსცილოსკოპში გული რითმულად იკუმშებოდა. ბუკინისტს მარცხენა ხელი ექთანის მუხლზე ედო. იდაყვის ვენაში ნემსი ჰქონდა გარჭობილი და სისტემიდან ნელ-ნელა წვეთავდა სითხე.

ექთანი თავჩაღუნული, უხალი[illegible] მენდა ავადმყოფს. მეუღლის[illegible] ბის, ძმის, სოფლის, სადაც დაიბადა, ნარდის, გოჭების და ინდაურების გარდა, წიგნებიც უყვარდა პროკოფის. სიყმაწვილეში მოეჩვენა, რომ იმ საგანძურიდან და სიხარულიდან, რასაც ადამიანი ქმნიდა, წიგნებს განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ. უთვალავი წიგნი გაუყიდია, შეუძენია, გაუცვლია. იშვიათ წიგნებს დიდ ფასში ასაღებდა. ისინი აცხოვრებდნენ, და პატივს სცემდა სამაგიეროდ...

— მედიკო ხელი დამიბუჟდა, როდის გამომიძრობ ამ შლანგს?.. ალარაფერია მოსაკვდინებელი. დიდი ხანია ყველაფერი თანდათან გაიცვითა.

ექთანს გაეხარდა ბიკენტის დანახვა. სიხარულისგან თვალები აუციმციმდა. ბიკენტი სკამზე ჩამოჯდა.

ავადმყოფს თვალები ჩაცვენოდა, ტუჩები გალურჯებოდა და ხშირ-ხშირად სუნთქავდა. დასუსტებული გული ჩვეულებრივად ვერ ამოძრავებდა სისხლს, საკმარისი რაოდენობით ვერ აწვდიდა ჟანგბადს თავის ტვინს. ამიტომაც იყო ალგზნებული, ენად გაკრეფილი. ბიკენტიმ სტროფანტინი და ლაზექსი ჩაამატებინა კოკტეილში ექთანს. შემდეგ მედიკომ დრო იხელთა და პალატიდან გავიდა.

გზა საბოლოო ფუნდუკამდე სხვადასხვანაირია — მოკლე, სწორი, შეუმჩნეველი ან გრძელი, გაუგებარი, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული პატარპატარა უბედურებით. და გულიც თანდათანობით ყრის ფარხმალს — ხან აფართხალდება, ხან შენელდება, ხან ფეხს აურევს სიარულში. სული კი იბრძვის.

ასეთ წუთებში, როდესაც სერიოზულად წაგავლებენ ყანყრატოში ხელს, აუცილებლად გაგიელვებს თვალწინ წარსული, შენი პატარა ისტორია, კაფეები, მატარებლები, სავსე ქუჩები, შეხვედრები, დაშორებები. ასეთ მეყში შენი „მე“, „ეგო“, უკვე თავის მოტყუების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებას აღარ გაძლევს. და ერთ სასწაულსაც ველარ იგონებ შენს განვლილ ცხოვრებაში. ვერც პატარა ნამდვილ ზღაპს. აქ, პირველად შენს სიცოცხლეში, რაგინდ ეტუ და ამდალიც არ იყო, თუ კი ათეროსკლეროზით მთლად გამოჩერჩეტებული არ ხარ, ყოფიერების რაობაზეც გაიფიქრებ. თუ კი დაუძველი ამ საავადმყოფოს, აქედან გამოსული აღარ იოცნებებ ახალი მიწების აღმოჩენაზე... მომავალი იკარგება ნისლში და ღრუბლებში. იფანტება აბსტრაქტული ფასეულობა. თუ კი ინტელექტის საოცარ სამყაროსთან არავითარი კავშირი არ გაქვს, მაინც იბნევი. ინფარქტი. ნამდვილი ჭრილობა, ხელიდან გაცლის რწმენის სამყაროს შენებურ აღქმას, იმ ათი ათასიდან ერთი ეიდოსის სახის დანახვას, რომელიც შენს ბალღობეს არ აღემატება ან გაწყობს. ის ბანალური ჭეშმარიტებები, რომელსაც ვილაცა თავზე გახვევდა დაბადებიდან, აქ უკვე გამოუსადეგარია. რჩება ანაქრონიზმი და მეტი არაფერი. როდესაც გეძინა ან გართული იყავი წვრილმანი საზრუნავით, ან სირბილით პატარა შემოხაზულ წრეში, გადაგავიწყდა, ან არ გესმოდა, რომ ცხოვრებაში შესაძლებელია უეცრად თავს დაგატყდეს მკაცრი, უხეში მოულოდნელობა. და აი, როდესაც იგი ერთხელ გულში იჭრება ინფარქტის სახით, თვალის დახამხამებაში იმსხვრევა, იფანტება მირაჟები, ფატა-მორგანა.

„აქ, ინტენსიურ პალატაში, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — ექიმი ზოგჯერ იმ დიდყურას ემსგავსება. ბევრ ტვირთს რომ შეუგდებენ ზურგზე".

— უნდა დამეხმარო, — შეეხვეწა ბიკენტი. ამ პალატაში ყველას, ასი წლის ადამიანსაც კი, ხშირად შენობით მიმართავენ.

— როგორ?.. კიდევ უფრო ფართოდ დავაფჩინო პირი?.. თუ ბოლომდე გამოვაგდო ენა?

— არა... შთაიგონე, რომ კარგად გახდები... ირწმუნე.

— ვითომ უკვე წაბლების ხეივანში ვსეირნობ, ან სადმე დუქანში [illegible] არა?!

— ესეც ურიგო როდია, რადგან მაგის დროც დადგება...

— მედუზამ ჩამხედა თვალებში... მაგრამ კეთილი, არ გავიტეხ იხტიბარს, ისე გავალ გაღმა... ბიკენტი, ტრაბახში ნუ ჩამომართმევ, უშიშარი ვარ... მაგრამ ახლა რა მემართება, რატომ მიკანკალებს მუხლები?

— იყუჩე, პროკოფი!

— არასოდეს არ დამილევია იმდენი, რომ თანამეინახესთვის მეკითხა: ვინ ხარ ან სად ვართ?.. გარდა მეუღლისა, არცერთ ქალისთვის არ შემითავაზებია: გინდათ ერთად ვიცხოვროთ და ერთად მოვკვდეთ... ღორმუცელაც არ ვყოფილვარ — ამირანსავით ბუღა კამეჩი არ გადამიყლაპია სადილად... ვაბოლებდი მხოლოდ იმპორტულ თუთუნს... მსუბუქი ქცევის ქალებთან კავშირი არ დამიჭერია, რადგან მსუბუქს ვერაფერს ვერ ვიტან — ვერც მუსიკას, ვერც ხურჯინს და ვერც პორტმანეს... სუსტს მაინცდამაინც არ ვჩაგრავდი, ძლიერს ვერიდებოდი. მხოლოდ ზოგჯერ ვიყენებდი ომის კანონს: ვისაც რაზე მისწვდება ხელი, აიღოს... მაშ რა ბალა დამატყდა თავზე?!.. ახლა ამბიონზე რომ ამიყვანოთ, მრევლს ასე მივმართავდი: ძმებო, სვით, ჭამეთ, აბოლეთ, ვაცებივით სდიეთ ქალებს და ნურაფერზე ნუ იდარდებთ... ბოლო მაინც ერთია...

დაღლილ ნაოჭებში, სიკვდილის ნაოჭებში ოფლის წვეთები უბზინავდა ბუკინისტს.

სადღაც — კუთხეში, საწოლქვეშ თუ კარდიოსკოპზე ამაყად იჯდა ადამიანთა დიადი დამაშორებელი. არა ჩაცვენილი თვალებით და უხორცო ძვლებისგან აკოწიწებული ჩონჩხის გამოსახულებით, არამედ უძლეველი, შეუდრეკელი, შეუპოვარი, უშიშარი. რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, ვერავითარი დეფიბრილატორი, სტიმულატორი, დიგი-

ტალისი თუ შთაგონება, ვერ გადაულობავს გზას, ჩვენი და და ძმა, ჩვენი ერთადერთი გარდუვალი მომავალი, გამცილებელი, მრავალგზის ჩემპიონი, უშიშარი მესაჯე. განუმეორებელი ვებერთელა შავი რაინდი, საიდუმლოებით მოცული, ათი ათას სახიანი, და, ბოლოს და ბოლოს კი, ერთფეროვანი. უკვდავი სპასალარი, უხსოვარ დროიდან მოარული. სამყაროსავით უცვლელი და მარადიული, ყველა დროის ადამიანის განუშორებელი ნათესავი და ახლობელი, დიადი შეტაკებების, წარღვნების, ეპიდემიების, კატაკლიზმების და ყოველდღიურობის, გაუგებრობის, დიდი და პატარა ქაოსის უცვლელი მონაწილე, სიცოცხლის ტყუპის ცალი, მისი სისხლი და ხორცი, ყველაზე დიდი უცნობი. ერთი წლის ბიკენტიც რომ წაიყვანა სამუდამოდ, ორი წლის, ოცი წლის, ოცდახუთი წლის ბიკენტი, და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ახლობელი, ნაცნობი. არ არსებული სამყაროს სინამდვილე, დიადი მასწავლებელი, მაგისტრი, აკადემიკოსი, პროკოფის ნაოჭების, მედეას მკერდის განუშორებელი მეგობარი... ბიკენტიმაც ბევრი ისწავლა მისგან. ის ვისაც სიკვდილი სახეს აჩვენებს, მაღლდება. ვისაც თვალი მოუკრავს მისთვის, არ შეიძლება კიდევ უფრო დიდსულოვანი არ გახდეს, არ შეიძლება კიდევ უფრო არ შეიყვაროს სუსტი და ნიათგამოცლილი კაცი.

ერთხელ, როდესაც ამ პალატიდან გამოვიდა ბიკენტი, მედიკო ექთანმა უთხრა: „გაიქეცი, ბიკენტი, აქედან. დროზე მოუსვი ბაყაყური, ვიდრე სულ არ მოგექცევა ნიკაპი... ფიზიოთერაპიაში გადადი, სპორტულ მედიცინაში, ვენეროლოგიაში, კოსმეტიკას ეზიარე... მოკურცხლე, ვიდრე გული გაგიქვავდებოდეს, ცირკში წადი ექიმად... გაიწმინდები, როგორც სისხლი ფილტვებში".

— სად არიან გაჭირვების დროს ზოშჩენკო, კიპლინგი, აკუტაგავა, ვულფი, ვოლტერი, მოპასანი, სტენდ[illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა იკითხა ბუკინისტმა.

ყველა შიშისაგან, რომელიც კი არსებობს დედამიწაზე, სიკვდილის შიში — ყველაზე ძლიერი და საშინელია.

— რატომ მიენდე მხოლოდ წიგნებს, პროკოფი?

— ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა ცხოვრება, თანდათან მომტეხა.

— სასოწარკვეთას და გაჭირვებას განგებ გვიგზავნიან, რომ ახალი სიცოცხლე გაგვიღვიძონ გულში.

— ვირთხას ლაბირინთში ისე სწრაფად ენგრევა წარმოდგენა, თავზედაც რომ გადაუსვა ხელი ველარ დააჯერებ, ველარასოდეს ვერ გაარინებ.

— მაინც რით შემიძლია შენი ურწმუნოება გავაქარვო?

— ქანგბადით, ჰაერით... თავისუფლად ამომასუნთქიე და ყველგან გამოგყვები... ეს რა ბალაა ჩემს თავზე?.. რა ხდება?.. შარდი მომაწვა, ბიკენტი...

— ეს კარგი ნიშანია.

— გეფიცები, ჩემს სიცოცხლეში არ შევრცხვენილვარ... სად არის ჰურჭელი?

ბიკენტი დაიხარა, ქილა მოძებნა და ავადმყოფს მიეშველა.

— უსწორე, — უთხრა ექიმმა.

— ეს რა ავი დაავადება ყოფილა... ხოლო ამ ფუნდუკიდან თუ მონიტორიდან საფლავამდე სულ ერთი ნაბიჯია.

ბიკენტიმ თხოვა. რომ გამაგრებულიყო. ქანგბადის სათვასურად „ქალი და მამაკაცი" შესთავაზა ბუკინისტმა, წიგნების მეფე. მოშარდვის შემდეგ თავი უკეთესად იგრძნო პროკოფიმ.

მედიცინას უამრავი საშუალება აქვს, გაჭირვებულ კაცს რომ უშველის. ვისაც ამ დარგის არ სჯერა, ჩამოყალიბებული პესიმისტია.

თანდათან უქრებოდა ტუჩების სილურჯე პროკოფის, თანდათან მოდიოდა ფერზე.

— როგორ გამოაძევე ეშმაკები? ვგონებ დავბრუნდი საზღვარგარეთიდან... შენ კი ბიკენტი წინასწარმეტყ-

ველი ხარ, პატარებისა და ავადმყოფების მწედ წარმოგზავნილი. ფარდი არ გვავს. ახლა კი მჯერა, როდესაც წლები სწრაფად გარბიან, როდესაც უბედურება კვალის დატოვებას ვერ ასწრებს — ეს საუკეთესო პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში...

— დამშვიდდი?

— ახლა მივხვდი რას ნიშნავს, როცა ამბობენ, მეორედ დავიბადეო. ვინც უეცრივ კვდება და მეორედ დაბადებას ვერ ასწრებს, უბედურია... ბიკენტი, იპოლიტე ვარ, დიანამ მეორედ რომ აჩუქა სიცოცხლე და ვირბიუსად რომ მონათლა... ყოველთვის, როდესაც მატარებელში ჯდები, გგონია, რომ კუპეში არაჩვეულებრივ ქალს გადაეყრები. როდესაც საავადმყოფოში საკაცეზე გაწოლილს მიგიყვანენ, ექიმს, მწყალობელსა და წინასწარმეტყველს შესცქერებ იმედის თვალით. მატარებელში ყოველთვის გიცრუვდება გული, საავადმყოფოში — არასოდეს.

შემდეგ პროკოფიმ სინანულით აღნიშნა, რომ წელან მეხსიერებამ უღალატა, რომ „ქალი და მამაკაცი“ რახანია გაასაჩუქრა; სამაგიეროდ „ჰავაის ბულბულს“ შეპირდა. ბიკენტიმ მადლობა მოახსენა.

— უნდა გამოგიტყდე, ჯერ ფინაჩი მეგონე, მაგრამ ახლა შენისთანა გარდანქეშანი მეორე არ მეგულება, — უთხრა ქალთვალება პროკოფიმ ბიკენტის, — თუ ადგომა მეღირსა, ყველა წიგნს გავყიდი და დიდ წვეულებას გავმართავ... ნუ გეშინია, დრო დოლის ცხენივით გავარდება, — თვალი ჩაუკრა ექიმს.

როდესაც სიკვდილმა საბოლოოდ გადაიფიქრა პროკოფის წაყვანა, ბიკენტი ინტენსიური პალატიდან გავიდა.

6

ერთხელ ბასკომ უცნაური საუბარი ჩამოუგდო ბიკენტის. მას აინტერესებდა, ათასი ან სულყველა ქართველი ფიზიკოსი რომ შეეერთებინათ ნობელის პრემიის ლაურეატი მაინც თუ გამოვიდოდა მათგან. ამაზე ბიკენტიმ მაშინვე მიუგო: „ნუ მკრეხელობ ქართველ მეცნიერებზე“. ვინაიდან ბიჭები ცნობისმოყვარენი არიან, ამიტომ ბასკომ ისევ იკითხა: „ასი საუკუნის განმავლობაში მაინც თუ გვეყოლება მედიცინაში, ლიტერატურაში ან მეცნიერებაში ერთი ნობელის ლაურეატი?“.. „ეს საკითხი არავის არ აწუხებს, შენ რა დაგემართა?.. თბილისში უამრავი პროფესორი ცხოვრობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აზროვნება, ხელოვნება ჩქეფს. ხოლო იმდენ ექიმს, რამდენიც საქართველოშია, დუნიაზე ვერსად ვერ წააწყდები“.

ბასკო დაკმაყოფილდა ამ პასუხით და მეორე დღეს დილაადრიან მოუსვა სკოლისაკენ. დღეს ლიტერატურაში თავისუფალი თემა უნდა დაეწერათ. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ახალი მასწავლებელი ჰყავდათ, გაგრიდან რომ იცნობდა ბასკო. ამიტომ გადაწყვიტა მაქსიმალურად დაეძაბა ტვინის უჯრედები და არ შერცხვენილიყო. ისე, საშუალო სამოსნად ითვლებოდა. მომავალი ოქროს მედლის პრეტენდენტი კი ხუთი იყო კლასში: ხორცკომბინატის დირექტორის მოადგილის ვაჟი, რაიკომის ყოფილი მდივნის ქალიშვილი, ჰიდროლოგი პროფესორის და ხე-ტყის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკის ვაჟიშვილები და პატარა ვუნდერკინდი თათია, რომლის მამაც მეტროში მუშაობდა დისპეტჩერად. ხუთივეს შანსი თანაბარი იყო.

მასწავლებელმა ბავშვებს წარმატება უსურვა, იმედის ფრთები შეასხა და გაისტუმრა სახითათო, მაგრამ თვალწარმტაც მოგზაურობაში. „ყურადღების მოდუნება უნდა“, — წასჩურჩულა მერხის მეგობარმა ბასკოს. „ნუ ხარ ეჭვიანი“ — უპასუხა ბიჭმა და კალმისტარს დასწვდა. „მედლებს მამები ლებულობენ და არა მოწაფეები“. „მაინც მჯერა ჩვენი დიადი მომავლისა“.

ხე-ტყის სამმართველოს მუშაკის ვაჟიშვილმა ხმელ წიფელას მიუძღვნა თავისუფალი თემა, პროფესორის ვაჟმა — ელექტროფიკაციას, ხორცკომბინატის დირექტორის მოადგილის ნაშიერმა — წიქარას.

ბასკო დიდი ხნით ჩაფიქრდა... მართლაც, სიცოცხლე და წარმატება რაღაცათი ჭადრაკის თამაშს ჰგავს, საოცარსა და საიდუმლოს, მაგრამ აგრეთვე, მკაცრსა და განურჩეველს, სადაც დროზე უნდა მოასწრო სვლების გაკეთება, დროზე უნდა გამოიჩინო თავი. შემდეგ რომაელი ბიკენტინოს და მედეას საუბარი მოაგონდა. ყველანი რამდენჯერმე ვართ დაბადებულნი სხვადასხვა სახით, მაგრამ აღარ გვახსოვს, სამი, ოთხი ათასი წლის წინ ზოგი ცხოველი იყო, ზოგი ნაკადული, ზოგიც მყრალი კოპიტი... მართალია, ის ვინც მყრალი კოპიტი გახლდათ, შემდეგ ცოტათი მყრალი ადამიანი გამოდის, მაგრამ ადამიანი მაინც ადამიანია და ყოველთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე მცენარე ან ცხოველი.

ბასკომ მიამიტი სახე მიიღო. ის, ვინც მოკლე წინადადებებით და გულუბრყვილოდ წერს, ზოგჯერ წესიერი კაცის გულის აღელვებას და შეპყრობასაც ახერხებს. ხოლო ვინც გაბედავს ამაღლებულის შეცნობას, ვინც ცდილობს ორიგინალური, თვითმყობადი ილეთით ადამიანთა მსოფლმხედველობის გაფართოებას, უცილობლად მიაღწევს წარმატებას, როგორც სკოლის ისე ცხოვრების ასპარეზზე. ადამიანი მხოლოდ შრომისთვის და ჯაფისთვის როდი არის გაჩენილი, არამედ იმისთვისაც, რომ ზოგჯერ, წელიწადში ერთხელ მაინც იაზროვნოს.

ერთი საათის განმავლობაში ბასკო იმ მამალივით იყო შემართული, წითელი სხეული და შავი გულმკერდი რომ აქვს... ასე, ორი ათასი წლის წინ აფრიკას რომაელი მარკუს ანტონიუსი ეწვია, გაიბავარდა და ისევ უკან დაბრუნდა. შემდეგ კვლავ ეგვიპტისკენ მოჰკურცხლა, დაცოლშვილდა და თავი მოიკლა. მერე კი ხანგრძლი[illegible]რობის ფერხულში ჩაება — იყო მიწა, ქარი, პალმის ნაწილი, ღრუბელი და ბოლოს, ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში, ნიანგის სახე მიიღო. აგრესორის სული მტაცებელში ჩასახლდა. ერთი წლის განმავლობაში მრავალი სისასტიკე ჩაიდინა. შემდეგ ერთი ლამაზი მდედრობითი სქესის ნიანგი შეუყვარდა და ისევ დაიღუპა. როდესაც ნაპირზე შეყვარებულს მისდევდა, ეგვიპტელები ჩაუსაფრდნენ, მახეში გააბეს და გაატყავეს. ტყავი იტალიაში მოხვდა და მისგან ქალის წაღები შეაკერეს. დაბოლოს, ანტონიუსის ტყავისაგან დამზადებულმა ნახელავმა თბილისში ამოჰყო თავი, მასწავლებელ ნუცას ფეხები დაამშვენა. ვინც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ადამიანის თავების გაჩეხვით და ქალების დევნით იყო გატაცებული, დღეს თუ ხვალ ისევ ქალების ფეხებით გაითელება. ხოლო თუ ანტონიუსი ნიანგად იქცა, მაშინ არც ის არის გამორიცხული, ზოგიერთი ქალი უწინ ბატი რომ ყოფილიყო. ჩაიბარეთ კლასი ბატს და მალე ერთის ნაცვლად, ბატების დიდ ჯოგს იხილავთ... აი, ამ უკანასკნელმა აზრმა დაღუპა ბასკო. მანამდე მერხის მეზობელმა გააფრთხილა: „გაგაფუჭებენ, ბიჭო...".

როდესაც ბასკომ უკანასკნელი წერტილი დასვა, საოცარი სიცარიელე განიცადა. დასასრული — ნაწარმოების, ფილმის, ალბომისა თუ სიცოცხლის ყოველთვის უკმაყოფილების და უსავსეობის გრძნობას იწვევს. მალე კიდევ უფრო პატივმოკლებული გახდა კლასში. მას და ნუცა მასწავლებელს შორის კედელი აღიმართა. ბედის წყალობა და წარმატება აკეთილშობილებს და ამაღლებს მოწაფეს, ხოლო თავს დამტყდარი უბედურება — წელში ღუნავს. პატარა ბიჭი გაჩენილი საფრთხის წინაშე მხოლოდ საკუთარ თავს ველარ მიენდო. ამიტომ გადაწყვიტა მედეასთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიემართა. ქალი ყოველთვის გაუგებს გაჭირვებულს, გულთან უფრო ახლოს მიიტანს მის ტკივილს და მწუხარებას.

მედეა შინ ბრუნდებოდა. ორჯონიკიძისა და ვაგზლის ქუჩის გზაჯვარედინზე ნაცნობმა გააჩერა. ბრგე აგებულებია საშუალო ასაკის გეოლოგმა გაუღიმა. წელიწადში რამდენიმე თვეს ველზე ატარებდა. მინდორში ბუნების თავისუფალ შვილად გრძნობდა თავს. ლექსებსაც წერდა. ამიტომ ჰქონდა ლაღი და დიდებული ღიმილი. ნაცნობები აფასებდნენ და პატივს ცემდნენ. უცნაური სიტყვების ფასიც იცოდა.

— რენდევუზე ბრძანდებოდით? — ჰკითხა მან მშვენიერ მედეას.

ქალიშვილი გაიბადრა. ჰკვიან და ორიგინალურ ადამიანთან, თანაც პოეტთან თუნდაც მცირე ხნით გასაუბრება მეორე ადამიანს ახალისებს და ისევ საინტერესო ხდის მოზღვავებულ მოსაწყენ წუთებს.

— სანაპიროზე გავისეირნე, — მიუგო მედეამ.

— ისევ მომხიბლავია ჩვენი მტკვარი?

შემდეგ უთხრა, რომ როგორც დანტე იყო ჯოტოს, მიქელანჯელოს და რაფაელის სულისჩამდგმელი, ისე მედეაც შთაგონების წყაროა ზოგიერთ პოეტისთვის. მედეა დაინტერესდა. „როდის მოგიძღვნათ ლექსი? — ჰკითხა ჰორაციუსმა, — ადამიანის ხასიათი დამოკიდებულია მისი ბუნებასთან სიახლოვისაგან... მოდი, წამოგვყევი ერთხელ ველზე. საიდუმლო და ფარული ძალები მინდორში უნდა ეძებო და არა ქალაქში, თუნდაც სანაპიროზე". განშორებისას მიბნედილი თვალები გააყოლა პოეტმა.

მედეა სარკის წინ შედგა. მასაც ნიღაბი ეფარა სახეზე, ოღონდ ნაზი, გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული საფარველი, რომლის მიღმა ყველაფერი ჩანდა, მოლოდინი, იმედი, თავისუფლების სიყვარული, რწმენა, დაბნეულობა, ცნობისმოყვარეობა, ყამი, ჯიუტი სული და ზერელე წარმოდგენა [illegible] ფაქიზ ნაკვთებში და ხაზებში [illegible] დებოდა ათასწლეულთა საიდუმლოება, სევდა და ვილაცის სიმშვენიერე. ერთი მას გედს ადარებდა, მეორე — ალვას, მესამეს მისი მკერდი ორ ნესვად მიაჩნდა. ადარებდნენ ან ცხოველს ან მცენარეს ან ნაკადულს. ის კი ფერია იყო, „თქვენი პირველი სიყვარული, მედეა?" „ზეცაში დარჩა... ვიღაცამ შეუბერა და გაიფანტა"... ვნებით გაიზმორა. შემდეგ მაგნიტოფონი ჩართო და გაისმა პოლ-მორიატი „ელ-ბინო". გაზაფხულს გაზაფხული ცვლის. ელვის პრესლის — პოლ-მორიატი გრძნეულ მედეას — თბილისელი მედეა. ყველაფერი სიზმრად იქცევა, სულის მეხსიერებად. რჩება თამაში, დეზერტირი აზრები, ნაკვთების სიმბოლური ენა, და სადღაც „ოქროს თევზი" — მზეზე მილიონჯერ უფრო კაშკაშა ვარსკვლავი, ისიც გაურკვეველი, უაზროდ მფლანგველი სხივებისა და გაუგებრობისა.

თვალს არ აშორებდა სარკეს. კრატინე, შეუდარებელი კრატინე. შემდეგ კიდევ უფრო ფართოდ გაალო პირი და ზედა კბილებს დააკვირდა. ღიმილთან ერთი ჰქანდებოდა... მედეა სავარძელში ჩაჯდა და ჩაფიქრდა. კოსმეტიკური საცხის და მალამოს, შავი და ცისფერი ტუშის, ფანქრების, ტუბების, ფრანგული სურნელის, შამპუნის გარდა, ზოგჯერ გაუგებრობის საკითხების გარჩევაც იტაცებს ქალიშვილებს. ახლა მისი აზრები ნიავივით იყო, რომელსაც არც სახლი აქვს, არც მოვალეობა, თავისუფლების გარდა — სხვა არაფერი არ გააჩნია. შემდეგ ჯერ ბასკო გაიხსენა, მერე ბიკენტი, უცებ ისევ დაფიქრდა: შეძლებდა თუ არა მშიერი და ნახევრად შიშველი მხატვრის შეყვარებას, გაუგებდა თუ არა, ან სულიერი მშვენიერების სანაცვლოდ რა მსხვერპლის გაღებას გაბედავდა. მაშინვე მიხვდა, რომ ამგვარი სითამამე მის ძალლონეს აღემატებოდა, რომ ბევრი ლექსი შეუდარებელია, მაგრამ უფრო მიმზიდ-

ველია — სიმყუდროვე, იმპორტული ავეჯით გაწყობილი ბინა და სხვა ამა ქვეყნიური სიამენი. მედეას იაზონი ხიბლავს და არა ჰომეროსი. მაგრამ მაინც ვინ დაიცვა ბარათაშვილი, რომელმა ქართველმა, რომელმა პატრიოტმა, რომელმა მამულიშვილმა? ხომ წაიკითხა ვილაცამ მისი ლექსები, ხომ გაიყლინთა შურითა და გესლით, ხომ სამუდამოდ წაიწყმიდა სული ვილაცამ... ვინ ედგა მხარში გურამიშვილს, ვაჟას, გალაკტიონს გაჭირვების წუთებში? ვინ გადაafარა იზიდას ზეწარი ნიკალას საფლავს — სირეგვენემ, განურჩევლობამ, ფლიდობამ თუ არარაობამ?... შეიძლება დღესაც იძირება რომელიმე? პირველად დაინტერესდა სხვისი ბედით მედეა და გაუკვირდა, რომ შეიძლება სიამოვნებაც კი მოგგვაროს გაჭირვებულის დაცვამ და შველაზე გაფიქრებამ.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ჭრელტარა კოვზივით ჩაეჩარა ვილაცა. ერთი წუთით ისევ გაუნძრევლად დარჩა. შემდეგ ქოშებში გაჰყო ფეხები და რონინით გადასერა ოთახი. რომელი ხარ? — იკითხა მან. „გააღეთ და დაინახავთ“, — დაიწრიპინა ვილაცამ. „ქურდები, — გაუელვა ქალიშვილს გუნებაში, — წინ კი ლაწირაკი გამოუშვეს“. მაგრამ ადამიანს, რომელიც რამდენიმე წუთის წინ უკვდავებაზე ფიქრობდა, ხუნხუზები ვერ დააფრთხობენ. მედეამ სწრაფად გააღო კარი და ხელში გაფითრებული ბასკო შერჩა.

7

რამდენიმე დღის წინ მარიამი ავტობუსიდან ჩამოვარდა. მძღოლმა ჩამოსვლა არ აცალა, ისე დასძრა მანქანა, და ქალი ტროტუარზე წაიქცა. ავტობუსი არ გაჩერებულა და გამვლელებმა მანქანის ნომრის ჩაწერა ურჩიეს მარიამს. მაგრამ ქალმა ყური არ ათხოვა მათ. ამიტომ ბიკენტიმ მარიამი გამოლანძღა. თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რას შეიმოქმედებდა, კიდევაც რომ ეპოვნა ის მძღოლი. ორიოდე კვირის წინ [illegible] ლშიც წაქცეულა დედა, ეტყობა [illegible] აუწია, წაბარბაცდა და დაეცა.

„საით გაგიწევია?“ „აკულინასთან გავივლი, ბიკენტი“. „ახლა, როდესაც გარეთ ცივა და ყველგან გრიპის ვირუსია ჩასაფრებული, სად მიჩერჩეტებ?“ „მომენატრა აკულინა“. „რა საწყენია, ფრენოლოგიის, ჰიდროპათიის, ცხოველური მაგნეტიზმის და მესმერიზმის ნასახიც კი რომ არ არის შენში“.

ზემოდან გადახედა ქუჩას ბიკენტიმ. ბეჭებში მოხრილი მოხუცი ქალი მიდიოდა ტროტუარზე. როდის დაბერდა ასე, გაუკვირდა ექიმს და ხელი ჩაიქნია.

სააბაზანოში შევიდა. აბაზანაში შეიძლება თვალი დახუჭო და თავი შავ ზღვაში წარმოიდგინო, ისევე როგორც პურს ჭამდე და გაიფიქრო, რომ მასზე ის შავი ან წითელი ხიზილალა გიცხია, მხოლოდ ერის რჩეულები რომ მიირთმევენ...

შემდეგ აბაზანიდან ამოვიდა და მხარზე პირსახოცი გადაიგდო. მაშინვე ზარი აწკრიალდა. სველ თავზე პირსახოცი მოიხვია, ხალათი გადაიცვა, ფეხები ჩუსტებში ჩაჰყო და კარების გასაღებად გასწია.

რამდენიმე წამი უსიტყვოდ იდგნენ — აქეთ ბიკენტი, იქით ბასკო და მედეა. „გამარჯობა, ბიკენტი“, — თქვა ბოლოს ქალიშვილმა. „გაგიმარჯოს“, — მიუგო ექიმმა. „როგორა ხარ, ბიძია?“ — მოიკითხა ბასკომ. „თავად როგორ გიკითხო?...“ მასაც უპასუხა ბიკენტიმ, შემდეგ მედეას მიმართა: „ღმერთო ჩემო, როგორ ამიხდა წუხანდელი სიზმარი... გუშინ ძიძულას პირას ანაკამპსეროტიდან დამზადებული ნაყენი დავლიე, სასურველ ადამიანებს რომ შეჰყრის ხოლმე“.

სტუმრები ოთახში მიიწვია ბიკენტიმ. „შეხე, ეს არამზადა როგორ გამოპრანჭულა“, — ბასკოზე მიანიშნა მედეას. „ექიმი კეთილი და დიდსულოვანია, — უთხრა ბიკენტის ქალიშვილმა. — უშ-

ველე ბასკოს, ქრისტესავით ამოუდექი გვერდში“.

აგვისტო. გაგრა. მედეა. რამდენი საუკუნის წინ იყო ყველაფერი ეს, რამდენი სიხარულის და სასოწარკვეთის წუთები ჩაიძირა მას შემდეგ მარადისობის უძირო კასრში? და სიცოცხლე უცებ ისევ საინტერესო გახდა, ისევ აყვავდა მდელო, ისევ დაიძრა გაყინული მდინარე, გაქრა ეჭვები და ორჭოფობა. ეს ქალიშვილი თითქოს ბავშვობიდანვე ეჯდა გულში, თითქოს საზღაური იყო იმ ყველაფრისა, რაც აკლდა და არ გააჩნდა, წარსული და მომავალი იარების სანაცვლოდ, შესამსუბუქებლად, გასაქარწყლებლად გამოგზავნილი. „ყველამ უნდა მოძებნოს ერთხელ დაკარგული სოფელი, საკუთარი კერია... პირველი ცოცხალი არსება ერთი იყო, ერთიანი. შემდეგ მოხდა მისი გაყოფა და განცალკევება, ცხოვრების, დროისა და სივრცის ლაბირინთში მისი საბოლოო დაშორება. მაგრამ ერთიანობის იდეა სამუდამოდ დარჩა. ამიტომაც ეძებს ერთი ნაწილი მეორეს, ერთი ადამიანი მეორისკენ მიილტვის იმ იმედით, რომ ისევ შეერთდეს და ისევ ალსდგეს...“ აქ ბასკომ იკითხა: „ბიკენტი, დასაშვებია, მე რომ ვიყო მედეას მეორე ნაწილი?“ „გამორიცხულია“, — მიუგო ექიმმა. და მაშინვე შეამჩნია, თუ რა აშკარად, რა ამღვრეული თვალებით შესცქეროდა მოწაფე ქალიშვილს. „ისეთი ლამაზი ხარ, მედეა, რომ ბრმაც კი დაგინახავს“. „მოთხრობებს ხომ არ წერ, ბასკო?“ „ჯერ არა“. „სასიყვარულო ლტოლვა ბავშვებისათვის დამღუპველია, — თქვა განაწყენებული ხმით ბიკენტიმ. — სად მოძებნეთ ერთმანეთი?“

მედეამ მაშინვე გააცნო ექიმს ბასკოს გასაჭირი. მისგან შველას მოითხოვდნენ, რადგან ბიჭს გაკიცხვა და ხანგრძლივი უგულველყოფა მოელოდა სკოლაში. შეიძლება ზოგიერთი სხვა პრივილეგიაც დაეკარგა საზოგადოებაში. ერთხელ ბასკოს ქუჩაში შემთხვევით თვალი მოუკრავს მედეას[illegible] უკან გაჰყოლია. აი, საიდან [illegible]სი ბინის ადგილსამყოფელი. ბიკენტი ბასკოს მოუბრუნდა და უთხრა: „შენი გული მერცხლებით და პატივისცემით უნდა იყოს ავსებული, მოყვრის მხარზე უნდა გედოს პატარა თბილი ხელი, შენ კი სათაელს გადაეცი ნაადრევად ბაირაღი, სისასტიკე გიპყრობს, კალამს ბოროტად იყენებ და იმედს ჰკლავ ახლობლებში. რია-რია გინდა გაიტანო ლელო. დღეს შენ გაიმარჯვე, საბრალო ნუცა დამარცხდა. მაგრამ განა სპორტი და კაცობრიობის ისტორია უსასრულო მაგალითებით არ არის სავსე იმის შესახებ, თუ როგორ სჯაბნიდა ძლიერი სუსტს, მძიმე მსუბუქს, მდიდარი ღარიბს, სასტიკი სათნოს. ის ქალიც ოდესღაც გაზაფხული იყო. გაზაფხული მოკვდა და დარჩა ნუციკო. ახლა კი შენ ნუციკოს დაუშინე ლაყე კვერცხები. მე ბორკილებს — თავისუფლება მირჩევნია, შენ კი შრომას და სწავლას — ცხვირში თითის ტრიალი ან სხვისი დამცირება. ეს ადამიანთა საერთო ტრაგედიაა, სხვისი ტკივილის დანახვაზე სიამოვნების განცდა. ბასკოს იხტიბარი წაუხდა. „რა მეშველება, რა ვქნა ახლა?“ — იკითხა მან. „სიცოცხლე მრავალი დღისგან შედგება და ისევ უნდა მოჰკიდო ხელი შენს ბარს... მაინც რამ აგიტეხა ზაფრის ქარები ასე? რატომ მოჰკიდე ხელი ნაადრევად ჯამბაზობას? ბავშვობიდანვე უნდა ისწავლო წესების დაცვით თამაში. ეს ყველა პატიოსანი ჩოგბურთელის და ადამიანის წმიდათაწმიდა კანონია. არ შეიძლება დიდსულოვნება გესლიანმა ისრებმა რომ შესცვალოს. ის წყალსადინარი, რომლითაც აზრები მოედინება, გადაკეტილი გაქვს... პატივმოყვარეობამ დაგაწერია ასეთი მჩატე თემა, თავის გამოჩენა გინდოდა, გურამიშვილობა. სახელი, დიდება კი სინამდვილეში მხოლოდ პრასა-ნიახურია. დროა დაინტერესდე მეგობრის, მეზობლის, სუსტი და გაუბედურებული კაცის მდგომა-

რეობით. ხოლო უკეთუ ხელი შენი გაცდუნებდეს, მოიკვეთე იგი“. „ბიკენტი მიუტევე“, — შეევედრა მედეა. „არა, რა უფლება გქონდა ხელი რომ აღმართე ქალზე. ახლავე დაიმუხლისთავე და ბოდიში მოუხადე მედეას!“ „მედეა რა შუაშია?“ „ზოგადი განსახიერებაა დედაკაცის... ზოგადის დანახვა კი ყოველთვის ძნელია“. „ნუცა და მედეა ერთი და იგივე არ არის“, — იყვირა ბასკომ. „ყმაწვილს, მომავალ ვაჟკაცსა, მეტი მოთმინება, მორიდება და მორჩილება მოეთხოვება ქალის წინაშე. ქალი გვბადებს, პირველ დღეებიდანვე საკვებს გვაწვდის, შემდეგ კი წამდაუწუმ მუგუზალს გვიგიზგიზებს ძარღვებში და ის მამაკაცი მამაკაცი არ არის, რომელიც ქალის გულისთვის ერთხელ მაინც არ ისკუპებს ათმეტრიან ლოდიდან თავით წყალში. ბანოვანის წინაალმდეგ გალაშქრება კი მხოლოდ ლაჩრის ხელობაა... რას ერჩოდი, ოფოფებმა მოგიარეს? ან რა დიდი გოზლა გგონია შენი თავი? ქილიკაობა ქალზე, მდაბიურ წარმოშობაზე მიუთითებს“.

აქ კი ბასკო აღენთო, უეცრივ აეშალა ფაფარი: „თვითონ რა კაცი ხარ, დღეში ათჯერ რომ იცვლი მსოფლმხედველობას... შენ არ მეტუტუნებოდი, ამ ქვეყანაზე სიცოცხლე აუტანელი იქნებოდა, ხელოვნება რომ არ არსებობდეს, რომ სიმშვენიერე ტილოზე, ქაღალდზე, ქვაში და ბგერებში ყველაფერს ამართლებს, ყოველგვარ დანაშაულს... როგორ ლაღადებდი აღფრთოვანებული, რომ სულის და ფუნჯის კვალი — ეს იგივე ამრტა, სომა და ჰაომაა?.. ბოლოს და ბოლოს, რა მიჭვრიტინა გამიხდი?“ „ბენისიმო... მედეა, აი, მაგალითი იმისა, რომ ბრიყვებთან არ უნდა იკამათო... გრაციე ტანტა... ოპენდო ხარ, ბასკო... მედეა, როდესაც მესიზმრები, ან ცხადად გხედავ, იტალიური სული ილვიძებს ჩემში“. „ოდესღაც შენც ნიანგი ხომ არ იყავი, ბიკენტი?“ — იცინოდა მედეა. შემდეგ ისევ გაგრა მოიგონეს, [illegible] სატურნის ცრემლი, დიონის[illegible] რომი და სიცილია. ბოლოს ბიკენტიმ თქვა: „მართალია ამ ყმაწვილმა ჭიტლაყი უფრო დაიმსახურა, ვიდრე შემწვარი კატლეტები, მაგრამ როდესაც მოგშივდება, სუფრა უნდა გააწყო და არ უნდა დაივიწყო სტუმარ-მასპინძლობის ჩვენებური წესიც“. ბასკომ განაცხადა, რომ პირს არ დააკარებდა საჭმელს. „ქართველი არასოდეს არ ყოფილა პურმარილუწამებელი“, — მოაგონა მედეამ. შემდეგ სუფრას მიუსხდნენ და როგორც ყოველთვის ხდება, სწრაფად შერიგდნენ, დანაყრდნენ, ტკბილად ისაუბრეს, მხარდაჭერა აღუთქვეს ერთმანეთს და ერთგულება კუბოს კარამდე.

8

სადილობის შემდეგ ბიკენტიმ სანაპიროზე გასეირნება შესთავაზა მედეას: „მოდი მივატოვოთ ბოლაზი და ლიაოკეანეში გავიდეთ, სიცოცხლით დატკბობა — ეს მის ტალღებში შეტოპვას და ლივლივს ნიშნავს“.

მედეამ, მარადიულმა განმეორებამ გრძნეული მედეასი, წინადადება არ მიიღო. ჯერ ერთი — მტკვარი სენა არ იყო, ხოლო თბილისი — პარიზი, მეორეც, ამ ხნის განმავლობაში გადაჩვეოდა ბიკენტის და ვიდრე ისევ შეეჩვეოდა, რამდენიმე კვირა მაინც უნდა გასულიყო.

ბასკოს იქედნურად გაეცინა.

„მედეა, შენ ბრაჰმანი ხარ, რომლის სინათლითაც განათებულია მზე და სხვა ვარსკვლავები, შენი სხივი მთელ სამყაროშია მოფენილი“. მედეა მაინც არ დათანხმდა. ბასკო ხითხითებდა. ამ დროს კი ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

ქედმოუდრეკელი ბესო კარგ გუნებაზე იდგა. ქერის ორმოში ორიოდე წლის წინ ჩავარდა და გული ჯერ კიდევ არ გაქვავებოდა. მანამდის კი ლობე-

ყორეს ედებოდა, ჯერ საპროექტო ინსტიტუტში მუშაობდა, შემდეგ რამდენიმე წელი ესტრადაზე მღეროდა, ადმინისტრატორად წაიმუშავა სპორტის სასახლეში, და ბოლოს ყური გააპარტყუნა — ლიქიორის ქარხანაში მოეწყო გამგედ. მანამდის მისთვის სიცოცხლის ის პერიოდი იყო, როდესაც მცენარე ნაყოფს არ იძლეოდა და საქონელი ნაშენს. მალე ქონების ფიტი მოიკრა და სწრაფად ამაღლდა ყველას თვალში. უკუდო მგელზე მჯდომი წუთისოფელი ფეხქვეშ მოიგდო. და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, ღმერთები კი არ უნდა გამოიცვალო, არამედ პროფესია. კაცისთვის, თუ ნამდვილი მამაკაცია, არასოდეს არ არის დაგვიანებული, წელში რომ გაიმართოს, თუნდაც მის წინააღმდეგ ყველაფერი იყოს — ბუნება, ბედი და რამდენიმე ადამიანიც. ადამიანი დაიმორჩილებს სამყაროს, ადამიანი ბუნების ყველა ამოცანას ამოხსნის. ამას რამდენიმე მილიონი წელი დაჭირდება. როდესაც ქვეყანაზე არავითარი საიდუმლოება აღარ დარჩება, მზეც ჩაესვენება, ჩაქრება. მაგრამ მანამდის კი კაცმა უნდა გაიხაროს და ზოგჯერ მაინც ნაღვლიანი ზურნა მხიარული ინსტრუმენტით — ბანჯოთი შეცვალოს. ერთხელ მეგობრებმა ბესოს გამყიდველობა დასწამეს. ბესო არ დაეთანხმა მათ. კაცი, როდესაც სხვა სამყაროში გარბის, შეიძლება მზვერავიც იყოს. ბესო შინაგანად ისეთივე დარჩა, მხოლოდ გარეგნულად გამოიცვალა — გაოქრებული ნიკაპი ამოევსო, ოდნავ ცხიმოვანი გაუხდა თვალები. ხელოვანი და ადამიანი კი ისევ იჯდა მისი სულის ერთ კუნჭულში. ზოგჯერ სიკეთე მტკივნეულად იზიდავდა გამგეს. დღეს გადაწყვიტა შორეული ნათესავის — ბიკენტის გახარება. ტელეფონით აცნობა ექიმს, რომ ერთი დღით მანქანას უთმობდა და ას მანეთს სესხის სახით აძლევდა განუსაზღვრელი ვადით.

„ამბობენ, ყველაფერი მშვენიერი ამ ქვეყანაზე ღორების კერძი ხდებაო. რა სიცრუეა, ღმერთო, რა მონაჭორია", — ფიქრობდა ბიკენტი და მანქანას თბილისის ქუჩებში მიაქროლებდა. გვერდით კი მშვენიერი ყოფილი სტიუარდესა ეჯდა. „ეს ულვაში ძაღლისა იყოს, თუ დღეს საბოლოოდ არ მოვხიბლე ფერია, არ გავხლართე ჩემს ეშმაკურად მოქსოვილ ბადეში". „ბიკენტინო, როგორ გიხდება მანქანა... აი, ახლა ნამდვილი იტალიელი ხარ". „მედეა, შენ კი ლექსი ხარ, ლექსივით უკვდავი და მშვენიერებას შენც გადასცემ თაობიდან თაობას. ხოლო სიცოცხლე მარტო დაპანღურება როდია, ზოგჯერ თავზე ხელის გადასმაცაა". მედეა აქეთ-იქით იყურებოდა, დროდადრო კი ბიკენტის უცინოდა: „რა ქათქათა პერანგი გაცვია, რა კოხტად გაქვს გადავარცხნილი თმა, როგორ გიხდება ვარდისფერი კაშნე, თითქოს ეს წუთია გამოგიღეს კარადიდან". „გამომყვები?" „თუნდაც ქალაქის დასალიერამდე". „სახლში აღარ გაგვიანდება?" „ბასკო რატომ არ წამოიყვანე?" „მაგ ასაკში ბაღანა წიგნს უნდა ჩაჰკირკიტებდეს". რა ბედნიერად გრძნობდა თავს ბიკენტი. შეიძლება კვირიამ მასაც გადმოხედა, შეიძლება აწი ფარვანასავით მასაც თავს მოევლება ბუნება? ჩაო, ძანი, არლეკინო, ბრიგელა, პულჩინელა. შეიძლება ისიც მონაწილეობს იმ საიდუმლოებაში, სიცოცხლე რომ ეწოდება? სად გაჰქრა წინააღმდეგობანი, ავი სულები, დეზერტირი აზრები? ვინ გამოჰფინა ქუჩებში ამდენი ბაირაღები, თაიგულები, სიხარული? თბილისი ამ მეყში დიდებულ რიოზე და რომზე უფრო მშვენიერიც იყო, იმ ქალაქებზე უფრო წარმტაცი, რომელსაც ალბათ ვერასოდეს ვერ იხილავს მისი თვალები. პალაცო, ნოსტრო-კონტო, პიანისიმო. დილომში ავტობუსის გაჩერებასთან შეჯგუფულ მოლუშულსახეებიან მგზავრებს ხელი დაუქნია და დაუყვირა: „კომილიტონეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი ამხანაგები ვართ, ამხანაგებო!" მთავრდებოდა თბილისის საზოვარი და იქით ცის დიადი კარი მოჩანდა. „მაგრამ მაინც რატომ მოსწონს ქალს მარტორქაზე ამხედრებული მამაკაცი?" ისევ ისმოდა ფოთლების შრიალი, ხეების ხმაური, ისევ იგრძნობოდა ტყის სიწყნარე და მთების სიდიადე. ისევ გაცოცხლდა დიდი პანი. „მედეა, მდაბიურად რომ გკითხო, ხომ არ ითაკილებ... როდის გამიშვლდები საბოლოოდ?.. ხედავ, რა დაუნდობლად მიფრინავს წუთისყოფა? მე კი დიდი ხანია, რაც თვალი წამიგორდა შენზე". „ვინ არის ბესო?" „აზნაური, ნათესავი, მეცენატი, მორწმუნე, ვაჟკაცი და ბრძენი... ვიდრე ადამიანობდა, ჩვეულებრივი კაცი იყო. როგორც კი მაიმუნს და მელიას მიბაძა, მაშინვე გაუმართლა ცხოვრებაში... ვივა ბესო!" ბიკენტინო, რამ შეგაყვარა ეს ლათინური ენა?" „ლათინური, ამბობენ იტალიური ენის ბებიააო". მალე თბილისი უკან დარჩა და დიდებული ჯვარიც გამოჩნდა. „მედეა, მედეა, როგორ შეიძლება, შენზე რომ გავმეფდე?" „სიყვარულია თუ მხოლოდ ლიბიდო?" — ფიქრობდა ბიკენტი და დროდადრო გადახედავდა მედეას. „გაყურბანე, მაინც რა გქონდა გრიშასთან საერთო?" „ცა". — მიუგო მედეამ. „რამდენი წლიდან გახსოვს თავი? — „ალბათ სამი წლიდან". ბიკენტი ოთხი წლის იყო, როდესაც კომუნარების ბაღში გზა დაებნა პირველად თავის სიცოცხლეში. შემდეგ როდესაც გაიზარდა, ეჩვენებოდა, რომ ზოგჯერ ისევ კარგავდა ბილიკს. ოცდაათი წელი ბევრი როდია, მაგრამ იგი უკვე სიკვდილს ეკუთვნის და არა ბიკენტის. ხოლო საშინელებაა, როცა დარწმუნდები, ბილიკიდან რომ გადაუხვევია დიდი ხნის წინ. ისე, რამდენიც გინდა იბოდიალე, თუ კი ვერაფერს ამჩნევ, თუ კი გგონია, რომ სწორ გზას ადგეხარ. „ბიკენტინო, სწორად მივდივართ. მალე გორშიც ამოვყოფთ თავს". „მაინც მეჩვენება, რომ ყველანი ავცდით შარას, ისე [illegible] რომ ბებიაჩემი კალინკაც კი ვეღარ გვიპოვნის... ბიკენტო! ბიკენტო!.. ისე მეძახდა დალამებისას და ყოველთვის მპოულობდა, რადგან იძულებული ვიყავი მეპასუხა. ვიდრე არ გავცემდი ხმას, არ მორჩებოდა ყვირილს... ახლა ვის სცალია ჩვენთვის, სად არის ჩვენი კალენიკე? ზღვის ქაფივით ვქრებით და ვიკარგებით. რაც იყო, აღარასოდეს არ დაბრუნდება. დაქუცმაცდა, დანაწევრდა, დაიშალა". გორში წრე დაარტყეს სტალინის ძეგლს და უკან დაბრუნდნენ. ცალი თვალით წარამარა მედეასკენ იყურებოდა. და სამუდამოდ გაქრა საავადმყოფო, კალინკა და წარსულიც. რატომ არ ენდობოდნენ, ბოლომდის რატომ არ წყალობდნენ ეს არაჩვეულებრივი თვალები, წამწამები, წარბები, ნიკაპი, ტუჩები, ეს დიდი და გამოუცნობი სამყარო, ეს განსახიერება, ანარეკლი რომელიღაც სხვა დიდი, ნამდვილი მხარისა, რომელსაც ვერასოდეს ვერ შევიცნობთ, ვერ ვიხილავთ, ვერ აღვიქვამთ, ვერ დავინახავთ, თუნდაც ასი კანტი დაიბადოს ისევ, თუნდაც სინათლის სიჩქარე მოგვანიჭოს მაცხოვარმა. „რამდენს იწონი?" — ჰკითხა ბიკენტიმ და ხელი დაადო. ცივი ხელი ჰქონდა. „დიდხანს იცოცხლებს, — გაიფიქრა ექიმმა, — ეს სითბო, ცხოველური სითბოა, ნგრევისა და ლპობის მამამთავარი". „სამოც კილოგრამს, — მიუგო ქალიშვილმა, — რატომ დაინტერესდი? „რაც მცირე წონისაა ადამიანი, მით ნაკლებადაა მიჯაჭვული დედამიწასთან, მით მეტად ჰაეროვანია, მსუბუქი და მით მეტი საერთო აქვს ზეცასთან, თავისუფლებასთან და უსასრულობასთან... ჩვენ ნიუტონმა დაგვღუპა, მიზიდულობის კანონმა გაგვივითარა კუნთები და საბოლოოდ მოგვაჯაჭვა მიწასთან. კუნთებმა მგრძნობელობის ორგანოების გაჩენა გამოიწვია, შემდეგ ნერვული სისტემა და საბოლოოდ დაიმონეს სული". დაბინდდა. ბლიუზის წყნარი მელოდია იღვრებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მანქანაში. ჯვრის ტაძრისკენ გაუხვიეს. „სისულელეა, თითქოს კაცს საკუთარი ჩრდილის გარდა სხვა ახლობელი არ ჰყავდეს. უბრალოდ, ცხოვრებაა მრავალფეროვანი და ამიტომ გვირტყამს ხოლმე სხვადასხვა ხერხით. ამის გამო ზოგჯერ ჩვენც უნდა გავცივნდეთ და ჩუმ-ჩუმად უნდა წარვუდგინოთ ზოგიერთი პრეტენზია და მოთხოვნილება. ეს განდეგილები, მეამბოხეები და... დონ-ჟუანები აკეთილშობილებენ და ამშვენიერებენ სიცოცხლეს, მედეა". ბიკენტიმ ხელის მოხვევა სცადა, მაგრამ ქალიშვილმა არ გაიკარა. „ბალი, ალა, — უთხრა მაშინ ბიკენტიმ, — შენი ეპიტაფია მრავალი საუკუნის წინ დაიწერა — მარად ვილაცის სურვილი იყავი, ხარ და დარჩები". ისევ მიიზიდა. ისევ მოიშორეს. მაშინ ბიკენტი გაყუჩდა და ბედს დაემორჩილა. მანქანა ტაძართან დატოვეს და საქართველოს ყოფილ დედაქალაქს ზემოდან გადახედეს. ქვევით ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ მცხეთის ნათურები. დიადი სვეტიცხოველიც თვლემდა. ბიკენტიმ კიბიდან ისკუპა და კინაღამ ფეხი იღრძო. ამ წამში სიცოცხლე ჩირადაც არ ულირდა. ასეთი ლამაზი ქალიშვილის გვერდით აცუნდრუკებაც დანაშაული ოოდია. „მედეა, გათოშილი სირკაჭკაჭი რომ ვიყო, ჩამისვამდი უბეში?" შემდეგ ზემოდან გადახედეს არაგვსა და მტკვარს. საქართველოს შეუცნობი სული ტრიალებდა ირგვლივ. ერთნი ოროლობეში გავლის დროს მაყვალს ამჩნევენ, მეორენი მხოლოდ ეკალსა და ჯინჯარს, მესამენი — მწვადებსა და გოჭებს, მეოთხენი — ფეხშიშველა ქალის წვივებს, მეხუთენი გამალებით აცეცებენ თვალებს ოქროსა და თუმნიანების წასაგლეჯად. მხოლოდ თითო-ოროლა გამვლელი თუ შეამჩნევს და ჩაფიქრდება მის მონგრეულ ლობეზე, ატალახებულ მიწაზე და ქრონიკულად ჩამოწოლილ შავ ღრუბლებზე. „გაებით ჩიტუნებო მახეში?" — ყურის ძირში მოესმა ვილაცის ხმა ბიკენტის. ახალგაზრდა კაცი შემოტრიალდა. „წესრიგის დამცველის უპირატესობა ის არის, რომ ჩნდება იქ, სადაც სრულებით ზედმეტია", — ღიმილით უთხრა ექიმმა. „ჩიტუნების უპირატესობა კი ის არის, რომ სულელები არიან და ადვილად ებმებიან მახეში... ახლავე გამომყვებით განყოფილებაში, ხელები კი ზურგსუკან დაიწყვეთ!.. ვინ ხართ?!" — „ნუ მოგვაქცევ ყურადღებას... ვითომ მცენარეები ვართ, მზის ამოსვლის მოლოდინში რომ გატრუნულან". „იქ განახავთ რა წეროებიცა ხართ". ბიკენტიმ აუხსნა, რომ არცერთ კანონში არ წერია, რომ თავისუფალ ადამიანს უფლება არ ჰქონდეს ბუნების ჭვრეტის. სერჟანტი გაჯიუტდა. მაშინ ბიკენტიმ ჰკითხა: „უქმური ხომ არ გაქვს ნაჭამი?" წესრიგის დამცველმა ხელი სტაცა მკლავში. „მედეა, — ქალიშვილს მიმართა ყმაწვილმა კაცმა, — ეს ქართველი არავითარ შემთხვევაში არ არის აბიბო ნეკრესელის შთამომავალი, წმინდა ცეცხლს უშიშრად წყალი რომ გადაასხა და ჩააქრო. არც იეჩიელის, არც იოანე მოსხის და არც იოვანე პეტრიწის აცხია რაიმე. სხვა მოდგმის გახლავთ, სხვადასხვა სისხლია არეული მასში".

ოფიციალურმა მოძალადემ მილიციის მანქანისკენ წაიყვანა ორივე. მანქანასთან მრისხანე პოლკოვნიკი იდგა. „ვინ ხარ?" — იკითხა მან. „ბიკენტი ვარ, ბედუკუღმართი უბედურთა შორის". „ბიკენტი, ბიჭო! — იყვირა პოლკოვნიკმა, — ჩემი მხსნელი... მეგობრებო, ამ ღიდსულოვანმა გამომტაცა სიკვდილს ბრჭყალებიდან!"

„კებეხი და წმინდანი კაცი არასოდეს არ დაიკარგება ცხოვრებაში" — იცინოდა ქალიშვილი. როდესაც თბილისისკენ გასწიეს, ექიმმა „მუხამბაზი" შესთავაზა მედეას. „ამბობენ შესანიშნავი დროის გატარება შეიძლება იმ სარდაფში — შამპანურები, ცეკვები და ორი გადასარევი მომღერალი — მამაკაცი, რომელიც განუმეორებელი ქალის ხმით მღერის და დედაკაცი, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცური ხავერდოვანი ხმა აქვს. ყოველივე ამ სიამოვნებაში შემდეგ სამმაგს გადაგახდევინებენ ღიმილით და კიდევ უფრო კარგ გუნებაზე დადგები... ხედავ, როგორ გავმდიდრდით, რა ხელგაშლილად და რა ლამაზად ვცხოვრობთ!..."

გამომშვიდობებისას მედეამ ნაზად ჩამოართვა ხელი. „მანქანით გასეირნებაზე ყოველთვის მზადა ვარ, ბამბინო".

9.

ინტენსიურ პალატაში სიწყნარე სუფევდა. ავადმყოფები მშვიდად ხვდებოდნენ ახალ დღეს. ცირა საცა იყო მორიგეობას დილის ცვლის ექთანს გადააბარებდა, თავიდან დაიხატავდა თვალ-წარბს, გამოიცვლიდა კაბას, გაიღიმებდა და თეძოების მოხდენილი რხევით დატოვებდა იმედით, შიშით და საიდუმლოებით მოცულ ამ პატარა სამყაროს.

კედლის სარკის წინ თმა შეისწორა ბიკენტიმ. ყურები სადღაც ზეცისკენ გაურბოდნენ. თმებიც ხშირად ღალატობდნენ — ხან ოფოფივით ედგა, ხან ცალმხარეს უვარდებოდა. ცხვირიც რაღაც ვერ გამოიყურებოდა რიგიანად. და მხოლოდ თვალები ემორჩილებოდნენ, ყავისფერი, უმოძრაო თვალები. მართალია შეუმჩნევლად ბჟუტავდნენ, მაგრამ ყველაფერს კი ამჩნევდნენ.

— როგორ არიან ჩვენი ფუნდუკის მდგმურები? — ჰკითხა მან ცირას.

— ლაღად, ექიმო.

— ცირა, ვიდრე სახლისკენ გაიკუნტრუშებ, წნევა გაუზომე წაქცეულებს.

ცირა მიმზიდველი ექთანი იყო. მაგრამ ბიკენტი ენდობოდა მას. ხომ შეიძლება, თვალწარმტაცი გოგონასიც რომ გჯეროდეს.

დამლაგებელ ქალს ნახმარი ჭურჭელი გაჰქონდა პალატიდან. ბიოქიმიური განყოფილების ლაბორანტი სისხლს უღებდა თითიდან ავადმყოფს. ხვეულებიც რითმულად ციმციმებდა [illegible] ტორის კარდიოსკოპზე.

— როგორც იტყვიან, ცირა, — უთხრა პალატიდან დაბრუნებულ ექთანს ბიკენტიმ, — ქვეყნად მშვიდობა და მშვენიერი დილა დგას, როდესაც სინამდვილეს ლაღად და ღიმილით უსწორებ თვალებს, როდესაც ირგვლივ, როგორც არასდროს, სინაზე და სიყვარულია გაფანტული... მაკოცებ?

— არა.

— ნუ აჩქარდები, ჯერ კარგად დაფიქრდი... რატომ გაქვთ ქალებს უარყოფის ინსტინქტი ასე გამახვილებული?

— ბიკენტი ექიმო, არსებობს სიყვარული?

— ცირა, ეს უძველესი კითხვაა. გაცვეთილი...

— რატომ უყვარხართ ყველა ავადმყოფს?

„ჯერ კიდევ ბალღია, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — ასეთი სისულელე კოლეგებსა და ხელმძღვანელობას არასოდეს არ წამოცდებათ, რომ არ წახალისდე, თავში რომ არ აგივარდეს".

ინტენსიურ პალატაში ოთხი ავადმყოფი იწვა. ბიკენტიმ ყველას ჩამოუარა და გასინჯა. მეშვიდე საწოლზე პოეტი გარინდებულიყო. დიდხანს უსმენდა მის გულს ექიმი. „ჩვეულებრივი გულია, — გაიფიქრა ბიკენტიმ, — არაფერია ამაღელვებელი და რომანტიკული". პოეტმა ჩურჩულით ჰკითხა:

— აქედან სამოთხეში თუ ხვდებიან?

— იყუჩე ჰორაციუს, ეცადე რული მოიკიდო. როდესაც სულის სიმშვიდე დაგეუფლება, ჭრილობაც მალე შეგიხორცდება.

— ისევ ხომ არ მომაკითხავს ტკივილი?.. კაცის პირი ვერ იტყვის, თუ რა საშინელებაა... კინაღამ ჭიჭინაზე გავსკდი, ექიმო.

ბიკენტიმ უპასუხა, რომ მალე ყველაფერი მოგონებად დარჩებოდა.

— რომ იცოდე, რა მოუსაფარი ვარ ამ დარბაზში... ზრუნვანი მართლა სჭამენ გულსა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიკენტიმ გაიფიქრა, რომ ინფარქტიანი ავადმყოფი კუთხეში მომწყვდეულ ნადირსა ჰგავს, ხანგრძლივი დევნით განაწამებს, ქანცგაწყვეტილს, მოღლილს. როდესაც ცხოვრების უკანასკნელ ხაფანგში გაებმები, საგნები მაშინვე თავდაყირა დგებიან და ნამდვილ სახეს ღებულობენ. მაშინ პირველად მიხვდები, რომ ყველაფერი მოგონილია, რომ უკან აღარაფერი დაბრუნდება — არც ვარდისფერი წლები, აღარც რიოში გატაცებები, რომ ახლა აღარაფერი გიშველის — არც ქალის ღიმილი, არც „რქაწითელის" გამაბრუებელი ძალა. თავისუფლების ბაირაღიც სათამაშოდ მოგეჩვენება, იმ სათამაშო დროშად, კუთხეში რომ მიაგდო სამი წლის ბიჭმა, როცა ბურჭალობა მობეზრდა. უწინ ბიკენტი ავადმყოფებს უმხელდა, რომ დროდადრო მასაც იპყრობდა ასეთივე გაუგებარი გრძნობები. მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ცარიელი სიტყვები, როდესაც გულში სამუდამოდ კვდება რაღაც ნაწილი, საპნის სასაცილო ბუშტს ემსგავსება.

□ გაგრძელება იქნება □

# 1783 გეორგიევსკის ტრაქტატი 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდონ სიხარულიძე

## პრესნია — ქართველთა უბანი მოსკოვში

საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა რუსეთთან საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა.

ხწრაფადმზარდი რუსეთი ქართველ პატრიოტებს მრავალი ჩანაფიქრის განხორციელების იმედს აძლევდა.

რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გარდუვალობას ქართველი მოღვაწენი ადრევე ხედავდნენ და პერსპექტიულ მოკავშირესთან ურთიერთობისას, სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მოლოდინში, კულტურული წინსვლის მრავალ ღონისძიებას ახორციელებდნენ.

ახეთი ურთიერთობის გაღრმავების შედეგად მე-17 საუკუნის მიწურულს რუსეთის დედაქალაქში ჩამოყალიბდა ქართველთა ახალშენი. ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები — ალ. ბაგრატიონი, ბ. შიოშვილი, ზ. გარაყანიძე, გ. მეტრეველი, გ. დადიანი და სხვები იქ ფართო სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდნენ. მოსკოველმა ქართველებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და კულტურული საქმიანობა ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებსაც დაუკავშირეს.

დიდი ხნის დაუღალავი მეცადინეობით, მე-18 საუკუნის პირველ წლებში, მოსკოვში მყოფმა არჩილის დასმა დაარსა ქართული სტამბა და 1705 წელს გამოსცა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — „დავითნი".

რუსეთთან ურთიერთობის საფუძველზე ქართველ პატრიოტთა წინაშე დიდი პერსპექტივები იშლება, მაგრამ მე-18 საუკუნის დამდეგიდან საქართველოს წინსვლისათვის ენერგიულად მოღვაწე ეს გუნდი მნიშვნელოვნად ზიანდება. ჯერ იყო და ევროპულად განათლებული, რუსეთის არტილერიის მინისტრი ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველი თანამებრძოლებით ტყვედ ჩაიგდეს შვედებმა. მალე გიორგი მე-11 ირანში დაიღუპა, იგივე ბედი ეწია მის ძმას ლევანსაც და ა. შ.

ყოველივე ამან თითქმის გაამარტოხელა სახელოვანი ბიძების — არჩილისა და გიორგის გარემოცვაში დავაჟკაცებული საქართველოს მომავალი უწარჩინებულესი მოღვაწე ვახტანგ VI.

ქართლის სამეფოს გამგებლობისას ვახტანგ VI დიდი რუდუნებით თავი მოაბა წინაპართა მრავალ ნაოცნებარს — სტამბის გამართვას, „ქართლის ცხოვრების" გაგრძელებას, „ვეფხისტყაოსნის" შესწავლასა და გამოცემას და სხვ.

დიდი ამაგი დასდო მან სამართლებრივ სფეროს, აღზრდა-განათლების, მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სხვა დარგის მოწესრიგებას.

ბევრი გააკეთა ვახტანგმა თბილისის დაწინაურებისათვის. მის დროს არა თუ მხოლოდ გაერმრავლდა საქართველოს დედაქალაქი და კავკასიაში თავისი ოდინდელი კულტურული ადგილი (ცენტრისა) დაიბრუნა, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის დიპლომატიის ფოკუსშიც მოექცა.

ქართლის დიდი კულტურული აღორძინების ნაყოფი, ვახტანგის დასის მრავალმხრივი მოღვაწეობით, ტერიტორიულად შემცირებულ, „საქართველოებად" დაქუცმაცებულ სამშობლოს ყველა კუთხეს წვდებოდა და ხანგრძლივი ბრძოლებით დასახიჩრებულ ქვეყანას წყლულებს უმრთელებდა.

წარმატებული მრავალფეროვანი მოღვაწეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ქვეყნის ამ გამოჩენილ მშენებელს მთელი საქართველოს წარმმართველის სახელს უხვეჭდა. ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, ვახტანგსვე „მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი“[1].

ქართლის სამეფოს ეს დიდი აღმავლობა მიტაცებული მხარეების გამოხსნის, ქვეყნის გაერთიანებისა და თავისუფალი განვითარების გზაზე დადგომის რეალურ პერსპექტივას ასახლოებდა.

ახეთ პირობებში ქართლის მეფეს მოსკოველ ქართველთა პირით ეუწყა რუსეთის იმპერატორის პეტრე I წადილი, მათი სამეფოების სამხედრო-პოლიტიკური დაკავშირებისა.

„ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა:

. . . . . . . .

გიჯობს მე ზურგი მომყუდო,
გულზედა გული მამადო“.[2]

ქართლის სამეფო კარზე რუსეთის ხელმწიფესთან კავშირის შემოთავაზება საქართველო-რუსეთის ისტორიული ურთიერთობის ლოგიკურ გაგრძელებად აღიქვეს, მტრული გარემოცვის გარღვევის ხელსაყრელი ჟამის დადგომად სამართლიანად აღიარეს და მოკავშირეობა იტვირთეს.

ორივე მხარემ სწრაფად შეამზადა თანამშრომლობისათვის საჭირო პირობები. რუსეთის არმია იმპერატორ პეტრე I მეთაურობით დარუბანდს მივიდა, ხოლო ქართველ-სომეხთა და ცენტრალური ამიერკავკასიის მკვიდრ მაჰმადიანთა ჯარი ვახტანგ VI მთავარსარდლობით განჯას დადგა. სამწუხაროდ, მათი შემდგომი წინსვლა ვერ მოხერხდა (ოსმალეთის გააქტიურების გამო). მალე რუსთა მხედრობამ უკან დაიხია და კავკასიაში კვლავ რეაქციამ დაისადგურა.

საქმის გამოსწორებას ვერ უშველა ვახტანგის საგანგებო ღონისძიებებმა (ტახტიდან გადადგომა შვილის, ბაქარის სასარგებლოდ, სათავადოთა გზაჯვარედინების დაჭერა და ა. შ.), ქვეყანა აიშალა: „ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი“, მტერმა დრო იხელთა, თბილისი დაიჭირა და ქართლის მოთხრას გულდაგულ მიჰყო ხელი. რუსეთიდან დამხმარე ძალა შეყოვნდა. ვახტანგ VI სახასო მამულს — აჩაბეთს წავიდა. შემდეგ ალს გამართულ თათბირზე გადაწყდა: დახმარების მისაღებად პეტერბურგს გამგზავრება.

1724 წლის ივლისში, ხელმწიფისგან მიპატიჟებული ქართველი მეფე და მისი თანამებრძოლნი — „ურიცხველნი სამღვდელონი და საერონი ქართლელნი, იმერელნი და კახნი, ეპისკოპოზნი, მღვდელნი თავადნი, აზნაურნი, მონანი და შინმუნვანი დედაწულიანურთ მათით“ რაჭის გზით დიგორს მივიდნენ. ასე დაიწყო რჩეულ „ქართველთა კრებულის“ უპრეცედენტო ემიგრაცია.

ჩერქეზეთში ქართველები მეფის მოყვარე ბაყიშვილებმა ისტუმრეს. მათ ვახტანგის შუამდგომლობით რუსეთის ქვეშევრდომობა იხურვეს და ერთი ბატონიშვილი ამალას გააყოლეს. ამ საბატონოს თვალუწვდენი ველები აღმოსავლეთისაკენ მიმავალმა ქართველებმა რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ „ჩინგიზთ“ ათასეულების თანხლებით განვლეს. შემდეგ „უმჯობესი განსწავლული რუსეთის სპათა მკედრობანი... ქვეითოსანი, მოეგებნენ მეფესა და თაყვანი — სცეს მთავართა მათთა რაოდენთამე თვითეულის გვარითა საკრავითა, დროშებითა და დაფებითა, და ესეთისა პატივითა... სრულიად დაღისტანი, ქვაბ-ავაზაკთა ადგილი, უვნებლად გამოვლინეს“. 11 აგვისტოს ახალაგებულ წმინდა ჯვრის სიმაგრეში ქართველთა მეფესა და ამალას ქვემეხებისა და ხელთოფების სალუტით შეეგება რუსი მენაპირე გენერალი გ. ს. კროპოტოვი.

ვახტანგს სურდა აქედან მცირე ამალით რუსეთის დედაქალაქს გამგზავრებულიყო, მაგრამ გადაიფიქრა და პეტერბურგს სასწრაფოდ ზემო ქართლის სარდალ ვ. ამილახვრის ელჩობა გაგზავნა.

12 სექტემბერს წმინდა ჯვრის სიმაგრიდან მოსკოვისკენ გაემართა ს.-ს. ორბელიანიც[3], რომელმაც მოხუცებულობის მიუხედავად, იკისრა წინდაწინ წასვლა ამალისათვის მგზავრობის პირობების მოსაგვარებლად და მოსკოვში ქართული სახლის მეთაურის დარეჯან დედოფლის მეშვეობით რუსეთის დიპლომატების გასააქტიურებლად. სამწუხაროდ, თავისი სიბრძნე და გამოცდილება მან ვერ შესძლო ბოლომდე შეეწირა დასახული მიზნისათვის. მოსკოვს ჩასული დიდტანჯვაგამოვლილი მოღვაწე 1725 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა „...სესენცკას, ბატონის არჩილ მეფის სახახლეში და იმავე საყდარს დაემარხა“...

1724 წლის 8 ნოემბერს რუსეთის სამხრეთ სანაპიროს უდიდეს ქალაქ ასტრახანში ქართველი მეფის შესვლა ზეიმად იქცა და ფართოდ გახმაურდა. აქ მყოფ სხვადასხვა სახელმწიფოს დიპლომატებსა და ვაჭრებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ქალაქის ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი ფაქტი[4].

ასტრახანში ქართველებმა მრავალმხრივი მუშაობა ჩაატარეს. განსაკუთრებით გააქტიურდნენ ქართველი სასულიერო მოღვაწენი, რომელთაც მოიწადინეს ღვთისმსახურების გაძლოლა ქალაქსა და მის შემოგარენში და მრავალ ადგილას მიაღწიეს კიდეც ამას.

მალე იოანე მანგლელმა თანამოღვაწეებით სამისიონერო საქმიანობა გააჩაღა დარუბანდსა და მის ხანაზებში. ქართველმა ეპისკოპოსმა რუსუდან დედოფლის შუამდგომლობის საფუძველზე რუსეთის ხელისუფლებისაგან მიილო საჭირო დახმარება. ამით, ახალ ვითარებაში, საფუძველი ჩაეყარა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან საქართველოს მრავალმხრივი კულტურული თანამშრომლობის წარმატებით განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიმპერატორო კარზე ვ. ამილახვრის ელჩობის შედეგად მიღწეული შეთანხმების თანახმად ვახტანგ VI მცირე ამალით (85 სული, რომელთა შორის იყვნენ მისი შვილი ბაქარი და ძმა სიმონი) 1725 წლის 25 თებერვალს ასტრახანიდან პეტრე I შესახვედრად გაემგზავრა. ქართველ მეფეს რუსი გამცილებელი და თარჯიმანი მიჰყვებოდა.

ასტრახანში დარჩა ამალის უმრავლესობა, დედოფალ რუსუდანისა და ვახუშტი ბატონიშვილის მეთაურობით.

იმდროინდელი რუსეთის ამ სამხრეთის ჰიშკრიდან გასული ქართველი მეფე და მისი წამყოლნი 9 თებერვალს ჩორნი იარში მივიდნენ. ცარიცინს მიახლოებულებმა, ასტრახანის გუბერნატორ ა. პ. ვოლონსკისაგან პეტრე I გარდაცვალების სამწუხარო ცნობა მიიღეს. ვახტანგმა ეს დოკუმენტი უმალ გააცნო თანამგზავრებს და 13 თებერვალს მგლოვიარენი შევიდნენ ცარიცინში. აქ ა. პ. ვოლინსკი ეწვია ვახტანგს ბინაზე. შემდეგ ვახტანგი ეახლა მას. შეხვედრას შავ სუდარასავით ებურა დიდი ხელმწიფის გარდაცვალების სიმძიმე[5].

15 თებერვალს ქართველი მეფე და ამალა პეტერბურგისაკენ გაემართა. 22 თებერვალს ქართველებს ნოვოხოპერის სიმაგრეში შეხვდნენ, ხოლო 24 თებერვალს ტამბოვში. 4 მარტს მგზავრები კოლომნაში შევიდნენ.

რუსეთის ძველ დედაქალაქ მოსკოვში ადრიდანვე დაექირათ სტუმრების მიღების თადარიგი: ქალაქის შუა უბანში მათთვის გაეღამაზებინათ 6 სახლი. იპერატორის საჯინიბოდან ქართველებისათვის გაიგზავნა 2 ეტლი და ორი მარხილი. 10 მარტს ქართველ მეფესა და ამალას კორტეჟით შეუძღვნენ მოსკოვში. მათ გაიარეს ქვის ხიდი, ჩაუარეს მანეჟს, გავიდნენ „ბაზრის მოედანზე“ და პოკროვკის მიმართულებით შეუხვიეს.

სამშობლოდან მომავალ ნათესავებს დიდი მღელვარებით ელოდებოდა მოსკოვში ქართველთა სახლის მეთაური დარეჯან დედოფალი. დარეჯანმა ვახტანგ მეფე და მისი მხლებლები 13 მარტს ქალაქში, თავის სასახლეში მიიწვია, ხოლო შემდეგ სვესენწკას და იქედან 6 მაისს გააცილა პეტერბურგს, სადაც 30 მაისს დიდი ზეიმით მიიღეს ქართველი მეფე[6].

მალე გაირკვა, რომ საიმპერატორო კარის ახალი მესვეურნი პეტრე პირველის აქტიურ საგარეო პოლიტიკას ვერ გააგრძელებდნენ... და რამდენი ასეთი გულდასაწყვეტი სისუსტე ახსოვს ისტორიას?!

მთავრობის წევრების წინაშე გამოსული ვახტანგ VI მომხიბლავი გეგმით ამაოდ ცდილობდა რუსეთის დიპლომატების გადარწმუნებას.

1725 წლის ივნისში ვახტანგმა რუსეთის საიმპერატორო კარისგან კავკასიაში გასატარებელ ღონისძიებებზე ღრმად არგუმენტირებული ახალი წინადადებები წარადგინა. ამ დოკუმენტის მოთხოვნები ეყრდნობოდა შექმნილ სიტუაციაში რუს დიპლომატთა აღმოსავლეთო პოლიტიკის დედახაზს და თანაც, საიმპერატორო კარის გააქტიურების მიზნით, მას ერთვოდა თურქთა ბატონობით შეწუხებულ ქართველ და სომეხ მოღვაწეთა ადგილებიდან გამოგზავნილი წერილები დახმარების აღმოჩენის თხოვნით[7].

მოლაპარაკება გაგრძელდა.

ირანში სპეციალური მისიით წასვლა თვით ვახტანგ მეფეს შესთავაზეს.

კასპიისპირეთში გამგზავრების წინ ქართველთა მეფემ, რუსეთში ფეხის მოხაკიდებლად, გადაწყვიტა ალექსანდრესა და არჩილის ქონების მემკვიდრედ თავის აღიარება, არჩილისაგან რუსეთის ხელმწიფისადმი გადაცემული „უფლის სამსჭვალის“ დაბრუნება, საიმპერატორო კარზე უმცროსი ვაჟის გიორგი ბატონიშვილის აღზრდა და სხვ.

იმპერატორი ეკატერინე პირველი დათანხმდა ამ წინადადებებზე და ვახტანგ მეფე ანდრია პირველწოდებულის ორდენითაც დაჯილდოვდა. ამასთან, საიმპერატორო კარმა იზრუნა რუსეთში მისული ქართველების ეკონომიკური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. ამ საკითხის მოგვარების გზებზე ჯერ კიდევ პეტრე I მიუთითა. 1724 წლის 22 დეკემბერს იმპერატორმა ბრძანა: ქართველ საერო პირებს ხელფასი მისცემოდათ საგარეო კოლეგიიდან, ხოლო სასულიეროებს—სინოდიდან.

აქედან გამოდიოდა ეკატერინე პირველი, როდესაც, 1725 წლის 17 აგვისტოს ხელს აწერდა ბრძანებულებას, რომლითაც ქართველი მეფის სახლსა და მათ მხლებლებზე საპატრიარქო მამულების შემოსავლიდან ყოველწლიურად უნდა გადაცემულიყო 24 ათასი მანეთი, 16 ტონა პურის ფქვილი, 8 ტონა შვრია, 86 ათასი ფუთი თივა (ორასი ცხენისათვის, თითოეულზე 180 ფუთი) და 500 საჟენი შეშა.

შემდეგ ეს თანხა და საზრდო ქართველი მეფის ამალის თითოეულ წევრზე განაწილდა და გადაკვეთილი ულუფა დიდ დავთარში ჩაიწერა.

ქართველ სასულიერო მოღვაწეთათვის ხელფასის ფონდი, 2 ათასი მანეთის რაოდენობით, შეიქმნა სალაზარეთო თანხის ნაზევრისა და ქორწინების შემოსავლიდან[8].

გადაწყდა ქართველი მეფის ამალის მოსკოვს მიწვევა და იქ მათთვის საცხოვრებლად ეპარქიების მეტოქთა გადაცემა.

ამასთან დაკავშირებით დიდი მიმოწერა გაიმართა.

ვორონეჟისა და ტვერის არქიეპისკოპოსები დაყინებით ასაბუთებდნენ მოსკოვში არსებულ თავიანთ მეტოქთა საჭიროებას და ხელშეუხებლობას ითხოვდნენ. კოლომენსკის ეპისკოპოსი კი წერდა, რომ მისი მეტოქი ხის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებობაა და ქართველები სხვა, ქვისაგან ნაშენ მეტოქებში შეეყვანათ.

სენატის დადგენილებით ხელშეუხებლად მხოლოდ სინოდის წევრთა სახლები გამოცხადდა და მიეთითა კოლომენსკის, რიაზანის, სუზრდალის და სხვა ეპარქიათა მეტოქების მომზადება, აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა უბანში არსებულ სხვა სახლების დაჯავშნა.[9]

ასტრახანიდან ქართველების მოსკოვს წამოსაყვანად გაიგზავნა ა. ლოპუხინი. ამ რუსმა მოხელემ 1725 წლის 14 ნოემბერს ინახულა დედოფალი რუსუდანი. შედგა წამსვლელთა სია, რომელიც ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიაში ვახუშტიმ წარადგინა. ამ ნაკადზე მიემგზავრებოდა 370 სული (რჩებოდა 722); ისინი ქალაქიდან 1726 წლის 30 იანვარს გავიდნენ.

9 მარტს ქართველი დედოფალი მხლებლებითურთ მოსკოვს ჩავიდა. მალე დედოფალმა რუსუდანმა დონის მონასტერში დაკრძალული არჩილი და მისი ოჯახი დაიტირა...

ასტრახანში დარჩენილები, რამდენიმე სასულიერო მოღვაწის გარდა, თანდათანობით შეუერთდნენ მოსკოვის ამალას.

მთლიანად რუსეთში ქართველთა სამეფო სახლიდან 23 ადამიანი მივიდა (12 კაცი, 11 ქალი), მათი კარისმდეგნი და მოხამსახურენი — 488 (420 კაცი, 68 ქალი); სამხედრონი 13 იყვნენ, ხოლო მათი ოჯახები 17 სულს ითვლიდა (8 მამაკაცი და 9 ქალი); სამხედროებთან ირიცხებოდა 140 კაცი და 39 ქალი, ხოლო მათ ოჯახებთან ერთად კიდევ 12 კაცი და 28 ქალი. ამათ გარდა, 386 სხვადასხვა მოხელე, მსახური თუ შინაყმა იყო. სასულიეროებს მთლიანად 42 ითვლიდნენ (38 კაცი და 4 ქალი), ხოლო მათ 98 მსახური ახლდათ. მთლიანად ქართველი მეფის ამალაში 1.286 სრულასაკოვანი ადამიანი შედიოდა (1086 მამაკაცი და 200 ქალი).

ამოდენა ხალხის დასაბინავებლად, ირკვევა, რომ მეტოქები საკმარისი არ აღმოჩენილა და ქართველთა ნაწილი ქალაქის სხვადასხვა უბანში წარჩინებულთა, საერო მოხელეთა, სამხედროთა და ვაჭართა ბინებშიც ჩაუსახლებიათ.

ქალაქის შუა („კიტაი“) ნაწილში ქართველებისათვის გადაუციათ 13 სახლი. ვახუშტი ბატონიშვილისათვის (ოჯახითა და მსახურებით) ამ უბანში მიუციათ სუფრაჯ ი. მ. კოლოგრივოვის სახლის 11 ოთახი, შემდეგ მისთვის გამოუყვიათ ექიმის სახლი, მაგრამ ბატონიშვილი პოლკოვნიკ მ. ცოლინსკისას გადასულა.

ქართველ სასულიერო მოღვაწეთაგან ქრისტეფორე სამთავნელი პირველად „ღვთის გამოცხადების“ მონასტერში დაუყენებიათ, ხოლო პავლე თბილელი — „სასწაულთმოქმედისაში“. შემდეგ ქრისტეფორე, როგორც ქართველთა ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი, გამორჩეულად, თეოფანე პროკოპოვიჩის წინადადებით, შუა უბანში, ამავე [illegible] სახლში გადაუყვანიათ. ქალაქის ამავე უბანში ქართველ სასულიერო მოღვაწეებსა და თავადაზნაურებს საცხოვრებლად მიუჩინეს „ვოლოცკის“, ვორონეჟის არქიელთა, ჭვრის, „კოლოზინის“, „აღდგომის“, მონასტრებისა და ვაჭართა სახლები.

„თეთრ ქალაქში“, ლუბიანკაზე, რიაზანის ეპარქიის ყოფილი მეტოქი მეფის ოჯახს გადასცეს, ხოლო მეფის ძმა სიმონი — წარჩინებულ პ. ვ. პროზოროვსკის სახლში დაუბინავებიათ.

ამავე უბანში ცხოვრობდნენ: ვ. ამილახვარი, დ. წულუკიძე, ზ. რატიშვილი და სხვ.

„მიწის ქალაქში“ ცხოვრობდნენ თავადები: ზ; გედევანიშვილი, ლ. თურქისტანიშვილი, ი. ბარათაშვილი და სხვები.

ამავე უბანში ქართველთა 11 ოჯახი დაბინავდა, მათ შორის „ქართველ გიორგის“ პოლკოვნიკ ვ. სუვოროვის სახლში ხუთი ოთახი ეჭირა.

1730 წლის მარტისათვის ვახტანგის ამალის წევრებს მოსკოვის სხვადასხვა უბანში დაკავებული ჰქონდათ 39 სახლის 271 ოთახი[10].

გაფანტულად დასახლება, დროებით საცხოვრებლად გადაცემული ბინები ვერ უქმნიდა ქართველებს შემოქმედებითი ცხოვრების პირობებს.

საჭირო იყო მდგომარეობის გარდაქმნა. ამისათვის ისინი თანმიმდევრულად ილვწოდნენ.

1727 წლის 20 აგვისტოს დედოფალმა დარეჯანმა მემკვიდრედ ბაქარის დამტკიცება ითხოვა (იმ მამულებზე, რაც მას ძმისშვილს სოფიოზე განაწილების შემდეგ დარჩა).[11]

რუსეთის ხელისუფლება ქართველთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ერთხანს შესყიდულ სახლებში მათი გადაყვანით ფიქრობდა. თვალი დაადგეს ზნამენსკის ქუჩაზე არსებულ წარჩინებულ ტიხონ და ივანე სტრეშნევების სახლს, რომელიც 1726 წლის შემოდგომაზე 7 ათას მანეთად შეფასდა. შემდეგ ქართველებისათვის საცხოვრებლის შეძენის ასეთი გზა უარყვეს.

ახალი იმპერატორი — პეტრე II ქართველ მეფეს მოსკოვის ერთ-ერთ მშვენიერ უბანს, პრესნიას შეჰპირდა.

ბორცვებიანი პრესნია მოსკოვის ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. ადრე იგი მთავრის მამული უნდა ყოფილიყო. მე-15 საუკუნეშიაც პრესნია მთავარ დიმიტრი დონელის ბიძაშვილს, სერპუხოველ ვლადიმირს ეჭირა. ვლადიმირის გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა ეს ადგილი ნოვინსკის მონასტერს შესწირა. 1649 წელს ნოვინსკის მონასტრის ვრცელი მამულის დიდი ნაწილი სასახლემ ჩაიგდო ხელთ. ხელმწიფე თედორე ალექსის ძის დროს მდ. პრესნიას აღმოსავლეთით, უბნის ჩრდილო ნაწილში, სამეფო სოფელი ვოსკრესენკოე გაშენდა. 1681 წლიდან ამავე მიდამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ერთ ნაწილს ეუფლება პატრიარქიც. პრესნიას ერთ მხარეს გაშენებული იყო ბაღი, ახლანდელი ზოოპარკის ადგილას იყო სამეფო სანადირო („სამხეცე"), დარჩენილი ნაწილი ეჭირა მებაღეების, მეთევზეებისა და სხვათა სახლებს, სახეირნო ადგილებს, სახნავ-სათესსა და საძოვრებს.

1729 წელს ვახტანგ მეფის ამალის მოსკოვს დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა.

30 ნოემბერს ქართველი მეფის უფროსი ვაჟი ბაქარი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტის ხარისხში აამაღლეს და დარეჯან დედოფლის მემკვიდრედ დაამტკიცეს.

19 დეკემბრის ბრძანებულებით იმპერატორმა პეტრე II ვახტანგ მე-6 უბოძა პრესნიაზე არსებული სასახლე და ბაღი[12], ხოლო მისი ამალის წევრებს იქვე დასასახლებლად გადაეცათ ვრცელი ადგილი. იმ მიდამოებში მშენებლობის გასაშლელად და სასახლის შესაკეთებლად გამოიყო 10 ათასი მანეთი.

პრესნიაზე ქართველთა დასახლების წინაპირობები, რუსული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, დიდი სიღრმით აქვს გარკვეული იქვე მოსახლე ქართველ ისტორიკოსს ვ. ბაგრატიონს.

ვ. ბაგრატიონმა მიუთითა, რომ პრესნიაზე არსებული (ს. ვოსკრესენსკოეში) ის სასახლე და ბაღი, რომელიც 1729 წელს ქართველი მეფის საკუთრება გახდა, 1710 წლამდე სახაზო იყო. იმ წელს ხელმწიფემ აღნიშნული სასახლე ბაღითაა და მებაღეებით რიაზანის მიტროპოლიტს — სტეფანეს (იავორსკის) უწყალობა. აღნიშნულ ქონებას მიტროპოლიტი გარდაცვალებამდე ფლობდა. 1723 წლის 6 მარტის ბრძანებულებით პეტრე I სასახლე, ბაღი და ტბა უბოძა დიდი ნოვგოროდის არქიეპისკოპოს თეოდოსის, რაც 1724 წლის 19 მაისს სპეციალური სიგელით განმტკიცდა.

არქიეპისკოპოს თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ იგივე სასახლე ნოვინსკის მონასტერს გადაეცა, ხოლო პეტრე II ზემოაღნიშნული ბრძანებულებით სასახლე და ბაღი ვახტანგ VI უბოძა. ახლო-მახლო ადგილებში, იქვე, უნდა დასახლებულიყო ქართველი მეფის ამალაც.

ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი იყო მოსკოვის ქართველთა ახალშენის ისტორიაში, რადგან ვახტანგ VI საბოლოოდ მოიპოვა ქართველთა კომპაქტური დასახლების უფლება და მიიღო მამულიც.

ასე ჩაეყარა საფუძველი ორნახევარი საუკუნის წინათ ქართველთა ახალ საცხოვრისს მოსკოვის იმავე მხარეში, სადაც ჩვენმა თანამემამულეებმა XVII საუკუნის 90-იან წლებში მიიღეს სამკვიდრო სოფელი.

ამ აქტს უნდა მოჰყოლოდა ქართველთა იდეური ცენტრის შექმნა, ურთიერთმეზობლურ ცხოვრებას გავლენა უნდა მოეხდინა ეროვნულ-კულტურული შეგნება-საქმიანობის [illegible]ცება-გაფართოებაზე.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან პრესნიას მიდამოებში სხვადასხვა წოდებების ხალხთა დასახლება გახშირდა.

ამ ადგილებში ქართველებს საცხოვრებლად გადაეცათ ტბის (ძველი გზის) ზედა ნაწილი, უმთავრესად დაუსახლებელი ადგილი.

1730 წლის გაზაფხულიდან დასახლებული უბანი დაიყო ნაწილებად („ხაზებად"). მშენებლობა დაიწყო ქართველი მეფის სასახლის ახლოს, ხევს იქით, მებაღეებით დასახლებულ უბანში. შემდეგ საამშენებლო სამუშაოები ფართოდ გაიშალა ქართველების დასამკვიდრებლად გათვალისწინებულ მთელს სივრცეზე. კარ-მიდამოები შენდებოდა საგვარეულო სახლების მიხედვით. ბატონიშვილი ოჯახით, მისი ოჯახიანი და უცოლო მსახურები. მახლობლად ეწყობოდნენ თავადები, თავისივე მსახურებით და ა. შ.

თვითეულ სახლს მიწის ნაკვეთი წარჩინებისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით ეძლეოდა. ასევე ნათესაობისა და წარჩინების მიხედვით შეარჩიეს დასასახლებელი ადგილები. ქართველი მეფის სასახლის ახლოს დამკვიდრდნენ ბატონიშვილები.

ეზოსა და სახლის მშენებლობისათვის ყველაზე დიდი ფართობი (50X50 საჟენი) ბაქარს ერგო. სიდიდით ბაქარის ნაკვეთს ცოტათი ჩამორჩებოდა სიმონ და გიორგი ბატონიშვილების ეზოები (40X40 საჟენი), ხოლო ვახუშტი ბატონიშვილისა უფრო პატარა კარმიდამო იყო (30X30 საჟენი). ვახუშტის ეზოს ოდენა ფართობები მიიღეს დავითმა, ათანასემ, მონაზონმა ნინომ.

ქართველი მეფის მოხელეებს, გამოჩენილ თავადებს: სარდალ ც. ამილახვარს, სახლთუხუცეს დ. ორბელიანს, სარდალ ფარსადანს, ჩოლოყაშვილს, ჯავახიშვილს, ერისთავს, აგრეთვე, ქაიხოსრო გურიელს ერთნაირი ზომის ნაკვეთები (25X25 საჟ.) ერგოთ. კარმიდამოს უმცირესი ზომა (3.25 საჟენი) დაწესდა ცოლიანი მსახურებისათვის.

შემორჩენილია ქარველთა ამ საცხოვრისზე ნაკვეთების განაწილების დოკუმენტი, რაც წარმოდგენას გვიქმნის აქ მოწყობილი დასახლების ტიპზე, მოსახლეობის სოციალურ (ქონებრივ) მდგომარეობაზე და სხვ[13].

1730 წელსვე ქართველებზე გადაცემული უბნის პირველ ნაწილში სახლი აიშენა 27 ოჯახმა, რომელთაც ნაკვეთებად მიიღეს 252 კვ საჟენი ფართობი. ამავე უბნის მეორე ნაწილში დასახლდა 13 ოჯახი, რომელთაც 155 კვ საჟენი მიუზომეს, მესამე ქუჩაზე მოეწყო 5 ოჯახი, მათ 58 კვ საჟენი ნაკვეთები გადაეცათ. უბნის მეოთხე ნაწილში დამკვიდრდა 21 ოჯახი, რომელთაც მიიღეს 119 კვ საჟენი ფართობი. დასახლების მეხუთე ქუჩაზე 12 ოჯა-

ხი მოეწყო, მათ 186 კვ საჟენი ნაკვეთები უწყალობეს.

მთლიანად დასახლების ამ ხუთი ქუჩის 768 კვ საჟენ ფართობზე 78 ოჯახი განაწილდა.

ამავე წელს ქართველი მეფის სახლს დამატებით გადაეცა 270 კვ საჟენი ნაკვეთი ბალბოისტნისათვის. ვახტანგ მე-6 უბოძეს აგრეთვე თავად ი. ლ. დოლგორუკოვის სასახლე...

ქართველი მეფის ამალიდან კიდევ დაუსახლებელი იყო 46 ოჯახი, რომელთაც 488 კვ. საჟენი ფართობი სჭირდებოდათ ეზოებისათვის და საძოვარი ცხენებისა და ნახირისათვის.

ქართველთა მოთხოვნით ხელისუფლებამ გაადიდა დასახლებაზე გადაცემული საძოვრის ფართობი.

ამრიგად, მე-18 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში მეჩხრად დასახლებულ და დაუსახლებელ პრესნიას ვრცელ კუთხეში ჩამოყალიბდა ქართველთა მძლავრი ახალშენი, რომელსაც, მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, „გრუზინი" ეწოდა.

„გრუზინი" მოსკოვში ქართველთა მეორე დასახლება იყო, მე-17 საუკუნის 90-იან წლებში აქ წარმოქმნილი ქართველთა ახალშენის („მონადირეთა ბაზარი") შემდეგ — პირველზე გაცილებით მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი. ამასთან, „გრუზინი" თითქმის ქართველების ძველ დასახლებათა შორის, შუა ადგილას, წარმოიქმნა და ასეთი ცენტრალური მდებარეობით „გრუზინიმ" მოსკოვის ქართული ახალშენი ბუნებრივად ადრევე გააერთიანა. კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით პრესნიას ქართველთა დასახლება წარმოქმნიდანვე გახდა ცენტრი, რადგან თანდათანობით აქ თავი მოიყარა იმდროინდელი საქართველოს განათლებული საზოგადოების ნაღებმა.

პრესნიაზე ქართველი მეფის სახლი ქართული სასახლის რიგზე მოეწყო, მეფესთან ერთად ემიგრაციაში მყოფი მოხელეებით.

ვახტანგ VI ძირითადად შეინარჩუნა ქართული საერო და სასულიერო თანამდებობის აღმასრულებელნი. ამასთან, უცხოეთში ყოფნასთან დაკავშირებით, ცნობილ ქართულ სახელისუფლო ინსტიტუტებს სპეციალურად დაემატა რუსული.

საერო ხელისუფალთაგან ქართველ მეფესთან მოსკოვში ვხედავთ სარდლებს — ვ. ამილახვარს, ფარსადანს, საჭურველთა საქმის გამგეს დ. გურამიშვილს, ამილახორს და მეჯინიბეთა მთელ შტატს.

სასახლის კირხმდეგ მოხელეებს: სახლთუხუცესს დ. ორბელიანს, მდივან-მწიგნობარ მ. კავკასიძეს, მდივან ოთარს, შინამოსამსახურეებს და სხვ.

რუსეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით მგზავრობაში ქართველ მეფეს ახლდნენ გამცილებელი და თარჯიმანი. შემდეგ ვახტანგ VI კომისარი და რამდენიმე რუსი მდივანი დაუნიშნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო საქმეებს ჯერ პავლე თბილელი უძღვებოდა, ხოლო შემდეგ ნიკოლოზ თბილელი და ქრ. სამთავნელიც. საეკლესიო მეთაურებს ცალ-ცალკე მოხელეთა მთელი შტატი ჰყავდათ.

კარის სამოხელეო რიგი დაცული იყო ქართველ დედოფალთან, ბატონიშვილებთან და მეტნაკლებად სათავადო სახლებშიც.

პრესნიაზე ქართველთა დასახლებაში ყველაზე შესამჩნევი იყო საერთო იდეური ცხოვრების მოუწყობლობა.

ქართველი საეკლესიო მოღვაწენი ადრევე ჩაირიცხნენ სინოდის შტატში და სამსახურები მოსკოვისა და სხვა ქალაქების ეკლესია-მონასტრებში მიიღეს.

საერთო სალოცავის უქონლობის გამო, წმინდა ნინოს ცნობილი ჯვარი და სხვა რელიკვიები ქართველი მეფის სასახლეში იყო დაცული. ვახტანგ VI და ბატონიშვილებმა კარის ეკლესიები მოაწყვეს, მაგრამ ქართული დასახლების უმრავლესობა ამის შესაძლებლობას მოკლებული იყო. არც რუსული ტაძრები მდებარეობდა ახლოს.

ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძის დროს პრესნიაზე აშენებული ხის ეკლესია ხანძარს შთაენთქა.

„გრუზინის" დასახლებაში მცხოვრები ქართველები ღვთისმსახურებისათვის იყენებდნენ მახლობელ სალოცავებს. უმთავრესად „კოზიე ბოლოტოში" და „პრესნას იქით, „კუდრინში" არსებულთ. მიცვალებულებსაც ქართველები (დაბალი სოციალური წრისანი) იმავე საყდრებში ასაფლავებდნენ.

უკეთეს პირობებში, ჩანს, არც ქართველებთან ერთად წამოსული სომხები იყვნენ, რადგან სომხური სალოცავი ამ დროს პრესნიაზე არ იყო. ვახტანგ VI ამალაში მყოფ სომეხთაგან საკმაოდ დიდი საკარმიდამო ნაზირმა ოსეფამ მიიღო. ირკვევა, რომ ოსეფას ის ნაკვეთი სომხებისათვის საყდრის ასაშენებლად დაუთმია და სალოცავის აგების ნებართვა ქართველი მეფისათვის უთხოვნიათ.

ვახტანგ VI 1731 წლის ივნისში პრესნიაზე მცხოვრებ სომხებისათვის სალოცავის აშენების უფლება სპეციალური წიგნით დაუმტკიცებია. „საქართველოს მეფემან ვახტანგ, — ნათქვამია დოკუმენტში, — ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, რანიც სომეხნი უფროსნი და უმცროსნი გვახლავხართ. ნაზირის ოსეფასათვის სახლის ალაგი ხელმწიფის მოცემული პრესნიას თავის წილათ რომ ვუბოძეთ: განი საჟენი თექვსმეტი და სიგრძე ოცდახუთი, ნაზირმა ოსეფამ თავისის ნებით ის ადგილი საყდრის ალაგათ თქვენ მოგცათ. ჩვენც თქვენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია თქვენთვის, საყდარი აიშენეთ!"

იმ ადგილას სომხებმა შესანიშნავი შენობა ააგეს და შიგ სალოცავიც გამართეს, რითაც საფუძველი მოუმზადეს შემდეგში ლაზარე-

ვის ცნობილ საქველმოქმედო დაწესებულებების დაარსებას.

1734 წელს პრესნიაზე, ქართველთა დასახლებაში, ეკლესიის გამართვა მოიწადინა იქ მცხოვრებმა რომანოზ მიტროპოლიტმა. პირველად ეს ქართველი მოღვაწე ფიქრობდა დროებითი ეკლესიის მოწყობას წმიდა ხაბას სახელზე, თავისავე სასახლეში.

სინოდისადმი წარდგენილ დოკუმენტში რომანოზი აღნიშნავს ქალაქის ცენტრიდან მის დაშორებულ ცხოვრებას და მიუთითებს უოველდღიურად ხელდასახხმელად მასთან გაგზავნილ დიაკვნების, მღვდლების მიღებაზე. იმისათვის, რომ მიტროპოლიტი ყოველდღე ქალაქის ცენტრში არ მისულიყო აღნიშნული სასულიერო პირების ხელდასასხმელად, თავისავე სასახლეში ააშენა და მოაწყო ხის ეკლესია. 1734 წელს ქართველი მიტროპოლიტი სინოდისგან ითხოვდა ამ ეკლესიის აღიარებას (კურთხევას).

ჩანს, „გრუზინიში" ქართველთა სასახლეებში არსებულმა ეკლესიებმა, საწესჩვეულებო საქმეებზე ქართველ მღვდელთა შინ (გამოძახებით) მომსახურებამ და ზოგიერთმა სხვა პირობებმა გაახანგრძლივეს ახალშენისათვის საერთო საყდრის აშენების დრო.

გვიან, 1749 წლის ოქტომბერში, გიორგი ბატონიშვილმა ოფიციალურად ითხოვა პრესნიაზე მთავარმოწამე წმიდა გიორგის სახელობაზე ეკლესიის აშენებისა და სამღვდელთმსახურო ინვენტარით გაწყობის ნებართვა, საყდრის ასაშენებლად შეარჩიეს ის მოედანი (37X70 საჟენი), სადაც ადრე, XVII საუკუნეში, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სალოცავი იყო.

სასულიერო უწყებამ ქართველ ბატონიშვილს საყდრის საკურთხევლით აშენების ნება დართო და მიუთითა, რომ ხატების შესრულებაში უცხოური (კათოლიკური) გავლენა არ გაპარულიყო. ამასთან, დაუწესა ხატების სავალდებულო ზომები (სიმაღლე არშინი და 6 გოჯი, სიგრძე — არშინი და 8 გოჯი, ხოლო სიგანე ოთხი გოჯი).

1750 წლის 8 აპრილს შემოწმდა „გრუზინიში", პრესნიაზე, მთავარმოწამის წმინდა გიორგის ეკლესია (ხის), მოიწონეს შენობის მოხატულობა, მისი სამღვდელმსახურო ინვენტარი (ხატები, ჰურჭლები, ძვირფასი (შვაბური) ქსოვილები, ჰედურ ყდებში (მოოქროვილ-მოვერცხლილი) ჩასმულ წიგნები, სამსხვერპლო და სხვ.).

4 აპრილს გიორგი ბატონიშვილმა სინოდს მიმართა, რომ ქართველთა ეს საყდარი 23 აპრილს (წმინდა მთავარმოწამე გიორგის დღეს) ეკურთხებინა უწმინდეს ქართველ არქიეპისკოპოსს იოსებს.

ქართველმა ბატონიშვილმა ახალი ეკლესიის მღვდლად შეარჩია დიმიტრი. დაუნიშნა მას დიაკვანი, კანდელაკი და თითოეულს წლიური ხელფასიც გაუჩინა: მღვდელს 12 მანეთი, ხოლო დანარჩენთ ხუთ-ხუთი მანეთი.

სამი წლის შემდეგ ქართველთა ეკლესიაში მღვდლად რუსი ვასილი გაამწესეს, მაგრამ ქართველი მღვდლები — ივანე, ონისიმე და სხვები — საერთო საყდრის გვერდის ავლით, თანამემამულეებს ძველებურად ოჯახებში უნათლავდნენ ბავშვებს.

1760 წელს გიორგი ბატონიშვილმავე ქრისტეს სახელზე ეკვდერი ააშენებინა. შემდეგ ქართველთა საყდარს ხანძარი გაუჩნდა, მაგრამ მოსახლეობამ შესძლო თითქმის მთელი სამღვდელმსახურო ინვენტარის გადარჩენა და ოჯახებსა და საყდრებში შენახვა. შემორჩენილია იმ ნივთების სია, რაც ქართველებმა კუდრინზე „პოკროვკის" საყდრის წინამძღვარს მიაბარეს.

ყურადღებას იქცევს ქართველთა სალოცავის ნაირფეროვანი სიმდიდრე, რაც პატარა საყდარს კი არა, მონასტერსაც დაამშვენებდა.

ძვირფას საეკლესიო ინვენტართან ერთად (ნაირ-ნაირი სამღვდელმსახურო ტანსაცმელი, ჰურჭლეულობა, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატები (მთავარმოწამე წმ. გიორგის, ღვთისმშობლის, იოანე ღვთისმეტყველის, წმ. ნიკოლოზისა და დიმიტრის, კიპარისის დაფაზე შესრულებული ათორმეტი დღესასწაულისა, ზარები, ჯვრები), განცვიფრებაში მოგვყავართ ქართველთა საყდრის ძვირფას წიგნთა სიმდიდრეს. ამ პატარა სალოცავისათვის ქართველებს შეუწირავთ: წითელი ხავერდით შემკული, მოვერცხლილ-მოოქროვილი ყდით შემოსილი ოთხთავი (სხვადასხვა ფორმატის ხუთი წიგნი). მოვერცხლილ-მოოქროვილი ყდით შემოსილი სამი ნაბეჭდი სახარება, საეკლესიო ისტორია, თვენი, ნაბეჭდი სამოციქულო, მარხვანი, ორი „ოქტოიხი", ორი პროლოგი, ტესტამენტი, ექვსი ეგზემპლარი სანოტო წიგნი და სხვ.

ეს იმ დროის მთელი ბიბლიოთეკაა. საგულისხმოა, რომ ქართული საყდრის ქონების აღწერის აღნიშნულ დოკუმენტში[14] დასახელებულია ისეთი ქართული ნაბეჭდი წიგნებიც, რომელთა არსებობა დღემდე უცნობია ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიაში.

რამდენიმე წლის შემდეგ მოხერხდა ქართველთა უბანში იმავე წმ. მთავარმოწამე გიორგის სახელობის ქვის ეკლესიის აშენება, რომელიც გადაკეთებულ-შემატებული დღესაც დგას ამ უბანში, ქართველთა აქ ცხოვრების ერთ-ერთ მეტყველ ნივთიერ ძეგლად.

ქართველთა უბანს პრესნიაზე — „გრუზინის" ჯერ კიდევ 1734 წელს, ვახტანგ VI ასტრახანს დასახლებით, მოაკლდა მცხოვრებთა ერთი ნაწილი. თვალსაჩინოდ შეთხელებული ამ დასახლებიდან 1738 წლის გაზაფხულზე, ქართული ჰუსარების პოლკის ჩამოყალიბებისას რუსეთის არმიის ამ სა-

მხედრო ერთეულში ჩაეწერნენ პრესნიაზე მცხოვრები რჩეული ქართველი ახალგაზრდები: დ. გურამიშვილი, დ. შალიკაშვილი, ნ. ბარათაშვილი, გერასიმე და შ. ჯავახიშვილები, ქ. გურიელი და მრავალი სხვა.

1738 წლის 15 მაისის სენატის დადგენილებით რუსეთის სამხედრო სამსახურში შესულ ქართველებს ნება დაერთოთ გაეყიდათ პრესნიაზე აშენებული თავიანთი სახლები[16].

სწრაფად, ჩალის ფასად, ქართველთა გაყიდულ კარ-მიდამოების დიდ ნაწილს არაქართველები დაეპატრონენ და ქართული დასახლების შექმნიდან პირველი ათწლეულის გასვლამდე „გრუზინის" ეროვნული სიჭრელე დაეტყო.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ (1737 წ.), რუსეთში დარჩენილმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა გული როდი გაიტეხეს მომავლისათვის ბრძოლაში.

ბაქარის მეთაურობით მოსკოვის ქართველთა ახალშენში მრავალმხრივი მუშაობა გაიშალა დიდ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ბაქარის მითითებით, იოსებ სამებელის დახმა მოსკოვში შექმნა დამოუკიდებელი ქართული სტამბა, სადაც ქართული წიგნების გამოცემა განაახლეს. უმოკლეს დროში, მოსკოველ ქართველთა დაძაბული შრომით, ამ ქალაქში დაიბეჭდა ფეოდალური ქართული კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი და ქართული კულტურის ერთ-ერთი ხვეტთაგანი — „დაბადება". ბაქარმა თავის სასახლეში დადგა საჭვრეტი აპარატურები და მე-18 საუკუნის 30-იან წლებში, რუსეთში ერთ-ერთმა პირველმა საფუძველი დაუდო მცირე (შინა) ობსერვატორიას. ქართველები ხარბად დაეწაფნენ განათლებას. მრავალი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა აკადემიასა და უნივერსიტეტში, გიმნაზიებში, სამხედრო სასწავლებლებში...

რუსეთში, მეცნიერების სწრაფად განვითარების იმ ეპოქაში, მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართველოლოგიის მრავალ დარგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა დასახლებაში, პრესნიაზე, შექმნა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა უკვდავი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", აქ მოხაზა მან სამშობლო ქვეყნის ის რუკები, რომელმაც მის კარტოგრაფიულ მოღვაწეობას ფართოდ გაუთქვა სახელი. აქვე შეადგინა დ. ციციშვილმა „გეოდეზიის" შესანიშნავი სახელმძღვანელო და ა. შ.

პრესნიაზე შეიქმნა ქართული მხატვრული ორიგინალური თხზულებები, აქვე რუსული და ევროპული ენებიდან ქართულად ათარგმნა მრავალი სასარგებლო წიგნი.

პრესნიაზე მცხოვრები ქართველების პირველი თაობა, ასე მრავალმხრივ რომ ილვწოდა, სამშობლოში დაბრუნების იმედს როდი ჰკარგავდა.

მოვლენათა განვითარების შედეგად ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ჩარჩა რუსეთში. მათ თავი გამოიჩინეს ამ დიდი ქვეყნის სამხედრო, სამეცნიერო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სარბიელზე. მოსკოვში მოღვაწე ქართველებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს რუსეთ-საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებაში.

დღეს წითელ პრესნიაზე ქართველთა იქ ცხოვრების კვალს პირველად მიგვანიშნებს ქუჩათა სახელწოდებები: „ბოლშაია გრუზინსკაია", „მალაია გრუზინსკაია", „გრუზინსკი პერეულოკ" და სხვ. ამ ტოპონიმების შუქზე ხომ ქალარა წარსული მოსჩანს. ეს არის ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის შეუდრეკლად ბრძოლის, განსაცვიფრებელი შემოქმედებითი ნაყოფიერების სახელოვანი ურთიერთობა-თანამშრომლობის ისტორია, რომლის სრულყოფილად აღდგენა-შესწავლა და გათვალისწინება შთამომავლობამ ჩვენი ეპოქის მესვეურთ უანდერძა.

შენიშვნები:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 482.

2. დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1968, გვ. 43.

3. რსპა, ფ. 110, 1724 წ. საქმე 8, ფ. 1, ს. ყუბანეიშვილი. ს.-ს. ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში. ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1958 გვ. 69.

[4] Дневные записи Якова Марковича, მ., 1859, ნაწ. I, გვ. 188.

[5] რსპა. ფონდი 110, 1725 წ., საქმე № 1, ფურც. 255; Г. Г. Паичадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, 1970, გვ. 94.

6. რსპა 6. რსპა ფ. 110, 1725 წ. საქმე, I ფურც. 98, საქმე II, ფურც. 258. დ. ბრეგაძე, ვახტანგ მეექვსე ,ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, 1965, გვ. 215-217.

7. რსპა, ფ. 110, 1725 წ., საქმე 1, ნაწ II, ფურც. 463.

[8] Полное собрание постановлений и распоряжений по ведомству православного исповедания Российской империи, ტ. VI, 1889, გვ. 190.

9. სსრკ ცსა, ფ. 10796, საქმე 272, ფურც. 25-30.

10. რსპა, ფ. 110, 1728, წ. საქმე 4, ფურც. 20.

11. ძსცა, ფ. 243, წიგნი 1447, ფურც. 1087.

12. მეფე ვახტანგისათვის გადაცემული ეზო, სიგრძით 302, ხოლო სიგანით 135 საჟენი იყო. ბაღი სიგრძით 365, ხოლო სიგანით 255 საჟენი. იყო.

13. ნაკვეთების განაწილების საბუთში წერია, რომ თავად სულხანს 22X25, საჟენი მიწის ნაკვეთი მისცეს, თავად ფარსადანს ერგო 20X25 საჟენი, მონაზონ დომნას 20X20 საჟენი, ხოლო თავადებს: მელქისედეგს, ზურაბს, ბექანს, ზაალს, ალექსანდრეს, ედიშერს, პაპუნას, მაჩაბელს 16X25 საჟენი თითოეულს. 12X25 საჟენი ფართობი უწყალობეს: მიხეილს, დიმიტრის, იესეხას, როსებს, ზაალს, ზურაბს, მერაბს მამუკას, იოსებს, რომანს, ურთურს, პაპუნას, თ. ჯომარჯიძეს, თურმანიძეს, ცხმელიძეს, ყარიევს, რავრი იბრაზის, აბელს, გიორგის; თავადმა დიმიტრიმ 10X25 საჟენი ფართობის ეზო მიიღო, ხოლო 9X25 საჟენის სიდიდისა — თავადებმა: სარიდანმა, მამუკამ, ბექანმა, ბაადურ თურქისტანიშვილმა, მირველმა, გიორგიმ, ვახტანგმა, სიმონმა, ფხეიძემ, გერასიმემ, ფრანგისტანმა, ზაალმა, გერათმა, შიოშმა, ნიკოლოზმა, ჯანოვმა(?), ოტიამ, თომამ, დიმიტრიმ, დავითმა, მღვთისამ, ყარაბუდახოვმა, მეფის მდივანმა მელქისედეგ კავკასიძემ; დეკანოზმა გიორგი გარსევანიშვილმა;

აზნაურთა ერთ ნაწილს: ადიშს, პაატას 7X25 საჟენის ფართობი ერგოთ, ხოლო სხვებს: ზურაბს, იოთამს, თამაზს, შერმადინს, ივანეს, დურმიშხან თურქისტანიშვილს, ხმალაძეს, ავთანდილს, იესეს, დიაკონ გაბრიელ გარსევანიშვილს, ივანეს, გრიგოლს, მისეილს, ბაადურს, ვარაზს, მღვდელ ფილიპე სიმონგულაშვილს 6X25 საჟენი, თითოეულს.

14. ალნიშნული ვრცელი დოკუმენტი [illegible] მნიშვნელოვანია. დასახელებულია წიგნები [illegible] რთული საყდრის ქონების ნაწილი. ამათგან რამდენიმე წიგნი დღეს რუსეთის სიძველეთსაცავებში ინახება. ამიტომ ამ დოკუმენტისადმი ინტერესი იზრდება.

15 Полное собрание законов Российской империи, X, 1830, გვ. 446.

16. იქვე, გვ. 499

17. ქუჩის მხრიდან სახლი ერთსართულიანია, ეზოდან — ორსართულიანი. ქვედა სართული აგურისაა, ზედა კი ძელითაა ნაგები და კირის ხსნარითაა შელესილი. ასეთი ქორედი საცხოვრებელი ტიპიური როგორც ძველი რუსული, ისე ქართული საერო ხუროთმოძღვრებისათვის. საქართველოში ქორს აივანი აქვს, ხოლო მოსკოვში — დახურულ სათავსოდაა გამოყენებული. საცხოვრებლის ქართულობა კარგად ეტყობა ქორზე ასასვლელ კიბის რიკულებს, სადარბაზო კარების მხატვრულ გაფორმებასა და მისი მშენებლობისას გამოყენებულ სხვა ხუროთმოძღვრულ დეკორაციულ ხერხებს.

რუსულ-ქართული საერო ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი კულტურული ურთიერთობის შესანიშნავი ნიმუშია. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ეპოქის დიდი ალმშენებლობით განახლებულ კრასნაია პრესნაიაზე, უზარმაზარი თანამედროვე საცხოვრებლების გვერდით მისი შენარჩუნება-დაცვის აუცილებლობა მოვითხოვეთ, ამ საქმეში მხარი დაგვიჭირეს სახელოვანმა რუსმა და ქართველმა მოღვაწეებმა.

რუს-ქართველთა მრავალმხრივი ურთიერთობის ამსახველი ექსპოზიციით დამშვენებული ეს შენობა და მისი ეზო წარსული ცხოვრების მრავალ საინტერესო ფაქტზე დააფიქრებს მნახველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ წერეთელი

# „ოთხი ნადირობა"

## კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი მეთოდის საკითხისათვის რომანში „დიდოსტატის მარჯვენა"

საკუთარი ისტორიის სწორი ინტერპრეტაცია ყოველი ერისათვის ბუნებრივი იდეოლოგიური საყრდენია და უდიდეს როლს ასრულებს ერის განვითარებასა და წინსვლაში.

ამ საქმეში ხელოვნებას უპირველესი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მხატვრული ინტერპრეტაცია ისტორიას ჭეშმარიტად სახალხო, საყოველთაო საზრდოდ აქცევს.

ისტორიის ინტერპრეტაცია ხელოვანის მიერ მატიანის მხატვრულ გაცოცხლებასა და გამიზნულ კონკრეტიზაციას გულისხმობს. გაშიფრული ქრონიკა ერის კულტურულ ფენომენად იქცევა და ნაციონალური თვითშეგნების თანამედროვე ფაზაში ქმედით როლს იძენს.

ისტორიული რომანი, თავისი ფართო დიაპაზონის წყალობით, მხატვრული ინტერპრეტაციის საუკეთესო ასპარეზია და, როგორც ასეთი, ერის კულტურის დიდმნიშვნელოვანი ორლესული იარაღია, რომელსაც ერთნაირად შეუძლია სარგებლისა და ზიანის მოტანა. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ავტორის პიროვნება და მრწამსი.

ისტორია შეგნებულ ინტერპრეტაციას ნახულობს თანამედროვე ისტორიულ რომანში. დღეს ბევრი დიდი მწერალი შესანიშნავად იყენებს ამ ფორმას მრავალპლანიანი ტილოს შესაქმნელად, სადაც ისტორიული მასალის ფონზე განხილულია თანადროულობისა და მომავლის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ქართულ ისტორიულ რომანს, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. ძველი ერი, ანტიკური სამყაროს მომსწრე და მონაწილე, საქართველო, თავისი დღევანდელი სახის დადგენას ღრმა წარსულის წიაღიდან აწარმოებს. მრავალტანჯული, ქირნახული ქვეყანა, ნაციონალურ კულტურასა და შეგნებას სხვადასხვა პირობებში ჰქმნიდა და ამიტომ, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპის გაგება-შეფასებისათვის ისტორიას პირველადი მნიშვნელობა აქვს. ეს პროცესი წარსულში ჩაბედვისა, ქვეყნის განვითარების მანძილზე მეტნაკლებად ხორციელდებოდა. ჩვენი კულტურის ძეგლები ცხოვრების და განვითარების ღირსშესანიშნავი კომენტარია. ვხვდებით ეროვნულ მოვლენათა ინტერპრეტაციასაც, მაგრამ აქ, როგორც წესი, საქმე გვაქვს საკითხის ტენდენციურ წარმოდგენასთან (მიზეზი ამისა კლასობრივი საზოგადოების სპეციფიკა გახლავთ: კულტურის სფეროს მმართველი წრეები ძლევენ ტონს).

თანამედროვე ეტაპზე კი სწორედ ქვეყნის წარსულის მართებული ინტერპრეტაცია იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენს კულტურაში და კერძოდ, ისტორიული რომანის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ქართული ისტორიული რომანის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას.

კ. გამსახურდიას რომანი ერთგვარი წყალგამყოფია ქართული ისტორიული რომანის განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიათი იწყება ჭეშმარიტი ქართული საბჭოთა ისტორიული რომანი.

ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. პირიქით, თუ გადავხედავთ მწერლის ვრცელ შემოქმედებას „დიდოსტატის მარჯვენამდე" — ლექსებს, ნოველებს, რომანებს — დავრწმუნდებით, რომ მისი სამწერლო გზა გარკვეული ში-

ნაგანი კანონზომიერებით ხასიათდება. მისი ძიების საგანი მუდამ არის ქართველი კაცის ბუნება, არა მხოლოდ ვიწრო ნაციონალურ, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებთან შეფარდებით. სიყვარული და ხელოვნება, სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი; ქართველი კაცის მიერ მკვიდრ, ურყევ ფასეულობათა ძიება, გახლეჩვა აწმყოსა და წარსულის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის და ამ მერყეობით გამოწვეული იდეოლოგიური კრიზისი, ახალი ცხოვრების, სოციალისტური სინამდვილის მიღებასთან დაკავშირებული სულიერი გარდაქმნები და ახალ ქართულ საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შენების პრობლემები — აი, მწერლის შემოქმედების ინტერესები. გზადაგზა იკვეთება მისი მხატვრული ძიების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი — ქართული სპეციფიკური პრობლემატიკის გლობალურობა. შემდეგი და, როგორც ვთქვით, კანონზომიერი ნაბიჯია ისტორიული რომანი — საუკეთესო არენა ამ სპეციფიკის მასშტაბური კვლევისა და წარმოსახვისათვის. ეს, რა თქმა უნდა, სწორი გადაწყვეტილებაა.

აი, ასეთი, შინაგანი ლოგიკით ნაკარნახევი მისვლა მწერლისა ფორმასთან, განასხვავებს კ. გამსახურდიას რომანს სხვა ადრინდელი ქართული ისტორიული რომანებისაგან. შემოქმედების პრობლემატიკას თვითონ მიჰყავს ავტორი ფორმასთან, ამიტომაც ადგილი აქვს ფორმისა და შინაარსის კონგენიალობას. ამას უნდა დაემატოს საოცარი ნიჭი, უზარმაზარი მხატვრული ოსტატობა და ზემოხსენებული, ისტორიული რომანის დანიშნულებასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული, პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება ხელოვანისა. ყველა ეს კომპონენტი ერთად გვაძლევს აქამდე უცნობ შემოქმედებით რეზულტატს.

ასე იწერება „დიდოსტატის მარჯვენა", ქართული ისტორიული რომანისტიკის შედევრი.

„დიდოსტატის მარჯვენა" ხარისხობრივად ახალი სიტყვაა ისტორიული რომანის სარბიელზე და საერთოდ ქართული კულტურის სფეროში. ეს არის რომანის ახალი ეტაპი. ამ სიახლეს ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: ავტორის იდეოლოგიური მრწამსი და მხატვრული მეთოდი.

იდეოლოგიურ მრწამსს გამსახურდიასთან ორი მომენტი აყალიბებს: ქართული ლიტერატურის ჯანსაღი, რეალისტური ტრადიცია (გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის ტრადიცია), და საბჭოთა საქართველოს მოქალაქის პასუხისმგებლობა.

გურამიშვილისა და ილიასეულ ტრადიციაში ჩვენ ვგულისხმობთ: ნაციონალურ მოვლენათა ანალიზს, სიმართლის არდარიდებას, ეროვნულ გასაჭირს და მის გამომწვევ მიზეზთა გამოვლენას, ობიექტურ შეფასებას და სათანადო დასკვნამდე მისვლას (გამსახურდიას რომანი, უდავოდ, ამ ტრადიციის განვითარება და მისი მაღალმხატვრული საფეხურია).

საბჭოთა საქართველოს მოქალაქის პასუხისმგებლობაში ვგულისხმობთ ისტორიის საკვანძო, ერისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მომენტის სწორად წაკითხვას და ერის დღევანდელი მიზნებისათვის საჭირო ასპექტის მხატვრულ აქცენტირებას, რათა ისტორიული რეალობის ამსახველი მხატვრული ნაწარმოები ერის იდეოლოგიური აღზრდის ქმედით საშუალებად იქცეს. (და როგორც კულტურის ფენომენმა, ეროვნული შეგნების ამაღლებაში წილი დაიდოს).

ასეთი ნაწარმოების ნიშანდობლივი თვისებაა პატრიოტიზმის ერთადერთი მართებული, ჭეშმარიტი ფორმა — მართლის თქმა.

რაც შეეხება მხატვრულ მეთოდს, მასზე ვრცლად გვექნება საუბარი მოგვიანებით, რადგან წინამდებარე შრომა ძირითადად ამ საკითხს ეძღვნება.

მწერლის იდეოლოგიურმა მრწამსმა განაპირობა ეპოქის არჩევანი. ავტორმა სრულად შეგნებულად აიღო გარკვეული ეპოქა, სადაც, მისი აზრით, გამოიკვეთა სპეციფიკური პრობლემატიკა, რომელმაც განსაზღვრა ნაციონალური ხასიათი და ერის მძიმე ხვედრი, მისი მრავალსაუკუნოვანი, წინააღმდეგობრივობითა და, ხშირად, ტრაგიზმით აღვსილი გზა.

X-XI საუკუნეების მიჯნა გარდამავალი საფეხურია ქართველი ერის ცხოვრებაში. აქ მთავრდება ერთი უდიდესი მნიშვნელობის ეტაპი ერის ისტორიისა. ამ ეტაპმა თავისი უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა სულიერად — ზოგადქართული კულტურის შექმნაში, ფიზიკურად — ზოგადქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. ეს იყო გვირგვინი ხსენებული ეტაპისა.

იწყება ერის ცხოვრების ახალი საფეხური.

აი, სწორედ ეს გარდამავალი და უმნიშვნელოვანესი საფეხური ერის ისტორიისა აიღო კ. გამსახურდიამ ობიექტად თავის პირველ ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა".

ისტორიიდან ასეა ცნობილი: მეათე საუკუნის სამმა უძლიერესმა ქართველმა მფლობელმა — დავით კურაპალატმა, აფხაზთა მეფემ და ქართლის ერისთავმა გადაწყვიტეს ქვეყნის გაერთიანება კანონიერი გზით, უსისხლოდ. მათ გაიჩინეს ერთი მემკვიდრე სამივე წამყვანი ქართული ქვეყნისათვის: ბაგრატი, აფხაზთა მეფის მემკვიდრე, იშვილა დავითმა, ხოლო ქართლის ერისთავი ეყმო მას. რჩებოდა რამდენიმე მეორეხარისხოვანი სამფლობელო, რომელთაც ამ აქტის შემდეგ ერთადერთი ბუნებრივი გზა ჰქონდათ — შესულიყვნენ ერთიანი ქვეყნის შემადგენლობაში. გაერთიანება ფაქტიურად ბაგრატს უნდა განეხორციელებინა. ერთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ჯერ მხოლოდ მოლაპარაკების ნაყოფი, დადგენილი სიტყვა იყო, და არა რეალობა. ბაგრატმა ეს პროცესი ფორმალურ განხორციელებამდე მიიყვანა. ქართული მიწები თითქმის მთლიანად გაერთიანდნენ ერთ ქვეყანად. მაგრამ ეს იყო პირველი საფეხური, ძალისმიერი, და სახელმწიფოს ორგანულ ერთიანობამდე, ერთ პოლიტიკურ ორგანიზმამდე ბევრი აკლდა. თუმცა ერთი შეხედვით იდეა განხორციელდა. აქ ბაგრატი კვდება და სახელმწიფოს მეთაურად და მფლობელად გვიტოვებს მცირეწლოვან ვაჟს, გიორგი I.

თუ ისტორიული წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, გიორგი I მეფობა საკმაოდ უფერული ჩანს კახეთ-ჰერეთის გამოყოფა. ბიზანტიასთან მარცხიანი შეტაკება, სამხრეთის პროვინციების დაკარგვა, უფლისწულის მძევლობა. ერთი მოგებული ბრძოლა, მაგრამ ურეზულტატო. სხვა არაფერი. საერთოდ ამ დროის საქართველოს მდგომარეობა ძუნწად არის გაშუქებული. მაგრამ ამავე პერიოდს ემთხვევა ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი ქართველი ერის ცხოვრებაში:

პირველი — მიმდინარეობს ქვეყნის გაერთიანების, ერთ ქართულ-ქრისტიანულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების უკვე არა ძალისმიერი, არამედ შინაგანი, ორგანული რთული პროცესი;

მეორე — ქართული ნაციონალური სული პოულობს განზოგადებულ ფორმას თავისი სრული გამოხატვისათვის (თვითმყობადი კულტურის აღმავლობა).

ქვეყნის გაერთიანებისა და ნაციონალური კულტურის დადუღების პროცესები განუყოფელია. მეორე პირველს ორგანულ მოთხოვნილებად აქცევს, პირველი კი მეორეს თავისი გამარჯვების გარკვეულ სიმბოლოდ თვლის.

ჩვენთვის საინტერესო ეტაპზე ორივე პროცესს სათავეში უდგას სამეფო ხელისუფლება და ეკლესია, რომელთა შორის უკვე განხეთქილება იწყება. ეს იმის მომასწავებელია, რომ პრინციპში მათი საერთო მიზანი უკვე მიღწეულია. ახალი ეტაპი კი — გაერთიანებული ცენტრალიზებული სახელმწიფო — საბოლოო გამარჯვების შემდეგ ერთ-ერთ მათგანს არსებობის გამართლებულ მიზანს, ქვეყნისათვის აუცილებლობის ატრიბუტს წაართმევს, ხოლო ამას უეჭველად უნდა მოჰყვეს გარკვეული გამოძახილი სულიერი ცხოვრების, კულტურის სფეროში. ასე რომ, ბზარი უკვე გაჩენილია და მხოლოდ გარკვეული ისტორიულ-პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელმაც საქართველოში კიდევ 100 წელიწადს გასტანა, გახდა იძულებით მაკავშირებელი ძალა ეკლესიასა და სამეფო ტახტს შორის. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სვეტიცხოვლის ტაძრით იწყება ქრისტიანული ეკლესიის მიერ განხორციელებული ეტაპი ეროვნული კულტურის განვითარებისა. შემდგომი საფეხური სავანეთა მშენებლობით იწყება. ეს არის პერიოდი, როდესაც გამარჯვებული სამეფო ხელისუფლება ამ სავანეებში აყალიბებს კულტურის ახალ, სახელმწიფოებრივ ცენტრებს, რომელთა დანიშნულებაა შექმნან ახალი ნაციონალური სახელმწიფოებრივი იდეოლოგია. რომანში კარგად არის ნაჩვენები განხეთქილების წინა განწყობა ორ წამყვან, მოკავშირე ძალას შორის, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი უკმაყოფილება ურთიერთით, მეფის მიერ მთელ რიგ საკითხებში თვითმპყრობელური პოლიტიკის გატარება, მთელ რიგ საკითხებში კომპრომისზე შეთანხმება, რაც საგრძნობელ ხინჯად რჩება, როგორც ერთის, ისე მეორის ფსიქიკაში. ფაქტიურად, მათ შორის უკვე ბრძოლაა, ოღონდაც მეფე თანდათან პრიორიტეტს იძენს ნაციონალური ინტერესებისა და სულის გამოხატვაში.

რატომ ხდება ეკლესიის როლის დაქვეითება, რა იწვევს ქრისტიანული საეკლესიო პოლიტიკის გაკოტრებას და სახელმწიფოს მიერ ახალი ეროვნული იდეოლოგიის ძიებას? ისტორიიდან ვიცით და რომანშიც კარგად ჩანს, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ წამყვანი როლი ითამაშა ერთიანი ქართველი ერის, ერთიანი ქართული კულტურისა და პოლიტიკის ფორმირებაში, რაც დაგვირგვინდა ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით. თვით განხილულ პერიოდშიც კი, როდესაც ეკლესიასა და ტახტს შორის ზემოაღნიშნული განხეთქილება ისახება, ეკლესია ძირითადი დასაყრდენია ხელისუფლებისა და მისი შეზღუდვა მხოლოდ დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულს ხდება. ეკლესიამ უზარმაზარი მუშაობა გასწია საუკუნეთა მანძილზე, რათა ნაციონალურ ხასიათთან შეერწყა ქრისტიანული რელიგია და ამ გზით შექმნილი ქართულ-ქრისტიანული იდეოლოგია ექცია ჭეშმარიტ ეროვნულ სულად, ეროვნული ხასიათის მაპროფილებელ ძალად. ამას შეეწირა მრავალ თაობათა თავდადებული შრომა, მონდომება, მარტვილობა, მსხვერპლი. ეს მძიმე გზა კარგად აისახა საქართველოს ისტორიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. შუშანიკისა და აბოს წამება, ცამეტი სირიელი მამა და მათი მოღვაწეობა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, სამონასტრო მშენებლობა, ბიბლიის თარგმნა, ქართული მონასტრები უცხო ქვეყნებში — ეს ყველაფერი ტიტანური სამუშაოს მოწმობაა. და ეკლესიამ მიზანს მიაღწია. მან შექმნა ქრისტიანულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც ქვეყნის ცხოვრების მამოძრავებელ ძალად იქცა. ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული — ქრისტიანული სახელმწიფო. ეს იყო დიდი პოლიტიკური გამარჯვება და აქ აღმოჩნდა, რომ ამ გამარჯვებას ეკლესიის მარცხი მოჰყვა.

ეკლესიის ზოგადქრისტიანული პოლიტიკური გეზი, ცენტრალიზებული ეროვნული სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფოს იდეოლოგიად აღარვარგა. ეს საყოველთაო მოვლენაა. აბსოლუტიზმი და ძლიერი, დამოუკიდებელი ეკლესია ერთმანეთს ვერ ურიგდება. ფეოდალურ სამყაროში სახელმწიფოთა ურთიერთობა რელიგიური პრინციპებით არ ხელმძღვანელობს. ერთიანი საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგე ამ ეტაპზე მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერიაა. მეფისა და ეკლესიის პოლიტიკური ერთიანობა ამ საკითხში მეტად სამძიმო და პრაქტიკულად შეუძლებელია. მეფე ებრძვის ბიზანტიას ქვეყნის ინტერესების დასაცავად, ეკლესია იძულებულია ან ბერძნული ქრისტიანობის წინააღმდეგ იბრძოლოს, ქვეყანასთან ერთად, ან ქვეყნის ინტერესები დათმოს რელიგიის სასარგებლოდ და სხვა ქვეყნის ინტერესების დამცველად გამოვიდეს. მეორე მტერი ქართველი დიდებულ-ერისთავებია. აქ ეკლესია მეფის თანამდგომია. ამის მიზეზები შემდეგია: ჯერ ერთი, ინერცია — გრძელდება გაერთიანების პროცესი, რომლის სულისჩამდგმელიც ეკლესია იყო, მეორე — საკუთარი, საეკლესიო ინტერესების დაცვა — ურჩი დიდებულები მეფესთან ბრძოლას ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლასთან აიგივებენ: ებრძვიან ქრისტეს სჯულს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს მეფის პოზიცია: იგი ებრძვის დიდებულებს არა საეკლესიო იდეოლოგიის დასაცავად, არამედ მხოლოდ საკუთარ, სამეფო უფლებაზე დაყრდნობით. ასე რომ, შინაგან მტერთან ბრძოლაში, ეს ერთობაც მოჩვენებითი ხასიათისაა.

ზემოხსენებული ვითარება რომანში მშვენივრად არის გაშუქებული. ეკლესიის ეს ორაზროვანი მდგომარეობა აშკარად ჩანს. რა თქმა უნდა, ამავე დროს ეკლესია ოფიციალურად ინარჩუნებს მთელ თავის ძლიერებას, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მაგრამ მეფეცა და კათალიკოსიც აშკარად ხედავენ მოვლენათა მიმართებას. მეფემ იცის, რომ ეკლესია ადვილად არ დასთმობს პოზიციებს, კათალიკოსიც არ აპირებს ბედთან შერიგებას, პირიქით, ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რათა სამეფო ხელისუფლება ეკლესიის გავლენას არ გაექცეს და გიორგი I მეფობაში აბერხებს კიდევაც ამას. ეკლესია ჯერჯერობით მეფეზე ძლიერია.

აი, სწორედ ეს ეპოქა და მისი პრობლემები — ცენტრალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ეროვნულის სულის სახელმწიფოებრივი მასშტაბით გამოვლენის მოთხოვნილება, და ამ დიდი ისტორიულ-კულტურული ამოცანების განმახორციელებელთა ბედი — აირჩია კ. გამსახურდიამ მხატვრული კვლევის საგნად თავის ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“.

გამსახურდიას შემოქმედებითი მეთოდის, ისევე როგორც პრინციპების, ჩამოყალიბება მთელი მისი წინა პერიოდის მანძილზე ხდებოდა. ამას თვალნათლივ მოწმობს ამ დროის შემოქმედების ანალიზი. მართლაც, „დიდოსტატის“ მხატვრული, ისევე როგორც იდეოლოგიური, არსენალი მასალის მხრივ ფაქტიურად ახალს არაფერს შეიცავს. გადავხედოთ მის ადრეულ ნოველებსა და რომანებს. განწყობილების შემზადება და შექმნა, ბუნების თანაავტორობა, პერსონაჟთა გამოკვეთის მანერა, ზომიერი გრძნობადობა, დეტალების გამახვილებით ეფექტის მიღწევა, გმირის მონაწილეობა საკუთარი ხასიათის გახსნაში, ავტორისეული ისტორიული ექსკურსები, წარსულის თანდათანობითი შემოსვლა აწმყოში, მკითხველის ჩათრევა პრობლემაში და არა ფაბულაში და მისი მონაწილეობით შექმნა მხატვრული სინამდვილისა — აი, არასრული ჩამოთვლა მწერლის მხატვრული ხერხებისა. სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, ქართული კულტურა, ქართველი კაცის ბედი და ხასიათი, ხელოვნება და სიყვარული, ერის განვითარებისა და წინსვლის ხელისშემშლელ, ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა ძიება — აი, მისი ძირითადი პრობლემების ნუსხა, და ეს ყველაფერი „დიდოსტატამდე“ უკვე გვხვდება, მაგრამ მეთოდი იმ დასრულებული სახით, რაზედაც ჩვენ აქ საუბარი გვაქვს, მხოლოდ „დიდოსტატში“ წარმოგვიდგება. მიზეზი ამისა სწორედ ჩვენი კვლევის საგანია და ვფიქრობთ შემდეგში მდგომარეობს:

ჩვენი მსჯელობის მანძილზე უკვე აღინიშნა, რომ კ. გამსახურდია სავსებით შეგნებულად მივიდა ისტორიული რომანის ფორმასთან და რომ ეს გამოწვეული იყო მისი ვრცელი შემოქმედებითი პრაქტიკის შინაგანი ლოგიკით. მას სჭირდებოდა შესაფერისი არენა. იგი თვლის, რომ ქართული კულტურისა და ქართველი ერის ადგილი და როლი ახალ, საბჭოურ სინამდვილესა და შემდგომ, კომუნისტურ მომავალში, კაცობრიობის ახალ ცხოვრებაში, ვერანგზით ვერ განისაზღვრება სწორად, თუ ჩვენ მის მამოძრავებელ, განმახორციელებელ ძალას არ დავადგენთ, და მისი ფორმირების ვითარებასა და პირობებს არ გავიცნობთ. მწერალი თვლის, რომ ეს ძალა ეროვნული ხასიათია. იგი თვლის, რომ ზოგადეროვნულ ხასიათს X-XII საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი. იგი ამბობს, რომ ეს ხასიათი შეიქმნა, როგორც შედეგი ორი უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენისა — ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული კულტურისა. ამ ორმა მოვლენამ შექმნა ზოგადქართული ბუნება — გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ ფასეულობათა მატარებელი და გამომხატველი ეროვნული ხასიათი. ქვეყნისა და ერის შემდგომი განვითარება უკვე ამ ხასიათთანაა დაკავშირებული; ეს ხასიათი განსაზღვრავს ერის კულტურული და პოლიტიკური განვითარების ბევრ მომენტს. გამსახურდია ფიქრობს, რომ ყოველივე ამის გამო, აღნიშნული ეპოქისა და მისი პრობლემების, და მათ მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილი ეროვნული ხასიათის დადგენის გარეშე შემდგომი ეროვნული ფენომენების კვლევა მართებულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ამიტომაც ცდილობს საკუთარი ძიების სხვადასხვა ასპექტები ამ ამოსავალ წერტილზე — საფუძველზე დაიყვანოს და იქიდან გაშიფროს. პრობლემის ასეთი დამსხვილება მხატვრულ შემოქმედებაში (ხელოვნებაში) ყოვლისმომცველობას ბადებს. ავტორი ვალდებულია არაფერი არ გამორჩეს მხედველობიდან. ეროვნული ხასიათის — დასადგენი მოდელის ფორმირებაში იღებს მონაწილეობას უამრავი ფაქტორი, რომელიც გარს ახვევია ერის ფიზიკურ და სულიერ ჩამოყალიბებას. მათი ურთიერთდამოკიდებულებით შექმნილი ვითარება გარკვეულ დაღს ასვამს საძიებელი ხასიათის ბუნებას.

ყოვლისმომცველი ეროვნული თემის ინტერპრეტაციისათვის მწერალი ირჩევს ისტორიული რომანის ფორმას.

ზემოხსენებული პოზიცია მწერლისა თემის მიმართ და მისი შემოქმედებითი პრინციპები გარკვეულ მოთხოვნილებას უყენებს ამ მხატვრულ ფორმას. ჩნდება მკაცრი ლოგიკური დაქვემდებარება ჩანაფიქრისადმი, გამოკვეთილი ღერძი, მასზე ძირითად პრობლემათა პროპორციული განლაგება, მეორეხარისხოვან პრობლემათა გაწონასწორებული დაჯგუფება საკუთარი ცენტრის — ძირითადი პრობლემის გარშემო, ლაპიდარობა, მონოლითურობა, ზუსტი დოზირება პლანების მონაცვლეობაში, ფოკუსირების სიზუსტე, ეკონომიურობა დროისა და სივრცის მიმართ, როგორც ისტორიულ, ისე მხატვრულ პლანში.

მაშასადამე, ავტორის კონცეპტუალური სიმწიფის მასშტაბი და ამოცანის სირთულე მოითხოვს მხატვრულ საშუალებათა სრულ დაქვემდებარებას და მაქსიმალურ გამომსახველობას იდეური ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ასეთი მკაცრად გამიზნული და დასაზღვრული მოთხოვნ, ბადებს აღნიშნულ მხატვრულ მეთოდს. და ეს ყველაფერი ერთად, გვაძლევს ახალი ტიპის ნაწარმოებს.

ავტორი იყენებს მასალის სამფაზიან მოწოდებას: ფაქტი, კომენტარი, მხატვრული დასაბუთება — რათა მკითხველმა წაიკითხოს, გაიგონოს და საკუთარი თვალით ნახოს. მხატვრული სინამდვილე ამ სამი საფეხურის ორგანული შერწყმით და მკითხველის მიერ მათი მხატვრულ მთლიანობაში აღქმით იქმნება. ე. ი. მხატვრული სინამდვილის შექმნაში უკვე ოთხი საფეხურია — მემატიანე იძლევა პრობლემას, ავტორი თემას, გმირი — დასაბუთებას, მკითხველი — დასკვნას. თუ მწერალი ხელობას ფლობს, ამ პროცესიდან ვერც ერთ საფეხურს ვერ ამოაგდებ ისე, რომ მხატვრული სინამდვილე არ დაირღვეს. ეს მეთოდის რეალისტურობას და მაღალმხატვრულობას ადასტურებს.

მეთოდი გამორიცხავს ყოველგვარ ძალდატანებას მკითხველზე. მხოლოდ და მხოლოდ — მხატვრული გულწრფელობა და დამაჯერებლობა. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს გმირის შინაგან განცდათა გამომსახველობის ძალას. მკითხველის მხატვრულ რეალობაში შეყვანა თანდათანობით ხდება, რათა მან გაიცნოს ისტორიული სინამდვილე მომზადებული შეხვდეს საკვლევი პრობლემატიკის გამახვილებას და შემდეგ, ამ პრობლემათა მომენტების უშუალო წარმოსახვისას, ობიექტური დასკვნების გამოტანა შესძლოს. მეთოდი მოითხოვს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას. ბალანსის შენარჩუნებაზე აქაც ავტორია პასუხისმგებელი: რადგან მკითხველი მეთოდის შემადგენელი კომპონენტია, მისი თვისებაც წინასწარ განსაზღვრულ აუცილებლობას წარმოადგენს. საჭიროა „მცოდნე" მკითხველი, რომელიც ნაწარმოების ყველა საიდუმლოში ჩახედულია, ყველა ვითარებას იცნობს, რომლის „ზურგს უკან" არაფერი ხდება. ეს „ცოდნა" გადამწყვეტ როლს თამაშობს, მისი წყალობით მოვლენათა განვითარება ბუნებრივია, გასაგები და მისაღები. მკითხველი მონაწილეობს პრობლემის დაყენებასა და მის გადაჭრაში.

ასეთი მეთოდი საშუალებას იძლევა გამსახურდიას ორი ძირითადი შემოქმედებითი პრინციპის ამომწურავი გაშლისათვის და მიზანი მიღწეულია: ხორციელდება წარსულის შემოქმედებითი რევიზია, რაც ერის შემდგომი წინსვლისა და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

* * *

რომანის სტრუქტურა ასე გამოიყურება: ნაწარმოების კონკრეტული სქემაა ორპლანიანი სიმბოლიკა. ერთი პლანი წარმოადგენს სვეტიცხოვლის ტაძრის შენების ისტორიას, მეორე — საქართველოს ახალი სახელმწიფოს შენების ისტორიას. ტაძრის შენება სიმბოლოა ქვეყნის შენებისა. მთავარი მოქმედი პირები — მეფე გიორგი და ხუროთმოძღვარი არსაკიძე — ერთი გმირის, შემოქმედი, მშენებელი, „მოწოდებული" მამულიშვილის გაორებული სახეა. ეს გაორებული, პასუხისმგებლობის მატარებელი გმირი არის ახალი, ეროვნული ხასიათის პირველი მატარებელი. იგი პირველი ტვირთულობს ქართულ მოქალაქეობრივ მისიას — ერის სულიერ და ფიზიკურ მთლიანობისათვის ზრუნვას. მისია მძიმეა და ორივე სახე გმირისა თავისი ადამიანური არსით ეწინააღმდეგება საკუთარ ბედს, რასაც თითოეული სახის კვლავ შინაგანი გაორება მოსდევს: როგორც მეფეს, ისე ხუროთმოძღვარს, კარგად ესმით მისიის დიდმნიშვნელოვანება და აუცილებლობა, მაგრამ გიორგიცა და არსაკიძეც ანტიმურ, ადამიანურ ბედნიერებაზე ოცნებობენ, რომლის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეალებული, ორივე სახისათვის საერთო, სიმბოლოა შორენა, შეგნებულად განწირული ოცნების განსახიერება.

გაორებული სიმბოლოების — სახეებისა და მოვლენების ურთიერთდაფენა კარგად აშუქებს ეროვნულისა და პიროვნულის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებას.

გარეშე პლანი, სვეტიცხოვლის ტაძრის შენება, გამჭვირვალე, ლამაზ კარგად ეფინება ძირითადს, რომლის გამოკვეთილი რელიეფი აყალიბებს ნაწარმოების ჭეშმარიტ სახეს. მხატვრული პლანი გვეხმარება პერსპექტივის მიახლოვებასა და მის ცოცხლად, ხორცშესხმულად, ემოციურად აღქმაში, ძირითადი აზრობრივ-ისტორიული პლანი კი კვებავს ავტორის ჩანაფიქრს.

რომანის ძირითადი ჩონჩხი, რაზედაც ავტორი მხატვრულ ხნეულს აგებს, ნადირობის ოთხი სცენაა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ მათ განხილვას ისახავს მიზნად. ამ სცენებს ნაწარმოებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. სტრუქტურულად ეს რომანის ძირითადი კონსტრუქციაა, იდეურად — უმთავრეს პრობლემათა ფოკუსი. ოთხივე სცენა გმირის სახის გახსნას ემსახურება. პირველი სამი ნადირობა ძირითადია, სიუჟეტური. ისინი გმირის შინაგანი კონფლიქტების განხილვას ეთმობა. ამიტომ თითოეულ მათგანში ფონად გმირის ერთი ძირითადი პრობლემა გვაქვს. პირველ ნადირობაში ეს გახლავთ დამოკიდებულება დიდებულებთან, მეორე ნადირობაში — დამოკიდებულება ეკლესიასთან, მესამე ნადირობაში — სიყვარულთან.

მეოთხე ნადირობა სიუჟეტის გარეთაა გატანილი და მას დასკვნითი ხასიათი აქვს. იგი ავტორისეულ პრობლემას ეთმობა (ეროვნული ხასიათის მიზეზთა ძიება და შეფასება). აქ მწერალი გმირის პირით აჯამებს ზემოაღნიშნულ პრობლემათა ნიადაგზე წარმოქმნილ, საკუთარ შინაგანი კონფლიქტის შედეგებს, ანზოგადებს მათ და პიროვნულ ტრაგედიას ეროვნულ რეზონანსს აძლევს.

ნადირობის სცენები მხატვრულად ორი ტიპისაა: სამეფო-პომპეზიური და ინტიმური. პირველ ტიპს ეკუთვნის პირველი და მესამე ნადირობა, მეორეს — მეორე და მეოთხე.

პირველი ტიპის ნადირობანი — სამეფო, ეს არის დიდი ფოკუსი, სადაც განხილულია დამოკიდებულებათა კომპლექსი დინამიკაში და ნადირობის წყალობით (თავისუფლება პირობითობისაგან, ტყე, ველი, ქენება, აზარტი, შებრძოლება, ძლევა, სიკვდილი) შენიღბულ ვნებათა და გრძნობათა გამოაშკარავება და შეპირისპირება ხდება. აქ მონაწილეთ ამოძრავებთ ვნები, იმედი, ბრძოლისა და გამარჯვების წყურვილი.

მეორე ტიპის ნადირობანი ინტიმური სცენებია, გაპირვებული და გამწარებული კაცის თავშესაფარი. ადამიანი ცდილობს გაექცეს საკუთარ ბედსა და გულისთქმას, უარი თქვას მძიმე ხვედრზე და საერთოდ ყოველგვარ მოვალეობაზე, თვით საკუთარ თავზეც კი (წვერის შეღებვა, მასკარადი, სახელის შეცვლა). და აქვე თვალნათლივ ნაჩვენებია შეუძლებლობა გაქცევისა.

ნადირობის სცენები გმირთა შინაგანი სახის გახსნას ემსახურება და ავტორის ჩანაფიქრისათვის მშვენიერი ასპარეზია. აქ, სადაც ბუნება, (რომელსაც ავტორი საოცარი ხელოვნებით იყენებს შინაგან განცდათა გადმოსაცემად), ნადირობის აზარტი, დევნისა და ძლევის ინსტინქტები, ფიზიკური სილაღე და ნების თავისუფლების ილუზია, ყველას — მეფესა თუ მონას — ათანაბრებს, მწერალი ცდილობს გაგვიხსნას გმირების ადამიანური ბუნება, გაშიფროს მათი საქციელი, ცხოვრებისეულ ნილაბქვეშ დაგვანახოს ჭეშმარიტი გულისცემა, სანუკვარი ოცნებანი, განცდები, გრძნობები.

ეს ოთხი ნადირობა რომანის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტია. სწორედ აქ არის მთავარი პრობლემის მხატვრული გამოკვეთა სიტუაციურად მხატვრული სინამდვილის შექმნის ერთი ძირითადი მომენტი. მათი განლაგებაც საინტერესოა: რომანი იწყება და მთავრდება ნადირობით. ეს ოთხი სცენა საყრდენ ბოძივით უდგას ნაწარმოებს. ეს ძირითადი კონსტრუქცია გამაგრებულია დამატებით, დამხმარე მაფოკუსირებელი სცენებით (ობიექტური გამოკვეთისა და სპეციფიური ნიუანსირებისათვის, ზოგ პრობლემათა დიდმნიშვნელოვანება მოითხოვს და ავტორი, ძირითადი მოდელით მათი განხილვის შემდეგ, დამატებით სცენებს გვთავაზობს.

ყოველი ნადირობა, როგორც აღინიშნა, მხატვრული ფოკუსია, გმირის ერთერთ ძირითად პრობლემასთან კავშირში მაჩვენებელი. სცენას წინ უძღვის ავტორისეული მომზადება, ვითარების ახსნა, მოვლენათა შემზადება, რომელთა ფონზე მხატვრულმა განსახიერებამ (ხერხმა) — „ნადირობამ“ გმირის ცხოვრების მონაკვეთი საკუთარი განცდილივით უნდა მოუტანოს მკითხველს.

ქვემოთ წარმოდგენილ ანალიზში შემოტანილი იქნება დასახელებანი: პირველი ნადირობა, მეორე ნადირობა და ა. შ. ეს დასახელება გულისხმობს არა მხოლოდ თვით ნადირობის სცენას, არამედ მთელ იმ მხატვრულ ნაწილს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტულ ნადირობის სცენაში აქცენტირებულ პრობლემასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნადირობა პირველი

რომანის პირველსავე თავს უშუალოდ შევყავართ ნაწარმოების ეპოქასა და ძირითად პრობლემატიკაში.

წელიწადი დასახელებული არ არის, ავტორი გვეუბნება, რომ რომანში აღწერილი ამბავი დაიწყო „სწორედ იმ წელს, როდესაც სამცხეში სამი ეკლესია მოათავა ფარსმანმა, გიორგის ბრძანებისამებრ". ეს მოვლენა, როგორც ჩანს, იმდენად მნიშვნელოვანია და საყოველთაოდ ცნობილი, რომ უტყუარად მიგვანიშნებს დროს. ამასთან, პირველი ფრაზის ეს პირველივე ნახევარი უკვე განაწყობს მკითხველს ეკლესიათა შენების საქვეყნო-ისტორიული მნიშვნელობის სარწმუნებლად: ასეთია ეპოქა, ასეთი როლი ეკისრება საეკლესიო ძეგლებს ქართულ ისტორიაში. ამასვე ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ პროცესს მეფე უწევს ხელმძღვანელობას — მეფის, „გიორგის ბრძანებისამებრ". აქედანვე იწყება მკითხველის შემზადება რომანის სპეციფიკის, იდეურ-სტრუქტურული ორპლანიანი სიმბოლიკის, ჩასაწვდომად. მაშასადამე, პირველი ფრაზა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და მხატვრული მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი უკვე ამუშავდა: „დროს" ფიზიკური განსაზღვრა გამოუყენებულია მისი განსახილველი მონაკვეთის კონკრეტულ-ქართულ, ისტორიულ სინამდვილისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებით დასატვირთად; ე. ი. ამ განყენებული კატეგორიის დაკონკრეტება ისტორიულ რომანში ეპოქის მიმანიშნებელი ფაქტის უბრალო ფიქსირება როდია, არამედ ტევადი და მოქნილი მხატვრული ხერხია ქვეყნის მდგომარეობის ზოგადი დახასიათებისათვის რომანის პირველსავე გვერდზე.

პირველი ფრაზის მეორე ნახევარს უკვე უშუალოდ შევყავართ ფაბულაში. სწორედ ამ წელს, რომელზედაც ლაპარაკი იყო, „საქართველოს ქილუყვავი შემოესია".

მეორე ფრაზაში მოცემულია მხატვრული აღწერა ამ მოვლენისა — „მეხის ღრუბელივით დაბნელა ალმოსავლეთი" და მისი საზარელი შედეგი: „...ბასიანამდის გაათხრა ნათესი" (მასშტაბი).

მესამე ფრაზა უკვე სიუჟეტისაკენ გვეწევა და პიროვნებათა როლსა და ხასიათზე მიგვითითებს, თანაც ამძაფრებს პირველი ფრაზის შინაარსს და უკვე ქვეყნის ქმედითი ცხოვრების მაჩვენებელია (და არა მხოლოდ მდგომარეობისა).

აი, ეს ფრაზა, „ახმობინა მეფემ ფარსმანი და უბრძანა მოესრა სირი". ისევ მეფე და ფარსმანი. ისევ ბრძანება. („გიორგის ბრძანებისამებრ სამი ეკლესია მოათავა ფარსმანმა..."). ბრძანების კატეგორიულობა — „უბრძანა მეფემ..." ფარსმანმა კი არ უნდა სცადოს შეებრძოლოს, ან რაიმე იღონოს, მან უნდა მოსპოს — „მოსრას". გავიხსენოთ, რომ ქილუყვავის შემოსევა საერთოდ დიდი სტიქიური უბედურებაა, თანაც იმ დროში. ქვეყნის წინაშე შიმშილის საშიშროება დგება. აქვე მოვიშველიოთ ავტორი და ზემოთ განხილული მეორე ფრაზა: „მეხის ღრუბელივით დაბნელა ალმოსავლეთი... და ბასიანამდე გაათხრა ნათესი". ქვეყანას თავზარი უნდა დაეცეს. რომანში კი ამგვარს არაფერს ვხედავთ. გამოიძახა მეფემ ფარსმანი და უბრძანა მოესპო ქილუყვავი. ფარსმანი წამალს ამზადებს და ქილუყვავს სპობს. („მოისრა სრულად"). მეფის ბრძანება ზუსტად შესრულდა. ამას დასჭირდა სულ სამიოდე კვირა.

ჩვენს წინაშეა ქვეყანა, სადაც წელთაღრიცხვის მაგივრობას კულტურის ძეგლები ეწევიან, სადაც სტიქიურ უბედურებას მეცნიერების დახმარებით ებრძვიან და ხელად სპობენ, სადაც მეფე პირადად ხელმძღვანელობს სახელმწიფოს ცხოვრების როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ მხარეს და სადაც ჰყავთ უნივერსალური განათლების ხალხი, რომელნიც ერთნაირად ღრმად ფლობენ — როგორც მეცნიერებას, ისე ხელოვნებას. ეს არის ძლიერი და განათლებული სახელმწიფო, რომელსაც ასეთივე პიროვნება უდგას სათავეში.

რვა წინადადება წაიკითხა მკითხველმა და უკვე ასეთი შეხედულება ჩამოუყალიბდა. ახლა საჭიროა ამ ქვეყნის გაჭირვებაც გავიგოთ.

ქილუყვავთან გამკლავების შემდეგ, ამბობს ავტორი, ამ წელს სხვა მხრივ მშვიდობა სუფევდაო, და ჩამოთვლილია: კეისართან ზავია, საერისთავოებში სიწყნარეა, განძის ამირა ხარკს იხდის, ტფილისის ამირა გატვრინულია, შურის ციხეში სარკინოზები დგანან. აი, ქვეყნის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და ამავე დროს ცხადი ხდება, რომ წლევანდელი მდგომარეობა ქვეყნისა გამონაკლისია. ავტორი ლაკონურად ჩამოთვლის ყოველ მხარეს, იმჟამინდელ ფაზის აღნიშვნით: ზავია, სიწყნარეა, ხარკს იხდის, გატვრინულია, ციხეში დგანან. ხდება სურათის მშვიდი, ობიექტური მოწოდება. ამასთან, მკითხველს უჩნდება აზრი, რომ თუ ეს მდგომარეობა გამონაკლისია და ზავის მაგიერ ჩვეულებრივ ომია, დროებითი სიწყნარე არეულობად და ამბოხად იქცევა, განძა მორჩილებაზე უარს იტყვის, ტფილისის ამირა აგრესიულ მოქმედებას დაიწყებს, სარკინოზები შურის ციხიდან გამოვლენ და საბრძოლო მოქმედებას შეუდგებიან, — მართლაც საქართველოსათვის აღწერილი პერიოდი მშვიდობიანი და წყნარია. აი, ქვეყნის რეალური სიძნელეები, რომლებთან ბრძოლა გაცილებით რთულია, ვიდრე სტიქიურ უბედურებასთან. აქ არ კმარა მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონიერება და ხალხის ნიჭიერება, განვითარებული ხელოვნება და მეცნიერება.

დავუბრუნდეთ ტექსტს და ვნახოთ, რა ხდება ნაწარმოების მხატვრულ სინამდვილეში, როგორ ცხოვრობს ქვეყანა მშვიდობიანობის პერიოდში. ალწერა იწყება გიორგი მეფის საქმიანობით და ეს ბუნებრივად გვიჩანს, რადგან უკვე ვიცით მისი აქტიური ხელმძღვანელობა როლი ქვეყნის ცხოვრებაში (შემზადებულნი ვართ ფაქტებით).

გულმოცემული მეფე დადის ქვეყანაში, აშენებს, ამაგრებს, ხანმოკლე ზავის დროს ხანგრძლივი ომებისათვის ემზადება. აქ ნაჩვენებია მეფის დამოკიდებულება ქვეყნის მძიმე პრობლემებისადმი, მისი აქტიური პოზიცია, ენერგიული ქმედება, მაღალი შეგნება — იცის, რომ ზავი ხანმოკლეა; რომ წინ ხანგრძლივი ომებია (ამაზე ორი აზრი არ არსებობს), რაც უკვე მის შეურიგებლობას და ხელმწიფის დანიშნულების გოორგისეულ გაგებას, თანაც მტრის დაუნდობლობას გვიჩვენებს. იგი კარგი ორგანიზატორი ჩანს, ცდილობს დროებითი სიმშვიდის გამოყენებას; დადის, აშენებს და ამაგრებს; ეჭვი არ ეპარება, რომ ქვეყნის გამაგრება პირველი პირობაა მისი პოლიტიკისათვის. მკითხველი ხედავს, რომ ეს არის მეფის ძირითადი საქმიანობა, და რომ ამ საქმიანობას, გარე და შიდა პოლიტიკური ვითარება, ქვეყნის საწინააღმდეგო ძალები იწვევენ (ე. ი. მას ნაძალადევი ხასიათი აქვს, არ არის გამოწვეული არც ქვეყნის აგრესიული პოლიტიკით, არც მეფის აგრესიული ბუნებით).

მაშასადამე, აქ უკვე განხორციელდა მხატვრული სტარტი. შეთოდის ორი ფაზა — მემატიანისა და ავტორისეული, მკითხველმა აითვისა, გაიგო ნაწარმოებში წარმოდგენილი პერიოდის საქართველოს მდგომარეობა, და მიილო ავტორისეული ასპექტი; მეფის, როგორც ხელმწიფის მოქალაქის როლის ნაძალადევობისა და სირთულისა.

ამის შემდეგ გადავდივართ კონკრეტულ გარემოში. ვეცნობით მეფის კარს საზეიმო ვითარებაში. სავსებით ოფიციალური, ისტორიული სურათი იმ დროის ქართული სამეფო კარის საახალწლო ზეიმისა. ახალი წელი, მცხეთაში — დედაქალაქში. მეკვლე — კათალიკოსი. აქვე — ერისთავები, კარისკაცები, საახალწლო ძღვენი, ჩვეულებანი და ეტიკეტი. ამ ისტორიული სინამდვილის ფონზე ავტორი იწყებს მოქმედი პირების თანდათანობით შემოყვანას და მათი მრავალკიდოვანი ბუნების ზოგიერთი შტრიხის აქცენტირებას. პირველი კადრი: მამამზე — ძველი ერისთავი, „ლომკაცად წოდებული". პირველი ზოგადი დახასიათება — საზოგადოებრივი აზრი, ჯერ სხვა არაფერი ვიცით. მამამზემ თვალები მიაპყრო ტახტზე მჯდომ მეფეს, მეფე [illegible] ვხედავთ მხოლოდ მამამზეს სახეს; „ერთგულებას ეფიცება და ტახტის ორგულთ წყევლის" — ეს უკვე ქცევაა, პირველი მინიშნება ერისთავის მოქმედებისა მეფის წინაშე, რომელიც კონკრეტულ შინაარსს მაშინ შეიძენს, როდესაც პრობლემის არსი — კონფლიქტის საგანი და ვითარება გამოჩნდება.

აქ ჩვენებას სცვლის ავტორისეული პირველი კონკრეტული დახასიათება გიორგის ბუნებისა: „მდუმარე იყო ბუნებითგანვე, კაცი არამეტყველი, მაგრამ ფრიად დაკვირვებული". ეს დახასიათება მიმართულია მეფური ბუნების, ხელმწიფის ხვედრის შეგნების სერიოზულობის ხაზგასმისაკენ. ჩვენ თავიდანვე უნდა ვიგრძნოთ და ვიწამოთ, რომ გიორგისათვის მეფობა დიდი მნიშვნელობის საქმეა და ამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა მისი ძირითადი თვისებაა. აქვე უეცარი კადრი. ვხედავთ მეფეს, უფრო სწორედ მის ქმედებას, მაგრამ აქცენტი ამ ქმედების ხასიათზეა დასმული — ხმალივით შეაგება მზერა მამამზეს. ეს მისი შინაგანი მზადყოფნაა, მეფე, როგორც ჩანს, საერთოდ ასე უცქერის ერისთავებს, მისი პოლიტიკის პოტენციურ მოწინააღმდეგეებს, თანაც მკითხველს ყოველივე მინიშნების გარეშე უჩნდება განწყობა — მამამზეს მიმართ ბასრი ყურადღება და მზადყოფნა, რატომ და რისთვის, ჯერ არ ვიცით (მკითხველის განწყობა კონფლიქტის შესაბამისად). „შემდეგ სპასალარისკენ გადაიტანა მზერა", — კიდევ ერთი ნაბიჯი პრობლემისაკენ. სპასალარი, ბუნებრივია, მეფის ერთგულია, მარჯვენა ხელია, მთავარი დასაყრდენი და განმახორციელებელი ტახტის პოლიტიკისა. სპასალარი თავმოდრეკილი დგას; წარბშეუხრელად ისმენს მამამზეს სიტყვებს, იბადება კითხვა, რატომ? თუ ყველაფერი რიგზეა, რას ნიშნავს „წარბშეუხრელად"? მეფის ხმალივით მზერა და სპასალარის წარბშეუხრელი, მეტყველად მდუმარე პოზა უკვე ერთგვარ უნდობლობას გვიჩენს მამამზესადმი, ვგრძნობთ სიტუაციის ორაზროვნებას, ვემზადებით, სპასალარის პოზიცია ღრმა ფესვებს გულისხმობს, იგი იატაკს დასცქერის და რაღაც უცნაურ ფიქრშია წასული. აქვე სიმბოლური შტრიხი: უზარმაზარი ხმლის ვადას მოხვეჭილებია სპასალარის ძლიერი მარჯვენა. მკითხველისათვის ეს უკვე სიგნალია: ყურადღება, მოსალოდნელია სერიოზული საფრთხე, მზად იყავით!

სპასალარის მეტყველი კადრი მარტო ჩვენზე როდი მოქმედებს. ავტორი აქვე გვიჩვენებს, რომ მკითხველის რეაქცია საფუძვლიანია. გვიჩვენებს თვით მეფის მაგალითზე: გიორგის მოლხენა ეწადაო იმ საღამოს, ამბობს მწერალი. ჩვენთვის ეს გასაგებია და ბუნებრივი:

ახალგაზრდა მეფე, ახალი წელი, როგორც ზევით ითქვა, მშვიდობა სუფევს, მაგრამ ჩვენი ექვების დამადასტურებლად გვეუბნებიან, რომ საქმიფოდ განწყობილ მეფეს სპასალარის მოწყენილმა მდუმარებამ გუნება გაუფუჭა. ამით მართლდება, ერთის მხრივ, მოცემული დახასიათება მეფის დაკვირვებულობის შესახებ, მეორეს მხრივ, ჩვენი წინათგრძნობის სისწორე.

შემდეგ საახალწლო სუფრა, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევთ არც ჩვენ, არც ავტორი. ველოდებით კვანძის გახსნას.

ნაშუაღამევს გაიყარნენ დარბაზისერნი. მეფემ ანიშნა სპასალარს, დარჩიო. გიორგი ნასვამია, მაგრამ „ღვინოს ვერ დაეთრგუნა უგუნებობა“, ე. ი. ნადიმი მისთვისაც, როგორც ჩვენთვის, ალსავსე იყო ფიქრით და მოლოდინით: რა ხდება? თანაც კარგს არაფერს ელის და უგუნებობა საფუძვლიანად მორევია. მაგრამ უსიამოვნო საუბრის გადადება და ამდაგვარები მეფის ხასიათში არ არის, თვითონ გაემართა ცუდი ამბების შესახვედრად: „თავი აალო მეფემ, ჭიქურად შეხედა სპასალარს და უგუნებობის მიზეზი ჰკითხა“.

და ზვიად სპასალარის მონაყოლიდან ჩვენს წინ იშლება შინაგანი კონფლიქტი სამეფოსი მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ეს გახლავთ კონკრეტულად პირველი პრობლემა ჩვენს მიერ განსახილველი ოთხიდან. ამ პირველი პრობლემის ანალიზს ვარქმევთ ჩვენ „პირველ ნადირობას“.

ამბავი ასეთია: ერთ-ერთ მთის ერისთავს ძალით უთაყვანებია მთის რამდენიმე ტომი (ამის უფლება მხოლოდ მეფეს აქვს). საერთო ჯარი შეუყრიათ და არაგვის ხეობაში შემოჭრილან (უშუალოდ მეფის საპატრონო ტერიტორიაზე). ეს შეიარაღებული ამბოხია. აჯანყებულებს აუღიათ სამეფო ციხეები, რაშიაც მათ ხელს უწყობდნენ წარმართი შინაკაცები (ქრისტიანობის მოძულენი; ეს მიგვანიშნებს, რომ იმდროინდელ საქართველოში ახეთი პრობლემაც არსებობს), მამამზეს ვაჟი, ჭიაბერი (მამამზეს საერისთავო ფეოდი სწორედ არაგვის ხეობაა) საეჭვოდ მოქცეულა: თითქოს შეებრძოლა ამბოხებულთ და უმხხვერპლოდ უკუიქცა, რაც ძლიერ ჰგავს თვალისახვევას. აჯანყებულებმა აარხრეს არაგვის ხეობა — ეკლესიები დასწვეს, ხატები შემუსრეს, ხუცები და ბერები ჩამოახრჩვეს, კერპები აღმართეს და არაგველებთან ერთად ძველი წესი, წარმართული, აღადგინეს: ღამეები უთიეს კერპებს და ძენი და ასულნი შესწირეს მსხვერპლად.

ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, როცა მამამზე მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა.

ასეთია ზვიადის ინფორმაცია. ეს არის ნაწარმოების ისტორიული ხინამდვილე. ეს არის ეპოქის, ნაწარმოების და ჩვენი ერთი ძირითადი პრობლემა. ეს არის კონფლიქტი პრობლემის პოლუსებზე მდგარ ძალებს შორის. რომელში ერთი ძალის განსახიერებაა გიორგი მეფე, მეორისა — მამამზე ერისთავი.

აქედან ავტორი იწყებს პრობლემაში ჩაღრმავებას. იწყება ამ პრობლემის ასპექტში მთავარი საძიებლის, ეროვნული ხასიათის გამომხატველის, ძირითადი ნიშნებისა და თავისებურებათა ჩვენება (შესწავლა), მის შინაგან სამყაროში შესვლა და მოვლენათა განვითარების ამ ხასიათის შინაგან სამყაროდან მომდინარე მოძრაობით ახსნა-გაშუქება.

თავი ჩაჰქინდრაო, გიორგი პირველმა, ამ ამბის შემცნობმა, ამბობს ავტორი. გიორგი პირველმა და არა მეფემ, ან მეფე გიორგიმ, ან გიორგიმ. ეს არსებითი მნიშვნელობის მქონე მომენტია. დიახ, ეს სწორედ გიორგი I პრობლემებია, გიორგი პირველის საქართველოა. ეს ძირითადი ხასიათის აქცენტია.

და სწორედ ამ მომენტის გამო მეფემ თავი ჩაჰქინდრა. რატომ? ეს არ არის, როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, ბუნებრივი რეაქცია გიორგის ტემპერამენტის კაცისა და მუასაუკუნოვანი მეფისათვის. გინდაც ის მცირე ინფორმაცია, რომელიც ჩვენ უკვე მივიღეთ ნაწარმოებიდან, სხვა რეაქციას მოითხოვს. თავისი პოლიტიკის ენერგიულად და მიზანდასახულად გამტარებელი მეფე, ყველაფრის მომლოდინე, მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში მყოფი, ძლიერი ხასიათისა, ხმალივით მზერის პატრონი. უეცრად იგებს სერიოზული ამბოხის ამბავს სარწმუნო წყაროდან. მამამზე, ერთ-ერთი საგულისხმო მოთავე ამ საქმისა, იქვეა, სასახლეში. სპასალარი წინ უზის, გამზადებული. მოსალოდნელია, რომ მეფე აფეთქდება, განრისხდება და იქვე გასცემს ბრძანებას. მაგრამ არა, მან თავი ჩაჰქინდრა.

აქ ორი ფაქტორი მოქმედებს, ერთი, რომ ის გიორგი პირველია, განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი მეფე, რომელსაც არ შეუძლია სახელმწიფო საქმეში არჩევების უფლება მისცეს საკუთარ თავს. მეორე, რომ საქმე ეხება მამამზე ერისთავს, ე. ი. აქ პირადული მომენტის გამო უნდა ამოქმედდეს მეფეში მჯდომი ადამიანი, დაიწყოს მეფე გიორგის ხასიათის შინაგანი გაორება, რაც მის განუყოფელ თვისებას წარმოადგენს და განაპირობებს მის ტრაგიკულ ბუნებას.

პირველი ვითარება, გიორგი პირველის განსაკუთრებული მდგომარეობა, მჭიდროდ დაკავშირებულია ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბების სურათთან, რომლის სათავეებსაც ეძიებს გამსახურდია წინამდებარე ნაშრომში და ამიტომ ამ საკითხის გაშუქება მთელი ნაწარმო-

ბის მანძილზე ხდება. ჩვენ მას ცოტა მოგვიანებით დაწვრილებით განვიხილავთ.

მეორე ვითარება, მეფის განსაკუთრებული დამოკიდებულება მამამზესთან, ავტორს აქვე აქვს ნაწილობრივ განმარტებული, რათა გიორგის შინაგანი გარღვევა თავიდანვე დასაბუთებული იყოს და მეთოდის მეხამე ხაფებური ბოლომდე დაიტვირთოს პრობლემის მთელი სიმძიმით.

ვინ არის მამამზე ერისთავი?

ავტორი გიორგის მეშვეობით (რათა გმირისეულ განცდას მკითხველმა უშუალოდ გაადევნოს თვალი) უბრუნდება მამამზეს პირველ კადრს. „ჩაფიქრებულ გიორგის თვალწინ დაუდგა მამამზეს თვალების ყ ა ლ ბ ი ციმციმი“. ადრინდელი გაუცნობიერებელი უნდობლობა და ეჭვი, ფაქტების გაცნობის შემდეგ მეფეს უკვე უფლებას აძლევს მეხსიერებაში აღდგენილი სცენა, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე, ჭეშმარიტი სახით წარმოიდგინოს (სატარველაზდილი). ამიტომაც გაჩნდა „ყალბი“ ციმციმი. შემდეგ: „ნუთუ მამამზე იყო იგი, თუ სატანა ჩასულოდა მას გვამში?“ ასეთი ძლიერი შედარება, „სატანა ჩასულოდა გვამში“, გვიჩვენებს, თუ რამდენად წარმოუდგენელი იყო მეფისათვის ღალატი და ხიყალბე მამამზეს მხრიდან.

რატომ იყო ეს წარმოუდგენელი?

„მერე ვინ“? უკვირს ავტორს მეფის სიტყვებით. ეს ამძაფრებს დამოკიდებულებას სიგნიხადში.

აქ აიშალნენ მეფის მოგონებანი და გვაცნობენ მამამზეს ცხოვრების წარსულ გზას, მის ხასიათს და დამოკიდებულებას სამეფო ტახტისადმი.

მამამზე ჯერ კიდევ გიორგის მამის, ბაგრატ კურაპალატის განუყრელი მეგობარია. ბუნებრივია, იგი იქნებოდა ყმაწვილი მეფის უახლოესი მრჩეველი და დამხმარე მამის სიკვდილის შემდეგ. მართლაც, განძის ამირასთან ომებსა და შირიმნის ბრძოლაში გიორგისთან ერთად მრავალი ჭირის გადამხდელი ყოფილა.

ერთგულება დაუმტკიცებია გიორგის მეფობის პირველსავე წელს: როცა „განდგა ქვეყანა პერეთ-კახეთისა და ლადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იყვნენ ერისთავნი“, „მ ა მ ა მ ზ ე უ დ გ ა  გ ი ო რ გ ი ს  მ ხ ა რ შ ი“.

ამას მოსდევს უფრო კონკრეტული და მეტყველი მოგონება, თავდადებისა და სიყვარულის მოწმობა. „...ნიალის ველზე... ბერძენმა ცხენი გამოუკლა მეფეს და მარჯვენა წვივი გაუგმირა შუბით. ისკუპა მამამზემ ცხენიდან, ბალღივით აიყვანა ხელში ჭაბუკი გიორგი, საკუთარ ცხენზე შესვა, ხმალს ხელი გაივლო და ისე დაიფრინა მტერი, შავარდენი დარევიათ ლაღლათა გუნდს“. და აქვე. სრულიად საწინააღმდეგო, დაუჯერებელი ამბავი, „ი გ ი ვ ე  მ ა მ ა მ ზ ე  დ ღ ე ს  უ რ ც ხ ვ ა დ  ე რ თ გ უ ლ ე-



ბ ა ს  ე ფ ი ც ე ბ ო დ ა“. აი, მო[illegible] ცარი წინააღმდეგობრიობა ად[illegible]ვის, გიორგისათვის. აქ კარგად ჩანს, რომ ამ ამბოხში მამამზეს მონაწილეობა მასში შინაგან წინააღმდეგობას იწვევს. ეს სავსებით გასაგებია. ეს არის პირადი, ადამიანური დამოკიდებულება პრობლემასთან.

ავტორი იქვე ეხება გიორგის მეფურ, სახელმწიფოებრივ მიდგომას ამავე საკითხთან. მეფე გულუბრყვილო როდია და ადამიანური სიმპატია ხელს არ უშლის ობიექტური სინამდვილის ცოდნასა და ანალიზში. მეფემ იცის მამამზესა და მისი ვაჟის, ჭიაბერის დამოკიდებულება ქრისტიანულ რელიგიასთან. ისინი გულით ქრისტიანები არ არიან, კერპთაყვანისმცემლობას მისდევენ. მეფემ იცის, რომ მათ, ერისთავ კოლონკელიძესთან ერთად, მის წინააღმდეგ პირი აქვთ შეკრული. კოლონკელიძეც მთის ერისთავია, და ეს მით უფრო სახიფათოდ ხდის ამ კავშირს. მთის წარმართი მოსახლეობის ამბოხი სარჩულად რელიგიურ წინააღმდეგობას იყენებს და განსაკუთრებით მძიმე ვითარებას ქმნის სახელმწიფოში, დაუნდობელ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, ყოველივე ამის უკან გააზრებული ჩანაფიქრია. კოლონკელიძის ერთადერთი ქალიშვილი და მემკვიდრე, მამამზეს ვაჟის, ჭიაბერის საცოლეა. ამრიგად, პერსპექტივაშია წარმართული მთის დიდ სამთავროდ გაერთიანება ერთი მფლობელის ხელში, რომელიც ამავე დროს ძლიერი პირადი თვისებებითაც გამოირჩევა. ამიტომ მეფეს ეჭვი არ ეპარება, რომ ეკლესიების შემუსვრა მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვას მოასწავებს. გაზაფხულზე კი მამამზე და კოლონკელიძე დამოუყრდებიან და საერთო ძალით შეუტევენ მეფეს. ეს ძალიან საშიში მტერია, რომელსაც საქართველოს მეფე ასე ადვილად ველარ დაიმორჩილებს, თუ კი ის გაერთიანებას მოასწრებს.

მეფეს ეჭვი არ ეპარება, თუმცა ზუსტად არ იცის, რომ ასეთი ხასიათის შინაურ აშლილობას უთუოდ გარეშე მხარდამჭერიც აქვს. იგი ფიქრობს, რომ ეს მხარდამჭერი შესაძლოა იყოს ტფილისის ამირა ან ბიზანტიის კეისარი, ან კიდევაც ორივე ერთად, ამასაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

მეფისათვის ცხადი ხდება მამამზეს ღალატის ნამდვილი მიზეზი: „დასაზვერად ჩამოსულა“. მას შეუძლია დღესვე თვალები დასთხაროს მამამზეს და ჯარი მიუსიოს აჯანყებულებს, მაგრამ ბიზანტია აფიქრებს, რომელთანაც ჭიაბერს მეგობრული დამოკიდებულება აქვს.

„გიორგის არა სჩვეოდა დიდ საქმეთა ხელაღებით გადაწყვეტა“. საქართველოს მეფეს ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში ამის უფლება არა აქვს. ეს კი, როგორც ვნახეთ, ძალიან დიდი საქმეა. ამიტომაც დასთქვეს სპასალართან („გულ-

დონჯი მრჩეველია“). მხოლოდ მეორე დღეს გამოლაპარაკებოდნენ მამამზეს, ნადირობისას, ამავე დროს ხალხი გაეგზავნათ მთაში და გაეგოთ, ვინ ურევდა ამ საქმეში ხელს გარეშე მტერთაგან, ამირა თუ კეისარი?

ეს მეორე დღე პირველი ნადირობის სცენაა. სცენა სულ ხუთ გვერდს მოიცავს. ეს ნაწარმოების მეორე თავია. სცენა გვიხატავს გიორგის ფიქრებს, განცდებს და იწყება მეფის რთული, საინტერესო ბუნების ჩვენება, რომელშიც ორი საწყისი ებრძვის ერთმანეთს — მეფური და ადამიანური. ფონად ნადირობა გვაქვს.

ნაწყვეტი დაწერილია ლაკონურად, მკაცრად, გაჟღენთილია მძაფრი შინაგანი დინამიზმით.

დილაა, ამინდი გაფუჭდა. წვიმს. აცივდა. გიორგის სულიერ სატკივარს ფიზიკურიც ერთვის და ამძაფრებს. ნაჭრილობევი ფეხი ასტკივდა. თანაც არ უძინია, მაგრამ „წინაპართა წესის დარღვევა არ ისურვა“ და მიდის სანადიროდ.

წყნარად და ზუსტად დახატულია ეთიკეტით გათვალისწინებული სამზადისი. ყველაფერი მზად არის, გიორგის შინაგანი მდგომარეობა მხოლოდ ერთი ფრაზით არის მინიშნებული — „ცხენს მათრახი სწყვიტა“ (და არა — ცხენი დასძრა, მათრახი შემოჰკრა ან დეზი ჰკრა).

კინოკადრებივით გაირბენს ნადირობის დასაწყისი. სამი აბზაცი — მარეკთა ხმაური, ძაღლების ყეფა, ხევი, გაუვალი გზა.

ფეხის ტკივილმა უმატა გიორგის. მეტი არაფერია ნათქვამი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შინაგანი დუღილი გაორკეცდა.

შემდეგ საინტერესო დეტალი მამამზეს სახის გამოსაკვეთად — წამოიჭრა საკითხი: როგორ გასდიონ ნადირს. „მამამზემ რჩევა მიაწოდა მეფეს“ — აქვს ამისი უფლება, როგორც ჩანს, უფრო მეტიც, „რჩევა გაიზიარეს“. ავტორიტეტია.

ნადირობა გრძელდება. ხევს მიუახლოვდნენ. ნადირი გამოჩნდა. ლამაზი სცენა: მეფემ მოჰკლა — მამამზემ მოართვა. აქვე, ხაზგასმით, მამამზეს სანდომიანი გარეგნობის შესახებ.

ისევ ნადირი. დევნა. საინტერესო დეტალი: გიორგის ჩამოხტომა უნდა, მამამზე არ ანებებს, ფეხი უარესად გეტკინებაო, ბაგრატის სულს აფიცებს, ნუ იქმო (ზრუნავს გიორგიზე — მიჩვეულია).

მეფე დინჯად იჯდა და შესცქეროდა მამამზეს თვალებს (აკვირდება).

„მამამზეს მუდარაში იმდენი სიწრფელე და მამაშვილური რუდუნება ისმოდა, გაოცდა გიორგი“.

გიორგიმ იცის ფაქტები, მაგრამ გულს დაჯერება არ უნდა. შესცქერის ტახტის მოღალატე მამამზე ერისთავს, მაგრამ სულ სხვა ადამიანს ხედავს: მამის მეგობარს, საკუთარ თანამებრძოლს, ძველ მამამზეს, წრფელს, [illegible] მის კარგად ნაცნობ მშვენიერ [illegible] გარეგნობას, სიერთგულის განსახიერებას, სანდოს, მზრუნველს, ხალისიანს და უნდა, რომ შებრუნდეს ყველაფერი.

ღელავს. გულმოდგინედ ეძებს პირველ სიტყვას.

ეჭვი ეპარება ფაქტებში — იმედიანად უნდა, რომ ასე იყოს. ეგებ სტყუოდნენ, ცილსა სწამებდნენ და მამამზე უბრალო იყოს. აი, მკითხავს მარტოს, მამაშვილურად, ძმურად, ხმაზე და სახეზე ხომ შეატყობს სიმართლეს (ასეთ გულწრფელ, პირდაპირ კაცს, აბლობელს). იქამდისაც კი მიდის, იქნებ საკუთარი შვილის, ქიაბერის სამხელად ჩამოვიდა!!! მის გულში ტრიალებენ ტკბილი და მწარე სიტყვები. არა, ფაქტებს ვერ წაუვა! და იქვე: მოხუცია, სტუმარია, ნიალის ველი, ბასიანი, ფანასკერტი, ბაგრატის მეგობარი, მის ხელში დალია სული.

და ბოლოს სასოწარკვეთილი, ყოველგვარ საბუთისა და ფაქტის ეჭვის ქვეშ დამყარებული და თან საშინელი კითხვა: „ნუთუ იგივე ხელები ლესავენ გიორგის წინააღმდეგ მახვილს, იგივე ხელები, რომელთაც გაპატიოსნეს ბაგრატის ცხედარი“.

„ეს ყოველივე სდუღდა გიორგის გულში და სიტყვა ვერ ეპოვნა მას, სიმძიმილის გამოსათქმელი“. და აქვე, გამწარებული, ბოღმით აღვსილი, ნადირობაში ერთვება: ც ხ ე ნ ი  შ ე ა გ დ ო,  მ შ ვ ი ლ დ ი  მ ო ზ ი დ ა,  მ კ ე რ დ შ ი  ჰ კ რ ა (ფიზიკური ქმედება შინაგანი ცეცხლის რიტმს ემორჩილება). თან სიჭაბუკე სძლევს, აზარტში შედის, ცხენდაცხენ გასდევს დაჭრილ ნადირს; გადმოხტება, კვლავ ესვრის. მხეცი გარბის. გიორგი გულნატკენია, ფეხის გამო ვერ მისდევს გაქცეულს.

მამამზესათვის ვითარება აშკარაა. გიორგის გული დასწყდა. დაუფიქრებლად წაეშველება და გიორგის თვალში ეს ისევ ძველი სურათის გამეორებაა: „ისკუპა ცხენიდან მამამზემ, ს წ ო რ ე დ  ი ს ე ვ ე  მ ა რ ჯ ვ ე დ, როგორც შირიმნის ბრძოლაში და ჭაბუკური ხალისით გადაეშვა უფსკრულისაკენ“.

გაჰყვა მამამზე დაკოდილ დათვს და გაუჩინარდა.

მეფემ მოიხმო მონადირენი, გაჩხრიკეს არემარე, მაგრამ ამაოდ. ვერც დათვი იპოვეს სადმე და ვერც მამამზე.

მ ე ფ ე მ დაიმარტოხელა სასახლარი და ასე შეაფასა მამამზეს გაუჩინარება: გაგვეპარაო მთავარი ნადირი, თანაც გულში თავის სიჭაბუკესა და გამოუცდელობას ქენჯნიდა მწარედ (ავტორის კომენტარი).

ბოლოს მიაგნეს დათვის მიერ დატორილ მამამზეს. გ ი ო რ გ ი ფრიად დაალონა ამ ამბავმა. ზვიადს გამოუტყდა: ის მერჩია გაპარულიყო, რადგან ქიაბერს ვერავინ დააჯერებს, რომ ეს

შემთხვევით, ნადირობისას მოხდაო (ეს დამაჯერებელი არ არის, განა მეფეს ეშინია ქიაბერისა, რომელსაც თვითონ უნდა ჰქონდეს მეფის შიში, როგორც მოღალატეს? საქმე შემდეგში მდგომარეობს: გაპარვით საქმე თავდებოდა, ახლა კი საჭიროა ზომების მიღება, რაც გიორგის არ სურს, ვერ იმეტებს მამამზეს. მაგრამ ამას ზვიადს ვერ ეტყვის, და ამიტომაც ასეთი არადამაჯერებელი, სუსტი საბუთი მოაქვს — ქიაბერი რას იფიქრებსო?).

მამამზე სასახლეში გადაიყვანეს და ექიმები დაასხეს.

ახე მთავრდება პირველი ნადირობა.

დიდებულ-ერისთავთა ოპოზიციის მოთავე, მამამზე ერისთავი, მის ბნელ საქმეთა მიუხედავად, მომხიბლავ პიროვნებად არის დახატული და მკითხველის დიდ სიმპათიას იმსახურებს. ასეთია ავტორისა და მეფე გიორგის აზრიც. თუ გავიხსენებთ, რომ ამ ფაქტის, ჩვენი საერთო შთაბეჭდილების უკან რთული და წინააღმდეგობრივი სინამდვილე დგას, დავრწმუნდებით, რომ ასეთი მხატვრული ეფექტი ტექნიკურად ძნელი მისაღწევია და დიდ ოსტატობას მოითხოვს. ვნახოთ თუ როგორ აკეთებს ამას მწერალი და, რაც მთავარია, რისთვის?

მივყვეთ მეთოდის ჩვენს მიერ მიღებულ მოდელს: ფ ა ქ ტ ი — მამამზე ერისთავი ხელმწიფეს ღალატობს. ა ვ ტ ო რ ი ს კ ო მ ე ნ ტ ა რ ი — მამამზე მოღალატეა და მეფემ ეს იცის, მაგრამ ზომებს არ იღებს, უნდა კარგად დარწმუნდეს. მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა — გიორგი დარწმუნდა, რომ მამამზე ნამდვილად მოღალატეა, მაგრამ ვერ გასწირა და გაუშვა. მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს დ ა ს კ ვ ნ ა — მამამზე მოღალატეა, მეფე შეცდა, რომ გაუშვა, მაგრამ ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ საქმე ასე დამთავრდა.

შეჯამება: მამამზე უდავოდ მოღალატეა, მაგრამ ავტორიც, მეფეცა და მკითხველიც მას მოუხიბლავს (ჩვენ მოგვწონს მამამზე, ფაქტების დადასტურებამ აზრი ვერ შეგვაცვლევინა). ამას ავტორი შეგნებულად ჩადის. ცხადია რომ მეტყველი ფაქტის განხილვიდან სწორი დასკვნის გამოტანა, რასაც ნაწარმოებში ვხედავთ, მკითხველს მამამზესადმი სიმპატიას არ უნდა უჩენდეს. უდავოა, რომ ფაქტსა და დასკვნას შორის მოქცეულ ორ ფაზაში ავტორმა როგორც თავისი, ისე გმირის მეშვეობით შესძლო ისეთი დამატებითი ინფორმაციის მოცემა მამამზესთან დაკავშირებით, რომელმაც წარმოშვა, ამ, ერთი შეხედვით, სრულიად მარტივი პრობლემის და მასთან დამოკიდებულების სირთულე (როგორც გმირისა და ავტორის, ასევე ჩვენი).

ეს ყველაფერი მწერალს სჭირდება, რათა ჩვენ მთელი სიცხადით ვიგრძნოთ ამ პრობლემის (მეფე და დიდებულები, [illegible] დიდებულებთან) მნიშვნელოვან[illegible] მისი სირთულე, რასთანაც უხდება ბრძოლა გმირს. ვნახოთ როგორია ეს ინფორმაცია და როგორ გვაწვდის მას ავტორი მხატვრულად (ე. ი. ამ პრობლემის მხატვრული სირთულე და მისი მიზეზის დაძებნა ავტორისეული ჩანაფიქრის ამოკითხვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს).

განხილული მონაკვეთი, პირველი ნადირობა, ეთმობა — კონფლიქტს მეფესა და დიდებულებს შორის. დიდებულთა მხრივ კონფლიქტის მთავარი გამომხატველი ფიგურაა მამამზე ერისთავი. ნაწარმოების პირველივე თავიდან მამამზე წარმოგვიდგება ხელმწიფოსა და ტახტის მოწინააღმდეგედ, ამბოხის თავად, მეფის მტრად და მოღალატედ. მეფემ ეს ყველაფერი იცის. მაგრამ არ უნდა, რომ ასე იყოს. ამასთან დაკავშირებული შინაგანი ბრძოლა და განცდები კარგად ჩანს პირველი ნადირობის სცენაში. მაგრამ ფაქტს ვერ წაუხვალ. მამამზე მოღალატეა და მეფე იძულებული ხდება ეს აღიაროს. მაგრამ მამამზეს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მეფე გამუდმებით ინდობს მას (ამას შემდეგ ვნახავთ). ამავე დროს გავითვალისწინოთ პრობლემის სიმწვავე, მეფის პრინციპულობა მტრებთან ბრძოლაში, მისი დაუნდობელი ხასიათი (შეადარე კოლონწყელიძის დასჯას, ქიაბერის მოკვდინებას და სხვა). გიორგის, როგორც ჩანს, ძალიან უყვარს ეს ადამიანი და დარწმუნებულია მამამზეს ასეთსავე დამოკიდებულებაში. ამიტომაც ვერაფრით ვერ გასწირა, სანამ მამამზემ არ შეურაცხყო იგი (საინტერესოა აგრეთვე, რომ მამამზესაც ყოველთვის პატივის იმედი აქვს, თვით უკანასკნელი ამბოხის მერეც კი, და სასჯელი მოულოდნელად მოუჩანს).

იბადება კითხვა — რატომ? რა არის მიზეზი მათი ასეთი, განსაკუთრებული დამოკიდებულებისა?

რაც შეეხება გიორგის, ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ გარდა სახელმწიფოებრივი მოსაზრებისა (განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი მეფეა და სახელმწიფო საქმეში აჩქარების უფლება არა აქვს), აქ მოქმედებს პირადი ფაქტორი. პირველი, სახელმწიფოებრივი მოსაზრება მოიხსნა, გიორგიმ შეამოწმა და დარწმუნდა, მაგრამ მამამზეს ბედი მაინც არ დატრიალდა უკუღმა, რასაც უკვე მთლიანად მეორე მოსაზრებას უნდა ვუმადლოდეთ.

გიორგის საქციელის გამომწვევ მოტივებს ჩვენ უკვე გავეცანით. ახლა განვიხილოთ მამამზეს პოზიცია და მისი მამოძრავებელი მოტივები, გავეცნოთ მის ბუნებას და ფსიქოლოგიას.

მთელი რიგი ფაქტების საფუძველზე ჩვენ უკვე ვიცით მამამზეს პორტრეტი. ეს არის დიდი პიროვნება და დიდი ვაჟკაცი. ქვეყნისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისათვის ბევრი სამსახური გაუწევია. მისი საქმენი და მისი პიროვნება საზოგადოებრიობის აღტაცებას იწვევენ, ამიტომაც დამსახურებული სახელითა და პატივისცემით სარგებლობს ყველას თვალში. წლების მანძილზე სახელმწიფოს ერთ-ერთი ბურჯია. ახლა კი მას ამბოხის სათავეში, მეფის მოღალატედ ვხედავთ. თანაც რომანიდან არ ჩანს, რომ მას ეს ამბავი მაინცდამაინც აწუხებდეს. სინდისი არ ქენჯნის. არადა ასეთი კაცი არ არის (მთელი მისი დახასიათება ამას გვარწმუნებს). რა ხდება?

როგორც ჩანს, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ეპოქა, რომელიც ქმნის მთელ ამ გაუგებრობას. გიორგი თავისი შეგნებითა და პასუხისმგებლობით ახალი ეპოქის მეფეა. იგი ახალი, ერთიანი სახელმწიფოს მეთაურია და მისი ბედ-იღბალი აზარია. იგი იდეის მემკვიდრეა და მისთვის ეს იდეა რეალობაა. ერისთავების შეგნება ამ დონეზე ვერ დგას. მათი ფსიქოლოგია საუკუნეობით ჩამოყალიბებული შუასაუკუნოვანი მთავრების ფსიქოლოგიაა, რომლის შეცვლას თაობები სჭირდება (საქართველოს ისტორიის სინამდვილეში ეს განუხორციელებელი აღმოჩნდა). მით უფრო, რომ მამამზესა და მისთავრებს არავითარი მისია არ აკისრიათ ამ დიდ საქმეში (შდ. იოანე მარუშისძე). მათთვის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არსებობს: პირადი, საკუთარი ინტერესი (ამას ჩვენ კარგად ვნახავთ კოლონკელიძის მაგალითზე). ქრისტიანული რელიგია და მორალი ამ შემთხვევაში ვერავითარ შემაკავებელ ძალად ვერ გამოდგება: ოპოზიციონერი დიდებულები რელიგიას მხოლოდ პოლიტიკურ ძალად სთვლიან და, რაც მთავარია, მათი სამთავროები წარმართულია. ისინი ძირითადად მთის ერისთავები არიან.

ამიტომ მამამზე თავს თავისუფალ კაცად სთვლის. იგი საკუთარი ნებით ეყმო ბაგრატ III (როგორც ჩანს) და ერთგულად მსახურებდა მას, შემდეგ კი გიორგის, რომელიც გულწრფელად უყვარს (ფაქტია, რომ მამამზე გიორგის ერთ-ერთი გამზრდელი და ახლო მრჩეველია, თანაც რაინდის გარკვეული იდეალი კაცურ, საგმირო საქმეებში. მაგ. „მამამზე ერისთავს იმდენივე ომი ჰქონდა გადახდილი, რამდენი წელიც დაეყო ამქვეყნად, მაგრამ ხიკვდილის წინაშე შიში უცნობი იყო მისთვის“).

მაგრამ, როგორც კი მამამზე ნახავს, რომ მის საკუთარ შვილს კარგი პოლიტიკური პერსპექტივა უჩანს („არხეგოსია“, კეისარი მხარს უჭერს, ფეხა აღმოაჩნდა, ოვსები დაიპყრო, დიდი მეომრისა და ვაჟკაცის სახელი აქვს დავარდნილი მთაში, კოლონკელიძის მემკვიდრეც უნდა გახდეს, ცბიერი პოლიტიკოსი ჩანს), იგი სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს შვილის ინტერესებისათვის ბრძოლას. სახელმწიფო ინტერესები ამის გარეშე არ არსებობს. თავს მოღალატედ არა თვლის. როდესაც დამარცხდება. მეფეს შენდობას თხოვს არა როგორც სახელმწიფო დამნაშავე, არამედ როგორც წაგებული პარტნიორი (ადამიანური დამოკიდებულების იმედი აქვს).

გიორგიც მზად არის ამ დამოკიდებულებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ინტერესები სხვას მოითხოვენ. შინაგანად იგიც არ თვლის მამამზეს ცუდ ადამიანად, მოღალატედ, მაგრამ სახელმწიფო და მეფე მის თვალში ერთია და მეფე ვალდებულია ადამიანურ სიმპათიაზე მაღლა საქვეყნო ინტერესები დააყენოს.

ხასიათი ბევრ რამეში მოუგავთ. გიორგის ხიბლავს მამამზეს ვაჟკაცობა და სიკისკასე — ასეთი თვისებები მის თვალში მოღალატეს არ შეიძლება ჰქონდეს. გულით უნდა, რომ მამამზე უბრალო აღმოჩნდეს.

მამამზესაც წამდაუწუმ ავიწყდება პოლიტიკა. ადამიანური საწყისი იწევს წინა პლანზე. ეშინია, ფეხი არ ეტკინოს გიორგის, რომელიც უკვე სასიკვდილოდ ჰყავს გამეტებული. ნანადირევს მოურბენინებს, უხარია მისი სიმარჯვეჟინს აყოლილი, დაკოდილ დათვს მისდევს, მეფეს გული არ დასწყდესო. თვალზე რომ ცრემლს დაუნახავს, ირწმუნებს, ჰყვარებიაო ჰიაბერი და სხვ.

## ნადირობა მეორე

ამ დროისათვის ჩვენ უკვე გავეცანით ქვეყნის მდგომარეობასა და ახევე მოქმედ პირთა უმრავლესობას.

ქვეყანაში კვლავ შედარებითი სიმშვიდეა, მოქმედების ფოკუსმა კვლავ მცხეთაში გადმოინაცვლა, სადაც უკვე თავი მოიყარა ყველა მთავარმა გმირმა. ახლა ავტორი ნიადაგს მომზადებულად თვლის რომანის მხატვრული სიმბოლოს, სვეტიცხოვლის შემოსაყვანად, მისი შენების პროცესის საჩვენებლად და გმირთა ბედს უკვე უშუალოდ უკავშირებს ნაციონალური სულის განვითარების ამ უდიდეს ორიენტირს.

ავტორი კვლავ უბრუნდება ამოსავალ წერტილს — ეროვნულ ხასიათს. ჩვენს წინაშეა განმახორციელებელი — გიორგი მეფე. მძიმე ვალდებულების თავისდაუნებურად მატარებელი, მაგრამ ამ მისიისათვის შეუფერებელი თავისი ბედითა და ბუნებრივი ადამიანური მონაცემებით. მაგრამ ამავე დროს მოვალეობის გარდუვალობის შეგნებით დაჭილდოვებული და ამიტომაც ტრაგიკული, განწირული ადამიანი.

„გიორგი პირველს თორმეტი წლისას დაადგეს სამეფო გვირგვინი თავზე“ — გვეუბნება ავტორი და დასძენს — „სათამაშოების ნაცვლად სკიპტრა შეაჩეჩეს ხელში“. პირველი წინადადება ისტორიული ფაქტია, მეორე — ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორისეული კომენტარი. ჩვენთვის ცხადი ხდება, რა შეეძლო გიორგის და რა დააკისრეს. ბუნებრივია, ასეთი მეფე შორსმჭვრეტელი საგარეო პოლიტიკის გამტარებლად არ გამოდგებოდა. ასეც მოხდა. „ადრიან სიყრმეში შეება კეისარს პირველად“. ეს „ადრიანი სიყრმე“ რომ არა, იმდროინდელი საქართველოს მეფე ასე ხელაღებით როდი გადადგამდა ამ ნაბიჯს. „პირველად“ მიგვანიშნებს იმას, რომ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. ეს პირველი შეტაკება მოსალოდნელი მარცხით დამთავრდა. ამ მარცხს მძიმე შედეგი მოჰყვა. გიორგიმ კეისრის „ნოხს დაადგა ფეხი“, რის გამოც საქართველო ბიზანტიაზე დამოკიდებული გახდა. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა გიორგის მეფობის მიზნად იქცა.

ავტორი შეგვახსენებს იმდროინდელ საბერძნეთისა და საქართველოს საშინაო საქმეთა არეულ ვითარებას, რაც ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა მოქიშპე ხელმწიფეებს პოლიტიკური ინტრიგებისათვის. ასეთ რთულ ვითარებაში ერთი გამარჯვება, უხტიკესთან, გიორგისაც რგებია.

ბიზანტიასთან კონფლიქტმა და შეუნელებელმა უთანხმოებამ გარეშე-პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამდე მიიყვანა ქვეყანა. „ბრძოლის ჟინმა და წართმეული პროვინციების დაბრუნების წადილმა ბიზანტიასთან ხჯულის ერთიანობა გადაავიწყა გიორგის“. საქართველო მაჰმადიანურ აღმოსავლეთთან აბამს კავშირს („ბრძოლის ჟინი“, „წადილი“, მორჩმეული ხელმწიფის პოლიტიკის დახასიათებას არ შეიძლება წარმოადგენდეს. ავტორი ხაზს უსვამს გიორგი მეფის უმწიფარობას საგარეო პოლიტიკის სფეროში).

ასეთი, ჟინსა და წადილს აყოლილი საგარეო ურთიერთობა მძიმე გამოძახილს პოულობს საშინაო პოლიტიკაში. გიორგის „სჯულის ერთიანობა ბიზანტიასთან გადაავიწყდა“, მაგრამ ქართული ეკლესია ასე ვერ მოიქცევა და ეს ვითარება უსიამოვნო ხინჯად იქრება მეფესა და ეკლესიას შორის.

მართლაც, გიორგი ებრძვის კეისარს და მოკავშირედ ეძებს ხალიფა ალ-ჰაქიმს, რომელმაც „...რელიგიური ომი გამოაცხადა ქრისტიანთა წინააღმდეგ. ამას მოჰყვა იერუსალიმის ტაძრის დანგრევა, მონასტრებისა და ეკლესიების გადაბუგვა სინას მთაზე, ანტიოქიასა და ეგვიპტეში“. ე. ი. ალ-ჰაქიმი ქრისტიანობის დაუძინებელი და საშინელი მტერი, გიორგის მოკავშირეა ქრისტიან კეისართან, მართლმადიდებელი სამყაროს წინამძღოლთან ბრძოლაში. გაკიხხენოთ, რომ თვითონ გიორგი ამ დროს აყალიბებს ერთიან ქართულ სახელმწიფოს ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაყრდნობითა და ეკლესიის დახმარებით. ამრიგად, გიორგის საგარეო პოლიტიკა სიოცრად წინააღმდეგობრივ ვითარებას ქმნის ქართული სინამდვილისათვის.

ბუნებრივია, „მელქისედეკ კათალიკოსს დიახაც არ მოსწონდა გიორგი მეფის დაკავშირება სარკინოზების ხალიფასთან, არც თუ ბიზანტიის სამტრო პოლიტიკას იზიარებდა იგი“. ამ ნათქვამს უკან გაცილებით მეტი შეგვიძლია ვიგულისხმოთ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეფესა და ეკლესიას შორის ბრძოლაა. ვიცით, რომ ეკლესიას უკვე ესახება პერსპექტივა მეორეხარისხოვანი როლისა აბსოლუტისტურ სახელმწიფოში. ვიცით, რომ გიორგის „შერყეული ჰქონდა რწმენა“, და გულისყურით ეკიდებოდა აღმოსავლეთიდან (ფარხმანი) შემოსულ მეცნიერულ თუ ფილოსოფიურ სიახლეებს. ამას ამძაფრებს პირადი ანტიპატია ბიზანტიისადმი, ეკლესიური დოგმატიზმისადმი. კათალიკოსისათვის ნათელია, რომ მოვლენათა განვითარება ამ ფონზე, ეკლესიას სასიკეთოს არაფერს უქადის. ამავე დროს ვიცით მისი უდრეკი ხასიათი და ეკლესიის რეალური ძალა, რომელიც ჯერ-ჯერობით მეფის ხელისუფლებას არაფერს უთმობს. აქ ავტორი კიდევ გვიზუსტებს საქმის რეალურ ვითარებას: „მელქისედეკი გარეგნულად ემორჩილებოდა გიორგის, მაგრამ ქრისტეს მოსაყდრეს ურყევად სჯეროდა, რომ „მეფე ქვეყანას ზედა ხელმწიფეა, ხოლო ქრისტე — ზეცისა, ქვეყნისა და ქვესკნელისა“. ამ რწმენით შეიარაღებული, იგი განმკითხველად უდგას მეფეს, ამავე დროს ახლო ნათესავსა და აღზრდილს, და უნდა, რომ ყოველი მისი შეცოდება სჯულის წინაშე ორმაგად აზღვევინოს ქართული ეკლესიის სასარგებლოდ და სადიდებლად; ამით მჭიდროდ შეაკავშიროს მეფე ეკლესიასთან, აღიარებინოს მას ქრისტიანული ეკლესიის ინტერესები უპირველესად. მკაცრად განსაზღვროს მეფის — ღვთისა და მაშასადამე ეკლესიის, ნების მორჩილის — სტატუსი.

მეფე დიდად არის დამოკიდებული ეკლესიაზე (განსაკუთრებით საშინაო მმართველობის საკითხებში) და მელქისედეკიც მოხერხებულად იყენებს ამ ვითარებას (ზოგჯერ პირდაპირ ვაჭრობასთან გვაქვს საქმე). ეკლესიის თანადგომის ერთერთი უცილობელი პირობაა ეკლესიათა მშენებლობა.

აქ ავტორი იღებს ორ ისტორიულ ფაქტს. გიორგის მეფობაში ეკლესიებთან დაკავშირებით უტყუარად ცნობილია, რომ კეისართან პირველი შერკინების დროს (ბასიანის ბრძოლა), ქართველებმა დაწვეს ოლთისის ეკლესია და რომ მიწისძვრისაგან დაქცეული სვეტიცხოვლის ტაძარი ხელახლა აშენდა მელქისედეკ კათალიკოსის თაოსნობით. მეორე ფაქტი ჩვენი რომანის შინაარსს წარმოადგენს, პირველს კი ავტორი იყენებს ამოსავალ წერტილად. გიორგის ადამიანურ ბუნებასთან და კათალიკოსის პოლიტიკასთან აკავშირებს და ძირითად მხატვრულ ქარგად უდებს სვეტიცხოვლის შენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისტორიას, რაც კერძოდ წარმოადგენს წინამდებარე XIX თავს — ავტორისეულ კომენტარსა და მის მხატვრულ ხორცშესხმას — რასაც ჩვენ „მეორე ნადირობას" ვარქმევთ.

გამსახურდია ახეთი კუთხით გვაწვდის მომხდარ ფაქტსა და ეკლესიის ჩარევით აქედან მიღებულ რეზულტატს:

„ქართული ლაშქრის მიერ ოლთისის ეკლესიის შემთხვევით გადაწვას უოველ წელს ხელახლა შეახსენებდა ხოლმე კათალიკოსი მეფეს, ხან მის „ურწმუნოებას" აბრალებდა იგი ამას, ხანაც ალ-ჰაქიმის „წარმწყმენდელ ზეგავლენას". ე. ი. „შემთხვევით" მოვლენას შეგნებით ჩადენილ და თანაც ანტირელიგიური ხასიათის ქმედებად აცხადებს, რათა ურწმუნოებასა და ურწმუნოებთან კავშირი დასდოს ბრალად, და თანაც ამას მუდმივ ხასიათს აძლევს — „უოველ წელს ხელახლა".

ახეთი პოლიტიკა წარმატებით გვირგვინდება. „ოლთისის ნაცვლად სამი საყდარი ააგებინა გიორგის", ე. ი. სული შეუწუხა და აიძულა. მაგრამ ეს არ იკმარა, რადგან „ერთი მათგანი მეხმა დააქცია, ორიც მიწისძვრამ". ამიტომაც ახალ „საფასურს მოითხოვს". ახლა ეს ენადა: „ოლთისის ეკლესიის სამაგიეროდ სვეტიცხოვლის აგების ხარჯები ეკისრნა გიორგის", აქაც იმარჯვებს — „ბოლოს დაითანხმა მეფე". რატომ და როგორ მოხდა ეს მეფის დათანხმება? გიორგი ძლიერი პიროვნებაა და წარმოუდგენელია, რომ კათალიკოსს ახე გაუთავებლად დაუთმოს, თუ ამისათვის საკუთარი მოსაზრებანიც არ გააჩნია. წინამდებარე თვრამეტი თავიდან ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო საქმეებში გიორგი მტკიცეა, ჯიუტი და სხვის ნებაზე არ თამაშობს, სამი ეკლესია და კიდევ სვეტიცხოველი უზარმაზარ ხარჯს და მუშახელს, თანაც დროს მოითხოვს. გიორგის დრო უჭირს — „ხანმოკლე ზავის დროს ხანგრძლივი ომებისათვის ემზადება", რაც დიდძალ ხარჯსა და სამზადისს მოითხოვს — „იმჟამად გიორგას მთელი გულისყური ციხეების შეკეთებისაკენ იყო მიქცეული", რისთვისაც საჭიროა ფული, მუშახელი, ოსტატები, საომარი იარაღისა და ლოდსატყორცნების დამზადებაც დიდძალ ხარჯთანაა დაკავშირებული. ახეთ პირობებში სვეტიცხოვლის მშენებლობის დაწყება, ახე იოლად საკისრებელი საქმე არ არის.

ასეთია რეალური მდგომარეობა, მართალია, კათალიკოსი უოველ ღონეს ხმარობს, და ისიც ვიცით, რომ ეკლესიას დიდი გავლენა აქვს და დაინტერესებულია მეფის სჯულის განმტკიცებაში, გიორგის თანხმობა მაინც ამით ვერ აიხსნება. როგორც ჩანს, გიორგის, საქართველოს ხელმწიფეს, რომელიც „მეფეთ-მეფედ" და „მესიის მახვილად" იწოდება, კარგად ესმის სვეტიცხოვლის ტაძრის აგების კულტურულ-პოლიტიკური რეზონანსი და ზოგადეროვნული მნიშვნელობა. ამიტომაც მაღალ, სახელმწიფო დონეზე წყვეტს ამ საკითხს. ეს ტაძარი სიმბოლოა ამ სახელმწიფოსი, იმ ერის კულტურისა, რომელსაც გიორგი ხელმძღვანელობს, იმ ახალი ეტაპისა, რომელსაც მიაღწია საქართველომ, ამას უნდა მოწმობდეს XIX თავის ისეთი დეტალი, როგორიცაა გეგმებზე კამათი მეფესა და კათალიკოსს შორის. მელქისედეკისათვის ტაძარი მხოლოდ რელიგიური ძლიერების სიმბოლოა და მოითხოვს, რათა მას მკაცრი, რელიგიური ხასიათი ჰქონდეს, უოველგვარ მიწიერებას ანუ „ბიწიერებას" მოკლებული, მხოლოდ ასკეტური ხელოვნება.

გიორგის ძირითადი მოთხოვნა რომანში შემდეგი ფრაზით არის მინიშნებული: „გიორგის დაკვირვებულმა თვალმა მყისვე შენიშნა, რომ ამ გეგმების მიღება მოასწავებდა მიბრუნებას იმ ზეგავლენისაკენ, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებას ორი საუკუნით ადრე დაძლეული ჰქონდა უკვე". ე. ი. გიორგის, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ ერკვევა ხელოვნებაში („დაკვირვებულმა თვალმა"), სჭირდება თვითმყოფადი ქართული ძეგლი, სიმბოლო ეროვნული სულისა.

მაგრამ, გიორგი მეფეში, „დიდოსტატის" გმირში, საინტერესოა ქართული ბუნება და ქართული ხასიათი, და მისი პიროვნების გახსნისათვის ეს მხარე გადამწყვეტია (ეს კარგად ვიცით „პირველი ნადირობიდან") — ამიტომაც, მისი თანხმობა რომ კარგად და გასაგებად იყოს დასაბუთებული, მწერალი კვლავ მისი სულის შინაგან მოძრაობას ირჩევს საჩვენებლად და ამ პირადულ, ბოლომდე გაუცნობიერებელი მიზეზის მხატვრულ გადმოცემას იძლევა XX თავში, რომელიც წარმოადგენს „მეორე ნადირობის" სცენას.

ამ თავში ავტორი იხილავს გიორგის ბუნების არა მეფურ, არამედ ადამიანურ მხარეებს. მისი მიზანია აგვიხსნას და გვაჩვენოს თუ რატომ და როგორ გაჩნდა ავშანიძე გლახუნა.

კ. გამსახურდია ჩამოთვლის ობიექტურ მიზეზებს: „ადრე დააწვა გიორგის ჭაბუკურ მხრებს ომებსა და აჯანყებებში დანთხეული სისხლის კოშმარი". ეს ფაქტი გახლავთ, რომელშიაც ამავე დროს აქცენტირებულია ჩვენთვის საყურადღებო მხარეები, რისი წყალობითაც ხდება ავტორისეული კომენტარის და მკითხველის განწყობილების შემზადება პრობლემის საჭირო კუთხით აღსაქმელად. ფრაზაში ხაზგასმულია, რომ ეს ნაადრევი იყო, რომ გიორგი ჯერ კიდევ ჭაბუკი, ახალგაზრდა იყო და რომ მისთვის, ამ ვითარების გამო, ომებისა და აჯანყებათა მკაცრი სინამდვილე სისხლიან კოშმარს წარმოადგენდა.

შემდეგი ფრაზა მოვლენის განზოგადებულ კვალიფიკაციას იძლევა:

„ცნობილია, ვისაც სიყრმეში არ გაუხარია, ვისაც ბავშვობაში სიჭაბუკე წამოსწევია, ხოლო სიჭაბუკეში შუაკაცობის ტვირთი, მას მარადჟამს თან დაჰყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი“. ე. ი. გიორგის, პირველი ფრაზის შინაარსის მიხედვით, სწორედ ესა სჭირს — მარადჟამს დარდობს გაცდენილ ახალგაზრდობას, იმიტომ, რომ მას „სიყრმეში არ გაუხარია“ და სხვ. სიტყვა „ცნობილია“ გვიჩვენებს ამ მოვლენის გარდუვალობას, ე. ი. ბუნებრიობას, სიტყვა „ვისაც“ გვაძლევს განზოგადებას — „ყველას — ვისაც“.

აქვე მოდის ასეთივე განზოგადებული დასკვნა: „ასეთები (ე. ი. ყველანი) მუდამ ჰკარგავენ წონასწორობას და ყოველთვის იმის ცდაში არიან, გვიან მაინც შეივსონ ეს დანაკლისი როგორმე“. ეს განზოგადება „ვისაც“, „ასეთები“, „ყველას“, „ყველა“, საჭიროა, რათა გვახსოვდეს, რომ გიორგი ჩვეულებრივი ადამიანია, და მისი გაჭირვება ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის, ბუნებრივია.

შემდეგ იწყება დასკვნის დამადასტურებელი დაკონკრეტება, მაგრამ ახლა უკვე კერძო შემთხვევას განვიხილავთ: ზოგადადამიანური, ამავე დროს ბუნებრივი გასაჭირის განსაკუთრებული სიმძიმე, რომელიც დააწვა მხრებზე მეფე-ადამიანს.

„მელანქოლია შეეყარა გიორგის, კაცთმძულვარება შეეპარა მის გულს, ადრე მოსწყინდა მეფის დარბაზობის გრძელი ცერემონიები და ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეთიკეტი“. ამას ზედ ერთვის და ალრმავებს მოვალეობანი: „ჭერ გამზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მოსაწყენი შეგონებანი: „აქ ავტორი გაძლიერების ხერხს ხმარობს და სამივე აღნიშნული პირის შეგონებას იძლევა, თანაც გრაფიკულად აქცენტირებულს:

„მეფე ხარ და ხამს...“ (მზრდელი)
„მეფე ხარ და გმართებს...“ (დედოფალი)
„მეფე ხარ და გევალება...“ (კათალიკოსი)

შინაგანად და თვალნათლივაც მისული ვართ კულმინაციასთან. ამიტომაც ბუნებრივად ვილებთ ავტორის მიერ მოწოდებულ კონფლიქტურ სიტუაციას: „ასეთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი“.

ეს კონფლიქტი გმირის ბუნების გაორების კულმინაციაა, შინაგანი გაბლეჩვის უკიდურესი ფაზა; ადამიანი — მეფე, ასეთია ჩვენი გმირის რთული ბუნება, უარჰყოფს თავისთავში მეფეს.

იწყება „გამოსავლის“ ძიება.

„როგორც კი შემოუტევდა უგუნებობა, აიყვანდა მალემსრბოლს უშიშრაიძეს და ხევსურებისაგან ერთს. გავიდოდა მცხეთიდან (გაურბის ჩვეულ გარემოცვას და ადგილსამყოფელს). საფურცლეს გადაღმა, რომელიმე მუხის ქვეშ მიუგდებდა მონასპათ ცხენს, იხტიალებდა ველად, მუხის გარშემო [illegible] უვლიდა, უვლიდა წრეს და ბუნებაში განმარტოებული ეძიებდა მოოხებას გულისას“.

ამას მოჰყვება უფრო გამიზნული, ლოგიკური და უკვე რეგულარული ნაბიჯი: „წელიწადში ორჯერ, გარკვეულ დროს, სანადირო სეზონის შერჩევით, „ირმის მყვირალობისა და წეროთა გადაფრენის თვეებში“ (ვიცით, რომ გიორგის თაჭდაუწყებით უყვარს ნადირობა, აქ ცხოვრობს ის ნამდვილი ცხოვრებით, აქ იხსნება მისი ბუნება), იცვლის არა მარტო გარემოსა და ადგილს, არამედ საკუთარი თავის შეცვლას ცდილობს; იცვლის გარეგნობას, სამოსელს, ამალის მაგივრად სიყრმის მეგობარი მდაბიორები მიჰყავს — მეზამლე, ბაზიერი და მეჭინიბე — და თვითონაც მდაბიორად გარდაიქმნება — იცვლის სახელსა და ხელობას. ასე იბადება ავშანიძე გლახუნა, კაცი თავისუფალი სამეფო ტვირთისაგან.

სურათი იცვლება. არავითარი მელანქოლია და ხეტიალი, არავითარი გულის მოოხების ძიება: „მთელი კვირა გადაიკარგებოდნენ სიყრმის მეგობრები (ფაქტია, რომ თავს კარგად გრძნობდნენ და არავითარი საზრუნავი არ აწუხებდათ), ნადირობდნენ (ამაზე კარგი რა შეიძლება იყოს გიორგისათვის!) ნარეკვავის ტყეებსა და არაგვის ჭალებში!“ და აქვე ჩვენი კომენტარის დამადასტურებელი ავტორისეული მოწმობა: „საწოლის დარბაზის ბუმბულს მეცხვარეებთან ღამის თევას არჩევდა, მირთმეულ ირმის ცურს — სახელდახელოდ ტყეში შემწვარ მწვადებს. მხოლოდ ასეთ წუთებში სჯეროდა გიორგის, რომ ეს ქვეყანა მარტოოდენ საომრად არ უოფილაო გაჩენილი“ (მეფის პრობლემები, რაც გლახუნას ალარა აქვს!).

ტყეები და ჭალები კი იმ დროს ვრცელ, დაროგორც მცენარეულობით, ისე ნადირით მდიდარ სამყაროს წარმოადგენდა, შეგვახსენებს ავტორი. ე. ი. გლახუნას არდადეგებს შესანიშნავი ასპარეზი აქვს. შემდეგ ავტორი დაჭანცულ მონადირეთა დასვენების იდილიურ სურათს გვთავაზობს: მთის ყური, ტიკი, მოზვრის ყანწი — და იქვე, ისევ პარალელი, რომ რეალობა არ დაგვავიწყდეს: „მხოლოდ ამ ყანწის გამოცლისას არ გაუვლიდა გიორგის სიყრმიდანვე თანდაყოლილი ფიქრი: მოწამლული არ იყოსო ღვინო“. ეს ფრაზა გვაბრუნებს ზემოთაღწერილ მეფე-ადამიანის შინაგან პრობლემებთან. ამას მოსდევს ხელმეორედ ჩამოთვლა ამ პრობლემების გამომხატველი ცალკეული მომენტებისა, ოღონდ უკვე არა მტკიცებითი, არამედ უარყოფითი ფორმით, რამაც უნდა გვაჩვენოს გიორგისა და გლახუნას შინაგანი სულიერი მდგომარეობის განსხვავება გლახუნას სასარგებლოდ:

„არც კარისკაცთა უტიფარი ლიქნა აწუხებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ტყეებში, არც მკვლელი უდარაჯებდა სადმე, არც თუ მომჩივანი ადიოდა მის დანახვისას ხეზე“.

შემდეგ პირდაპირ, ყოველივე გადახვლის გარეშე, ერთი ხელის მოსმით, შევდივართ „მეორე ნადირობაში“. ავტორი ორი სიტყვით გვაცნობს ნადირობის „ისტორიას“. თურმე უკვე სამი დღეა, რაც გლახუნა და მისი მეგობრები სანადიროდ გასულან. წეროების გადაფრენას ელოდებიან; იქვე, მშვენიერი აღწერა ამ სამი დღის მოლოდინისა, სადაც მინიმალური საშუალებებით მაქსიმალურ ინფორმაციას გვაწვდიან; ფრინველთა მოქმედების აღწერა მკითხველს საშუალებას აძლევს თვალნათლივ წარმოიდგინოს კადრი, უქმნის როგორც მხედველობით, ისე სმენით და შეგრძნებით ილუზიას: „წეროების გადაფრენა ჯერ არ იყო დაწყებული, მხოლოდ კანტიკუნტად გაისმოდა გარიყრაუზე მარტოხელა წეროს ყივილი (წეროები ემზადებიან, ერთმანეთს უხმობენ), ლალანებდნენ ჭაობის ბატები (ირგვლივ ჭაობია, ბატების ლალანი ერთგვარი აკომპანიმენტია მონადირეთა მოლოდინისა), ტყის ინდაურები ძოვდნენ ჯეჯილებს (ჯეჯილი აბიბინებულია და მძოვარე ინდაურების სურათიც მოლოდინის სტატიკურობის მოწმობაა), ქილყვავები უხმობდნენ მთებიდან გადმომდგარ ზამთარს“ (სეზონის ფიქსაცია — შემოდგომა ილევა, ზამთარი კარზეა). ეს ყველაფერი ერთ წინადადებაშია.

მეოთხე დღეს იწყება გადაფრენა. სურათი იცვლება. მონადირეთა ქმედება აქტიურდება. „უთენია ადგნენ“. რატომ? „ინათლა თუ არა, წეროების ყივილმა შესძრა მონადირეთა გულები“. ეს ერთობლივი ყივილი, რომელმაც მონადირეთა გულები შესძრა, უკვე გვამზადებს ბუნების სურათის რადიკალური გარდაქმნისათვის. სტატიკა დაირღვა. და მართლაც, „დიდი გუნდი დაჯდა ნამუხვართან“. ნადირობა დაიწყო.

გიორგი წავიდა დავალების შესასრულებლად. მარტო შთენილს რეალურობის შეგრძნება უბრუნდება. „კვლავ შემოესია უსიამო ფიქრები“. ე. ი. მარტოობაში მას არ შეუძლია იყოს ავშანიძე გლახუნა, იგი ვკლავ გიორგია, კვლავ უსიამო ფიქრები აწუხებს და, ბუნებრივია, რომ „მოუნდა ისევ წრის გარშემო ტრიალი“. გავიხსენოთ მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ „გაორების კულმინაცია“ შევარქვით და აქ აღწერილი ძიება „გამოსავლისა“. „მუხის გარშემო წრეს უვლიდა, უვლიდა და ეძიებდა მოოხებას გულისას“. ავტორს სწორედ ამის თქმა უნდა, რომ განმარტოვდა თუ არა, გლახუნა ისევ ამ მძიმე მდგომარეობაში მყოფ გიორგად იქცა და ისევ ამდაგვარი სურვილი მოეძალა თავის უიმედო მდგომარეობის შემცნობს. აქვე, მეტი დამაჯერებლობისათვის, მხატვრული არგუმენტი: „ბატების მთელი გუნდი აუფრინდა ცხვირწინ“, ნალდი მოსაკლავი, და მიუხედავად ამ „ცხვირწინისა“, „ესროლა და დააცდინა“. გლახუნას ეს არ მოუვიდოდა, გიორგისათვის კი ბუნებრივია, მისი შინაგანი აფორიაქების დამადასტურებელია.

ტყის სიღრმეში შეიტყუეს ბატებმა გიორგი (ჭაობი და ჭალა უკან დარჩა). მობეზრდა მათი დევნა. ასე ეგონა, დასცინიანო ბატები ხელმოცარულს (ესეც გალიზიანებას, აღზნებას მოწმობს). უკან მობრუნება დააპირა. გზა დაებნა. მეხრე შემოხვდა. გზა ჰკითხა. გაემართა. ამ დროს ისევ ცხვირწინ აუფრინდა წერო. გიორგის თვალი დეტალურად აღიქვამს მის სილამაზეს, მიუხედავად ცუდი გუნებისა და დაღლისა. ეს საერთოდ მისი ბუნების მანიშნებელია და ამ შემთხვევაში განწყობისაც. სევდა და გამძაფრებული გრძნობადობა, გაღიზიანებული ფსიქიკა. ავტორი თანდათან აძლიერებს აღგზნებული სულიერი მდგომარეობის ფიზიკურ სურათს. ესროლა წეროს. დაჭრა. აღწერა მოკლეა, მაგრამ მწერალი ოსტატურად აგდებს მოქმედების დინამიკას, რათა თხრობის ხელოვნურმა დამძიმებამ გმირის შინაგანი რიტმი გადმოსცეს მკითხველს.

თითქოს აენთო გიორგი. აზარტი მოეძალა. „ასეთი წერო განსაკუთრებით უყვარდა მას!“ უნდა აჩქარდეს. ჩნდება სიტყვები: დაუზოგავად, მიარღვევდა. მაგრამ შინაგანი რიტმი უფრო მძიმდება: დაუზოგავად მიტოპავდა ჭაობებში, მიარღვევდა — წელამდის მოწვდენილ ლაქაშს. ასე ხდება დინამიკის „დამიწება“ და მისი მოჩვენებითი ზრდა სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. ეს ეფექტი ავტორს სჭირდება, რათა მკითხველს თითქმის ფიზიკურად აგრძნობინოს გიორგის სულიერი ძალამიხდილობა, რათა დაგვანახოს, რომ გმირი ჩიხში მოექცა და სუნთქვა უჭირს, რომ მისი ყოველი შინაგანი მოძრაობა, გაბრძოლება ისევეა „დამიწებული“, როგორც ფიზიკური ქმედება ამ სცენაში. ეს აუცილებელია, რომ ამ ძლიერი, გონიერი, გამჭრიახი, განათლებული ადამიანის ჰალუცინაცია, შეძრწუნება, ცოდვის შეგრძნება, და მასშტაბი, რასაც ეს ყველაფერი მის თვალში იძენს (ნაბუქოდონოსორი) მხატვრულად დამაჯერებელი გახდეს.

ამისათვის, რა თქმა უნდა, ავტორს შესაფერისი ბუნების სურათიც მზადა აქვს. როდესაც ბოლოს გიორგიმ წერო მოჰკლა და დაიკიდა ქამარზე, მოქმედება ერთბაშად წყდება. „მიიხედმოიხედა, ეუცნაურა გარემო. თვალუწვდენელი ლაქაშები იყო ირგვლივ, ლაქაშები, ჯაგები და ლიჭიანი“. არ ვიცით, რამდენად ობიექტურია ეს სურათი. მხოლოდ გიორგის თვალით ვხედავთ და მას უნდა ვენდოთ. ის კი სულ მარტოა. თან ძალზე დაღლილი. იხრებიც შემოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია. გვახსოვს როგორი ალგზნებული იყო, ირგვლივ მხოლოდ ნადირთა უცნაური, აჩქარებული და თითქოს უსიამო მოძრაობაა. ასეთ ვითარებაში და ასეთ გარემოში ძალამიხდილი გიორგის მარტოობა არაბუნებრივ, თითქმის არაამქვეყნიურ შთაბეჭდილებას ბადებს.

და სწორედ აქ, ასეთ ფონზე ჩნდება დანაშაულის მოტივი: „...ხედავს: კავკასიონის წოწოლა მწვერვალზე ცეცხლშემოგზნებული ეკლესია აღმართულა, გუმბათამდის მისწვდენია ხანძარი“.

ავტორი გვიხატავს გიორგის მძიმე რეაქციას ამ ჩვენებაზე, და განმარტავს მიზეზს ასეთი ქცევისა. ქცევა კი მართლაც გასაოცარია:

„შეძრწუნდა გიორგი. მუხლი მოეჭრა, საფეთქლებიდან ოფლი გამოსდიოდა“ — ამას სხვაგან ვერსად შეხვდებით. ეს წარმოუდგენელია გიორგის მხრიდან.

თან არ სჯერა, „თვალს მოიფშვნეტს, კვლავ გასცქერის მთას“. მაგრამ ეჭვი არ არის „ლაპლაპებს ცათამწვდენი კოცონი, იწვის „უფლის სახლი“. და აი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, საიდუმლოს გამხსნელი ფრაზა — „ისევე როგორც იმ საღამოს ოლთისში“. აი, თურმე რა აწვალებს გიორგას.

გაფუჭდა კაცი. „პირჯვარი გადაიწერა, თვალები დახუჭა, სამხრეთისაკენ შემოიქცა, მაგრამ აღარ იცის, საით წავიდეს“. დაიძახებს, ეძებს ვინმე სულიერს, მეხრეს ან მონადირეს, გამვლელს. არავინაა.

„მიჰყვება შეძრწუნებული გიორგი ლიჟიანით გაბურდული ჭაობების კიდეს. და ეჩვენება: ქცეულიყოს თითქოს ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფედ, რომელიც კაცთაგან განაძევნა და თივასა სჭამდა, ვითარცა ზროხა, ცვარისაგან შეილება ხხეული მისი, თმანი მისნი ვითარცა ლომთანი გაზდიდდეს, ფრჩხალნი ვითარცა ლომთანი ექცეს იერუსალიმის შემმუსვრელს“.

ეს შედარება საკუთარი თავისა ნაბუქოდონოსორ იერუსალიმის შემმუსვრელთან, გვაჩვენებს განცდის სიძლიერესა და ჩადენილი ცოდვის მასშტაბს მის საკუთარ თვალში.

საშინელი ზემოქმედება მოახდინა გიორგიზე ამ ჩვენებამ. მხატვრული დამაჯერებლობისათვის ავტორი გვაძლევს ორ კადრს. ერთი მისი ფიზიკური მდგომარეობის მაჩვენებელია:

„...ძლივს მიაღწია იფნის პირად სამოსდაფხრეწილმა და ლაფში ამოსვრილმა გიორგიმ. ბირკას მოეცვა თმა-წვერი, ლოყები დაეკაწრა ლიჟიანს“. მეორე კადრი მორალური მდგომარეობის მაჩვენებელია: შთაბეჭდილების უკიდურესი გაძლიერებისათვის, ავტორს აქ საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტი შემოჰყავს გიორგის სიმამაცის შესახებ და გიორგის სიყრმის მეგობრების (ე. ი. იმ ხალხის, ვინც ნაწარმოების მიხედვით ყველაზე კარგად უნდა იცნობდეს ამ ფაქტს) პირით გვაწვდის დასკვნას: „ეუცნაურათ მონადირეებს ფერნაკრთალობა, მეფისა, ბალღობის შემდეგ არ ენახათ ასე შემკრთალი გიორგი — „უშიშარი, ვითარცა უხორცო“.

„გაკვირვება იმდენად ძლიერია, რომ იწყება შეკითხვები“: რა მოგივიდა?“... „ალი ხომ არ შემოგყრია?“... (ეს საყურადღებო შეკითხვაა... „ალი“ გლეხის თვალში არაამქვეყნიური, გრძნეული ძალის განსახიერებაა, რომელსაც ხორციელი სიმამაცე წინ ვერ დაუდგება. როგორც ჩანს, გიორგის ეტყობა, რომ ეს მდგომარეობა ჩვეულებრივი შიშით არ უნდა იყოს გამოწვეული, და ესტატეს შეკითხვა ამას ხაზს უსვამს).

გიორგი ეკითხება მეგობრებს ცეცხლმოდებული ეკლესიის შესახებ. მონადირეთათვის ეს იმდენად უცნაური შეკითხვაა, რომ იქვე მეტყველი დასკვნა გამოაქვთ: „შენ ცუდად ხომ არ გეძინა, გლახუნავ, წუხელ, მოგეჩვენებოდა ალბათ, იმ მთაზე ეკლესიას რა უნდა, შე კაი კაცო?“ ამით მეგობრებისათვის თემა ამოწურულია, ამ საკითხზე ლაპარაკი წყდება. გრძელდება ნადირობა. „წაისაუზმეს მცირედი და აიყარნენ მონადირენი კვლავ“. მაგრამ გიორგისათვის პრობლემა ამით ვერ დაიხურება. ამიტომაც ავტორს შეუმჩნევლად ისევ გიორგიზე გადააქვს ლაპარაკი, მის ადამიანურ თვისებებზე, რათა ჩვენ გვახსოვდეს, რომ მის სულში ახლა მთელი ტრაგედია ტრიალებს. გიორგის ნაჭრილობევი წვივი სტკივა (ჩვენ ჯერ კიდევ „პირველი ნადირობიდან“ ვიცით ეს ამბავი). „ტყეში ლამენათევს და ჭაობებში უსაზმნოდ ნარბენს (მთავარზე, რაც ამ დროს შეემთხვა, სიტყვა აღარ არის ნათქვამი) წვივის ტკივილი განუახლდა გიორგის, აცოდა, „...ჭაობებში ნადირობას წყალში გატოპვა მოჰყვებოდა“. ეს კი მის ფეხს უარეს დღეში ჩააგდებდა. „მაინც დაეთანხმა მეგობრებს“. ე. ი. გიორგი — ადამიანი, მორიდებული, დამყოლი ხასიათისაა, მეფის მდგომარეობა მის ამ თვისებას ხელს არ უშლის.

ჩვენს წინაშეა თავმდაბალი, გულკეთილი, მორიდებული ადამიანი, გულგატეხილი და დაჩაგრული მდგომარეობის სიმძიმით, ალსავსე განცდებითა და სინანულით (ამავე დროს ჩვენ გვახსოვს, რომ მას ეს-ეს არის ჰქონდა ჩვენება, რომელმაც საშინელი დანაშაულის გრძნობა აღუძრა, გულს ვერავის უხსნის).

აქ ავტორს შემოჰყავს ბუნების სურათი. ნაზი და ოდნავ სევდიანი, გლახუნას განწყობის შესაბამისი. „შემოდგომის წყნარი საღამო იყო. კავკასიონის მწვერვალებს ღრუბლების უბეში შეეყოთ თავი, გახიდულიყვნენ ცასა და მყარს შორის მთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისლი დგებოდა არაგვის ჭალებიდან, ფერხთით ცფრინებოდა იისფერ კორდებს".

განწყობა შექმნილია. ახლა ავტორი კვლავ ფოკუსში ათავსებს გიორგის. ეს ხდება ძალდაუტანებლად და არაპირდაპირ, მონადირეთა მეშვეობით: „უგუნებობა შეამჩნიეს მეგობრებმა გიორგის". ამავე დროს ეს ხერხი გამოყენებულია მათთვის ინიციატივის გადასაცემად. იწყება რემინისცენციები. მეგობრები იხსენებენ სიყრმის უდარდელ, ტკბილ წუთებს. გიორგი ნაღვლიანად ეხმაურება, ავტორი კომენტარით აღრმავებს სევდიან განწყობას და იწყებს მხატვრულ გადამღერებას დასაწყისში განცხადებული თემისა — „ვისაც სიყრმეში არ გაუხარია"...

ქიტესა — „გახსოვს ჩვენს ბიჭობაში... იმ რიყეზე".

გიორგი — „როგორ არ მახსოვს, ქიტესა, მახსოვს".

ავტორი — „ნაღვლიანად მიუგო გიორგიმ და თვითონაც გადახედა არაგვის ნაპირებს, თ ი ქ ო ს მ ა ნ დ დ ა რ ჩ ე ნ ი ა თ ს ი ყ რ მ ე".

ნაწყვეტი მთავრდება ესტატეს დახვნით: „ეჰ, იმ წეროებსავით წავიდა ჩვენი სიჭაბუკე არაგვმა". და აქვე გიორგის თითქმის შეუმჩნეველი, ჰაერში გამოკიდებული შეკითხვა: „არაგვმა, თუ დრომ"? აქ უეცრად, ესტატეს შეკითხვით, შუა წინადადებიდან, თხრობაში შემოდის ახალი პერსონაჟი, ახალი სახე. ავტორს ისე აქვს წარმოდგენილი ეს სცენა, რომ არსაკიძის გამოჩენა მოქმედ პირებს ერთგვარ ჰალუცინაციად, ახალ ჩვენებად ესახებათ, რაც ეხმაურება გიორგის პირველ ჩვენებას, ცეცხლმოდებულ ეკლესიას, აძლიერებს მის მიერ შექმნილ შთაბეჭდილებას, როგორც გიორგის, ისე ჩვენს თვალში.

ამბავი ასე გამოიყურება: ორკუზიან გორაკზე, არაგვის გადმოლმა, ერთი ბორცვიდან მეორეზე გადაირბინა ვიღაც კაცმა და ნეკერჩხლის ხეზე აძვრა. მერე რომელიღაც ფრინველი დაიჭირა ხეზე, უბეში ჩაისვა, მეორე ბორცვის თხემამდე მიაღწია და იქ გაუჩინარდა. საიდან გაჩნდა ან სად გაჰქრა, ვერავინ გაიგო. მზე ჯერ მაღლა იდგა. ბორცვი სავსებით შიშველი იყო, კაცს წითელ-ყვითელი სამოსი ეცვა, ბუნებრივია, რომ ადვილი შესამჩნევი უნდა ყოფილიყო. ყველამ დაინახა. განცვიფრდნენ. შემდეგ შეძრწუნდნენ, სად დაიკარგაო და ხელსა და თვალს შორის, გრძნეულად მიიჩნიეს. დაშინდნენ. ხელი ავილოთო სატანის ძებნაზე. გაბრიელი გამოტყდა, რომ რამდენიმე დღის წინ იგივე ჩვენებას წააწყდა: წითელ-ყვითელში ჩაცმული კაცი მუხასთან მივიდა, მამალი დაჰკლა და გაუჩინარდა. გადაწყვიტეს გასცლოდნენ იქაურობას. აქ საინტერესოა გიორგის სიქცეული: „ახლა გიორგი გაჯიქდა: ვაჟკაცები არა ვართ? ოთხ მონადირეს რას დაგვაკლებსო ერთი ეშმაკი?" აქვე ავტორი კომენტარს იძლევა: „სხვის გასამხნევებლად ამბობდა, თავადაც ეშინოდა გულში". მე ვფიქრობ, გიორგი ამას უფრო საკუთარი თავის გასამხნევებლად ამბობდა, და საერთოდ, გასაგებია, რომ ურჩევნია მივიდეს და ნახოს, რათა გათავდეს ეს გაურკვევლობა, ჰალუცინაციები. გაქცევით კი იცის, რომ ვერსად წავა, ჩვენება თან სდევს და აწვალებს. მაშ, გინდაც ეშმაკი იყოს, წინ! ესეც მისი ბუნებაა. ამიტომაც „ყველაზე ადრე გიორგი ავიდა გორაკზე". სხვებს თუ შიში უკან ეწევა, გიორგის წინ უბიძგებს. მაგრამ სხვაზე ნაკლებად კი არა, მეტადაც ეშინია. „სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა". ბოლოს შეამჩნია ორმოში განაბული ვაჟი, რომელიც ოთხი მშვილდოსნის დანახვაზე შეკრთა და გაფითრდა. ამან ეჭვები გაუფანტა გიორგის, განცვიფრდა და გაიხარა, „რაკი დარწმუნდა, რომ მის წინაშე ხორციელი ადამიანი იდგა და არა ეშმაკეული".

აქ ახდენს ავტორი გიორგისა და არსაკიძის პირველ შეპირისპირებას. კადრი ასეთია: ორმოში არსაკიძე, ორმოს თავზე გიორგი. არსაკიძეს არ ვხედავთ, მას ხედავს გიორგი: „მეფე დააკვირდა ამ ჭაბუკს, სახეც ეცნაურა და სამოსიც. ოღონდ ჩოფურა იყო იგი, ახალმოხდილი უნდა ჰქონოდა ყვავილი... ეს უშლიდა ხელს გამოცნობას ოდესღაც ნახული სახისას". ეს ფრაზა ავტორს სჭირდება, გიორგიმ ბოლოს უნდა გაიხსენოს, არსაკიძე მას ნანახი ჰყავს და ისეთ ვითარებაში, რომ გიორგისათვის მისი დავიწყება შეუძლებელია. ამ ორი გმირის ურთიერთობას უეჭველად თან უნდა სდევდეს მათთვის საერთო სახე შორენასი.

ახლა არსაკიძე უყურებს გიორგის: „ვაჟი მონუსხულივით შესცქეროდა გიორგის, მასაც ეცნაურა იგი, მაგრამ მისი წითური წვერი და მწირული ჩაცმულობა ებლანდება თვალში". არსაკიძემ თითქმის იცნო, რა თქმა უნდა, მას უფრო უნდა ახსოვდეს მეფის სახე, ვიდრე მეფეს მისი. გიორგისთვის ეს სახე მხოლოდ შორენას წყალობითაა ნაცნობი, არსაკიძე კი უშუალოდ მეფე გიორგის აღბეჭდილ გარეგნობას იხსენებს, თანაც ხელოვანია და ბასრი თვალი უნდა ჰქონდეს. ამიტომაც, ავტორი უტრიალებს ამ სცენას: ვაჟმა სახელი „გლახუნა" გაიგონა, ეცნაურა კიდევაც, ა ლ ბ ა თ ვ ც დ ე ბ ი ო გაიფიქრა და კიდევ შეხედა გიორგის". ე. ი. თავიდან, წითური წვერის მიუხედავად, მაინც მეფედ მიიღო.

მონადირეებიც და არსაკიძეც დამშვიდდნენ. თითქოს იდუმალებით მოცულმა ვითარებამ კომიკური განმუხტვა მიიღო. კაცი მიმინოზე ნადირობს, მათ კი ეშმაკი ეგონათ. იწყება საუბარი. საუბარში სქემატურად მოცემულია არსაკიძის ისტორია, ვინაობა, სადაურობა, სახელი, ხელობა. აქვე გიორგის ბუნებისათვის: როდესაც გაიგებს, რომ ლაზი ტყვედ ჩავარდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილა მცხეთაში, გაოცდება, რადგან „ლაზები არასოდეს შეუპყრია მის ლაშქარს. ოლთისიდან წამოსხმული ტყვეები მოაგონდა (ისევ ოლთისი, ისევ პირველი ჩვენება), მაგრამ მათ შორის ბერძენი იყო ბევრი, სომხებიც ერია მათ შორის, ბერძნები კალატოზებად დააყენა, ხოლო სომხები გაათავისუფლა (პოლიტიკის მაჩვენებელია). „ლაზიო? ლაზი არ მოაგონდა არც ერთი“ (ე. ი., რომ ყოფილიყო, არ გამორჩებოდა).

იწყება დიალოგი, რომელშიც შემოდის „პირველი ნადირობის“ თემა და შორენას თემა. ფზოვი. გვარი — არსაკიძე. კვეტარის ალება“. „გვარი მოაგონდა გიორგის, შორენამ რომ ახსენა კოლონკელიძის ციხეში იმ საშინელ საღამოს“ (კიდევ ერთი შეხსენება — დასაბუთება ჩვენი თემისა — „სისხლიანი კოშმარი“). ბოლო ინფორმაცია — „ეკლესიებსაც ვაშენებდით მე და მამაჩემი“, ჭერჭერობით უყურადღებოდ რჩება მეფეს, გიორგის ფიქრები იმ ლამითა და შორენათია დაკავებული. მაგრამ ავტორმა უკვე შემოიტანა თემა. „გიორგი დადუმდა“. ამით თავდება ეს პირველი დიალოგი მათ შორის. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის გლახუნას ან გიორგის საუბარი არსაკიძესთან. აქ ნამდვილი მეფის ტონი იგრძნობა, არსაკიძე კი დატყვევებული კაცივით ეპასუხება.

ჩაფიქრებული გიორგი სდუმს.

არსაკიძეს ესტატე ესაუბრება. საუბარი ნადირობას ეხება. არსაკიძე თურმე დაგეშილი მიმინოთი ნადირობს წეროზე. მონადირეთათვის ეს უჩვეულო რამ არის. გიორგი, ეტყობა ცალი ყურით უსმენს საუბარს და როდესაც უჩვეულო რამ გაიგონა ნადირობის შესახებ, თვითონაც ერთვება ლაპარაკში. მას აინტერესებს სადაურია ეს წესი, მიმინოთი წეროზე ნადირობისა. ირკვევა, რომ ლაზურია. „გაოცდა გიორგი“ (ესეც მეტყველი ფაქტია). გიორგი მეფემ, ბაგრატიონმა, არ იცის ლაზური ნადირობის წესი, რომელიც პაპამისმა და მამამაც უთუოდ იცოდნენ. არ იცის მან და არც მისმა ამხანაგებმა იციან სხვა ლაზური ჩვეულებანიც, როგორც იქვე ირკვევა (წითელი მამლის შეწირვა განკურნებულის მიერ).

ორმოდან ამოსული არსაკიძე მიმინოთი ნადირობას უჩვენებს ახალგაცნობილთ. გიორგის თითქოს გადაავიწყდა დარდები. ჩვენ ვიცით, რომ იგი აზარტის კაცია. „ყმაწვილივით აღტაცებული შესცქეროდა, თუ როგორ მიუტია არსაკიძემ გაფრენილს (წეროს) მიმინო“.

ერთი აბზაცი ეთმობა მიმინოთი ნადირობის აღწერას. როგორც ყოველთვის, ეს მონაკვეთი უაღრესად ექსპრესიული, ლამაზი და ცოცხალია. წერო შეპყრობილია, მონადირეები უღიანით გარბიან მიმინოსაკენ, „წვივის ტკივილი გადაავიწყდა გიორგის“ (ბავშვივით). ნადირობა დამთავრდა. დაინტერესებული გიორგი „გვერდით მისდევდა არსაკიძეს, თვალს არ აშორებდა მის მიმინოს“ (გაჩნდა კოლეგიალური კონტაქტი).

ამას მოსდევს საუბარი მიმინოებზე.

შემდეგ, „მცირე ხანს უხმოდ მიჰყვებოდა არსაკიძეს გიორგი“. ნადირობამ და მიმინომ მცირე ხნით გამოსთიშა გიორგი, თითქოს გადაავიწყდა მთავარი. ჩვენც მზად ვართ ასე ვიფიქროთ, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. გიორგიცა და მკითხველიც ხელად ივიწყებენ წუთიერ აზარტს და არსაკიძის გამოჩენით გამოწვეულ მტკივნეულ და გადაუჭრელ მოგონებებს უბრუნდებიან. „შორენასათვის ფიქრობდა ამ წუთში, კვეტარის ციხის ალება მოაგონდა, კოლონკელიძისათვის თვალების დაწვა, კვლავ მოეშხამა ხაწუთროება“ (სიყვარული, სახელმწიფო მოვალეობის სიმძიმე, კოშმარი). ეს ავტორის კომენტარია. მას მოსდევს რემინისცენცია. „გზაში წამოეწიენ ტყვეებს მეფე და ზვიადი. ლოყებდასოკილი იჯდა ცხენზე შორენა, არსაკიძე გვერდით მისდევდა მხრებგაკრული ცხენდაცხენ“. ამ ცოცხალმა სურათმა ისევ არსაკიძესთან მოგვიყვანა, რათა განხილული ნადირობის თემას დავუბრუნდეთ და მისი გადაწყვეტა ვიხილოთ.

„რა მოხდენილი ჭაბუკი იყო, როგორ დაუგლახებია ტყვეობას ბედშავი!“—ფიქრობს გიორგი. ეს უკვე სიბრალული და სიმპათიაა. გიორგი თვითონ მძიმე დღეშია. არსაკიძე მისთვის შორენას მოგონებაა და ამავე დროს იმ კოშმარის ერთ-ერთი მხხვერპლი. რომელიც მას მოსვენებას არ აძლევს. ამიტომ ეს სიბრალული და სიმპათია ბუნებრივია; იგი რაღაც მშობლიურს, ახლობელს, თავისას ხედავს არსაკიძის ბედში. ეს ერთი მხარეა. ახლა საჭიროა „მეორე ნადირობის“ კონკრეტულ პრობლემასთან გასვლა. ეს არის ცეცხლმოდებული ეკლესიის ჩვენებით აღძრული კოშმარი, ნაბუქოდონოსორის კომპლექსი, გიორგის სწრაფვა ამ ტვირთისაგან გასათავისუფლებლად.

ავტორიც აქვეა:

გიორგი—„შენ გეტყვი, ჭაბუკო, რას აკეთებ მცხეთაში ამჟამად?“ სიმპატიამ, რომელიც გაჩნდა, გამოიწვია დაინტერესება კაცის ბედით. ეს შეკითხვა მხოლოდ უბრალო ინტერესის შემცველია.

არსაკიძე — „კირითხურო ვარ, ფარსმან სპარსთან ვმუშაობ ამჟამად“. აქ ჩვენთვის მთავარია წინადადების პირველი ნახევარი, მაგრამ გიორგი მეორეზე ეპასუხება. ავტორი გიორგისათვის შეუმჩნევლად გვაგრძნობინებს, რომ ახლა გმირი ერთს ამბობს და მეორეს ფიქრობს. ეს ისევ გაორებული პიროვნებაა. ამ ნიუანსს ერთი სიტყვა იძლევა. „როგორი ოსტატია ფარსმანი“ ეკითხება არსაკიძეს მეფე და არა გიორგი და ჩვენთვის ცხადია, რომ არსაკიძის ხე-

ლობამ იქვე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შეახედა გიორგის მასზე. ამას ადასტურებს შემდეგი შეკითხვა, რომელიც უკვე პირდაპირ ეხება ზემოხსენებულ წინადადების პირველ, უპასუხოდ დატოვებულ ნახევარს („კირითხურო ვარ“). „თავისუფალი მუშაობა თუ შეგიძლია?“ აღმოჩნდა, რომ შეუძლია. არსაკიძე ასახელებს ორ ეკლესიას. აქ ავტორი ახევ თანდათანობით გვამზადებს გიორგის შთაბეჭდილების გასაგებად. პირველი ეკლესია, ცხრაკარისა, გიორგის „ნახული ჰქონდა“... მეტი არაფერია ნათქვამი. აზრი არ ვიცით. მეორე, ითვალისი, კი ძლიერ მოსწონდათ. მაგრამ აქ ერთი „კი“ გვატყობინებს, რომ ცხრაკარის ეკლესია მეფეს მოსწონებია. ნათქვამია, „ი თ ვ ა ლ ი ს ი ც ძლიერ მოსწონდა“, ე. ი. გიორგი ფიქრობს, იხსენებს, ადარებს, სწონის. ეს კაცი თანდათან თვალში მოსდის — მათ შორის უხილავი ძმობის ძაფია გაჭიმული; ოსტატი — მოსწონს, და თითქოს თავისთავად იბადება წინადადება, რომელიც მეფე-გიორგის ეკუთვნის, მაგრამ ადამიანი-გიორგის სულის სახსნელადაა გამიზნული:

„მელქისედეკ კათალიკოსი და გიორგი მეფე სვეტიცხოვლის აგებას აპირებდნენ, თუ იმარჯვებ, შენ მოგანდობს ამ საქმეს მეფე“.

„მეორე ნადირობა“ თავდება სურათით, რომელიც მკითხველს უტოვებს მშფოთვარე და დაუკმაყოფილებელ განწყობას. ავტორი სცენას ამთავრებს კადრით, სადაც გვეუბნება, რომ ყველაფერი აქ აღწერილი ხუმრობა როდია, რომ ეს არ დამთავრდა, და გიორგის სული იმდენად შეძრულია, თვითონ იგი იმდენად გამოსულია წონასწორობიდან, რომ ასეთი ვითარება უდავოდ გახდა რეალური და გადამწყვეტი ბიძგი მისი მეფობის უდიდესი მოვლენის — სვეტიცხოვლის ტაძრის ასაშენებლად.

„როცა... ციხის კარები გაუღეს... მონადირეებს, გიორგი ...შემოტრიალდა, თეთრზურჩიან მწვერვალებს მიხედა, წ ო წ ო ლ ა მ თ ა ზ ე ც ე ც ხ ლ შ ე მ ო გ ზ ნ ე ბ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ა ი წ ვ ო დ ა კ ვ ლ ა ვ.

„პირჯვარი გადაიწერა შემკრთალმა და ციხეში შევიდა უსიტყვოდ“.

მომდევნო XXI თავში მოცემული ერთი ნაწყვეტი გვარწმუნებს, რომ „მეორე ნადირობამ“ თავისი შედეგი გამოიღო.

გავიდა დრო. ვხედავთ ხუროთმოძღვართუხუცესს, ფარსმან სპარსს. მასთან სტუმრად მოსულა მისივე ყოფილი შეგირდი, კონსტანტინე არსაკიძე, მეფის ხუროთმოძღვარი, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებელი.

ავტორი მისივე პირით გვამცნობს ფარსმანთან სტუმრობის მიზეზს: „სვეტიცხოვლის გეგმა დავასრულე. გიორგი მეფესთან ვიყავი წვეული, მოიწონა მეფემ ეს ნახაზები, მხოლოდ ესა ბრძანა: ფარსმანმა გადაჰკრასო თვალი. ხვალ დილით კათალიკოსს მივართმევ“.

როგორც ჩანს, არსაკიძემ გამოძებნა ხერხი, გეგმა დაასრულა და მეფემ მოიწონა. როგორც შემდგომი საუბრიდან შევიტყობთ, კათალიკოსის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. მეფის ბრძანება „ფარსმანმა გადაჰკრასო თვალი“, სახელმწიფოებრივი მოსაზრებითაა გამოწვეული. ფარსმანი მას ამ შემთხვევაში სჭირდება არა როგორც ხელოვანი, არამედ როგორც ინჟინერ-ექსპერტი: რა დაჯდება, რამდენ დროს დაიჭერს.

ფარსმანმა ეს კარგად იცის და სწორედ ეს იწვევს მის უსიტყვო რეაქციას, რომელსაც ავტორი გვიჩვენებს: „უსიამოდ დაეღრიჯა სახის ნაკვთები ფარსმანს“ (ხელოვანის თავმოყვარეობა შელახულია). შემდეგ ვხედავთ ფარსმანს — ექსპერტს მუშაობის პროცესში: „ორივე ხელით დაებჯინა ნახაზზე. დიდხანს ათვალიერა მდუმარედ.

თავი აიღო ფარსმანმა, მცირე ხანს ითვლიდა, სიგრძესა და სიგანეს ამრავლებდა, ანგარიშობდა კედლების სიმაღლეს, ნავების სივრცესა და მოცულობას, გუმბათის სიგრძეს, კარ-ფანჯრების რიცხვსა და ოდენობას“.

ფარსმანისა და არსაკიძის მომდევნო დიალოგში სიტყვიერად გვაცნობენ ტაძრის გეგმას: სამნავიანი უნდა იყოს, სიმაღლე სიგანეზე ორჯერ მეტი უნდა ჰქონდეს, მოცულობა კი ისეთი, სამი ეკლესია რომ გაიმართოს მასში, ოლთისისა — ქართული ლაშქრის მიერ გადამწვარი (უ ც ა ბ ე დ ა დ ო, გვეუბნება ავტორი არსაკიძის პირით სიმართლეს), ორიც სამცხისა, ფარსმანის მიერ აგებული. ასეთია კათალიკოსის მოთხოვნა. ფარსმანს არ მოსწონს ეს ამბავი: „მოილუშა“. აინტერესებს მეფის აზრი.

მეფეს დასტური მიუცია წინადღით.

აქ ფარსმანი იწყებს კამათს პრაქტიკულ სიძნელეთა ჩამოთვლით.

არსაკიძის პასუხებიდან ვგებულობთ, რომ მეფემ გადაწყვიტა უკან არ დაიხიოს და რადაც არ უნდა დაუჯდეს, ააშენოს სვეტიცხოველი.

სახელდობრ ნაგულისხმევია:

მ უ შ ა ხ ე ლ ი: — 300 ფხოველი ტყვე, ორი ათასი მონა ტაო-კლარჯეთიდან ერგასი ქვისმთლელი ბერძენი, გამოცდილი.

მ ა ს ა ლ ა — ალგეთური თეძამის ქვა და ცისფერი ფიქალი ტაძრის პერანგისათვის. ძველი მასალა მხოლოდ ეკვდერებს უნდა მოხმარდეს.

კ ი რ ი თ ხ უ რ ო ნ ი — ათორმეტი კაცი, ბოლნისელები (როგორც ჩანს იქ საუკეთესო ქართული ტრადიცია გვაქვს).

ს ა ხ უ რ ა ვ ი — მთლიანად ფიქალისა უნდა გაკეთდეს.

ძ ვ ე ლ ი ს დ ა ნ გ რ ე ვ ა — სათითაოდ უნდა ჩამოიღონ ლოდები, რათა მეფეთა და კათალიკოსთა სამარხები არ დაზიანდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარსმანი თვლის, რომ ამ შემთხვევაში მარტო ძველის დანგრევას 8 თვეზე მეტს მოუნდებიან.

არკვევა, რომ თუ საჭირო შეიქნა, მუშახელს დაუმატებენ, კერძოდ ათას მონასა და ერგას კირითხურობს, ლაზებს ჩამოიყვანენ.

ფარსმანი ხდუმს, ფიქრობს, ანგარიშობს. ბოლოს წელში გაიმართა, არსაკიძეს შეხედა და ეუბნება:

„მოახსენებდე, ჭაბუკო, მეფეს, ჩემის ვარაუდით: ასეთი უზარმაზარი ტაძრის აგებას ათი წლის მანძილზედაც ვერ შევძლებთ ჩვენის ძალებით, ციხეების შეკეთება უნდა შეჩერდეს, ველარც ლოდსატყორცნების და [illegible] აგებას შევძლებთ ამ წლებში“.

ასეთია ექსპერტის დასკვნა. ეს სიტყვები ფარსმანისა განკუთვნილია როგორც გიორგისათვის, ისე მკითხველისათვის. ფარსმანის სიტყვები ჭეშმარიტებაა. მეფემ ეს კარგად იცოდა, მაგრამ მაინც იკისრა სვეტიცხოვლის მშენებლობა. ამ გადაწყვეტილების მხატვრულ დასაბუთებას ჩვენ უკვე ვიცნობთ. ამიერიდან რომანის მთელ სინამდვილეს, ქვეყანას, გმირებს და მათს ბედს უწყვეტი კავშირი აქვთ სვეტიცხოვლის შენებასთან და მის ირგვლივ ტრიალებს. ეს სცენა „მეორე ნადირობის“ ეპილოგია.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# ქართველი მეცნიერი ჰალეს უნივერსიტეტში

1932 წლის 22 აპრილს გერმანულ ყოველკვირეულ გაზეთ „ბრძოლის“ 44-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „ახალი სკანდალი უნივერსიტეტში“. ავტორი იხილავს ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის პერსპექტივებს გერმანიაში და გერმანელთა პოლიტიკურ მოვალეობად თვლის მეტი ყურადღება მიექცეს უნივერსიტეტებს: „ჩვენი გერმანული უმაღლესი სასწავლებლები ხომ ჩვენი საუკეთესო პროფესიული კადრების სასწავლო-აღმზრდელობით კერას წარმოადგენს. ამიტომ ისინი მინდობილი უნდა ჰქონდეთ იმ ადამიანებს, ვისაც ეს ამოცანები მთლიანად და სავსებით ხელეწიფებათ. თუმცალა, ჩვენდა გასაკვირად, „ბურჟუაზიულ“ პრესაში ვკითხულობთ კომუნისტურ ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენს ჰალეს უნივერსიტეტში რომელიღაც დოქტორმა სევერიან ბუაძემ ბუგეულიდან — საქართველოდან(!), რომელმაც განათლება პეტერბურგში მიიღო, ქირურგიის პროფესორთან და ყოფილ დეპუტატ-დემოკრატ აბდერჰალდენთან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზიოლოგიის სპეციალობით.

ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ დროს, როცა შვიდი მილიონი მშიერი და უმუშევარი გერმანელი ქუჩაში ყრია, მაშინ, როცა ახობით ათასი აკადემიური ცოდნის მქონე გერმანელი ვერც სამუშაოს შოულობს და ვერც პურს, ზოგიერთი აზერხებს, რომ რუსი ასისტენტად და უმაღლესი სკოლის „გერმანელ“ მასწავლებლადაც კი აქციოს!

გერმანელო მშობლებო, გერმანელო სტუდენტებო — ვაჟებო და ქალიშვილებო! შეიცანით სისტემა მთელ თავის საქციელში! გაუსწორდით ამ სისტემას... მხოლოდ მაშინ შეიძლება კვლავ გამეფდეს გერმანულ უმაღლეს სკოლებში სხვა სული“.

ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში გერმანიის უმაღლეს სკოლაში არაგერმანელის სამუშაოდ დატოვება, რასაკვირველია, მხოლოდ დიდი მეცნიერისა და მოქალაქის რეკომენდაციითა და ზემოქმედებით თუ შეიძლებოდა.

აღნიშნული საგაზეთო წერილის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი-ფიზიოლოგი და ბიოქიმიკოსი ემილ აბდერჰალდენი ჰალეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანს პროფესორ ბრუგშს სწერდა:

„ბატონი ბუაძის სადოქტორო დისერტაცია გვიჩვენებს, რომ იგი სავსებით აკმაყოფილებს ყველა პირობას, რაც კი შეიძლება წარედგინოს პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე მისაღებ კანდიდატს. ბატონ ბუაძეს უნარი შესწევს დააყენოს პრობლემები და წარმატებით მონახოს მათი გადაწყვეტის გზები. გარდა ამისა, მისი ნაშრომებიდან ჩანს, რომ მას უნარი აქვს კრიტიკულად შეაფასოს ლიტერატურაში აღწერილი გამოკვლევები“.[1]

განვლო წლებმა და სევერიან ბუაძემ გერმანელი მეცნიერის წინასწარმეტყველება ბრწყინვალედ გაამართლა...

ვინ იყო სევერიან ბუაძე, ვისთან გაიარა მან მეცნიერული წრთობა და როგორ მიაღწია, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, აღიარებას ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კლასიკურ ქვეყანაში?

სევერიან ბუაძე დაიბადა რაჭაში, სოფ. ბუგეულში, 1895 წლის 9 იანვარს, იოსებ ბუაძისა და მისი მეუღლის ლალო ოშხერელის ოჯახში. მამა სოფლის მეურნეობას მისდევდა, დედა ოჯახს უვლიდა, 6 შვილს ზრდიდა. სევერიანი ყველაზე უმცროსი იყო. იგი 8 წლის არც კი იქნებოდა, როცა მამა გარდაეცვალა. დაწყებითი განათლება სევერიანმა ბუგეულში მიიღო. ხელმოკლე დედა იძულებული გახდა შვილი რაიმე ხელობის შესასწავლად ქუთაისს გაეგზავნა. აქ იგი შეგირდად ყოფილა წიგნის მაღაზიაში, მესაათეს-

1 ამ წერილში გამოყენებულია საარქივო დოკუმენტები ს. ბუაძის შესახებ (საქართველოს სსრ არქივი ორსმცსა, ფ. 471) და მისი პირადი საქმე, რომელიც ქ. ჰალედან გამომიგზავნეს გერმანელმა მეცნიერებმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

თან, ალიიაქში და სხვ. მთელ თავისუფალ დროს თურმე წიგნების კითხვას ანდომებდა. გიმნაზიაში სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა. გლეხის შვილისათვის ძნელი იყო ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში მოხვედრა. მაგრამ გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი ნიჭიერ ახალგაზრდებს ყოველთვის ეხმარებოდა და 1911 წელს სევერიანი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიღეს. აქ იგი სამაგალითოდ სწავლობდა, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1916 წელს იგი ამთავრებს გიმნაზიას და იმავე წლის შემოდგომაზე სწავლას აგრძელებს პეტროგრადის სამედიცინო საიმპერიო აკადემიაში. ერთი წლის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება. ამ დროს, როგორც ცნობილია, საქართველოში გაცხოველებული მზადება იყო ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. ამავე წლის 17 ივნისს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა სექტემბრიდან საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და საექიმო გაერთიანებული ფაკულტეტის გახსნა. 1919 წლის 29 აპრილიდან შესაძლებელი გახდა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო (დეკანი ა. რაზმაძე) და სამკურნალო (დეკანი ა. ნათიშვილი) ფაკულტეტების ცალ-ცალკე ჩამოყალიბება.

1917 წლის გაზაფხულიდან 1919 წლის ნოემბრამდე სევერიანმა მშობლიურ სოფელში დაჰყო, მამისეულ მეურნეობაში მუშაობდა და თან ბიოლოგიას სწავლობდა. ერთხანს უნდოდა შესულიყო თბილისის უნივერსიტეტის ახლად ჩამოყალიბებულ სამკურნალო ფაკულტეტზე, მაგრამ საბოლოოდ ევროპაში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა და 1919 წლის ნოემბერში დატოვა სამშობლო. 1920 წლის იანვარში იგი უკვე ბერლინში იყო. ამავე წლის თებერვალში სევერიანი გადავიდა ჰალე-ზაალეში და ზაფხულის სემესტრში ჩაირიცხა ჰალე-ვიტენბერგის ფრიდრიხის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სამშობლოდან წამოღებული მცირეოდენი თანხა მალე შემოეხარჯა. ეს ის დრო იყო, როდესაც გერმანიაში ფულის კურსი დაეცა და ისედაც ხელმოკლე ქართველი სტუდენტები კიდევ უფრო გაჭირვებაში ჩავარდნენ. თბილისის უნივერსიტეტს უსახსრობის გამო არ შეეძლო მისთვის სტიპენდია დაენიშნა. გამოუვალი მდგომარეობიდან სევერიანი პროფ. გრიგოლ მუხაძემ იხსნა, რომელიც 1921 წელს ჰალეში ჩავიდა და ქართველ სტუდენტებს გაეცნო. თბილისში დაბრუნებისთანავე მან თხოვნით მიმართა სერგო ორჯონიკიძეს, რომ ნიჭიერ სტუდენტს სევერიან ბუაძეს, რომელიც ჰალეს უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე სწავლობდა, ფულით დახმარებოდა. სულ მოკლე ხანში სერგო ორჯონიკიძის პირადი განკარგულებით ს. ბუაძეს ერთდროული დახმარების სახით საკმაო თანხა გადაეგზავნა. სევერიანის მატერიალური მდგომარეობა კარგა ხნით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

უდიდესი ყურადღება და ზრუნვა გამოიჩინა თბილისის უნივერსიტეტმა სევერიან ბუაძისადმი. უნივერსიტეტის გამგეობას სჯეროდა, რომ სევერიან ბუაძის სახით ქართულ სამედიცინო მეცნიერებას საიმედო ძალა ეზრდებოდა.

1924 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე სევერიანი საექიმო ფაკულტეტს დაამთავრებდა და სადოქტორო გამოცდებს ჩააბარებდა, პროფ. გრიგოლ მუხაძის ინიციატივით და პროფ. პეტრე მელიქიშვილის წარდგენით მას ტოვებენ თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად, თუმცა უნივერსიტეტს ამ დროს ეკონომიურად კვლავ დიდად უჭირდა.

1924 წლის 29 ნოემბერს უნივერსიტეტის გამგეობამ, როდესაც მოისმინა, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა ვერ დააკმაყოფილა უნივერსიტეტის თხოვნა ქ. ჰალეში მყოფი ექიმ სევერიან ბუაძისათვის სტიპენდიის მიცემის კიდევ ორი წლით გაგრძელების შესახებ, კვლავ დაადგინა: „განმეორებით იქმნეს აღძრული შუამდგომლობა ექ. ბუაძისათვის სტიპენდიის გაგრძელების შესახებ“. როდესაც არც ამან მოყვა შედეგი, უნივერსიტეტის გამგეობამ 1925 წლის 8 იანვარს გამოიტანა დადგენილება: „პირველი განთავისუფლებული სტიპენდია მიეცეს ბუაძეს საზღვარგარეთ სამუშაოდ“. მანამდე? მანამდე კი როგორმე უნდა გაეძლო!

1925 წლის 7 მაისს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივანე ჯავახიშვილი არქეოლოგ გიორგი ნიორაძეს, რომელიც გერმანიაში სტაჟირებას გადიოდა, სწერს: „თქვენ ამ დღეებში მიიღებთ იმ ფულს, რომელიც მუზეუმმა უკვე გადმოგიგზავნათ... ჩანეიშვილის ხვედრი ფული, რომელიც თქვენთან ინახება, უნდა გაანაწილოთ უნივერსიტეტთან დატოვებულების — მიხეილ ახმეტელსა და სევერიან ბუაძეს შორის თანაბრად და აცნობოთ მათ, რომ უნივერსიტეტი ამ ფულს აძლევს ერთდროული დახმარების სახით... რაც ჩქარა გამოუგზავნით სასურველია ჩვენთვის. თქვენი კეთილის მსურველი ივ. ჯავახიშვილი“.

მიუხედავად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა, სევერიან ბუაძე წარჩინებით ამთავრებს სამედიცინო ფაკულტეტს.

1926 წლის 9 ნოემბერს ფრიდრიხის უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამედიცინო ფაკულტეტმა (ჰალე-ვიტენბერგი) „სევერიან ბუაძეს — საქართველოდან, საუკეთესო სადისერტაციო ნაშრომისათვის — „ფენილ-სერინის მონაწილეობით პოლიპეპტიდების მიღება და მათ ფერმენტული გახლეჩა“, რომელიც წარმატებით იქნა დაცული, მიანიჭა ზოგადი მედიცინის დოქტორის ხარისხი“.

სევერიან ბუაძემ ეს ნაშრომი შეასრულა სახელგანთქმული მეცნიერის ემილ აბდერჰალდენის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მან მუშაო-

ეროვნული

ბა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი არ ჰქონდა დამთავრებული.

1926 წლის 26 მარტს თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანმა პროფ. გრიგოლ მუხაძემ უნივერსიტეტის რექტორს შემდეგი წერილით მიმართა:

„ხევრიან ბუაძეს უკვე ერთი წელი შეუსრულდა, რაც იგი უნივერსიტეტთან დატოვებულია და მუშაობს ბიოლოგიურ ქიმიაში და ფიზიოლოგიაში გამოჩენილ პროფესორთან აბდერჰალდენთან ქ. ჰალეში (გერმანია). მან უკვე დაწერა სადოქტორო დისერტაცია და ამას გარდა რამდენიმე შრომა ბიოლოგიური ქიმიის დარგში. პროფ. აბდერჰალდენისაგან ჩვენ შეკითხვაზე მივიღეთ ცნობა, რომ კარგი მეცნიერი მომზადდება ახლო მომავალში. აქვე წარმოდგენილია პროფ. პეტრე მელიქიშვილის დასკვნა ხ. ბუაძის შესახებ. სასურველია ბუაძე დატოვებული იყოს კიდევ ერთი წლით“.

დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის სახელზე წერს:

„როგორც აბდერჰალდენის წერილიდან და აგრეთვე ბუაძის მიერ დამუშავებული თემის სახელიდან ჩანს, ბუაძე მომზადებულია ორგანულ და ფიზიოლოგიურ ქიმიაში, რაც შეეხება თვით თემას, რომელსაც დაწვრილებით ამუშავებდა გამოჩენილი მეცნიერი ფიშერი და მისი მოწაფე აბდერჰალდენი, იგი, რასაკვირველია, ჯერ არ არის ამოწურული და ამავე საკითხებზე მუშაობს ბუაძე აბდერჰალდენის ხელმძღვანელობით. სხვათა შორის, ბუაძეს მიუღია ფენილ-სერინი, ნივთიერება, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, და თვისებას იჩენს სხვადასხვა ამინომჟავეებთან ერთად მოგვცეს პოლიპეპტიდები. ცნობილია, რომ ზოგი ამ პოლიპეპტიდებისა იშლება სხვადასხვა ფერმენტების საშუალებებით. გამოირკვა, რომ ბუაძის მიერ მიღებული ფენილ-სერინი იშლება ღუღილის სოკოების წვენში არსებული ფერმენტების საშუალებით. ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ბუაძე კარგად უნდა იყოს გაცნობილი ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის მეთოდებს“.

1928 წლის ოქტომბერში პროფ. კორნელი კეკელიძე თბილისის უნივერსიტეტის გამგეობის სახელით საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს უგზავნის თხოვნას:

„თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის ამა წლის 8 ოქტომბრის დადგენილებისა უნდა დაბრუნდნენ საქართველოში საზღვარგარეთ სამეცნიერო მიზნით მივლინებული ასპირანტები დავით იაშვილი და ხევერიან ბუაძე, რომლებსაც ვიზა წამოსასვლელი უკვე აღებული აქვთ, მხოლოდ სამგზავრო ფულის უქონლობის გამო შეჩერებულნი არიან.

მოგახსენებთ რა ზემოხსენებულს, გთხოვთ გადაუგზავნოთ მათ 650 მანეთი“.

ამავე წლის 14 ნოემბერს უნი[illegible]ხელით განათლების სახალხო კომისარიატს პროფ. შალვა ნუცუბიძე მიმართავს, რომ ახლად ჩარიცხული ასპირანტები ვერ მიიღებენ სტიპენდიას, ვიდრე ხევრიან ბუაძე და სხვა ასპირანტები საზღვარგარეთიდან არ დაბრუნდებიან.

და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რამდენი დადგენილება და მიმართვაა კიდევ დაწერილი, რომ ქართველ ასპირანტებს შექმნოდათ ცხოვრებისა და მუშაობის რამდენადმე მაინც ნორმალური პირობები უცხოეთში!

რა სულიერი ძალა შეუწირავთ, რა ენერგია დაუხარჯავთ ჩვენი უნივერსიტეტის მესვეურებს ჩვენი ერის მეცნიერული მომავლის მყარ ნიადაგზე დაფუძნებისათვის.

ხ. ბუაძის საზღვარგარეთ მივლინების ვადა ამოიწურა. ხევერიანი მოუთმენლად ელოდა სამშობლოში დაბრუნებას, მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სთხოვდა გამოეყოთ მისთვის საჭირო თანხა საკუთარი ბიბლიოთეკის გადმოსატანად და უნივერსიტეტისათვის ბიოქიმიური ლაბორატორიის შესაძენად. უნივერსიტეტის გამგეობამ 1928 წლის 15 მარტის დადგენილებით ხ. ბუაძის ლაბორატორიის მოსაწყობად სამი ათასი მანეთი გადადო, მაგრამ პრაქტიკულად ამის განხორციელება წლების მანძილზე ვერ მოხერხდა. 1929 წლის 17 ივნისს ხ. ბუაძე პროფ. გრ. მუხაძეს სწერდა:

„ამ რამდენიმე თვის წინათ სამსახურიდან გაათავისუფლეს ჩვენი ინსტიტუტის ლაბორატორიაში მომუშავე დამსახურებული პროფესორი და გერმანიის განათლების სამინისტრომ მისი თანამდებობა მე გადმომცა. ამ აქტით ჩემი მეცნიერული აწმყო და მომავალი უზრუნველყოფილი გახდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში დაბრუნება მაინც გადაწყვეტილი მაქვს. მოვალეობის გრძნობა ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტის წინაშე მაინც არ მასვენებს. როცა ხსენებული ადგილი ჩავიბარე და პირობას ხელი მოვაწერე, ამ უკანასკნელში აღვნიშნე, რომ საქართველოში დაბრუნების საკითხის მოგვარებისთანავე გამანთავისუფლონ“.

ამ დროს ხ. ბუაძე უკვე დიდი მასშტაბის ჩამოყალიბებული მეცნიერი იყო და, რა თქმა უნდა, უდიდესი სურვილი ჰქონდა, რომ თბილისის უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევა ბიოქიმიასა და ფიზიოლოგიაში თავიდანვე მაღალ მეცნიერულ დონეზე დაეყენებინა. სხვაგვარად ალბათ არც შეეძლო დიდი მეცნიერისა და მოქალაქის ემილ აბდერჰალდენის მოწაფესა და მეგობარს, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდას, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო.

ფიზიოლოგიასა და ფიზიოლოგიურ ქიმიაში ემილ აბდერჰალდენის ბრწყინვალე ლექციებმა ბუგეულელი ახალგაზრდა სტუდენტობის დროსვე უზომოდ გაიტაცა. მალე პროფესორმაც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნა პრაქტიკუმებზე დიდი მონდომებითა და ფაქიზად მომუშავე უცხოელი სტუდენტი. ურთიერთ ინტერესს დაუყოვნებლივი შედეგიც მოჰყვა: 1924 წელს პროფ. ე. აბდერჰალდენმა ქერკიდევ სტუდენტი ს. ბუაძე სამუშაოდ მიიწვია თავის ინსტიტუტში. ამ დროს ემილ აბდერჰალდენი საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი და პედაგოგი, მეცნიერების ორგანიზატორი იყო: ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და მეცნიერებათა აკადემიის (ლეოპოლდინას) პრეზიდენტი, ათეულობით ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორი, ბიოლოგიური და ბიოქიმიური მეთოდების ასზე მეტი ტომის სულისჩამდგმელი და გამომცემელი, სახალხოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე — სენატის დეპუტატი. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მთელი მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებსა და სამეცნიერო საზოგადოებებთან; ყოველთვის ცდილობდა გამოენახა ურთიერთგაგების გზები და ამით ხელი შეეწყო საერთო კეთილდღეობისათვის.

1924 წელს ე. აბდერჰალდენმა დააარსა ჟურნალი „ეთიკა", რომლის დევიზი იყო ხალხის ზნეობის ამაღლება და „ხალხის სწავლა-განათლებისა და კეთილდღეობისადმი ხელის შეწყობა". 1927 წლის 20 სექტემბერს „ეთიკაში" აბდერჰალდენი წერდა:

„ყველასათვის ცნობილია, რომ ხალხის უდიდესი ნაწილი მეტ-ნაკლებად არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს. რატომ არ ვიბრძვით მთელი ხალხის კეთილდღეობისათვის". მართალია, მას არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა დაჩაგრულთა ბრძოლის გზებზე, მაგრამ თავისი ჰუმანურობით იგი მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა მისი თანამედროვე გერმანელი მეცნიერებისაგან. 1925 წელს მან შექმნა ორგანიზაცია: „ექიმთა საზოგადოება სოციალური ეთიკის დარგში". მისი სტატიები შეეხებოდა შიმშილსა და საბინაო კრიზისს, ტუბერკულოზს, ნაწური წყლების ტოქსინებს და გარემოს გაჭუჭყიანებას, სოციალურ დაავადებებს, გერონტოლოგიის პრობლემებს.

1925 წლის 5 დეკემბერს ემილ აბდერჰალდენი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

ემილ აბდერჰალდენის აზრით, მეცნიერულ კვლევას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს ზნეობრივი გამართლება. ადამიანის ზნეობის სიწმინდისათვის ბრძოლას იგი უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე თავის მოღვაწეობას, როგორც პრეზიდენტისა და დეპუტატისას აკადემიასა და პარლამენტში. ე. აბდერჰალდენი დაუღალავად იბრძოდა ბულვარული და პორნოგრაფიული ლიტერატურისა და ფილმების მოძალების წინააღმდეგ, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა თანასწორუფლებიანობისათვის, ახალგაზრდობის დასაცავად ალკოჰოლისა და ნიკოტინისაგან. ყოველნაირად ცდილობდა ალკვეთილიყო სექსუალური ინსტინქტის ათასგვარი ფორმის ექსპლოატაცია; უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მისი ოცნება იყო ბავშვთა ბაგების დაარსება.

1928 წელს ემილ აბდერჰალდენმა თავისი თვალით ნახა საბჭოთა კავშირი, როგორც სამეცნიერო კონგრესის მონაწილემ. ამავე წელს სტატიაში „სინდისისადმი ერთდროული მოწოდება" იგი წერდა: „ძალზე დიდი კონტრასტია დღევანდელ რუსეთსა და გუშინდელს შორის. მეფის აბსოლუტიზმის ნაცვლად ჩაისახა სახელმწიფოს ისეთი ფორმა, რომელსაც საშუალება აქვს განახორციელოს მარქსიზმისა და კომუნიზმის იდეალები... წაიკითხეთ გოგოლი, ტოლსტოი, გორკი და ა. შ. და თქვენ მთლიანად და სავსებით დადგებით რუსეთის რევოლუციის მხარეზე".

ემილ აბდერჰალდენმა, როგორც ადამიანმა და საზოგადო მოღვაწემ, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ ახალგაზრდაზე. მასწავლებელი და მოწაფე საოცრად შეეწყვნენ ერთმანეთს. ისინი ხშირად საუბრობდნენ გერმანიასა და საქართველოზე, გერმანელებისა და ქართველების წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. სევერიანს უკვირდა და უხაროდა, რომ მისი სათაყვანებელი პიროვნება ასე დიდ ინტერესს იჩენდა მისი პატარა სამშობლოსადმი. ემილ აბდერჰალდენი იტყოდა ხოლმე:

— საქართველოსადმი ინტერესი პირველად ემანუელ კანტის ფიზიკურმა გეოგრაფიამ გამიღვიძა. იგი ჩვენი საყვარელი ფილოსოფოსია. თქვენს ქვეყანას ისე აღწერს, თითქოს ფეხდაფეხ დაევლოს.

როდესაც მოსკოვიდან დაბრუნდა, წუხდა, რომ ვერასგზით ვერ მოხვდა ბუგეულში. სევერიანი ამშვიდებდა, ხულ მალე ერთად წავალთ და ნიკორწმინდის ქვის პოემასაც ერთად წავიკითხავთო.

ემილ აბდერჰალდენი ფართო ინტერესების მეცნიერი იყო. იგი იკვლევდა ცილების, ჰორმონების, ვიტამინების, ცხიმების, კვების ბიოქიმიურ საფუძვლებს, პროტეოლიზურ ფერმენტებს, თავკომბალათა განვითარებას, თვალის ბადურას სტრუქტურას, ფიზიოლოგიის სხვა პრობლემებს. მიუხედავად თემატიკის მრავალფეროვნებისა, მისი ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ცილებისა და პეპტიდების აღნაგობა და მეტაბოლიზმი. პირველად ე. აბდერჰალდენმა და მისმა მოწაფეებმა განახორციელეს პეპტიდების ხელოვნური მიღება და მათი ფერმენტული დაშლა. სწორედ ცილის სტრუქტურა, პეპტიდების ბიოსინთეზი და მათი პროტეოლიზური დაშლა აირჩია კვლევა-ძიების ძირითად არედ სევერიან ბუაძემ. მისი ნათელი აზროვნებისა და თავდადებული შრომის შედეგად გაჩნდა მთელი სერია ემილ აბდერჰალდენისა და სევერიან ბუაძის ერთობლივი შრომებისა. მათ საფუძველი ჩაუყარეს უჯრედშიდა პროტეაზების ბიოლოგიურ ფუნქციათა ღრმად შესწავლას, ამინომჟავათა თანამიმდევრობის გამოკვლევას ცილებში.

მშობელმა ერმა ემილ აბდერჰალდენის ღვაწლი გარდაცვალების შემდეგაც (1950 წ.) ღირსეულად დააფასა. 1958 წელს ქ. ჰალეში გაჩნდა ემილ აბდერჰალდენშტრასე, ხოლო გერმანიის აკადემიის ცენტრალური კორპუსის წინ მისი ძეგლი დაიდგა. 1962 წელს ფიზიოლოგიური ქიმიის ინსტიტუტის ახალი შენობა ე. აბდერჰალდენის ბიუსტმა დაამშვენა. 1977 წელს კი გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი ღირსეული შვილის დაბადების 100 წლისთავი იდღესასწაულა.

ხევერიან ბუაძე, მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, როგორც უმაღლესი სკოლის ლექტორიც, ფართო მეცნიერული ინტერესებისა და განათლების მქონე პედაგოგი დადგა. იგი უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიც იყო „ფიზიკური ქიმიის გამოყენება ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში", „თანამედროვე შეხედულებები ფერმენტების ნივთიერ და ფუნქციონალურ თავისებურებებზე", „კრეატინის წარმოქმნის გზების მრავალფეროვნება ცხოველურ ორგანიზმებში" და სხვ.

1932 წლის 24 თებერვალს, ოთხშაბათს დილის 10 საათსა და 30 წუთზე პალეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მედიცინის დოქტორმა ხევერიან ბუაძემ მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წაიკითხა ბრწყინვალე ლექცია თემაზე: „სიკვდილის პრობლემა".

ახალგაზრდა მეცნიერი ნათლად ხედავდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების პერსპექტივებს, მის ხვალინდელ დღეს. 1933 წლის 2 აგვისტოს მის მიერ თბილისის უნივერსიტეტისადმი გამოგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ:[1] „ბიოლოგიურ ქიმიას აქვს არამც თუ წმინდა თეორიული ინტერესი, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამ დარგში საფუძვლიანი მომზადების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენს დროში სოფლის მეურნე, მედიკი თუ ფარმაცევტი, ჰიგიენისტი თუ ბაქტერიოლოგი.

ამათ იქნება ყოველგვარი ცდა სახალხო კვების ნორმების დადგენისა, შესწავლილი თუ არ იქნა რეალურად ფიზიოლოგია და ქიმია ნივთიერებათა ცვლისა, თუ შესწავლილი არ იქნა კვების საშუალებანი და საკვები ნივთიერებანი და ამ შესწავლაზე დაფუძნებული მათი ბიოლოგიური ღირებულებანი. კლინიკებისა და საავადმყოფოების ლაბორატორიათა მართვა-გამგეობა, ისე როგორც მუნიციპალურ და საკურორტო ლაბორატორიათა მუშაობა გულისხმობს კარგად მომზადებულ პირებს, რომელნიც საფუძვლიანად იცნობენ ქიმიურ-ბიოლოგიურ პრობლემებს".

მოისწრაფოდა ხევერიან ბუაძე თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ და თან მოჰქონდა დიდი მეცნიერული წინაზრახვანი და იმედები. თბილისის უნივერსიტეტში ს. ბუაძე [illegible] ბიოქიმიის კათედრისა და ექსპერიმ[illegible] ოლოგიის ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად. ახლა მხოლოდ რამდენიმე პრაქტიკული საკითხის მოგვარებაღა იყო საჭირო. ამ პერიოდში მას განსაკუთრებით ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა პროფესორ ივანე ბერიტაშვილთან. მოლიანად მოგიყვანთ ხევერიან ბუაძის ერთ წერილს, მიწერილს ივანე ბერიტაშვილისადმი. ვფიქრობთ, რომ ამ წერილში სრულად არის წარმოდგენილი ხევერიან ბუაძე, როგორც მეცნიერი და როგორც მოქალაქე.

ფრიად პატივცემულო ბ-ნო ივანე

საქართველოში დაბრუნების და ქართულ უნივერსიტეტთან მოღვაწეობის სურვილი მუდამ მქონდა და მაქვს. თავის დროზე წადილი ვერ განვიხორციელე. ამის მიზეზი ჩემს გარეშე, უნივერსიტეტის გამგეობამ თუ მთავრობამ ჩემი მცირე ნივთიერი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და ამრიგად ჩამოსვლა შეუძლებელი გახდა.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ორი წლის წინათ ფიზიოლოგიის დოცენტი გავხდი და ჩემი მდგომარეობა, როგორც მეცნიერული მოღვაწისა და უნივერსიტეტის მასწავლებლის, სავსებით უზრუნველყოფილი გახდა. ჩემი სამოსწავლო საგანი მთელი ვეგეტატიური ანუ ქიმიური ფიზიოლოგიაა, კვლევებს კი განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ფერმენტებსა და იმუნიტეტის მოვლენების ქიმიაში ვაწარმოებ. პროფ. აბდერჰალდენის ინსტიტუტში საკუთარი განყოფილება მაქვს, ჩემს განკარგულებაშია მთელი რიგი ლაბორანტებისა და ვმუშაობ სავსებით დამოუკიდებლად და შეუწუხებლად. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვიღებ პრინციპიალურად თქვენს წინადადებას. თანახმა ვარ საქართველოში თვით გაცილებით ნაკლებხელსაყრელ პირობებშიაც კი ვიმუშაო (ამის არა მარტო სურვილი, არამედ მოვალეობის გრძნობაც მაქვს), რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ ჩემს გადმოსვლას ნივთიერად შესაძლებლად გახდით. როგორც მოგეხსენებათ, გერმანიაში დოცენტის ჯამაგირი და ლექციების შემოსავალი ძლიერ მცირეა, ასე რომ, ჩემი საკუთარი თანხით სამგზავრო ხარჯების დაფარვა (სხვა არა იყოს რა, აუარებელი ყუთები დამჭირდება ბიბლიოთეკის ჩამოსატანად) ყოვლად შეუძლებელი იქნება. ამის გარდა საქართველოში დამოკიდებულ განწყობილებაში მუშაობა ჩემთვის მისაღები ვერ იქნება და ეს არა იმიტომ, რომ ქართული მეცნიერის ასისტენტობა მეთაკილება, არამედ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მე განსაკუთრებული ხასიათის შკოლა გავიარე და განსაკუთრებული საკითხებით და პრობლემებით ვარ დაინტერესებული. თუ შესაძლოდ სცნობთ, რომ მე ან იმ ახალ ექსპერიმენტულ ბიოლოგიის და ან ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში შესაფერი განყოფილება სავსებით დამოუკიდებლად დამეთმობა, მაშინ ჩემს დაბრუნების წინ აღარა გადაელობება რა. თქვენს ხელში

1. დ. იაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ინსტ. მოამბე, № 3. 1935 წ.

იქნება, როგორც დღემდე წმინდა ფიზიოლოგია (ანუ ბიოლოგია), ხოლო მე კი ქიმიურ ფიზიოლოგიას დავიკისრებ და ვიმედოვნებ, ამ ნიადაგზე ჰარმონიულად და მეგობრულად ვიმუშავებთ. მე ექიმი ვარ და, რა თქმა უნდა, ჩემთვის სამედიცინო ფაკულტეტთან მოღვაწეობა უფრო შესაფერი იქნებოდა, მაგრამ რადგან ეს ჩემი მიზეზის გარეშე არ მოხერხდა, მზად ვარ საბუნებისმეტყველოზედაც საქმის იმავე ინტერესით და სიყვარულით ვიმუშაო. ქართველები, სამწუხაროდ, მე მდებენ ბრალს: გამოვზარდეთ და არ ჩამოვიდაო. იმედია, ეს წერილი დაგარწმუნებთ, რომ ხსენებული ბრალდება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

რაც შეეხება ჩემი ჩამოსვლის დროს, ეს სავსებით თქვენზე იქნება დამოკიდებული; რამდენადაც ადრე შევთანხმდებით, იმდენად უფრო დაჩქარდება ჩემი გადმოსახლება. თუ თქვენთვის ჩემი მცირე და საფუძვლიანი მოთხოვნილება მისაღები იქნება, მაცნობეთ დაუყოვნებლივ და დაბეჭითებით და მე აქ განცხადებას შევიტან, სახელმწიფო სამსახურიდან და პროფესორთა კორპორაციის წევრობიდან განმათავისუფლონ.

თქვენი წერილი რომ ერთი თვის წინათ მიმეღო, ვინცობაა აგვისტოში დროებით საქართველოში ჩამოვსხულიყავ. პირადათ მოლაპარაკება და ადგილობრივად საქმის ვითარების დაწვრილებით გაცნობა ფრიად სასარგებლო იქნებოდა. თუ თქვენც ამავე აზრის ბრძანდებით, მაცნობეთ და შესაძლოა ახლო მომავალში ერთი თვით მაინც თავი გამოვიშვა (თუ ვიზის აღებამ და სამგზავრო ხარჯებმა არ დამაბრკოლა). ველი დაწვრილებით წერილს. დამავალეთ და მაცნობეთ აგრეთვე თქვენი ახალი ინსტიტუტის მიზნები და შემადგენლობა. ძლიერ მაინტერესებს აგრეთვე საქართველოში სამეცნიერო და სამოსწავლო მოღვაწეობის საერთო პირობები: თანხები, ლიტერატურა, ლაბორატორიათა მოწყობილობა, ამას გარდა ლაბორანტთა, ახალგაზრდა ქიმიკოსთა და ექიმთა მოვნის შესაძლებლობა, რომელთაც თეორეტიული გზის არჩევა სურთ და სხვა.

მიიღეთ ჩემი უმორჩილესი სალამი,

პატივისცემით ს. ბუაძე

ჰალე, 23. VII. 33

ყველა პირობა, რაც კი ს. ბუაძემ თავის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით წამოაყენა, მიღებულ იქნა როგორც თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისაგან, ისე პროფ. ივანე ბერიტაშვილის მიერ.

ამ პერიოდს დაემთხვა აბდერჰალდენის სქელტანიანი „ფიზიოლოგიური ქიმიის სახელმძღვანელოს" რუსულ ენაზე გამოქვეყნება. იგი მეექვსე გერმანული გამოცემიდან იყო თარგმნილი ს. კაპლანსკისა და ე. ენგელგარტის მონაწილეობითა და რედაქტორობით. წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „აბდერჰალდენის ფიზიოლოგიური ქიმიის სახელმძღვანელო დაწერილია უდიდესი მსოფლიო მეცნიერის მიერ და წარმოადგენს ბიოქიმიის საუკეთესო კაპიტალურ კ[illegible] ამ სახელმოხვეჭილ სახელმძღვანელოში [illegible] არის გამოყენებული სევერიან ბუაძის გამოკვლევები მას უკვე საბჭოთა ქვეყნის სტუდენტობაც ეცნობა...

სევერიან ბუაძის გერმანიიდან მოსალოდნელ წამოსვლას ჰალეს უნივერსიტეტის რექტორატი ადვილად ვერ შეეგუა. 1934 წლის 20 თებერვალს ჰალეს უნივერსიტეტმა გერმანიის მეცნიერების მინისტრს მიმართა: „საჭიროა მივიღოთ ყველა ზომა, რათა ს. ბუაძე დარჩეს გერმანიაში. საიდუმლო მრჩევლის აბდერჰალდენის ცნობით დოქტორი ბუაძე არის არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი და ბრწყინვალე პედაგოგი. მისი წასვლა ინსტიტუტიდან და უნივერსიტეტიდან უეჭველად იქნება დიდი მეცნიერული დანაკლისი. დოქტორი ბუაძე ძნელად შესაცვლელია, უკეთესი ცვლა ფიზიოლოგიის დარგში ჩვენ არ გაგვაჩნია".

და მაინც გადაწყდა: სევერიან ბუაძე საქართველოში დაბრუნდება! ყველა საჭირო დოკუმენტი მას ხელთ აქვს, მისი უნიკალური ბიბლიოთეკაც უკვე ყუთებშია მოთავსებული, ბუგეულში დედა ელის..., თბილისში უნივერსიტეტი...

ჰალე? ჰალე სევერიანის გასაცილებლად ემზადებოდა, როდესაც ყველას თავზარი დასცა უნივერსიტეტის განცხადებამ: „8 მარტს, შაბათს, დილის 11 საათსა და 30 წუთზე გერტრაუდეფრიდჰოფის სასაფლაოს დიდ სამლოცველოში დანიშნულია სევერიან ბუაძის სამოქალაქო პანაშვიდი".

15 მარტს, ხუთშაბათს პროფ. ივანე ბერიტაშვილმა „კომუნისტის" ფურცლებიდან ქართველ საზოგადოებრიობას ამცნო:

„გერმანიაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ფილტვების ანთებისაგან 1934 წ. 27 თებერვალს გარდაიცვალა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სევერიან იოსების ძე ბუაძე.

მისი გარდაცვალება წარმოადგენს დიდ დანაკლისს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მეცნიერებისათვის.

განსვენებული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა (39 წლის) ჯანღონით სავსე, უკანასკნელ დროს მუშაობდა ჰალეს უნივერსიტეტში (პროფ. აბდერჰალდენის განთქმულ ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში), სადაც კითხულობდა ლექციებს ქიმიურ ფიზიოლოგიაში და ხელმძღვანელობდა ფერმენტული და იმუნიტეტის ლაბორატორიას.

ის აღჭურვილი იყო შესანიშნავი ნიჭით და განსაცვიფრებელი ენერგიით, რაც ხშირად აღუნიშნავს მის ხელმძღვანელს პროფ. აბდერჰალდენს. მან შედარებით მოკლე დროის განმავლობაში საზღვარგარეთ გამოაქვეყნა 34 ორიგინალური ექსპერიმენტალური შრომა. მისი სამეცნიერო მუშაობა ეხებოდა ცილის შენების გარკვევას, ფერ-

მენტების გავრცელების და მათი მოქმედების ხასიათს და ბოლო დროს ტოქსინების ქიმიურ შენების შესწავლას.

დღიდან მისი საზღვარგარეთ გამგზავრებისა, მას არასდროს არ გაუწყვეტია კავშირი ტფილისის სახ. უნივერსიტეტთან და მისი სურვილი ჩქარა გამომგზავრებულიყო საბჭოთა კავშირში განხორციელებასთან იმდენად ახლო იდგა, რომ მის ჩამოსვლას დღითი-დღე მოელოდნენ.

სახ. უნივერსიტეტში ის მოწვეული იყო ბიოქიმიის კათედრის და ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

მაგრამ სიკვდილმა არ მისცა მას მუშაობის დაწყების საშუალება ტფილისში".

1935 წელს გერმანულ ჟურნალ „ფერმენტფორშუნგში" გამოქვეყნდა ემილ აბდერჰალდენის და სევერიან ბუაძის უკანასკნელი ერთობლივი მეცნიერული შრომა. აქვე ემილ აბდერჰალდენმა გამოთქვა თავისი გულისწუხილი ქართველი მეცნიერის უდროოდ დაკარგვის გამო: „ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა ჩემი ერთგული მოწაფე, თანამშრომელი და მეგობარი, რომლის სიცოცხლე ალსავსე იყო თავდადებული შრომით და უდიდესი მიღწევებით. გერმანულმა მეცნიერებამ მისი სახით დაკარგა ერთ-ერთი დიდი იმედების მომცემი მკვლევართაგანი. მეცნიერული გამოკვლევები, სწავლა და აზროვნება წარმოადგენდა მისი ცხოვრების არსს. დაუღალავი მოთმინებით კიდებდა ის ხელს ურთულეს პრობლემებს და არ მშვიდდებოდა, სანამ არ მიაგნებდა გადაწყვეტის გზას. მან დატოვა სიცარიელე, რომლის შევსებაც ძალიან ძნელი იქნება. მის ხსოვნას ცოცხლად შეინახავს ყველა, ვისაც ხვდა ბედნიერება ჰქონოდა მასთან ახლო ურთიერთობა".

დღეს, სევერიან ბუაძის გარდაცვალებიდან 48 წლის შემდეგ, რა უნდა თქვას ქართველმა მეცნიერმა!

ისლა დაგვრჩენია, რომ მადლიერების ეროვნული გრძნობით მოვიგონოთ სევერიან ბუაძის ნათელი პიროვნება და სინანულით აღვნიშნოთ ის დიდი დანაკლისი, რაც საქართველოში ბიოლოგიურმა მეცნიერებამ განიცადა მისი უდროოდ დაკარგვის გამო.

მ ი ნ ა წ ე რ ი:

საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,
შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია!
ვაჟა

ვაკის სასაფლაოზე, წყნეთისაკენ მიმავალი გზის პირას, გორაკზე, ჰიჰინაძეების საძვალეა. აქ განისვენებენ ანა მაჭავარიანი და მისი სამი შვილი: თამარ, ნინო და დიმიტრი. და-ძმას შუა გრანიტის პატარა ნატეხზე „ნინო" ამოუტვიფრავთ, გვარი არ აწერია... ამავე საფლავში ჩაუტანებიათ სევერიან ბუაძის მიერ ნინოსადმი მოწერილი წერილები... ნინოს უთხოვია: სევერიანის წერილები და ოცნებები თან გამაყოლეთო.

ნინო ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის მიხეილ ჰიჰინაძის ოჯახში გაიზარდა. ქუთაისის „წმინდა ნინოს" გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ს. ბუგეულის სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. ნინო აქ საცხოვრებლად მამიდას — ეკატერინე გიორგობიანს შეეკედლა. მათ მახლობლად ცხოვრობდნენ სევერიან ბუაძის მშობლები. ნინო და სევერიანი ერთმანეთს ქუთაისიდანვე იცნობდნენ. მათ ხუთი ზაფხული გაატარეს ერთად. თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ნინო ჰიჰინაძე 1916 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შეუდგა სწავლას, მაგრამ ამ დროს უჩვეულოდ გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა და მალე იგი იძულებული შეიქმნა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამავე მიზეზის გამო ამ პერიოდში პეტროგრადიდან ჩამოვიდა სევერიან ბუაძე. ისინი ერთმანეთს უკანასკნელად 1919 წელს ქუთაისში, საფიჩხიას სასაფლაოზე შეხვდნენ.

პირველი წერილი ნინომ ბერლინიდან მიიღო...

დაიწყო ნინოს ცხოვრების სრულიად ახალი ხანა. იგი წლების მანძილზე ასწავლიდა თბილისის „წმინდა ნინოს" ქალთა სასწავლებელში გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებას. 1929 წელს ნინომ წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და აქვე, პროფ. ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, დაიწყო მუშაობა. ნინო ფიზიოლოგი გახდა. მისსა და სევერიანის წერილებში ახალი თემა გამოიკვეთა: „ფიზიოლოგიური ქიმია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"; მათ მდიდარ სულიერ ცხოვრებას კიდევ ერთი ზიარი კუთხე შეემატა.

გადიოდა წლები, ნინო მწიფდებოდა როგორც მეცნიერი და პედაგოგი, ელოდა მეგობრისა და უკვე სახელოვანი მეცნიერის დაბრუნებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაფერი მზად იყო, რომ გერმანიიდან ახლად დაბრუნებულ ქართველ მეცნიერს ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრა ჩაებარებინა.

1934 წლის მარტში ნინოსათვის ყველა და ყველაფერი დაიმსხვრა. ბატონმა ივანემ და ქალბატონმა ნინომ, მასწავლებელმა და მოწაფემ, ერთად იგლოვეს ქართველი მეცნიერისა და მეგობრის უდროოდ დაკარგვა. ნინოს მეცნიერებამ წაართვა სულის მეგობარი, ალბათ მხოლოდ მეცნიერებას შეეძლო ნაწილობრივ მაინც ენუგეშებია იგი, ასეც მოხდა. ნინო თითქმის მთლიანად გადმოსახლდა უნივერსიტეტში, ივანე ბერიტაშვილთან ერთად ფიზიოლოგიის კათედრაზე ადამებდა და ათენებდა. გამოაქვეყნა ათეულობით მეცნიერული გამოკვლევა, წარმატებით დაიცვა დისერტაცია, სახელი გაითქვა, როგორც მიმზიდველმა და მომხიბლავმა ლექტორმა...

ერთ დღეს ივანე ბერიტაშვილმა მოწიწებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთხოვა ნინოს, რომ პირადად მას მოევლო სევერიან ბუაძისეული ბიბლიოთეკისათვის. ეს არ იყო მისთვის იოლი საქმე, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პატრონობდა იგი კათედრის ბიბლიოთეკას.

ნინოსა და სევერიანის უბადლო მეგობრობის ისტორია მრავალ მეცნიერს აინტერესებდა. ამ ხენით მეც ვიყავი შეპყრობილი. 1971 წლის მიწურულში ნინოს დისწულს, ცნობილ ბიოლოგს, პროფესორ რუსუდან ბერიძეს ვთხოვე გაეწია ჩემთვის შუამდგომლობა ნინოსთან, რათა თავისუფლად მესაუბრა მასთან „ბუაძის თემაზე". მან უკვე იცოდა, რომ მე სევერიან ბუაძეზე მასალებს ვაგროვებდი და სიამოვნებით დათანხმდა. სამწუხაროდ, იგი მალე ავად გახდა და ჩვენი შეხვედრა დიდი ხნით გადაიდო. ამასობაში 1972 წლის აგვისტო ჩამოდგა და მე ბერლინში წასვლა მომიწია. გამგზავრების წინ ნინოს შევეხმიანე, მინდოდა სცოდნოდა, რომ თბილისიდან მივემგზავრებოდი.

— ბატონო სერგი, თქვენ ალბათ ვაიმარშიც ჩაჴვალთ, რა თქმა უნდა, არ დაივიწყებთ, რომ ჰალე ვაიმარის გზაზე მდებარეობსო,—შემახსენა მან. მივხვდი ნინოს შეგონებას: ჰალეში სევერიანის საფლავი უნდა მენახა, მისთვის ამბავი უნდა ჩამომეტანა... ახეც მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ჩემი სამოგზაურო მარშრუტი უეცრად უკუღმა დატრიალდა. 9 აგვისტოს ბერლინის რკინიგზის სადგურზე დავეცი, მარჯვენა თვალში სათვალე შემატყდა და ჰალეში ყოფნის ნაცვლად ბერლინის თვალის კლინიკაში საოპერაციო მაგიდაზე აღმოვჩნდი. გერმანიიდან ხელცარიელი დავბრუნდი. რა უნდა მეთქვა ნინოსათვის...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ბიბლიოთეკის ახლანდელი გამგე და ნინოს ძველი მეგობარი ცაცა ცაგარეიშვილი-მელაძისა იგონებს:

— ნინო ზოგჯერ საექსპერიმენტო ოთახში კარადიდან პატარა ყუთს გამოიღებდა და რჩეულ ქაღალდებს ათვალიერებდა. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე გამენდო: სევერიანის წერილებს აქ ვინახავ და დროდადრო ვკითხულობ, გიკვირს ალბათ; ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა და, რა ვქნა, მაინც ამით ვცხოვრობ. ყოველ შემთხვევისათვის იცოდე, სად ინახება ეს ჩემთვის უძვირფასესი განძიო.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი ნინო ჰიჰინაძე 1973 წელს უნივერსიტეტში, ლექციაზე, სტუდენტებთან საუბრის დროს უეცრად გარდაიცვალა.

1977 წლის ივლისში ქ. ჰალეში მცენარეთა დიფერენცირებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა. ქართველ მეცნიერთაგან სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ბერიძე. მან ჩემი თხოვნით მოინახულა სევერიან ბუაძის საფლავი. სასაფლაოზე დაკრძალულ პირთა აღმნუსხველ წიგნში აღმოჩნდა, რომ სევერიან ბუაძე ჰალეს სასაფლაოზე დაუკრძალავთ 1934 წლის 3 მარტს. გერმანიაში არსებული წესის მიხედვით ნებისმიერი საფლავი მიცვალებულის დაკრძალვიდან 30 წლის გასვლის შემდეგ გამოიყენება ახალი პირის დასასაფლავებლად.

1974 წელს, ნინოს გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, ს. ბუაძის საფლავი გაუუქმებიათ და იმავე ადგილზე სხვა პიროვნება დაუკრძალავთ. ჩვენ მხოლოდ მოგონება დაგვრჩა: ქ. ჰალეს სასაფლაო გერტრაუდეფრიდჰოფი, რომელიც უძველესი ცაცხვის ხეივნებითაა დასერილი და ადამიანთა საუკუნო განსვენების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს, 40 წლის განმავლობაში პატრონობდა ქართველი მეცნიერის ნეშტს და მცირე ზომის ქვის ჯვარს, რომელზედაც ამოკვეთილი იყო „ს. ბუაძე".

დღეს სევერიან ბუაძის ხსოვნის სიმბოლურ ადგილს მხოლოდ ნინოს საფლავი წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ პატარიძე

# მხატვრული მზე ვეფხისტყაოსნისა

## „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“

რას ნიშნავს „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა?“

როცა ტარიელთან შეხვედრის შემდეგ ავთანდილი არაბეთში დაბრუნდა, თინათინს ეუბნება:

ყმამან ჰკადრა: „სიახლითა
შევრთე ჰირი შვიდსა მე რვა,
ცუდი არის დამზრალისა
გასათბობად წყლისა ბერვა,
ცუდი არის სიყვარული,
ქვეით კოცნა, მზისა წვერვა.
თუ გეახლო, ერთხელ ვა და,
რა მოგშორდე ათასჯერ ვა!

698. (1966 წ. საიუბილეო გამოცემა).

1712 წლის ვახტანგისეული ვ.-ტ. ამ ტაეპის „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“-ს ასე განმარტავს: „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა ცუდი არისო. კაცი რომ მზის შუქს ჰკოცნიდეს რა მზის კოცნა არისო“. თეიმურაზ ბაგრატიონი უფრო ვრცლად ამბობს: „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა მზისა წვერვა — მზე რომ დასავალით მიიქცევის და როდესაც ჩადის წვერვა ანუ დაწვერვა მას ნიშნავს. მზე გარდაეწვერა, მზე ჩაეწვერა, და როდესაც რომ მზე შორდებოდეს კაცსა, მაშინ რაოდენგზისცა რომ დადრკეს კაცი და ქვე მიწასა მზის დანარჩენს შუქს კოცნა დაუწყოს, იგი ჩასასვლელად განმზადებული მზე ხომ აღარ მოუბრუნდება უკანვე... ამისთვის ესე ვითარი სიყვარული გაუცუდება და გაუუქმდება და უჭერო არის, რომ დილისა გათენებადმდე მზის მომშორვებელი უცუდ შვრებოდეს და მოთმინებით არ იყოს რადგანაც წარუხდომელი შემთხვეულება არლა’ია უკუნიქცევა“ (განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ. 1960 წ. გვ. 86).

აკაკი შანიძესა და ვუკოლ ბერიძეს „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ განმარტებული არა აქვთ. იუსტინე აბულაძეს „წვერვა“ ასე აქვს ახსნილი: „წვერვა — ცლა (ხპობა); ლევა, ფუშვა“.

მარჯორი უორდროპი რუსთველის ამ ტაეპს პროზაული ინგლისურით ასე თარგმნის: „ამაოა სიყვარული, ქვეიდან კოცნა მზისა, რომელიც ჩადის“.

ყველა ამ განმარტების საფუძველზე რუსთველის „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ ან ჩამავალი მზის კოცნას ან ჩამავალი მზის შუქის კოცნას ნიშნავს.

სხვა თვალსაზრისით: „ქვეით კოცნა დაკავშირებულია მზესთან. კოცნის წესი მზის ამოსვლას ეკუთვნის. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მზის თაყვანება იყო გავრცელებული, მორწმუნენი მზის ამოსვლას ხვდებოდნენ სიხარულის კიჟინით და, რაც უფრო საყურადღებოა, ხელზე კოცნით — მორწმუნე ხალხი ხელს ტუჩებთან მიიტანდა, ხელის ზურგს აკოცებდა მზის პატივისა და თაყვანების აღსანიშნავად. მზის თაყვანისცემის წესი — მზის ამოსვლისას ხელის ზურგზე კოცნა—ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია პოეტური შედარებისათვის — მიზნის, სიყვარულის მიუღწევლობის აღსანიშნავად“. („ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“).

ამ თვალსაზრისის მიხედვით რუსთველის ტაეპი: „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ ასე განიმარტება:

„ცუდია, ამაოა, უსარგებლოა მზის წვერვისას ანუ მწვერვალიდან მზის ამოსვლის დროს ქვეით კოცნა ანუ ხელზე კოცნაო“ („მზისმეტყველება“).

ტაეპის ასეთი გაგებით, რუსთველის „ქვეით კოცნა“ საკუთარი ხელის ზურგის კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნას ნიშნავს, ხოლო რუსთველის „მზის წვერვა“ მწვერვალიდან მზის ამოსვლას ნიშნავს.

ნოდარ ნათაძე „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში რუსთველის ამ ტაეპის გამო წერს: „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ — შესაძლოა ორგვარი გაგება:

1. მიწაზე დაფენილი მზის სხივის კოცნა მზისაღმი თაყვანების გამოსახატავად (გ. არაბული).

2. ძველად ფართოდ გავრცელებული რიტუალის აღსრულება — საკუთარი ხელის ზურგის კოცნა ამომავალი მზის თაყვანების ნიშნად. (ვეფხისტყაოსანი, ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემა .თბ. 1974 წ. გვ. 234).

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ რუსთველის ეს სტროფი მთლიანად ასე განმარტა:

„მოყმემ (ავთანდილმა) მოახსენა: შენთან ყოფნით ჭირი მოვიმატე (შვიდ ჭირს მერვე დავურთე), ამაოა დამზრალის გასათბობად (ცეცხლის მაგიერ) წყლისათვის შებერვა. ფუჭია სიყვარული. ქვემოდან კოცნა და მზის წვერვა (მზის ვერ მიწვდენა), თუ შენთან ვიქნები, მწუხარებაა ჩემთვის, თუ დაგშორდი, მწუხარება გაათასკეცდება“. (აკადემიური კომისიის სტროფი 703).

როგორც ვხედავთ, რუსთველის „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“ აკადემიურმა კომისიამ ასე განმარტა:

„ქვემოდან კოცნა და მზის წვერვა (მზის ვერ მიწვდენა)“. რუსთველის „ქვეით კოცნა“ „ქვემოდან კოცნა“ ყოფილა, ხოლო რუსთველის „მზისა წვერვა“, მზის ვერ მიწვდენა ყოფილა.

ვფიქრობ, რუსთველის „ქვეით კოცნა“ არ არის ჩამავალი მზის კოცნა; არ არის ჩამავალი მზის შუქის კოცნა; არ არის საკუთარი ხელის ზურგის კოცნა და „ქვეით კოცნა“ არ არის „ქვემოდან კოცნა“.

მაგრამ რაკი „ქვეით კოცნა“ მზეს ეკუთვნის, ამიტომ ჯერ რუსთველის „მზისა წვერვა“-ს მნიშვნელობა უნდა გავარკვიოთ.

მთავარი ის არის, რომ რუსთველის ამ სტროფში მზე-ზეციერი კი არ იგულისხმება, არამედ მზე-თინათინი. „მზისა წვერვა“ თინათინს ეხება და „მზისა წვერვას“ თინათინი ედარება.

არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი მზე-თინათინმა თავისთან იხმო:

683. კვლა საწოლს დახვდა მის მზისა (თინათინისა).

ზონა ატყვითა ბრძენითა:
მისვლა ებრძანა. (მზე-თინათინს).

ავთანდილი მზე-თინათინს ეახლა.

685. მზე უკადრი ტახტსა ზედა
ზის მორჭმული, არ-ნაღვერი
წყლად ევფრატსა უხვად ერწყო
ედემს რგული ალვა მჭევრი;
ბროლ-ბადახშსა აშვენებდა
თმა გიშერი, წარბი ტევრი,
მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა,
ხამს, აქებდეს ენა ბევრი!

მზე-თინათინი, მეფური დიდებით მოსილი, სამეფო ტახტზე ზის. იგი თავისი მეფური ძლიერების და მზიური სილამაზის ზენიტშია. ასული. მზე-თინათინი ავთანდილსეუბნება:

695. „მზე ეტყვის: მომხვდა ყოველი
ჩემი წადილი გულისა,
პირველ შენ მოხველ მშვიდობით,
მპოვნელი დაკარგულისა,
მერმე ზრდა სიყვარულისა
გაქვს, ჩემგან დანერგულისა...

სწორედ ამის საპასუხოდ ჰკადრა ავთანდილმა მზე-თინათინს:

698. ყმამან ჰკადრა: სიახლითა
შევრთე ჭირი შვიდსა მე რვა...
ცუდი არის სიყვარული,
ქვეით კოცნა, მზისა წვერვა...

„მზისა წვერვა“ თინათინს უნდა ეხებოდეს და თინათინს უნდა გულისხმობდეს. მაგრამ რას ნიშნავს მზისა წვერვა?

„მზის ამოწვერვა“ ცნობილია: „მზე ამოიწვერა“ ამომავალ მზეზე იტყვიან, ე. ი. მზე ოდნავ ამოჩნდა, მზე ამოსვლას იწყებს. არა მგონია, რუსთველი მზე-თინათინს ოდნავ ამოჩენილ, ჯერ ამოუვალ მზეს ადარებდეს;

„მზის გადაწვერვა“ ცნობილია: „მზე გადაიწვერა“, ე. ი. მზე გადაიხარა. არც გადახრილ მზეს უნდა ედარებოდეს მზე-თინათინი. მითუმეტეს მზე-თინათინი არ შეიძლება ჩამავალი მზე იყოს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ „მზისა წვერვა“ არის საშუადღეო მზის ამაღლება, მზის კულმინაცია ანუ მზის ზენიტში დგომა.

სწორედ ასეთი მნიშვნელობით აქვს განმარტებული „წვერვა“ რ. მეკელაინს თავის ქართულ-გერმანულ ლექსიკონში.

მზის წვერვისას მზე უმაღლესი და უბრწყინვალესია. ეს კი ყველაზე მეტად შეეფერება თინათინის მაღალ-მეფურ ძლიერებასა და თინათინის მზიურ მშვენებას.

მზის წვერვას, მზის ზენიტში დგომას ანუ მზეებრ ბრწყინვალესა და მზეებრ ამაღლებულ თინათინს, ავთანდილის „ქვეით კოცნა“ უპირისპირდება. არც „ქვეით კოცნა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუმარტავთ ღღემდე სწორად. მე ასე ვფიქრობ: „ქვეით კოცნა“ თაყვანისცემის ნიშნად ქვეყნის ანუ მიწის კოცნაა ყმისა პატრონის წინაშე, „ქვეით კოცნა“ პატრონყმური ურთიერთობის გამოხატულებაა ვასალისა სიუზერენის მიმართ.

თაყვანების სხვადასხვა ფორმები არსებობს. თავად „თაყვანის-ცემა“, ანუ „ქვეით კოცნა“ მუხლმოყრასა და თავის მიწამდე დახრას გულისხმობს, ნიშნად მიწის კოცნისა ანუ „ქვეით კოცნისა“.

ვეფხისტყაოსანში „თაყვანისცემა“ საკმაოდ ხშირად გვხვდება და ყველგან, რა თქმა უნდა, ამ ყოფითი რიტუალის შესრულება იგულისხმება. ეს რომ მართლაც ასეა, ამას ვეფხისტყაოსნის ერთი ეპიზოდი სრული უეჭველობით ცხადყოფს:

უცხო მოყმესთან შენახვედრ და არაბეთში მობრუნებულ ავთანდილს მისი უმოყვრესი ყმა — შერმადინი ეგებება:

665. გაეგება, მოეხვია.
ზედა დასდვა პირი ხელსა,
აკოცებდა, სიხარულით
ცრემლსა ღვრიდა ველთა მრწყველსა...

შერმადინი ავთანდილის გაზრდილია, „ვითა ძმა და ვითა შვილი“; ავთანდილის მესაიდუმლეა და ავთანდილის არ ყოფნისას მის მაგივრობას ასრულებს სამეფოში.

შეხვედრისას, შერმადინმა, როგორც ავთანდილის უახლოესმა, „თაყვანი“ კი არ სცა ავთანდილს, არამედ ხელზე აკოცა (ესეც თაყვანების ერთ-ერთი ფორმაა) და ამით ავთანდილს თავისი ვასალური ერთგულება დაუდასტურა. ავთანდილმა თავის მხრივ:

666. 1. ყმამან მდაბლად მოიკითხა,
ზედა დასდვა პირი პირსა...

ე. ი. ავთანდილმა შერმადინს პატივი დასდო და პირზე აკოცა. ავთანდილს, ვითარცა სიუზერენს, ამისი უფლება აქვს; და, პირიქით, ვასალს პირზე კოცნის უფლება არ შეიძლება ჰქონდეს.

როგორღა ეგებებიან დიდებულები ავთანდილს?

666. 3. დიდებულთა თაყვანის-სცეს,
აკოცებდეს, ვინცა ღირს-ა.

ე. ი. მხოლოდ ზოგიერთ ღირსეულ დიდებულთ ჰქონიათ უფლება ავთანდილის ფერხთა ან ხელის კოცნისა, სხვებს მხოლოდ თაყვანი უნდა ეცათ ავთანდილისათვის.

ცხადია, „თაყვანის-ცემა“ ვეფხისტყაოსანში ნიშნავს სიუზერენის წინაშე ვასალის მუხლმოყრასა და თავის მიწამდე დახრას, ნიშნად მიწის კოცნისა.

უბრალო მოქალაქეთ სიხარული ავთანდილის გამოჩენის გამო მხოლოდ ზარის რეკით შეიძლება გამოეხატათ:

666. 4. ზარსა სცემდეს,
უხაროდა უფროსსა და თუნდა მცირსა.

ვეფხისტყაოსნის 665-ე და 666-ე სტროფებში ავთანდილთან შეხვედრისა და თაყვანების თითქმის ყველა ნაირგვარეობაა აღნუსხული. მოვიტანოთ მთლიანად:

665. გაეგება (შერმადინი), მოეხვია,
ზედა დასდვა პირი ხელსა,
აკოცებდა, სიხარულით
ცრემლსა ღვრიდა ველთა მრწყველსა...
666. ყმამან (ავთანდილმა) მდაბლად მოიკითხა,
ზედა დასდვა პირი პირსა.
უბრძანა, თუ ღმერთსა ვმადლობ,
შენ თუ ჭირად არა გჭირსა!
დიდებულთა თაყვანი-სცეს,
აკოცებდეს, ვინცა ღირს-ა,
ზარსა სცემდეს, უხაროდა
უფროსსა და თუნდა მცირსა.

რაკი „თაყვანის-ცემა“ ვეფხისტყაოსანში მუხლმოყრა და მიწამდე თავის დახრა — მიწის კოცნა ყოფილა, ისღა დაგვრჩენია გავარკვიოთ რა სახისაა ავთანდილის თაყვანება როსტევან მეფისა და თინათინის მიმართ (მეფეთა მიმართ).

უცხო მოყმის საძებნელად წასვლის წინ ავთანდილი როსტევან მეფეს ეახლა:

144. 1. ყმა შევიდა, თაყვანი-სცა,
მადლი რამე მოახსენა...
145. 1. მეფე ყელსა მოეხვია,
გადაკოცნა ვითა შვილი.

არაბეთში მობრუნებულ ავთანდილს თვით როსტევან მეფე გაეგება:

674. მეფე შეჯდა, გაეგება ყმასა,
მუნით მომავალსა...
მიეგება, მოეგება მხიარული
გულ-მხურვალსა...

675. რა მიეახლა, გარდახდა ყმა.
თაყვანის-სცა მეფესა:
აკოცა როსტან, მიმხვდარმან
ნიშატთა სიიეფესა...

სამეფო დარბაზში მისვლისას ავთანდილი თინათინს ეახლა:

676. მას (თინათინს) ავთანდილ
თაყვანის-სცა, ლომთა ლომმან
მზეთა მზესა.

ცხადია, მეფეთა წინაშე თაყვანების ერთადერთი ფორმაა „თაყვანის-ცემა“ ანუ „ქვეით კოცნა“.

ავთანდილი, ვითარცა „ძე დიდებულთა დიდგვართა“, „დიდი სპასპეტი“ და „ზრდილი მეფეთა შვილობით“, უწარჩინებულესი ყმაა მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარზე, ღირსი პირისპირ ჯდომისა მეფეთა წინაშე და ღირსი პირისპირ მჭვრეტისა მეფეთა პირისა. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ავთანდილი მეფის ვასალია. ვასალს კი უფლება არა აქვს მეფის ამბორყოფისა. მეფე-სიუზერენს ვასალმა მხოლოდ და მხოლოდ თაყვანი უნდა სცეს ანუ მუხლმოყრილმა ქვე მიწას უნდა აკოცოს.

ვეფხისტყაოსნის 698-ე სტროფის „ქვეით კოცნა“ სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს.

რაკი „ქვეით კოცნა“ და „მზისა წვერვა“ განიმარტა, ახლა სტროფში მათი შინაარსეული მნიშვნელობაც უნდა გაირკვეს.

მაგრამ სტროფის ამ ტაეპს წინა ტაეპთან მხატვრული და შინაარსობრივი კავშირი აქვს. ამიტომ მათი დაცალკევება არ შეიძლება და ერთობლივ ორივე უნდა განვიხილოთ:

ცუდი არის დამზრალისა
გასათბობლად წყლისა ბერვა,
ცუდი არის სიყვარული —
ქვეით კოცნა, მზისა წვერვა.

მკითხველს მოვაგონებ: ძველ-ქართულსა და ვეფხისტყაოსანში სიტყვა „ცუდი“-ს მნიშვნელობა ასეთია:

„ცუდი — ფუჭი, ამაო, უქმი, უაზრო, უსაფუძვლო“. (იუსტინე აბულაძე),

„ცუდი — 1. ფუჭი, ამაო. 2. უხეირო, უვარგისი“ (აკაკი შანიძე).

„ცუდი“ — ცალიერი, ამაო, ამაოება, ფუჭი, ცრუ, უქმი, უსამართლო“. (ილია აბულაძე — ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

„ცუდს“ ჩვენს სტროფში „ამაო“-ს მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება სტროფის „დამზრალი“-ს მნიშვნელობას:

„დაზრობა, ანუ დაზრვა — მოწვა ყინვისგან; ზვრა — ყინვისაგან ან თრთვილისაგან მცენარის მოწვა, მოთრთვილვა, მოყინვა; დამზრალი — გაყინული, მომწვარი...“ (იუსტინე აბულაძე).

„ზრვა, ზრობა — ყინვის მოქმედება ცხოველსა და მცენარეზე, ყინვისაგან მოწვა; დაზრვა — მოყინვა, მოწვა სიცივისაგან; დაზრული — მოყინული, სიცივისაგან გათოშილი; დამზრალი ყინვისაგან მომწვარი“ (აკაკი შანიძე).

როგორც ჩანს, ვეფხისტყაოსანში სიტყვა ზრვა, დაზრვა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, ოღონდ ჩვენს სტროფში „დამზრალი“-ს მნიშვნელობა სავსებით გამჭვირვალეა და „სიცივისაგან გათოშილს“ ნიშნავს.

„ცუდი არის დამზრალისა გასათბობად წყლისა ბერვა“-ს თეიმურაზ ბაგრატიონი ასე განმარტავს: „ეს ამას ნიშნავს შეციებულმან და დამზრალმან [illegible] წყალსა და ყინულს ბერვა დაუწყოს, ვერც იმითი ცეცხლს აანთებს და ვერც გათბება“ (გვ. 86).

ვეფხისტყაოსანში „დამზრალი“, მხატვრული, ხატოვანი მნიშვნელობით, მზეს გაყრილს, მზეს მოშორებულს ნიშნავს. რაკი ვეფხისტყაოსნის გმირები მზენი არიან, მათთან გაყრილნი დამზრალნი არიან; მზე-ავთანდილი მასთან გაყრილთ აზრობს:

979. მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დაჰწვავს მზე ვითა. ტარიელს გაყრილი ნესტანდარეჯანი დამზრალია. ნესტანი ფატმანს სწერს, ავთანდილს შევნატრი, მზეტარიელი უნახავს და ამიტომ დამზრალი არ არისო:

1288. მაგრა მას ვჰნატრი, უნახავს მზე, ამად
არ დამზრალია,

რაც შეეხება 698-ე სტროფს „დამზრალს“:

ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად
წყლისა ბერვა... მზე-თინათინთან გაყრის, საყვარელთან განშორების სიმძიმილი იგულისხმება.

ტაეპის აზრი, ვფიქრობ, ასეთია: მზეს გაყრილს, მზეს განშორებულს და ამიტომ დამზრალს ვერაფერი გაათბობს. ამაო, უსარგებლოა, უსაშველოა ყოველივე. თუნდაც ტარიელის სახსნელად წასვლა საყვარელთან გაყრის სიმძიმილს არ ამსუბუქებს. ისევე ამაოა ყოველივე, ვითარცა გასათბობლად წყლისა ბერვა.

თუ ავთანდილისა და თინათინის საუბარსა და შესიტყვებას გავითვალისწინებთ, ავთანდილის ამ შესიტყვების აზრი კიდევ უფრო ცხადი გახდება:

როცა თინათინმა ავთანდილისაგან ტარიელის უნუგეშოდ ყოფნის ამბავი მოისმინა, იკითხა, ტარიელის ხსნა რითი შეიძლებაო:

„რაა წამალი მისისა
წყლულისა განკურნებისა?“

ავთანდილი თინათინს უმჟღავნებს: მე შევფიცე ტარიელს, აღვუთქვი, რომ მივალ და დავეხმარები, რადგან:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად;
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა
ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად...“

ამიტომ, ახლა, ვიდრე ტარიელთან არ წავსულვარ, ლხინი ლხინად არ მიმაჩნია და ფიცის გამტეხელი ვარო:

„აჰა, მაქვსცა უმისოსა
ლხინი არმად, თავი ფლიდად“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინმა ავთანდილს დაუდასტურა: შენ მოყვრისათვის თავდადება კარგი გჭირს, მაგრამ ჩემი თქვი, მე უშენოდ რა მეშველებაო:

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს
ზენაარისა ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა
სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა
და ცოდნა ხამს უიცისა,
ჩემი თქვი, რა ვქმნა ხელ-ქმნილმან,
მზე მიმეფაროს, მი-ცისა?“

თინათინის ნათქვამის დედააზრი ასეთია: ავთანდილს ყოველივე კარგი ჭირს — მეგობრის საშველად მიდის, თინათინს კი უავთანდილოდ რა ეშველება, მიტოვებული რჩება.

სწორედ ამის საპასუხოდ ეუბნება ავთანდილი თინათინს: შენთან გაყრას არაფერი ამსუბუქებს და ორჯერვე ვიტანჯებით, შენთან გაყრილს — დამზრალს ვერაფერი გამათბობს, შენთან შეყრილს კი შენი სიყვარული არ მეღირსა. ახლა გშორდები და სანუგეშოს არაფერს მეუბნებით.

ამგვარად, სტროფის შინაარსი ასე შეიძლება განიმარტოს:

1. ყმამან ჰკადრა: სიახლითა
შევრთე ჭირი შვიდსა მე რვა...
4. თუ გეახლო ერთხელ ვაჲ
და რა მოგშორდე ათასჯერ ვა!

ე. ი. შენთან შეყრითა, შენთან ახლოს ყოფნითა მწუხარება გამიდიდდა. შენთან შეყრა თუ ერთი მწუხარებაა, შენთან გაყრა ათასჯერ მეტი მწუხარებააო.

თეიმურაზ ბაგრატიონი ამ ორ ტაეპს ასე განმარტავს: „თუ გიახლო ერთხე ვაჲ, თუ მოგშორდე ათასჯერ ვაჲ — აწე, ამ ჟამად რადგან თქვენ გახლავარ მხოლოდ ერთი ვაჲ მაქვს, ესე იგი ტარიელისათვის მწუხარება და რა წავალ ტარიელის მოსახმარებლად და თქვენ მოგშორდები, მაშინ ათასი ვაჲ მექნება თქვენის მოშორებისათვის, ათასწილად მწუხარებს [illegible]“ (გვ. 87).

თეიმურაზისეული განმარტება სწორად არ მიმაჩნია. ვახტანგისეულ განმარტებებში ვკითხულობთ: „თუ გიახლო ერთხელ ვაჲ იმიტომ უთქვამს, რომ მჭვრეტის გარდა ვერ შეიყრებოდნენ და რა მოგშორდე ბევრჯერ ვაჲ ამაზედ უთქვამს ნახვაც დამიძვირდებაო“. ვახტანგისეული განმარტება უკეთესია, მაგრამ ზუსტი მაინც არ არის, რაკი „ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“-ს მნიშვნელობა ვახტანგისეულ განმარტებებში მცდარადაა გაგებული.

თუ განსახილველი სტროფის პირველ და მეოთხე ტაეპებში თინათინთან შეყრისა და გაყრის სიმძიმილის შესახებ ზოგადადაა საუბარი, სტროფის მეორე და მესამე ტაეპებში ორივე სიმძიმილი გაცხადებულ-გამჟღავნებულია:

2. ცუდი არის დამზრალისა
გასათბობლად წყლისა ბერვა,
3. ცუდი არის სიყვარული —
ქვეით კოცნა, მზისა წვერვა

ანუ: შენთან გაყრილს, შენთან განშორებულს და ამიტომ დამზრალს ვერაფერი გამათბობს (ამაოა დამზრალის გასათბობად წყლისა ბერვა), შენთან შეყრისას (მზის წვერვისას) კი სიყვარულით ვერ გამათბობს ქვეით კოცნა (ამაოა ქვეით კოცნა, როცა მზისა წვერვაა).

მზე-თინათინთან გაყრა ავთანდილისა მზესთან განშორებას ნიშნავს. მზეს განშორება ზრავს. მზე-თინათინთან განშორებული ავთანდილი დამზრალია; მზე-თინათინთან შეყრა, თინათინის პირისპირ ჭვრეტა, რა თქმა უნდა, მზესთან შეყრას ნიშნავს, როცა მზე ზენიტშია ანუ როცა მზის წვერვაა.

ისევე ამაოა დამზრალის გასათბობად წყლისა ბერვა, როგორც ამაოა სიყვარული, მზის პირისპირ ჭვრეტისას, მზის წვერვისას, ქვეით კოცნა. ქვეით კოცნა მზის წვერვისას ავთანდილს სიყვარულით ვერ ათბობს, მაგრამ მზესთან გაყრა ათასჯერ მეტი სიმძიმილია და ახლა ავთანდილის მზესთან გაყრის ვაებაც უნდა მოვისმინოთ.

## დრო სიცოცხლისა ჩემისა.

როცა ავთანდილი თინათინს ეუბნება:

...ცუდი არის სიყვარული —
ქვეით კოცნა, მზისა წვერვა,
თუ გეახლო ერთხელ ვაჲ
და რა მოგშორდე, ათასჯერ ვა!

აქ, მისი საუბარი თინათინთან არ წყდება. რაკი ავთანდილმა თინათინს შეყრის სიმძიმილი გაუცხადა, ახლა მასთან გაყრის სიმძიმილიც უნდა გაუცხადოს.

ავთანდილი ტარიელის საშველად უნდა წავიდეს, მზე-თინათინს უნდა გაეყაროს და ვინ იცის ეღირსება თუ არა კვლავ თინათინის ხილვა. მომდევნო სტროფში, უთუოდ, თინათინთან განშორების ტანჯვაზეა საუბარი. აკი საყვარელთან განშორება ათასჯერ სავალალოა.

ამ მომდევნო 699-ე სტროფს სხვადასხვაგვარად კითხულობენ და სხვადასხვაგვარად განმარტავენ. სტროფის ივანე გიგინეიშვილისეულ წაკითხვას, ჩემის აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს:

699. ვაჲ, თუ გავჭრა, გაჭრილსა სადა,
გლახ, დამწვარს ამალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ძეს საგნად ისრისა,
მესვრის საკრავად სამალი!
მალვე მწადს, მაგრა გარდახდა
ჟამი პატიჟთა სამალი:
დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისალა ჩანს ნასამალი.

1. ამალი — სურვილი, სიყვარული, 2. სამალი — მშვილდის სახეობაა; 3. სამალი — დასამალი; 4. ნასამალი — მესამედი.

ცხადია, სტროფში თინათინთან გაყრის, განშორების სიმძიმილზეა საუბარი. პირველი სამი ტაეპი ასე უნდა განიმარტოს.

„ვა, თუ გაგეყარე, შენთან განშორებულს, ვაგლახ (ვინ იცის), სად დამწვავს (დამდაგავს) შენი სურვილი (შენი სიყვარული!“);

„ჩემი გული ისრის სამიზნეა, მშვილდი უკვე მომართულია გულში საკრავად!“ (ე. ი. დგება განშორების ჟამი);

„მინდა ჩემი ტანჯვა-მწუხარება დავმალო, მაგრამ ტანჯვის მალვის დროც გავიდა“.

რაც შეეხება მეოთხე სტრიქონს (ხელნაწერებში, ერთის გამოკლებით — H 599-1646 წლისა, ყველგან მესამეა), ეს ტაეპი სხვადასხვაგვარად იკითხება; ხელნაწერებში ამ ტაეპის ძირითადი წაკითხვები შემდეგია:

1. დრო სიცოცხლისა ჩემისა
   დღისითღა ჩანს ნასამალი.
2. დრო სიცოცხლისა ჩემისა
   დღისითგან ჩანს ნასამალი.
3. დრო სიცოცხლისა ჩემისა
   დღისალა ჩანს ნასამალი.

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ და მერმინდელ ბეჭდურ გამოცემებში მიღებულია ტაეპის პირველი წაკითხვა, თეიმურაზ ბაგრატიონმა ეს პირველი იკითხვისი ასე განმარტა:

„დღისითღა ჩანს ნასამალი — ღამე ხომ არ გამოსჩნდება კაცის სახეზედ მწუხარების დაჩნევა და დღისით ამისთვის თქმულა“. („განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“ (გვ. 87).

ტაეპის მეორე წაკითხვას უპირატესობა მიანიჭა აკაკი შანიძემ. მეცნიერი ამ ტაეპის გამო წერს:

„დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისითღა ჩანს ნასამალი“. „დღისითღა ჩანს“ ამას ნიშნავს: მხოლოდ დღის სინათლეზე ჩანს (მაშასადამე, გამოდის, რომ ღამით არა ჩანს). აშკარა შეუსაბამობაა, რაც უმთავრესად ხმოვნის შეცვლისაგან არის წარმომდგარი. უნდა: დღისითგან, რაც ნიშნავს: დღეიდან, ამას იქით. ტაეპი აღდგენილი სახით იქნება:

„დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი“, ე. ი. ჩემი სიცოცხლე დღეის შემდეგ გამესამედებულიაო. მსგავსი აზრია გამოთქმული შემდეგ ადგილას:

ფრიდონს რა ესმა, ატირდა,
ცრემლითა მოერწყო ველი.
მითხრა, თუ: ძმაო, დღესითგან
ცუდ ჩემი ლხინი ყოველი! (644,4)

(აკაკი შანიძე. ვეფხისტყაოსნის საკითხები. თბ. 1966 წ. გვ. 104).

ტაეპის მესამე წაკითხვას უპირატესობა მიანიჭა ივანე გიგინეიშვილმა. საერთოდ ეს სტროფი დაწვრილებით განხილული აქვს მასვე. კერძოდ ივ. გიგინეიშვილი წერს:

„ა. შანიძემ შემოიტანა წაკითხვა „დღესითგან“ „დღისითღა“-ს ნაცვლად. ეს წაკითხვა შეიტანა მან კიდევაც 1957 წლის გამოცემაში. და მაინც ვერც ეს წაკითხვა ფენს ნათელს ტაეპის შინაარსს. გამოთქმის — დრო სიცოცხლისა ჩემისა დღეიდან, ამას იქით მესამედი თუ გამესამედებული ჩანს — შინაარსი ისევე იწვევს დაეჭვებას, როგორც აქამდე იწვევდა დაეჭვებას შინაარსი ამ სტროფის ძველი წაკითხვისა“ (ივ. გიგინეიშვილი. „გამოკვლევები“... თბ. 1976 წ. გვ. 86).

უარყო რა ტაეპის პირველი და მეორე იკითხვისები (და სრულიად სამართლიანადაც) ივანე გიგინეიშვილმა დასკვნის სახით თქვა:

„ამრიგად, ტრადიციულად ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს:

დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისალა ჩანს ნასამალი“

(ივ. გიგინეიშვილი. გამოკვლევები... გვ. 87).

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ მიიღო ივ. გიგინეიშვილის ეს თვალსაზრისი და ტაეპი ასე განმარტა:

„ჩემი სიცოცხლის დრო დღის მესამედიღა დარჩა“(სტროფი 704-ე). თავად ივ. გიგინეიშვილი ტაეპს ასე განმარტავს:

„ავთანდილი ლიტოტურად ამბობს: დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისალა ჩანს ნასამალიო, ე. ი. დღის ერთი მესამედის ხანგრძლივობის სიცოცხლეღა დამრჩენიაო. ეს გამოთქმა თუ, ერთი მხრით, ლიტოტურია, მეორე მხრივ, ასე თუ ისე, საქმის ფაქტობრივ მხარესაც ასახავს: ავთანდილმა თინათინი უკანასკნელად ნახა წასვლის წინ, მეორე დღეს მეფისაგან ნებართვა უნდა აიღოს და გაემგზავროს, წასვლის შემდეგ კი მას თავისი სიცოცხლე გათავებულად მიაჩნია“ (ივ. გიგინეიშვილი, დას. ნაშ. გვ. 87).

ლიტოტა შებრუნებული ჰიპერბოლაა, რომელიც საგანს, მოვლენას კი არ აზვიადებს, არამედ ამცრობს. ქვემოთ გაირკვევა, რომ ავთანდილის ეს თქმა:

დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისალა ჩანს ნასამალი

ლიტოტა კი არ არის, არამედ მეტაფორული თქმაა ავთანდილის თინათინთან გაყრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა. ამიტომ, ვფიქრობ, ტაეპის გიგინეიშვილისეული განმარტება უნდა დაზუსტდეს. რაც შეეხება აკადემიურს, იგი მეტაფრაზაა და არა განმარტება და ამიტომ არც უნდა განიკითხებოდეს.

ახლა რუსთველის ამ არაჩვეულებრივი გამონათქვამის:

დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისალა ჩანს ნასამალი,

მნიშვნელობა და მხატვრული შინაარსი უნდა გავარკვიოთ, ოღონდ უმჯობესი იქნება თავიდან დავიწყოთ:

699-ე სტროფის პირველ ტაეპში ავთანდილი თინათინს მასთან გაყრის სიმძიმეზე ეუბნება:

1. ვაჰ თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა,
გლახ, დამწვავს ამალი!

ე. ი. თუ შენ მოგშორდი, გავიჭერ, შენგან შორს მყოფს, შენგან გაჭრილს ვაგლახ მე! ვინ იცის სად მომიღებს ბოლოს შენი სურვილი (ამალი) ანუ სად დამწვავს — დამდაგავს უშენობა.

პირველი ტაეპის ანალიზი ცხადყოფს, რომ შინაარსობრივად ტაეპში აუცილებელია სიტყვა „ამალი" — სურვილი, და არა გაურკვეველი „ალი". „ამალი" ამ ტაეპში ივ. გიგინეიშვილის შესანიშნავი მიგნებაა და ასეც უნდა იყოს. რაც შეეხება აკადემიური კომისიის მიერ მიღებულ წაკითხვას:

„ვაჰ თუ გავიჭრე, გაჭრილსა სადა,
გლახ, დამწუავს სამ ალი!

სამ-მაშ; სამ ალი-მაშ ალი! შინაარსი: ვაი თუ გავიჭრა, გაჭრილს სადმე, ვაგლახ, დამწვავს, მაშ ალი!" კვლავ „სამ ალი" ივ. გიგინეიშვილის „ამალი"-ს შემდგომ, უკანგადადგმული ნაბიჯია: რა ალი დასწვავს სადმე გაჭრილ ავთანდილს ვაუგებარია.

პირველ ტაეპში ნათქვამის დასტურად, სტროფის მეორე ტაეპში ავთანდილი თინათინს ეუბნება:

2. გული ძეს საგნად ისრისა,
მესვრის საკრავად სამალი!

ანუ: უშენობით ჩემი გული განწირულია. აჰა, მოახლოვებულია ჟამი განშორებისა: გული ისრის სამიზნედ ქცეულა და მშვილდი უკვე მომართულია გულში ისრის სასროლად.

სტროფის მესამე ტაეპში კი ავთანდილი ამბობს:

3. მალვა მწადის, მაგრამ გარდახდა
ჟამი პატიჟთა სამალი:

ანუ: მინდოდა შენთან განშორების სატანჯველი არ გამემხილა, მაგრამ ახლა ჩემი ტანჯვის არ-გამხელის დროც ამოიწურა.

რა დრო არის ეს დრო?

ეს სტროფის მეოთხე ტაეპში ირკვევა:

4. დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისალა ჩანს ნასამალი.

ავთანდილი მზე-თინათინს ეყრება. მზესთან გაყრა კი მხატვრული თვალსაზრისით სიცოცხლესთან გაყრაა. როგორ უნდა გადმოიცეს ავთანდილის თინათინთან გაყრის სიმწვავე? რას უნდა შეედაროს ავთანდილის გაყრა მზე-თინათინთან?

მიწურული დღის გაყრას მზესთან.

ავთანდილის თინათინთან (მზესთან) გაყრის ჟამი ახლოვდება. ავთანდილის სიცოცხლის ჟამი მიწურულ დღეს ჰგავს, მზეს რომ უნდა გაეყაროს.

ამიტომ „გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი", რაკი ავთანდილი თავის მზეს მიწურულ დღესავით ეყრება.

სტროფის მხატვრულ-შინაარსობრივი მნიშვნელობა დღემდე ამოცნობილი არ იყო სტროფში ტაეპების ალოგიკური თანამიმდევრობის გამო.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებსა (ერთის გამოკლებით) და პოემის უკლებლივ ყველა ბეჭდურ გამოცემაში 699-ე სტროფის ტაეპთა თანამიმდევრობა ასეთია:

ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა,
გლახ, დამწვავს სამ ალი!
გული ძეს საგნად ისრისა,
მესრვის საკრავად სამალი;
დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღეისითგან ჩანს ნასამალი,
მალვა მწადს, მაგრამ გარდახდა
ჟამი პატიჟთა სამალი!

(1957 წლის გამოცემის მიხედვით).

ვეფხისტყაოსნის აკადემიურმა კომისიამ სტროფში ტაეპების თანამიმდევრობა უცვლელად დატოვა. „ამალი"-ს ნაცვლად აკადემიურმა კვლავ „სამ ალი" მიიღო და ივ. გიგინეიშვილის მხოლოდ „დღისალა" შეიწყნარა.

ამგვარად, ვფიქრობ, მისთვის, რომ სტროფის მხატვრულ-შინაარსობრივი მნიშვნელობა გასაგები გახდეს, საჭიროა სტროფის ივანე გიგინეიშვილისეული წაკითხვა მივიღოთ (მცირეოდენი განსხვავებით). სახელდობრ სტროფი ამიერიდან ასე უნდა აკითხებოდეს:

699. ვაჰ, თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა,
გლახ, დამწვავს ამალი!
გული ძეს საგნად ისრისა,
მესვრის საკრავად სამალი!
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა
ჟამი პატიჟთა სამალი:
დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისალა ჩანს ნასამალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტროფში „ქამი პატიჯთა სამალი"-სა და „დრო სიცოცხლისა ჩემისა"-ს გათიშვა, დაშორიშორება არ შეიძლება. ამ გამოთქმებს თანამიმდევრული აზრობრივ-შინაარსობრივი ურთიერთკავშირი აქვთ.

ამრიგად, 699-ე სტროფი ივანე გიგინეიშვილს ძირითადში სწორადა აქვს აღდგენილი, ოღონდ სტროფის მისეული განმარტება ამ წერილში, ვფიქრობ, საბოლოოდ დაზუსტდა.

რაც შეეხება რუსთველის გამონათქვამს:

დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისაღა ჩანს ნასამალი.

რუსთველის პოეტური გენიის ერთერთ არაჩვეულებრივ და უბრწყინვალეს მხატვრულ-მეტაფორულ სახედ უნდა მივიჩნიოთ.

აწ უკვე განხილული 699-ე სტროფის მხატვრულ-მეტაფორული ნათქვამი:

დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისაღა ჩანს ნასამალი.

ამ სტროფში საბოლოოდ არ მთავრდება და მას მომდევნო მე-700 სტროფში თავისი მხატვრული გაგრძელება აქვს. ამ სტროფში ავთანდილი თინათინს ეუბნება.

700. 3-4.

მაგრა, მზეო, თავი მზესა
ჩემთვის სრულად დააგვანე!
სიცოცხლისა საიმედო
ნიშანი რა წამატანე!

რაკი 699-ე სტროფის: „დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისაღა ჩანს ნასამალი"-ს მხატვრული მნიშვნელობა ამოცნობილი არ იყო, შესაბამისად არც მე-700 სტროფი განუმარტავთ ჯეროვნად.

ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში სტროფი განმარტებული არ არის. არც თეიმურაზ ბაგრატიონს განუმარტავს სტროფის ეს ტაეპები.

ვუკოლ ბერიძის განმარტება ასეთია:

„მაგრამ მზეო (თინათინ), ჩემთვის შენი თავი მზეს დააგვანე, და სიცოცხლის რამე ნიშანი თან გამატანე".

ვეფხისტყაოსნის აკადემიურმა კომისიამ იგივე ტაეპები ასე განმარტა:

„მაგრამ, მზეო, ჩემთვის სავსებით მზედ იქეცი" (სავსებით მზეს დაამსგავსე თავი), სიცოცხლის იმედად რაიმე ნიშანი გამატანე!"

ნოდარ ნათაძეს სტროფის ეს ორი ტაეპი აგრეთვე არ განუმარტავს;

იგივე ორ ტაეპს ასეც განმარტავენ:

„მაგრა მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე, ესე იგი: მზესავით უხვი იყავ და— სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე, ესე იგი: სამახსოვრო ნიშანი, სიცოცხლის იმედი რამე გამატანეო".

ირკვევა, სტროფის ამ ტაეპებს ან არ განმარტავენ, ან ტაეპთა მეტაფრაზას გვაწვდიან ან განმარტება სწორი არ არის. ცხადია, ამ ტაეპთა განმარტებას ენობრივი სიძნელეები კი არ ელობება წინ, არამედ რუსთველის რთული მხატვრული აზროვნებაა შესაცნობი. რაკი 698-ე სტროფი:

ცუდი არის დამზრალისა
გასათბობლად წყლისა ბერვა,
ცუდი არის სიყვარული
ქვეით კოცნა, მზისა წვერვა"

განიმარტა და მისი მხატვრულ-შინაარსობრივი მნიშვნელობა ამოცნობილ იქნა; რაკი მომდევნო 699-ე სტროფიც:

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა
ქამი პატიჯთა სამალი:
დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისაღა ჩანს ნასამალი".

განიმარტა და მისი მხატვრული მნიშვნელობა შევიცანით, ახლა მე-700 სტროფის ხსენებული ორი ტაეპის:

მაგრა, მზეო, თავი მზესა
ჩემთვის სრულად დააგვანე!
სიცოცხლისა საიმედო
ნიშანი რა წამატანე!

ამოცნობაც აღარ გაძნელდება, რაკი ეს ორი ტაეპი წინა სტროფის მხატვრული მნიშვნელობის უშუალო გაგრძელებაა. ამიტომ, 699-ე და მე-700 სტროფების ეს ტაეპები აქ, სათვალსაჩინოდ, ერთად, ერთმანეთის მიდევნებით შეიძლება დაიწეროს:

699. 3-4.

მალვა მწადს, მაგრა გარდახდა
ქამი პატიჯთა სამალი:
დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისაღა ჩანს ნასამალი.

700. 3-4.

მაგრა, მზეო, თავი მზესა
ჩემთვის სრულად დააგვანე,
სიცოცხლისა საიმედო
ნიშანი რა წამატანე.

მე-700 სტროფის ორი უკანასკნელი ტაეპის მხატვრულ-შინაარსეული მნიშვნელობა რომ შევიცნოთ, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალე რუსთველური გამოთქმა „ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა ს ა ი მ ე დ ო" უნდა განვიხილოთ.

სიტყვა „ს ა ი მ ე დ ო" გახაგებია — იმედის მომცემი რაიმე (ამბავი, შემთხვევა, მოვლენა, სიტყვა, პირობა, წერილი და სხვ.), „საიმედო" ვეფხისტყაოსანში რამდენჯერმე გვხვდება.

1. ტარიელი ავთანდილს უამბობს — ნესტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისაგან იმედის მომცემი წერილი მივიღე და ამიტომ მხიარული ვიყავო:

384. ვჭე და მასვე ვიგონებდი,
არ მიეცა თვალთა რული;
წიგნი მქონდა საიმედო,
ამად ვიყავ მხიარული.

2. თინათინმა ავთანდილი უცხო მოყმის საძებნელად გაგზავნა, იქნებ მის კვალს მიაგნო ან რაიმე ამბავი საიმედო მოიტანოო:

130. რომე დამხსნა შეჭირვება,
ეშმა ბილწი ააპყარე,
გულსა გარე საიმედო
ია მორგე, ვარდი ყარე".

თინათინმა ავთანდილს სამაგიეროდ თავისი ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა:

132. ფიცით გითხრობ; შენგან კიდე
თუ შევირთო რაცა ქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა,
ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი".

3. თინათინის ამ ფიცსა და პირობას ავთანდილი „საიმედო"-ს უწოდებს, როცა ამ ამბავს შერმადინს უმჟღავნებს:

150. მოვუკლავარ თინათინის
სურვილსა და სიყვარულსა,
აწ მიბრძანა საიმედო,
ამად მხედავ მხიარულსა.

თინათინის დავალებისა („წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად") და მისი ფიცისა და პირობის საპასუხოდ, ავთანდილი თინათინს ეუბნება:

133. მოახსენა ყმამან:
მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,
სხვა პასუხი რამცა გკადრე,
ანუ რამცა შევიწამე?
მე სიკვდილსა მოველოდი,
შენ სიცოცხლე გამიწამე...

ანუ სიცოცხლე მაწამებინეო, მარწმუნეო, ე. ი. სიცოცხლის იმედი მომეციო.

მაგრამ, ამჟამად განსახილველი მე-700 სტროფის „სიცოცხლისა საიმედო" მაინც სხვა რამ არის.

პირველ გამგზავრებისას, ავთანდილს თინათინთან შეყრის საიმედოდ თინათინის ფიცი და სიყვარულის პირობა მიჰყვება თან.

ამის გამო ავთანდილის პირველი გაყრა თინათინთან გაცილებით უმტკივნეულოა, რაკი მისი მიჯნურის დავალებით მიემგზავრება და პატრონყმური სამსახურის აღმსრულებელია. აკი თინათინიც ამასვე ეუბნება ავთანდილს:

129. არე გითხრა, სამსახური
ჩემი გმართებს ამად ორად
პირველ, ყმა ხარ, ხორცი
არავინ გყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ,
დასტურია, არ ნაჭორად...

ავთანდილი თინათინს უდასტურებს, ყმას პატრონის სამსახური და მორჩილება მართებსო, მაგრამ ამას გარდა.

134. კვლავცა ჰკადრა: „აჰა, მზეო,
რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილობს ზეციერი
მნათობია რაცა სადა..."

ე. ი. რაკი თინათინი მზეა, ავთანდილი ისევე უნდა დაემორჩილოს მას, როგორც მზეს ემორჩილებიან ზეციერი მნათობები.

ავთანდილი მზე-თინათინს ეყრება, მაგრამ თინათინთან კვლავ შეყრის საიმედო ფიცი და პირობა ამხნევებს, ხოლო თინათინი რაკი მზეა, მზეს გაყრილი, იგულისხმება, კვლავ მზესვე უნდა შეეყაროს („მით გმორჩილობს ზეციერი მნათობია რაცა სადა").

თინათინთან მეორედ გაყრა გაცილებით უფრო სამძიმოა. ამჯერად ავთანდილი „პატრონისა სამსახურად" კი არა, თავისი მეგობრის საშველად მიდის.

პირველ გამგზავრებისას თინათინმა ავთანდილს სიყვარულის საიმედო ფიცი და პირობა აღუთქვა, ახლა, მეორედ გამგზავრებისას, ტკბილმოუბარი და ღირსებით აღსავსე ავთანდილი სიცოცხლისა საიმედო ნიშანს სთხოვს თინათინს:

700. 4. სიცოცხლისა საიმედო
ნიშანი რა წამატანე!

ეს სიცოცხლის საიმედო ნიშანი თინათინის მკლავზე ნაბამი მარგალიტის მძივია. მაგრამ რატომ ითხოვს ავთანდილი თინათინის მარგალიტის მძივს და რატომ არის იგი სიცოცხლის საიმედო ნიშანი?

რაკი თინათინის მკლავზე ნაბამი მარგალიტის მძივი სიცოცხლის იმედის მომცემია, ცხადია, სიცოცხლეს აქ მხატვრული მნიშვნელობა ენიჭება.

მკითხველისათვის ცნობილია, რომ ვეფხისტყაოსანში მზე მაცოცხლებელია, სიცოცხლის მომნიჭებელია და, პირუკუ, მზეს მოშორება, მზესთან გაყრა სიცოცხლესთან გაყრაა. რაკი ვეფხისტყაოსნის გმირნი მზენი არიან, მათი ერთმანეთთან გაყრა, მხატვრული თვალსაზრისით, მზესთან და სიცოცხლესთან გაყრაა. ნესტან-დარეჯანთან განშორების მწუხარების გამოსახატავად ტარიელი ავთანდილს ეუბნება:

902. სიცოცხლესა გავეყარე,
სიკვდილიცა დამიძვირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ სიცოცხლის მხატვრულ მნიშვნელობას უნდა გავადევნოთ თვალი ვეფხისტყაოსნის ჩვენს განსახილველ სტროფებში:

I. 699. 4. დრო სიცოცხლისა
ჩემისა დღისალა ჩანს ნასამალი.

ეს ტაეპი წინა წერილში უკვე განმარტებულია; ავთანდილი თინათინს ეუბნება: შენთან (მზესთან) გაყრა დღის სიცოცხლის გაყრას ჰგავს მზესთანო. რაკი მზესთან გაყრა სიცოცხლესთან გაყრაა და რაკი ავთანდილი მზე-თინათინს ეყრება, ამიტომ მისი სიცოცხლე ისევე იწურება, როგორც დღე იწურება მზესთან გაყრისას.

ტაეპში მხატვრულად ორი მზე იგულისხმება: მზე-თინათინს ავთანდილი ეყრება, მზეზეციერს დღე მიწურვილი.

ამის შემდგომ გასაგებია, თუ რატომ ეუბნება მომდევნო სტროფში ავთანდილი თინათინს:

II. 700. 3. მაგრა, მზეო, თავი მზესა
ჩემთვის სრულად დააგვანე

ანუ: ჩემთვის სრულიად მზეს დაემგვანე, რომ (შენთან, ვითარცა მზესთან, კვლავ შეყრის იმედი მქონდესო; როგორც მზეს გაყრილი დღე კვლავ შეეყრება მზეს, მეც კვლავ მეღირსოს შენი ხილვაო).

ამგვარად, რუსთველის ამ ტაეპს:

მაგრა, მზეო თავი მზესა
ჩემთვის სრულად დააგვანე

უშუალოდ მხატვრულ-შინაარსეული კავშირი აქვს 699-ე სტროფის ბოლო ტაეპთან:

დრო სიცოცხლისა ჩემისა
დღისალა ჩანს ნასამალი.

მაგრამ სრულად როგორ დაემგვანოს თინათინი მზეს? ამას მე-700 სტროფის ბოლო ტაეპი აცხადებს:

III. 700. 4 სიცოცხლისა საიმედო
ნიშანი რა წამატანე.

მზესთან შეყრის იმედის მომცემი ნიშანი, ანუ სიცოცხლისა საიმედო ნიშანია მარგალიტის მძივი, „მის მზისა სამეუვისანი, მის მზისა მკლავსა ნაბამნი“.

თინათინმა ავთანდილს თხოვნა შეუსრულა:

701. ქალმან მისცნა მარგალიტნი,
სრულ-ქმნა მისი საწადელი.
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს
ლხინი ესე აწინდელი.

მარგალიტის მძივი მზესთან შეყრის იმედის მომცემი ნიშანია. რატომ?! მზე-თინათინთან პირველ გაყრისას, თინათინმა ავთანდილს „საიმედო“ ფიცი და პირობა აღუთქვა სიყვარულისა.

ახლა, მეორედ გაყრისას, თინათინმა კვლავ დაუდასტურა ავთანდილს ფიცისა და პირობის სიმტკიცე: მარგალიტი შეყრისა და შეუღლების აღთქმის სიმბოლო და ნიშანია (ეს ცნობილია), ხოლო ავთანდილისათვის მარგალიტის მძივი მზესთან შეყრისა და სიცოცხლისა საიმედო ნივთია, რაკი თინათინმა „თავი მზეს დაამგვანა“ და ავთანდილს შეყრისა და შეუღლების — „სიცოცხლისა საიმედო“ ნიშანი უძღვნა.

აწ ღვთისა ნებაა, ღმერთმა ქმნას, აღირსოს ავთანდილს კვლავ მზისა ხილვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე ქუთათელი

ამიერიდან მისთვის აღარც სიხარული არსებობს და აღარც მწუხარება. ვერა ამინდი ვეღარ შეუცვლის გუნებ-განწყობას. სიხარულის ელდა, სინანული, კაეშანი, დრტვინვა, აღმაფრენა... ყოველივეს წერტილი დაესვა. ამქვეყნიური რაც იყო, ყველაფერი მორჩა, მოთავდა...

მან თავისი სულიერად ფასეული ცხოვრებით იცხოვრა. ამიერიდან იწყება გლოვა მწერლის ალექსანდრე ქუთათელის გამო. იგი მამულის სიყვარულით იყო ვნებული, ომახიანად აგუგუნებდა სამშობლოს სამრეკლოდან ზარებს და თავისი ხმიერი ხმით განდობილთ უხმობდა. კითხვა, ვის უხმობდა მისგან ჩამოკრული ზარი, გარკვეული გახლდათ. იგი ეძახოდა ყველას, ვისაც მისი შემოქმედებისათვის გონების ნესტარი ჰქონდა გაბნეული. იგი ანტიკური, ბერძნული, რუსული კლასიკური და დასავლეთ ევროპის მწერლების ტრადიციებზე იყო აღზრდილი, მაგრამ ყოველივე ქართულის მაღმერთებელი. ქართული მწერლობა იყო მისი სახატე. შეძენილი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება კი თავისი ქვეყნის სამსახურში უნდოდა გამოეყენებინა და იყენებდა კიდეც წარმატებით.

სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე ქუთათელი (1918-20 წლებში) დადგა თავისი საზღვრებშემორღვეული ქვეყნის სადარაჯოზე, როცა სხვებმა მიატოვეს იგი. მას ჰქონდა დაზვერვაზე წასული ჯარისკაცის გამბედაობა, მტრის ზურგში წარგზავნილი მსტოვრის მოთმინება, გახლდათ ქვეყნის სამსახურში მყოფი დიპლომატიც, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეც და მწერალი-პუბლიცისტიც. იგი ეძახოდა ყველას, ვინც მასავით დაბადებიდან მამულის ნესტრით იყო დაგესლილი.

იგი ის კაცი გახლდათ, ვისაც ძალუძდა თავისი თავისთვის ანგარიში მოეთხოვა. ვინც თავის თავს განიკითხავდა ხოლმე, ვინც თავის ნამოქმედარსა და ნამოღვაწარს გონების თვალით ჰვრეტდა და კრიტიკულად აფასებდა. მას შეეძლო ოიდიპოსივით თავისი თავის მსაჯული ყოფილიყო.

ახლობელი მეგობრები კარგად ამჩნევდნენ, რომ მის სულში იდუმალი სევდის ნისლი იყო დასადგურებული. ეს სევდა-ნაღველი ტრაგიკულად დაღუპული დედმამიშვილების გამო ქონავდა ნიადაგ მისი არსებიდან.

ამ წუთისოფელში მას მწარე და შხნაკვი მეტი ჰქონდა ნაგემი, ვიდრე სიამოვნება, რის გამო ხშირად უყვარდა თქმა, სიცოცხლე მისჯილი უბედურებაა, მაგრამ სიკვდილის მდუმარებას სიცოცხლით ტკბობა სჯობია, თუმცა სიკვდილთან სიცოცხლის უპირატესობაში ღრმად ვარ დაეჭვებულიო.

იყო მჭევრმეტყველი, უცნაური ამბების გასაოცარი მთხრობელი, მეცნიერებაში განსწავლული, მაგრამ რატომღაც ტერმინის „ეროვნული მეცნიერების“ სასტიკი მოძულე. ერთხელ, მცხეთაში, პურობისას თქვა: ჩეხოვი მართალი იყო, როცა ყველას გასაგონად განაცხადა: „ეროვნული მეცნიერება ისევე არ არსებობს, როგორც გამრავლების ეროვნული ტაბულა არ არსებობსო“.

იგი გულითადიც იყო, თავაზიანიც და გულუხვიც. საოცრად მოსიყვარულე, ნაზი, მგრძნობიარე გული ჰქონდა. და რაოდენ საოცარია, რომ, ამასთან ერთად, უკმეხიც, როყიოც, ავსიტყვაცა და მკლავმოუღლელი და თავაწყვეტილი მოჩხუბარიც. ამავე დროს გახლდათ დახვეწილი მანერების მქონე, რაფინირებული ინტელიგენტი და დიდბუნებოვანი კაცი.

მის პიროვნებაში ბუნებრივად იყო შერწყმულ-შეხამებული მოთვინიერებული ავაზის ბუნება. ავაზისა, რომელსაც ალერსიც უყვარს და საჭიროების შემთხვევაში ბრჭყალებიც დაუცხრომელი აქვს. იგი საოცრად ამაყი იყო და შეუვალი.

ეამაყებოდა და ბედნიერად სთვლიდა თავს იმით, რომ წინაპართა დარად მახვილი მტრის სისხლში ჰქონდა დაფერილი. ახალგაზრდობაში კარგი ტანმოვარჯიშე და მოკრივე ყოფილა.

ალექსანდრე ქუთათელი იყო დიდი ანალიტიკური ბუნების პატრონი, იგი არასოდეს არ ყოფილა მიღწეულით გულდაჯერებული. როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, მისი აღგზნებული სული მუდმივ ძიებაში გახლდათ. ჯავარიანი სიტყვა ჰქონდა, სულის კარის გამღები. ჩამოქნილ-ჩამოძერწილი თვითმყოფი ხასიათის კაცი იყო, გულსრული, ღვაწლმოსილი და მადლიანი.

ელგუჯა მაღრაძე

6 256 / 339

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76198

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ